სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

თეიმურაზ გვანცელაძე, სოფიკო ჭაავა

აფხაზური ენა: წარსული, აწმყო და...

(ეკოლინგვისტური და სოციოლინგვისტური ანალიზი)

საბჭოთა საქართველო
თბილისი 2021

SOKHUMI STATE UNIVERSITY
FACULTY OF HUMANITIES

TEIMURAZ GVANTSELADZE & SOFIKO CHAAVA

ABKHAZIAN LANGUAGE - PAST, PRESENT AND...

(Ecolinguistic and sociolinguistic analysis)

PUBLISHING HOUSE
SAMSHOBLO

TBILISI 2021

ნინამდებარე ნაშრომი ნარმოადგენს შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის (№ OTG-I-19-1128) საბოლოო პროდუქტს. იგი 2 ნანილისაგან შედგება:

პირველ ნანილში ისტორიულ და საარქივო მასალებზე დაყრდნობით გაანალიზებულია აფხაზური ენის ეკოლოგიური მდგომარეობის, ფუნქციონირების ტერიტორიისა და გამოყენების სფეროების კატასტროფული ცვლის მიზეზები რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის ენობრივი პოლიტიკის კონტექსტში; ნაჩვენებია, თუ რა რადიკალური ეკოლოგიური გარდაქმნები მოხდა ამ ენის ფონოლოგიურ და გრამატიკულ სტრუქტურაში, განსაკუთრებით კი ლექსიკაში.

მეორე ნაწილში ნარმოდგენილია პროექტის მონაწილეთა მიერ მოპოვებული აუდიო- და ვიდეომასალების გაშიფრული ტექსტები, რომლებშიც ასახულია აფხაზური და ქართული საზოგადოებების წარმომადგენელთა დამოკიდებულება აფხაზური ენის მდგომარეობისადმი, მისი ბედ-იღბლისადმი. ამ ჩანაწერებს ახლავს სათანადო ანალიზი.

ნიგნში არგუმენტირებულად, დოკუმენტებზე დამყარებით არის გაქარწყლებული აფხაზურ სეპარატისტულ ლიტერატურაში გამოთქმული ბრალდებები ქართველთა მხრიდან აფხაზური ენის „დევნა-შევიწროების" შესახებ.

ნიგნს ერთვის საკვლევ თემასთან დაკავშირებული რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტიც.

რედაქტორი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მანანა ტაბიძე

რეცენზენტები: ფილოლოგიის დოქტორი მანანა ბუკია
ფილოლოგიის დოქტორი სოფიო კეკუა

დიზაინერი დალი ჯვარშეიშვილი

ISBN 978-9941-9771-0-7



შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი
SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE FOUNDATION OF GEORGIA

პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტი № OTG-I-19-1128). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნით ავტორებს და, შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

This project has been made possible by financial support from the Shota Rustaveli National Science Foundation (Grant № OTG-I-19-1128). All ideas expressed herewith are those of the authors, and may not represent the opinion of the Foundation itself.

www.rustaveli.org.ge

ეძღვნება აფხაზური ენის უდიდესი მკვლევრის,
აკად. ქეთევან ლომთათიძის
დაბადების 110 წლისთავს

წინასიტყვაობა

წინამდებარე ნაშრომი დაიწერა და გამოქვეყნდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის საფუძველზე (გრანტი №№ OTG-I-19-1128). მონოგრაფია წარმოადგენს აფხაზური ენის ეკოლინგვისტური მახასიათებლებისა და სოციოლინგვისტური მონაცემების კომპლექსური კვლევის პირველ ცდას.

პროექტზე მუშაობის დასაწყისში ვაპირებდით ამ ენის მხოლოდ ეკოლინგვისტური თვალსაზრისით ანალიზს, მაგრამ საკვლევი პრობლემის ხასიათმა მალევე დაგვარწმუნა, რომ ყველაზე ოპტიმალურ შედეგებს ისტორიული სოციოლინგვისტიკის მოშველიებაც მოგვცემდა. ასეც მოვიქეცით და, ვფიქრობთ, ჩვენი არჩევანი მართებული იყო: მაგალითად, როცა ეკოლოგიური პოზიციიდან მიმოიხილავ აფხაზური ენის გეოგრაფიული განფენილობის საკითხს, საკმარისი არ იქნება მხოლოდ ახლანდელ ეკოლოგიურ მდგომარეობაზე მსჯელობა. არსად, სადაც კი ამ ენაზე მოლაპარაკეთა რაოდენობრივად მეტ-ნაკლებად კომპაქტური დასახლებებია (აფხაზეთის ა.რ., აჭარის ა.რ., თურქეთის რესპუბლიკა, სირიის არაბთა რესპუბლიკა), არ დასტურდება ვრცელ და უწყვეტ ტერიტორიაზე განფენილი აფხაზურენოვანი მოსახლეობა: აფხაზეთში ამ მხრივ წარმოდგენილია მხოლოდ გუდაუთისა და ოჩამჩირის რაიონების აფხაზურენოვანი უბნები და ცალკე დგას სოხუმისა და გაგრის ურბანული პუნქტები. გუდაუთისა და ოჩამჩირის უბნებს ერთიმეორისაგან სხვა ენებზე მოსაუბრეთა დაახლოებით 60-კილომეტრიანი ზოლი გამოყოფს, მათ შუაში კი სოხუმია, გაგრა კი ასევე დაცილებულია გუდაუთის უბანს. ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ ეს ვითარება არ არის ბუნებრივ-ეკოლოგიური მონაცემი. ავტომატურად ჩნდება კითხვები: როდის, რატომ და რა მიზნით დასცილდნენ ერთიმეორეს აფხაზური

ენის გავრცელების ორი უბანი და ორი პუნქტი? რა მოუტანა ამ დაცილებამ ენას? ამ კითხვებზე პასუხს მოითხოვდა ეკოლინგვისტიკა, მაგრამ მათ სრულად ვერ ვუპასუხებდით, თუ არ მოვიშველიებდით ისტორიოგრაფიასა და ისტორიულ სოციოლინგვისტიკას. საკითხისადმი მიდგომის გაფართოებამ ასევე თავისთავად გამოიწვია საკვლევი დეტალების მასშტაბის ზრდაც. ამ შემთხვევაში ჩვენ ასეთი ტაქტიკა ავირჩიეთ:

ჩვენ არ შემოვიფარგლეთ კონკრეტული ფაქტის ანალიზით მხოლოდ დროის ერთი მონაკვეთისა და მხოლოდ აფხაზეთის სივრცის მიხედვით. თუკი არსებობდა შესაძლებლობა, მუდამ ეცდილობდით გაგვეთვალისწინებინა უფრო ფართო ქრონოტოპული, ანუ ქრონოლოგიური მონაკვეთისა და გეოგრაფიული სივრცის მონაცემები. მაგალითად, როცა ვაანალიზებდით აფხაზ სეპარატისტთა ბრალდებას, თითქოსდა 1938 წელს აფხაზურ სამწიგნობრო ენას ქართველებმა მოახვიეს თავს ქართული გრაფიკა (მხედრული ასოები), ჩვენ გავითვალისწინეთ 1926, 1928, 1954 წლების ასეთივე რადიკალური გრაფიკული ცვლილებების ტიპოლოგია და ის უარყოფითი, თუ დადებითი შედეგები, რაც ოთხივე აქტს მოჰყვა. ამასთანავე შესადარებლად გამოვიყენეთ სხვა რესპუბლიკებში (აზერბაიჯანში, უზბეკეთში, სომხეთში...) მიმდინარე პროცესები, როცა მოკავშირე რესპუბლიკის სატიტულო ერისთვის შერჩეულ გრაფიკაზე ავტომატურად გადაჰყავდათ უმცირესობათა ენებიც...

პროექტზე მუშაობისას სერიოზული დაბრკოლება შეგვიქმნა კოვიდ-19-ის ეპიდემიამ და მასთან დაკავშირებულმა შეზღუდვებმა: დიდი ხნით დაიხურა არქივი და ბიბლიოთეკები, შეუძლებელი გახდა ექსპედიციების მოწყობა ბათუმსა და თურქეთის რესპუბლიკის იმ ვილაიეთებში, სადაც მეტ-ნაკლებად კომპაქტურად ცხოვრობენ აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავლები (სირიაში ნასვლა იმთავითვე გამოირიცხა იქ მიმდინარე ხანგრძლივი ომის გამო). ამას ემატებოდა ფსიქოლოგიური ბარიერებიც. ამიტომ იძულებულნი გავხდით, ზუმის პლატფორმისა და სხვა ელექტრონული საშუალებებით მოგვეპოვებინა ახალი საველე მასალა (ინტერვიუები, ენობრივი ისტორიები, ანკეტის პასუხები...) და გამოგვეყენებინა 2011-2019 წლებში მოწყობილი 5 ექსპედიციის დროს შეკრებილი მასალაც. მიუხედავად დიდი პრობლემებისა, დაგეიგროვდა დიდძალი ემპირიული მასალა: ადრე ცნობილი და პირადად ს. ჭაავას მიერ ახლად გამოვლენილი საარქივო დოკუმენტები, სხვა მკვლევართა მიერ ახლადგამოცემული მასალა და სხვა. საბოლოოდ ჩვენს ხელთ აღმოჩნდა მდიდარი და უნიკალური მონაცემები, რომლებმაც სრულიად ახლებურად დაგვანახეს მრავალი საკითხი. ამ დოკუ-

მენტებიდან ბევრი პირველად შემოდის საენათმეცნიერო მიმოქცევაში და მომავალშიც გამოადგება მკვლევრებს.

პროექტზე ვმუშაობდით: კოორდინატორი და პროექტის შემსრულებელი, ფილოლოგიის დოქტორი სოფიკო ჭაავა, პროექტის შემსრულებელი, მაგისტრანტი მონიკა ხობელია, პროექტის ტექნიკური პერსონალი, ფილოლოგიის დოქტორი ლელა მირცხულავა და პროექტის ხელმძღვანელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. თეიმურაზ გვანცელაძე. ს. ჭაავამ და მ. ხობელიამ მოიძიეს საკვლევი მასალა, დაამუშავეს სპეციალური ლიტერატურა, გადაიღეს ფოტოსურათები, ჩაიწერეს, გაშიფრეს და ლ. მირცხულავასთან ერთად ახალ საიტზე განათავსეს ფოტო-, ვიდეო- და აუდიომასალა. ლ. მირცხულავამ უხელმძღვანელა ტექნიკური საკითხების მოგვარებას და საიტის შექმნას.

მონოგრაფიის პირველი ნაწილის **I-IV** და **VI-X** თავები დაწერილია თ. გვანცელაძის მიერ, მეორე ნაწილი მთლიანად დაწერა ს. ჭაავამ, ხოლო პირველი ნაწილის **V** თავის ავტორები არიან თ. გვანცელაძე და ს. ჭაავა. ორივე ნაწილში გამოყენებულია მ. ხობელიას მიერ სპეციალური ლიტერატურიდან და წყაროებიდან ამოკრებილი მასალა.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, პროფ. ზურაბ ხონელიძეს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ასოც. პროფ. ნინო თოფურიძეს, რექტორის თანაშემწეს დათა ხუფენიასა და ფინანსებისა და აღრიცხვის სამსახურის უფროსს ნინო წივწივაძეს, რომლებიც ექსტრემალური პირობების მიუხედავად მუდამ მხარში გვედგნენ და ხელს გვიწყობდნენ მუშაობაში.

ნაწილი I.
აფხაზური ენის ფუნქციონირების ეკოლინგვისტური და სოციოლინგვისტური ასპექტები

თავი I
აფხაზური ენა XIX საუკუნის შუა ხანებამდე
(მოკლე ეკოლინგვისტური და ისტორიული მიმოხილვა)

ეკოლინგვისტიკა ენათმეცნიერების ახალი და პერსპექტიული მიმდინარეობაა. იგი სათავეს იღებს 1972 წელს დაბეჭდილი ამერიკელი ენათმეცნიერის ეინარ ჰაუგენის ნაშრომიდან: „ენის ეკოლოგია. ეინარ ჰაუგენის ესეები", რომელშიც ე. ჰაუგენი წერდა:

„ენის ეკოლოგია შეიძლება განიმარტოს როგორც მეცნიერება ენისა და მისი გარემოს ურთიერთობის შესახებ, ენის გარემოდ კი გაგებული უნდა იქნეს საზოგადოება, რომელიც იყენებს ენას როგორც თავის ერთ-ერთ [სამეტყველო - თ.გ.] კოდს. ენა არსებობს მხოლოდ მასზე მოლაპარაკეთა ცნობიერებაში და ფუნქციონირებს მხოლოდ ამ ენაზე სხვა მეტყველ პირებთან და მათ სოციალურ და ბუნებრივ გარემოსთან ურთიერთობებში. ენის ეკოლოგიას ნაწილობრივ აქვს ფიზიოლოგიური ბუნება (ანუ მოლაპარაკის ცნობიერებაში დამყარებული ურთიერთქმედება სხვა ენებთან), ნაწილობრივ კი ენის ეკოლოგია სოციალურიც არის (ანუ ურთიერთქმედებს იმ საზოგადოებასთან, რომელშიც ეს ენა გამოიყენება კომუნიკაციის საშუალებად). ენის ეკოლოგია დამოკიდებულია იმ ადამიანებზე, ვინც სწავლობს მას, იყენებს და გადასცემს სხვა ადამიანებს" (ჰაუგენი, 1972, გვ. 329).

ე. ჰაუგენის აზრით, ცხოველთა და მცენარეთა სხვადასხვა სახეობების მსგავსად ენები ერთმანეთთან გაწონასწორებულად თანაარსებობენ, კონკუ-

რენციას უწევენ ერთიმეორეს, მათი არსებობაც ერთმანეთზეა დამოკიდებული როგორც სახელმწიფოსა და სოციალური წრეების შიგნით, ისე რამდენიმე ენის მცოდნე ადამიანთა ცნობიერებაშიც.

ფინეთში მოღვაწე გერმანელი ენათმეცნიერისა და კულტუროლოგის, ბრიუსელის მულტილინგვიზმის კვლევითი ცენტრის თანამშრომლის ჰარალდ ჰაარმანის აზრით, ყოველი კონკრეტული ენის ეკოლინგვისტური ანალიზი მოითხოვს ამ ენის გავრცელებისა და ფუნქციონირების ზონებში არსებული 7 ეკოლოგიური მახასიათებლის გამოკვლევას. ეს მახასიათებლებია: დემოგრაფიული, სოციალური, პოლიტიკური, კულტურული, ფსიქიკური, ინტერაქციული და ლინგვისტური ფაქტორები[1].

წინამდებარე ნაშრომის ამ ნაწილში წარმოვადგენთ მხოლოდ აფხაზური ენის ისტორიის ყველაზე ძველი და ნაკლებად დოკუმენტირებული მონაკვეთის უმოკლეს ეკოლინგვისტურ მიმოხილვას.

დავიწყებთ იმით, რომ ჰ. ჰაარმანის მიერ დასახელებულ შვიდ მახასიათებელს აფხაზური ენის შემთხვევაში უნდა დაემატოს ორი ფაქტორიც: ენის გეოგრაფიული განფენილობა და ენობრივი კოლექტივის (ეთნოსის) ისტორია. ამის აუცილებლობას შემდეგი განაპირობებს:

უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში კომუნისტურ-საბჭოური იდეოლოგიური წნეხისაგან განთავისუფლებულმა მეცნიერებმა ისტორიული წყაროების, ეთნოლოგიური და ლინგვისტური მასალის ანალიზის საფუძველზე საბოლოოდ დაადგინეს, რომ ახლანდელი აფხაზების (აფსუების) წინაპრები თავიანთ უახლოეს განაყოფ აბაზა ტომებთან ერთად XVI საუკუნემდე იყვნენ ერთიანი აფსუა-აბაზა ხალხის ორგანული ნაწილი და უწყვეტ ეთნიკურ მასად ბინადრობდნენ აფხაზეთისა და სვანეთის გადაღმა, ჩრდილოეთ კავკასიის დასავლეთ ნაწილში, აწინდელი ყარაჩაი-ჩერქეზეთისა და ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკების მიწაზე, აგრეთვე კრასნოდარის მხარის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც მათ უშუალოდ ემეზობლებოდნენ, ერთი მხრივ, მათი უახლოესი მონათესავე ახლანდელი ჩერქეზების (ადიღელებისა და ყაბარდოელების), უბიხებისა და, მეორე მხრივ, თურქული მოდგმის ყარაჩაელ-ბალყარელების წინაპრები (ყარაჩაელ-ბალყარელთა წინაპარი ბულგარები, ყივჩაღები და სხვა მომთაბარე ტომები ამ ადგილებში უკვე სახლობდნენ X საუკუნეში).

ერთიანი აფსუა-აბაზა ხალხის არსებობას ადასტურებს ის, რომ თურქულ ენაზე ტერმინი აბაზა (მრ.რ. აბაზალარ „აბაზები") გვიანი შუა საუკუნეებიდან დღემდე აღნიშნავს როგორც აბაზებს, ისე აფსუებსაც. მეორე მხრივ, 1827 წელს

1. სამწუხაროდ, კორონავირუსთან დაკავშირებული პრობლემების გამო არ მოგვიხერხდა ჰ. ჰაარმანისა და ზოგი სხვა ნაშრომის უფრო ზუსტად ციტირება, რისთვისაც მკითხველს ბოდიშს ვუხდით.

შედგენილ აფხაზური (აფსუური) ენის ლექსიკონს მისმა ავტორმა ვ. რომანოვმა Абазинской словарь „აბაზური ლექსიკონი“ უწოდა, ხოლო აკად. ს. ჯანაშიასა და ქ. ლომთათიძის ცნობით, აშხარელი აბაზები XX საუკუნის 20-40-იან წლებშიც კი საკუთარ ეთნიკურ კუთვნილებას აფსაუა, ანუ აფსუა ტერმინით აღნიშნავდნენ. ეს ენობრივი ფაქტები იმას ნიშნავს, რომ ტერმინები აფსუა < აფსაუა, და აბაზა არც ისე დიდი ხნის წინ აბსოლუტურად სრული სინონიმები ყოფილა და აფსუა და აბაზა ერთ ეთნოსად იყო გაგებული. შესაბამისად, აფსუურ-აბაზურ ენასაც უეჭველად სინონიმური ტერმინები: აფსუა ბგზშვა „აფსუური ენა“ და აბაზა ბგზშვა „აბაზური ენა“ ერქმეოდა.

XVI საუკუნიდან დღემდე თურქულ ენაზე ამჟამინდელ აფსუებს და აბაზებს, ასევე მათ წინაპრებს ერქვათ და ჰქვიათ აბაზა სახელი (მრაელ. რ. აბაზალარ). ეს იმას ნიშნავს, რომ, შესაძლოა, XVI საუკუნემდეც აფსუათა წინაპრებს მხოლოდ აბაზა სახელით იცნობდნენ სხვა ეთნოსები (ჩერქეზები, უბიხები, ყარაჩაელ-ბალყარელები, ყირიმელი თათრები...).

ჩვენი ვარაუდით, ჩერქეზულ-უბიხურ და ყარაჩაულ-ბალყარულ გარემოში მყოფი აფსუურ-აბაზური ენა[2] ვითარდებოდა და ფუნქციონირებდა ჩერქეზულ-უბიხურ და ყარაჩაულ-ბალყარულ ენებთან ხანგრძლივ კონტაქტში. ის ფაქტი, რომ აფხაზურ-აბაზურ კილოებსა და კილოკავებში დღემდე არ გამოვლენილა მნიშვნელოვანი კვალი უბიხური ენიდან სიტყვათსესხებისა, ცხადად უნდა მიგვანიშნებდეს, რომ აფსუურ-აბაზური საზოგადოებისათვის უბიხური ენა არ წარმოადგენდა რაიმე ნიშნით (მაგალითად, პრესტიჟულობით, ან მოლაპარაკეთა სიმრავლით) გამორჩეულ ენას. მეორე მხრივ, აფხაზურ და განსაკუთრედით აბაზურ დიალექტებში საკმაოდ შთამბეჭდავია ჩერქეზული ენის გავლენის კვალი. მაგალითად, აბაზურ კილოებში სწორედ ჩერქეზულიდანაა დამკვიდრებული სპეციფიკური ფონემების ორი კლასიც კი, რაც ზეგავლენის ინტენსიურობაზე მიუთითებს.

შედარებით მცირე რაოდენობითაა ნასესხები აფხაზურ-აბაზურ დია-ლექტებში ყარაჩაულ-ბალყარული ლექსიკა, რაც ამ უკანასკნელი ენის დაბალ პრესტიჟზე უნდა მიუთითებდეს.

ამ ფონზე შთამბეჭდავია ჩერქეზული ლექსიკის საკმაოდ დიდი რაოდენობა აფხაზურ-აბაზურ დიალექტებში. ეს ლექსიკა უკავშირდება ისეთ მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ სფეროებს, როგორიცაა სოციალური ურთიერთობები,

2. ტერმინი აფსუურ-აბაზური ენა გამოყენებული გვაქვს XVI საუკუნემდე არსებული ერთიანი ენის შესახებ მსჯელობისას, მომდევნო პერიოდების განხილვისას კი ვიყენებთ ტერმინებს: აფხაზურ-აბაზური ენა, აფხაზური ენა, აბაზური ენა.

მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, ეთნოლოგიური რეალიების დიდი ნაწილი: სამოსი, სამუშაო და საბრძოლო იარაღი, საშინაო ნივთები... (ჩერქეზული ნასესხობების შესახებ ვრცლად იხ.: ლომთათიძე, 1944; ლომთათიძე, 1954; შაგიროვი, 1989; ყარაჩაულ-ბალყარული ლექსიკისათვის იხ.: გვანცელაძე, 2011, 363-367). ეს გარემოება უფლებას გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ ჩერქეზული ენა გვიან შუა საუკუნეებში მაინც აფსუურ-აბაზური ენობრივ-ეთნიკური ერთობის არსებობის დროს აფსუა-აბაზათა წინაპრებს პრესტიჟულ ენად მიაჩნდათ და აქტიურად სწავლობდნენ კიდეც მას.

აქვე უნდა დავძინოთ შემდეგიც: უდავოა, რომ იმავე პერიოდში აფსუურ-აბაზური ენა არ განიცდიდა რომელიმე სახელმწიფოს მიერ დაგეგმილი ენობრივი პოლიტიკის რაიმე ზეგავლენას. ნერილობით წყაროებში სრულებით არ ჩანს არანაირი ცნობები ამგვარი ფაქტების შესახებ.

XVI საუკუნიდან დაიწყო აფსუა ტომების ექსპანსია ახლანდელი აფხაზეთის მიმართულებით. ისინი თავიდან ნადავლისა და ტყვეების მოსაპოვებლად ესხმოდნენ თავს ახლანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველებს, შემდეგ კი დაიწყეს დასახლება ჯერ მდინარეების - ფსოუს, ბზიფისა და გუმისთის სათავეებში, მერე კოდორისა და ნებელის ხეობებში, მომდევნო ეტაპზე კი დაიძრნენ ზღვისპირა ბარისკენაც, რასაც შედეგად მოჰყვა ახლანდელი აფხაზეთის ტერიტორიის უმეტესი ნაწილიდან ქართველთა ერთი ნაწილის მიგრაცია ახლანდელი გალის რაიონისკენ, ასევე სვანეთსა და სამეგრელოში, ქართველთა მეორე ნაწილი კი დარჩა თავისი წინაპრების მიწაზე და დროთა განმავლობაში შეერწყა მოჭარბებულ აფსუებს, ჯერ დაკარგა დედაენა და გადავიდა მოსულთა ენაზე, შემდეგ კი შეიცვალა ეთნიკური იდენტობაც და გადაიქცა მოსულთა განუყოფელ ნაწილად (ვრცლად იხ.: ნარკვევები, 2007, გვ. 146-172; გამახარია, 2005, გვ. 318-319; გვანცელაძე, 2008). ამ ფაქტმა, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად შეცვალა მოსულთა ენა და მისი ეკოლოგიური გარემო:

1. თუ, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, XVI საუკუნემდე აფსუურ-აბაზური ენა ერთიანი, უწყვეტი კონტინუუმი იყო, ამიერიდან მისი ერთი ნაწილი გეოგრაფიულად დასცილდა მას, ანუ დაირღვა ენობრივ-ტერიტორიული მთლიანობა და ენის განფენილობა.
2. აფსუათა მიგრაციამდე მათი დედაენა საუკუნეთა განმავლობაში არსებობდა ძალზე ახლომონათესავე ენების, ჩერქეზულისა და უბიხურის უშუალო მეზობლობაში, რაც მისთვის ეკოლოგიურად ბუნებრივი გეოგრაფიული და სოციალურ-კულტურული გარემო იყო. მიგრაციის შემდეგ ენას მოუხდა მანამდე უჩვეულო სხვა გეოგრაფიულ სივრცეში არსებობის განგრძობა (გვანცელაძეები, 2013,

გვ. 71-80), რამაც აქტუალურობა დაუკარგა *ადრინდელი საცხოვრისის სპეციფიკასთან დაკავშირებულ, ჩვეული გეოგრაფიულ-ეკოლოგიური და სოციალურ-კულტურული გარემოს ამსახველ* ასობით ლექსიკურ ერთეულსა და ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებსაც. ეს კი ენისათვის სერიოზულ ტრავმას უდრიდა.

3. XVI-XVIII საუკუნეებში საბოლოოდ ჩამოყალიბდა მოსულთა დედაენის დიალექტები: აბჟუური, ბზიფური და ჯიქური (საძური). ვვარაუდობთ, რომ ამ დიალექტთა ჩანასახები კილოკავებისა და თქმების სახით უკვე არსებობდა აფსუათა მიერ თავდაპირველი სამშობლოს დატოვებამდეც.
4. დასახელებულმა დიალექტებმა ახალ გარემოში სუბსტრატის სახით შეიძინეს მეგრული ლექსიკა: სუბტროპიკული ზონის მცენარეთა სახელები, ქრისტიანობასთან დაკავშირებული, კულტურის, მწიგნობრობის, კაპიტალური მშენებლობის, ზღვაოსნობის, მეთევზეობის, მინათმოქმედებისა და სხვა დარგების სიტყვების მთელი ჯგუფები.
5. ქართველთა მეტყველების, კერძოდ, მეგრულის ზეგავლენით დაჩქარდა უკანა წარმოების ფონემათა გამარტივების პროცესი: სრულებით დაიკარგა ლარინგალური **ჰ** თანხმოვანი, რომელიც დღემდეა შემორჩენილი აბაზურ მიკროვარიანტებში (ტაპანთურ დიალექტში მეტად, აშხარულში კი შერყეულად) და მის ნაცვლად გაჩნდა აა ხმოვანთჯგუფი; ლაბიალიზებული **მო** ფონემა შეცვალა **ჯ** ბგერამ; მეგრულის უშუალო მეზობელ აბჟუურ დიალექტში **ჭ** ფონემას ჩაენაცვლა **ხ** ბგერა, ხოლო ბზიფურში გაჩნდა მანამდე უცნობი **ჭ** და **ხ** ფონემების შუალედური სპეციფიკური **ხ** ბგერა; იმავე ბზიფურ დიალექტში ლაბიალიზებული **ჭო** ბგერა გარდაიქმნა ასევე სპეციფიკურ **ხ** ბგერად (იგივე პროცესები კარგახნის დაწყებულია აშხარულ დიალექტშიც. ვრცლად იხ. ლომთათიძე, 1954, გვ. 11-17). ეს ფონოლოგიური სისტემის სტრესული შერყევა იყო.
6. მორფოლოგიური სიახლე იყო ახალ დიალექტებში ქართული ენის მიცემითი ბრუნვის -ს ნიშნის გამოყენება გარდაქცევითობის მაწარმოებლად და ამ გზით ბრუნების სისტემის ჩანასახის წარმოქმნა.
7. ჩრდილოეთ კავკასიაში აფსუურ-აბაზური ენა თითქმის თანაბარ სოციალურ დონეზე იდგა მის მეზობელ უბიხურ და ყარაჩაულ-ბალყარულ ენებთან, რადგან სამივე უდამწერლობო იყო, რის გამოც პრესტიჟულად ვერცერთი ვერ ჩაითვლებოდა. მაგრამ იგივე აფსუურ-აბაზური პრესტიჟულობით აშკარად ჩამორჩებოდა ჩერქეზულს, რომელიც ასევე არ იყო სამწიგნობრო და რომელიმე სახელმწიფოს

ოფიციალური ენა, რის გამოც მისგან სერიოზული საშიშროება ნაკლებად იყო მოსალოდნელი.

8. ახალ ეკოლოგიურ გარემოში აფსუურ-აბაზური ენის აფსუური ნაწილი აფხაზთა წინაპრების ნებით აღმოჩნდა მასზე ბევრად განვითარებული და პრესტიჟული, მრავალსაუკუნოვანი სამწიგნობრო ტრადიციის მქონე ქართველური სამეტყველო მიკროვარიანტების (კერძოდ, ქართული სამწიგნობრო ენისა და მეგრულის) გავლენის სფეროში, ზეგავლენა კი უპირატესად აისახა კულტურასთან, ქრისტიანულ რელიგიასთან, ზღვაოსნობა-მეთევზეობასთან, მინათმოქმედებასთან, მემცენარეობასთან, მშენებლობასთან, სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული დიდძალი ლექსიკის სესხებაში. ბუნებრივია, მოსულთა უდამწერლობო ენა მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე ქართულ სამწიგნობრო ენას კონკურენციას ვერ გაუწევდა - ქართული ენა აფხაზთა შორის (განსაკუთრებით არისტოკრატიაში) ასრულებდა ოფიციალური საქმისწარმოების, კულტურისა და რელიგიის ენის ფუნქციებს თითქმის XX საუკუნემდე (ჯანაშია, 1985, გვ. 26-28). XVIII საუკუნეში აქა-იქ, უპირატესად ცხუმში და ზოგ ზღვისპირა დასახლებაში გაჩნდა თურქული ენის გავრცელების პრეცედენტებიც.

9. ახლანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე აფსუების დასახლების შემდეგ აქ რადიკალურად და ქართველური ენობრივ-ეთნიკური კონტინუუმის საზიანოდ შეიცვალა დემოგრაფიული და ეთნიკური ვითარება, სამაგიეროდ, აფხაზები შეერწყნენ ქართულ სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და რელიგიურ სისტემებს, რისი კვალიც დღემდე ჩანს აფხაზურ ენაში ქართული სოციალური, სამეურნეო, კულტურული და საღვთისმსახურო სისტემების ამსახველი ლექსიკის სახით.

10. ქართულ სოფლებში ჩამოსახლებულ აფსუათა დომინირება და ავტოქთონ ქართველთა აფსუიზაცია შემდეგი ძირითადი სცენარით ხდებოდა: ქართულ სოფელზე აფსუათა გახშირებული თავდასხმების გამო ქართველების უმეტესობა ტოვებდა მშობლიურ სოფელს, რასაც მოჰყვებოდა ყოფილ ქართულ სოფლებში აფსუების მკვიდრად დასახლება. ამის გამო ადგილზე დარჩენილი ქართველები უმცირესობის კატეგორიაში გადადიოდნენ და დროთა განმავლობაში ყოველდღიური კონტაქტების აუცილებლობა და ინტერეთნიკური ქორწინებები ხელს უწყობდა მათ მიერ უმრავლესობის ენის შესწავლას. ორი-სამი თაობის შემდეგ ქართველებს უკვე ეცვლებოდათ ჯერ ენობრივი იდენტობა, ბოლოს კი ეთნიკური იდენტობაც. ამისი დამადასტურებელია ის ფაქტები, რომ დღეს აფხაზთა თითქმის 2/3 (არანაკლებ 60%) ატარებს

ქართულ გვარებს, ხოლო მათი სოფლების დიდ ნაწილს ქართველური წარმოშობის სახელები ჰქვიათ, ხოლო თვით ამ უკვე აფსუურ სოფელთა მიკროტოპონიმიის დიდი ნაწილიც ასევე ქართული წარმოშობისაა.

11. კავკასიონის გადმოლმა დასახლებამდე აფსუებსა და აბაზებს გვარსახელების მარტივი სისტემა ჰქონდათ: აბაზებში დღემდეა შემორჩენილი ლაუ // ლოუ, პაზ მორფოლოგიური მოდელის უსუფიქსო გვარები. შდრ. გადმონაშთად აფხაზურში არსებული ამავე მოდელის გვარსახელები: სმგრ, ყაიტან, კაფშ, თრაფშ... ახალ სამშობლოში აფხაზებმა შეითვისეს არა მარტო მზამზარეული ათეულობით ქართველური (უპირატესად მეგრული) გვარსახელი, არამედ გადაიღეს -ძე დაბოლოებიან ქართველურ გვარსახელთა მორფოლოგიური მოდელიც, შდრ. აფხაზური სუფიქსოიდი იფა „მისი ვაჟი" და მისი გამოყენებით ნაწარმოები გვარები: ინალ-იფა „ინალის ძე", ძაფშ-იფა „ძაფშის ძე", პატე-ჲფა „პატას ძე", *ადლა- ჲფა > ადლეიბა „ადლას ძე"...;

12. ახლანდელი აფხაზეთის მიწაზე დასახლებისას აფსუებს აქ დახვდათ ქართველური გეოგრაფიული სახელებით შექმნილი ეკოლოგიურ-გეოგრაფიული გარემო ანუ ტოპონიმიკური სივრცე, რაც მათთვის სრულიად უცხო იყო, რის გამოც დაიწყო ახლანდელი აფხაზეთის ტერიტორიის ონომასტიკური, კერძოდ, ტოპონიმიკური ათვისება სხვადასხვა ხერხით:

ა. გაბუნდოვანებული ეტიმოლოგიის მქონე ძველი ქართული ტოპონიმები მხოლოდ ფონეტიკურად ადაპტირდებოდა: კოდორი > კუდრგ, ლუხუნი > ლჳხნგ...;

ბ. გამჭვირვალე ეტიმოლოგიის მქონე ქართველური ტოპონიმები ითარგმნებოდა აფხაზურ ენაზე: მაფამწყარი „მეფისწყალი" > აჰ იძგხ „ბატონის წყალი"...;

გ. გამჭვირვალე და ბუნდოვანი ეტიმოლოგიის მქონე ქართველური გეოგრაფიული ნომენკლატურის მეორე ჯგუფი გაფორმდა აფხაზური მორფემებით და შეიცვალა ფონეტიკურადაც: ჭალა > *ჭალაუ > ჭგლაუ[3] > ჭლოუ, საბულიო > ასაბულეი, ილორი > *აიღარ > *აიღგრ > ელგრ;

13. ახალ სამშობლოში აფხაზური ენა გამოიყენებოდა უპირატესად ყოველდღიურ მონონაციონალურ ურთიერთობებში: აფხაზთა უდიდესი ნაწილი მხოლოდ ამ ენაზე ფიქრობდა, გამოხატავდა სიყვარულს, გაბრაზებას, წუხილსა და სიხარულს, ოცნებობდა, გეგმავდა საკეთებელ

3. 70-80-იან ნლებში ოჩამჩირის რაიონის მოხუც აფხაზთა აფხაზურ მეტყველებაში რეალურად ისმოდა ჭგლაუ სახეობა, რომლის რუსული ვარიანტი იყო Чилоу.

საქმეებს, ზრდიდა შვილებსა და შვილიშვილებს, უყვებოდა მათ ზღაპრებს, ლეგენდებს, მითებს, თქმულებებს, იყენებდა ანდაზებს, გამოცანებს, ენის გასატეხებს, მასპინძლობდა სტუმრებს, მღეროდა, მონინებით მიმართავდა ნარმართულ ღვთაებებს, ასრულებდა თან მოყოლილ წარმართულ წეს-ჩვეულებებსა და რიტუალებს...;

14. აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, რომელიც ესაზღვრებოდა უბიხებისა და ჩერქეზების ტერიტორიებს, აფხაზთა გადმოცემით, არცთუ იშვიათი ყოფილა ინტერეთნიკური ქორწინებები აფხაზებსა და უბიხ-ჩერქეზებს შორის. უბიხი და ჩერქეზი დედები და ბებიები ბავშვებს, ბუნებრივია, თავიანთ ენებსაც ასწავლიდნენ;
15. გვიან შუა საუკუნეებში ოსმალეთიდან აფხაზეთში თანდათან გავრცელდა სუნიტური ისლამი, გაჩნდა ოსმალოების მცირე დასახლებებიც (ცხუმში, ოჩამჩირეში, ჯგერდის თემში...). თურქი მოლები ეწეოდნენ ისლამის პროპაგანდას და მიზანსაც აღწევდნენ: აფხაზთა შორის მომრავლდნენ მაჰმადიანები, რომლებიც ღვთისმსახურებაში იყენებდნენ არაბულ ენას, ხოლო მოლებსა და თურქ ვაჭრებს ესაუბრებოდნენ თურქულ ენაზე, ახალშობილებს კი თურქულ და არაბულ სახელებს არქმევდნენ;
16. XVIII საუკუნის შუახანებისათვის განსაკუთრებით აფხაზეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ და ცენტრალურ ნაწილებში მცხოვრებმა მრავალმა აფხაზმა მეტ-ნაკლებად იცოდა ქართული სამწიგნობრო ენაც და მეგრულიც, რომელთაც გამოყენების თავიანთი დრო და ადგილი ჰქონდათ: ქართულ სალიტერატურო ენაზე იწერებოდა აფხაზეთის მთავართა ოფიციალური ტექსტები, პირადი წერილები და ეპიტაფიები, ასევე თავად-აზნაურთა ნაწილის პირადი წერილები და ეპიტაფიები. გავიხსენოთ სულხან-საბა ორბელიანის ევროპაში 1713-1716 წლებში მოგზაურობის აღწერა, რომელშიც კუნძულ მალტაზე ყოფნის შესახებ თხრობისას ავტორი აცხადებს: „ქართველნიც ვნახე: ზოგი აფხაზი, ზოგი იმერელი, გურული, მეგრელი, რომ თათრისათვის წაერთმიათ. ენა ისევ კარგი იცოდნენ. აფხაზმა რატომ იცოდა, ის გამიკვირდა, ქართული“ (საბა, 1983, გვ. 279. ხაზგასმა ჩვენია - თ.გ.). ამ ჩანაწერში გამოხატული გაოცება იმას ნიშნავს, რომ XVIII საუკუნის დასაწყისში აფხაზთა დაბალ ფენაში ჯერ კიდევ ხშირი არ ყოფილა ქართული ენის ცოდნა (ის აფხაზი კაცი, ჩვენი ვარაუდით, დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო და ამიტომ უკვირდა საბას მისგან ქართულის კარგად ცოდნა), ვახუშტი ბატონიშვილი კი ოდნავ მოგვიანებით ხაზგასმით

აღნიშნავდა, რომ აფხაზმა წარჩინებულებმა ქართული კარგად იცოდნენ: „ენა საკუთარი თჳსი აქუსთ, არამედ უწყიან წარჩინებულთა ქართული“ (ვახუშტი, 1973, გვ. 786). ქართული ენა გამოიყენებოდა აგრეთვე მოქმედ ქრისტიანულ ტაძრებში ღვთისმსახურების ენად. რაც შეეხება ქართული დამწერლობის გამოყენებას აფხაზთა მიერ, საამისო უდავო ფაქტები მხოლოდ გვიანდელი შუა საუკუნეებიდანაა ცნობილი, როცა ასომთავრული დამწერლობით შესრულებულა სულ რამდენიმე წარწერა, რომლებშიც აფხაზთა გვარები იხსენიება;

17. მეგრულის ცოდნა უფრო ფართოდ იყო გავრცელებული აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აფხაზეთის მცხოვრებ აფხაზებში და ამას 3 მიზეზი განაპირობებდა:

ა. ამ აფხაზთა დიდი ნაწილი წარმომავლობით ქართველი, კერძოდ, მეგრელი იყო, რაზეც მათ ამჟამინდელ შთამომავალთა გვარსახელებიც მიუთითებს. მათ წინაპართაგან ჰქონდათ მემკვიდრეობად მიღებული მეგრულის ცოდნა;

ბ. მრავალ აფხაზურ ოჯახს მეგრულის ცოდნა სჭირდებოდა მეგრელი დედებისა, თუ ბებიების ნათესავებთან ჭირსა და ლხინში საურთიერთოდ;

გ. მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ახლომდებარე ქართული სოფლების მოსახლეობასთან საქმიანი კომუნიკაციის საჭიროება.

ვფიქრობთ, ყოველივე აღნიშნული იმის უფლებას გვაძლევს, რომ დავასკვნათ:

ახლანდელ აფხაზთა წინაპრების მიერ ისტორიულ-ავტოქთონური საცხოვრისის გამოცვლა ქრონოლოგიურად პირველი, ყველაზე ადრინდელი რადიკალური ეკოლოგიური გარდატეხა იყო აფსუურ-აბაზური ენის ისტორიაში, რამაც, მართალია, სერიოზული კვალი დაატყო ენის ეკოლოგიას - დაირღვა თავდაპირველად არსებული აფსუურ-აბაზური კონტინუუმის მთლიანობა, მაგრამ მისი ცალ-ცალკე დარჩენილი ორი ნაწილის (აფსუურისა და აბაზურის) არსებობისათვის რეალური საშიშროება ამას მაინც არ შეუქმნია.

XVI-XVIII საუკუნეებს შორის ახლანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე დამხვდური ქართული მოსახლეობა აფსუების მომრავლების გამო თანდათანობით უმცირესობაში აღმოჩნდა, აფსუურმა დასახლებებმა ინტენსიურად იმატა და XVIII საუკუნის მიწურულისათვის უწყვეტ ზოლად განივრცო მდინარეების ფსოუს, ბზიფისა და გუმისთის ხეობებიდან სამხრეთ აღმოსავლეთისაკენ. ასე შეიქმნა სრულიად ახალი უწყვეტი ენობრივ-ეთნიკური სივრცე, ხოლო გარდამავალ აფსუურ-ქართულ ზონად სხვადასხვა დროს სხვადასხვა

ტერიტორია გამოდიოდა. მაგალითად, მდინარე კოდორზე, ან მის ახლოს ასახელებენ სამეგრელო-აფხაზეთის საზღვრებს იტალიელი ემიდიო დორტელი დ'ასკოლი, თურქი მოგზაური ევლია ჩელები, რუსები ფედოტ ელჩინი და პაველ ზახარიევი და სხვანი. იტალიელი არქანჯელო ლამბერტი კი არაუგვიანეს 1639 წლისა ხაზგასმით წერდა, მდინარე კორაქსზე (კოდორზე) მეგრულ მეტყველებას ენაცვლება აფხაზურიო (გამახარია, გოგია, 1997, გვ. 256).

აფხაზურისა და მეგრულის გაერცელების საზღვარმა და გარდამავალმა ზონამ ნელ-ნელა უფრო სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩაინაცვლა. ამის შესახებ საყურადღებო ცნობა მოიპოვება გერმანელი მეცნიერის გეორგ როზენის გამოკვლევაში, რომელიც ავტორს ბერლინის მეცნიერებათა აკადემიაში წაუკითხავს 1844 წლის 24 ოქტომბერსა და 1845 წლის 6 თებერვალს, ხოლო ცალკე დაბეჭდილა 1846 წელს. ამ ნაშრომში გ. როზენი გვამცნობს: „ამჟამად ენობრივ საზღვარს აფხაზთა და მეგრელებს შორის ქმნის არა ენგური, როგორც ჩვეულებრივად ფიქრობენ, არამედ ერთი-წყალი (Erti-tzqali): ამ ორ მდინარეს შორის მდებარე სამურზაყანოში სალაპარაკო ენა მეგრულია, აფხაზურს მხოლოდ ურთიერთობისათვის სწავლობენ, მაგრამ ოჯახში არ ლაპარაკობენ“ (ჩიქობავა, 2018, გვ. 146; როზენი, 1846, გვ. 71, შენიშვნა 1. თარგმანი აკად. არნ. ჩიქობავასი).

აქ დასახელებული „სასაზღვრო“ მდინარე ერთიწყალი იგივეა, რაც ამჟამინდელი ერისწყალი (მეგრულად ერწყარი). ცნობიდან კი გარკვეეით ჩანს, რომ იმ დროს მდინარე ერისწყლის მარცხენა მხარეს მხოლოდ მეგრელები ცხოვრობდნენ და მათ ოჯახებში აფხაზური ენა არ გამოიყენებოდა. რაც მთავარია, არ არსებობს საფუძველი, რათა გ. როზენს არ ვერწმუნოთ, ვინაიდან იგი აფხაზეთში პირადად იმყოფებოდა და პროფესიული ინტერესის გამო აფხაზურისა და მეგრულის გავრცელების საკითხს საგანგებო ყურადღებას აქცევდა.

1880 წელს გამოცემულ პროფ. ალექსანდრე ცაგარლის ნაშრომში მითითებულია, რომ სამურზაყანოში არის თემები, სოფლები და დაბები, რომლებშიც ოჯახებისა და საზოგადოების სამეტყველო ერთეული მეგრულია, ხოლო მამაკაცთა შორის აფხაზური ენის ცოდნა საკმაოდ გავრცელებულია. ეს ადგილები მოიცავს ტერიტორიას მდინარე ენგურის მარჯვენა ნაპირიდან მდინარე ერისწყარამდე (იგივეა, რაც გ. როზენის მიერ დასახელებული ერთისწყალი). საყურადღებოა, რომ ა. ცაგარლის ცნობით, მდ. ერწყარიდან მდინარე ოხურეიმდე (მეგრ. ოხური) თემ-სოფლებში ოჯახებში გამოიყენებოდა მეგრული, მაგრამ საზოგადოებაში თანაბრად მეტყველებდნენ მეგრულად და აფხაზურად. აქ იშვიათი ყოფილა მეგრელი მამაკაცი, ვინც არ იცოდა აფხაზური, ან არ ესმოდა ეს ენა (ცაგარელი, 1880, გვ. VII-VIII). ამ უკანასკნელი ცნობის

შედარება გ. როზენის ზემოთ მოყვანილ ცნობასთან ცხადად გვიჩვენებს, რომ 1844-1880 წლებს შორის გასულ 36 წელიწადში აფხაზურ ენას საკმაოდ მძლავრად განუმტკიცებია პოზიცია ერწყარ-ოხურს შორის, ხოლო ოხურიდან მდინარე ღალიძგამდე იგი უკვე გაბატონებული ენა გამხდარა:

„მდინარეებს ოხურეისა და ღალიძგას შორის ([მეგრულად] ღალიძგა ნიშნავს მდინარის, ღელის ნაპირს) ბატონობს აფხაზური ენა. იგი არის არა მარტო საზოგადოების, არამედ ოჯახის ენა; აქ მეგრულად მოლაპარაკე ქალები და ბავშვები გამონაკლისს ქმნიან, ხოლო მამაკაცები თუ ყველანი არ ლაპარაკობენ აფხაზურად, თითქმის ყველას ესმის აფხაზური საუბარი. თუმცა გამონაკლისია სოფელი ილორი, სადაც ოჯახშიც და საზოგადოებაშიც ბატონობს მეგრული ენა. ის ადგილები, სადაც აფხაზური ენა ჭარბობს, არის: ტყვარჩელი, კვეზანი, ურთა, ფოქვეში, ენერი“ (ცაგარელი, 1880, გვ. VIII. რუსულიდან თარგმნილია ჩვენ მიერ - თ.გ.).

ამრიგად, XIX საუკუნეში ოხურ-ერწყარ-ღალიძგას შორის ჯერ კიდევ გრძელდებოდა სხვადასხვა ხარისხის ორენოვნების ჩამოყალიბების რთული პროცესი, რომლის დროსაც მეგრული სწრაფად კარგავდა გავრცელების ადრინდელ საზღვრებს და მის ადგილს აფხაზური ენა იკავებდა. თქმული სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მეგრულმა უბრძოლველად და სამუდამოდ დათმო პოზიციები: ღალიძგის მარჯვნივ, ახლანდელი ოჩამჩირის რაიონის ტერიტორიაზე Lingua franca-ს ფუნქციას მეგრული ასრულებდა და განსაკუთრებით აფხაზმა მამაკაცებმა მეგრული მასობრივად იცოდნენ მთელი XIX საუკუნის განმავლობაშიც და მერეც: პირადად ამ სტრიქონების ავტორს ძალიან ხშირად მოუსმენია ხანდაზმულ აფხაზ მამაკაცთა მეგრული მეტყველება აფხაზურ სოფლებში ექსპედიციებისას XX საუკუნის 70-80-იან წლებში.

რაც შეეხება აფხაზური ენის გავრცელების დასაელურ საზღვარს, იგი ფ. ტორნაუს ცნობით, XIX საუკუნის დასაწყისისათვის გადიოდა მდინარე ფსოუს იქით, მდინარეებს სოჭსა და ხოსტას (ხამიშს) შორის, სადაც მდებარეობდა აფხაზური და უბიხური ენების გავრცელების გარდამავალი ზოლი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმავე საუკუნეში უამრავ წყაროში გვხვდება მითითება, რომ არსებობდა დიდი და მცირე აფხაზეთი: დიდი აფხაზეთი მოიცავდა ტერიტორიას მდინარე ბზიფიდან ღალიძგამდე, ზოგჯერ ერწყარამდეც და რეალურად იმართებოდა აფხაზეთის მთავრის მიერ, ხოლო მცირე აფხაზეთი, ანუ ჯიქეთი არ ემორჩილებოდა მთავარს და მასში შედიოდა ტერიტორია მდინარე ბზიფიდან სოჭ-ხოსტის შუამდინარეთამდე.

დიდი აფხაზეთი თავის მხრივ იყოფოდა შემდეგ ნაწილებად:

1. ბზიფი (აფხაზურად ბზჟწა) - მდინარე ბზიფიდან მდინარე გუმისთამდე;
2. გუმა (აფხაზ. ჴგმა. შდრ. დიდი მდინარის სახელები ჩრდ. კავკასიაში, კერძოდ, ყარაჩაი-ჩერქეზეთში: აბაზური და ყაბარდოული ჴგმ, ყარაჩაულ-ბალყარული ყუმ, ჩეჩნურ-ინგუშური ღუმ[4]) - მდინარე გუმისთიდან მდინარე კოდორამდე;
3. აბჟუა (აფხაზ. აბჟუა „შუის, ცენტრის ადამიანი". ძველ ქართულ წყაროებში ამ მხარეს შუა სოფელი ერქვა) - კოდორ-ოხურის, ან კოდორ-ღალიძგის შუამდინარეთი;
4. სამურზაყანო (აფხაზ. სამგრზაყან - XVIII საუკუნის პირველ ნახევარში მცხოვრები მურზაყან ყვაპუს ძე შარვაშიძის სახელის მიხედვით) - მოიცავდა ოხურსა და ენგურს შორის არსებულ ტერიტორიას.

XIX საუკუნეში აფხაზეთის მთავარს არ ემორჩილებოდა და ცალკე მხარეებად სახელდებოდა შემდეგი თემები: აბჭიფსი (მდინარეებს ხოსტასა და ფსოუს შორის მდებარე მთებში), აიბგა (მდ. ფსოუს ზემო წელში), ფსაჰუ (მდ. ბზიფის ზემო ნელში), ნებელი (მდ. კოდორის შუა და ზემო წელში) და დალის ხეობა (მდ. კოდორის სათავეში).

მცირე აფხაზეთის მოსახლე აფხაზს აფხაზურ ენაზე ასაძუა (ზედმიწ. „საძ-ადამიანი") ერქვა, ქართულად - ჯიქი, რუსულად კი - джигет (შდრ. ქართული გეოგრაფიული სახელი ჯიქეთი).

1810 წლიდან 1864 წლამდე აფხაზეთის სამთავრო ფორმალურად ინარ-ჩუნებდა დამოუკიდებლობას და იყო რუსეთის „მფარველობის ქვეშ", მაგრამ რეალურად მის შინაურ საქმეებში უკვე უხეშად ერეოდა რუსეთის იმპერია. ამ პერიოდში აფხაზური ენა მასობრივად, უკვე უნყვეტი სახით იყო გავრცელებული მდინარე ფსოუდან მდინარე ღალიძგამდე. აღსანიშნავია ისიც, რომ, აკად. ს. ჯანაშიას ცნობით, აფხაზეთის მთავრის კანცელარია 1864 წლამდე, ანუ აფხაზეთის სამთავროს გაუქმებამდე და რუსეთის მიერ ოკუპირებამდე მუშაობდა უპირატესად ქართულ სამწიგნობრო ენაზე, თუმცა აუცილებლობის დროს გამოიყენებოდა თურქული ენაც, ხოლო აფხაზ თავად-აზნაურთა ოჯახებში შვილებს ზრდიდნენ ქართული წიგნების - „ქართლის ცხოვრების", „ვეფხისტყაოსნისა„ და სხვათა საფუძველზე (ჯანაშია, 1985, გვ. 34).

რუსეთის იმპერიის ხელისუფლება ჯერ კიდევ აფხაზეთის სამთავროს ოკუპაციამდე გეგმავდა ამ მხარის მოსახლეობის, უბიხთა, ჩერქეზთა და

4. მხარის სახელი (ქორონიმი) და სოფლის სახელი (ოიკონიმი) გუმა აშკარად ჩრდილოეთ კავკასიიდანაა გადმოტანილი აფხაზთა ნინაპრების მიერ. მისგანაა ნანარმოები ჰიდრონიმი გუმისთა (გიჟმ-ს-თა „გუმას ხეობა").

სხვა კავკასიელ ხალხთა ასიმილაციას. მაგალითად, 1835 წლამდე შედგენილ იმპერატორ ეკატერინა II-ის ბოლო ფავორიტის, შავი ზღვის ფლოტის სარდლისა და კაზაკთა ჯარის მთავარსარდლის, პლატონ ზუბოვის გეგმა გულისხმობდა შემდეგ ღონისძიებათა განხორციელებას:

1. აფხაზთა და სხვა კავკასიელ ხალხთა შორის უნდა დანერგილიყო ქრისტიანობა;
2. მთიელები უნდა ჩამოესახლებინათ ბარში, მთავარი გზებისაგან მოშორებით;
3. ყველა მნიშვნელოვან ახალშენში უნდა აგებულიყო დიდებული ქრისტიანული ტაძრები და მათთან უნდა დაარსებულიყო სკოლები რუსული ენის სასწავლებლად;
4. თავიდან ეკლესიებში ღვთისმსახურება უნდა წარმართულიყო ადგილობრივ ენებზე, მერე კი საქმე ისე უნდა წარმართულიყო, რომ მთიელებს თანდათან დაევიწყებინათ დედაენა და გადასულიყვნენ რუსულ ენაზე (გამახარია, გოგია, 1997, გვ. 308-309).

პ. ზუბოვის ამ გეგმის ცალკეული პუნქტები იმპერიამ მოგვიანებით განახორციელა:

- კავკასიაში გააქტიურდა XVIII საუკუნეში დაარსებული „ოსეთის კომისიის“ მემკვიდრე „მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საზოგა-დოების“ მისიონერული საქმიანობა (ქვემოთ ამ საზოგადოებას შემოკლებით მოვიხსენიებთ ასე: მქასი);
- ეკლესიებთან გაიხსნა სამრევლო სკოლები;
- მთიელ კავკასიელთა ნაწილი მთებიდან ბარში ჩაასახლეს, მეორე ნაწილი კი მასობრივად განდევნეს კავკასიიდან-ოსმალეთის იმპერიაში, რაც მუჰაჯირობის სახელითაა ცნობილი;
- ტაძრებში ღვთისმსახურება ჯერ მართლაც ზოგი ხალხის (აფხაზების, ოსების...) ენებზე წარმართეს, მაგრამ მალე აკრძალეს ამ ენების გამოყენება და წირვა-ლოცვა ძველსლავურ ენაზე გადაიყვანეს.

იმპერიას ვითომდა დამოუკიდებელ აფხაზეთში ჩაყენებული ჰყავდა ჯარის ნაწილები (სოხუმ-ყალეში, გაგრაში, ბიჭვინთაში, ბამბორაში, წებელში, დრანდაში, ილორში) და პერმანენტულად უხეშად ცვლიდა ეთნიკურ-დემოგრაფიულ და ენობრივ ვითარებას: 1821, 1824, 1835, 1837 წლებში რუსულმა ჯარმა ზარბაზნებით დაანგრია სოფლები აფხაზეთის სხვადასხვა მხარეში, ხოლო როცა 1840 წელს აჯანყდნენ დალის ხეობისა და წებელის მოსახლე აფხაზები, 1841 წლის იანვარში რუსულმა ჯარმა პოლკოვნიკ ნ. მურავიოვის მეთაურობით აფხაზურ მილიციასთან ერთად (იმ დროს მილიცია ერქვა მოხალისეთა ლაშქარს

- თ.გ.) სასტიკად ჩაახშო მღელვარება, მოსახლეობის ნაწილი დახოცა, 600 ოჯახი კი განდევნა და მათი სოფლები გაანადგურა (გამახარია, გოგია, 1997, გვ. 318).

ამავე პერიოდში რუსეთის ხელისუფლების ნარმომადგენლები დაუფარავად წერდნენ, რომ იმპერიის უმთავრესი მიზანი აფხაზეთის დაპყრობა იყო. მაგალითად, 1858 წლის 12 აგვისტოს გენერალი მ. ლორის-მელიქოვი ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს თავის პატაკში მოახსენებდა, რომ კავკასიონზე გზის გაყვანა მომავალში გააადვილებდა აფხაზეთის დაპყრობას (გამახარია-გოგია, 1997, გვ. 324-325).

იმპერია აქტიურად ცდილობდა, დაყავი და იბატონე-ს პრინციპით დაეხლიჩა აფხაზი ხალხი და დაეპირისპირებინა მისი სუბეთნიკური ნაწილები. მაგალითად, მხარეში განლაგებული რუსული ჯარის სარდალი, გენერალ-მაიორი ყორღანოვი 1860 წლის 15 აგვისტოს სთავაზობდა კავკასიის არმიის შტაბის უფროსს, გენერალ-ადიუტანტ ა. მილიუტინს, დავუპირისპიროთ აფხაზეთი [იგულისხმება აფხაზეთის ბარის ნაწილი - თ.გ.] და ნებელდა სხვა აფხაზურ, უბიხურ და ჩერქეზულ ტომებსო (გამახარია, გოგია, 1997, გვ. 326-327).

მას შემდეგ, რაც 1859 წელს დასრულდა რუსეთისაგან თავდასაცავი დაღესტან-ჩეჩნეთის ომი და გამოიკვეთა ჩერქეზეთ-უბიხეთის დაპყრობის რეალური კონტურები, იმპერიამ დაიწყო კონკრეტული გეგმების შედგენა აფხაზეთის სამთავროს გაუქმებისა და ოკუპირებისათვის. აფხაზეთის ოკუპაციამდე ორი თვით ადრე, 1864 წლის 27 მარტს ამ გეგმის ბოლო ვარიანტი შეადგინა რუსეთის საიმპერატორო სახლის წარმომადგენელმა, კავკასიის მეფისნაცვალმა მიხაილ რომანოვმა. იგი წერდა, რომ აფხაზეთის იმჟამინდელ მთავარ მიხეილ შარვაშიძის დატოვება მმართველად რუსეთისათვის ზღვის მხრიდან საშიშროების წარმოქმნის დროს იქნებოდა მავნე (вредно), ვინაიდან მტერი აფხაზეთს გამოიყენებდა პლაცდარმად სამხრეთ კავკასიაში შემოსაჭრელად. მეფისნაცვალი იქვე ჩამოთვლიდა იმ აქციებს, რაც უნდა განხორციელებულიყო აფხაზეთში მის საბოლოოდ დაპყრობამდეც და დაპყრობის მერეც. ამ აქციათაგან ზოგი ენობრივი ვითარების ცვლასაც გულისხმობდა:

- იმპერატორთან უკვე შეთანხმებული იყო ჩერქეზებისა და უბიხების დამარცხებისთანავე კაზაკთა დასახლებების ჯაჭვის შექმნა შავი ზღვის ნაპირზე მდინარე ყუბანის შესართავიდან მდინარე ბზიფამდე;
- იძულებული უნდა გაეხადათ აფხაზეთის მთავარი და მისი მემკვიდრე, უარი ეთქვათ მხარის მართვაზე. მათ სარჩენად უნდა გამოყოფილიყო გარკვეული თანხა;
- აფხაზეთი უნდა გამხდარიყო სამხედრო ოლქი, რომელსაც ეყოლებოდა სამხედრო მმართველი;

- თუ თავისუფალი მიწები საკმარისი იქნებოდა, ზღვის ნაპირზე მდინარე ენგურამდე უნდა შექმნილიყო კაზაკთა დასახლებები, რომლებიც მდინარე ბზიფის ხეობაში ჩასახლებულ კაზაკებთან ერთად შექმნიდნენ **აფხაზეთის კაზაკთა ჯარს;**
- ყუბანისა და აფხაზეთის ჯარებს შორის უნდა დაწესებულიყო გამყოფი მიჯნა გაგრის ვინრობთან, რომელიც ერთმანეთს დააცილებდა აფხაზეთის ძირითად ნაწილსა და ჯიქეთს (გამახარია, გოგია, 1997, გვ. 329-333).

ეს გეგმა რეალურად აფხაზეთის დახლეჩისა და ნაწილ-ნაწილ გარუსების საფუძველი უნდა გამხდარიყო. კაზაკთა დასახლებები რეალურად 3 ნაწილად გაყოფდა მხარეს:

- ენგურიდან ბზიფამდე მდებარე ნაწილი, ანუ ახლანდელი გალის, ოჩამჩირის, გულრიფშის, სოხუმისა და გუდაუთის რაიონები ცალკე დარჩებოდა;
- ბზიფის ხეობა რუსი კაზაკებით დასახლდებოდა და
- ჯიქეთი, ანუ ახლანდელი გაგრის რაიონი ასევე ცალკე გამოიყოფოდა.

ადგილობრივი მოსახლეობის დანაწევრება დასახელებულ სამ ზონად და კაზაკებთან მოსალოდნელი შერეული ქორწინებები დააჩქარებდა აქაურ აფხაზთა და ქართველთა დედაენების გაქრობას და მასობრივ გარუსებას.

1864 წლის 21 მაისს მარცხით დამთავრდა ჩერქეზებისა და უბიხების ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის და დაიწყო სრულიად ახალი და ყველაზე ტრაგიკული ეტაპი აფხაზეთის ისტორიაში: აფხაზი ხალხის სამი მასობრივი დეპორტაცია, ანუ მუჰაჯირობა და დარჩენილ აფხაზთა მიმართ მადენაციონალიზებელი აგრესიული ენობრივი პოლიტიკის განხორციელება. ამ საკითხებზე მომდევნო თავში ვიმსჯელებთ.

თავი II

აფხაზთა მასობრივი დეპორტაციები და „დამნაშავე ხალხის“ სტატუსი ეკოლინგვისტურ და სოციოლინგვისტურ ჭრილში

1864 წლის 21 მაისს უბიხების, ჩერქეზებისა და ამჟამინდელი გაგრის რაიონის ტერიტორიაზე მოსახლე აფხაზთა ოთხი ჯგუფის (ჯიქეთის, აიბგას, აჰჭიფსისა და ფსჰუს აფხაზთა) ბრძოლის მარცხით დასრულებისთანავე იმპერიამ დამარცხებულთ მაშინვე მოსთხოვა აყრა და დედაბუდიანად ოსმალეთში გადასახლება, მაგრამ მათმა ნაწილმა კვლავ იარაღი აიღო ხელთ. ამ დაუმორჩილებელ ჯგუფებს მალე მოუხდათ დანებება, ისინი ჩაიყვანეს ზღვის სანაპიროზე და განდევნეს ოსმალეთში, ხოლო მათი სოფლები გადაწვეს და გაამზადეს რუსი კოლონისტების დასასახლებლად. ამ აქციის დროს ოსმალეთში გასახლებულ იქნა თითქმის 20 000 ჯიქი, აიბგელი, აჰჭიფსელი და ფსჰუელი. ეს იყო უმნიშვნელოვანესი ეთნიკურ-დემოგრაფიულ-ლინგვისტური შინაარსის ეკოლოგიური კატასტროფა, რითაც დაიწყო რუსეთის მიერ განხორციელებული კატასტროფების სერია აფხაზეთში.

ამ ბარბაროსული ოპერაციის შედეგად სამუდამოდ გაქრა აფხაზეთის ლინგვისტური რუკიდან აფხაზური ენის ჯიქური (საძური), აიბგური, აჰჭიფსური და ფსჰუური მიკროსამეტყველო ვარიანტები. ოთხივე ჯგუფის წარმომადგენლები ოსმალეთის იმპერიამ დაფანტულად დაასახლა სრულიად უცხო ეკოლოგიურ გარემოში, საკუთრივ თურქეთის ვრცელ ტერიტორიასა და იმ დროს აზიის, ევროპისა და აფრიკის კონტინენტებზე გადაჭიმულ ქვეყნებში, სადაც ცხოვრობდნენ თურქულენოვანი, არაბულენოვანი და სამხრეთსლავური ჯგუფის ენებზე მოლაპარაკე ხალხები, რომლებსაც აფხაზთაგან ძალზე განსხვავებული ეთნოფსიქიკა, საკუთარი მსოფლხედვა და ტრადიციები ჰქონდათ. ამჟამად ამ ოთხი აფხაზური ტომის წარმომადგენლების უმრავლესობამ აღარ იცის დედაენა, ნაწილი გათურქდა, ნაწილი გაარაბდა, მესამე ნაწილმა ენა დაკარგა, მაგრამ ეთნიკური იდენტობა დღემდე შეინარჩუნეს, თუმცა ისიც უკვე გაქრობის სტადიაზეა.

ამ აფხაზური ტომების სამეტყველო მიკროვარიანტებს აწ განსვენებული ენათმეცნიერი ემა კილბა აფხაზური ენის ერთ დამოუკიდებელ საძების (ჯიქების) დიალექტად მიიჩნევდა. მისი ვარაუდით, ამ დიალექტისაგან მომდინარეობენ ამჟამად აფხაზეთის გარეთ მცხოვრებ აფხაზთა შემდეგი ჯგუფების მეტყველებანი:

- საძური დიალექტი თურქეთში;
- აიბგელთა, აჰჭიფსელთა, და ფსჰუელთა მეტყველება თურქეთში;
- სირიაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველება;
- ბათუმელ აფხაზთა ნაწილის, კერძოდ, სოფელ ფერიის მეტყველება.

ამავე დიალექტის ნაწილად მიიჩნევდა მკვლევარი აბაზური ენის აშხარულ დიალექტსაც (ვრცლად იხ. ავტორის ორი სტატია, რომლებიც განთავსებულია ინტერნეტში: http://apsnyteka.org/1218-kilba_statji.html). პირადად ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ საყურადღებო თვალსაზრისს ასუსტებს აშხარული დიალექტის საფუძვლად საძური კილოს მიჩნევა. ავტორს საკმარისად არ წარმოუდგენია საამისო არგუმენტები. მაგალითად, არაფერია ნათქვამი იმ სერიოზულ სხვაობაზე საძურსა და აშხარულს შორის, რაც შეინიშნება სისინ-შიშინა აფრიკატთა და სპეციფიკურ სპირანტთა ქონა-უქონლობის მხრივ: საძურში ცხრავე ეს ფონემა არსებობს, აშხარულში კი არცერთი არ არის. ამ სხვაობის დამაჯერებლად ახსნა ავტორის მოსაზრებას გაამყარებდა.

მივუბრუნდეთ მუჰაჯირობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

აფხაზი ხალხი რუსეთის ხელისუფლების მიერ მიიჩნეოდა არასანდო მოსახლეობად ჯერ კიდევ აფხაზეთის სამთავროს გაუქმებამდე და ოკუპირებამდე. მიზეზი ის იყო, რომ მცირე აფხაზეთისა და წებელ-დალის აფხაზობა ენინააღმდეგებოდა დამპყრობლებს, ხოლო აჰჭიფსის, აიბგას, ფსჰუსა და ჯიქეთის აფხაზებმა ბოლომდე იბრძოლეს იარაღით და რუსეთ-კავკასიის ხანგრძლივი ომის ბოლო აკორდი აჰჭიფსში არსებული გუბაადუს რუსების მიერ აღება გახდა. სწორედ აქ გაიმართა 1864 წლის 21 მაისს გამარჯვების აღსანიშნავი რუსული სამხედრო ნაწილების აღლუმი (ამჟამად ეს ადგილი რუსეთის საზღვრებშია, მდებარეობს ქალაქ სოჭის ახლოს და მას კრასნაია პოლიანა ეწოდება). ბუნებრივია, აფხაზეთის დაპყრობას აფხაზი ხალხი კმაყოფილებით ვერ აღიქვამდა, თუმცა მის უმრავლესობას იარაღი არ აუღია ხელთ, მაგრამ შინაგანმა უკმაყოფილებამ უცებ იფეთქა 1866 წელს, როცა სოფელ ლიხნში ბზიფელ აფხაზებთან რუსული ხელისუფლების წარმომადგენლების შეხვედრის დროს სტუმრებმა შეურაცხყვეს მასპინძელთა ღირსება. აფხაზებმა დახოცეს რუსები და დაიწყეს აჯანყება, რომელიც სწრაფად მოედო აფხაზეთის ტერიტორიის დიდ ნაწილს, მაგრამ იმპერიის სამხედრო ძალებმა სწრაფად ჩაახშეს იგი. რუსულმა ხელისუფლებამ სათავისოდ გამოიყენა ეს ჯანყი და შეუდგა მეფისნაცვალ მ. რომანოვის, გენერალ დ. სვიატოპოლკ-მირსკისა და გენერალ დ. სტაროსელსკის მიერ შედგენილი იმ გეგმის განხორციელებას, რომელიც გულისხმობდა *აფხაზეთიდან აფხაზთა განდევნას და მათ ნასახლარზე კაზაკური დასახლებების ჯაჭვის შექმნას ზღვის გასწვრივ და მდინარე ბზიფის ხეობაში*. რუსი მოხელეები სოფელ-სოფელ

დადიოდნენ და აიძულებდნენ აფხაზ მოსახლეობას, ჩაწერილიყვნენ ოსმალეთის იმპერიაში გადასახლების მსურველთა სიებში (რა თქმა უნდა, ოსმალეთის იმპერიის ხელისუფლებასთან წინასწარი შეთანხმების გარეშე ათასობით აფხაზი ვერ წავიდოდა და ვერ დასახლდებოდა თურქეთში). აქცენტი გაკეთდა დასავლეთ ნაწილში ჯიქეთსა და ბზიფზე, ხოლო ცენტრალურ ნაწილში - გუმაზე, წებელსა და დალზე, რაც კარგად ჩანს საგანგებოდ შედგენილი სიებიდან (ვრცლად იხ.: ხორავა, 2004).

1867 წელს აფხაზეთიდან ათასობით აფხაზის მასობრივი განდევნა იყო ანტიჰუმანური აქტი, რომელმაც სერიოზულად შეარყია აფხაზი ხალხის მთლიანობა და სახიფათო ბზარი გაუჩინა მათ ეთნიკურ და ენობრივ იდენტობას. ამ აქციის შედეგად აფხაზთა კოლექტიურ თვითშეგნებას მძიმე ტრავმა მიადგა და ეთნოსი მასობრივმა უიმედობამ მოიცვა, რადგან მათ ახსოვდათ, რომ სამი წლით ადრე, 1864 წელს რუსეთის ხელისუფლებამ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიიდან ჩერქეზ-უბიხთა უმრავლესობისა და აფხაზთა ნაწილის მასობრივი გაძევების დროს არავითარი სიბრალული არ გამოიჩინა სრულიად უდანაშაულო ქალების, ბავშვებისა და მოხუცების მიმართაც კი, გადაწვა ათასობით სოფელი, ყანები, ხილის ბაღები, ნაართვა პირუტყვი, ჩაყარა უმწეო ადამიანები გემებში და გაუშვა სხვის ქვეყანაში.

ლიხნის აჯანყების მარცხის მერე, 1867 წლის აპრილ-ივნისში აფხაზეთიდან ოსმალეთში გააძევეს 20 000 აფხაზი, რის გამოც თითქმის სრულად გაუკაცრიელდა დალი და წებელი, მნიშვნელოვნად შემცირდა მოსახლეობა ჯიქეთში, ბზიფში, გუმაში, ნაწილობრივ აბჟუაში. მუჰაჯირები ოსმალეთის ხელისუფლებამ დაფანტულად ჩაასახლა უზარმაზარი იმპერიის ევროპულ, აზიურ და აფრიკულ ნაწილებში. ამის გამო სხვა ეთნოსთა ოკეანეში ჩაკარგული აფხაზური მცირე კუნძულები განნირული იყო დენაციონალიზებისა და დედაენის დასაკარგად.

ამ ეკოლოგიური კატასტროფის შედეგად სერიოზულად შეიცვალა აფხაზეთის ეთნიკური და ენობრივი ვითარება:

- გაჩნდა მოსახლეობისაგან დაცლილი ორი „შავი ხვრელი" დალსა და წებელში;
- განყდა აფხაზური ენის გავრცელების უწყვეტი ჯაჭვი მდინარე ხოსტადან მდინარე ოხურამდე;
- ბუნებრივი გარემოდან მთლიანად ამოვარდა დალისა და წებელის სამეტყველო მიკროვარიანტები, რომლებიც ერთმანეთისაგან მოწყვეტით მცირე ნერტილებად გადაინერგა სხვა იმპერიის უზარმაზარ ტერიტორიაზე;
- აფხაზ მუჰაჯირებს შეექმნათ რეალური საფრთხე იმისა, რომ ოსმალეთის მრავალმილიონიან ხალხთა ენების: თურქულის, არაბულის,

ასირიულის, ბულგარულის, სერბულ-ხორვატულის[5] გარემოში ადრე, თუ გვიან აუცილებლად დაკარგავდნენ ჯერ დედაენას, მერე კი ეთნიკურ იდენტობას;

- მუჰაჯირთა თავიდან მოცილების მერე რუსეთის ხელისუფლებამ დაიწყო რუსი და სხვა ეროვნების კოლონისტების დასახლება აფხაზთაგან დაცლილ ნასოფლარებში, რამაც აფხაზეთში შეცვალა ეთნიკური და ენობრივი ვითარება და წარმოქმნა მულტილინგვიზმის საფუძვლები;
- ახლადწარმოქმნილმა მულტილინგვიზმმა რუსული ენა გადააქცია სხვადასხვა ეროვნების პირთა შორის კომუნიკაციის ენად და რეალური საფრთხე შეუქმნა აფხაზური ენის ბუნებრივ მთლიანობასაც და მის მომავალსაც.


ამ პროცესებმა კიდევ უფრო მძაფრი და დაბევრად მასშტაბური ხასიათი მიიღო 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში რუსეთის გამარჯვების შემდეგ. ომის საწყის ეტაპზე ოსმალეთმა სამხედრო დესანტი გადმოსხა აფხაზეთში. თურქებმა მოიპოვეს უპირატესობა, რუსული ჯარი კი გაიქცა აფხაზეთიდან და აფხაზები შეატოვა ოსმალებს. საბოლოოდ, როგორც ითქვა, რუსეთმა გაიმარჯვა, ხოლო ოსმალები დაბრუნდნენ სამშობლოში, წასვლისას მათ ძალდატანებით გაიყოლეს აფხაზთა საკმაოდ დიდი ნაწილიც. რუსულმა ხელისუფლებამ ღალატი დასწამა თითქმის მთელ აფხაზ მოსახლეობას (ღალიძგა-ოხურს შორის მცხოვრებთა გამოკლებით) და კატეგორიულად მოსთხოვა ოსმალეთში გადასახლება.

აფხაზთა ეს მესამე მუჰაჯირობა პრაქტიკულად იქცა ყველაზე გამანადგურებელ კატასტროფად აფხაზი ხალხის ისტორიაში:

1878-1880 წლებში აფხაზებისაგან მთლიანად დაიცალა 1867 წელს გაუკაცრიელებულ მიწებთან შედარებით ბევრად მეტი დასახლებული პუნქტი ზღვისპირა ზოლში, მთისწინეთში, მხარის ცენტრალურ ნაწილში.

თუკი მეორე მუჰაჯირობის დროს, 1867 წელს აფხაზეთში წარმოიქმნა მოსახლეობისაგან თითქმის სრულად დაცლილი ორი მცირე „შავი ხვრელი“, მაგრამ აფხაზთა განსახლების ტერიტორიის უმეტესი ნაწილი მაინც ხელშეუხებლად გადარჩა, ამჯერად აფხაზეთში გაჩნდა ერთმანეთს გეოგრაფიულად დაცილებული აფხაზური მოსახლეობის ორი რეზერვაცია: ბზიფისა და აბჟუისა. ამ რეზერვაციებს შორის დარჩა ვრცელი გაუკაცრიელებული ზოლი მდინარე კოდორიდან მდინარე ააფსთამდე, რომელთა შორის მანძილი 60 კილომეტრამდეა.

5. ბულგარეთსა და სერბეთში ჩასახლებული აფხაზი მუჰაჯირები თურქებმა გამოიყენეს ბულგარელებისა და სერბების წინააღმდეგ სადამსჯელო ოპერაციების დროს, რის გამოც მუჰაჯირებს მალე მოუხდათ ამ ორი ქვეყნიდან გადასახლება.



ჩვენ ვეთანხმებით მკვლევარ თემურ აჩუგბას შემდეგ დასკვნაში (თარგმნილია ჩვენ მიერ - თ.გ.):

„რა უცნაურიც უნდა იყოს, მთიელთა დეპორტაციის ყველა შემთხვევაში ცხადად ჩანს ტრადიციულად მტრული სახელმწიფოების - რუსეთისა და თურქეთის თანამშრომლობა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ოფიციალური, ან არაოფიციალური გარიგების გზით ამ იმპერიებმა გაიყვეს აფხაზეთის ტერიტორია და მოსახლეობა. რუსეთს რჩებოდა განდევნილთა მიწა, ხოლო თურქეთს - დეპორტირებული მოსახლეობა. თუ მეფის რუსეთი კავკასიის ავტოქთონთა გასახლებით წყვეტდა მხარის კოლონიზაციასთან დაკავშირებულ პრობლემას, სულთნის თურქეთს აფხაზეთიდან და კავკასიის სხვა რეგიონებიდან დევნილები სჭირდებოდა „საზარბაზნე ხორცად“... კავკასიის მკვიდრი მოსახლეობის თავიდან მოშორების მიზნით რუსეთის მთავრობა თურქეთის ხელისუფლებასთან საგარეო საქმეთა სამინისტროს, ელჩებისა და კონსულების დონეზე ატარებდა მოსამზადებელ სამუშაოებს ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე კავკასიელ დევნილთა მისაღებად. ამ მიზნით მეფის თვითმპყრობელობა გამოყოფდა გემებს, კავკასიის შავიზღვისპირა ნავსადგურებში აწყობდა გადასახლებულთა პუნქტებს (მაგალითად, 1864 წლის [ჩერქეზ-უბიხთა და ჯიქების] გადასახლების დროს ასეთი პუნქტები მოქმედებდა ანაპაში, ნოვოროსიისკში, ტუაფსეში, სოჭში, ხოსტაში, ადლერში), დეპორტირებულთათვის გამოყოფდა ფულს და ა.შ. მაგრამ ამგვარი ღონისძიებები მასობრივი დახოცვისაგან არ იცავდა სრულიად უდანაშაულო ადამიანებს, განსაკუთრებით ბავშვებს, ქალებსა და მოხუცებს. მსხვერპლი

კოლოსალური იყო. მთიელთა უმრავლესობა იღუპებოდა როგორც გასახლების წინ, ისე გზაში და ახალი დასახლების ადგილებშიც. დეპორტირებულნი იხოცებოდნენ ძალადობისაგან, შიმშილისაგან, სიცივისა და ეპიდემიებისაგან“ (აჩუგბა, 2010, გვ. 108).

წყაროებში სახელდება მესამე მუჰაჯირობაში მონაწილე, გზაში და თურქეთში ჩასვლის მერე დაღუპულ აფხაზთა ურთიერთგამომრიცხავი რაოდენობა, მაგრამ ერთი რამ ცხადია: რაკი მოსახლეობისაგან სრულად დაიცალა აფხაზეთის ტერიტორიის არანაკლებ ორი მესამედი, მუჰაჯირთა რაოდენობაც ძალიან დიდია სავარაუდო და მსხვერპლისაც. ვვარაუდობთ, რომ მუჰაჯირად უნდა წასულიყო არანაკლებ 50 000 კაცი მაინც, ხოლო დაიღუპა 25 ათასი ბავშვი, ქალი, მოხუცი და ჯანსაღი მამაკაცი. ეს იმდენად დიდი რაოდენობაა, რომ უყოყმანოდ შეიძლება განვაცხადოთ:

რუსეთისა და თურქეთის გარიგებას შედეგად მოჰყვა აფხაზი ხალხის ნამდვილი გენოციდი, ამ ხალხის სასიცოცხლო ძალის განახევრება და ენობრივი კატასტროფა. რეალურად ეს იყო კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაული.

სამწუხაროდ, ამ ორ სახელმწიფოს დღემდე არ უღიარებია ეს დანაშაული და არც ბოდიში მოუხდიათ აფხაზი ხალხისათვის.

მესამე მუჰაჯირობის დროს ოსმალეთში მთლიანად წავიდნენ ჯიქები, აჰჭიფსის, აიბგას, ფსჰუს, გუმას, ნებელის, დალის მოსახლეობა, აგრეთვე ბზიფელთა და აბჟუელთა დიდი ნაწილი. პირველ და მეორე მუჰაჯირობის დროს წასულთა მსგავსად ისინიც გაფანტულად დაასახლეს ოსმალეთის იმპერიაში. აფხაზი მუჰაჯირების ძველმა და ახალმა ნაწილებმა შეძლეს იქ მონოეთნიკურ-მონოლინგვური სოფლების დაარსება, რომლებსაც თავიანთი მშობლიური სოფლების სახელები დაარქვეს[6]. მაგრამ უფრო ხშირი იყო შემთხვევები, როცა ოსმალეთში კავკასიელ მუჰაჯირებს ასახლებდნენ სხვა ეთნოსების წარმომადგენლებით დასახლებულ სოფლებში. ასე გაჩნდა ერთზე მეტი ეთნიკური ელემენტისაგან შედგენილი ნარევი სოფლები: აფხაზურ-თურქული, აფხაზურ-ჩერქეზული, აფხაზურ-უბიხური, აფხაზურ-ქართული, აფხაზურ-არაბული და სხვ.

6. ამ ტოპონიმებს დიდხანს არ უარსებია: XX საუკუნეში თურქიზაციის მძლავრი ტალღის ამოქმედების დროს არათურქული სახელის მქონე მრავალსაუკუნოვან და სრულიად ახალ სოფლებს მასობრივად შეუცვალეს სახელი და მათ ნაცვლად თურქულენოვანი ტოპონიმები დააკანონეს. მკვლევარ პარუნ თუნჩელის ცნობით, 1922 წლიდან თურქეთში სახელები შეუცვალეს 12 000 სოფელსა და ქალაქს, ანუ დასახლებულ პუნქტთა 35%-ს (მელქონიანი, 2009), რომლებსაც არაბული, ქურთული, ასირიული, ქართული, სომხური, ბერძნული, აფხაზური, ჩერქეზული სახელები ერქვა. უკვე შეცვლილი აფხაზური სახელები დღეს მაინც იცის ამ სოფლების მოსახლეობამ, მაგრამ მათ ოფიციალურად ვერ იყენებენ.

რაც შეეხება მუჰაჯირთა მესამედ განდევნის შემდგომ აფხაზეთში დარჩენილ გაუკაცრიელებულ ვრცელ ტერიტორიას, მის ასათვისებლად რუს მაღალჩინოსნებს, გენერლებსა და ოფიცრებს, სამსახურმოხდილ ჯარისკაცებს, მემამულეებს (მათ შორის ზოგ აფხაზ თავადსაც), ვაჭრებსა და სხვებს, სახელმწიფო უფასოდ, ან სიმბოლურ ფასად ურიგებდა მიწის დიდ ნაკვეთებს. რუსეთისა და უკრაინის გუბერნიებიდან კოლექტიურად მოჰყავდათ რუსი და უკრაინელი გლეხები, ოსმალეთიდან ჩამოჰყავდათ სომხები და ბერძნები, სხვა ქვეყნებიდან კი - გერმანელები, ბულგარელები, ესტონელები, მოლდოველები. კოლონისტებს დაუწესდათ მნიშვნელოვანი შეღავათები.

პირველი კოლონისტების სოფლები დაარსდა მცირე აფხაზეთში: პერვინკა „პირველი, პირმშო" დაერქვა 1868 წელს თურქეთიდან მოყვანილი 20 ბერძნული ოჯახით დასახლებულ სოფელს, მოლდავანკა „მოლდოველი" იყო 1869 წელს ბესარაბიიდან მოყვანილ მოლდოველთა სოფელი, ვისოკაია „მაღალი" - იმავე წელს სამხრეთ უკრაინიდან, კერძოდ, ხერსონიდან ჩამოსახლებულ უკრაინელთა სოფელი, მოლდოველების სოფლები იყო ასევე ვესიოლოე „მხიარული, სამხიარულო" და გენერალ დმიტრი პილენკოს გვარის მიხედვით მონათლული სოფელი პილენკოვო (აჩუგბა, 2010, გვ. 115).

მომდევნო წლებში კოლონისტთა რაოდენობამ იმატა, ხოლო 1880 წლის მერე *კოლონისტთა სოფლების საერთო რაოდენობა თითქმის უტოლდებოდა მხარეში დარჩენილ აფხაზურ სოფელთა რაოდენობას*. ამ და სხვა მიზეზების გამო რადიკალურად შეიცვალა აფხაზეთის ენობრივი ვითარება აფხაზური ენის საზიანოდ: იგი უკვე აღარ იყო აღარც მოსახლეობის უმრავლესობის ენა და არც ინტერეთნიკური კომუნიკაციის ენა.

ანტიაფხაზურ პოლიტიკაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რუსეთის ხელისუფლების მიერ აფხაზი ხალხისათვის დამნაშავე ხალხის სტატუსის ოფიციალურად მინიჭებამ.

აფხაზეთში ეთნიკურ-დემოგრაფიული და ენობრივი ვითარების დაგეგმვისა და განხორციელების შესახებ 2018 წელს საყურადღებო საარქივო დოკუმენტები გამოსცეს პროფ. გიორგი ანჩაბაძემ, მარინა ფაღავამ და ია თუთაშვილმა. საკელევ საკითხზე მოგვყავს მნიშვნელოვანი მონაცემები ამ საბუთებიდან:

სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსს, გენერალ-მაიორ ვასილი გეიმანს 1868 წლის 22 თებერვალს კავკასიის სამთო სამმართველოს უფროსისათვის საგანგებო წერილი გაუგზავნია თურქეთში წასულთა მიწების განკარგვის საკითხზე. ავტორი ადრესატს აცნობებს, რომ „მის იმპერატორობით უმაღლესობას", კავკასიის არმიის მთავარსარდალს მიხაილ რომანოვს 1867 წლის 18 აპრილს გაუცია ბრძანება (N 559), რომლითაც თურქეთში მიმავალი

აფხაზებისა და ნებელელებისათვის (sic!) აუკრძალავს კუთვნილი მიწების გაყიდვა და სხვა გზით გასხვისება, რათა ყველა მიწის ნაკვეთი გადასულიყო სახელმწიფო ხაზინის განკარგულებაში (ანჩაბაძე, 2018, გვ. 54). ამ ბრძანების მიზანი ცხადია: ხელისუფლება აპირებდა შეექმნა მიწის დიდი ფონდი, რომელსაც გამოიყენებდა აფხაზეთში ხელისუფლებისათვის სანდო პირებზე განთავისუფლებული მიწების გადასაცემად და ამ გზით არსებული ეთნიკური ვითარების შესაცვლელად, ეს კი, ბუნებრივია, გავლენას მოახდენდა ენობრივ ვითარებაზეც. ეს ასეც მოხდა აფხაზთა პირველი და მეორე მუჰაჯირობის შემდეგ, მაგრამ იმჯერად კოლონისტები აფხაზეთში ჩაასახლეს შედარებით მცირე რაოდენობით. სამაგიეროდ, როგორც უკვე ითქვა, ბევრად უფრო მასშტაბური იყო მესამე მუჰაჯირობაც და ახალ კოლონისტთა რაოდენობაც. საამისოდ ხელისუფლება საგანგებოდ ემზადებოდა.

იმავე მიხაილ რომანოვისადმი 1878 წლის 24 აპრილს კავკასიის სამხედრო ოლქის სოხუმის განყოფილების უფროსის, გვარდიის პოლკოვნიკ პ. არაკინის პატაკისათვის დართულ ვრცელ წერილში აღწერილია ომის მერე აფხაზეთში შექმნილი მდგომარეობა და დასახელებულია ზოგი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტის გზები. აქ მოგვყავს ამ ტექსტის მხოლოდ იმ ნაწილთა დებულებები, რომლებიც ეხება ჩვენს საკვლევ საკითხს:

- პ. არაკინი აცნობებდა უფროსობას, რომ სამხედრო ოპერაციებმა მკვეთრი კვალი დატოვეს მხარეში იმის გამო, რომ განვლილი ომის დროს აფხაზურმა მოსახლეობამ თურქებისაგან მიიღო იარაღი, მერე კი მისი მნიშვნელოვანი ნაწილი წავიდა თურქეთში. ტერიტორიას მდ. ღალიძგიდან მდ. ენგურამდე და კოდორის უბნის თემების ნაწილს (ილორს, ფოქეეშს) არ ატყვია ძარცვის კვალი (ანჩაბაძე, 2018, გვ. 56).
- სამურზაყანოელები [მათ შორის იგულისხმებიან ქართველებიც და აფხაზებიც - თ.გ.] მოითხოვდნენ, არ გაეთანაბრებინათ ისინი აფხაზეთში დარჩენილ „მოღალატე" აფხაზებთან და ყოველნაირად გაემიჯნათ მათგან (ანჩაბაძე, 2018, გვ. 58).
- ტერიტორია მდინარეებს ღალიძგასა და კოდორს შორის მნიშვნელოვნადაა გაუკაცრიელებული. ოჩამჩირე მთლიანად გადამწვარია; თემთა უმრავლესობაში მუჰაჯირების მიერ გაძარცვული და ზოგან დამწვარია ეკლესიები, სკოლები, და სათემო სახლები; დანგრეული და განადგურებულია საცხოვრებელი სახლები და პროდუქტების მარაგი იმ თემებში, რომლებშიც [რუსული] სამხედრო ხელისუფლების მიერ განხორციელდა ეგზეკუცია [აფხაზთა] ღალატის სასჯელად; მთელი ამ ტერიტორიის ადრინდელი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი,

ზღვისპირელები და მთიანი ნაწილის მცხოვრებლები, 1 071 კომლი გადასახლდა თურქეთში; ადგილზე დარჩენილი 13 000 კაცამდე (2 886 კომლი) ცხოვრობს სახელდახელოდ აგებულ ქოხებში, ან გადარჩენილ ფაცხებში, მათ გააზრებული აქვთ საკუთარი დანაშაული და სასჯელის მოლოდინში ვერ ბედავდნენ საველე სამუშაოების დაწყებას (ანჩაბაძე, 2018, გვ. 58). ეს მოსახლეობა სურსათით ნაკლებადაა უზრუნველყოფილი, თუმცა ზოგმა კომლმა ისარგებლა არეულობით, მიითვისა მუჰაჯირად წასულთა პირუტყვი, სიმინდი და ნაწილობრივ ძარცვითაც არა მარტო უზრუნველყვეს საკუთარი თავი, არამედ ნაძარცვის გაყიდვით მოგებაც კი ნახეს (ანჩაბაძე, 2018, გვ. 59).

- ღალიძგა-კოდორის შუამდინარეთის მოსახლეობის შესახებ პ. არაკინი აცხადებს, რომ აქაური აფხაზები დათრგუნულნი არიან. მათ შეიგნეს ღალატში მონაწილეობისა და ამის გამო მოსალოდნელი სასჯელის სიმძიმე და მაინც ამჯობინეს, საკუთარი ბედი მიენდოთ რუსული ხელისუფლების დიდსულოვნებისათვის, ვიდრე აღმოჩენილიყვნენ თურქული ხელისუფლების მმართველობის ქვეშ. მიუხედავად თავიანთი მალემრწმენობისა, ისინი არ აჰყვნენ არც მუჰაჯირთაგან წაქეზებას, არც დარიგებებს, არც მუქარას, თვით ზოგი ოჯახის ძალით წაყვანამაც კი ვერ აიძულა ისინი, ერთიანად გადასახლებულიყვნენ. მათ მხოლოდ ერთადერთი რამ მთხოვეს: „რაც გსურდეთ, ის გვიყავით, ოღონდ თურქეთში ნუ გაგვასახლებთ"-ო. ამ მოსახლეობაში დარჩენილნი არიან ისინიც, ვინც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აჯანყებაში, მაგრამ დროულად შეძლეს თავის მოთოკვა და მთავრობისათვის ერთგულების გამოცხადებაც კი (ანჩაბაძე, 2018, გვ. 59).
- ტერიტორია მდინარე კოდორიდან გუდაუთის უბნამდე წებელთან ერთად წარმოადგენს თითქმის სრულიად უდაბურ ადგილებს. აქაურობის მთელ მოსახლეობას ქმნიან 2-3 ოჯახი დრანდასა და დაბაქითში, 100-მდე ვაჭარი და მოქალაქე სოხუმში, სიმონ კანანელის სავანის ერთი ბერი 13 მუშასთან ერთად და უკან დაბრუნებული წებელელი ბერძნების 69 ოჯახი (258 კაცი). კონტროლისა და წესრიგის უქონლობამ გამოიწვია მეგრელებისა და ბნელი ხალხის [sic!] მოძალება. ისინი პირუტყვით ვაჭრობის საბაბით ეწევიან ქურდობასა და ნაქურდალის გადამყიდველობას (ანჩაბაძე, 2018, გვ. 59).
- ტერიტორია გუდაუთიდან გაგრამდე დასახლებულია ძირითადად მდინარე ბზიფის გაყოლებაზე. კალდახვარისა და ლიძავის თემებიდან რამდენიმე კომლი გადასახლდა მდინარის იქით [ბზიფის მარჯვენა

ნაპირზე - თ.გ.], რომლის მომდევნო სივრცე სრულიად უკაცრიელია. რბევის კვალი ემჩნევა მხოლოდ ლიხნს, სადაც დამწვარია ყველა ადმინისტრაციული შენობა, გადარჩა მარტო ეკლესია. ბიჭვინთაში დაუზიანებელია ტაძრის გარეთა ნაწილი, ხოლო ბერთა საყუდარი სახლების ნანილი ნახევრად დანგრეულია, ნაწილი კი - დამწვარი. გუდაუთა სრულებით დანგრეულია, ასევე გაგრაც. აქ შემორჩენილი მოსახლეობა, 6 400 კაცამდე (1 520 კომლი) გაფანტულია მცირე ჯგუფებად. იმ თემებში, სადაც ცოტანი იყვნენ პრივილეგირებული კლასის წარმომადგენლები (მაგალითად, ლიხნში, ოთჰარაში), მოსახლეობა თითქმის სრულად დარჩა ადგილზე. ამ ადგილებიდან რუსული ჯარის უკანდახევის მერე, ბედის ანაბარა დატოვებულმა მოსახლეობამ, მართალია, მიიღო იარაღი თურქებისაგან, მაგრამ აქ დარჩენილთა უმრავლესობამ თავი აარიდა ომში აქტიურად მონაწილეობას და შეეგება გენერალ შელკოვნიკოვის რაზმს როგორც თავის დამცველს. მიუხედავად ამისა, ხალხს შეგნებული აქვს აჯანყებასთან თავისი კავშირი, ვერ ბედავს საველე სამუშაოების დაწყებას და მხოლოდ ერთი სათხოვარი აქვს: არ გაგვასახლოთო. ისინი იმედოვნებენ, რომ რუსული ხელისუფლება მონყალეა და სასტიკად არ განსჯის მათ ბედ-იღბალს (ანჩაბაძე, 2018, გვ. 58).

- წესრიგის დამყარებისა და კონტროლის განევის მიზნით პ. არაკინმა კავკასიის სამხედრო ოლქის სოხუმის განყოფილება 4 უბნად დაყო, რაც რეალურად მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიებად სეგრეგაციულ დაყოფას უდრიდა:

I უბანი: ტერიტორია [ენგურიდან] ღალიძგამდე, სადაც, პ. არაკინის სიტყვით, ცხოვრობდა მთავრობის ერთგული მოსახლეობა [ქართველები და აფხაზები - თ. გ.];

II უბანი: ტერიტორია [ღალიძგიდან] კოდორამდე, რომლის მოსახლეობა, პ. არაკინის განმარტებით, განსაკუთრებულ პირობებში იყო ჩაყენებული ღალატის გამო;

III უბანი: უკაცრიელი სივრცე კოდორიდან გუმისთამდე ქ. სოხუმთან და წებელის დასახლებებთან ერთად;

IV უბანი: დანარჩენი უკაცრიელი სივრცე გუდაუთის უბნის მოსახლეობით.

უკაცრიელი ტერიტორიების კონტროლის, უპატრონოდ დარჩენილი ქონების ძარცვისა და მიტაცებისაგან დაცვის მოტივით დაწესდა სამხედროების სადარაჯო პუნქტები დრანდაში, სოხუმში, ფსირცხაში, ბზიფის მარჯვენა ნაპირზე (ანჩაბაძე, 2018, გვ. 62).

რეალურად ეს ღონისძიებები გამიზნული იყო, ერთი მხრივ, აფხაზი ხალხის სამ ნაწილად (აბჟუელებად, ბზიფელებად და სამუზაყანოელებად) დასახლეჩად. მეორე მხრივ ეს ხელოვნური ბარიერები დაწესდა აფხაზთა ორი „დამნაშავე და მოღალატე" ჯგუფის - აბჟუელებისა და ბზიფელების ერთიმეორესთან კონტაქტების შესაზღუდად და სრული იზოლირებისათვის.

დოკუმენტის სხვა ნაწილში პ. არაკინი კიდევ ერთხელ აღწერს მხარის მოსახლეობის დაყოფას სამ დიდ ჯგუფად და უთითებს მათ რაოდენობას:

1. ერთგული მოსახლეობა, რომელმაც საომარ მოქმედებებში აქტიური მონაწილეობით დაამტკიცა ერთგულება (25 000 კაცამდე);
2. უმეტესად ღალატის მონაწილენი (18 000 კაცამდე);
3. ჩასახლებულნი [კოლონისტები - თ. გ.], სხვადასხვა ჯგუფის მოქალაქეები და სხვა მესაკუთრენი (1 000 კაცამდე) (ანჩაბაძე, 2018, გვ. 63).

აშკარად აფხაზი მოსახლეობის კიდევ უფრო დასაქუცმაცებლად მოფიქრებული ჩანს პ. არაკინის წინადადება, რომ სასწრაფოდ მიწის ნაკვეთებით დაეჯილდოებინათ სამურზაყანოს მცხოვრებნი [იგულისხმებიან აფხაზებიც და ქართველებიც - თ.გ.] და ყველა ის აფხაზი, ვინც დარჩა რუსული არმიის შემადგენლობაში:

«в) озаботиться о скорейшем наделении землею жителей Самурзакани и всех лиц Абхазского происхождения, которые оставались во время войны в рядах русского войска...» (ანჩაბაძე, 2018, გვ. 63).

დოკუმენტის ეს ნაწილი აქარწყლებს აფხაზ ავტორთა „მტკიცებას„, თითქოს აფხაზთა მუჰაჯირობით მხოლოდ ქართველებს უსარგებლიათ და მიუტაცებიათ მუჰაჯირად წასულ აფხაზთა მიწები. ამ დოკუმენტიდან კი ჩანს, რომ აფხაზებიც მსახურობდნენ რუსულ ჯარში და ხელისუფლებას თვით აფხაზთა დახლეჩა-დაპირისპირება უფრო აინტერესებდა, ვიდრე ქართველებისათვის რაიმე პრივილეგიის მინიჭება.

პატაკის დანართებში პ. არაკინი სთავაზობდა თავის უფროსობას ზოგ კონკრეტულ ნინადადებას. ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ის დანართი, რომელიც ასეა დასათაურებული: „რა ღონისძიებები უნდა გატარდეს და რა საფუძველზე დამნაშავე აფხაზური მოსახლეობის მიმართ" (Какие мероприятия должны быть приняты относительно виновного Абхазского населения и на

каких основаниях). დოკუმენტი იწყება იმის ხაზგასმით, რომ აფხაზმა ხალხმა (და არა აფხაზთა ნაწილმა, როგორც პ. არაკინი წერდა პატაკსა და თანმხლებ წერილში) ომის დროს უღალატა რუსულ ხელისუფლებას, შეუერთდა თურქულ ჯარს და აქტიურად მონაწილეობდა ყველა საომარ ოპერაციაში, მერე კი მისი უმრავლესობა პრივილეგირებული კლასის მეთაურობით გადასახლდა თურქეთში. აფხაზეთში დარჩენილი აფხაზები, როგორც ღალატის მონაწილენი, არ შეიძლება დაუსჯელნი დარჩნენ და შემდგომში ისეთ პირობებში უნდა ჩავაყენოთ, რომ შეუძლებელი გახდეს 1866 და 1877 წლების ამბების, ანუ აჯანყების განმეორება (ანჩაბაძე, 2018, გვ. 69).

პ. არაკინი იყო პირველი მაღალჩინოსანი პირი, ვინც ოფიციალურად დასდო ბრალი ღალატსა და რუსეთის წინააღმდეგ იარაღით ბრძოლაში მთელ აფხაზ ხალხს, განურჩეველად სქესისა, ასაკისა და ფიზიკური მდგომარეობისა. იგი სრულიად ზედმეტად და მავნებლადაც კი მიიჩნევდა აფხაზთა „მასობრივი დანაშაულის“ გამოძიებას შემდეგ მიზეზთა გამო:

1. გამოძიება ძალიან დიდ დროს მოითხოვს. მისი გახანგრძლივებისას ხალხის ბედი გადაუწყვეტელი იქნება, რაც აფხაზების გაღიზიანებას გამოიწვევს;
2. აფხაზთა შორის არსებული მტკიცე სისხლისმიერი ნათესაობისა და ძიძიშვილობის პირობებში ხანგრძლივი გამოძიება კიდევ უფრო გააღრმავებს ამ ხალხში გავრცელებულ ზნეობრივ გახრწნილებას;
3. მთავარ მოთავეთა უმრავლესობა თურქეთში წავიდა, რის გამოც მთელი დანაშაული მათ გადაბრალდება და გამოძიება ისევე შეწყდება, როგორც მოხდა 1866 წელს, ანუ დაუსრულებელი დარჩება (ანჩაბაძე, 2018, გვ. 70).

ამგვარი „ლოგიკის“ საფუძველზე პ. არაკინმა იპოვა „საუკეთესო გამოსავალი“. იგი წერდა:

„ამიტომ მე მივიჩნევდი, რომ ყოველგვარი ოფიციალური გამოძიების გარეშე გვეცნო აჯანყებული ადგილების *მთელი მოსახლეობა* დამნაშავედ და ღალატის მონაწილედ და მათთვის სასჯელად გამოყენებულიყო ისეთი ღონისძიებები, რომლებსაც სასჯელის ხასიათის თვისებებიც ექნებოდა და ამასთანავე გადაიქცეოდნენ ამ ბედშავი ხალხის იმგვარ საწყისებზე შემდგომი მოწყობის საფუძვლად და საშუალებად, რაც შეესაბამება მთავრობის მიზნებსა და გეგმებს“ (ანჩაბაძე, 2018, გვ. 70).

მთავარ სადამსჯელო ღონისძიებებად პ. არაკინი ასახელებდა მიწის ფლობის უფლებების შეზღუდვას ნებისმიერი აფხაზისათვის და აფხაზთა

გადაჯგუფებას (ჯგუფებად დასახლებას). აქედან მეორე ღონისძიება შემდეგს გულისხმობდა: აფხაზები უნდა გადაეანილებინათ რუსეთიდან, თუ სხვა ქვეყნებიდან ჩამოყვანილი მოსახლეობის შუაგულში შექმნილ დიდ სოფლებში, ან მცირე-მცირე დასახლებებში, ან კიდევ რამდენიმე კომლიან ჯგუფებად. ამ ტიპის დასახლებათაგან პ. არაკინს უფრო მესამე ვარიანტი მოსწონდა (ანჩაბაძე, 2018, გვ. 71). ცხადია, პ. არაკინს ეცოდინებოდა, რომ იგივე ხერხები უკვე იყო გამოყენებული ჩერქეზეთში, სადაც სამშობლოში დარჩენილი ჩერქეზები გადააჯგუფეს რუს კოლონისტთა სოფლებს შორის: ყოველ დიდ ჩერქეზულ სოფელს დღესაც ირგვლივ არტყია 4-5 რუსული სოფელი, რაც რუკებზეც კარგად ჩანს.

ამრიგად, კოლონისტების აფხაზეთში მოყვანის უმთავრესი მიზანი აფხაზი მოსახლეობის მცირე ჯგუფებად დახლეჩა, ერთიმეორისაგან იზოლირება და ამ უკანასკნელთა აჯანყების შემთხვევაში მათი ალყაში მოქცევა და გაჟლეტა იყო. კოლონისტებისადმი უნდა წაყენებულიყო რამდენიმე მოთხოვნა:

1. ისინი სანდო უნდა ყოფილიყვნენ რუსეთის ხელისუფლებისათვის;
2. არ უნდა ყოფილიყვნენ მაჰმადიანები;
3. სასურველად მიიჩნეოდა უპირატესად რუსების ჩამოსახლება;
4. უნდა ჩამოესახლებინათ კოლონისტთა დიდი ჯგუფები, რათა მათში ჩაძირულიყო აფხაზური დასახლებები, დაეშორებინათ ისინი ზღვის სანაპიროსაგან და დაენაწევრებინათ აფხაზთა განსახლების უკვე არსებული ორი კუნძული;
5. რუსი კოლონისტები უპირატესად უნდა დაესახლებინათ კავკასიონის გადავლით ყუბანის ოლქში მიმავალ გზებზე (ანჩაბაძე, 2018, გვ. 72-74, 97).

პ. არაკინის ამ გეგმას მიეცა მსვლელობა და მისი ოდნავ შეცვლილი ვარიანტები მძიმედ, მაგრამ ინტენსიურად მიიწევდა ხელისუფლების უმაღლესი ეშელონებისაკენ, რაც ცხადად ჩანს შემდეგი დოკუმენტებიდან:

- კავკასიის მთიელთა სამმართველოს პირველი განყოფილების უფროსის, გენერალ-მაიორ კომაროვის მოხსენება კავკასიის არმიის მთავარსარდლისადმი, N 2985, 1878 წლის 23 აგვისტო (ანჩაბაძე, 2018, გვ. 77-81);
- იმავე კომაროვის მოხსენება კავკასიის არმიის მთავარსარდლის თანაშემწისადმი, N 596, 1879 წლის 27 იანვარი (ანჩაბაძე, 2018, გვ. 88-93);
- კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს დეპარტამენტის წერილი მეფისნაცვლის საბჭოსადმი, N 5526, 1879 წლის 18 მაისი (ანჩაბაძე, 2018, გვ. 93-107)...

ეს ბიუროკრატიული პროცესი საბოლოოდ იმით დასრულდა, რომ 1880 წლის 31 მაისს პირადად იმპერატორმა ალექსანდრ მეორემ აფხაზ ხალხს ოფიციალურად გამოუტანა განაჩენი და მიანიჭა მას დამნაშავე ხალხის სტატუსი.

ბუნებრივია, ხელისუფლების ამგვარი მტკიცე პოზიციის პირობებში ყოვლად წარმოუდგენელი იყო ოფიციალური გზით მუჰაჯირთა მასობრივი დაბრუნება სამშობლოში, თუმცა, როგორც ცნობილია, მუჰაჯირთა არცთუ მცირე ნაწილის ფარულად დაბრუნება მაინც მოხერხდა, რამაც რეალურად დიდად ვერ შეცვალა აფხაზი ხალხის მძიმე მდგომარეობა.

1878 წლიდან ინტენსიურად მიმდინარეობდა სხვადასხვა ეროვნების კოლონისტების (რუსების, უკრაინელების, სომხების, ბერძნების, გერმანელების, ესტონელების, მოლდოველების, ბულგარელების) მასობრივი დასახლება აფხაზი მოსახლეობისაგან დაცლილ ადგილებში.

საყურადღებოა პ. არაკინის მიერ ხელმოწერილი კიდევ ერთი დოკუმენტი „სოხუმის განყოფილების დასახლების დებულების პროექტი", რომელშიც ჩამოთვლილნი არიან ის ჯგუფები, ვინც პირველ რიგში უნდა დაესახლებინათ აფხაზეთში მესამე მუჰაჯირობის შედეგად დაცლილ მიწებზე:

პირველი სახეობის დასახლებებში, ანუ სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილებში (ქ. სოხუმში, ზღვის ნაპირზე და მნიშვნელოვან გზებთან ახლოს) ცხოვრება შეეძლოთ:

1. ყველა წოდების პირებს, ვისაც უფლება ჰქონდა სასოფლო საზოგადოებების წევრობისა;
2. არმიისა და ფლოტის მოქმედ და თადარიგში გასულ პირებს;
3. სამთო მრეწველობის ჩინოსნებსა და მუშებს;
4. სამხრეთ კავკასიაში უკვე დასახლებულ სექტანტ მალაკნებს;
5. ქრისტიან უცხოელებს, ოღონდ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მათი დასახლების საკითხი საგანგებოდ უნდა განხილულიყო კავკასიის არმიის მთავარსარდლის მიერ. მათ პირველ ორ წელიწადში უნდა მიეღოთ რუსეთის მოქალაქეობა.

ჩამოსახლება ეკრძალებოდათ:

1. საკუთარი საზოგადოებებიდან გარიცხულ პირებს;
2. განზრახ გაკოტრებულებს (თაღლითებს);
3. სასამართლოს მიერ უფლებაშეზღუდულ, ან უფლებაჩამორთმეულ პირებს;
4. ძიებაში, ან პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ მყოფთ;

5. კანონით აკრძალული სექტების წევრებს;
6. წინა საცხოვრებელ ადგილას დავალიანების მქონე პირებს;
7. რაიმე სამუშაოს შესრულების ვალდებულების მქონე პირებს;
8. სახელმწიფო გლეხებს, რომლებსაც მცირემიწიანი გუბერნიიდან მრავალმიწიან გუბერნიაში დასასახლებლად სუბსიდია უკვე ჰქონდათ მიღებული.

მეორე სახეობის დასახლებებში ცხოვრების უფლება ეძლეოდათ ნებისმიერი სოციალური ფენის რუსეთის მოქალაქეებს, ასევე უცხოელებს, რომლებსაც არ ევალებოდათ მოქალაქეობის გამოცვლა (ანჩაბაძე, 2018, გვ. 237-238).

ასეთიდაყოფადაპირველისახეობისადმიმკაცრიპირობებიშექმნაპ.არაკინს დასაბუთებული აქვს შემდეგნაირად: სახელმწიფოსათვის სასურველი არ არის უკაცრიელი ტერიტორიები, ვინაიდან ისინი გარკვეული სახის ადმინისტრაციის შენახვის ხარჯს მაინც მოითხოვენ, მაგრამ სარგებელი არ მოაქვთ. ასევე არ არის სასურველი იმგვარი მოსახლეობის ყოლა, რომელსაც სახელმწიფოსაგან მუდმივად სჭირდება კონტროლი, ამ მოსახლეობის შემაკავებელი გარკვეული ძალების ყოლა. აფხაზეთს სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს: ესაა სასაზღვრო მიჯნა, რომელიც ხსნის შესასვლელს მხარის შიგნით. ესაა კარიბჭე, საიდანაც იწყება გზა სხვა ტომებისაკენ, რომლებიც უცებ აღიგზნებიან ხოლმე და აქვთ ნაწილობრივ ტრადიციული, ნაწილობრივ რელიგიური და ტომობრივი ლტოლვა თურქეთისაკენ. ამ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად ერთადერთი გზა მოსული ელემენტისაგან დასახლებათა შექმნაა. ამ დასახლებებსა და კოლონისტებს, პ. არაკინის სიტყვით, უნდა აღეკვეთათ აფხაზთა მიდრეკილება ჯანყისა და უწესრიგობისაკენ. მთავარი იყო, რომ კოლონისტებს არ უნდა ჰქონოდათ არანაირი საერთო არსებულ, თუ მოსალოდნელ მტერთან, ანუ ოსმალეთთან (ანჩაბაძე, 2018, გვ. 243-244).

ეს გეგმა, როგორც მომდევნო მოვლენებიდან ჩანს, დამტკიცდა და განხორციელდა კიდეც. ამას მოჰყვა აფხაზეთის მოსახლეობაში აფხაზთა წილის მკვეთრი შემცირება აქედან გამომდინარე ყველა შედეგით.

რა შედეგები მოუტანა 1864, 1867 და 1878-1880 წლების მასობრივმა დეპორტაციებმა აფხაზურ ენას?

ამ კითხვის პასუხი ასეთია:

1. საბოლოოდ დაირღვა აფხაზური ენის ბუნებრივი მდგომარეობა: მან დაკარგა უწყვეტი ენობრივი სივრცე. მდინარე ოხურიდან მდინარე ხოსტამდე განფენილი ადრინდელი ერთიანი, უწყვეტი ზოლი დაიხლიჩა და დარჩა ორი კუნძული: აბჟუა-სამურზაყანოსა და ბზიფის მეტყველებათა სახით;

2. ადრინდელი უწყვეტი ენობრივი ჯაჭვიდან სამუდამოდ ამოვარდა რამდენიმე განუყოფელი რგოლი: ჯიქების (საძების) დიალექტი, აჰჭიფსის, აიბგას, ფსჰუს, გუმას, წებელისა და დალის მეტყველებანი მთლიანად, ასევე აბჟუური და ბზიფური დიალექტების დიდი ნაწილი;
3. აფხაზეთიდან გამქრალი მეტყველებანი უხეშად და დისპერსიულად (გაფანტულად) გადაინერგა უცხო და შორეულ ქვეყნებში: თურქეთში, სირიაში, იორდანიაში, ეგვიპტეში, ბულგარეთში, სერბეთში... ამ ქვეყნების ბევრად მრავალრიცხოვან მკვიდრთა ენების გარემოში, მცირე მოწყვლად წერტილებად წარმოდგენილ აფხაზურ ენას განვითარების არანაირი პერსპექტივა არ ექმნებოდა;
4. ეკოლინგვისტურად მნიშვნელოვანია ისიც, რომ აფხაზეთში დარჩენილთა ორივე დიალექტი იზოლირებულად ჩაიკეტა ვიწრო გეოგრაფიულ და ეკოლინგვისტურ სივრცეში, გაქრა მათ შორის ბუნებრივად გარდამავალი გუმას მეტყველება. მუჰაჯირთა მეტყველებები კი ხანგრძლივად მოსწყდა ადრინდელ ბუნებრივ გარემოს, რაც მათი მასაზრდოებელი იყო;
5. მხარეში უეცრად შემოჭრილმა მრავალენოვანმა მასამ რუსიფიკაციის აგრესიული პოლიტიკის პირობებში გაქრობის რეალური საფრთხე შეუქმნა აფხაზურ ენასაც და არარუსი კოლონისტების ენებსაც. ერთადერთ გაბატონებულ ენად რუსული გადაიქცა;

იმის შესახებ, თუ როგორ წარიმართა აფხაზური ენის ფუნქციონირება სხვადასხვა სფეროში, რა დაკარგა და რა შეიძინა ამ ენამ ჯერ ცარიზმისა და მერე კომუნისტური რეჟიმის პირობებში, მსჯელობა გვექნება ამ ნაშრომის მომდევნო ნაწილებში.

თავი III

აფხაზური ენის სადამწერლობო გრაფიკა და მისი მრავალგზისი ცვლის მიზნები და შედეგები

აფხაზურ ენას ურთულესი ბგერითი სტრუქტურა აქვს: თანამედროვე აფხაზურ სალიტერატურო ენაში არსებობს 64 დამოუკიდებელი ბგერა, ბზიფურ დიალექტს დამატებით აქვს 9 ფონემა, ხოლო აბჟუურ დიალექტს ჯერ კიდევ ამ ნახევარი საუკუნის წინ ჰქონდა ერთი სპეციფიკური ფონემაც.

გვიან შუა საუკუნეებში აფხაზური სიტყვების ჩასანერად სხვადასხვა დამწერლობის (არაბულის, ლათინურის, რუსულის) გამოყენებას თავიდან უცხოელ მოგზაურთა პირადი ინტერესის დაკმაყოფილების და/ან ადგილობრივ მოსახლეობასთან კონტაქტის გაადვილების სურვილი ედო საფუძვლად, შემდგომ ნინა პლანზე სამეცნიერო ინტერესები ნამოვიდა, ბოლოს კი წამყვან მოტივად მოგზაურთა თვითგანათლების საჭიროებანი და პოლიტიკური ფაქტორები იქცა. იყო ამ საფუძველთა შერწყმის შემთხვევებიც.

ნერილობითი დოკუმენტები ადასტურებენ, რომ აფხაზურ ენაზე დამწერლობა არ არსებობდა XIX საუკუნის შუა ხანებამდე. მეტიც, მეცნიერებისათვის ჯერჯერობით ცნობილი არ არის არცერთი შემთხვევა იმისა, რომ XIX საუკუნის 60-იან წლებამდე ვინმეს ეცადა დამწერლობის შექმნა აფხაზური ენისათვის. ამის გამო აფხაზები საჭიროების დროს უპირატესად წერდნენ ქართულ ენაზე, კერძოდ, მხედრულის გამოყენებით, ხოლო XVI-XIX საუკუნეებში ოსმალებთან ურთიერთობისათვის იყენებდნენ აგრეთვე არაბულ გრაფიკაზე დაფუძნებულ თურქულ-ოსმალურ სამწიგნობრო ენასაც.

აფხაზური სიტყვებისა და ტიპური ფრაზების მცირე ნანილის პირველი, საკმაოდ უზუსტო ჩანაწერები ეკუთვნის თურქ მოგზაურს ევლია ჩელების, რომელმაც 1641 წელს საამისოდ გამოიყენა არაბული გრაფიკის ვარიანტი აჯამი. ამის შემდგომ რამდენიმე ევროპელმა მოგზაურმაც შეკრიბა აფხაზურ სიტყვათა უმნიშვნელო რაოდენობა. აფხაზურ ენაზე დამწერლობის შექმნამდე, 1827 წელს ყველაზე დიდი რაოდენობის აფხაზური ლექსიკა (1 952 სიტყვა) რუსული ასოებით ჩაინერა რუსმა საზღვაო ოფიცერმა ვლადიმირ რომანოვმა, ხოლო 1846 წელს ბერლინში დაიბეჭდა პროფ. გეორგ როზენის მიერ დაწერილი აფხაზური ენის მოკლე გრამატიკული მიმოხილვა, რომელშიც ამ მეცნიერმა გამოიყენა ქართული გრაფიკა (მხედრული). პროფესიონალი ენათმეცნიერის, პროფ. გ. როზენის აზრით, კაეკასიის ენათა სპეციფიკური ფონემების გადმოსაცემად ყველაზე ოპტიმალური ქართული გრაფიკა იყო.

ამ ეტაპის საერთო დამახასიათებელი ნიშანი იყო ის, რომ მოგზაურებს, ვაჭრებს, დიპლომატებსა და სხვებს, თვით პროფ. გ. როზენსაც კი არ უცდიათ, აფხაზური ფონოლოგიური სისტემის ზუსტად ასახვისა და მათ მიერ გამოყენებულ სადამწერლობო სისტემათა ადაპტაციის მიზნით შეექმნათ დიაკრიტიკული ნიშნები. ამის გამო ამ ეტაპის უკლებლივ ყველა ჩანაწერი უზუსტოა.

მსოფლიოს ისტორიიდან ცნობილია, რომ რომელიმე ენაზე დამწერლობა იქმნებოდა ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხის სახელმწიფოებრიობისა და კულტურის განვითარების მაღალი დონის მიღწევის დროს (შუმერები, ეგვიპტელები, ჩინელები...), ინიციატორები კი მეფეები, ქურუმები, დიდი ეროვნული მოღვაწეები, ან განმანათლებლები იყვნენ ხოლმე. რაც შეეხება აფხაზური ენისათვის ანბანის შექმნის საკითხს, იგი თავიდანვე მჭიდროდ დაუკავშირდა რუსეთის იმპერიის პოლიტიკურ ინტერესებსა და სამომავლო გეგმებს საქართველოში: იმპერიის ხელისუფლება და იდეოლოგები (პ. ზუბოვი, პ. უსლარი, ვ. გეიმანი, ეპისკოპოსი აგაფოდორი, ე. ვეიდენბაუმი...) არ ფარავდნენ, რომ მათთვის მთავარი მიზანი იყო აფხაზთა მოწყვეტა ქართული კულტურულ-სადამწერლობო სამყაროსაგან, ორივე ხალხის ერთმანეთისაგან გაუცხოება და ცალ-ცალკე გარუსება.

რუსეთის არმიის მოქმედი გენერალი პიოტრ უსლარი აფხაზური ენის კვლევას შეუდგა 1861 წელს თბილისში (ბღაჟბა, 1967, გვ. 41). პროფ. ხ. ბღაჟბას ზუსტი შეფასებით, კვლევის დროს გენერლის მიერ შექმნილ აფხაზურ დამწერლობას ისევე, როგორც კავკასიის ყველა სხვა ადრე უდამწერლობო ენის დამწერლობებს, შესაბამის ხალხთა გარუსებას ისახავდა მიზნად, თუმცა ამ აქტს მაინც ჰქონდა ობიექტური პროგრესული მნიშვნელობა (ბღაჟბა, 1967, გვ. 36).

პ. უსლარმა აკად. ანდრეას იოჰან შიოგრენის მიერ ოსური ენისათვის შექმნილი სისტემის ბაზაზე ჩამოაყალიბა 35 ასოსაგან შემდგარი ე.წ. კავკასიურ-ქართული ანბანი, რომელიც ბაზისად უნდა ქცეულიყო კავკასიის ყველა სხვა დამწერლობისათვის. მასში უცვლელად იყო გამოყენებული რუსული ანბანის 25 ასო: **а б в г д е ж з і к л м н о п р с т у ф х ц ч ш** (ასო **і** იმ დროს საზიარო იყო ლათინური და რუსული ანბანებისათვის. იგი 1918 წელს ამოიღეს რუსული ანბანიდან), ხოლო 8 ფონემის - **ღ ჯ ძ ქ ფ თ ნ ჭ**-ს გადმოსაცემად პ. უსლარმა რუსულ **г ж з к п т ц ч** ასოებს თავზე წერტილი დაასვა, თუმცა თვითონვე წინააღმდეგი იყო წერტილის დამატებით ნიშნად გამოყენებისა. მანვე ლათინური ანბანიდან გამოიყენა 3 ასო: **h j q**.

ე.წ. კავკასიურ-ქართული ანბანის მსგავსად პ. უსლარმა კონკრეტულად აფხაზური ენისათვის გამოიყენა რუსული ანბანის 19 თანხმოვნისა და 5 ხმოვნის აღმნიშვნელი 25 ასო: **а б в г д е ж з і к л м н о п р с т у ф х ц ч ш**.

სპეციფიკური აფხაზური ფონემების გადმოსაცემად მან 7 რუსულ გრაფემას (д, е, з, ж, о, ц, щ) შეუცვალა მოხაზულობა;

ბერძნული ანბანიდან გადმოიღო 3 ასო: ʃ, რომელიც ζ „ძეტა" ასოს ხელნაწერი ვარიანტია, τ და Υ. ხ. ბღაჟბა ამ უკანასკნელ ასოს შეცდომით სლავურიდან აღებულად მიიჩნევს (ბღაჟბა, 1967, გვ. 43), სინამდვილეში კი იგი ბერძნული ასოა - ესაა მთავრული იგრეკი;

ლათინური სადამწერლობო სისტემიდანვე გამოიყენა 6 ასო: h, მისი გოთური თავმოკაუჭებული ĥ ვარიანტი, l, j, q, ʒ (ხ. ბღაჟბას ეს ასო ძველსლავური დამწერლობიდან ნასესხებად მიაჩნია, რეალურად კი ლათინური z ასოს გაკრული ხელით საწერი ვარიანტია);

ქართულიდან ისესხა 3 ასო: ჯ, ნ. ჭ, ხოლო აფხაზური ენის ბზიფური დიალექტის სისინ-შიშინა თანხმოვნის აღსანიშნად იმავე ნ ასოს დაუმატა დიაკრიტიკული ნიშანი (ბღაჟბა, 1967, გვ. 43).

გარდა ამისა, პ. უსლარმა 6 თანხმოვნის გადმომცემ ასოებს თავზე დაასვა ზემოთ პირმიქცეული ნახევარრკალი, ერთ ასოს - მახვილის ნიშანი, ხოლო 5 სხვა ასოს მარჯვენა ქვედა მხარეს გაუკეთა კაუჭი მათი ფშვინვიერობის აღსანიშნად.

ამ კომბინაციათა გზით შექმნილ აფხაზურ დამწერლობაში სულ 55 მონოგრაფემა, ანუ თითო ბგერის აღმნიშვნელი თითო ასო იყო.

პ. უსლარის გარდაცვალების მერე, 1887 წელს სტამბური წესით გამოცემულ აფხაზური ენის გრამატიკაში წიგნის რედაქტორმა მიხაილ ზავადსკიმ სერიოზული ცვლილებები შეიტანა და სერიოზულად გადააკეთა პ. უსლარის სატრანსკრიფციო სისტემა. მან მეტ-ნაკლებად შეცვალა 12 ფონემის აღნიშვნის უსლარისეული წესი:

ცედილას მქონე ყველა ასოს მოაშორა იგი და მის ნაცვლად ასოების თავზე დასვა მძიმე (აპოსტროფი);

ქართული ნ, ჭ ასოები შეცვალა გადაკეთებული რუსული ასოებით, ხოლო ჯ ბგერის აღმნიშვნელად შემოიღო სერბული џ ასო (მ. ზავადსკი ბოლო ასოზეც უარს იტყოდა, რომ სცოდნოდა, ეს ასო სხვა ბგერისათვის ქართულ ასომთავრულშიც არისო);

ლათინური სადამწერლობო სისტემიდან ინტენსიური ĥ თანხმოვნის აღსანიშნად აიღო щ გრაფემა...

მ. ზავადსკისეულმა ცვლილებებმა დაარღვია პ. უსლარის სისტემა და გახადა იგი უფრო ეკლექტიკური, რადგან შედგებოდა ვ. მილერის, პ. უსლარისა და მ. ზავადსკის ერთმანეთისაგან განსხვავებული 3 პრინციპით შედგენილი ნიშნებისაგან. ამის გამო მ. ზავადსკი მკაცრად გააკრიტიკა ლევ ზაგურსკიმ, რომელიც წერდა: *„ამგვარი ლოგიკურობის არმქონე ტრანსკრიფცია ქმნის*

არეულობას ანბანში და აძნელებს წერა-კითხვის შესწავლას"-ო (ბღაჟბა, 1967, გვ. 45).

1861 წლის დასაწყისში გენერალმა ივან ბარტოლომეიმ განცხადებით მიმართა კავკასიის მეფისნაცვალს, დაერთო ნება, კავკასიის უდამწერლობო ენებისათვის შეედგინა საანბანო სახელმძღვანელოები და ამ მიზნით შეექმნა რუსული და ადგილობრიეი ენების მცოდნე პირთა კომისია. მეფისნაცვალმა თანხმობა მისცა და ი. ბართოლომეიმ კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების ეგიდით შექმნა კომისია დიმიტრი ფურცელაძისა და ვლადიმირ ტრიროგოვის შემადგენლობით. კომისიას ფასდაუდებელი დახმარება გაუწიეს აფხაზური ენის კარგად მცოდნე აფხაზებმა: კონსტანტინე შარვაშიძემ, გრიგოლ შარვაშიძემ, ჰასან მარღანიამ, იოანე გეგიამ და ამ ენის მცოდნე ქართველმა გიორგი ქურციკიძემ. კომისიის მიერ შედგენილი აფხაზური ენის საანბანო სახელმძღვანელოს ტექსტი 1863 წელს შეამონმა კონსტანტინე შარვაშიძემ, ხოლო 1864 წელს - გრიგოლ შარვაშიძემ. მათი წინადადებით, აფხაზური ტექსტისთვის შერჩეულ იქნა არა ბზიფური დიალექტი, არამედ უფრო მარტივი ფონოლოგიური სისტემის მქონე აბჟუური კილო. საანბანო წიგნში არ შეიტანეს ბზიფური სისინ-შიშინა ფონემების გადმომცემი 3 ასო, სხვა მხრივ კი სრულადაა გამოყენებულ უსლარისეული დამწერლობა. ამ ცვლილების ნაკლი ის იყო, რომ ანბანში მაინც დარჩა სხვა სისინ-შიშინა თანხმოვანთა და 2 ველარული ბგერის აღმნიშვნელი ასოები, რაც აბჟუურ დიალექტს არ ჰქონდა.

ამ კონტექსტში ეკოლინგვისტურად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ი. ბარტოლომეის კომისიის მიერ შედგენილი დამწერლობა ბზიფური ფონემების ნანილისათვის დატოვებული ასოებით ნანილობრივ იცავდა ბზიფური დიალექტის ეკოლოგიურ წონასწორობას, მაგრამ იმავდროულად არღვევდა აბჟუური დიალექტის ბუნებრივ იერსახეს - თავს ახვევდა მას ზედმეტ ბგერებს.

დამწერლობის პ. უსლარისეული ვარიანტი იმით იყო ფასეული, რომ თითქმის სრულად ასახავდა აფხაზური ენის ერთ-ერთი სამეტყველო მიკროვარიანტის, აბჟუურ დიალექტთან შედარებით ბევრად უფრო მდიდარი ფონემური სისტემის მქონე ბზიფური დიალექტის მონაცემებს, მაგრამ, მეორე მხრივ, იმავე ბზიფურის ურთულესი ფონოლოგიური სისტემა აბჟუელების წინაშე წარმოქმნიდა დაბრკოლებას შესწავლის პროცესში, ანუ გაჩნდებოდა პედაგოგიკურ-მეთოდიკური პრობლემა - აბჟუელთა უმრავლესობას არასოდეს გაეგონა სპეციფიკური ბზიფური ფონემები და მათი ზუსტად წარმოთქმა გაუჭირდებოდა. ეს დილემა ვერ გადაწყვიტა სამწიგნობრო ენის საფუძვლად აბჟუური ფონემური სისტემის შერჩევამ. ამ შემთხვევაში სერიოზული ეკოლოგიური ზარალი განიცადა ბზიფურმა დიალექტმა: აფხაზეთში სასკოლო განათლების მასობრივად

დანესების დროიდან დღემდე ბზიფელ მოსწავლეებს მასწავლებლები იმ აზრს უნერგავენ, რომ ზეპირ მეტყველებაში უნდა დაძლიონ სპეციფიკური ბზიფური ფონემების გამოყენების თანდაყოლილი ჩვევა. ამ ძალდატანებამ დაარღვია ბზიფური დიალექტის ბუნებრივი იერსახე, რაც შემდეგ ფაქტში აისახა: გამორჩენილ აფხაზოლოგთა (ნ. მარის, ქ. ლომთათიძის, ა. გენკოს, ნ. იაკოვლევის, ხ. ბლაუბას, კ. შაყრილისა და სხვათა) გამოკვლევებში ერთხმად აღინიშნებოდა 9-ვე სპეციფიკური ბგერის არსებობა ბზიფური დიალექტის გავრცელების მთელ დასავლურ ზოლში, მაგრამ როცა ამ სტრიქონების ავტორს 70-80-იან წლებში ჰქონდა საშუალება, ადგილზე დაკვირვებოდა ბზიფური დიალექტის რეალურ მდგომარეობას, ძნელი არ იყო იმის შემჩნევა, რომ ოთპარის კილოკავშიც კი, რომელიც მანამდე ხასიათდებოდა ამ ფონემათა მასობრივი გავრცელებით, ჩვენი ექსპედიციების დროს უკვე მორყეული იყო ამ 9 ბგერის პოზიციები და ეს გარკვეულ სხვაობას ქმნიდა: ახალგაზრდებისა და შუახნის პირთა ნაწილის მეტყველებაში ისინი იშვიათად ისმოდა, საშუალო ასაკის პირთა მეორე ნაწილი და მოხუცები კი ამ ბგერებს სისტემურად იყენებდნენ. ეს ვითარება შედეგი იყო იმისა, რომ დამწერლობა არ ასახავდა და არც ამჟამად ასახავს ბზიფურ ფონემებს, სკოლის მასწავლებლები კი მოსწავლეებს უშლიდნენ მათ გამოთქმას, შეცდომად უთვლიდნენ და ნიშანსაც აკლებდნენ წამოცდენის გამო. აი, ასე დაარღვია დამწერლობამ ენის ეკოლოგიური მდგომარეობა.

1892 წელს გამოცემულ კონსტანტინე მაჭავარიანისა და დიმიტრი გულიას აფხაზური ენის საანბანო სახელმძღვანელოში გამოყენებული იყო მ. ზავადსკის მიერ გადაკეთებული პ. უსლარისეული ასოების უმრავლესობა, თუმცა იქვე დაზუსტდა 3 ბგერის აღნიშვნა, ამოღებულ იქნა ბზიფური დიალექტის ერთი სპეციფიკური ფონემის აღმნიშვნელი ასო, მაგრამ ავტორებმა უცვლელად დატოვეს ამავე დიალექტის წინაენისმიერ სპეციფიკურ ბგერათა გადმომცემი გრაფემები (ბლაუბა, 1967, გვ. 52, შენ. 81). ამ გამოცემის წინასიტყვაობაში ავტორები აცხადებდნენ: „ჩვენი ანბანის მიზანია აფხაზი ბავშვების დაინტერესება წერა-კითხვით და მათთვის რუსული ენის შესწავლის გაიოლება“-ო (მაჭავარიანი, გულია, 1892, გვ. 1). ეს განცხადება აშკარად მიუთითებს, რომ წიგნაკი დაიწერა და გამოიცა იმდროინდელი პოლიტიკურ-იდეური კონიუნქტურის გათვალისწინებით. სხვაგვარად იგი დღის სინათლეს ვერც იხილავდა!

მ. ზავადსკისეული ვარიანტისაგან მცირედ განსხვავდებოდა 1906 წელს აფხაზეთში ბიბლიის აფხაზურ ენაზე თარგმნის მიზნით დაარსებული მთარგმნელობითი კომიტეტის მიერ შედგენილი ვარიანტიც, ხოლო 1909 წელს კავკასიის სასწავლო ოლქის ეგიდით გამოცემულ ანდრეი ჭოჭუას „აფხაზურ ანბანში“ საბოლოოდ იქნა ამოღებული ბზიფური დიალექტის 2 სისინ-შიშინა

ფონემის აღმნიშვნელი გრაფემები, ხოლო ასოს თავზე დასმული ნახევარრკალით აღინიშნა ზოგი ფონემის პალატალიზაცია (ბღაჟბა, 1967, გვ. 56).

1906 წელს ამჟამინდელი ესტონეთის ქ. ტარტუში (მაშინდელ იურიევში) პროფ. გოტლიბ ლეონჰარდ მაზინგის კონსულტაციით სიმონ აშხვაწაას (აშხაცავას) მიერ შედგენილი დამწერლობა ძირითადი ასპექტებით ემთხვეოდა მ. ზავადსკის ვარიანტს და ასახავდა ბზიფური დიალექტის სპეციფიკას. იგი შეიცავდა 77 ბგერის შესაბამის გრაფემებს. მისი გამოყენებით იქნა ჩაწერილი 100 აფხაზური ზღაპარი, რომლებიც აფხაზთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა ბზიფურმა კომიტეტმა გაუგზავნა აკად. ნიკო მარს დაახლოებით 100 წლის წინ.

1906 წელს ა. ჭოჭუას ანბანით დასრულდა უსლარისეული დამწერლობის ცელილებათა პირველი პერიოდი, რომლის მთავარი მიღწევები იყო:

- დამწერლობისა და აფხაზური სალიტერატურო ენის შექმნა;
- ბგერათა გრაფიკული ასახვის ქართული წესის ნაწილობრივი დანერგვა, როცა ფონემათა უმრავლესობა აღინიშნებოდა თითო გრაფემით (მონოგრაფემით).

დასახელებულ პერიოდში იყო ნაკლოვანებებიც, კერძოდ:

- იმდროინდელ კავკასიაში გავრცელებულ დამწერლობათაგან (ქართული, სომხური, არაბულის ვარიანტი აჯამი და კირილიცას რუსული ვარიანტი) შეირჩა კირილიცა, რომელიც აფხაზურ ენასთან საზიარო ფონემებისა და გრაფემების რაოდენობით ვერ სჯობნიდა ვერც ქართულ და ვერც სომხურ დამწერლობებს: ქართული დამწერლობის მხედრული ვარიანტის იმ დროს მოქმედი 39 ასოდან (ჱ ჲ ჯ ჴ ჭ გრაფემათა ჩათვლით) აფხაზური ენისათვის გამოსადეგი იყო უკლებლივ ყველა, სომხური დამწერლობის (ერკათაგირის) ასევე 39 ასოდან აფხაზურისათვის შეიძლებოდა გამოყენებულიყო 36 ასო, არაბული სადამწერლობო სისტემის აჯამის ვარიანტის 28 ძირითადი გრაფემიდან შეიძლებოდა გამოყენებულიყო მხოლოდ 24 ასო, ხოლო კირილიცას რუსულ ვარიანტში 1861 წლისათვის არსებული 37 ასოდან პ. უსლარმა გამოიყენა მხოლოდ 24 გრაფემა;
- დამწერლობის შექმნა თავიდანვე პოლიტიზებული და მკაფიოდ იდეოლოგიზებული საკითხი იყო. მის უმთავრეს მიზნად ხელისუფლებასა და იდეოლოგებს დასახული ჰქონდათ აფხაზთა გარუსების დაჩქარებისათვის ხელის შეწყობა;
- აფხაზური სალიტერატურო ენის საყრდენ დიალექტად შერჩეულ იქნა ბზიფური კილო, რომელსაც აბჟუურ კილოსთან შედარებით

გაცილებით უფრო რთული ფონემური შედგენილობა აქვს (მოეპოვება 9 თანხმოვნით მეტი, ვიდრე აბჟუურს);

- ვერ დაიძლია ზოგი ფონემის ორ-ორი ასოთი, ანუ დიგრაფებით გადმოცემა, რომელიც მუდმივი პრობლემა აღმოჩნდა დღემდე მოქმედ უკლებლივ ყველა სადამწერლობო ვარიანტში ნ. მარის ვარიანტის გარდა;
- ნაკლი იყო აფხაზურ ენაში არსებული ისედაც რთული ფონოლოგიური სისტემის ფონზე დიდი და პატარა ასოების სისტემის გადმოღება კირილიცას ზეგავლენით, რაც აორმაგებდა (128 ერთეულამდე ზრდიდა) 64 შესასწავლი გრაფემის რაოდენობას. მიზანი იოლი მისახვედრია: რუსული მართლწერის წესების ამ გზითაც დამკვიდრება აფხაზ მოსწაველეთა შორის და ამით რუსიფიკაციის ხელშემწყობი კიდევ ერთი, ფსიქოლოგიური ფაქტორის დანერგვა;
- ზემოთ განხილული უკლებლივ ყველა სადამწერლობო ვარიანტი არღვევდა აფხაზური ენის ერთ-ერთი, ან ორივე დიალექტის ეკოსისტემას, მის ბუნებრივ იერსახეს;
- კიდევ ერთი ნაკლი იყო სადამწერლობო ვარიანტთა ხშირ-ხშირი დაზუსტება და ცვლილებანი, რაც ხელს უშლიდა აფხაზურ ენაზე ამ პერიოდში გამოცემული ისედაც მწირი ლიტერატურის გაცნობას წერა-კითხვის მცოდნე პირთათვის. მაგალითად, თუ ვინმე იცნობდა პ. უსლარისეულ ხელნაწერ ასოებს, მას დამოუკიდებლად გაუჭირდებოდა მ. ზავადსკის, ან ს. აშხვანაას ვარიანტზე გამოცემული წიგნის ნაკითხვა...

• • •

დამწერლობის ცვლის მეორე პერიოდი 1926-1937 წლებს მოიცავდა, როცა ინტენსიურად მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის ხალხთა უმრავლესობის დამწერლობათა ლათინიზაციის ზოგადსაბჭოური მასობრივი პროცესი. ეს პროცესი რეალურად შეეხო საბჭოურ იმპერიაში გავრცელებული დამწერლობის მქონე 72 ენიდან უმრავლესობას და თითქმის ყველა მანამდე უდამწერლობო ენას. ლათინიზაცია იმდენად მნიშვნელოვნად მიიჩნეოდა, რომ 1929 წელს რუსეთის სფსრ-ს განათლების სახალხო კომისარიატმა პროფ. ნ. იაკოვლევის ხელმძღვანელობით შექმნა სპეციალური კომისია რუსული ენის ლათინურ გრაფიკაზე გადასაყვანადაც კი. ამ კომისიამ 1930 წელს დასამტკიცებლად წარადგინა კიდეც სათანადო პროექტის 3 ვარიანტი, მაგრამ 1930 წლის .25 იანვარს ი. სტალინის განკარგულებით მუშაობა ამ მიმართულებით შეწყდა.

ჩვენი შეფასებით, რეალურად ლათინიზაცია იყო ტაქტიკური ნაბიჯი, რომელიც მიზნად ისახავდა, ერთი მხრივ, საბჭოთა კავშირის ზოგი ენისათვის გამოყენებული ისლამთან და ბუდიზმთან მჭიდროდ დაკავშირებული არაბული და უიღურული დამწერლობების გაუქმებას, მეორე მხრივ, იმპერიაში არსებული ყველა დამწერლობის უნიფიცირებას ერთ, ლათინურ სისტემაზე, მომდევნო ეტაპზე კი მათ სრულ ავტომატურ გადაყვანას რუსულ გრაფიკაზე.

1926 წლის 1 მარტს ამიერკავკასიის სფსრ-ს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკის) პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება ახალი ლათინიზებული ანბანის სავალდებულოდ შემოღების შესახებ. როგორც ჩანს, დადგენილება ეხებოდა აზერბაიჯანულ, თალიშურ, აფხაზურ და ოსურ ენებს (ისაევი, 1978, გვ. 13; გვანცელაძე, 2011, გვ. 412).

აფხაზური ენისათვის ლათინიზებული დამწერლობის პირველი ვარიანტი შეადგინა ნიკო მარმა, რომლის ე.წ. ანალიზური ანბანი მოიცავდა 65 ცალასოიან გრაფემას, ანუ ამ ვარიანტში არ იყო არცერთი დიგრაფი, ანუ ორასოიანი კომპლექსი, რასაც თავის დროზე პ. უსლარმა ვერ მიაღწია. ამ დამწერლობას ერთი მთავარი ნაკლი ჰქონდა:

საბაზო ასოთა დიდ ნაწილს კორპუსზე მარჯვნიდან, ქვემოდან, ან ზემოდან მიბმული ჰქონდა ერთზე მეტი დიაკრიტიკული ნიშანი, რის გამოც პედაგოგები ჩიოდნენ, მოსწავლეებს უჭირთ ამდენი ნიშნის დახსომებაო. ამ ფაქტორმა გადაწყვიტა ამ დამწერლობის ბედი. ეს ვარიანტი არ მოსწონდათ არც იმდროინდელი აფხაზური ინტელიგენციის ლიდერებს - დიმიტრი გულიასა და ანდრეი ჭოჭუას, ასევე აფხაზთა უმრავლესობას.

ამ სახეობის ნაცვლად 1928-1937 წლებში დანერგილ პროფ. ნიკოლაი იაკოვლევის, პროფ. ევგენი პოლივანოვის, მწერალ სამსონ ჭანბასა და ენათმეცნიერ არსენი ჰაშბას მიერ შედგენილ უნიფიცირებულ ლათინიზებულ დამწერლობაში 49 ერთასოიანი გრაფემა შედიოდა, მაგრამ იგი ოდნავ უფრო მარტივი იყო, ვიდრე ნ. მარის ანალიზური დამწერლობა. თავიდან მისი ნაკლი ისიც იყო, რომ მთავრული ასოებიც ჰქონდა, რაც აორმაგებდა ასო-ნიშანთა რაოდენობას. ეს ნაკლი მალე აღმოიფხვრა.

* * *

1936 წლიდან მთელ საბჭოთა კავშირში დაიწყო რუსიფიკაციის მასობრივი პროცესი, რაც გამოიხატებოდა რუსული ენის გაძლიერებულად და სავალდებულო სწავლების დაწყებასა და ახალდამწერლობიან ენათა მასობრივ გადაყვანაში რუსულ გრაფიკაზე (ამ პროცესს ანბანთა კირილიზაცია ეწოდება). პროცესი

დაიწყო 1935 წლის 16 ივნისს სსრკ-ის ცაკის ეროვნებათა საბჭოს პრეზიდიუმის მიერ ცაკთან არსებული ახალი ანბანის საკავშირო ცენტრალური კომიტეტის მუშაობისა და ზოგადად ლათინიზაციის გამანადგურებელი შეფასებით. უმთავრეს ნაკლად დასახელდა იმ ენათა ლათინურ გრაფიკაზე გადაყვანა, რომლებიც მანამდე კირილიცას ეფუძნებოდნენ, კერძოდ, უდმურტულის, კომი ენის, იაკუტურის, ყალმუხურის, ოსურის, აფხაზურისა და ა.შ. (ისაევი, 1978, გვ. 19; გვანცელაძე, 2011, გვ. 417-418). ამ კრიტიკის დროს არავის გახსენებია, რომ 1929-1930 წლებში უკვე მზად იყო კონკრეტული პროექტები თვით რუსული ენის ლათინიზაციისთვისაც კი, ხოლო ლათინიზაცია პროგრესულ აქციად ცხადდებოდა.

კირილიზაციის პროცესში მოქმედებდა პრაქტიკა, რომელიც გულისხმობდა მცირერიცხოვან ხალხთა ლათინიზებული ენების გადაყვანას იმ გრაფიკაზე, რომელიც საფუძვლად ედო შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის სატიტულო ხალხის ენას (ნარკვევები, 2009, გვ. 511). მაგალითად, 1939 წელს აზერბაიჯანში აზერბაიჯანული ენა ლათინური გრაფიკიდან გადაიყვანეს რუსულზე, რასაც ავტომატურად მოჰყვა აზერბაიჯანში გავრცელებული თალიშური ენის დამწერლობის გადაყვანაც კირილიცაზე, უზბეკეთში უზბეკური დამწერლობის კირილიცაზე გადაყვანის შემდეგ იგივე ბედი ენია ყარაყალპაკურ ენასაც და ა.შ. ამ პრაქტიკიდან გამომდინარე საქართველოში აფხაზური და ოსური სალიტერატურო ენები 1938 წლიდან ასევე ავტომატურად გადავიდნენ ქართულ გრაფიკაზე.

აფხაზურისათვის ქართული დამწერლობის მხედრულ ვარიანტზე გადაყვანის აქცია სულაც არ ყოფილა ქართველ მაღალჩინოსანთა თვითნებობა და აფხაზი თუ ოსი ხალხების გაქართველების მცდელობა, როგორც ამას ზოგიერთი აცხადებს. მაგალითად, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი ევა თანია 2015 წლის 16 დეკემბერს მიცემულ ინტერვიუში აცხადებდა: *„ბერიას ინიციატივით შემუშავდა ქართული გრაფიკული საფუძველი, რომელზეც გადაყვანილ იქნენ აფხაზური და ოსური (სამხრეთოსური) დამწერლობები. ქართულ გრაფიკაზე გადაყვანა, რა თქმა უნდა, არ იყო განმტკიცებული სამეცნიერო თვალსაზრისით... 1954 წელს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დაბრუნებულიყო ანდრეი ჭოჭუას დამწერლობა, რომელიც ზოგი მოდიფიკაციით დღემდე გამოიყენება“* (ავიძბა, 2019).

ეს განცხადება ვინმეს შეიძლება სამართლიანად მოეჩვენოს, თუ ე. თანიასა და მის თანამოაზრეთა მსგავსად მხოლოდ აფხაზური და ოსური ენების პრიზმიდან შეაფასებს კონკრეტულ ფაქტს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ (და აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ!) მთელი საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკასა და

ავტონომიებში მიმდინარე პროცესების საერთო ტენდენციებს, ე. თანიას დასკვნა სრულიად უსაფუძვლოა შემდეგ გარემოებათა გამო:

- საბჭოთა რეჟიმის უმთავრესი მიზანი იყო იმპერიის მთელი არარუსული მოსახლეობის გარუსება და ე.წ. ერთიანი საბჭოთა ხალხის ჩამოყალიბება. ანბანთა მასობრივი რუსიფიკაცია ხელს შეუწყობდა ამ პროცესის დაჩქარებულ წარმატებას იმ მოკავშირე რესპუბლიკებში, რომელთა სატიტულო ხალხების დედაენებიც იმ პერიოდში გადაჰყავდათ რუსულ გრაფიკაზე (აზერბაიჯანული, ყაზახური, უზბეკური, ყირგიზული, ტაჯიკური, თურქმენული, მოლდოვური) იმ ეთნიკურ უმცირესობათა ენებთან ერთად, რომლებიც ამ რესპუბლიკათა ტერიტორიებზე არსებობდნენ. ეს აქცია ერთდროულად მოიტანდა იმპერიისათვის სასურველ მასობრივ შედეგს: ერთი ხელის დაკვრით რუსული დამწერლობა და მისი მეშვეობით რუსული ენა მასობრივად ვრცელდებოდა რუსეთის ფედერაციის უზარმაზარ ტერიტორიაზე, კავკასიის ერთ ქვეყანაში და შუა აზიის ხუთ რესპუბლიკაში, ანუ იმ დროს არსებული 11 მოკავშირე რესპუბლიკიდან 7 რესპუბლიკაში. ამ კონტექსტში აფხაზური და ოსური ენების გადაყვანა ქართულ გრაფიკაზე იმპერიისათვის დიდი დანაკარგი ვერ იქნებოდა, ვინაიდან იმპერია თვით ქართულ ენასაც უტევდა სხვაგვარად, რისი დამადასტურებელი უამრავი ფაქტი არსებობს: ყველა მსხვილ დაწესებულებაში საქმისწარმოება რუსულად ხდებოდა, ავტონომიების უქონელი უმცირესობები (სომხები, აზერები...) თბილისთან მხოლოდ ამ ენაზე ამყარებდნენ ურთიერთობებს და ა.შ.;
- ეს გამონაკლისი საქართველოს წინააღმდეგ მიმართული შეყოვნებული მოქმედების ნაღმიც იყო და იმპერია მალე მოძებნიდა საბაბს ამ ფაქტის სათავისოდ გამოსაყენებლად, რაც უკვე 1954 და 1956 წლებში მოხდა კიდეც;
- აფხაზურ და ოსურ ენათა ქართულ გრაფიკაზე გადაყვანას აკონტროლებდა მოსკოვი და მისი სტრუქტურები. მაგალითად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული 5 დოკუმენტის მიხედვით, აფხაზური ენისათვის ქართული გრაფიკის დანერგვის პროცესში აქტიურად მონაწილეობდა აფხაზეთის ასსრ-ს, საქართველოს სსრ-ს, რუსეთის სფსრ-სა და სსრკ-ს სხვადასხვა რანგის მრავალი დაწესებულება:

  სსრკ ცაკთან არსებული ახალი ანბანის ცენტრალურ კომიტეტი;

რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის (რსფსრ-ს) ადგილობრივი მრნველობის სახალხო კომისარიატის პოლიგრაფიული მრეწველობის სამმართველო;

რსფსრ-ს პოლიგრაფიული მრეწველობის სამეცნიერო-ტექნიკური ინსტიტუტი;

რსფსრ-ს ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატის სამეცნიერო-საინფორმაციო ცენტრი;

ქ. ლენინგრადში არსებული მაქს გელცის ქარხანა (ამზადებდა საბეჭდ ლინოტიპებს, მატრიცებს და ტყვიისგან ასხამდა ასოთა ნაკრებებს ყველა ენისათვის);

საქართველოს სსრ-ს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის პოლიგრაფკულტსამმართველო;

საქართველოს კომპარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი (მისი ბეჭდვითი სიტყვისა და პარტიული პროპაგანდის განყოფილება);

ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი (ენიმკი);

საქართველოს კომპარტიის (ბოლშევიკების) აფხაზეთის საოლქო კომიტეტი;

აფხაზეთის ასსრ-ს სახალხო კომისართა საბჭო;

აფხაზეთის ასსრ-ს განათლების სახალხო კომისარიატი;

აფხაზეთის ასსრ-ს ახალი ანბანის კომიტეტი (თავმჯდომარე დ. ჩაგავა)... (გეანცელაძე, 2011, გვ. 439-440).

- განსაკუთრებული ფუნქცია ჰქონდა სსრკ ცაკთან არსებულ ახალი ანბანის ცენტრალურ კომიტეტს (თავიდან მას ახალი თურქული ანბანის ცენტრალური კომიტეტი ეწოდებოდა და რეზიდენცია ბაქოში ჰქონდა): ეს კომიტეტი 1935 წლიდან გადაიქცა მთელი იმპერიის მასშტაბით განსახორციელებელი ენობრივი პოლიტიკის მთავარ დამგეგმავ და ზემდგომ სტრუქტურად, რომელსაც თავისი ფილიალები ჰქონდა ყველა მოკავშირე რესპუბლიკასა და ავტონომიურ რესპუბლიკებში. მას ევალებოდა უკლებლივ ყველა ენის ორთოგრაფიის, ტერმინოლოგიის, დამწერლობისა და ენის განვითარების საკითხების კონტროლი. გარდა ამისა, ამ კომიტეტში არსებობდა ტექნოგრაფიული სექტორი, რომლის ნებართვის გარეშე ვერცერთ ასოს, ან ასოს მოდიფიცირებულ ვარიანტს ვერავინ დანერგავდა რომელიმე ენის დამწერლობაში;
- ახალი ანბანის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ 1937 წლის 4-5 დეკემბერს ქ. სოხუმში გამართული იმ საგანგებო თათბირის მუშაობაში, რომელზეც განხილულ იქნა აფხაზური

დამწერლობის ქართულ გრაფიკაზე გადაყვანის საკითხი და დამტკიცდა დ. გულიას, ს. ჯანაშიასა და ა. შანიძის შეჯერებული პროექტი. მოსკოველების დასწრება ამ თათბირზე იმისი დამადასტურებელია, რომ კრემლი საქმის კურსში იყო და ყველაფერი ახალი ანბანის ცენტრალურ კომიტეტთან შეთანხმებით ხდებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსკოველები განგაშს ატეხდნენ თათბირის მუშაობის დროსვე, რაც არ მომხდარა (თათბირის ყველა ოქმი წინამდებარე წიგნს ერთვის);

- აკად. ს. ჯანაშიას პირად არქივში დაცული ხსენებული თათბირის ოქმების მიხედვით, ამ თათბირში სულ მონაწილეობდა 33 კაცი, მათგან აფხაზი იყო 20 კაცი. თათბირის მონაწილე არცერთ აფხაზ მეცნიერს, პედაგოგს, მწერალს, ჟურნალისტსა და პარტიულ ფუნქციონერს თავიანთ 22 გამოსვლაში არ გამოუთქვამს პროტესტი ქართული გრაფიკის მიუღებლობის შესახებ (ოქმები იხ. წიგნში: გვანცელაძე, 2011, გვ. 455-486 და ამ წიგნის დანართში).
- აფხაზური ენისათვის ქართული გრაფიკის გამოსაყენებლად იურიდიული ბაზა შექმნა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის ორგანიზაციის XV კონფერენციამ 1937 წლის 5-11 მაისს. ერთი თვის შემდეგ, 1937 წლის 17 ივნისს გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზიაში“ დაიბეჭდა ენათმეცნიერების არსენ ჰაშბასა და დავით ჩაგავას წერილი „აფხაზური ანბანის შესახებ“, რომელშიც ავტორები აკრიტიკებდნენ ნ. იაკოვლევის ჯგუფის მიერ შედგენილ უნიფიცირებულ ლათინიზებულ დამწერლობას და მხარს უჭერდნენ XV პარტკონფერენციის გადაწყვეტილებას აფხაზური ენისათვის ქართული გრაფიკის შემოღების შესახებ; მათვე მწერალ მუშნი ჰაშბასთან ერთად იმავე გაზეთის ფურცლებზე გამოაქვეყნეს ქართული ასოების საფუძველზე შედგენილი პროექტი აფხაზური დამწერლობისა. 11 ივლისს იმავე გაზეთში დიმიტრი გულია ვრცელი სტატიით - „აფხაზური ანბანის შესახებ“ კრიტიკულად გამოეხმაური ხსენებული 3 ავტორის პროექტს და აფხაზ მკითხველს გააცნო პირადად მის მიერ ქართულ გრაფიკაზე დაფუძნებული სხვა პროექტი. 1937 წლის 16 სექტემბერს დაიბეჭდა მისივე მორიგი სტატია „აფხაზური ანბანის პროექტის ვარიანტები“. დ. გულია წერდა, სრულიად ცხადია, რომ ანბანის ქართულ გრაფიკაზე გადაყვანა აფხაზური კულტურის წინსვლასა და განვითარებას შეუწყობს ხელს, რადგანაც ქართული ანბანი ყველაზე შესაფერისია აფხაზური ენის ბგერათა სრულად და ზუსტად გადმოცემისთვისო. ეს სტატიები გვიჩვენებენ, რომ აფხაზი მწერლები და ლინგვისტები აქტიურად მუშაობდნენ ამ მიმართულებით. საკითხისადმი ცოცხალი ინტერესი

ცხადად ჩანს იქიდანაც, რომ მომდევნო 1938 წელს გრძელდებოდა როგორც აქტიურობა დამწერლობის საკითხის ბოლომდე მისაყვანად, რაც ასევე ასახულია იმავე გაზეთში. მაგალითად, ამ საკითხს მიეძღვნა რამდენიმე პუბლიკაცია: 1938 წლის 3 თებერვალს (ინტერვიუ აფხაზური კულტურის ინსტიტუტის დირექტორ ანდრეი ჭოჭუასთან „ახალი აფხაზური ანბანი"), 17 თებერვალს (სტატია „სახელმძღვანელოთა გადაყვანა ახალ აფხაზურ ანბანზე"), 1 მარტს („აფხაზური ანბანის სასწრაფოდ შესწავლისათვის"), 4 მარტს („ახალი აფხაზური ანბანის შესწავლა"), 22 მარტს (მიხაილ დელბას სტატია „აფხაზური ანბანის შესწავლის შესახებ"), 23 აპრილს („სახელმძღვანელოები აფხაზური სკოლებისათვის"). ბოლო პუბლიკაციას ახლავს ფოტოსურათი, რომელზეც გამოსახულნი არიან გაზეთების „სოვეტსკაია აბხაზიასა" და „აფსნი ყაფშის" სტამბის მუშაკები ახალი დამწერლობის შესწავლის პროცესში. იმავე გაზეთმა გამოაქვეყნა ასევე საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის დადგენილება „ახალი სასწავლო წლისათვის მზადების შესახებ", რომლის მე-7 მუხლი ავალდებულებდა აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობას (სახელგამს), 20 აგვისტოსათვის დაესრულებინა ახალ ანბანზე გადაყვანილი აფხაზური სასკოლო სახელმძღვანელოების ბეჭდვა და ხელახლა გამოცემა.

ამ მონაცემთა ფონზე მცდარია ევა თანიას განცხადება, ქართულ გრაფიკაზე გადაყვანა მეცნიერულად განმტკიცებული არ ყოფილაო: ახალი დამწერლობის შექმნაში აქტიურად მონაწილეობდა იმ დროს მოღვაწე თითქმის ყველა აფხაზი ენათმეცნიერი და რამდენიმე ქართველი სპეციალისტი.

არც ისაა სიმართლე, რომ ეს აქცია აფხაზთა გაქართველებას ისახავდა მიზნად. ამ მხრივ საყურადღებოა გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზიას„ 1938 წლის 9 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებული მასწავლებლების ი. ბაუმანის, ტ. აგრბასა და ნ. ბერულავას ერთობლივი ცნობა „მასწავლებელთა მომზადება", რომელშიც წერია, რომ გუდაუთაში ამოქმედებულა მასწავლებელთა მომზადების კურსები, სადაც კვალიფიკაციას რუსულ ენაში იმაღლებდნენ საქართველოს ყველა რაიონიდან ჩამოყვანილი პედაგოგები. ლოგიკური გვგონია დავასკვნათ, რომ რუსიფიკაციის ინტენსიური პროცესის პირობებში აფხაზთა გაქართველებაზე ფიქრიც კი, თანაც სისხლიან 1937-1938 წლებში გამორიცხული იქნებოდა.

ქართულ გრაფიკაზე გადაყვანილი აფხაზური დამწერლობა აქტიურად გამოიყენებოდა: იბეჭდებოდა სასკოლო სახელმძღვანელოები, მხატვრული, პოლიტიკური და სამეურნეო ლიტერატურა, გაზეთები... 1938-1954 წლებში სულ გამოიცა 300-ზე მეტი დასახელების ნაბეჭდი პროდუქტი (დეტალურად იხ.

ქვემოთ). ეს რეალური მონაცემები გამორიცხავს ე. თანიასა და მისი თანამოაზრე აფხაზი ავტორების მცდელობას, საქმე ისე წარმოადგინონ, თითქოსდა ამ პერიოდში აიკრძალა აფხაზურ ენაზე წიგნების გამოცემა და მიმდინარეობდა აფხაზთა გაქართველება.

ქართულ გრაფიკაზე გადაყვანილ აფხაზურ დამწერლობაში გამოყენებულ იქნა ქართული ანბანის მხედრული ვარიანტის 33-ვე ასო, რომელთაც დაემატა XIX საუკუნეში ილია ჭავჭავაძის ინიციატივით ქართული დამწერლობიდან ამოღებული 4 ასო (ჲ ჯ ჶ ჭ), აგრეთვე სამეცნიერო ტრანსკრიფციიდან აღებული 2 დიაკრიტიკული ნიშანი (ჳ, ჷ). ამ დამწერლობას ორი ნაკლი ჰქონდა:

- 20 სპეციფიკური აფხაზური ფონემის გადმოსაცემად გამოიყენებოდა ორ-ორი ნიშნისაგან შემდგარი დიგრაფები;
- თანხმოვანთა ლაბიალიზაცია ორგვარი წესით აღინიშნებოდა.

* * *

დამწერლობათა ცელის მესამე პერიოდი 1954 წლის გაზაფხულიდან 1996 წლამდე გრძელდებოდა, როცა აფხაზური დამწერლობა მცირედი ცვლილებებით დაუბრუნდა მ. ზავადსკის ანბანის საფუძველზე ანდრეი ჭოჭუას მიერ 1909 წელს შექმნილ ვარიანტს, რომელსაც იგივე ნაკლოვანებები გადმოჰყვა:

ფონემათა მნიშვნელოვან ნაწილს (18 ბგერას) ამჟამადაც გადმოსცემენ დიგრაფები;

თანხმოვანთა ლაბიალიზაცია თუ ადრე ორნაირად აისახებოდა, ეს ნაკლი გასწორდა მხოლოდ პოსტსაბჭოთა პერიოდში, 1996 წელს.

პირადად ჩვენთვის 3 აფხაზი კოლეგისაგან ცნობილი იყო, რომ XX საუკუნის 70-80-იან წლებში აფხაზ ენათმეცნიერებს ჰქონდათ სურვილი მაშინ მოქმედი დამწერლობის ვარიანტის დახვეწისა, მაგრამ პროექტზე მუშაობის დაწყებას ვერ ბედავდნენ, ვინაიდან მოსკოვი დამწერლობებში უმცირეს ცვლილებათა შეტანასაც კი კატეგორიულად კრძალავდა[7].

7. ანალოგიისათვის: დაახლოებით 35 წლის წინ ყაბარდოელმა ენათმეცნიერებმა აკად. არნოლდ ჩიქობავასთან ჩამოიტანეს მათ მიერ ყაბარდოული დამწერლობის დასახვენად მომზადებული პროექტი. იმ პროექტის მიხედვით, დამწერლობა კვლავ კირილიცას უნდა დაყრდნობოდა, მაგრამ ზოგი რუსული ასოს გადაკეთების გზით ზუსტდებოდა ფონემათა ერთი ჯგუფის გადმოცემა. მასპინძელმა მათ შეახსენა, რომ დაუნერელი წესები მოქმედებდა და რუსული ასოების რაიმე სახით გადაკეთება სასტიკად იკრძალებოდა. სტუმრებმა დანანებით ჩაილაპარაკეს, როდის გვექნება ელემენტარული საკითხების იმათ გარეშე მოგვარების უფლებაო.

* * *

ორიოდე სიტყვა XIX საუკუნეში კავკასიის ხალხთა უდამწერლობო ენებზე დამწერლობათა შექმნის რეალურ მიზანთა შესახებაც უნდა ითქვას. ხ. ბჟღაჟბა წერდა: *„მთიელთა დედაენებზე დამწერლობის შემოღების, ასევე მათ შორის წერა-კითხვის გავრცელების საკითხები წამოიჭრა „კავკასიის ომის" დასრულების შემდეგ (1864 წ.). ამ დროს ცარიზმი, რა თქმა უნდა, რუსიფიკატორულ მიზნებს ისახავდა, მაგრამ, უეჭველია, რომ ამ მიმართულებით მის მიერ განხორციელებული ზოგი ღონისძიება ობიექტურად პროგრესული მნიშვნელობისა იყო"* (ბღაჟბა, 1967, გვ. 36).

ჩვენ ვეთანხმებით იმას, რომ აფხაზური ენისათვის დამწერლობის შექმნა ნამდვილად განსაკუთრებული მნიშვნელობის ისტორიული მოვლენა იყო, თუმცა მას იმთავითვე ახლდა მძიმე პოლიტიკურ-იდეოლოგიური შეფერილობა. მთიელთა ენებისათვის დამწერლობების შექმნის საკითხი კი რეალურად დაისვა არა 1864 წელს, არამედ 1859 წელს, როცა დაღესტან-ჩეჩნეთში დასრულდა საომარი მოქმედებები და იმამი შამილი ტყვედ ჩაბარდა რუსებს, ომი კი ჯერ კიდევ გრძელდებოდა ჩერქეზთა და უბიხთა წინააღმდეგ (რუსეთ-კავკასიის ომი დამთავრდა 1864 წლის 21 მაისს). იმპერიის ხელისუფლებამ ხანგრძლივი ომის გამო მთიელთა შორის წარმოქმნილი მტრული განწყობის შესარბილებლად და მათთან საერთო ენის გამოსაძებნად დააარსა მთიელთა სკოლები, რასაც წინ უძღოდა იმავე წელს იმპერატორის მიერ მთიელთა სკოლების დებულების დამტკიცება. ამ საფუძველზე 1861 წლის გაზაფხულზე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ივან ბარტოლომეიმ სპეციალური წერილით მიმართა კავკასიის მეფისნაცვალ მიხაილ რომანოვს, რომელშიც იგი სვამდა საკითხს *კავკასიის ზოგ უდამწერლობო ენაზე, მათ შორის აფხაზურზე დამწერლობის შემოღებისა და საანბანო სახელმძღვანელოების შედგენის საჭიროების შესახებ.*

იმავე წელს პ. უსლარმაც დაიწყო ფიქრი აფხაზურისა და სხვა უდამწერლობო კავკასიური ენებისათვის დამწერლობის შექმნაზე. იგი წერდა:

„წერა-კითხვა დედაენაზე მოსწავლეებს უნდა მიეწოდოს ძალიან ადვილად, ისევე, როგორც მიეწოდება მთელ განათლებულ ევროპაში სწავლების გონივრული სისტემის პირობებში. გარდა ამისა, მან [განათლებამ - თ.გ.] უნდა შეამზადოს და განაწყოს მთიელები რუსული ენის შესასწავლად და რუსული განათლების გასაცნობად. ცხადია, რომ ორივე პირობა ერთობლივად მიიღწევა მხოლოდ მაშინ, როდესაც მთიელთა დამწერლობების საფუძვლად მიღებულ იქნება რუსული დამწერლობა" (უსლარი,1887, დანართი, გვ. 15. თარგმანი და ხაზგასმა ჩვენია).

სწორედ ამ იმპერიულმა პოლიტიკურ-იდეოლოგიურმა პოზიციამ განაპირობა ის ფაქტი, რომ, მართალია, პ. უსლარს ქართული ანბანი იდეალურ დამწერლობად

მიაჩნდა მისი ეკონომიურობის გამო (აქ ფონემათა და ასოთა რაოდენობა აბსოლუტური სიზუსტით ემთხვევა ერთმანეთს), მაგრამ მაინც რუსული გრაფიკა ამჯობინა. იგი ასე ასაბუთებდა თავის აზრს:

„...თუ ჩვენ ვისესხებთ ქართველებისაგან არა მარტო დამწერლობის სისტემას, არამედ ასოთა მოხაზულობასაც, მაშინ სრულიად უნებურად შევქმნით სირთულეებს, რომლებიც მით უფრო საგრძნობი იქნება, რაც უფრო მეტად გავრცელდება კავკასიაში წერა-კითხვა [ანუ განათლება - თ.გ.]. დამწერლობის საზიაროობის სარგებელი ცხადია: იმის ნაცვლად, რომ ყოველი ახალი ენისათვის დაისწავლო ოცდაათამდე ახალი ნიშანი, მოგვიწევს დავისწავლოთ მათი ძალიან მცირე რაოდენობა; წერისათვის ეს სარგებელი კიდევ უფრო მეტად ხელშესახებია: ყოველ სტამბაში შესაძლებელი იქნება მრავალ ენაზე წიგნების ბეჭდვა. ქართულ დამწერლობას მხოლოდ ქართველები იყენებენ; იგი მკაფიოდ განსხვავდება როგორც რუსული, ისე ყველა ევროპული ანბანისაგან; ამასთან ერთად რუსული წერა-კითხვა უკვე ძალიან გავრცელებულია განათლებულ ქართველებსა და სომხებში. მთიელ ხალხთა უმრავლესობას თითქმის არა აქვს არავითარი კავშირი ქართველებთან, მაგრამ აქვთ უწყვეტი კავშირი რუსებთან, ცხადად გრძნობენ მოთხოვნილებას, ისწავლონ რუსული ენა და რუსულად წერა-კითხვა. ამრიგად, საჭიროა ქართული დამწერლობისათვის გამოყენებულ იქნეს რუსული ასოები აუცილებელი დანამატებითურთ. დანამატები აუცილებელია, რადგან ნიშნების (წერტილების, ან ასოების ქვემოთა ხაზების) გადაჭარბებული გამოყენება ისევე, როგორც ორი ასოს შეხამებით ერთი ბგერის გამოხატვა არის ნამდვილი არასრულყოფილება“ (უსლარი, 1887, გვ. 49-50. თარგმანი და ხაზგასმა ჩვენია - თ.გ.).

როცა პ. უსლარს მიაჩნდა, რომ თვით ქართული დამწერლობაც უნდა გაუქმებულიყო და მის ნაცვლად რუსული ანბანი დანერგილიყო, იგი არავითარ შემთხვევაში არ დასთანხმდებოდა აფხაზური, თუ ნებისმიერი სხვა კავკასიური ენისათვის მის გამოყენებას. მიზეზი ცხადი იყო: ყველა კავკასიელი ხალხი ადრე თუ გვიან ჯერ უნდა შესჩვეოდა რუსულ დამწერლობას, მერე გარუსებულიყო, ბოლოს კი იმპერიის უერთგულეს ყმებად უნდა ქცეულიყვნენ.

ამრიგად, უნდა დავასკვნათ, რომ მე-19 საუკუნეში არა მარტო აფხაზური ენისათვის, არამედ კავკასიის მანამდე უდამწერლობო სხვა ენებისათვის ვ. მილერის, ა. შიოგრენისა და პ. უსლარის მიერ დამწერლობათა შექმნას საფუძვლად პოლიტიკურ-იდეოლოგიური მიზნები, კერძოდ, შესაბამის ხალხთა მასობრივი გარუსების დაჩქარება ედო. ეს მიზნები უცვლელად რჩებოდა აფხაზური დამწერლობის ყველა ცვლილების განხორციელების დროს, თვით ლათინიზაციაც კი, მისი მოჩვენებითი ნეიტრალურობის მიუხედავად, დროებითი ტაქტიკური

მანევრი იყო ნამდვილი მიზნის შესანიღბად და იმის საჩვენებლად, თითქოს იმპერიას შესაბამის ხალხთა გარუსება კი არ სურდა, არამედ განათლებისა და კულტურის დონის ამაღლება. იგივე ითქმის ქართულ გრაფიკაზე აფხაზური დამწერლობის გადაყვანის 16-წლიანი პერიოდის შესახებაც, როცა საიმპერიო მასშტაბის კირილიზაციის პროცესში გამონაკლისი მხოლოდ საქართველოში დაუშვეს, რითაც შეყოვნებული მოქმედების ნაღმები ჩაიდო ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ ურთიერთობებში.

უნდა გაეითვალისწინოთ შემდეგიც: საბჭოთა პერიოდს ერთი თავისებურება ჰქონდა, რითაც იგი პოლარულად განსხვავდებოდა რუსეთის იმპერიის პერიოდისაგან - მეფის რეჟიმი თავის იმპერიულ-კოლონიალისტურ გეგმებს არასოდეს მალავდა და საჯაროდ აცხადებდა (იმ დროს ევროპის ქვეყნების დიდი ნაწილიც იმპერიები იყო და რუსები მათ არ ეკეკლუცებოდნენ დემოკრატიის თამაშით!), კომუნისტები კი უპირატესად ლამაზი სიტყვებით ფონგლიორობას ამჯობინებდნენ: ერთს ამბობდნენ და სხვას გულისხმობდნენ, ან უსიტყვოდ ჩადიოდნენ საძაგლობებს. ამიტომ ძნელია საბჭოთა პერიოდის მასალებში წაანყდე ისეთ შეუნიღბავ იმპერიალისტურ-კოლონიზატორულ განცხადებას, როგორიცაა იმპერიის იდეოლოგის ევგენი ვეიდენბაუმის სიტყვები:

„აფხაზური ენა, რომელსაც არა აქვს დამწერლობა [სინამდვილეში იმ დროს უკვე ჰქონდა - თ.გ.] და ლიტერატურა, რა თქმა უნდა, განწირულია ახლო, თუ შორეულ მომავალში გასაქრობად. საქმე ის არის: რომელი ენა შეცვლის მას? ცხადია, რომ [აფხაზურ] მოსახლეობაში კულტურული იდეებისა და ცნებების დამნერგავის როლი უნდა შეასრულოს არა ქართულმა, არამედ რუსულმა ენამ. ამიტომ მგონია, რომ აფხაზური დამწერლობის შექმნა თვითმიზანი კი არ უნდა გახდეს, არამედ იგი [დამწერლობა] უნდა იყოს მხოლოდ ეკლესიისა და სკოლის მეშვეობით ქართულ ენაზე მოთხოვნილების შემამცირებელი და სახელმწიფო ენით ჩანაცვლების საშუალება“ (ინალ-იფა, 1965, გვ. 164-165. ხაზგასმა ჩვენია - თ.გ.).

მსოფლიოში იშვიათია ენა, რომლის დამწერლობაც სულ რაღაც 135 წლის განმავლობაში (1861-1996 წწ.) ამდენგზის შეცვლილიყოს და თითქმის ყველა შემთხვევაში საკითხი გადაწყვეტილიყოს პოლიტიკური მოტივების საფუძველზე! აფხაზური სამწიგნობრო ენის დამწერლობისათვის გრაფიკული საფუძვლების 9-ჯერ შეცვლა-დაზუსტებამ, უპირველეს ყოვლისა, დააზარალა აფხაზთა ყველა თანადროული თაობა:

წარმოვიდგინოთ, რომ 1926 წელია. მეორე კლასში გადავიდნენ აფხაზი მოსწავლეები ბაბუსია (გოგონა) და სივარნა (ვაჟი), რომლებმაც შარშან, 1925 წელს დაიწყეს წერა-კითხვის სნავლა რუსული ასოებით ნაბეჭდი ა. ჭოჭუას

მიერ შედგენილი საანბანო წიგნით. სექტემბერში სწავლის დაწყებისთანავე ბავშვებს გამოუცხადეს, რომ ის დამწერლობა, რომელიც პირველ კლასში შეისწავლეს, გაუქმდა და ამჯერად სასწრაფოდ უნდა შეისწავლონ ნ. მარის შედგენილი დამწერლობა. მოსწავლეებისა და მშობლების მარტივ შეკითხვაზე, რატომ გახდა აუცილებელი დამწერლობის შეცვლა, პასუხი ერთადერთია: ასე გადაწყდა მოსკოვში და ვერაფერს შევცვლითო. დაიწყეს ბავშვებმა „ანალიზური დამწერლობის" შესწავლა და მიუხედავად მისი დიდი სირთულისა, დაძლიეს, მაგრამ ზუსტად 2 წლის მერე, 1928 წელს მე-4 კლასში გადასულ მოსწავლეებს ისევ გამოუცხადეს, ნიკოლაი მარის დამწერლობა გაუქმდა და იაკოვლევ-პოლივანოვ-ჭანბა-ჰაშბას ლათინიზებული დამწერლობა უნდა ისწავლოთო. მოსწავლეებისა და მშობლების მიერ ხელახლა დასმულ შეკითხვას, რატომ გახდა აუცილებელი დამწერლობის შეცვლაო, იგივე პასუხი მოჰყვა, ასე გადაწყდა მოსკოვში და ვერაფერს შევცვლითო. ესეც ისწავლეს საწყალმა მოსწავლეებმა. რა მიიღეს მათ? 3 წელი მოანდომეს 3 სხვადასხვა დამწერლობის შესწავლას, რამაც შეიწირა სხვა ენობრივი საკითხების შესასწავლად განკუთვნილი დრო, ენერგია და ფსიქოლოგიური რესურსები. შედეგი ის იყო, რომ მოსწავლეებს ჰქონდათ უზარმაზარი სტრესი - ნერვების ხარჯვა დასჭირდათ ერთი და იმავე საქმის სამგზის სხვადასხვანაირად შესწავლისათვის და ალბათ სწავლის განგრძობის ხალისიც უკვალოდ გაუქრათ.

წარმოვიდგინოთ სხვადასხვა თაობის მოსწავლეთა მდგომარეობა ლათინური გრაფიკიდან 1938 წელს ქართულზე გადაყვანისა და ქართული გრაფიკიდან 1954 წელს რუსულზე გადასვლის დროსაც. სრულიად უდავოა, რომ ასეთი რადიკალური ცვლილებები გამოიწვევდა აფხაზ მოსწავლეთა შორის სწავლისადმი ინტერესის მასობრივად დაკარგვას და ცოდნის ხარისხის დაცემას.

ამ კონტექსტში წამოიჭრება ერთი დროული და ლოგიკური, თანაც რიტორიკული შეკითხვა:

რატომ მიიჩნევენ ჩვენი აფხაზი კოლეგები ანტიაფხაზურ ნაბიჯად მაინცდამაინც 1938 წელს ქართული გრაფიკის შემოღებას და დუმილით უვლიან გვერდს 1926, 1928 და 1954 წლების აქციებს?

აკი ოთხივე შემთხვევაში არ ყოფილა გათვალისწინებული მოსწავლეთა ფსიქიკასა და ცოდნის დონეზე ამ აქციების მოსალოდნელი უარყოფითი ზეგავლენა!

განა 1926, 1928 და 1954 წლებში იგივე არ მოხდა, რაც 1938 წელს?!

თავი IV
აფხაზური ენა განათლების სისტემაში

§1. განათლების ენა რუსეთის იმპერიის არსებობის ბოლო ეტაპზე

XIX საუკუნის დასაწყისში, როცა აფხაზეთი რუსეთის ინტერესების სფეროში შევიდა, ამ ტერიტორიაზე სრულებით არ არსებობდა არცერთი საგანმანათლებლო დანესებულება. დაინტერესებული მოსახლეობა, განსაკუთრებით, არისტოკრატია და სასულიერო ფენა წერა-კითხვას შინ სწავლობდა, ქრისტიანები - ქართულად, ხოლო მაჰმადიანები - არაბულად.

აფხაზური ენის სასწავლო დისციპლინად დანერგვის პირველი ინიციატორი იყო 1862-1869 წლებში აფხაზეთის ეპისკოპოსი, წმიდა ალექსანდრე ოქროპირიძე (1824-1907 წწ.), რომელიც 1851 წელს დაინიშნა აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად, იმავე წლის 25 სექტემბერს კი გახდა ლიხნის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი. მან შეადგინა ლიხნის სასწავლებლის სასწავლო პროგრამა, რომელშიც სხვა საგნებთან ერთად შეიტანა რუსული ენა, ქართული ენა და პრაქტიკული ვარჯიში აფხაზურ ენაში. ეს იყო პირველი შემთხვევა აფხაზური ენის არსებობის ისტორიაში, როცა დაისვა საკითხი აფხაზური ენის გამოყენების შესახებ საგანმანათლებლო სისტემაში.

„იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ეწარმოებინათ აფხაზური ენის სწავლება, გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის ალექსანდრესა და სამურზაყანოს ბლაღოჩინის[8] დ. მაჭავარიანის სახელზე 1853 წლის 4 მარტს თბილისიდან გამოგზავნილი წერილი. მასში ნათქვამია, რომ ეგზარქოსმა, მიიღო რა მხედველობაში აფხაზური დამწერლობის არარსებობა, შეარჩია რამდენიმე სიტყვა „близких понятиям грубого народа" [„მოუხეშავი ხალხის ცნებებთან ახლომყოფი" - თ. გ.] და ითხოვა ყოველი ამ სიტყვის ქართულად თარგმნა, აგრეთვე ცხრილის შედგენა, სადაც ყოველი რუსული სიტყვის გასწვრივ უნდა მიწერილიყო შესატყვისი აფხაზური სიტყვა რუსული და ქართული ასოებით. სავარაუდოდ, ასეთი უნდა ყოფილიყო აფხაზური ენის პირველი „საბელმძღვანელო" (გამახარია, 2005, გვ. 419-420. იხ. აგრეთვე: ჭიჭინაძე, 1907, გვ. 77; როგავა, 2002, გვ. 114-122; ცსია, ფ. 493, აღწ. 1, ს. 160. ფ. 2; ფ. 488, აღწ. 1, ს. 26 487, ფ. 1).

1852 წლის 16 ნოემბერს შავი ზღვის სანაპირო ხაზის უფროსის, ვიცე-

8. იმდროინდელ რუსეთში ეპარქიები იყოფოდა სამრევლოების ჯგუფებად, „საბლაღოჩინოებად" (რუს. благочиние). სამრევლოთა თითოეულ ჯგუფს ხელმძღვანელობდა ერთ-ერთი სამრევლოს მღვდელი, ან დეკანოზი, რომელსაც ეწოდებოდა კეთილმოწესე, ანუ ბლაღოჩინი (რუს. благочинный).

ადმირალ ლაზარ სერებრიაკოვის [ნამდვილი გვარი - არწათაგორწიანი] მიერ საქართველოს ეგზარქოს ისიდორის სახელზე გაგზავნილ წერილში აღნიშნულია, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე ერთადერთი მოქმედი სასწავლებელი ადგილობრივი ბავშვებისათვის 1852 წელს სოხუმში დაუარსებია რუსეთის მთავრობას. მთავრობას ასევე გამოუყვია თანხა სოუქსუში (სოფელ ლიხნში) სასულიერო სასწავლებლისათვის შენობის ასაგებად.

1859 წელს დაღესტნისა და ჩეჩნეთის დაპყრობის შემდეგ რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრ II-მ დაამტკიცა „წესდება მთიელთა სკოლების შესახებ". ამ სკოლების მიზანი უნდა ყოფილიყო რუსი სამხედროებისა და ჩინოსნების ვაჟების ადგილობრივ კავკასიელთა შვილებთან ერთად სწავლება მათი დაახლოებისა და კავკასიელთა „მოთვინიერებისათვის". მთიელთა სკოლებში სწავლების ენა რუსული იყო. ასწავლიდნენ შემდეგ საგნებს:

- მართლმადიდებლობის საფუძვლები (ქრისტიანი მოსწავლეებისათვის), ან მაჰმადიანური კანონი (რჯული) (მაჰმადიანი მოსწავლეებისათვის);
- რუსული ენა და გრამატიკა;
- ზოგადი და რუსეთის იმპერიის გეოგრაფია;
- ზოგადი და რუსული იტორია;
- არითმეტიკა და გეომეტრიის საფუძვლები;
- სუფთა წერა და ხატვა.

მთიელთა სკოლები დაარსდა დაღესტანში, ჩეჩნეთში, ინგუშეთში, ოსეთში, ჩერქეზეთში (ზაიცევა, 2016).

სოხუმის მთიელთა სკოლა გაიხსნა 1863 წლის 4 აპრილს. მასში თავიდან 20 მოსწავლე სწავლობდა, რომელთაგან 15 აფხაზი ყოფილა, 5 კი - რუსი. სკოლის მზრუნველად დაინიშნა აფხაზეთში განლაგებული ჯარის სარდალი, გენერალი პაველ შატილოვი. სწავლის ხარჯს ხაზინა ფარავდა. სწავლების ხანგრძლივობა დასაწყისში 3 წელი იყო, შემდეგ კი 5 წელი გახდა.

პროფ. ალექსი კასლანძიას სიტყვით, სოხუმის მთიელთა სკოლაში სწავლება მხოლოდ რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. მასწავლებლები რუსულად ლაპარაკობდნენ, აფხაზმა მოსწავლეებმა კი რუსული სრულებით არ იცოდნენ. შემდგომში დიმიტრი გულიას, რომელიც ამავე სკოლის კურსდამთავრებული იყო, წამოუჭრია საკითხი, რომ შემოღებულიყო აფხაზური ენის სწავლება, რაც დადებითად გადაწყვეტილა. ეს სკოლა მრავალ აფხაზ მოღვაწეს აქვს დამთავრებული (ქაპბა, 2016).

ჩვენი აზრით, დ. გულიას ეს საკითხი უნდა დაესვა XIX საუკუნის 90-იან წლებში, კონსტანტინე მაჭავარიანთან ერთად 1892 წელს აფხაზური საანბანო წიგნის გამოცემის მერე - მოსალოდნელია, რომ მას ენდომებოდა თავისი

სახელმძღვანელოს დანერგვა აფხაზეთის ყველაზე პრესტიჟულ სასწავლებელში, რომელშიც თვითონაც სწავლობდა.

როგორც უკვე აღინიშნა ზემოთ, 1861 წლის გაზაფხულზე რუსეთის არმიის გენერალმა ივან ბარტოლომეიმ სპეციალური წერილით მიმართა კავკასიის მეფისნაცვალ მიხაილ რომანოვს, რომელშიც აეტორი სვამდა საკითხს კავკასიის ზოგ უდამწერლობო ენაზე დამწერლობის შემოღებისა და საანბანო სახელმძღვანელოების შედგენის საჭიროების შესახებ. იგი მიიჩნევდა, რომ ამ საქმის გასაძღოლად უპრიანი იყო, შექმნილიყო არა ცალკეული კომისიები ენების მიხედვით, არამედ უნდა შემდგარიყო კომპლექსური კომისია, რომელშიც უნდა შეეყვანათ არა მარტო ფილოლოგიაში გარკვეული პირები, არამედ ისინიც, ვისთვისაც კონკრეტული ენები დედაენა იყო და ამასთანავე იცოდნენ რუსული ენაც. კომისიას უნდა ემუშავა თბილისში, სადაც ბიბლიოთეკებიც ხელმისაწვდომი იყო. საჭიროების შემთხვევაში კომისიას თბილისში უნდა გამოეძახებინა ენის მცოდნეები.

მეფისნაცვალმა მოიწონა ეს წინადადება და დაავალა ი. ბარტოლომეის, შეედგინა კომისია თავისი შეხედულებისამებრ. კომისიის შექმნის რწმუნება გასცა კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენმა საზოგადოებამაც. შემოდგომაზე შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელმაც შეადგინა ტექსტის პირველი ვარიანტი. ეს ტექსტი ნაიკითხა და ჩაასწორა თბილისში მცხოვრებმა აფხაზმა კონსტანტინე შარვაშიძემ. ტექსტს გასცნობია გენერალი პიოტრ უსლარიც, რომელიც საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების დავალებით მუშაობდა აფხაზური ენის გრამატიკული მიმოხილვის შედგენაზე და აფხაზური სიტყვების ჩასაწერად იყენებდა აკად. ანდერს (ანდრეი) შიოგრენის მიერ ოსური ენისათვის შედგენილ, რუსულ ასოებზე დაფუძნებულ გრაფიკას. აკად. სიმონ ჯანაშიას ასულის რუსუდან ჯანაშიას ზეპირი ცნობით, როცა უსლარს უნახავს, რომ ბარტოლომეის კომისიას აფხაზური ბგერების გადმოსაცემად გამოუყენებია ქართული ანბანი, პროტესტი გამოუთქვამს, ბარტოლომეი იძულებული გამხდარა, შეეჩერებინა კომისიის მუშაობა. კარგახნის შემდეგ კომისიას განუგრძია საქმიანობა, ოღონდ ამჯერად აფხაზური სიტყვების ჩასაწერად გამოყენებულ იქნა პ. უსლარის მიერ რუსულ გრაფიკაზე დაყრდნობით შედგენილი დამწერლობა. ბარტოლომეის კომისიის მიერ შედგენილი პირველი საანბანო ნიგნი აფსუა ანბან „აფხაზური ანბანი" გამოიცა თბილისში 4 წლის დაგვიანებით, 1865 წელს.

აფხაზური ენის გამოყენება სასწავლებლებში აფხაზური საანბანო სახელმძღვანელოს გამოცემისთანავე არ დაწყებულა, ვინაიდან ამას ხელს უშლიდა შემდეგი მიზეზები:

- აფხაზეთში სამრევლო სკოლების არარსებობა;
- მასწავლებელთა უყოლობა;
- ხელისუფლების მხრიდან აფხაზ ხალხში აფხაზური ენის ცოდნის გავრცელებისადმი გულგრილი დამოკიდებულება - მეფის ხელისუფლება ყველა კავკასიელი ხალხის გარუსებას გეგმავდა და სულაც არ აინტერესებდა დედაენების ცოდნის განმტკიცება.

იმპერიის სახალხო განათლების სამინისტრო თავის დაქვემდებარებაში არსებულ სასწავლებლებში, მაგალითად, კლასიკურ გიმნაზიებში კატეგორიულად კრძალავდა არარუს ხალხთა ენების სწავლებას: თბილისისა და ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიებში ენათაგან ასწავლიდნენ რუსულს, ძველ ბერძნულს, ლათინურს, ასევე ფრანგულს ან გერმანულს, მაგრამ ქართული სრულებით არ ისწავლებოდა. მეტიც, აკაკი წერეთლის მემუარებიდან ცნობილია, რომ ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეებს ფიზიკურად სჯიდნენ შესვენების დროს ერთმანეთთან დედაენაზე გამოლაპარაკების გამო (წერეთელი, 1985, გვ. 56).

გარუსების პოლიტიკის განსხვავებული, უფრო რბილი და შემპარავი ტაქტიკით მოქმედებდა რუსეთის ეკლესია, რომელსაც იმპერიაში არსებულ ტაძრებთან შექმნილი ჰქონდა სამრევლო სკოლები, მათ შორის არარუსი მოსახლეობისთვისაც. სამრევლო სკოლის მოსწავლეებს დასაწყისში ასწავლიდნენ დედაენებს, რომელთაც ეკისრებოდა რუსულ ენაზე სწავლებისათვის მომზადების ფუნქცია, მით უმეტეს იმ სოფლებში, სადაც არარუსები ცხოვრობდნენ. ვფიქრობთ, ი. ბარტოლომეის კომისიისადმი პ. უსლარის დაპირისპირება აფხაზური ენისათვის გრაფიკული საფუძვლების შერჩევის საკითხზე არ უნდა ყოფილიყო მხოლოდ პ. უსლარის პირადი ამბიციებით გამოწვეული (მას ალბათ სურდა, რომ მის მიერ შედგენილი დამწერლობა დამკვიდრებულიყო აფხაზური ენისათვის). ამ შემთხვევაში პრაქტიკულად აფხაზი და სხვა უდამწერლობო კავკასიელი ხალხების გარუსების ორი ტაქტიკის - უხეშისა და შერბილებულის დაპირისპირება უფრო იყო. ეკლესიის პოზიციას, ჩვენი აზრით, ის ფაქტორი ამყარებდა, რომ მას ქრისტიანობის გავრცელების მისიაც ეკისრებოდა, ეს კი შესაბამის პოტენციურ მრევლთან მისსავე ენაზე ქადაგებით ბევრად უფრო იოლი მისაღწევი იქნებოდა. შემთხვევითი არ არის, რომ ი. ბარტოლომეის კომისიის მუშაობას თვალყურს ადევნებდა კავკასიის არაქრისტიან ხალხთა შორის მისიონერული საქმიანობისათვის XVIII საუკუნეში შექმნილი „ოსეთის სასულიერო კომისიის“ მემკვიდრე, 1860 წელს დაარსებული კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოება (კმქასი), რომელსაც სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ როგორც კავკასიის მეფისნაცვლები (ა. ბარიატინსკი, მ. რომანოვი), ისე საქართველოს ეგზარქოსები, ანუ საერო და სასულიერო

იერარქები. ამ საზოგადოების დასაარსებლად შექმნილმა კომიტეტმა დაადგინა:

„იმ საფრთხის გამო, რომ მაჰმადიანთა ამჟამინდელი განწყობის პირობებში კომიტეტი დასაწყისშივე არ ჩაებას ბრძოლაში მაჰმადიანურ ფანატიზმთან, მთელი ყურადღება უნდა დაეთმოს ქრისტიანობის აღდგენასა და განმტკიცებას იქ, სადაც იგი მხოლოდ შესუსტებულია, კერძოდ, სამურზაყანოში, სვანეთში, სამხრეთ ოსეთში, თუშეთში, ფშავლებსა და ხევსურებში, საიდანაც ქრისტიანობის შუქი შემდგომში შეაღწევს აფხაზეთში[9]*, ბალყარელებთან და ყარაჩაელებთან, ჩრდილოეთ ოსეთში, ქისტებთან და სხვა ჩეჩნურ ტომებთან“* (კლიჩნიკოვა, სავენკო, 2010. თარგმანი ჩვენია - თ.გ.).

იმავე კომიტეტმა შესაქმნელ საზოგადოებას შემდეგი ამოცანებიც დაუსახა:

1. ითარგმნოს საღვთისმსახურო წიგნები ოსურ, აფხაზურ, სვანურ და ქისტურ ენებზე. პირველ მათგანზე [ოსურ ენაზე - თ.გ.] თარგმნა წარმატებით მიმდინარეობს; ხოლო აფხაზურ, სვანურ და ქისტურ ენებს ჯერ კიდევ სჭირდებათ დამწერლობის შექმნა. ამ ამოცანის შესრულება დაევალა კომიტეტის წევრს, გენერალ-მაიორ ბარტოლომეის.
2. საზოგადოების სახსრების შესაბამისად აღდგეს მთის სამრევლოებში ამჟამად არსებული ეკლესიები და ძველი ეკლესიების ადგილზე აშენდეს ახლები. გადაწყდა, პირველ ჯერზე დაიწყოს ეკლესიების აგება:
   ა. ხევსურეთში - სოფლებში არდოტში, ლებაისკარსა და ხახმატში[10];
   ბ. თუშეთში - ილურთაში, ნაციხვარში, შენაქოსა და თიანეთში [? - თ.გ.];
   გ. სვანეთში - სოფლებში ფარსა და ბეჩოში;
   დ. სამურზაყანოში - ოქუმისა და ბედიის სამრევლოებში [ოქუმი ქართული სოფელი იყო, ხოლო ბედიის თემში ცხოვრობდნენ ქართველებიც და აფხაზებიც - თ.გ.];
3. მომარაგდნენ მისიონერები მათი მიზნის შესაბამისი საგანგებო ინსტრუქციით. ამ საფუძველზე მისი უწმინდესობის, ეგზარქოსის მიერ შედგენილი ღვთის სიტყვის რჩევა-დარიგება, ქართულად გადათარგმნილი, სახელმძღვანელოდ დაეგზავნება მისიონერ სამღვდელოებას.
4. თბილისისა და სტავროპოლის [სასულიერო] სემინარიებში გაიხსნას კლასები მთიელთა ტომების ენებზე სწავლებისა და, საზოგადოდ, იმ სასულიერო პირთა განსანათლებლად, ვისაც დაევალება მთებში ღვთის სიტყვის ქადაგება“ (კლიჩნიკოვა, სავენკო, 2010. ხაზგასმა და თარგმანი ჩვენია - თ.გ.).

9. ამ საბუთში სამურზაყანო აფხაზეთის ნაწილად არ იგულისხმება.

10. ზოგი სოფლის დამახინჯებული სახელი ჩავასწორეთ - თ.გ.

ამ დოკუმენტიდან ნათლად ჩანს, რომ უკვე 1860 წლისათვის კავკასიის ენებზე დამწერლობების შექმნა, ამ ენათა სახელმძღვანელოების შედგენა და სწავლების დაწესება საერთო პ ო ლ ი ტ ი კ უ რ მიზნებს ემსახურებოდა:

აშკარაა, რომ წინა, 1859 წელს დაღესტანსა და ჩეჩნეთში მიმდინარე ხანგრძლივი ომის დასრულებისა და შამილის ტყვედ დანებებისთანავე იმპერიას დაუწყია მზადება ჩრდილოეთ კავკასიის მაჰმადიან ხალხებს შორის მართლმადიდებლური ქრისტიანობის გასავრცელებლად და სწორედ ამიტომ გააქტუალურდა კავკასიაში დასახელებული საზოგადოების შექმნაც. იმის შიშით, რომ მაჰმადიან ხალხებს კვლავ არ აეღოთ ხელთ იარაღი, ჯერ დასაყრდენი ბაზები უნდა შექმნილიყო საქართველოს ზოგ მხარეში (სვანეთში, სამურზაყანოში, შიდა ქართლში, ხევსურეთში), რათა მომდევნო ეტაპზე საქმე გაგრძელებულიყო, ერთი მხრივ, აფხაზეთში, მეორე მხრივ კი ჩრდილოეთ კავკასიაში. რაკი კავკასიაში ერთადერთი მართლმადიდებლური ქვეყანა საქართველო იყო და ქართულ ენას ჰქონდა ღვთისმსახურების ენად გამოყენების მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება, იმპერიის მოხელეები და სასულიერო იერარქები ჯერ ქართველთა შორის ქრისტიანობის გაძლიერებაზე ზრუნავდნენ, მაგრამ სულაც არ გეგმავდნენ ქართულად ღვთისმსახურების დანესებას მაჰმადიანთა შორის, რაზეც სასულიერო სემინარიებში მათი ენების სწავლების დაგეგმვა მიუთითებს.

არსებითი იყო ისიც, რომ საგანგებო კომიტეტის წევრები გეგმავდნენ დამწერლობათა შექმნას აფხაზურ, ოსურ და სხვა ენებზე, რაც დაევალა გენერალ ი. ბარტოლომეის. ბარტოლომეის კომისიამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომ აფხაზური სიტყვების ჩასაწერად გამოეყენებინა ქართული დამწერლობა, მაგრამ ეს ნამოწყება ჩაშალა პ. უსლარმა, რომელიც რუსიფიკაციის უფრო რადიკალური ზომების მომხრე იყო და, როგორც ჩანს, მას მხარს უჭერდნენ გავლენიანი პირები, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ გაბედავდა საქართველოს ეგზარქოსის, კავკასიის მეფისნაცვლისა და ახლადშექმნილი მისიონერული საზოგადოების ოფიციალური მფარველის, რუსეთის დედოფალ მარიას საწინააღმდეგო პოზიციის გამოხატვას.

მივუბრუნდეთ აფხაზურ ენაზე განათლების შემოღების ისტორიას.

ი. ბარტოლომეის კომისიის მიერ შედგენილ აფხაზურ საანბანო წიგნს ფართო გამოყენება არ ჰქონია. მიზეზი ის იყო, რომ იმ დროს აფხაზურ სოფლებში ჯერ კიდევ არ არსებობდა სკოლები, მოსახლეობა ვერ ხედავდა ცოდნის მიღების აუცილებლობას და მისი გამოყენების სფეროებს, არ არსებობდნენ პროფესიონალი აფხაზი პედაგოგები, არც სახელმძღვანელო იყო მეთოდიკურად დახვეწილი. ამის გამო ცოტა მოგვიანებით გახსნილ სკოლებში მასწავლებლებად უპირატესად მიდიოდნენ რუსები, ან ქართველები, რომელთაგან რუსებმა არც

იცოდნენ აფხაზური ენა და არც სურვილი ჰქონდათ მისი შესწავლისა, ხოლო სამურზაყანოელი ქართველი მასწავლებლები თავისუფლად ფლობდნენ ამ ენას.

1852 წელს შედგენილ ერთ-ერთ საბუთში წერია, რომ მაშინდელ აფხაზეთში მოქმედებდა ერთადერთი სკოლა სოხუმში, ხოლო სოუქსუში (ლიხნში) დაგეგმილი სასულიერო სასწავლებლის შენობის ასაგებად იმ წელს გამოიყო თანხა (ანჩაბაძე, 2018, გვ. 271). 1868 წლის 26 ივლისის ბარათში, რომელსაც ხელს აწერს იმერეთის ეპისკოპოსი, წმიდა გაბრიელი (ქიქოძე), ვინც შეთავსებით აფხაზეთ-სამურზაყანოს საეკლესიო საქმეებსაც მართავდა, მითითებულია, რომ სამურზაყანოში მრავალი სამრევლო სკოლაა, თუმცა სწავლება მათში მაინცდამაინც შედეგიანი არ არის, ხოლო აფხაზეთში ჯერ არც უცდიათ ახლადშექმნილი აფხაზური საანბანო წიგნის გამოყენებით სწავლება სკოლების უქონლობის გამო. იქვე ეპისკოპოსი აღნიშნავს, რომ სამურზაყანოელები ითხოვდნენ სოფელ ოქუმში ქალთა სკოლის გახსნის ნებართვას და პირობას იძლეოდნენ, რომ საკუთარი ხარჯით შეინახავდნენ მას. წმიდა გაბრიელი მხარს უჭერდა ამ თხოვნას (ანჩაბაძე, 2018, გვ. 284). 1868 წელს შედგენილ სხვა დოკუმენტში მითითებულია, რომ სოფელ ოქუმშიც მოქმედებდა მთიელთა სკოლა (ანჩაბაძე, 2018, გვ. 362). არსებობს ცნობა, რომ აფხაზური ენის სწავლება შეტანილი არ ყოფილა ე.წ. აფხაზური სკოლების პროგრამაში 1907 წელსაც კი (ანჩაბაძე, 2018, გვ. 309).

1882 წელს ი. ბარტოლომეის დაუწერია საყურადღებო მოხსენებითი ბარათი მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების კომიტეტის სახელზე, რომელშიც ასეთი ფაქტია აღწერილი: თურმე ბიჭვინთაში დაბანაკებული ჯარის ნანილის ჯარისკაცებს გაუცნიათ მეზობელი აფხაზური სოფლების მცხოვრები ბავშვები, რომლებიც კვირადღეობით აკითხავდნენ ჯარისკაცებს, სწავლობდნენ მათგან რუსულ ენას, ლოცვებს, ზოგი კი ინათლებოდა კიდეც. გენერალი შუამდგომლობს ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების წინაშე, რათა:

1. ფინანსურად ნახალისდნენ ის ჯარისკაცები;
2. დაიძებნოს აფხაზურ სოფლებში ადრე ტყვედ ნამყოფი, ან სამხედრო ნანილიდან გარკვეული ხნით გაქცეული 2-3 ჯარისკაცი, რომლებმაც მეტ-ნაკლებად იციან აფხაზური ენა, მოამზადონ თბილისში უკვე არსებული საანბანო სახელმძღვანელოს გამოყენებით და დააბრუნონ ბიჭვინთაში, სადაც ისინი შეასწავლიან აფხაზ ბავშვებს აფხაზურ ენაზე წერა-კითხვას (ანჩაბაძე, 2018, გვ. 292).

სამწუხაროდ, უცნობია, რით დასრულდა ეს წამოწყება, თუმცა, როგორც დოკუმენტურად მტკიცდება, ი. ბარტოლომეის უფრო ადრეც მიუმართავს მსგავსი წინადადებით აფხაზეთში განლაგებული ჯარების სარდალ პაველ

შატილოვისათვის. ამას ადასტურებს ამ უკანასკნელის მიერ 1863 წლის 6 თებერვალს გაგზავნილი საპასუხო წერილი, რომელშიც პ. შატილოვი წერს, რომ ტყვედ ნამყოფ ზოგ ჯარისკაცს ესმის აფხაზური, მაგრამ წერა-კითხვის სრულებით უცოდინრები არიან და არ შეუძლიათ თვითონ ააგონ წინადადებები აფხაზურ ენაზე (ანჩაბაძე, 2018, გვ. 357-360).

საყურადღებოა სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსის, გენერალ-მაიორ ვასილი გეიმანის 1868 წლის 15 ივლისის წერილი ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების საბჭოსადმი, რომლის პირველი 7 აბზაცის შინაარსი ასეთია:

აქამდე გავრცელებული სასკოლო სწავლების სისტემის მიხედვით, „ტუზემცების"[11] რამდენიმე ბიჭს ვაძლევდით დაწყებით განათლებას რუსულ, ან ქართულ ენებზე. მიღებულ ცოდნას ისინი მალე ივიწყებდნენ, რის გამოც მოსახლეობას უჩნდებოდა რწმენა, რომ განათლების მიღება უსარგებლო და შემანუხებელი ვალდებულებაა. მთავრობის მიზნების მისაღწევად საჭიროა დავნერგოთ მოსახლეობაში შეგნებული დამოკიდებულება ცოდნისადმი. ჩვენ შორის სრულიად ბუნებრივად არსებობს სურვილი, რომ რაც შეიძლება მალე შევაჩვიოთ მოსახლეობა რუსული ენის ცოდნას და გავხადოთ იგი გაბატონებულ ენად, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ წარუმატებელია ის ხერხები, რომლებსაც ვიყენებთ „ტუზემცების„ ცივილიზებისათვის. მიზნის მისაღწევად ჩვენ უნდა მივიჩნიოთ აუცილებლად დაწყებითი განათლების შემოღება „ტუზემცების„ ენაზე. ამის სარგებლიანობა ცხადია: ჯერ ერთი, ბავშვებს გაუადვილდებათ წერა-კითხვის შესწავლა, როცა ასოებისაგან დედაენაზე შეადგენენ მათთვის ნაცნობ სიტყვებს; მეორე, ბავშვი, რომელიც ახლობლების თანდასწრებით წაიკითხავს მათთვის [ოჯახის წევრებისათვის - თ.გ.] გასაგებ წიგნს, ყოველგვარ ხერხებზე უკეთ დაარწმუნებს მსმენელებს სწავლის სარგებლიანობაში და დაეხმარება მთავრობას მოსახლეობის განათლებაში; მესამე, აღმოიფხვრება რუსული და აფხაზური ენების მცოდნე მასწავლებლების ნაკლებობა (ანჩაბაძე, 2018, გვ. გვ. 360-361).

იქვე ვ. გეიმანი აცხადებდა: *„ამრიგად, აფხაზური წერა-კითხვა უნდა გახდეს პირველი საფეხური, რომელსაც დაეკისრება „ტუზემცების„ გადაყვანა რუსულ ენაზე შემდგომი განათლებისაკენ. ამ მიზნით აუცილებლად მიმაჩნია ჩემდამი რწმუნებული მხარის სამრევლო სკოლებში ბავშვებს ვასწავლოთ აფხაზურ ენაზე და [ასე] მოვამზადოთ ისინი რუსული ენის შესასწავლად, ხოლო სოხუმის მთიელთა სკოლაში შემოვიღოთ სწავლება მხოლოდ რუსულ ენაზე"* (ანჩაბაძე, 2018, გვ. 361. ხაზგასმა და თარგმანი ჩვენია - თ.გ.).

11. „ტუზემცები" (რუს. туземцы) - რუსული დამამცირებელი ეპითეტი, რომლითაც მოიხსენიებენ სხვა ეთნოსთა წარმომადგენლებს იმის ხაზგასასმელად, რომ ისინი დაბალი კულტურის მქონენი და ჩამორჩენილი ველურები არიან. აქ აფხაზებს გულისხმობს ავტორი.

ვ. გეიმანის გეგმით, ასე გაიბმებოდა კავშირი სამრევლო სკოლებსა და სოხუმის მთიელთა სკოლას შორის. სამრევლო სკოლების წარჩინებული კურსდამთავრებულნი დაუბრკოლებლად უნდა ჩარიცხულიყვნენ სოხუმის მთიელთა სკოლაში, ხოლო ამ უკანასკნელის საუკეთესო მოსწავლეები სწავლის გასაგრძელებლად უნდა გაგზავნილიყვნენ ახლანდელი კრასნოდარის მხარის ქალაქ ეისკის გიმნაზიაში, ან სტავროპოლის სასულიერო სემინარიაში, ანდა სამხედრო სასწავლებლებში. ვ. გეიმანი ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების საბჭოს წევრებს ასე განუმარტავდა იმას, თუ რატომ ასახელებდა იგი მაინცდამაინც ეისკს, ან სტავროპოლს:

ჩემთვის ეისკის გიმნაზიაზე, ან სტავროპოლის სემინარიაზე მითითების საბაბია ის, რომ მათში [ეთნიკური] ელემენტი მხოლოდ რუსულია და აფხაზისათვის, რომელიც აღიზრდება იქ, ბევრად მოსახერხებელი იქნება ყოველგვარი სხვა ზეგავლენის გარეშე შეერწყას ამ ელემენტს და ფესვებს რომ გაუდგამს მასში თავის რწმენას, მერე, როცა დაბრუნდება სამშობლოში, იგი გახდება თავისი შეხედულებების ბეჯითი და შეგნებული გამტარებელი საკუთარი თანატომელების მასაში.

რა კარგიც გინდა იყოს თბილისის გიმნაზიები და სემინარია, ყოველი აფხაზი უფრო მალე და კარგად ისწავლის ქართულს, ხოლო რუსულ ენაში მეტად უვარგისი იქნება და გამოვა, რომ ჩვენ გავფლანგავთ სახსრებს [იმისათვის], რომ ვასწავლოთ აფხაზებს მათთვის სრულიად უცხო ენა და აფხაზის სიახლოვე რუსეთთან იქნება ისეთივე, როგორც ამჟამადაა. დასასრულ, აფხაზეთს სჭირდება აფხაზი მღვდლები და არა მეგრელები, ან ქართველები" (ანჩაბაძე, 2018, გვ. 361. ხაზგასმა ჩვენია - თ.გ.).

ამ დოკუმენტში აღნერილი საგანმანათლებლო სისტემა მცირედი მოდიფიკაციით დაინერგა და მოქმედებდა აფხაზეთში ჯერ რუსეთის იმპერიის არსებობის დარჩენილ პერიოდში, შემდეგ საბჭოთა რეჟიმის დროს და მოქმედებს ამჟამადაც, „დამოუკიდებელი აფხაზეთის„ ტერიტორიაზე.

თუ ყურადღებით გავაანალიზებთ ტექსტს, არ გაგვიძნელდება ამ გეგმის შედგენის მიზეზებისა და მიზნების ამოცნობა:

1. ოფიციალური პირი ოფიციალურ დოკუმენტში ოფიციალურად აცხადებს, ჩვენ შორის, ანუ რუს მოხელეებში სრულიად ბუნებრივად არსებობს სურვილი, რომ რაც შეიძლება მალე შევაჩვიოთ მოსახლეობა რუსული ენის ცოდნას და გავხადოთ იგი გაბატონებულ ენადო. ეს რუსიფიკაციის გეგმის დაუფარავად გამჟღავნება იყო. ამის ხაზგასმით დოკუმენტის ავტორი შეახსენებდა ქრისტიანობის აღმდგენ

საზოგადოებას, ეს უმთავრესი მიზანი გაითვალისწინეთ და ამ პრიზმიდან უყურეთ მოვლენებსო.

2. აფხაზეთის რეალური მმართველი რუსული ხელისუფლების უმთავრეს სოციოლინგვისტურ პრობლემად მიიჩნევს ახლადდაპყრობილი მხარის მოსახლეობის მიერ რუსული ენის მასობრივ უცოდინრობას: ხელისუფლებას ყოველად დაუშვებლად მიაჩნია, მოხელეებად აფხაზების, ან აფხაზური ენის მცოდნე სხვა პირების დანიშვნა მოსახლეობასთან კონტაქტის დასამყარებლად: დამპყრობელს არ ევალება, თვითონ ისწავლოს დაპყრობილი ხალხის ენა, ეს დაპყრობილის „პრეროგატივაა";
3. ხელისუფლებას აღიზიანებდა და აშინებდა აფხაზთა შორის ქართული ენის ცოდნის ტრადიციის შენარჩუნება. როგორც ჩანს, ეს გარემოება აფხაზთა გარუსების გზაზე უმთავრეს დაბრკოლებად მიიჩნეოდა. ქართული ენის მიმართ ანალოგიური პოზიცია ადრეც და უფრო გვიანაც გამოუთქვამთ სხვა გავლენიან პირებსაც (პ. უსლარს, ე. ვეიდენბაუმს...).
4. დამპყრობელი აფხაზეთში რუსული ენის გავრცელების სერიოზულ დაბრკოლებად მიიჩნევდა სწავლისას ახალგაზრდების თბილისში ცხოვრებასაც კი და ამიტომ მოითხოვდა მთიელთა სკოლის კურსდამთავრებულთა გაგზავნას ეისკში, ან სტავროპოლში, მთლიანად რუსულ გარემოში. შდრ. ამჟამინდელი აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმი ფართოდ იყენებს რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების მიერ აფხაზი აბიტურიენტების ლიმიტირებულ და გარანტირებულ ჩარიცხვას რუსეთის სხვადასხვა ქალაქის უნივერსიტეტებში. ასევე იყო საბჭოთა პერიოდშიც.

ზემოთ აღწერილი სისტემის პრაქტიკულად განხორციელების პირველი მცდელობა იყო ვ. გეიმანის ხელმოწერილი 1868 წლის 15 ივლისის „სოხუმის ქალთა სკოლის წესდების პროექტი". ეს სკოლა უნდა დაქვემდებარებოდა ქრისტიანობის აღმდგენ საზოგადოებას. მასში საზოგადოების ხარჯზე ისწავლიდა 8-დან 12 წლამდე ასაკის 20 პანსიონერი გოგონა („ტუზემკები") და თავისუფლად მომსველელი ნებისმიერი ეროვნების გოგონები, რომლებსაც უნდა გადაეხადათ სწავლის საფასური. სკოლის პრესტიჟის ასამაღლებლად მისი ზედამხედველი უნდა ყოფილიყო სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსი, ან მისი მეუღლე. სკოლის პერსონალში უნდა შეეყვანათ ერთი „ტუზემკა" დამრიგებელი, რომელსაც უნდა ესწავლებინა „ტუზემცური" ხელსაქმე. იქვე იმუშავებდა „ტუზემცური" ენის მასწავლებელიც. საუკეთესო კურსდამთავრებულ გოგონებს მიეცემოდათ მოწმობა, რომელიც უფლებას მისცემდა მათ მფლობელებს, თავიანთ მრევლში გაეხსნათ კერძო, ან საზოგადოების ხარჯით დაფინანსებული გოგონათა სკოლები. სკოლაში გოგონებს უნდა შეესწავლათ შემდეგი საგნები:

1. საღმრთო სჯული;
2. რუსული ენა და გრამატიკა;
3. აფხაზური ენა;
4. არითმეტიკა;
5. საყოველთაო გეოგრაფიის ზოგადი ცნებები, რუსეთის იმპერიის მოკლე გეოგრაფია ისტორიასთან კავშირში;
6. სუფთა წერა რუსულად და აფხაზურად;
7. რუსული და „ტუზემცური" ხელსაქმე;
8. სიმღერა საეკლესიო გალობის უპირატესობით.

სკოლის საქმიანობის სწორად ნარმართვის შემთხვევაში წესდება ითვალისწინებდა სკოლის საბჭოს მიერ ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების შუამავლობით სკოლისათვის მეფის ასულ ოლგას მფარველობის გამოთხოვასაც (ანჩაბაძე, 2018, გვ. 364-368). მეფის ასულის მფარველობაც, რა თქმა უნდა, სკოლის პრესტიჟის ამაღლებას ემსახურებოდა.

აქ მოყვანილი შესასწავლი საგნების ჩამონათვალის შედარება ამჟამინდელი ე.წ. აფხაზური სკოლების დაწყებითი კლასების საგანთა სიასთან გვარწმუნებს, რომ ამ წესდების შედგენიდან განვლილი 150 წლის მერეც კი აფხაზური ენის გამოყენებით ცოდნის მიცემა მოსწავლეებისათვის თანამედროვე სკოლაში ისეთივე მეორეხარისხოვან, უფრო ზუსტად, დამხმარე საქმედ რჩება, როგორც ეს 1868 წელს იყო: დისციპლინების უმეტესობა დღესაც რუსულ ენაზე ისწავლება, რაც მოსწავლეს დედაენაზე აზროვნებას უშლის.

ვ. გეიმანის გეგმას უმეტესწილად ემთხვეოდა 1891 წლის 2 მარტს სოხუმის ეპისკოპოსად დანიშნული აგაფოდორის (ერისკაცობაში პაველ პრეობრაჟენსკი) გეგმაც. ეპისკოპოსი 1893 წელს საქართველოს ეგზარქოს ვლადიმირისაგან ითხოვდა სოხუმის მთიელთა სკოლის გადაცემას სახალხო განათლების სამინისტროს დაქვემდებარებიდან სასულიერო უწყების დაქვემდებარებაში და მის გადაკეთებას სამკლასიან (ანუ ექვსწლიან) სასულიერო სკოლად, რომელსაც უნდა ჰქონოდა სასოფლო და სახელოსნო განყოფილებებიც (ანჩაბაძე, 2018, გვ. 371). საყურადღებოა ის პოლიტიკურ-იდეოლოგიური გარემოებანი, რომელთაც გენერალივით მოაზროვნე ეპისკოპოსი ასახელებდა თავისი თხოვნის დასაბუთებისათვის. იგი წერდა:

„წინა წლების გამოცდილებიდან ჩანს, რომ საშუალო სასწავლებლებსა და სასოფლო-სამეურნეო სკოლებში ... ნასწავლ [აფხაზებს - თ.გ.] არ შეეძლოთ, აულების მოსახლეობის ცხოვრებაში შეეტანათ რაიმე სასიკეთო - არც კულტურის მატება, არც რუსებთან დაახლოება. ეს მაშინ, როცა უკანასკნელი [რუსებთან

აფხაზთა დაახლოება - თ.გ.] მეტად მნიშვნელოვანია სოხუმის ოკრუგისთვის. ამ ოკრუგს მთავრობის მხრიდან ესაჭიროება განსაკუთრებული ყურადღება პოლიტიკური და სტრატეგიული თვალსაზრისით. თურქებთან ბოლო ომებმა დაამტკიცეს, რომ აფხაზეთის მოსახლეობა ამთვისებელია ჩვენ მომართ სამტრო პროპაგანდისა და არ არის მტკიცე პოლიტიკური რწმენის მხრივ. ყველას ახსოვს ის საფრთხე, რაც შეექმნა მტრის გამოჩენისას რუსულ ჯარს, რომლის ზურგშიც იყო რუსეთის მტრისათვის ყოველნაირად დახმარების გასაწევად გამზადებული მოსახლეობა. მოსახლეობის ამგვარი განსაკუთრებული მდგომარეობის დროს ხომ არ არის ბუნებრივი მიეცეთ სკოლას რელიგიურ-ზნეობრივი მიმართულება?

რა სარგებელი აქვს მთავრობას იმით, თუ მოსახლეობა გაეცნობა სოფლის მეურნეობის რაციონალურ ხერხებსაც და ხელობასაც, მაგრამ არ შეიცვლის თავის პოლიტიკურ რწმენასა და რელიგიურ-ზნეობრივ შეხედულებებს?

ეკლესიისა და სახელმწიფოს ინტერესებშია აფხაზთა რელიგიური და ზნეობრივი კულტის ამაღლება, მათი დაახლოება რუსებთან და გადაქცევა ერთგულ და თავდადებულ ქვეშევრდომებად" (ანჩაბაძე. 2018, გვ. 369).

ამ დოკუმენტს თან ახლდა იმ საგნების ნუსხა, რომლებიც უნდა ესწავლებინათ სასოფლო და სახელოსნო განყოფილებებიან სასულიერო სასწავლებლად გარდაქმნილ სოხუმის სკოლაში. 6 წლის განმავლობაში (სამ კლასში) მოსწავლეებს სულ 23 საგანი უნდა ესწავლათ:

- საშინაო ლოცვების, „მრწამსისა" და ათი მცნების განმარტება;
- ძველი აღთქმის წმიდა ისტორია;
- ახალი აღთქმის წმიდა ისტორია;
- მართლმადიდებლური კატეხიზმო;
- მართლმადიდებლური სწავლება წმიდა წერილის განმარტებასთან კავშირში;
- მაჰმადიანობის სანინააღმდეგო პოლემიკა;
- ღვთისმსახურების განმარტება საეკლესიო წესდებასთან და სამოძღვრო პრაქტიკუმთან ერთად;
- საეკლესიო-სლავური ენა;
- რუსული ენა;
- ჰომილეტიკური ლიტერატურა;
- საყოველთაო და რუსული ეკლესიის ისტორია;
- საყოველთაო და რუსული სამოქალაქო ისტორია ისლამის გავრცელებაზე მითითებით;
- რუსული და საყოველთაო გეოგრაფია;

- არითმეტიკა;
- გეომეტრია;
- ხაზვა;
- სანყისი ცნობები ფიზიკაში;
- ადგილობრივი ენა;
- დიდაქტიკა;
- გალობა;
- სუფთა წერა;
- ჰიგიენა;
- ვარჯიში ადგილობრივ ენაზე საღმრთო სიტყვის ქადაგებაში.

დასახელებული 23 საგნიდან სწავლებისა და სწავლის ენა 21-ში რუსული იქნებოდა, აფხაზურად კი ასწავლიდნენ მხოლოდ 2 საგანს: ადგილობრივ (ე.ი. აფხაზურ) ენას და ვარჯიშს ადგილობრივ ენაზე საღმრთო სიტყვის ქადაგებაში.

ამრიგად, გენერალი (ე. გეიმანი) და ეპისკოპოსი (აგაფოდორი) ერთნაირად ითვალისწინებდნენ რუსული სახელმწიფოს გეოსტრატეგიულ, პოლიტიკურ-იდეოლოგიურ და კულტურულ-რელიგიურ ინტერესებს, მაგრამ სრულებითაც არ ანაღვლებდათ, რომ ამგვარი სასკოლო სისტემა ადრე, თუ გვიან აფხაზ ხალხს დედაენაზე აზროვნებას გადააჩვევდა, შეუცვლიდა მას ენობრივ და ეთნიკურ იდენტობას. თუმცა მათი მიზანიც სწორედ ეს იყო. ერთადერთი, რამაც გადაარჩინა აფხაზი ხალხი მასობრივ გარუსებას რუსეთის იმპერიის დაშლამდე პერიოდში, იყო ის, რომ ამ სამხედრო ყაიდის სახელმწიფოს ფინანსები ენანებოდა ყველა სოფელში სკოლების გასახსნელად, მასწავლებლების მოსამზადებლად, სახელმძღვანელოების დიდი ტირაჟით გამოსაცემად და სასკოლო განათლების სავალდებულო საქმედ გადასაქცევად. სწორედ ამიტომ დიდად არ ამაღლებულა აფხაზთა შორის წერა-კითხვის მცოდნეთა წილი, მიუხედავად იმისა, რომ, რუსული ვიკიპედიის ცნობით, იმავე აგაფოდორის ინიციატივით აფხაზეთში 22 სკოლა გახსნილა (იხ.: ვიკიპედია, აგაფოდორი).

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ იმპერიის ხელისუფლებისა და რუსეთის ეკლესიის ბრძოლამ აფხაზეთიდან ქართული ენის გამოსადევნად და რუსიფიკატორულმა საგანმანათლებლო პოლიტიკამ აფხაზთა შორის ნელ-ნელა გააჩინა უარყოფითი დამოკიდებულება ქართული ენისადმი, რაც ასევე ასახულია დოკუმენტებში. მაგალითად, 1906 წლის 8-9 მარტს სოხუმში გამართული ეპარქიის სასწავლო საბჭოს მიერ მოწვეული თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ სოხუმის ოკრუგის სასულიერო პირები, ჩინოსნები და მოსახლეობის წარმომადგენლები, აფხაზები, ქართველები და რუსები (80 კაცზე

მეტი). განიხილებოდა ეპარქიაში არსებული სასულიერო-სასკოლო პრობლემები.

ვრცელი ოქმის მიხედვით, სოხუმის ოკრუგისა და ზუგდიდის მაზრის სახალხო სასწავლებელთა ინსპექტორს ა. იზმაილოვს თავის გამოსვლაში შემდეგ დეტალებზე უსაუბრია: სწავლის ხარისხი ზუგდიდის მაზრაში უკეთესია, ვიდრე სოხუმის ოკრუგის სკოლებში იმიტომ, რომ ზუგდიდის მაზრაში მასწავლებლები უპირატესად ადგილობრივნი არიან, მათ მოსახლეობა ენდობა. სოხუმის ოკრუგის აფხაზურ სოფლებში მასწავლებლებად უმეტესად მისულნი არიან ქართველები, მეგრელები და რუსები. მათ უჭირთ, ვინაიდან აფხაზური ენა არ იციან, რის გამოც მარტოობას ვერ უძლებენ და გარბიან. მეგრელები სხვებზე მეტად ეგუებიან აქაურობას, მაგრამ ისინიც 1-2 წლის მერე მიდიან. კიდევ ერთი მიზეზი, ა. იზმაილოვის სიტყვით, ის ყოფილა, რომ სოხუმის ოკრუგის მოსახლეობა მხარში არ უდგება მასწავლებლებს.

კეთილმოწესე (ბლაღოჩინ) მარღანიას განცხადებით, ბედიის თემში სწავლის დაბალი შედეგები გამოწვეული იყო იმით, რომ მასწავლებლებმა არ იცოდნენ ადგილობრივთა ენა და ვერც სწავლების ხერხებს ფლობდნენ.

თათბირის მეორე დღის სხდომაზე თავმჯდომარემ, დეკანოზმა გ. გოლუბცოვმა განაცხადა, ეპარქიის სასწავლო საბჭოში შემოვიდა რამდენიმე აფხაზური თემის, კერძოდ, ბესლახუბის, ფოქვეშის, აკვასქიას მოსახლეობის განჩინებები, რომ სამრევლო სკოლებში სწავლება მთლიანად ქართულ ენაზე ყოფილიყო, ანდა ეს ენა ესწავლებინათ როგორც საგანი. ამ განცხადებამ ცხარე დავა გამოიწვია. მაგალითად, აფხაზი თავადი ხაბუგ ანჩაბაძე ამ განჩინებებს გაყალბებულად მიიჩნევდა და აცხადებდა, აფხაზებს მიაჩნიათ, რომ ქართული ენა მათთვის სრულიად ზედმეტია და მოითხოვენ სწავლებას სახელმწიფო ენაზეო. გუდაუთის წარმომადგენელმა, მომრიგებელმა მოსამართლემ, აფხაზმა პოდპოლკოვნიკმა მ. ლაკერბაიმ მსჯელობას მწვავე ხასიათი მისცა და შემდეგი განაცხადა:

„უკვე 60 წელია, რაც აფხაზეთში გრძელდება ისეთი ვითარება, როცა აფხაზები თავს ცუდად გრძნობენ მოსული ელემენტების გამო. მოხუცებს ჯერ კიდევ ახსოვთ, რომ ვერცერთი მეგრელი, ვერცერთი ქართველი ვერ გაბედავდა ენგურის გადმოლახვას, როცა აფხაზები თავისუფალნი იყვნენ. ამჟამად ამ მოსულმა ელემენტმა შეავიწროვა მკვიდრი მოსახლეობა და იკისრა რალაც ხელშძღვანელთა როლი - მთავრობასა და ხალხს შორის შუამავლებისა. ისინი მოქმედებენ ვითომდა მკვიდრი მოსახლეობის სახელით. ეს ხალხი, უმეტესად მეგრელები, რუსებთან ერთად მოვიდნენ, ასე ვთქვათ, მათი დროშის ქვეშ დამკვიდრდნენ აფხაზეთში. მათ აფხაზეთში ხელთ იგდეს სიმდიდრეც, მინებიც და სარგებლობენ ყოველგვარი სიკეთით, ზრუნავენ მხოლოდ საკუთარ თავზე,

ცდილობენ აფხაზური მოსახლეობის ძალდატანებით გაქართველებას იმის მაგიერ, იყონ მადლიერნი. ისინი ახლა იმ ხალხის, აფხაზების საზიანოდ მოქმედებენ, ვისგანაც სტუმართმოყვარეობა მიიღეს. მაგრამ ახლა დადგა დრო, როცა აფხაზებმა უნდა განაცხადონ საკუთარი თავის შესახებ, თვითონ უნდა ითხოვონ დახმარება საკუთარი საჭიროებებისა და სურვილების [დაკმაყოფილების] შესახებ. აფხაზები არ ენდობიან მოსული ელემენტის - მასწავლებლების შუამავლობას, ვინაიდან ამ ადამიანებს არც სულით, არც წარმოშობით არაფერი აქვთ საერთო [აფხაზ] ხალხთან; [აფხაზები არ ენდობიან] არც მღვდლებს, რომელთაგან მათ არ შეუძლიათ ჰქონდეთ რაიმე კარგის მოლოდინი" (ანჩაბაძე, 2018, გვ. 386. ხაზგასმა ჩვენია - თ.გ.).

თავის ერთ-ერთ სხვა გამოსვლაში იგივე მ. ლაკერბაი კატეგორიულად უარყოფდა ქართველების რაიმე ისტორიულ კავშირს აფხაზეთთან და აცხადებდა: სახელმწიფოებრივი პოზიციიდან თუ ამოვალთ, სასურველია, რომ აფხაზეთში ყველა ლაპარაკობდეს რუსულ ენაზე, აფხაზებისათვის ამ ენის ცოდნა უდავოდ აუცილებელი და საკმარისია, მაგრამ ამასთან ერთად საჭიროა აფხაზური ენის განვითარებაცო (ანჩაბაძე, 2018, გვ. 379).

ცხადია, ამ კაცს ორიენტირები ჰქონდა არეული და ვერ ხედავდა წინა ნახევარ საუკუნეში აფხაზი ხალხის თავს დატეხილი ყველა უბედურების (სამი დეპორტაცია-მუპაჯირობის, აფხაზთა ორი მესამედისაგან აფხაზეთის დაცლის, ათასობით რუსის, უკრაინელის, სომხის, ბერძნის, გერმანელის, მოლდოველის ჩამოსახლების, აფხაზეთში გარუსების პოლიტიკის) ნამდვილ დამგეგმავსა და განმახორციელებელს - რუსეთის იმპერიას. ეს კაციც და მისი მსგავსი პირები რეალურად იყვნენ გეიმან-აგაფოდორის ინიციატივით დანერგილი სასკოლო სისტემის პირველი რეალური პროდუქტები: მათ უკვე ჩანერგილი ჰქონდათ, რომ აფხაზი ხალხის მთავარი მტერი ქართველია და არა რუსეთის იმპერია.

თათბირზე წარმოქმნილი კამათით ისარგებლა ოფიციალურმა პირმა, სოხუმის ოკრუგის უფროსის თანაშემწემ, პოდპოლკოვნიკმა ზენჩენკომ, რომელიც, იმის გათვალისწინებით, რომ მ. ლაკერბაიმ ხელისუფლებისათვის სასურველი პოზიცია გამოხატა, სწავლების ენად რუსული გვსურსო, შეეცადა ცეცხლზე ნავთის დასხმას, როცა განაცხადა, რომ აფხაზეთში მოსულნი მოითხოვენ სწავლებას სხვადასხვა ენაზე, აფხაზები კი დუმან, არადა სწორედ მათი, მასპინძლების გადასაწყვეტია ეს საკითხი; ყველა ეროვნების მოთხოვნები რომ დავაკმაყოფილოთ, საამისოდ არ გვეყოფა არანაირი სახსრებიო (ანჩაბაძე, 2018, გვ. 386).

კამათში განსხვავებული პოზიცია გამოხატა სოხუმის ოკრუგის უფროსმა, თავადმა ლევან ჯანდიერმა (1848-1921 წწ.). მისი აზრით, რუსული ენის ცოდნა

აუცილებელი და სასარგებლოა, მაგრამ აფხაზეთში მოსახლე აფხაზებმა, მეგრელებმა და ქართველებმა [?] თავიანთი დედაენებიც უნდა იცოდნენ. ლ. ჯანდიერი მიიჩნევდა, რომ აფხაზმა ბავშვებმა სწავლის პირველ წლებში აფხაზურად უნდა ისწავლონ ყველა საგანი, შემდეგ კი ქართული და რუსულიც უნდა შეისწავლონ, რადგან ქართული გამოადგებათ, თუ საქმის გამო მოუწევთ ქუთაისსა და თბილისში გამგზავრება, რუსული კი მთელი იმპერიის ტერიტორიაზე მოუტანს სარგებელს. იგი მიმართავდა თათბირის აფხაზ მონაწილეებს, რომ მხოლოდ აფხაზური ენით მიზნებს ვერ მიაღწევდნენ (ანჩაბაძე, 2018, გვ. 388-389).

იმავე ლ. ჯანდიერმა თათბირის დასრულების შემდეგ ოქმს ასეთი მინაწერი დაურთო: „თუ აფხაზური და მეგრული ენები შეისწავლება დამხმარე ქართული ენის გარეშე, მათი საბოლოო გაქრობა გარდაუვალია“ (ანჩაბაძე, 2018, გვ. 393).

აფხაზურ მოსახლეობაში პოდპოლკოვნიკ მ. ლაკერბაის მსგავსი ადამიანების გამოჩენა ახარებდა იმპერიის მესვეურებს, რამაც გამოხატულება ჰპოვა იმაში, რომ რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ მოხერხებულად გამოიყენა ლაკერბაის ტიპის იმპერიისადმი ლოიალურად და ქართველებისადმი აგრესიულად განწყობილ აფხაზთა გაჩენისა და 1905-1907 წლების რევოლუციაში მონაწილეობისაგან აფხაზთა თავშეკავების ფაქტები.

ცნობილია, რომ 1905-1907 წლების რევოლუციაში, რომელიც კლასობრივი ბრძოლის ხასიათისა იყო, აფხაზების უმრავლესობას მონაწილეობა არ მიუღია ამ ხალხში კლასობრივი დაპირისპირების ნაკლები სიმწვავისა და გლეხობის დაბალი აქტივობის გამო. მეორე მხრივ, ოფიციალური პირები და მათი აგენტურა რევოლუციის დროს აფხაზთა შორის ავრცელებდნენ ჭორს, თითქოს ქართველები, რომლებიც ძალიან აქტიურად მონაწილეობდნენ რევოლუციაში, სინამდვილეში თავიანთ არისტოკრატიას კი არ უპირისპირდებოდნენ, არამედ გეგმავდნენ აფხაზთა ამონყვეტას და მათი მინების ხელში ჩაგდებას (გამახარია, გოგია, 1997, გვ. 731). ამ ჭორმა თავისი შედეგი გამოიღო:

1907 წლის გაზაფხულზე, როცა აშკარად გამოიკვეთა რევოლუციის მარცხით დამთავრების მოახლოება, კავკასიის მეფისნაცვალმა, გრაფმა ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვმა შუამდგომლობით მიმართა იმპერატორ ნიკოლაი მეორეს აფხაზი ხალხისათვის „დამნაშავე ხალხის“ ოფიციალური სტატუსის მოხსნის საჭიროებისა და მიწის ფლობის უფლების დამტკიცების შესახებ. ამ შუამდგომლობას მხარი დაუჭირა რუსეთის მთავრობის თავმჯდომარე პიოტრ სტოლიპინმა. იმპერატორმა 1907 წლის 27 აპრილს ხელი მოაწერა მთავრობის მიერ წარდგენილ დებულებას „სოხუმის ოკრუგის მცხოვრებთა მიწათმფლობელობის უფლებათა გათანაბრების შესახებ“ (გამახარია, გოგია,

1997, გვ. 731). ამ გადაწყვეტილებით აფხაზ ხალხს ოფიციალურად მოეხსნა „დამნაშავე ხალხის" სტატუსიც და მიენიჭა მიწის ნაკვეთების მემკვიდრეობით ფლობის უფლებაც, რითაც ხელისუფლებამ მყისიერად აიმაღლა ავტორიტეტი აფხაზი ხალხის უმრავლესობაში. ეს გადაწყვეტილება აფხაზ ხალხს 1907 წლის 11 მაისს ოფიციალურად ამცნო მეფისნაცვალმა ი. ვორონცოვ-დაშკოვმა შემდეგი მიმართვით:

„ოცდაათი წლის წინ, ომის დროს, სოხუმის ოლქში თურქული ჯარის გამოჩენისას ამ ოლქის მოსახლეობის ნაწილმა იარაღი მოიმარჯვა თავისი კანონიერი [?- თ.გ.] ხელმწიფის წინააღმდეგ.

მაგრამ მტრის ჯარი მალე იძულებული გახდა წასულიყო, ხოლო აფხაზთა აჯანყება ჩახშობილ იქნა.

დიდი იყო მოჯანყეთა დანაშაული და ისინი სათანადოდ დაისაჯნენ.

ომის დასრულების შემდეგ აწ განსვენებულმა ალექსანდრ II-მ ბრძანა, შეეზღუდათ დამნაშავე აფხაზებისთვის მიწის ფლობის უფლება იმ მოსახლეებთან შედარებით, ვინც ხელმწიფის ერთგული დარჩა.

მოსახლეობის უფლებათა ამგვარი შეზღუდვა დიდხანს გრძელდებოდა და მათ [აფხაზებმა - თ.გ.] სასჯელის მთელი სიმძიმე სათანადოდ გამოსცადეს.

ვიცოდი რა ოკრუგის მკვიდრი მოსახლეობის ქცევა მთელი მომდევნო წლების განმავლობაში, არ შემეძლო, ყურადღება არ მიმეპყრო იმაზე, რომ იგი [აფხაზი მოსახლეობა - თ.გ.] გულწრფელად ცდილობდა, გადაეფარა წარსული თავისი მოვალეობის მთლიანად შესრულებით ჩვენი უაღრესტოესი მონარქის წინაშე. ჩემთვის განსაკუთრებით სასიამოვნო იყო ამაში დავრწმუნებულიყავი 1905 წლის არეულ დროში, როცა აფხაზებმა ღირსეულად ჩააბარეს გამოცდა.

მისმა იმპერატორობითმა უდიდებულესობამ ინება, პატივით მოპყრობოდა ჩემს შუამდგომლობას და ამჟამად სოხუმის ოკრუგის აძვიბჟის, ტამიშის, ჯგერდის, ჭილოუს, მოქვის, ბესლახუბის (ყოფილი აკვასქიას), ტყვარჩელის, კვიტაულის, გუფუს, კალდახვარის, ლიძავის, ბლაბურხვის, ბარმიშის, მგუძირხვის, ოთპარის, ჯირხვის, ზვანდრიფშის, დურიფშის, ლიხნის, აატის, აჭანდარისა და აბლარხუქვის თემების მცხოვრებლებს უმტკიცდება მათთვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთების საკუთრების უფლება ამ უფლების გავრცელებით იმ მიწებზეც, რომლებიც უკვე მიკუთვნებული აქვთ მემკვიდრეობითი საკომლო გამოყენებისათვის.

აფხაზებო! ამჟამად აღარ არსებობს სოხუმის ოკრუგის მცხოვრებთა დაყოფა დამნაშავეებად და უდანაშაულოებად. ძველი დანაშაული [? - თ.გ.] უკვე დავიწყებულია.

მოგესალმებით თქვენ დიდი მეფური წყალობით და მტკიცედ მწამს, რომ

აფხაზები თავიანთი ხელმწიფე-იმპერატორის წინაშე დამნაშავენი არასოდეს და არავითარ პირობებში აღარ იქნებიან.

მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ნაცვალი კავკასიაში, გენერალ-ადიუტანტი, გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი.

ქ. ტფილისი" (გამახარია, გოგია, 1997, გვ. 368-369).

* * *

1864 წლის შემდგომ აფხაზეთში ჯერ მოქმედებდა მხოლოდ რამდენიმე სასწავლებელი: სოხუმისა და ოქუმის მთიელთა სკოლები და კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოებისადმი დაქვემდებარებული სამრევლო სკოლები. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე იმატა სასწავლებლების რაოდენობამ სოფლებშიც, სოხუმშიც, ოჩამჩირესა და გუდაუთაშიც, მაგრამ აფხაზური ენა არცერთ მათგანში არ გამხდარა სწავლების ენა, ხოლო შესასწავლ საგნად მხოლოდ ზოგ სკოლაში გამოიყენებოდა. აფხაზი პედაგოგიკის მკვლევრების ჯგუფი, კერძოდ, პროფ. ა. კასლანძია, დოც. ა. ჰაშბა და დოც. ნ. ლაკაშია თავიანთი აფხაზი კოლეგის, პროფ. ვალერი ყურასქუას ნიგნის - „აფხაზური ეროვნული სკოლა 1921-1958 წლებში" - ნინასიტყვაობაში წერენ:

„როგორც ცნობილია, აფხაზეთში სკოლები მოსწავლეთა აფხაზური კონტინგენტით საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე დიდი ხნით ადრე [? - თ.გ.] არსებობდა. მათშიც მიმდინარეობდა სწავლება გარკვეული სასწავლო გეგმების, პროგრამების, სახელმძღვანელოების მიხედვით, მაშინაც იყვნენ აფხაზ მასწავლებელთა კადრები, მოსწავლეები ამა თუ იმ ხარისხით სწავლობდნენ დედაენას, მაგრამ *რევოლუციამდელ*[12] *სკოლას, გამორჩეულად აფხაზი მოსწავლეებით დაკომპლექტებულებსაც კი, არ შეიძლება ეწოდოს ეროვნული. მართლაც, საბჭოთა პერიოდამდე არსებულ რომელ აფხაზურ ეროვნულ სკოლაზე შეიძლება საუბარი, როცა ამ უკანასკნელს [სკოლას - თ.გ.] იმ პერიოდში მხოლოდ ორიოდე სახელმძღვანელო ჰქონდა.* პირველი მათგანი იყო სხვადასხვა დროს გამოცემული საანბანო წიგნის ვარიანტები: ი. ბარტოლომეის „აფხაზური ანბანი" (1865 წ.), დ. გულიასა და კ. მაჭავარიანის „აფხაზური ანბანი" (1882 წ.) [უნდა ეწეროს 1892

12. იგულისხმება დროის მონაკვეთი საბჭოთა რუსეთის მიერ 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს დაპყრობამდე. საბჭოთა პერიოდში ენობრივ-იდეოლოგიური კლიშე იყო 1921 წლამდე პერიოდის მოხსენიება „რევოლუციამდელ პერიოდად", თუმცა საქართველოში (მათ შორის აფხაზეთშიც) არავითარი ოქტომბრის რევოლუცია არ მომხდარა.

წ. - თ.გ.], ა. ჭოჭუას „აფხაზური ანბანი" (1909 წ.). არსებობდა კიდევ ერთი სახელმძღვანელო: ა. ჩუკბარისა და ნ. პატეიფას „აფხაზურ ენაზე საკითხავი წიგნი". რაღა თქმა უნდა, ამ სასწავლო ბაზაზე შეუძლებელი იყო თუნდაც დაწყებითი კლასების მოსწავლეებისათვის დედაენაზე სწავლების ორგანიზება.

საბჭოთა პერიოდამდელ აფხაზეთში არავინ იყო მიზანმიმართულად დაკავებული არც აფხაზური ენის სახელმძღვანელოების შედგენით, არც ეროვნული პედაგოგიური კადრების მომზადებით. კატასტროფულად არ კმაროდნენ აფხაზური ენის მასწავლებლები. მაგალითად, 1898 წელს მთელ აფხაზეთში აფხაზური ენის ერთადერთი მასწავლებელი იყო, 1903 წელს 9 კაცი იყო, ოქტომბრის რევოლუციის წინ [ანუ 1917 წლამდე - თ.გ.] მათი რაოდენობა 20-ს აღწევდა.

შესწავლა აფხაზური ენისა, როგორც საგნისა, შესაძლებელი გახდა მხოლოდ 1905-1907 წლების პირველი რუსული რევოლუციის შემდეგ, მან [რევოლუციამ - თ.გ.] აიძულა ცარიზმი, დაერთო ნება „განაპირა ეროვნულ მხარეებში" დედაენის სწავლებისა. დასახელებულ წლებში [1905 წლამდე - თ.გ.] არამცთუ აკრძალული იყო აფხაზური ენის სისტემური შესწავლა, არამედ, მაგალითად, სოხუმის მთიელთა სკოლაში კვირის ზოგ დღეს იკრძალებოდა სწავლისაგან თავისუფალ დროს აფხაზურად ლაპარაკიც. ამ წესის დამრღვევეთ სასტიკად სჯიდნენ, უსადილოდ დატოვებითაც კი. ეს და [ვ. ყურასქუას] ნაშრომში მოყვანილი სხვა ფაქტები გვაძლევს უფლებას, დავეთანხმოთ ვ. ყურასქუას მტკიცებას, რომ *აფხაზური ეროვნული სკოლის ისტორია იწყება მხოლოდ რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან - 1921 წლიდან"* (კასლანძია, ჰაშბა, ლაკაშია, 2003. ხაზგასმა და თარგმანი ჩვენია - თ.გ.).

ჩვენ ვეთანხმებით პედაგოგიკის აფხაზ სპეციალისტებს მხოლოდ იმაში, რომ ის სკოლები, რომლებიც არსებობდა აფხაზეთში 1864-1921 წლებს შორის, ნამდვილად არ ყოფილა ეროვნული აფხაზური სასწავლებლები, მაგრამ ამ დასკვნის გამოსატანად ყველაზე მნიშვნელოვან და გადამწყვეტ გარემოებად სულაც არ მიგვაჩნია მასწავლებლების ნაკლებობა, სახელმძღვანელოთა უქონლობა და სკოლებში დედაენაზე ლაპარაკის აკრძალვა. ჩვენი აზრით, უმთავრესი ის არის, რომ იმ პერიოდში აფხაზური ენა სრულებით არ გამოიყენებოდა საგანთა უმრავლესობის სწავლების ენად: როცა არითმეტიკა-გეომეტრიის, ისტორიის, ზოოლოგია-ბიოლოგიისა და სხვა დისციპლინათა სწავლებისა და სწავლის ენად გამოიყენებოდა სხვისი ენა, ეს ინვევდა იმას, რომ მცირეწლოვანი და მოზრდილი მოსწავლეები იწყებდნენ სამყაროს შეცნობას, ამ სამყაროს სხვადასხვა გამოვლინებაზე ფიქრსა და აზროვნებას არა საკუთარი ეროვნების ენაზე, არამედ მხოლოდ იმ ენაზე, რომელზეც ასწავლიდნენ და რომელზეც უნდა შეესრულებინათ ზეპირი და წერითი დავალებები, ანუ ეაზროვნათ.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, გეიმან-აგაფოდორის სასწავლო სისტემა გათვლილი იყო აფხაზი და სხვა ეროვნების არარუს მოსწავლეთა გარუსებაზე, აზროვნების ეროვნულ-ენობრივი საფუძვლის გამოცლაზე, მათი დედაენის თანდათანობით კვდომაზე და რუსული ენით ჩანაცვლებაზე. ამ სისტემის „პროდუქტებს" უნდა ეაზროვნათ რუსული ეროვნული კლიშეებით და ნებსით, თუ უნებლიეთ უნდა ქცეულიყვნენ სხვისი ინტერესების დამცველებად და დამნერგავებად.

იმავე მიზეზების გამო ვერ დავეთანხმებით დასახელებულ აფხაზ მკვლევრებს ვერც იმაში, თითქოსდა აფხაზური ეროვნული სკოლების ისტორია დაიწყო 1921 წლიდან, საბჭოთა რეჟიმის დამყარების დროიდან. აფხაზური ეროვნული სკოლა არც 1921 წლიდან გაჩენილა და არც ამჟამად არსებობს. ძალიან სამწუხაროა, რომ ამას არ აღიარებენ აფხაზი მეცნიერები, პედაგოგები და პოლიტიკოსები.

* * *

რა ეკოლინგვისტური შედეგები მოჰქონდა გეიმან-აგაფოდორის სასწავლო სისტემას აფხაზური ენისათვის?

ამ კითხვაზე საპასუხოდ, სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება შუა საუკუნეებში აფხაზურ ენაზე შედგენილი არცერთი წერილობითი წყარო, რომელიც გამოდგებოდა აფხაზურ ენაში მომხდარი ცვლილებების ისტორიის კვლევის ათვლის წერტილად: პირველი აფხაზურენოვანი წიგნი, კერძოდ, ი. ბარტოლომეის კომისიის მიერ შედგენილი საანბანო წიგნი, როგორც უკვე ითქვა, გამოიცა მხოლოდ 1865 წელს, რიგით მეორე იყო იმავე კომისიის მიერ თარგმნილი და 1866 წელს გამოცემული „მოკლე საღმრთო ისტორია", 1892 წელს კი გამოვიდა კ. მაჭავარიანისა და დ. გულიას საანბანო წიგნი. სამივე ამ წიგნში ტექსტები უპირატესად თარგმნილია რუსულიდან და/ან ძველსლავური ენიდან. მიუხედავად ამისა, ტექსტები ბუნებრივი აფხაზური იერსახის მქონე ჩანს, ძირითადად სწორადაა ასახული აფხაზური ენის ფონოლოგიური სისტემა, მორფოლოგია, სინტაქსი და ლექსიკა, ჯერ კიდევ არ ჩანს ხელოვნური, კალკირებული ფორმები და რუსიზმები.

იმავეს ვერ ვიტყვით სოხუმის ეპისკოპოს აგაფოდორის ინიციატივით 1892 წელს შექმნილი კომისიის მიერ[13] აფხაზურ ენაზე თარგმნილი სასულიერო

13. XIX საუკუნის ბოლო ათწლეულსა და XX საუკუნის პირველ ათწლეულში აფხაზეთში მოქმედებდა სასულიერო ლიტერატურის სათარგმნელად შექმნილი მთარგმნელთა ორი კომისია: პირველი შეიქმნა ეპისკოპოს აგაფოდორის ინიციატივით 1892 წელს, მეორე კი 1906 წელს შექმნა ეპისკოპოსმა (შემდგომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა), წმიდა კირიონ II-მ (საძაგლიშვილმა).

ლიტერატურის შესახებ. ამ თარგმანებში ცხადად იგრძნობა ძველსლავური და რუსული ენების ძლიერი ზეგავლენა, რაც ყველაზე მკაფიოდ ჩანს ლექსიკაში:

- პირთა სახელებისა და ტოპონიმების უმრავლესობას ეტყობა ძველსლავურ და რუსულ ენათა უმძლავრესი გავლენის კვალი. მაგალითად, ლიტურგიკულ კრებულში ნერია იისუს ხრისტოს (შდრ. რუს. Иисус Христос) ნაცვლად აფხაზთა შორის გავრცელებული დასა ქ˘გრსა ვარიანტისა, აპასხა (შდრ. რუს. пасха) „აღდგომა“, აევანგელ҃ია (შდრ. რუს. евангелие) „სახარება“...
- კურიოზები: სგ˘აჟიტ დამასკაყა „დავბრუნდი დამასკოში“, უნდა ყოფილიყო სგ˘აჟიტ დამასკყა. ზედმეტი ა ხმოვანი რუსული ბრუნვის ნიშანია, შდრ.: я вернулся в сторону Дамаска...
- ზმნის ვნებითი გვარის ფორმათა გადმოსაცემად ხელოვნური, გარდაქცევითობის -ხა სუფიქსიანი ფორმების გამოყენება მაშინ, როცა აფხაზურ ენას არა აქვს გვარის კატეგორია: ირგძეგმბხოიტ „მათ მიეზღვებათ“...

ამგვარი მაგალითები უეჭველი საბუთებია იმისა, რომ ამ წიგნების მეშვეობით აფხაზი მღვდლები, დიაკვნები და სამრევლო სკოლების მოსწავლეები ასეთ ხელოვნურ ფორმებს მართებულ ვარიანტებად ჩათვლიდნენ, გამოიყენებდნენ საუბარშიც, ლიტურგიის დროსაც და ამით გზა გაეხსნებოდა აფხაზური ენის ეკოსისტემის რღვევას.

* * *

ამრიგად, ამ თავში განხილული ფაქტები და დოკუმენტები, რომლებიც ასახავენ რუსეთის იმპერიის საგანმანათლებლო პოლიტიკას, მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდიან ეკოლინგვისტური თვალსაზრისითაც. მათ საფუძველზე შემდეგი დასკვნების გამოტანაა შესაძლებელი:

1. სრულიად ახალ ეკოლოგიურ სიტუაციაში, რომელიც წარმოიქმნა აფხაზეთში 1864 წლიდან, აფხაზურ ენას მოუხდა სერიოზული კატაკლიზმების სერიის გადატანა, რაც რუსეთის იმპერიის შორს მიმავალ გეგმებს უკავშირდებოდა. ამ გეგმების მიხედვით, შავი ზღვის გეოსტრატეგიულად უმნიშვნელოვანეს ღია ნაპირზე მდებარე მხარის აფხაზი მოსახლეობა ჯერ კიდევ აფხაზეთის სამთავროს დაპყრობამდე მიიჩნეოდა არასანდოდ. ეს დამოკიდებულება გააღრმავა შემდეგმა აქციებმა: 1864 წელს რუსულ ჯარს სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიეს ჯიქებმა, აიბგას, აჰჭიფსისა და ფსჰუს თემების მოსახლეობამ;

1866 წელს აფხაზებმა მოანყვეს მასობრივი ანტირუსული აჯანყება, ხოლო 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს აფხაზთა ნაწილმა იარაღით დაუჭირა მხარი ოსმალურ ჯარს.

2. აფხაზთა მიმართ უნდობლობის ფაქტორმა განამტკიცა იმპერიულ იდეოლოგიაში რუსიფიკაციის პოლიტიკის წამყვანი როლი. იმპერიის მოხელეებსა და რუსული ეკლესიის იერარქებს მიაჩნდათ, რომ მარტო რუსულ, ან ქართულ ენაზე აფხაზთა აღზრდა ხელს შეუშლიდა ამ ხალხში იმპერიისადმი ლოიალური განწყობის შექმნას. სწორედ ამიტომ 1864-1917 წლებში აფხაზეთში არ შექმნილა არცერთი გიმნაზია და აქცენტი გადატანილ იქნა აფხაზურ სოფლებში ქრისტიანობის მასობრივად გავრცელებასა და ეკლესიებთან სამრევლო სკოლების გახსნაზე.

3. გენერალ ვ. გეიმანისა და ეპისკოპოს აგაფოდორის მიერ შემუშავებული შედარებით რბილი საგანმანათლებლო სისტემა აფხაზურ ენასაც უტოვებდა ფუნქციონირების მცირედ ასპარეზს: იგი ერთ-ერთ საგნად უნდა გამოყენებულიყო მხოლოდ სამრევლო სკოლაში და უნდა შეემზადებინა ნიადაგი სწავლის მომდევნო ეტაპებზე აფხაზი მოსწავლეების მიერ უკლებლივ ყველა საგნის რუსულ ენაზე შესწავლისათვის. მიიჩნეოდა, რომ ამგვარი ტაქტიკა საბოლოოდ ხელს შეუწყობდა აფხაზთა მასობრივ გარუსებას, თუმცა ეს გეგმა ნაწილობრივ შესრულდა სკოლების, მასწავლებელთა, სახელმძღვანელოთა და სწავლის სურვილის მქონე მოსწავლეთა დიდი სიმცირის გამო.

4. გარუსების პოლიტიკის უმთავრეს ხელშემშლელ ფაქტორად მიიჩნეოდა ქართული ენა, რომელიც მანამდე აფხაზთა შორის ტრადიციულად ითვლებოდა კულტურისა და საქმისწარმოების, ასევე ქრისტიანული ღვთისმსახურების ენად.

5. რაცმთავარია, 1864-1917წლებშიაფხაზურიენაარცერთსასწავლებელში არასოდეს გამოყენებულა სწავლების ენად, თუმცა მას მეტ-ნაკლებად ასწავლიდნენ აფხაზურ სოფელთა ნაწილში მოქმედ სკოლებში როგორც ერთ-ერთ დისციპლინას. რაც შეეხება სასწავლო საათების რაოდენობას, აფხაზური ენისთვის გამოყოფილი საათები არასოდეს და არსად აჭარბებდა რუსული ენის შესასწავლად გამოყოფილი საათების რაოდენობას. მაგალითად, ეპისკოპოს აგაფოდორის მიერ 1893 წელს შედგენილ სამკლასიანი (ექვსწლიანი) სკოლის სასწავლო განრიგში აფხაზური ენა ერთ-ერთ საგნად უნდა ესწავლებინათ I და II კლასებში, ანუ 4 წელიწადს, აქედან პირველ კლასში უნდა ჩატარებულიყო კვირაში 3-3 გაკვეთილი, მეორეში კი - 2-2 გაკვეთილი, ხოლო რუსულ ენას

ეთმობოდა პირველ წელს - 8 გაკვეთილი, მეორე წელს - 7, მესამე და მეოთხე ნლებში კი - 4-4 გაკვეთილი (ანჩაბაძე, 2018, გვ. 372-373).

6. მიუხედავად რუსული ენის პრიორიტეტისა, აფხაზურ სოფლებში გახსნილ სკოლებს ოფიციალურად მაინც „აფხაზური სკოლა" ეწოდებოდა მხოლოდ იმიტომ, რომ ამ სკოლებში მოსწავლეთა აბსოლუტური უმრავლესობა ეროვნებით აფხაზი ბავშვები იყვნენ და მათ ერთ-ერთ დამხმარე საგნად ასწავლიდნენ აფხაზურ ენას.

§2. აფხაზური ენა განათლების სისტემაში 1917-1920 წლებში

1917 ნლის თებერვალში რუსეთში დაამხეს მონარქიული ხელისუფლება და შეიქმნა რუსეთის დროებითი მთავრობა, იმავე წლის ოქტომბერში კი დროებითი მთავრობაც დაამხეს კომუნისტებმა და დამყარდა საბჭოთა რეჟიმი. მალევე დაიწყო სამოქალაქო ომიც. ამ პერიოდში სამხრეთ კავკასია (საქართველო აფხაზეთის ჩათვლით, აზერბაიჯანი და სომხეთი) იმართებოდა 1917 ნლის თებერვლიდან რუსეთის დროებითი მთავრობის მიერ დანიშნული ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის (ანუ ოზაკომის, Особый Закавказский Комитет, შემოკლებით: ОЗАКОМ), 1917 ნლის ნოემბრიდან - ამიერკავკასიის კომისარიატის, 1918 ნლის 10 თებერვლიდან - ამიერკავკასიის სეიმის, იმავე ნლის 9 აპრილიდან - ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ, ხოლო 1918 ნლის 26 მაისს შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (სდრ), რომელშიც სოხუმის ოლქიც შედიოდა. ვერცერთმა დასახელებულმა პოლიტიკურ-ადმინისტრაციულმა წარმონაქმნმა არსებობის ხანმოკლე პერიოდში საფუძვლიანად ვერ შეცვალა იმპერიის დროს შექმნილი საგანმანათლებლო სისტემა (დროის სიმცირის გამო ეს შეუძლებელიც იყო!) და ამის გამო ვითარება არ შეცვლილა აფხაზური ენის სწავლებაშიც. იგი კვლავ რჩებოდა რუსული ენის შესასწავლ დამხმარე საგნად. მცირედ განსხვავდებოდა მდგომარეობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის უმოკლეს პერიოდში, კერძოდ:

მთელ საქართველოში აფხაზეთის ჩათვლით დაიგეგმა ნაციონალიზაცია, ანუ რუსული ენის ეროვნული ენით ეტაპობრივად ჩანაცვლება. ეს პროცესი მტკივნეული და სახიფათო იყო, ვინაიდან როგორც არაქართულ მოსახლეობას, ისე ქართველთა ნაწილსაც ვერ წარმოედგინა, როგორ უნდა გადასულიყო ოფიციალური საქმისწარმოება და განათლების სისტემა ქართულ ენაზე, მით უმეტეს, რომ ბევრ ცხოვრებისეულ დარგთან დაკავშირებული ტერმინოლოგია ან სრულებით არ არსებობდა, ანდა მივიწყებული იყო. გარდა ამისა, უკვე

მრავალეროვნულ მხარედ გადაქცეული აფხაზეთის აფხაზურ მოსახლეობაში ჯერ კიდევ იყვნენ ქართულის მცოდნენი, მაგრამ სხვა ეროვნების კოლონისტებში თითქმის არავინ იცოდა ქართული. რაც შეეხება აფხაზურ ენას, იგი მონოეთნიკური, საოჯახო ენა იყო და აფხაზთა გარდა მხოლოდ შერეული ოჯახების წევრებმა და სამურზაყანოელმა ქართველებმა იცოდნენ. ასეთ პირობებში საქმისნარმოების დაუყოვნებლივ გადაყვანა ქართულ ენაზე შესაძლებელი იყო მხოლოდ ქართულ სოფლებში, ანუ ახლანდელი გალის რაიონის მთელ ტერიტორიაზე, გულრიფშისა და სოხუმის რაიონების დიდ ნაწილზე და ოჩამჩირის რაიონის სოფელთა ერთ ჯგუფში, ასევე ქალაქ სოხუმში. იგივე ითქმის სასკოლო განათლების ენებზეც იმ სხვაობით, რომ აფხაზურ სოფელთა ერთ ნაწილში ჯერ კიდევ იყო ქართულ ენაზე განათლების მომხრე მოსახლეობის მოზრდილი ჯგუფი.

აფხაზ ავტორთა მიერ ხაზგასმით აღინიშნება, თითქოს 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და ხელისუფლებაში მმართველ უმრავლესობად სოციალ-დემოკრატიული პარტიის მენშევიკური ფრთის მოსვლის შემდგომ დაიწყო აფხაზთა ეთნიკური ნიშნით შევიწროება და გაქართველების პოლიტიკის გატარება. დოკუმენტურად კი მსგავსი არაფერი მტკიცდება. პირიქით, 1917 წლის თებერვლიდან 1918 წლის 26 მაისამდეც და მერეც აფხაზეთის ეროვნული საბჭო არცთუ იშვიათად იღებდა ისეთ ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა, ან სრულებით არ შეესაბამებოდა მხარის ავტოქთონური ქართული მოსახლეობისა და მთლიანად საქართველოს კანონიერ ინტერესებს (დამოკიდებულება ჩრდილოეთ კავკასიისადმი, გენერალ დენიკინის მოხალისეთა არმიისადმი, რუსი ბოლშევიკებისადმი, თურქეთისადმი, აფხაზეთის სტატუსისა და კონსტიტუციის ტექსტის საკითხები და ა.შ.), რაც ძაბავდა ურთიერთობას სოხუმსა და თბილისს შორის.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება ცდილობდა აფხაზურ მხარესთან საერთო ენის გამოძებნასა და ინტერესთა შეჯერებას. ამ მხრივ გარდამტეხი იყო 1919 წლის 21 ივლისს აფხაზეთის ეროვნული საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან საკონსტიტუციო საკითხების შესათანხმებლად თბილისში 5-კაციანი დელეგაციის გაგზავნის შესახებ. დელეგაციაში შედიოდნენ დ. ემუხვარი, გ. კოროლიოვი, მ. უბირია, ვასილ ღურჯუა (ეს აფხაზი კაცი საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრიც იყო), მ. ცაავა და მ. გრიგოლია. საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ (ანუ პარლამენტმა) ამ დელეგაციასთან პარიტეტულ საწყისებზე (ფორმულა 5+5) სამუშაოდ დანიშნა დამფუძნებელი კრებისა და საკონსტიტუციო ჯგუფის 5 წევრი: ს. დადიანი, პ. საყვარელიძე, გ. გვაზავა, ნანეიშვილი და მ. ხოჭოლავა. ამ 10-კაციანმა პარიტეტულმა კომისიამ ინტენსიურად იმუშავა. მას უამრავი

მნიშვნელოვანი საკითხი პქონდა გადასაწყვეტი, რომელთაგან ერთ-ერთი მთავარი პრობლემა აფხაზეთში საქართველოს სახელმწიფო ენის - ქართულისა და აფხაზური ენის ოფიციალური სტატუსის, ასევე მათი გამოყენების დროისა და ადგილის კონსტიტუციურად განსაზღვრაც იყო.

პარიტეტული კომისიის ერთ-ერთმა წევრმა მ. უბირიამ 1919 წლის 15 ნოემბერს აფხაზეთის ეროვნულ საბჭოს მოახსენა პარიტეტული საკონსტიტუციო კომისიის მუშაობის პირველი შედეგების შესახებ, რომ კომისიამ განიხილა აფხაზეთის კონსტიტუციის იმ დროს არსებული 3 პროექტი, მაგრამ საკითხი გადაუწყვეტელი დარჩა, ვინაიდან სახელმწიფოს შემადგენელი ერთ-ერთი ნაწილის კონსტიტუცია ვერ დამტკიცდება, სანამ არ შეიქმნება მთლიანად სახელმწიფოს კონსტიტუცია. მ. უბირიას სიტყვით, საქართველოს დამფუძნებელი კრება კონსტიტუციის შედგენას ნაჩქარევი მოუთმენლობით კი არ უდგებოდა, არამედ ელოდებოდა ახალგაზრდა სახელმწიფოს მშენებლობის პროცესის დასრულებას, ჩვენ კი [აფხაზური მხარე - თ.გ.] კონსტიტუციაზე სეპარატულად ვმუშაობდით და „არ ვიცოდით მეორე მხარის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი, სახელმწიფოს დამოკიდებულება ჩვენი ავტონომიის მოცულობისა და ფორმის შესახებ". მ. უბირიას განცხადებით, პარიტეტულმა კომისიამ შეადგინა რესპუბლიკისა და ავტონომიის შეთანხმების პროექტი აფხაზეთის მართვის შესახებ (გამახარია, გოგია, 1997, გვ. 99-100). ამ შეთანხმების პროექტში ენობრივ საკითხს ეხებოდა მე-15 მუხლი, რომელშიც ეწერა:

„15. აფხაზეთის ზოგადსახელმწიფო ენად მიიჩნევა ქართული ენა, მაგრამ აფხაზეთის სახალხო საბჭოს აქვს უფლება, თავისი შეხედულებით აირჩიოს განათლებისა და აფხაზეთის ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი დანესებულების საქმისწარმოების ენა" (გამახარია, გოგია, 1997, გვ. 452-453. თარგმანი და ხაზგასმა ჩვენია - თ.გ.).

როგორც ვხედავთ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება მზად იყო, მთლიანად მიენდო აფხაზთა ეროვნული საბჭოსათვის მხარეში ენობრივი პოლიტიკის წარმართვა. ამ მხრივ არ იგეგმებოდა არავითარი შეზღუდვა. სხვა საქმეა, რომ 1919 წლის 15 ნოემბრიდან, როცა მ. უბირიამ გააკეთა ზემოთ ციტირებული განცხადება, 1921 წლის 4 მარტამდე, როცა აფხაზეთში რუსულმა IX არმიამ დაამყარა კომუნისტური რეჟიმი, სულ რაღაც 15 თვე რჩებოდა და დროის ამ უმოკლეს პერიოდში ვერ მოესწრო ყველა მნიშვნელოვანი პრობლემის, მათ შორის ენობრივი საკითხების საფუძვლიანად მოგვარება - ცარიზმის პერიოდმა კი ამ მხარეში მძიმე მემკვიდრეობა დატოვა.

მიუხედავად დროის სიმცირისა, 1917 წლის ოქტომბრიდან 1921 წლის მარტამდე აფხაზეთში მაინც მოესწრო ზოგი ენობრივი საკითხის სამართლიანად

გადაწყვეტა. დავასახელებთ პრობლემებისა და მიღწევათა ამსახველ კონკრეტულ პოლიტიკურ და სოციოლინგვისტურ ფაქტებს და კომენტარებს მათ შესახებ (ვრცლად იხ.: ჭაავა, 2020, გვ. 7-28):

1918 წლის 25 ივლისს აფხაზეთის ეროვნულმა საბჭომ (აეს-მა) საგანგებოდ განიხილა აფხაზეთისა და დანარჩენი საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობები. სხდომის ოქმში პირველ პუნქტად მითითებულია, რომ საბჭომ იმსჯელა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და აფხაზეთის ეროვნულ საბჭოს შორის დადებული ხელშეკრულებების შესახებ და აღნიშნა, რომ აეს-ის ახლად არჩეული წევრების სურვილი იყო, აფხაზურ ენაზე თარგმნილიყო და დაბეჭდილიყო ამ ხელშეკრულებათა ტექსტი, რათა ისინი დაგზავნილიყო აფხაზურ თემებში. საბჭოს თავმჯდომარე დაპირდა ამ თხოვნის შესრულებას. სხდომის მეორე საკითხი მთლიანად ეხებოდა სამთავრობო დაწესებულებათა ნაციონალიზაციის პრობლემას. ოქმში წერია:

„თავმჯდომარე სთავაზობს შემდეგ რეზოლუციას: აფხაზეთის ეროვნულმა საბჭომ, რომელმაც მოისმინა მოხსენება აფხაზეთში სამთავრობო დაწესებულებათა ნაციონალიზაციის შესახებ, დაადგინა: მიაჩნია რა დაწესებულებათა ნაციონალიზაცია საზოგადოდ სრულიად მიზანშეწონილად, აფხაზეთის ეროვნული საბჭო არ მიიჩნევს ჯერჯერობით შესაძლებლად და მიზანშეწონილად მის განხორციელებას აფხაზეთში. აფხაზეთის მრავალეროვნულობისა და სამთავრობო დაწესებულებათა ნაციონალიზების შეუძლებლობის გამო აფხაზეთის ეროვნულმა საბჭომ დაადგინა აფხაზეთის ტერიტორიაზე სამთავრობო დაწესებულებების საერთო ენად დროებით დატოვებულ იქნეს რუსული ენა“ (გამახარია, გოგია, 1997, გვ. 422).

ვფიქრობთ, ეს გადაწყვეტილება მართლაც მართებული იყო, ვინაიდან ყოველგვარი მომზადების გარეშე ერთი ხელის დაკვრით საქმისწარმოების ენის შეცვლას შეეძლო სერიოზული პრობლემები გამოეწვია იმ ფეთქებადსაშიშ დროში. გარდა ამისა, იმ პერიოდში არც ქართული ენა და ქართულ-აფხაზური საზოგადოებები იყვნენ მზად ამგვარი ცვლილებისათვის, ხოლო აფხაზეთის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა საერთოდ არ იცოდა ქართული, ენის სწავლას კი დრო სჭირდებოდა.

ნაციონალიზაციის საკითხმა, განსაკუთრებით სასკოლო განათლების ენისა და ოფიციალური საქმისწარმოების ენის პრობლემამ სერიოზული აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია აფხაზეთშიც და თბილისშიც, რაც ასახულია იმდროინდელ დოკუმენტებსა და პრესაში. მაგალითად, 1919 წლის 2 აგვისტოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების სხდომაზე განხილულ იქნა აფხაზეთში არსებული ვითარება. შინაგან საქმეთა მინისტრ

ნოე რამიშვილის მოკლე გამოსვლის შემდეგ დაინყო კამათი, რომელშიც მონაწილეობდნენ სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები. ენის საკითხს პირველი შეეხო ქ. სოხუმის ყოფილი ქალაქისთავი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ნევრი (მენშევიკი) ბენიამინ (ბენია) ჩხიკვიშვილი. მან განაცხადა:

„ენის შესახებ მთავრობამ მოგვახსენა, რომ ჩვენ შორის [ე.ი. საქართველოს ხელისუფლებასა და აფხაზეთის ეროვნულ საბჭოს შორის - თ.გ.] ურთიერთობა არსებობს სახელმნიფო ენაზე, მაგრამ თქვენ [პარლამენტის წევრთა ნაწილი - თ.გ.] ამბობთ, რატომ არ ხდება იქაურ დანესებულებებში საქმისნარმოება სახელმწიფო ენაზეო. ეს მართალია, რომ საქმისწარმოება ხდება არა ქართულ ენაზე, არამედ იმ სახელმწიფოს ენაზე, რომლის ნაწილი აფხაზეთი არც დღესაა, არც ხვალ იქნება, მაგრამ ხალხისა და საზოგადოების უდიდესი ნაწილისათვის უფრო გასაგები ენაა. ეს რუსული ენაა. ჩვენ სანინააღმდეგოს ვერაფერს ვიტყვით და, მე მგონია, მანამდე, სანამ თვითონ აფხაზეთის საბჭოს შეეძლება, გამოიყენოს სახელმწიფო ქართული ენა იმ მიზნით, რისთვისაც საერთოდ ენა არსებობს. მანამდე არ შეიძლება დაძალება, რათა დაუყოვნებლივ ილაპარაკონ და წერონ ქართულ ენაზე. ეს იქნებოდა უსაფუძვლო ქმედება და გამოიღებდა საპირისპირო შედეგებს. ამგვარ პოლიტიკას ჩვენ არ გავატარებთ...“ (გამახარია, გოგია, 1997, გვ. 444. ხაზგასმა და თარგმანი ჩვენია - თ.გ.).

ბ. ჩხიკვიშვილის ზომიერი პოზიციის საპირისპირო თვალსაზრისზე იდგა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი სპირიდონ კედია, რომელმაც აღნიშნა:

„ქართული ენა გამოძევებულია სოხუმის საქალაქო გამგეობიდან. საქმისწარმოება ხდება რუსულ ენაზე. სკოლებშიც არ არის ქართული ენა, დარჩა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იყო აქ რუსეთის ბატონობამდე - არც მეტად, არც ნაკლებად“ (გამახარია, გოგია, 1997, გვ. 449-450. თარგმანი ჩვენია - თ.გ.).

ჩვენ სრულიად ვეთანხმებით ისტორიკოსების ჯემალ გამახარიასა და ბადრი გოგიას დასკვნას ბ. ჩხიკვიშვილის გამოსვლასთან დაკავშირებით, რომ „ეს გამოსვლა სრულიად მართებული იყო და მთლიანად აქარწყლებს აფხაზი ისტორიკოსის ბაჯგურ საღარიას ტრაფარეტულ და დაუსაბუთებელ ბრალდებას, თითქოს „მენშევიკური მთავრობა აფხაზეთში ახორციელებდა სახელმწიფო აპარატის ძალდატანებით ნაციონალიზაციას. ქართული ენა გამოცხადდა სახელისუფლებო აპარატის ყველა რგოლში საქმისწარმოების ერთადერთ ენად„ (გამახარია, გოგია, 1997, გვ. 777-778. ხაზგასმა და თარგმანი ჩვენია - თ.გ.). სამწუხაროა, რომ აფხაზი ისტორიკოსი ისტორიულ სინამდვილეს დოკუმენტებზე დაყრდნობის გარეშე, თვითნებურად წარმოგვიდგენს.

1920 წელს, როცა აფხაზ ავტორთა სიტყვით, თურმე აქტიურად ილახებოდა აფხაზური ენის უფლებები და აფხაზ ხალხს მენშევიკები თავს ახვევდნენ ქართულ ენას, თბილისში გამომავალ ჟურნალ „განათლებაში" (N 2, 1920 წ.) უცნობი ავტორი, ფსევდონიმით „ერთი მასწავლებელთაგანი", სრულიად საპირისპირო ვითარებას აღწერს:

„1) ნაციონალიზაცია ქართულ (მეგრულ) სკოლებში ბევრს ადგილას არ მომხდარა. მასწავლებლები თუ ასწავლიან ქართულს, მხოლოდ როგორც ერთ საგანს, ხოლო რუსულის, არითმეტიკის და სხვა საგნების სწავლება რუსულადაა;

2) განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში არიან მეგრელები, რომლებიც აბხაზეთში არიან ჩასახლებულნი. მაგ. სოფელ ტამუშში [ტამიში - თ.გ.] 50 კომლი მეგრელი სახლობს. მათი შვილები აბხაზებთან ერთად აბხაზურს და რუსულს სწავლობენ, ხოლო ქართულის მასწავლებელი არ ყავთ;

3) გარდა ამისა სოხუმში არის პირველი დაწყებითი ქართული სკოლა (ქალაქის), სადაც მესამე განყოფილებიდან რუსულის სწავლა სავალდებულოა;

4) ქ. გაგრაში არის რეალური სასწავლებელი, რომელიც წმინდა რუსულია და ქართულის სწავლებაზედ არავის უზრუნველია" („განათლება", 1920, N 2, გვ. 65-67. ხაზგასმა ჩვენია - თ.გ.).

როგორც ვხედავთ, აფხაზეთის სკოლებში ენობრივი ვითარება თითქმის არ შეცვლილა: რუსული ენა კვლავ რჩებოდა სწავლების ენად, ქართული კი თითქმის არ ისწავლებოდა არამცთუ აფხაზურ, არამედ ბევრ ქართულ სკოლაშიც კი. აფხაზეთში ქართული ენის გაძლიერება მნიშვნელოვანწილად ქართველ მასწავლებლებზეც იყო დამოკიდებული, მაგრამ ისინი, სამწუხაროდ, ძალიან ცოტანი იყვნენ.

ჟურნალ „განათლების" იმავე სტატიის მიხედვით, სკოლების ნაციონალიზაცია ვერ მოხერხდა სოხუმში: რეალურ სემინარიაში, ქალთა გიმნაზიასა და უმაღლეს დაწყებით სასწავლებელში, ვინაიდან მასწავლებელთა უმრავლესობა „უცხო ტომის" (ძირითადად რუსები) იყვნენ. სემინარიის დირექტორიც უფრო რუსი ყოფილა, ვიდრე ქართველი. ძალიან ცოტა ქართულის მასწავლებელი მუშაობდა სამურზაყანოში, მხოლოდ ერთი მასწავლებელი (ქურციძე) იყო სემინარიაში და მასთან არსებულ სასწავლებელში, ხოლო გაგრის ქართულ სკოლაში საერთოდ არცერთი.

სტატიის ავტორი განიცდიდა აფხაზური ენის მდგომარეობასაც და საჭიროდ მიიჩნევდა საქართველოს სახელმწიფო ენის, ქართულის სწავლებას აფხაზი მოსწავლეებისათვის. იგი წერდა:

„*1. აბხაზების სკოლებისთვის უნდა შესდგეს სახელმძღვანელო აბხაზურ ენაზე, მაგრამ დაიბეჭდოს არა რუსული კუდიანი ასოებით, არამედ ქართულით. დაბეჭდვა უნდა მოეწყოს უსათუოდ ტფილისში;*

2. *გარდა ამისა, აბხაზების სკოლებში, ჩემი აზრით, უნდა შემოღებულ იქნას ქართულის სწავლება მესამე განყოფილებიდან და არა უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის I კლასიდან (1905 წელს კოდორის მაზრის აბხაზებმა მოითხოვეს ქართულის სავალდებულო სწავლება მათ სკოლებში. დადგენილებანი ამის შესახებ წარმოადგინეს სოხუმის საეპარქიო სამოსწავლო საბჭოში);*

3. *აბხაზების სკოლებისათვის სახელმძღვანელოს შედგენაში დახმარება შეუძლია ზოგიერთ ჩვენებურ მღვდლებს, რომლებმაც აბხაზური კარგად იციან და მასწავლებლებად დიდხანს ყოფილან. ამისთანაა, მაგ. სამურზაყანოს გუდავის დეკანოზი ბართლომე ხარებავა“* („განათლება“, 1920, N 2, გვ. 65-67).

1918-1920 წლებში საქართველოს დამფუძნებელი კრება (პარლამენტი) ითვალისწინებდა მხარეების, მათ შორის, აფხაზეთის ეთნიკურ შემადგენლობასა და მოსახლეობის რეალურ ენობრივ კომპეტენციას, ამიტომ, როგორც ითქვა, ხელისუფლების მიერ გამოცემული გადაწყვეტილებები ხშირ შემთხვევაში ფრთხილი და ლოიალური იყო.

1918 წლის 3 აგვისტოს აფხაზეთის ეროვნულმა საბჭომ ოფიციალურად განაცხადა, რომ მხარს უჭერდა აფხაზეთის სამთავრობო დაწესებულებების ნაციონალიზაციას, ანუ საქმისწარმოების გადაყვანას რუსული ენიდან ადგილობრივ ენაზე/ენებზე, თუმცა იქვე ცხადდებოდა შემდეგი: „აფხაზეთის მრავალტომობრივი მოსახლეობისა და სამთავრობო დაწესებულებების ნაციონალიზაციის შეუძლებლობის გამო, აფხაზთა სახალხო საბჭომ დაადგინა, დროებით დატოვოს რუსული ენა აფხაზეთის ტერიტორიაზე სამთავრობო დაწესებულებების საერთო ენად“, სასწავლო დაწესებულებათა ნაციონალიზაციის საკითხი კი უნდა გადაეწყვიტა ადგილობრივ მოსახლეობას, ხოლო სასწავლებლების სამუშაო ენის საკითხი - აფხაზეთის ეროვნულ საბჭოს (აფხაზეთის..., 2004, გვ. 15-16).

ეს ფრთხილი გადაწყვეტილება მოსალოდნელი პროვოკაციების თავიდან აცილების სურვილით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი.

როგორც ს. ჭაავამ დაადგინა, იმდროინდელ მასალებში არ ჩანს საქმისწარმოების ენად აფხაზური ენის დასახელების მცდელობაც კი. მკვლევარი ამის მიზეზებად ასახელებს შემდეგ გარემოებებს:

- იმ პერიოდისთვის აფხაზურს არ გააჩნდა შესაბამისი ტერმინოლოგიური ბაზა ოფიციალური ენის ფუნქციის შესასრულებლად;
- აფხაზური დამწერლობის შექმნის დროიდან (1862 წ.) 1918 წლამდე მხოლოდ მცირე რაოდენობის რუსულიდან ნათარგმნი რელიგიური, სასწავლო და სამეურნეო შინაარსის ლიტერატურა გამოიცა;
- 1912 წლამდე არ გამოქვეყნებულა აფხაზურ ენაზე შექმნილი ორიგინალური მხატვრული ნაწარმოებები;
- ცოტანი იყვნენ მშობლიურ ენაზე წერა-კითხვის მცოდნე აფხაზები. შესაბამისად, მხოლოდ საკომუნიკაციო აფხაზურით ვერ შეძლებდნენ საქმისწარმოების მასობრივად წარმართვას და საჭირო მომსახურების გაწევას აფხაზი მოსახლეობისათვის (ჭაავა, 2020, გვ. 22-23).

აფხაზ სეპარატისტთა ბრალდებებს, თითქოს ქართველებმა ძალდატანებით მოახდინეს აფხაზეთში სასწავლებლებისა და სახელმწიფო დაწესებულებების ნაციონალიზაცია, არ ადასტურებს დოკუმენტური მასალა. ისტორიკოსი ჯ. გამახარია წერს: „საქართველოს მთავრობა ნამდვილად არ ჩქარობდა სახელმწიფო დაწესებულებების ნაციონალიზაციას (საქმისწარმოება აფხაზეთში რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, ურთიერთობა კი ცენტრალურ ხელისუფლებასთან სახელმწიფო ენაზე უნდა ყოფილიყო, თუმცა ეს მოთხოვნაც ხშირად ირღვეოდა), ქართულ ენაზე სწავლის შემოღებას, რისთვისაც მას მკაცრად აკრიტიკებდა დამფუძნებელ კრებაში წარმოდგენილი პოლიტიკური ოპოზიცია“ (ნარკვევები, 2007, გვ. 303-304). იგივე მოსაზრება აქვს გამოთქმული პროფ. ზ. პაპასქირსაც (პაპასქირი, 2007, გვ. 55).

1919 წლის 18 ნოემბერს აფხაზეთის ეროვნული საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა მხარეში ენების გამოყენების საკითხი, რომელმაც ცხარე კამათი გამოიწვია. ოქმში ეს დავა ასეა ასახული:

„ვ. ანჩაბაძე[14] (ს.რ.): ჩემთვის კარგადაა ცნობილი, რომ სახელმწიფო სამართლის ანბანს წარმოადგენს სახელმწიფო ენის შესწავლა, თუ არა სწავლება მასზე. აქ ყველა თანახმა იყო, რომ აფხაზეთი საქართველოს ნაწილს წარმოადგენს, როგორც ეს აღიარებულია 20 მარტს, მაგრამ რატომღაც არ უნდათ ანგარიშის გაწევა იმისათვის, რომ აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს ქართული ენის

14. ვიანორ ანჩაბაძე (1888-1938 წწ.) - აფხაზი ექიმი და საზოგადო მოღვაწე. იყო აფხაზეთის ეროვნული საბჭოს წევრი სოციალისტ-რევოლუციონერთა (ესერთა) პარტიიდან, აფხაზი ისტორიკოსის, პროფ. ზურაბ ანჩაბაძის მამა და პროფ. გიორგი (გია) ანჩაბაძის ბაბუა.

სწავლების აუცილებლობა. რატომღაც ზოგიერთ დეპუტატს, როგორც კი ეს საკითხი ამოტივტივდება, ეშლება საღერღელი. მართალია, ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ აფხაზეთი - ინტერნაციონალური ქვეყანაა მოსახლეობის შემადგენლობის მიხედვით, მაგრამ ქართული ენის გაბატონება სამართლიანად უნდა იქნეს აღიარებული. ამ საკითხს პრაქტიკული მხარე აქვს. ისწავლება რუსული, გერმანული და სხვა ენები. რატომ? იმიტომ, რომ მეზობელი ერის ენის ცოდნა აუცილებელია კულტურულ-ეკონომიკური ინტერესით. გერმანული ენის წინააღმდეგნი არ არიან. მაშინ, რომელი ენა უნდა ისწავლებოდეს, თუ არა ქართული ენა, ენა მეზობელი ხალხისა, რომელსაც აფხაზეთმა თავისი ბედი დაუკავშირა. აი, როდესაც თქვენ ამ ენის წინააღმდეგ გამოდიხართ, უბრალოდ არ გესმით სახელმწიფო სამართლის ანბანი. მაგრამ, ვინაიდან თქვენ წინააღმდეგნი არ ხართ ამ ენის შემოღების, ჩვენ სნორად მიგვაჩნია, რომ შემოღებულია ეს ენა იმიტომ, რომ მისი შემოღება სკოლებში აუცილებელია. სახელმწიფო ენა უნდა ისწავლებოდეს - ეს აქსიომაა.

ი. ფაშალიდი[15] (ს. დ.): დემოკრატიული წყობისას არავითარი აუცილებელი ენა არ უნდა იყოს[ო], მე ეს პირველად მესმის ამ კათედრიდან დეპუტატ მარღანიას პირიდან. ხდება, ალბათ, რაღაც განსაკუთრებული მუნჯური სწავლება. კომისარიატს[16] რუსული ენის მაგივრად ქართული რომ შემოეღო, მაშინ ეს სრულიად სხვა საკითხი იქნებოდა, მაშინ ეს შეთანხმების წინააღმდეგ იქნებოდა. მაგრამ საქმე სწავლებას კი არ ეხება, არამედ შესწავლას. ეს დაუსაბუთებელი მოთხოვნაა. სწავლება მიდის რუსულ ენაზე, ქართული ენა სახელმწიფო ენაა - ეს აქსიომაა. ანბანური ჭეშმარიტების მტკიცება მიწევს, რომ სახელმწიფო ენის შემოღება აუცილებელი უნდა იყოს. რაშია დამნაშავე კომისარიატი. იმაში, რომ ამ განკარგულებამ არ გაიარა აფხაზეთის სახალხო საბჭოში, რომ არ შეებღალა მისი უფლებები. სად არის აქ აფხაზური საბჭოს უფლებების შებღალვა, თუ მომავალ თაობას ქართული ენა ეცოდინება (სიცილი)... ჩინური ენა რომ იყოს, მაშინ ალბათ არ იქნებოდა არანაირი შეკითხვა.

ლორთქიფანიძე (სახალხო განათლების კომისარი)[17]: არანაირი ენის თავზე მოხვევა არ ყოფილა. თქვენ თვითონ ამტკიცებდით, რომ საჭიროა ქართული ენის

15. იოანის ფაშალიდისი (ივან ფაშალიდი) (1885-1968 წწ.) - ბერძენი საზოგადო მოღვაწე, პოლიტიკოსი, ექიმი. იყო საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და აფხაზთა ეროვნული საბჭოს წევრი სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკთა) პარტიიდან. 1921 წლიდან გადასახლდა საბერძნეთში.

16. იგულისხმება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო განათლების კომისარიატი.

17. გრიგოლ ლორთქიფანიძე (1881-1937 წწ.) - სხვადასხვა დროს იყო საქართველოს სამხედრო მინისტრი, მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე და განათლების სახალხო კომისარი.

შესწავლა, ახლა კი თქვენ კითხულობთ, რატომ გავაკეთეთ კარგი საქმე უთქვენოთ. მე ვიმეორებ, რომ ქართული ენა უცხო არაა აფხაზეთისათვის. მე მითქვამს, რომ 1/3 მშობლიურ სალიტერატურო ენად ქართულს თვლის. მე პირველად მესმის, რომ მეგრელები ქართველები არ არიან. ეს ადგილობრივი მეგრელები და აფხაზებიც კი თავის სალიტერატურო ენად თვლიან ქართულს და დაწყებით სკოლებში განათლებას ამ ენაზე ღებულობენ. აქ ნათქვამია, რომ ჩვენ დავარღვიეთ რაღაც შეთანხმება[18]. შეთანხმებაში ნათქვამია სწავლებისა და საქმის წარმოების ენაზე და რომ ასეთ ენას ჯერ-ჯერობით რუსული წარმოადგენს. ჩვენ რომ სწავლება ქართულ ენაზე შემოგველო, თქვენს კითხვას საფუძველი ექნებოდა... თუ თქვენ თვლით, რომ ქართული ენის შესწავლა საჭიროა, დაადასტურეთ ეს. მე ვიმეორებ, რომ საქმე უცხო (გარეშე) ენის თავზე მოხვევაში კი არაა, არამედ სახელმწიფო ენის შესწავლაში. თქვენ უნდა აღიაროთ, რომ ჩვენ სწორად მოვიქეცით.

თარნავა (განსაკუთრებული ჯგუფი)[19]: ვაღიარებთ რა, რომ პრინციპში აფხაზეთის სკოლებში სასურველია ქართული ენის როგორც სახელმწიფო ენის შემოღება, სახალხო საბჭო პროტესტს გამოთქვამს კომისარიატის ერთპიროვნული გადაწყვეტილების წინააღმდეგ და უკვე თავისი სახელით ანხორციელებს ამგვარი კანონის სანქცირებას" (აფხაზეთის... 2004, გვ. 454-456. ხაზგასმა ჩვენია - თ.გ.).

როგორც ვხედავთ, აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრები აფხაზი ვიანორ ანჩაბაძე, საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და აფხაზეთის სახალხო საბჭოს ბერძენი წევრი იოანის ფაშალიდისი, საქართველოს განათლების სახალხო კომისარი ივანე ლორთქიფანიძე და თვით აფხაზი სეპარატისტი მიხაილ თარნავაც კი მხარს უჭერდნენ სკოლებში ქართული ენის, როგორც ერთ-ერთი საგნის შემოღებას, ვინაიდან მიაჩნდათ, რომ სახელმწიფო ენის სწავლება აუცილებელი იყო სამართლებრივადაც და კულტურულ-ეკონომიკური თვალსაზრისითაც. მათი აზრით, ქართული ენის შესწავლა წარმოადგენდა სახელმწიფო სამართლის ანბანს, რასაც სახალხო საბჭოს ზოგიერთი პრორუსი წევრი არ ეთანხმებოდა.

მკვლევარ ს. ჭაავას სიტყვით, „საარქივო მასალებში დაცულია სოხუმისა და გუდაუთის რეალური სასწავლებლების, სოხუმის პირველი გიმნაზიისა და ოჩამჩირის გიმნაზიის წარმომადგენელთა მიერ საქართველოს განათლების კომისარიატისადმი გაგზავნილი წერილები უმთავრესად აფხაზეთის სასწავლებლებში ენათა სწავლების საკითხების შესახებ. მათში აფხაზეთელი განათლების მუშაკები ერთხმად მიუთითებდნენ, რომ 1919-1920 წლებში მხარის

18. იგულისხმება ზემოთ უკვე ნახსენები საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და აფხაზეთის ეროვნული საბჭოს პარიტეტული კომისიის მიერ შედგენილი შეთანხმება, რომლის მე-15 მუხლი ენის საკითხს ეხებოდა.

19. მიხაილ თარნავა (1895-1941 წწ.) - აფხაზი პოლიტიკოსი, აფხაზეთის ეროვნული საბჭოს ერთ-ერთი დამფუძნებელი, ამ საბჭოს განსაკუთრებული ჯგუფის (ფრაქციის) წევრი.

თითქმის ყველა ტიპის სასწავლებელში ქართული ენა იგნორირებული იყო და სწავლება მხოლოდ რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. მათი ინფორმაციით, გიმნაზიებსა და სემინარიებში ნაკლებად იყვნენ ქართველი მასწავლებლები და მოსწავლეები და სწავლა-აღზრდის საქმე, უმეტესად, არაქართველთა ხელში იყო. სასწავლო დანესებულებებში არ ჰქონდათ ქართული წიგნები და სახელმძღვანელოები. მოსწავლეებიც იმ პირობით გადაჰყავდათ ქართულ განყოფილებაში, თუ მანამდე ისინი კარგად ისწავლიდნენ რუსულს. აღნიშნული წერილებიდან ჩანს, რომ ერთ-ერთ სავალდებულო საგნად ქართული შემოიღეს, თუმცა აფხაზეთში სწავლების ძირითადი ენა რეალურად იყო რუსული, ან რუსული და აფხაზური" (ჭაავა, 2020, გვ. 26; გავაშელიშვილი, 2004, გვ. 102-103).

ა. გავაშელიშვილმა გამოავლინა ერთი მიმართვა, რომელიც 1918 წლის 13 აგვისტოს ოჩამჩირის საქალაქო სათათბიროს თავმჯდომარეს ს. ცომაიას საქართველოს სახალხო განათლების კომისრისათვის გაუგზავნია. ავტორი ითხოვდა, საქართველოს მთავრობას ყურადღება მიექცია აფხაზეთში მიმდინარე პროცესებისთვის, ვინაიდან ზოგი აფხაზი ლიდერი ხალხს თურქული ორიენტაციისკენ მოუწოდებდა. ს. ცომაიას მიაჩნდა, რომ მდგომარეობის გამოსწორება მხოლოდ ქართული სასწავლებლების გახსნით შეიძლებოდა, სადაც აფხაზი ახალგაზრდებიც ისწავლიდნენ ქართველ შემოქმედთა ნანარმოებებს, გაიცნობდნენ საქართველოს მისწრაფებებს და დაინახავდნენ, რომ ,,ქართველები არასდროს არ ცდილობდნენ ვინმეს დამონებას". სასწავლებელში აღზრდილი ერთგული მომავალი თაობა კი შეძლებდა ქართველთა და აფხაზთა კეთილი ურთიერთობის გაგრძელებას (გავაშელიშვილი, 2004, გვ. 100-102).

ს. ცომაია აქ არ ითვალისწინებდა აფხაზთა ეროვნულ ინტერესებს და იმას, რომ აფხაზებს აფხაზურ სკოლებში უნდა ესწავლათ და არა ქართულში. სხვა საქმეა, რომ აფხაზურ სკოლაში აუცილებლად უნდა ესწავლებინათ ქართული ენაც, როგორც საქართველოს სახელმწიფო ენა.

სხვა ფაქტებიდან ჩვენი კვლევის თემისათვის მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ განსხვავებით 1917 წლამდე პერიოდისა, აფხაზურ ენას არავინ დევნიდა და კრძალავდა.

1920 წლის 31 დეკემბრის აფხაზეთის ავტონომიური მმართველობის დებულების ტექსტში ეწერა: „სახელმწიფო ენა აფხაზეთში არის ქართული ენა, მაგრამ სახალხო საბჭოს შეუძლია შემოიღოს სკოლებში სახმარებლად, ავტონომიურ დანესებულებებში სალაპარაკოდ და საქმის საწარმოებლად ადგილობრივი ენა" (ნადარეიშვილი..., 2003, გვ. 224-227).

ამრიგად, მოყვანილი და სხვა ფაქტები ადასტურებენ, რომ დოკუმენტურად სრულებით არ მტკიცდება აფხაზ ავტორთა მიერ გავრცელებული მითი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების მხრიდან აფხაზური ენის უფლებების შელახვისა და აფხაზეთის არაქართული მოსახლეობისათვის ქართული ენის ძალდატანებით თავს მოხვევის შესახებ. პირიქით, მაშინდელი ხელისუფლება დიდ სიფრთხილეს იჩენდა ენობრივი საკითხების გადაწყვეტის საქმეში. შესაბამისად, ისიც უნდა დავასკვნათ, რომ 1917 წლის ოქტომბრიდან 1921 წლის მარტამდე აფხაზური ენის ეკოლოგიურ თავისთავადობას საფრთხეს სასკოლო სისტემაში კვლავ რუსული ენა უქმნიდა.

§3. აფხაზური ენა განათლების საბჭოურ სისტემაში

აფხაზეთი საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპირებულ იქნა 1921 წლის გაზაფხულზე, კერძოდ, 4 მარტს. საბჭოთა რეჟიმს მხარეში ფეხის იოლად მოსაკიდებლად სჭირდებოდა ისეთი იდეები, რომლებიც დაავინყებდა აფხაზეთის მოსახლეობას საქართველოს დამოუკიდებლობას და მასთან დაკავშირებულ მიღწევებს ცხოვრების მრავალ სფეროში, მათ შორის ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებშიც. გათვლილი იყო ისიც, რომ რაკი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ მოსახლეობასთან ერთად შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია საბჭოთა რუსეთის IX და XI არმიებს, საქართველო და მისი სატიტულო მოსახლეობა უნდა დასჯილიყო უმცირესობების უფლებათა უსაფუძვლო გაზრდით, მათ შორის დაპირისპირების ინსპირირებით, წარსულის თითქმის სრული გაყალბებით, იდეოლოგიური მითების შექმნა-გავრცელებით, პოლიტიკური დემაგოგიით და ა.შ.

სწორედ ამიტომ დაპყრობილ ქვეყანაში ყოველგვარი კანონიერი საფუძვლების უქონლად და მთელი საქართველოს მოსახლეობის მხრიდან სანქცირების გარეშე 1921 წელს შეიქმნა აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა (შემოკლებით: აფხაზეთის სსრ), რომელსაც ზუსტად იმავე რანგის სახელი ეწოდა, როგორიც იყო ასევე არალეგიტიმურად შექმნილი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის (შემოკლებით: საქართველოს სსრ) სახელწოდება, თუმცა მოსახლეობის მხრიდან უარყოფითი რეაქციის თავიდან ასარიდებლად აფხაზეთის სსრ-ს ხელშეკრულებითი რესპუბლიკაც დაარქვეს იმის ხაზგასასმელად, რომ ეს დროებითი სტრუქტურა იყო და აფხაზეთი მომავალში ან საქართველოს დაუბრუნდებოდა (თუ აფხაზები „ცუდად" მოიქცეოდნენ და ქართველები - „კარგად"), ანდა შევიდოდა რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში (თუკი აფხაზებიცა და ქართველებიც „ცუდად" მოიქცეოდნენ).

ამას თან ახლდა კომუნისტების მიერ შეთხზული და მასობრივად გავრცელებული იდეოლოგიური მითები და პოლიტიკური კლიშეები, რომ თურმე მენშევიკები აღვივებდნენ ეთნიკურ შუღლს აფხაზეთში, ჩაგრავდნენ აფხაზებს, დევნიდნენ აფხაზურ ენას, სპობდნენ აფხაზურ იდენტობას და ა.შ. ეს მითები და კლიშეები ვრცელდებოდა ზეპირად, პრესით, მხატვრული ლიტერატურით, სასკოლო სახელმძღვანელოებით, პიესებითა და სპექტაკლებით, მოგვიანებით კი კინოთი და ტელევიზიით. 1921 წლიდან საბჭოთა კავშირის დაშლამდე აფხაზთა რამდენიმე თაობა გაიზარდა ამ მითებისა და კლიშეების მუდმივი იერიშის პირობებში და დადგა ის შედეგი, როცა დღეს აფხაზთა დიდ ნაწილს იმდენად სჯერა ამ სიცრუისა, რომ მათი რწმენა ჯერჯერობით ურყევი რჩება.

ამ იდეოლოგიურ მითებსა და პოლიტიკურ კლიშეებს შორის განსაკუთრებული როლი ეკისრება იმის „მტკიცებას", რომ 1931 წლიდან, როცა აფხაზეთის ხელშეკრულებითი სსრ-ს შეუცვალეს სტატუსი და უწოდეს აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, რომელიც კვლავ უშუალოდ დაექვემდებარა საქართველოს სსრ-ს, თურმე დაწყებულა ქართველთა დემოგრაფიული ექსპანსია, აფხაზთა გაქართველების პროცესი, აფხაზური ენის იურიდიული სტატუსის დამცრობა, აფხაზური სკოლების დახურვა, ან აფხაზური ენის სწავლების აკრძალვა და სხვა ანტიაფხაზური აქციები.

ძვირფასო მკითხველო, მოდით, ერთად გავარკვიოთ, რა ხდებოდა 1921-1930 წლების აფხაზეთის სსრ-ში ისეთი, რაც დაკარგულა 1931 წლიდან და გაქრობის რეალური საფრთხე შეუქმნია აფხაზური ენისთვისაც და აფხაზი ხალხისთვისაც. საამისოდ კი ერთადერთი სწორი გზაა ფაქტებისა და გარემოებების ობიექტური ანალიზი.

1921-1930 წლებში აფხაზი კომუნისტები განაგრძობდნენ თვითნებობის იმ პრაქტიკას, რაც დაინერგა აფხაზეთის ეროვნულ საბჭოში, როცა საბჭო იღებდა ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს ქართულ მხარესთან შეუთანხმებლად. ეს ენობრივ საკითხებსაც ეხებოდა. ჯ. გამახარია და ბ. გოგია წერენ: „აფხაზეთის საბჭოების III ყრილობამ (1925 წ. 26 მარტი - 1 აპრილი) 1925 წლის 1 აპრილს ყოველგვარი განხილვის გარეშე დაამტკიცა კონსტიტუცია, რომელიც ფაქტობრივად იმეორებდა საქართველოს 1922 წლის კონსტიტუციას. ამ მიზეზის გამო ეს ეწინააღმდეგებოდა საქართველოს, ამიერკავკასიისა და სსრ კავშირის კონსტიტუციებს, საქართველოსთან დადებულ ხელშეკრულებას. სოხუმში მიღებული კონსტიტუციის მიხედვით, აფხაზეთი ცხადდებოდა სუვერენულ რესპუბლიკად; მასში აღნიშნული იყო ამიერკავკასიის ფედერაციიდან და სსრ კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლება; სახელმწიფო ენად რუსული დგინდებოდა" (გამახარია, გოგია, 1997, გვ. 490; შდრ.: ნარკვევები, 2007, გვ.

316. ხაზგასმა და თარგმანი ჩვენია - თ.გ.). ეს თვითნებობა მოსკოვს არ მოეწონა და კომპარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის დავალებით აფხაზეთის საკონსტიტუციო კომისიამ კონსტიტუციის პროექტის რამდენიმე მუხლი შეცვალა, მათ შორის იყო ის მუხლი, რომელიც ენობრივ საკითხს ეხებოდა. 1926 წლის 27 ოქტომბერს დამტკიცდა აფხაზეთის ხელშეკრულებითი სსრ-ს კონსტიტუცია, რომლის მე-8 მუხლში ჩაიწერა:

„აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებათა ენებია სამი ენა: აფხაზური, ქართული და რუსული“ (გამახარია, გოგია, 1997, გვ. 497; ნარკვევები, 2007, გვ. 316-317).

დავაკვირდეთ იმას, რომ მოსკოვი რომ არ ჩარეულიყო, აფხაზი კომუნისტები მზად იყვნენ, თვითონ გაეწირათ აფხაზური ენა და აფხაზეთის ერთადერთ სახელმწიფო ენად რუსული გადაექციათ, რაც მხარის მთელი მოსახლეობის, მათ შორის აფხაზებისა და ქართველების სწრაფად გარუსებისთვის ნიადაგის მომზადებას უდრიდა. სხვათა შორის, აფხაზი ავტორები დღესაც მიიჩნევენ, რომ ის კონსტიტუცია კარგი იყო. არადა თვით აფხაზ კომუნისტთა იმდროინდელმა ლიდერმა ნესტორ ლაკობამ 1925 წლის 2 დეკემბერს საქართველოს კომპარტიის IV ყრილობაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, ეს იყო „კონსტიტუციური სიბრიყვე“-ო (конституционная глупость) (გამახარია, გოგია, 1997, გვ. 492). მეტიც, მან იქვე თქვა შემდეგიც: „რუსული ენის ფარდის მიღმა აფხაზეთში ყველა სხვა ენა უნდა გადასულიყო მეორე პლანზე... ეს შეცდომა ჩვენ უნდა გამოგვესწორებინა“ (გამახარია, გოგია, 1997, გვ. 493). კომენტარი აქ ზედმეტიაl

1926 წლის კონსტიტუციის ამ მუხლის შესახებ ს. ჭაავა მართებულად აღნიშნავს: „სინამდვილეში, კონსტიტუციაში დასახელებული სამი სახელმწიფო ენიდან ამ ფუნქციას აფხაზეთში ასრულებდა რუსული ენა. ამას ადასტურებს 1926 წლის მოსახლეობის აღწერის სტატისტიკური მონაცემებიც, რომლითაც ირკვევა, რომ აფხაზეთის ქალაქსა და ქალაქის ტიპის დასახლებებში, ძირითადად, იცოდნენ და იყენებდნენ რუსულ ენას, ხოლო სოფლებში - ქართულს. აფხაზურ ენაზე მისი ენობრივი რესურსის (აფხაზურ ენაზე არ არსებობდა სახელმწიფოს მართვის, იურისპრუდენციის, საკანცელარიო ტერმინოლოგია. ასევე არ არსებობდნენ ამ ენის კარგად მცოდნე სპეციალისტები) გათვალისწინებით, გაძნელდებოდა საქმისწარმოების განხორციელება...“ (ჭაავა, 2020, გვ. 67).

ამასთანავე, დიდ სირთულეს შექმნიდა ენათა ფუნქციონირების ახალი აბსურდული წესი, რაც გულისხმობდა აფხაზეთში სამი სახელმწიფო ენის (აფხაზური, ქართული და რუსული) ფუნქციების დაყოფას მაზრების მიხედვით, ანუ სახელმწიფო ენათაგან თითო ხდებოდა მაზრის საქმისწარმოების ენა. წესდებოდა აგრეთვე სათემო ენებიც: თემში საქმისწარმოება ეთნიკური

უმრავლესობის ენაზე უნდა აწყობილიყო. ეს წესი მოითხოვდა, რომ გალის რაიონში საქმისწარმოების ენა ქართული ყოფილიყო, კოდორისა და გუდაუთის მაზრებში - აფხაზური, ხოლო სოხუმისა და გაგრის მაზრებში - რუსული, მაგრამ სოხუმში მოქმედი სამხარეო მასშტაბის დაწესებულებების სამუშაო ენა რუსული ხდებოდა. ამ ხერხით „...წარმოიქმნებოდა საქმისწარმოების რუსულ ენაზე წარმართვის საჭიროება. შეიძლება ითქვას, რომ ეს ხელოვნური ენობრივი გარემო რუსული ენისა და რუსულ-საბჭოური პოლიტიკის სასარგებლოდ იქნა შემუშავებული, რაც, საბოლოოდ, მოკავშირე რესპუბლიკებში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების რუსიფიკაციას და სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა ერთმანეთისადმი გაუცხოებას ისახავდა მიზნად. საბჭოთა ხელისუფლების იდეოლოგები „მრავალეროვანი და მრავალენოვანი რესპუბლიკების“ მოსახლეობას კანონით ავალდებულებდნენ ინტერნაციონალური სულისკვეთებით განმსჭვალულიყვნენ ერთმანეთის მიმართ, რათა დაეცვათ „საყოველთაო მშვიდობა“. საამისოდ შემუშავებული შეუზღუდავი ენობრივი უფლებები მხოლოდ ფორმალობა იყო „ერთა თვითგამორკვევისათვის“, „სხვა ხალხთა უფლებებისათვის“ და მონური მშვიდობისათვის, ვინაიდან კონსტიტუციაში დეკლარირებული სახელმწიფო ენის/ენების უგულებელყოფა და „ენობრივი თავისუფლება“ მხოლოდ რუსული ენის ფუნქციონალურ გაფართოებას და მისი სტატუსის გამყარებას ისახავდა მიზნად“ (ჭაავა, 2020, გვ. 67).

* * *

გადავიდეთ განათლების ენის საკითხზე და კვლავ გავიხსენოთ ის ფაქტი, რომ 1864-1917 წლებში საერთოდ არ არსებობდა აფხაზური სკოლა - ამას გამორიცხავდა გეიმან-აგაფოდორის სასკოლო განათლების სისტემა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის სულ რაღაც ორწელიწად-ნახევარში, უფრო ზუსტად 32 თვის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლებამ და აფხაზეთის ეროვნულმა საბჭომ ვერ მოასწრეს აფხაზეთში მოქმედი მანკიერი საგანმანათლებლო სისტემის შეცვლა არა მარტო ე.წ. აფხაზურ სკოლებში, არამედ ე.ნ. ქართულ სკოლებშიც, რომლებშიც სწავლების ენად კვლავ რუსული რჩებოდა. ახლა დავსვათ კითხვა:

რა მოსპეს მენშევიკებმა? რაც არ არსებობდა, იმისი მოსპობა ხომ შეუძლებელი იყო!

რა მოუტანა აფხაზეთის ოკუპირებამ და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ აფხაზურ სასკოლო განათლების ქსელს? გადაიქცა, თუ არა აფხაზური ენა სწავლების ენად?

უნდა ითქვას, რომ არა მარტო აფხაზეთისათვის, არამედ მთლიანად საქართველოსთვისაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა 20-იან წლებში სასკოლო ასაკის ყველა ბავშვისათვის განათლების მიღების სავალდებულოდ გამოცხადებასა და წერა-კითხვის უცოდინრობის მასობრივ ლიკვიდაციას, მაგრამ ამასვე ვერ ვიტყვით ენობრივი პოლიტიკის სხვა ასპექტებზე.

1923 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით, მხარის მთელი მოსახლეობიდან წერა-კითხვა იცოდა მხოლოდ 16%-მა. ამ კატეგორიაში რაოდენობრივად ყველაზე მეტნი ქართველები იყვნენ. მეორე ენად ყველაზე გავრცელებული იყო ქართული და რუსული. აფხაზთა შორის მეორე ენის მცოდნეთაგან უმრავლესობა ფლობდა ქართულს (ჭაავა, 2017, გვ. 77-79).

საარქივო მასალების მიხედვით, 1920-1921 წლებში აფხაზეთში სულ 295 სასწავლებელი (8 უმაღლეს-დაწყებითი და 287 დაწყებითი სკოლა) ფუნქციონირებდა. მათ შორის ქართული იყო 228, ხოლო 67 არაქართული სკოლიდან ყველაზე მეტი იყო ბერძნული (26) და სომხური (24) სკოლები, რუსული იყო 13 სკოლა, ესტონური - 3 და გერმანული - 1 (ჭაავა, 2020, გვ. 105).

აფხაზი ავტორები ხშირად წერენ, რომ მენშევიკების დროს აფხაზეთში დაიხურა ცარიზმის დროს გახსნილი სკოლების უმრავლესობა და ეს მენშევიკების ანტიაფხაზური პოლიტიკის გამოვლინებად ცხადდება. ეს ავტორები ხაზს უსვამენ იმას, რომ საბჭოთა პერიოდში სკოლების რაოდენობამ იმატა, მაგრამ ერთმანეთს თუ შევადარებთ კონკრეტულ მონაცემებს, სხვა დასკვნა გამოგვივა.

ა. დუდკოს ცნობით, აფხაზეთში 1851-1917 წლებში კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენ საზოგადოებასა და საეპარქიო სასწავლო საბჭოს დაქვემდებარებაში ყოფილა 105 სკოლა (გამახარია, 2005, გვ. 1020-1029).

ვ. ყურასქუა წერს: „სამ უწყებას, რომლებიც მოღვაწეობდა სახალხო განათლების დარგში, სახალხო განათლების სამინისტროს, [სოხუმის ოლქის] ეპარქიულ უწყებასა და კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენ საზოგადოებას აფხაზეთში 1914 წელს ჰქონდა სულ რაღაც 148 სასწავლო დაწესებულება, მათგან 145 დაწყებითი (უპირატესად საეკლესიო-სამრევლო) სკოლა, ერთი საქალაქო სასწავლებელი, რეალური სასწავლებელი და ქალთა გიმნაზია...“ (ყურასქუა, 2003, წინასიტყვაობა).

ა. დუდკოსა და ვ. ყურასქუას მიერ მოყვანილი მონაცემები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება, ვინაიდან რუსეთის იმპერიის სახალხო განათლების სამინისტროს, როგორც ნაკლებად მოქნილ ინსტიტუციას, აფხაზეთში 43 სასწავლებელზე მეტი ნამდვილად არ ექნებოდა.

იგივე ვ. ყურასქუა აცხადებდა: „მენშევიკები, რომლებმაც 1918 წელს ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება და მოახდინეს აფხაზეთის ოკუპაცია, არსებითად

1921 წლის მარტამდე აგრძელებდნენ ეროვნული მტრობის გაღვივებას, მცირერიცხოვან ხალხთა, მათ შორის აფხაზების სულიერ ჩაგვრას. ამ პერიოდში აფხაზეთში გრძელდებოდა სახალხო განათლების დარგში ეროვნულ ენებზე ბავშვთა სწავლების დაბრკოლება. მაგალითად, უკვე 1918-19 სასწავლო წელს სკოლების რაოდენობა შემცირდა 146-მდე 1914-15 სასწავლო წელთან შედარებით" (ყურასქუა, 2003, I თავი, §1), ანუ დახურულა, არც მეტი და არც ნაკლები, 2 სკოლა (148-146=2). არადა საარქივო მონაცემები იმას გვეუბნება, რომ ის 2 სკოლაც კი არ დახურულა: ს. ჭაავას მიერ გამოვლენილ ერთ-ერთ ოფიციალურ დოკუმენტში წერია, რომ 1920-1921 წლებში აფხაზეთში სულ 295 სასწავლებელი მოქმედებდა, მათგან 8 უმაღლეს-დაწყებითი და 287 დაწყებითი (საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 300, ან. 8, N154). ბუნებრივია, კომუნისტები 1921 წლის 4 მარტს აფხაზეთის დაპყრობის დღიდან ზაფხულის დასაწყისამდე, ანუ 1920-1921 სასწავლო წლის დასრულებამდე დარჩენილ 3 თვეში ვერანაირად ვერ მოასწრებდნენ სკოლების რაოდენობის უცებ გაზრდას 146-დან 295-მდე, ანუ 149 სკოლის დაარსებას. ამას არც ფინანსები ეყოფოდა. რაც მთავარია, ეს მონაცემები აღებულია 20-იან წლებში აფხაზეთის განათლების სახალხო კომისარ, აფხაზ განმანათლებელ ანდრეი ჭოჭუას 1927 წლის მოხსენებითი ბარათიდან (სეა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N 597: 98-108), რომელშიც მითითებულია, რომ მენშევიკების დროს არსებული იმ სკოლებიდან 36 აფხაზური, უფრო ზუსტად, რუსულ-აფხაზური ყოფილა, ვ. ყურასქუა კი ამ სკოლებს სრულებით არ ახსენებს ვითარების განგებ გასამუქებლად.

აი, ასეთია სიმართლე აფხაზეთში მცირერიცხოვან ხალხთა ენებზე სწავლების „დაბრკოლების" შესახებ!

აქვე ს. ჭაავას ნაშრომზე (იხ.: ჭაავა, 2020) დაყრდნობით წარმოვადგენთ აფხაზეთის სახალხო კომისრის ანდრეი ჭოჭუას ხსენებული დოკუმენტის იმ ნაწილების მოკლე მიმოხილვას, რომლებიც ეხება აფხაზეთში სასკოლო განათლების მდგომარეობას 1927 წლისთვის.

ა. ჭოჭუას განმარტებით, 1917 წლამდე აფხაზეთში ისევე, როგორც მთელი ყოფილი მეფის რუსეთის სხვა მხარეებში, წმინდა ეროვნული სკოლები სრულებით არ არსებობდა. დაწყებითი სკოლის იქით უმცირესობათა კულტურული მუშაობა არ მიმდინარეობდა. ეროვნული საშუალო სკოლა და, მით უმეტეს, სკოლისგარეშე საგანმანათლებლო მუშაობა აფხაზეთში მოსახლე ეროვნებებს შორის არ არსებობდა. „ეროვნული" დაწყებითი სასკოლო ქსელიც მენშევიკების დროს უცვლელი რჩებოდა. 1917 წელს სკოლების საერთო რაოდენობა 148 იყო, ხოლო 1920 წელს - 146 [შდრ. ვ. ყურასქუა - თ.გ.]. როგორც ვხედავთ, ა. ჭოჭუასთვის თითქოს მიუღებელი იყო განათლების ენად მხოლოდ რუსული ენის გამოყენება

და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იმ პერიოდში დედაენებზე სკოლების გახსნა იმპერიის მიერ იდევნებოდაო. გასაოცარი გამონაკლისია ისიც, რომ ცარიზმის ლანძღვის მერე აფხაზი პოლიტიკოსი ნაწილობრივ მაინც აღიარებს ეროვნული სკოლის არსებობას 1917-1920 წლებში: ავტორი მენშევიკებს ადანაშაულებს იმაში, ეროვნული სკოლები მხოლოდ დაწყებით საფეხურს მოიცავდაო. განათლების კომისარი ერთმანეთს უდარებს საქართველოს დამოუკიდებლობისა და საბჭოთა პერიოდების აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული სკოლების, მასწავლებლებისა და მოსწავლეთა სტატისტიკას, რითაც სინამდვილეში დასტურდება მათი მატება და არა კლება:

„1920 წელს - სკოლა - 146; მასწავლებელი - 248, მოსწავლე - 10.468;

1922 წელს - სკოლა - 183, მასწავლებელი - 530, მოსწავლე - 11.403“.

ა. ჭოჭუას მიხედვით, 1920 წელს აფხაზეთში 146 სკოლიდან ყველაზე მეტი ყოფილა ქართული სკოლა (55), შემდეგ მოდიოდა აფხაზური (36) და სხვა სკოლები. 248 მასწავლებლიდან უმრავლესობას შეადგენდნენ ქართველები (94), არაქართველთა შორის ყველაზე მეტნი იყვნენ რუსები (58), შემდეგ აფხაზები (36). 10 468 მოსწავლიდან ყველაზე მეტნი ყოფილან ქართველები (4 294), დაახლოებით თანაბრად - აფხაზები (1 790) და რუსები (1 618).

ის ფაქტი, რომ საბჭოთა პერიოდიდან ნამდვილად მომრავლდა სასწავლო დაწესებულებები, არაერთი სხვა სტატისტიკური მონაცემითაც დასტურდება. ეს სადავოდ არც არავის გაუხდია.

როგორც ა. ჭოჭუას ოფიციალური მონაცემებიდან ირკვევა, 1927-1928 სასწავლო წლისთვის ყველაზე მეტი იყო ქართული სკოლა (86), შემდეგ სომხური (77), დაახლოებით თანაბრად - აფხაზური (56) და ბერძნული (54), რუსული იყო 17 სკოლა.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციამდე ყველაზე მეტი იყო ქართული და „აფხაზური„ სკოლები, ოკუპაციის შემდეგ კი - ქართული და სომხური. გასაბჭოების შემდეგ გაიხსნა 31 ახალი ქართული და 20 – „აფხაზური“ სკოლა. სწავლების მეორე საფეხურიდან კვლავ რუსულად ხდებოდა სწავლება „აფხაზურ“ სკოლებში.

ა. ჭოჭუა მსჯელობს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა შესახებ: სკოლამდელი აღზრდა, რომელიც სრულებით არ არსებობდა სოვეტიზაციამდე, აფხაზეთში ჩასახვას 1921 წლიდან იწყებსო, წერს ავტორი. არსებულა სულ 8 საბავშვო ბაღი და ეს ქსელი მდგარა ყველა ეროვნების ერთდროულად მომსახურების აუცილებლობის წინაშე. რაკი მანამდე საერთოდ არ არსებობდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები, სავარაუდოდ, თავიდან ნაკლები მოთხოვნა იქნებოდა საბავშვო ბაღებზე, ამიტომ სხვადასხვაენოვანი ჯგუფები

ცალ-ცალკე არც იარსებებდა, სწავლა რუსულად იქნებოდა და ეს ხელს შეუწყობდა მცირეწლოვანთა გარუსების დაწყებას.

საბჭოთა რეჟიმის დამყარების პირველ ათწლეულში საგანმანათლებლო სისტემას მთელ კომუნისტურ იმპერიაში ერთი მთავარი თავისებურება ახასიათებდა - ეს იყო ე.წ. ეროვნული სკოლების მასობრივად გახსნა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ზონებში. ერთი შეხედვით, ამ ნაბოწყებას დასაწუნი არაფერი ჰქონდა, მაგრამ თუ დავაკვირდებით საარქივო დოკუმენტებში ასახულ მდგომარეობას, ეს მხოლოდ კომუნისტური ფალსიფიკაცია და პროპაგანდისტული ღონისძიება იყო, რაც ცხადად ჩანს თუნდაც საქართველოში კომუნისტების მიერ გახსნილი ე.წ. ბერძნული სკოლების მაგალითზე:

ბერძნულ დიასპორაში ბერძნული ენის ცოდნის დონის წინასწარი კვლევის გარეშე ბერძნული სკოლების სახელწოდებით დაარსდა სასწავლო დანესებულებები აფხაზეთში, სამცხე-ჯავახეთში, თრიალეთში, აჭარაში, მაგრამ მალე განათლების დარგის ხელმძღვანელებმა დაიწყეს ჩივილი იმის შესახებ, რომ ამ სკოლათა უმრავლესობაში არც მოსწავლეებმა და არც მასწავლებლებმა არ იცოდნენ ბერძნული ენა, არ არსებობდა სახელმძღვანელოები და მეთოდიკური ლიტერატურა. ბერძნული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოები შეისყიდეს საბერძნეთში, მაგრამ საგანგებო კომისიებმა ეს წიგნები დაიწუნეს იდეოლოგიური მოსაზრებების გამო, მათში ბურჟუაზიული იდეებია წარმოდგენილი და კომუნისტურ აღზრდას ხელს შეუშლიანო. ხელოვნურად შექმნილი პრობლემა იოლად გადაწყდა: ბერძნების დასახლების ადგილთა უმრავლესობაში შექმნილ სკოლებს სახელად კვლაე ბერძნული სკოლები დაუტოვეს, სწავლება კი რუსულ ენაზე დანესდა, ანუ ე.წ. ბერძნული სკოლა გამოყენებულ იქნა ბერძნული ეროვნების ბავშვთა გარუსების დაჩქარებისათვის. ეს ფაქტები დეტალურადაა აღნერილი ზემოთ განხილულ აფხაზეთის განათლების სახალხო კომისარ ა. ჭოჭუას მოხსენებით ბარათში (ჭაავა, 2020, გვ. 175-176 და სხვ.). საყურადღებო ფაქტია ისიც, რომ 30-40-იან ნლებში ამ სკოლებს უკვე ოფიციალურად აღარ ერქვა ბერძნული სკოლა და მათში ბერძნული ენა საერთოდ აღარც ისწავლებოდა არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთის ფედერაციაში, უკრაინასა და სხვა რესპუბლიკებშიც, ანუ ყველაფერი ეს საერთო პროცესის ნაწილი იყო.

რაც შეეხება აფხაზური ენის სწავლასა და ამ ენაზე სწავლებას, საბჭოთა პერიოდში ამ მხრივ ვითარება მხოლოდ ოდნავ შეიცვალა: გაიზარდა ე.წ. აფხაზურ სკოლებში სწავლის ნლების რაოდენობა - თუ ადრე ე.წ. აფხაზურ სკოლაში სწავლა გრძელდებოდა 2, 4, ან 6 ნლის განმავლობაში, XX საუკუნის 20-იან ნლებში შეიქმნა შვიდნლიანი და ცხრანლიანი სკოლები, თუმცა გეიმან-აგაფოდორის სისტემა ამ ახლებურ სკოლებშიც უცვლელი დარჩა, ანუ დაწყებით

კლასებში აფხაზურ ენაზე ასწავლიდნენ არამარტო დედაენას, არამედ ზოგ სხვა საგანსაც (არითმეტიკას, ბუნებას...) რუსული ენის გაძლიერებული სწავლების ფონზე, ხოლო სკოლის მეორე საფეხურზე ყველა დისციპლინა ისწავლებოდა მხოლოდ რუსულ ენაზე.

ვ. ყურასქუას ცნობით, აფხაზეთში 1921-1922 სასწავლო წელს მოქმედებდა მხოლოდ 20 ე.წ. აფხაზური სკოლა. ახალი სკოლების დაარსებას ხელს უშლიდა კვალიფიციურ აფხაზ მასწავლებელთა უყოლობა (ყურასქუა, 2003, თავი I, §1). ჩვენი მხრივ იმასაც დავძენთ, რომ მასწავლებელთა უყოლობის უმთავრესი მიზეზი იყო აფხაზურ მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინრობის მასობრიობა, რაც, რა თქმა უნდა, მენშევიკებს ვერ დაბრალდება და რეალურად მეფის რუსეთის პოლიტიკის მძიმე მემკვიდრეობა იყო.

აფხაზი მოსწავლეების მასობრივად განათლებას ხელს უშლიდა სკოლების მცირერიცხოვნობა, უგზოობა, მოსწავლეთა სიღატაკე (ბავშვებს არ ჰქონდათ ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, წიგნის შეძენის შესაძლებლობა) და სხვა. უდავოდ კარგი იყო სათემო სკოლებთან და ქალაქებში ინტერნატების დაარსება. საინტერესოა, რომ 1922 წელს თბილისში ამოქმედდა აფხაზური საბავშვო სახლი, სადაც იზრდებოდნენ ობოლი და უმეთვალყურეოდ დარჩენილი ბავშვები. სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი იყო ნ. შარვაშიძე, კარტოგრაფ მიხეილ შარვაშიძის მეუღლე. ეს სახლი შემდგომ გაგრაში გადაიტანეს (ყურასქუა, 2003, თავი I, §1).

ვ. ყურასქუას თავის ნაშრომში მოჰყავს სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ 1921 წლიდან სწრაფად მატულობდა ე.წ. აფხაზური სკოლებისა და აფხაზ მოსწავლეთა რაოდენობა, მაგრამ აქვე კვლავ აღვნიშნავთ იმასაც, რომ ეს არ ყოფილა ეროვნული სკოლები და მათი დაარსება მხოლოდ იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ ზრდიდა აფხაზურ მოსახლეობაში განათლებულ ადამიანთა წილს. შესაბამისად, რეალობას არ ასახავს ვ. ყურასქუას დასკვნა: „ეს წარმოადგენდა დიდ მიღწევას აფხაზური ეროვნული სკოლის შექმნაში“-ო (ყურასქუა, 2003, თავი I, §1).

უდავოდ მნიშვნელოვანი იყო ტექნიკუმების დაარსება, რომლებშიც სწავლის განგრძობა შეეძლო მას, ვინც დაამთავრებდა სკოლის 7 კლასს (ყურასქუა, 2003, თავი I, §2), მაგრამ არც ტექნიკუმები იყო ეროვნული ხასიათისა, ვინაიდან მათში სწავლება მხოლოდ რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. ვ. ყურასქუა იმასაც აღნიშნავს, რომ 1926 წლიდან აფხაზეთის განათლების სახალხო კომისარიატმა სკოლების პირველ საფეხურს მიუმატა მეხუთე კლასიც (მანამდე მხოლოდ 4 კლასი ქმნიდა პირველ საფეხურს). ამ ცვლილების მიზეზი და მიზანი ის იყო, რომ აფხაზ მოსწავლეებს უჭირდათ 4 სასწავლო წელიწადში აფხაზურ ენასთან ერთად რუსული ენის იმ დონეზე შესწავლა, რომ მე-5 კლასიდან წარმატებით

შეესწავლათ ყველა საგანი რუსულ ენაზე (ყურასქუა, 2003, თავი I, §2). მკვლევარი იქვე დასძენს შემდეგს: „აფხაზეთის პირობებში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეებს მოეთხოვებოდათ, უზრუნველეყოთ რუსული ენის იმგვარი ცოდნა, როგორიც შეაძლებინებდა მათ, სკოლის დამთავრების მერე ემუშავათ სახელმწიფო დაწესებულებებში და განეგრძოთ სწავლა უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. დაწყებით სკოლებში დამატებით სწავლების მეხუთე წლის დამატება ამის მიღწევის საშუალებას იძლეოდა ბავშვების გადატვირთვის გარეშე" (ყურასქუა, 2003, თავი I, §2. ხაზგასმა ჩვენია - თ.გ.).

სამწუხაროდ, ვ. ყურასქუა ვერ ხედავდა იმ უდავო ფაქტს, რომ აფხაზი მოსწავლეებისათვის ე.წ. ეროვნულ სკოლაში სწავლისას უმთავრესი საქმე იყო არა დედაენა და მისი ცოდნის საფუძველზე ხარისხიანი განათლების მიღება, არამედ რუსული ენა და რუსულ ენაზე აზროვნების დაწყება ისტორიაში, ბიოლოგიაში, გეოგრაფიაში, მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში..., ანუ ე.წ. ეროვნული სკოლა კვლავ გეიმან-აგაფოდორის სისტემაზე რჩებოდა და აფხაზ მოსწავლეთა ენობრივ-ეთნიკური იდენტობის ნგრევის უმძლავრეს იარაღს წარმოადგენდა. გაუგებარია, რომ ამ ანტიაფხაზური სისტემის შენარჩუნება დღესაც დიდ მიღწევად მიიჩნევა.

1926 წელს სოხუმში გაიხსნა ორწლიანი პედაგოგიური კურსები მხოლოდ აფხაზებისათვის. ვ. ყურასქუას მიერ გამოქვეყნებული კურსების სასწავლო გეგმიდან ჩანს, რომ კურსანტებს ასწავლიდნენ 16 საგანს, მათგან აფხაზურ ენას კვირაში ეთმობოდა მოსამზადებელ ეტაპზე 5 საათი, ხოლო პირველ და მეორე კურსებზე - კვირაში 4-4 საათი; რუსულ ენას ეთმობოდა მოსამზადებელ ეტაპსა და პირველ კურსზე - 6-6 საათი, მეორე კურსზე კი - 5 საათი; ისწავლებოდა აგრეთვე რუსული ენის მეთოდიკა, რომელსაც პირველ და მეორე კურსებზე ეთმობოდა 2-2 საათი, ხოლო აფხაზური ენის სწავლების მეთოდიკა სრულებით არ შედიოდა სასწავლო გეგმაში. რაც შეეხება დანარჩენ 13 შესასწავლ დისციპლინას, ყველა მათგანის სწავლების ენა მხოლოდ რუსული იყო (ყურასქუა, 2003, თავი I, §4).

აი, ასე, რუსული ენის გაბატონების გზით მზადდებოდნენ აფხაზი მასწავლებლები ე.წ. აფხაზური სკოლებისათვის. კომენტარი აქ ზედმეტია!

უფრო ადრე, 1921 წელს ქ. სოხუმში დაარსდა პედაგოგიური ტექნიკუმი, რომელიც განკუთვნილი იყო ყველა ეროვნების მასწავლებელთა მოსამზადებლად. იმ წელს მის სასწავლო გეგმაშიც ენებიდან შედიოდა მხოლოდ აფხაზური და რუსული (ყურასქუა, 2003, თავი I, §4), მაგრამ სხვა საგნები აქაც, რა თქმა უნდა, რუსულად ნაიკითხებოდა. ევარაუდობთ, რომ მას შემდეგ, რაც ქართული ენაც გამოცხადდა აფხაზეთის ხელშეკრულებითი სსრ-ს ერთ-ერთ სახელმწიფო ენად, ალბათ მისი სწავლებაც დაემატებოდა სასწავლო გეგმას.

ვ. ყურასქუას ცნობით, 1924 წელს დამტკიცდა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის დებულება, რომლის მიხედვით, ახალი დაწესებულება უნდა შემდგარიყო პედაგოგიური ტექნიკუმისა და პედაგოგიური ინსტიტუტისაგან, იმავე 1924 წლის შემოდგომიდან პედაგოგიურ ტექნიკუმს ეწოდა კიდეც სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი, მაგრამ, ვ. ყურასქუას სიტყვით, მის შემადგენლობაში ინსტიტუტის დაარსების საკითხი 1932 წლამდე დადებითად არ გადაწყდა (ყურასქუა, 2003, თავი I, §4). გასაოცარია, რომ ინსტიტუტის დაარსებაში დაბრკოლების შექმნა არ დაბრალდათ ქართველ კომუნისტებს, ამიტომ ვეარაუდობთ, რომ უარი ალბათ აფხაზი ბოლშევიკებისაგან მოდიოდა.

ე.ნ. აფხაზურ სკოლებში აფხაზურ ენაზე სწავლება არ დანერგილა და აფხაზური ენის შესწავლა არ გაღრმავებულა არც მომდევნო ათწლეულში, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ 1933 წელს აფხაზეთის ასსრ-ს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა (შემოკლებით: ცაკი) მიიღო გადაწყვეტილება 7-წლიანი სკოლების 10-წლიანად გადაკეთების შესახებ (ყურასქუა, 2003, თავი II, §1), რამაც მხოლოდ ის შედეგი გამოიღო, რომ აფხაზური ენისა და ლიტერატურის სწავლება გაგრძელდა VIII, IX და X კლასებშიც, სხვა საგნებს კი კვლავ რუსულად ასწავლიდნენ.

მართალია ვ. ყურასქუა, როცა წერს: „აფხაზურ სკოლებში რუსული ენის სწავლების გაუმჯობესებაზე გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინა საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსა [ანუ მთავრობისა - თ.გ.] და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის [შემოკლებით: სკკპ ცკ - თ.გ.] 1938 წლის 13 მარტის ერთობლივმა დადგენილებამ „ეროვნული რესპუბლიკებისა და ოლქების სკოლებში რუსული ენის სავალდებულო სწავლების შესახებ“ (ყურასქუა, 2003, თავი II, §2), მაგრამ ამ დადგენილებას უარყოფითი როლი ეკისრებოდა და არა დადებითი: დასახელებული დადგენილების უმთავრესი მიზანი რუსიფიკაციის პროცესის გაღრმავება, დაჩქარება და არარუსულ მოსახლეობაში რუსული ენის მასობრივად გავრცელება იყო. იგი მიმართული იყო უკლებლივ ყველა არარუსული ენის წინააღმდეგ. ეს ცხადად ჩანს იმ მოთხოვნების ჩამონათვალიდან, რაც ამ დადგენილების მიხედვით წაეყენებოდა ნებისმიერი სკოლის კურსდამთავრებულს:

- დაწყებითი სკოლის კურსდამთავრებულს უნდა ჰქონოდა რუსული ლექსიკის გარკვეული მარაგი; უნდა შესძლებოდა მარტივი რუსული საუბრის გაგება და გარემოს აღწერა რუსულ ენაზე; ჰქონოდა კითხვისა და წერის ელემენტური უნარ-ჩვევები;
- არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულს უნდა შეძლებოდა რუსული ენის საშუალებით თავისუფლად და სწორად გადმოეცა საკუთარი აზრები;

- საშუალო სკოლის კურსდამთავრებულს უნდა სცოდნოდა რუსული ენის ძირითადი წესები; უნდა შეძლებოდა მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურის თავისუფლად კითხვა და გაგება; ზეპირად და წერილობით გადმოეცა ნაკითხულის შინაარსი.

თუ დავუკვირდებით ამ მოთხოვნებს, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთათვის წესდებოდა უკიდურესად მაღალი სტანდარტი, რაც უძულებულს ხდიდა ყველა არარუს მოსწავლესა და მასწავლებელს, გონების მთელი დაძაბვით ემუშავათ, რათა მიახლოვებოდნენ ამ სტანდარტის მწვერვალს.

არსებითია იმის აღნიშვნაც, რომ ამ ფონზე აფხაზური ენის შესწავლაში მოსწავლესაც და მასწავლებელსაც მრავალი დაბრკოლება ელობებოდა წინ, კერძოდ:

- აფხაზური სამწიგნობრო ენის რთული ლინგვისტური სტრუქტურა, რომლის მეცნიერული კვლევა სწორედ იმ პერიოდში იწყებდა აღმავლობას და ამაში ლომის წილი მიუძღვით უდიდეს ქართველ აფხაზოლოგებს, აკად. სიმონ ჯანაშიასა და მის მონაფეს, აკად. ქეთევან ლომთათიძეს;
- სამწიგნობრო ენის ორთოგრაფიული და ორთოეპიული ნორმების დაუდგენლობა;
- ტერმინოლოგიის არარსებობა;
- აფხაზურ ენაზე 1862 წელს შექმნილი დამწერლობის სამგზისი რადიკალური ცვლილებები სულ რაღაც 12-წლიან პერიოდში (1926, 1928 და 1938 წწ.), რის გამოც წერა-კითხვის მცოდნე პირებს ერთმეორდათ შესაძლებლობა, ეკითხათ და ეწერათ დედაენაზე;
- აფხაზ მწერალთა აფხაზურენოვანი თხზულებების უმრავლესობის დაბალი მხატვრული დონე, თემატური შეზღუდულობა და მყვირალა კომუნისტური იდეოლოგიით გაჯერებულობა, რაც მკითხველს არ იზიდავდა;
- რუსული ენის პრიორიტეტის ფონზე სკოლებში აფხაზური ენისადმი ბევრად ნაკლები ყურადღება და სეგრეგაციული დამოკიდებულება;
- ფსიქოლოგიური ბარიერის არსებობა, როცა მოსწავლე, მშობელი და მასწავლებელი ვერ ხედავდნენ იმის პერსპექტივას, რომ აფხაზური ენის მაღალ დონეზე ცოდნა შექმნიდა სკოლის შემდეგ სწავლის განგრძობისა, თუ ღირსეული კარიერის აწყობის მტკიცე და უპირობო საფუძველს;

- აფხაზური ენის გავრცელების ვიწრო გეოგრაფია, რაც აფხაზს არწმუნებდა, რომ აფხაზეთის მხოლოდ ორი ზონის მიღმა ამ ენას ვერსად გამოიყენებდა;
- მასწავლებელთა განათლების დაბალი დონე;
- სახელმძღვანელოების დაბალი შინაარსობრივი ხარისხი;
- სწავლების მეთოდიკის დაუმუშავებლობა და სხვა.

სამწუხაროდ, ამ პრობლემების უმრავლესობა დღემდე აქტუალურია, ვინაიდან კომუნისტური მემკვიდრეობა კვლავ უცვლელია და ნიჰილისტურ-შემგუებლური დამოკიდებულება არსებული პრობლემებისადმი ჯერაც არ შეცვლილა.

ვითარება ვერ შეცვალა ვერც სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დაარსებამ. გადაწყვეტილება ამ ინსტიტუტის დაფუძნების შესახებ მიღებულ იქნა 1931 წლის 12 დეკემბერს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსა და ეკონომიკის საბჭოს ერთობლივ სხდომაზე. ამის საფუძველზე 1932 წლის 13 იანვარს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის საბჭომ დაადგინა ხსენებული ინსტიტუტის დაარსება. მას უნდა ჰქონოდა ორი ფაკულტეტი: აგრობიოლოგიისა და ფიზიკა-მათემატიკისა. 1932 წლის 1 აპრილს ამოქმედდა ეს სასწავლებელი სოხუმის აგრო-პედაგოგიური ინსტიტუტის სახელწოდებით, ხოლო მის დირექტორად დაინიშნა აფხაზი განმანათლებელი ანდრეი ჭოჭუა. ერთი წლის შემდეგ მას ეწოდა ალექსეი (მაქსიმ) გორკის სახელობის სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. ორივე ფაკულტეტზე სწავლა მიმდინარეობდა რუსულ ენაზე, ანუ იგნორირებული იყო სამიდან ორი სახელმწიფო ენა: აფხაზური და ქართული. ქართული სექტორი 1937 წელს გაიხსნა ისტორიის, ენისა და ლიტერატურის სპეციალობებზე, აფხაზური სექტორი კი დაარსდა ბევრად უფრო გვიან (სამწუხაროდ, ზუსტი თარიღი ვერ დავადგინეთ), ვიცით მხოლოდ ის, რომ ამ ინსტიტუტში 30-იანი წლების მეორე ნახევარში უკვე ასწავლიდნენ აფხაზურ ენას (ამ ენის კურსს უძღვებოდა 1938 წლის 8 თებერვალს რეპრესირებული ენათმეცნიერი, დოცენტი არსენი ჰაშბა).

1937-1938 წლებში მიღებულ იქნა კურიოზული გადაწყვეტილება: ინსტიტუტში აფხაზ სტუდენტთა მოზიდვის მიზნით აგუბედიის, მოქვისა და დურიფშის არასრულ საშუალო სკოლებში სწავლების ენა გახდა... რუსული (ყურასქუა, 2003, თავი II, §4), რასაც ე. ყურასქუა უკომენტაროდ ტოვებს.

30-იან წლებში მუშაობას განაგრძობდა სოხუმის პედაგოგიური ტექნიკუმიც, რომლის სტუდენტთა უმრავლესობა აფხაზი იყო, ხოლო 1940 წელს მასში მხოლოდ აფხაზები სწავლობდნენ, თუმცა ამ სასწავლებელში სწავლების ენა კვლავ რუსული იყო (ყურასქუა, 2003, თავი II, §4). 1937 წელს გაიხსნა საქართველოს

სსრ სახალხო განათლების კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის სოხუმის ფილიალი, სადაც სწავლება საკარაუდოდ ასევე რუსულად იქნებოდა.

ვ. ყურასქუას ნაშრომის ერთი პარაგრაფი მთლიანად ეძღვნება თემას: „აფხაზური სკოლის ლიკვიდაცია და მისი აღდგენის ღონისძიებანი" (ყურასქუა, 2003, თავი III, §2). ჩვენს მკითხველს ემახსოვრება, რომ ზემოთ კონკრეტული ფაქტობრივი მასალის ანალიზის გზით ვაჩვენეთ მთავარი: 1864 წლიდან დაწყებული საერთოდ არ არსებობდა აფხაზური სკოლა, რომელშიც ყველა ძირითადი სასწავლო დისციპლინის სწავლება იქნებოდა აფხაზურ ენაზე. ეს გამორიცხულიც იყო იმიტომ, რომ აფხაზურ სამწიგნობრო ენაზე 1921 წლამდე სულ რამდენიმე რელიგიური, სამეურნეო და მხატვრული შინაარსის მქონე და ასევე რამდენიმე საანბანო წიგნი იყო გამოცემული, არ არსებობდა სამეცნიერო ტერმინოლოგია, სხვადასხვა საგნის სახელმძღვანელოები, მეთოდიკური ლიტერატურა, კვალიფიციური კადრები... გარდა ამისა, ჯერ ცარიზმის დროინდელ, შემდეგ მენშევიკების „თვითნებობის" პერიოდისა და ბოლოს 1921-1940 წლების საბჭოთა სკოლებში მოქმედებდა მხოლოდ გეიმან-აგაფოდორის საგანმანათლებლო სისტემა მცირედი მოდიფიკაციებით, რაც სწავლების ენად აფხაზურს უშვებდა როგორც დამხმარე საშუალებას რუსული ენის შესასწავლად.

ამ პირობებში იქნებ ამ საკითხზე არც ღირდა ყურადღების გამახვილება, მაგრამ რაკი იმ აფხაზი ავტორებიდან, ვინც აცხადებს, აფხაზური სკოლები დაგვიხურესო, სასკოლო განათლების საკითხებში ყველაზე კომპეტენტური თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიური ენების განყოფილების 1958 წლის კურსდამთავრებული, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი ვალერი ყურასქუა იყო, უფლება არ გვაქვს, უპასუხოდ დავტოვოთ მისი ნაშრომის ყველაზე მნვავე და სადისკუსიო ნანილი. ამიტომ მივყვეთ მის მსჯელობას და გავარკვიოთ, მოიხმობს, თუ არა ავტორი რაიმე უტყუარ არგუმენტს, ან დოკუმენტურ მასალას.

გამოვტოვებთ პარაგრაფის მთლიანად პოლიტიზებულ შესავალ ნანილს, რომელიც სკოლებს არ ეხება. პირველი, რასაც ვ. ყურასქუა აცხადებს, შემდეგია:

„მიმდინარეობდა დიდი სამამულო ომი, წყდებოდა საბჭოთა სახელმწიფოს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი, ბერიას მიერ დაყენებული თბილისელი [ჩინოსნები - თ.გ.] კი სხვა რამეზე ზრუნავდნენ: მათ მოსპეს მთელი ხალხის კულტურა. მაგალითად, 1942 წელს დაიხურა აფხაზეთის წამყვანი საშუალო სკოლა - სოხუმის ნ. ლაკობას სახელობის აფხაზური საშუალო სკოლა.

იმ დროის საარქივო დოკუმენტები [არ არის დამოწმებული არცერთი წყარო - თ.გ.] ადასტურებენ, რომ განსახკომის ზოგმა მუშაკმა და აფხაზეთის

[ავტონომიური - თ.გ.] რესპუბლიკის ზოგიერთმა ხელმძღვანელმა სტალინისა და ბერიას პოლიტიკის მომხრეთა წაქეზებით აღიარეს, რომ აფხაზურ [? - თ.გ.] სკოლებში არსებული სწავლების სისტემა „აბრკოლებდა აფხაზი ხალხის კულტურის შემდგომ ზრდას" [ციტატის წყარო არ სახელდება - თ.გ.]; ისინი უსაფუძვლოდ ამტკიცებდნენ, რომ აფხაზური ენა როგორც სწავლების ენა დაწყებით კლასებში თითქოსდა ხელს უშლიდა ბავშვების მიერ სრულფასოვანი ცოდნის მიღებას. ამის მიხედვით გამოჰქონდათ დასკვნა აფხაზურ [? - თ.გ.] სკოლებში სწავლების დედაენიდან ქართულზე გადაყვანის შესახებ. 1945 წლის 13 მარტს საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა, შემდეგ კი 1945 წლის 12 ივნისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს დადგენილება „აფხაზეთის ასსრ-ს სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ". საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1945 წლის 12 ივნისის დადგენილების მიხედვით, 1945-46 სასწავლო წელს აფხაზური სკოლების დაწყებით კლასებში, ანუ I-IV კლასებში სწავლება გადაყვანილ იქნა ქართულ ენაზე, ხოლო 1946-47 სასწავლო წლიდან ქართული ენა ხდება აფხაზური [? - თ.გ.] საშუალო სკოლების სწავლების ენა. სასწავლო გეგმებში აფხაზური ენა შენარჩუნებულ იქნა როგორც შესწავლის ერთ-ერთი საგანი" (ყურასქუა, 2003, თავი IV, §2. ხაზგასმა და თარგმანი ჩვენია - თ.გ.).

სინამდვილეში აფხაზ ისტორიკოსთა ბ. საღარიას, თ. აჩუგბასა და ვ. ფაჩულიას მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტების მიხედვით, ე.წ. აფხაზურ სკოლებში სწავლების ენის საკითხი ასეთი თანმიმდევრობით და არგუმენტაციით წყდებოდა:

1945 წლის 9 იანვარს კომპარტიის აფხაზეთის ასსრ საოლქო კომიტეტის ბიურომ აფხაზეთის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად ღონისძიებათა შემუშავების მიზნით ა. მგელაძის[20], ი. ტუსკაძისა[21] და ა. ქარჩავას წინადადებით შექმნა კომისია შემდეგი შემადგენლობით: მ. დელბა (თავმჯდომარე), ს. სიგუა (განათლების სახალხო კომისარი), შ. ხუბუტია (საოლქო კომიტეტის სკოლების განყოფილების გამგე), ა. ჭოჭუა (აფხაზური კულტურის ინსტიტუტის დირექტორი), ი. ტუსკაძე (საოლქო კომიტეტის მდივანი) (დოკუმენტები..., 1992, გვ. 481). კომისიამ 12 მარტს ა. მგელაძეს წარუდგინა მოხსენებითი ბარათი, რომლის შინაარსი ასეთია:

20. აკაკი მგელაძე - კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ეროვნებით ქართველი.

21. ივანე ტუსკაძე - კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი, კურირებდა იდეოლოგიის საკითხებს, ეროვნებით აფხაზი.

კომისიამ შეამოწმა სკოლები, შეისწავლა მასალები, საოლქო კომიტეტში შესული განათლების მუშაკთა განცხადებები და გაარკვია, რომ აფხაზურ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა განსხვავდება სხვა სკოლების მუშაობისაგან: აფხაზური სკოლების დაწყებით კლასებში სწავლება მიმდინარეობს აფხაზურ ენაზე, მე-5 კლასიდან კი - რუსულ ენაზე. რუსული ენის უცოდინრობის გამო აფხაზ მოსწავლეებს ექმნებათ პრობლემები: სუსტად ისწავლება რუსული ენა, მოსწავლეებს არ ესმით მასწავლებლის მიერ ახსნილი მასალა და სახელმძღვანელოების ტექსტების შინაარსი, ცუდად ითვისებენ შესასწავლ მასალას და ძალიან ჩამორჩებიან. მე-5 კლასში დიდი დრო იხარჯება წინა კლასებში ნასწავლის განმეორებაზე, რაც იმის გამო ხდება, რომ ბავშვებმა არ იციან შესასწავლი საგნების ტერმინოლოგია რუსულ ენაზე. ამიტომ აფხაზური სკოლის მოსწავლეებისადმი მოთხოვნები ბევრად უფრო ნაკლებია, ვიდრე სხვა სკოლების მოსწავლეებისადმი. შესაბამისად, აფხაზი ბავშვები პროგრამას შემოკლებით გადიან, თუმცა ამ შემოკლებულ პროგრამასაც ვერ ძლევენ და თავს ანებებენ სწავლას: 9 179 აფხაზი მოსწავლიდან მე-10 კლასში მხოლოდ 60 სწავლობს. აფხაზური სკოლების კურსდამთავრებულებს არა აქვთ საკმარისი ცოდნა უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გასაგრძელებლად, არც რუსული და ქართული ენები იციან. სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებს შორის აფხაზები მცირე ნაწილს შეადგენენ - 622 სტუდენტიდან მხოლოდ 33 კაცი. არ არის არცერთი ფრიადოსანი აფხაზი სტუდენტი. ამ გარემოებათა გამო კომისია მიზანშეუწონლად მიიჩნევს აფხაზურ სკოლებში არსებული სისტემის უცვლელად დატოვებას, როგორც პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებთან შეუსაბამოსი. აფხაზურ სკოლებში სწავლების დედაენაზე გადაყვანა შეუძლებელი და მიზანშეუწონელია. აფხაზური მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის მიერ ქართული ენის ცოდნა, ქართული და აფხაზური ენების ლექსიკური მსგავსება, საზიარო დამწერლობა კარნახობს აფხაზურ სკოლებში სწავლების ქართულ ენაზე გადაყვანის აუცილებლობას. ამიტომ კომისია აფხაზურ სკოლებში ქართულ ენაზე სწავლების გადაყვანას მიიჩნევს მიზანშეწონილად, სწორად და გამართლებულად, რასაც ითხოვენ აფხაზური ინტელიგენცია და სახალხო განათლების მუშაკები. საქმის კარგად წარმართვის შემთხვევაში აფხაზ ბავშვებს მნიშვნელოვნად გაუადვილდებათ სასკოლო პროგრამის ათვისება და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა, ეს რეფორმა დიდ სტიმულს მისცემს აფხაზური კულტურის უფრო მეტად განვითარებას (დოკუმენტები..., 1992, გვ. 481-482. ხაზგასმა და თარგმანი ჩვენია - თ.გ.).

ტექსტის დასკვნით ნაწილში წერია შემდეგი:

„ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, კომისია აუცილებლად და მიზანშეწონილად მიიჩნევს აფხაზურ სკოლებში სწავლების გადაყვანას ქართულ ენაზე 1945-1946 სასწავლო წლიდან.

სარეორგანიზებელი აფხაზური სკოლების სასწავლო გეგმებში აუცილებელია სავალდებულო საგნად დარჩეს აფხაზური ენისა და ლიტერატურის სწავლება“ (დოკუმენტები..., 1992, გვ. 482. ხაზგასმა და თარგმანი ჩვენია - თ.გ.).

გაუგებარია, საიდან მოჰქონდა „ფაქტები“ ვ. ყურასქუას, როცა მის მსგავსად ანტიქართულად განწყობილი 3 აფხაზი ისტორიკოსის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტის (მოხსენებითი ბარათის) ტექსტი არ შეიცავს იმ ფაქტობრივ მასალას, რასაც ვ. ყურასქუა საბრალდებოდ იყენებს.

ჩვენი აზრით, მოხსენებით ბარათში დასახელებული გარემოებანი მართლაც მნიშვნელოვანი იყო საიმისო დასკვნის გამოსატანად, რომ მოქმედი სასწავლო სისტემა მართლაც მოითხოვდა გამოსავალის დაძებნას. ცხადი იყო ის სრულიად უდავო ფაქტიც, რომ წინა პერიოდში, კერძოდ, 1921-1944 წლებში გაბატონებულმა გეიმან-აგაფოდორის სასკოლო სისტემამ რეალურად ცუდად იმუშავა, ვერც ცოდნას იძლეოდა და აფხაზ მოსწავლეთა გარუსებასაც ვერ ახერხებდა. ეს გამოწვეული იყო სისტემის თანდაყოლილი ნაკლითაც და იმითაც, რომ საბჭოთა პერიოდში აფხაზეთში მასობრივად დაარსებულ ე.წ. აფხაზურ სკოლებში საკმარისად არ იყვნენ საბუნებისმეტყველო, სოციალურ და ჰუმანიტარულ დისციპლინათა კვალიფიციური, რუსული ენის პრაქტიკულად კარგად მცოდნე მასწავლებლები: აფხაზებმა საზოგადოდ იშვიათად იცოდნენ რუსული ენა, ხოლო მხარეში მცხოვრებ რუსთა შორის მასწავლებლები ბევრნი არ იყვნენ და ვინც იყო, არც მათ ხიბლავდა აფხაზურ სოფლებში მუშაობა და ცხოვრება - მოსწავლე, მშობელი და მასწავლებელი ერთმანეთთან კონტაქტს ვერ დაამყარებდნენ მეორე მხარის ენის უცოდინრად.

მომდევნო დოკუმენტი, რომელიც განსახილველ საკითხს ეხება, არის 1945 წლის 13 მარტს საქართველოს კპ(ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის დადგენილება „აფხაზეთის ასსრ-ს სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. ტექსტის პრეამბულაში მოკლედაა აღწერილი ე.წ. აფხაზური სკოლების მეორე საფეხურზე რუსულ ენაზე სწავლების იგივე ნაკლოვანებები, რაც ზემოთ დასახელებული კომისიის მოხსენებით ბარათშიც სახელდებოდა. სარეზოლუციო ნაწილი კი შემდეგ პუნქტებს მოიცავდა:

„1. აფხაზეთის ასსრ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხის ამაღლების, აფხაზთა შორის კვალიფიციური კადრების

მომზადების მიზნით და აფხაზური ინტელიგენციის, თვით მოსწავლეთა და მათ მშობელთა ფართო მასების სურვილთა გათვალისწინებით აფხაზურ სკოლებში გაუქმდეს სწავლების არსებული სისტემა.

2. *ქართული და აფხაზური ენების საზიარო დამწერლობისა და ლექსიკური მსგავსების, ასევე აფხაზური მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის მიერ ქართული ენის ცოდნის, მონათესავე ქართველი და აფხაზი ხალხების საერთო მატერიალური და სულიერი კულტურის არსებობის გათვალისწინებით, 1945-1946 სასწავლო წლიდან აფხაზურ სკოლებში სწავლება გადაყვანილ იქნეს ქართულ ენაზე.*

   ეთხოვოს საქართველოს კპ(ბ) ცკ-ს, დაამტკიცოს აფხაზურ სკოლებში სწავლების გადაყვანა ქართულ ენაზე.

3. *სარეორგანიზაციო აფხაზური სკოლების სასწავლო გეგმებში სავალდებულო საგნად დარჩეს აფხაზური ენისა და ლიტერატურის სწავლება.*

4. *დაევალოს აფხაზეთის ასსრ განსახკომს, დაამუშაოს აფხაზურ სკოლებში ქართულ ენაზე სწავლების გადაყვანის დაწვრილებითი გეგმა და წარმოადგინოს იგი საქართველოს კპ(ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტში 1945 წლის 1 აპრილისათვის.*

5. *ეთხოვოს საქართველოს კპ(ბ) ცკ-ს, დაავალოს საქართველოს სსრ-ს განსახკომს აფხაზეთის ასსრ-ს სარეორგანიზებელი სკოლების უზრუნველყოფა კვალიფიციური პედაგოგიური კადრებით, ასევე ყველა აუცილებელი სახელმძღვანელოთი და სასწავლო-თვალსაჩინო საშუალებებით.*

6. *დაევალოთ საქართველოს კპ(ბ)-ს ქალაქკომებსა და რაიკომებს, განუმარტონ მოსახლეობას აფხაზურ სკოლებში სწავლების ქართულ ენაზე გადაყვანის უზარმაზარი მნიშვნელობა.*

საქართველოს კპ(ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი - ა. მგელაძე" (დოკუმენტები..., 1992, გვ. 484-485. ხაზგასმა და თარგმანი ჩვენია - თ.გ.).

გადავიდეთ იმ საკითხის განხილვაზე, თუ ვისგან და საიდან მოდიოდა მითითება ე.წ. აფხაზურ სკოლებში რუსულ ენაზე სწავლების ქართულ ენაზე სწავლებით ჩანაცვლების შესახებ. ეს საკითხი საგანგებოდ აქვს გამოკვლეული ისტორიკოს გრიგოლ ლეჟავას (ლეჟავა, 1997). მან გამოაქვეყნა რუსეთის ფედერაციის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის თანამედროვე დოკუმენტაციის დაცვის ცენტრში (Центр хранения современной документации, ЦХСД) დაცული უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი, კერძოდ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) ცენტრალური კომიტეტის საორგა-

ნიზაციო ბიუროს [ორგბიუროს] 1937 წლის 17 დეკემბრის დადგენილება „ხელოვნურად შექმნილი რაიონებისა და სასოფლო საბჭოების ლიკვიდაციისა და გარდაქმნის და ეროვნული სკოლების ამასთან დაკავშირებული რეორგანიზაციის შესახებ", რომელიც 1938 წლის 24 იანვარს დაუმტკიცებია საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს. მოგვყავს ჩვენი თარგმანი ამ დადგენილების ძირითადი ნაწილისა:

„...საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებული ეროვნული სკოლებისა და ჩვეულებრივ საბჭოთა სკოლების განსაკუთრებული განყოფილებების არსებობას მავნედ მიიჩნევს.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) ცენტრალური კომიტეტი წინადადებას იძლევა:

ა) რეორგანიზებულ იქნეს განსაკუთრებული ეროვნული სკოლები (გერმანული, პოლონური, ფინური, ლატვიური, ესტონური და სხვა) ჩვეულებრივი ტიპის საბჭოთა სკოლებად, ასევე ლიკვიდირებულ იქნეს ჩვეულებრივ საბჭოთა სკოლებთან არსებული განსაკუთრებული განყოფილებები;

ბ) რეორგანიზაცია განხორციელდეს შემდეგნაირად: ...აუცილებელია, განსაკუთრებული ეროვნული სკოლები რეორგანიზებულ იქნეს ჩვეულებრივი ტიპის საბჭოთა სკოლების სასწავლო გეგმებსა და პროგრამებზე გადაყვანის გზით, ან შესაბამისი რესპუბლიკის ენაზე, ან რუსულ ენაზე სწავლებით; ეს სკოლები უზრუნველყოფილ იქნეს მასწავლებლებით, 1938 წლის შემოდგომიდან ამ სკოლებში მიღებულ იქნენ სხვა ეროვნებათა ბავშვებიც.

გ) ....

დ) მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კომისრებმა პირადად დაამტკიცონ ყოველი ეროვნული სკოლის რეორგანიზაციის ვადები, ასევე წესები და დაასრულონ ყველა სამუშაო სასწავლო წლის დაწყებამდე, ე.ი. 1938 წლის 1 აგვისტომდე.

ე) საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) ცენტრალური კომიტეტი ავალდებულებს ეროვნულ კომპარტიებს, აცნობონ საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) ცენტრალურ კომიტეტს წინამდებარე მითითების შესრულების მიმდინარეობის შესახებ 1938 წლის 15 ივლისამდე" (ლეჟავა, 1997, გვ. 111-112. ხაზგასმა და თარგმანი ჩვენია - თ.გ.).

ამ დადგენილებაში იმ სახელმწიფოებში გავრცელებული ენების საგანგებოდ დასახელება, რომლებთანაც საბჭოთა კავშირს ძალიან მალე ჰქონდა ომი (გერმანული, პოლონური, ფინური, ლატვიური, ესტონური), მიუთითებს, რომ კომუნისტები უკვე ემზადებოდნენ გერმანიასთან, პოლონეთთან, ფინეთთან საომრად და იმ დროს ჯერ კიდევ დამოუკიდებელი ლატვიის, ლიეტუვისა

და ესტონეთის დასაპყრობად. ისინი სწორედ მოსალოდნელი ომის გამო არ ენდობოდნენ დადგენილებაში დასახელებულ შესაბამის კონკრეტულ ენებზე მოლაპარაკე დიასპორებს.

გარდა ამისა, დადგენილება ეხებოდა იმ დროს საბჭოთა კავშირში შემავალ თერთმეტივე მოკავშირე რესპუბლიკაში არსებულ უმცირესობათა, მათ შორის ავტონომიათა ენებსაც.

თუ იმასაც გაეითვალისწინებთ, რომ იმ დროს საბჭოთა კავშირს აღარ ჰქონდა მეგობრული ურთიერთობა თურქეთთან, რომელიც სულ უფრო მეტად უახლოვდებოდა ფაშისტურ გერმანიასა და იტალიას, თურქეთთან ომის შემთხვევაში ანტირუსულად განწყობილი აფხაზი მუჰაჯირების შთამომავალთა ფაქტორი (მათ დიდ ნაწილს მაღალი ჩინები და თანამდებობები ეჭირა თურქეთის ხელისუფლებასა და არმიაში) საფრთხეს ზრდიდა საბჭოთა კავშირის ზღვისპირა აფხაზეთშიც. ამიტომ აფხაზებიც და სპეციალური ტიპის ე.წ. აფხაზური სკოლებიც უეჭველად იქნებოდნენ „შავ სიაში", როგორც ნაკლებად სანდო. ალბათ ამით უნდა იხსნებოდეს ის ფაქტიც, რომ, როცა ციტირებული დადგენილების დამტკიცებიდან 9 წლის მერე, 1947 წელს პოეტმა ბაგრატ შინქუბამ, ისტორიკოსმა გიორგი ძიძარიამ და ენათმეცნიერმა კონსტანტინ შაყრილმა გაასაჩივრეს ე.წ. აფხაზურ სკოლებში რუსული ენის ნაცვლად ქართულის გადაქცევა სწავლების ენად, კრემლს რეაქცია არ გამოუხატავს არა სტალინისა და ბერიას ეროვნების გამო[22], არამედ იმიტომ, რომ სპეციალური ეროვნული სკოლების კატეგორიაში იგულისხმებოდა აფხაზურიცა და ყველა სხვა ავტონომიის ენებიც. შესაბამისად, საჩივრის ავტორებს პრობლემებიც შეექმნათ, ჩვენი აზრით, 1938 წლის 24 იანვრის დადგენილების იგნორირებისა და „მარქსისტულ-ლენინური ეროვნული პოლიტიკისადმი" ცხადი დაპირისპირების გამო.

საყურადღებოა ისიც, რომ გ. ლეჟავამ პირველმა გამოაელინა საანალიზო საკითხისათვის მნიშვნელოვანი გარემოება:

საქართველოს სსრ-ს იმდროინდელი ხელმძღვანელები 1938 წლიდან 1945 წლამდე, ანუ მთელი 8 წლის განმავლობაში აჭიანურებდნენ ე.წ. აფხაზური სკოლების რეორგანიზაციას.

გ. ლეჟავას მოჰყავს 1938-1944 წლებში აფხაზეთის განათლების სახალხო კომისრის იასონ დარსანიას (ეროვნებით ქართველის) მოგონება (ხაზგასმა და თარგმანი ჩვენია - თ.გ.):

22. მაგალითად, ამ ორ „ქართველ კაცს" - სტალინსა და ბერიას მათი ზეობის დროს საერთოდ არ აინტერესებდა აზერბაიჯანის კომუნისტური რეჟიმის მიერ საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველთა (პერების, ანუ ინგილოების) ბედ-იღბალი და არ აულაგმავთ იქ განხორციელებული აზერიზაციის აგრესიული პოლიტიკა, მათ შორის დედაენაზე სწავლების უფლების შეზღუდვა (ვრცლად იხ.: ჟირნოვი, 2021).

„ჯერ კიდევ ომამდე, 1938 წელს გამომიძახა აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა [ე.ი. მხარის პირველმა პირმა - თ.გ.] და მკითხა, აფხაზური სკოლების რეორგანიზაცია მიზანშეწონილად მიმაჩნდა, თუ უდროოდ. კონკრეტულად რომ ვთქვა, დაისმოდა საკითხი, რომ იმ სკოლებში, რომლებშიც პირველიდან მეოთხე კლასის ჩათვლით ყველა საგანი ისწავლებოდა აფხაზურ ენაზე, ხოლო მეხუთე კლასიდან [სწავლა] გრძელდებოდა რუსულად, გეგმავდნენ პირველიდან მეათე კლასამდე სწავლების გადაყვანას ქართულ ენაზე[23], ხოლო აფხაზურს ტოვებდნენ ერთ-ერთ საგნად. მე მას პირდაპირ ვუთხარი, რომ ეს გამოიწვევს აფხაზი მოსახლეობის უკმაყოფილებას. ასეთ პოზიციას მაშინ მხარი დაუჭირა ა. ჭოჭუამაც. იგივე კითხვა დამისვა საქართველოს კომპარტიის ცკ-ს პირველმა მდივანმა კ. ჩარკვიანმაც. და როცა მე იგივე გავიმეორე, მან აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანს მისცა მითითება, რომ ეს საკითხი განსახილველადაც კი არ წამოყენებულიყო. 1944 წელს ანალოგიური საკითხი წამოჭრა აფხაზეთის საოლქო კომიტეტის იმდროინდელმა მდივანმა მ. ბარამიამ, რომელსაც მე კვლავ ვუთხარი ჩემი აზრი ასეთი ღონისძიების დაუშვებლობის შესახებ. მ. ბარამია გაგებით მოეკიდა და სწორი რეაქცია ჰქონდა ჩემს პოზიციაზე. სრულიად სხვაგვარად მოეპყრა ასეთსავე პასუხს აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ა. მგელაძე. მან განმიცხადა: „ეს როგორ? აფხაზებს თვითონ სურთ სკოლების რეორგანიზაცია, შენ კი არ გსურს?“ ამაზე მე ვუპასუხე: „ასე მიმაჩნია, როგორც პედაგოგს“. მაშინ მან ირონიულად მითხრა, რომ ჩემი მხარდაჭერის გარეშეც მიაღწევდა შედეგს“ (ლეჟავა, 1997, გვ. 117. ხაზგასმა და თარგმანი ჩვენია - თ.გ.). სწორი პიზიციის გამო ი. დარსანია გაათავისუფლეს თანამდებობიდან.

მოყვანილი კონკრეტული ფაქტების საფუძველზე ცხადია, რომ თბილისელ და სოხუმელ ფუნქციონერებს ჰქონდათ მითითება მოსკოვიდან, პრაქტიკულად განეხორციელებინათ ზემოთ დასახელებული 1937 წლის 17 დეკემბრისა და 1938 წლის 24 იანვრის დადგენილებები სპეციალური ეროვნული სკოლების რეორგანიზაციის შესახებ და შეეცვალათ აფხაზურ სკოლებში სწავლების ენა, რომლის შესრულება გადაიდო 1938 წელს, 1944 წლიდან კი იწყება მეორე მცდელობა ამ დადგენილებების განხორციელებისა, რასაც მოჰყვა 1945 წელს აფხაზეთის განათლების სახალხო კომისარ ი. დარსანიას გადაყენება თანამდებობიდან, აფხაზი პედაგოგებისა და ფუნქციონერების მიერ რეფორმის აუცილებლობის მოთხოვნა წერილობით და საბოლოოდ ე.წ. აფხაზური სკოლების სწავლების ენად ქართულის დანესება 1945-1946 სასწავლო წლიდან.

23. სიმართლეს არ შეეფერება ი. დარსანიას ეს ცნობა პირველ-მეოთხე კლასებში სწავლების ენად ქართულის გადაქცევის შესახებ და არ მტკიცდება დოკუმენტურად მაშინ, როდესაც 1945-1953 წლებში გამოცემული 6 სასკოლო პროგრამა რეალურად ადასტურებს, რომ პირველ-მეოთხე კლასებში სწავლების ენა კვლავ აფხაზური დარჩა.

ცხადია ისიც, რომ რეორგანიზაციის იდეა არც სოხუმიდან წამოსულა და არც თბილისიდან (ლეჟავა, 1997, გვ. 117-119; პაპასქირი, 2010, გვ. 272-277. ხაზგასმა ჩვენია - თ.გ.), თუმცა რაკი მოსახლეობამ არ იცოდა საკითხის ისტორია, მოსკოვის რეალური მიზნები და ი. დარსანიას მსგავსი ქართველი ფუნქციონერების სწორი პოზიცია, ყველაფერი გადაბრალდა ქართველებს და საბოლოოდ გამწვავდა ურთიერთობა აფხაზებსა და ქართველებს შორის.

გადავიდეთ კიდევ ერთ საკითხზე: რა შედეგი გამოიღო სწავლების ენად ქართულის შემოღებამ? ამ კითხვის პასუხი ასე გვესახება:

1. დაწყებით კლასებში დედაენის ნაცვლად სხვა ენის დანერგვა მცირეწლოვან აფხაზ მოსწავლეებს აუცილებლად ჩააგდებდა სტრესის მდგომარეობაში, რაც გამოიწვევდა სწავლის მოტივაციის გაქრობას, ან შესუსტებას. ასევე მძიმე ფსიქოლოგიურ ზეგავლენას მოახდენდა სწავლების ენის შეცვლა იმ მოსწავლეებზეც, ვინც წინა კლასებში სწავლისას მეტ-ნაკლებად უკვე შეგუებული იყო რუსულენოვან სწავლებას და ამჯერად სულ სხვა ენაზე მოუწევდათ სწავლის გაგრძელება.
2. მცირე იყო აფხაზური ენისა და ლიტერატურის სწავლების მოცულობა სკოლის ყველა საფეხურზე. კერძოდ, რეფორმის დაწყების მომდევნო 1946-1947 სასწავლო წლის სასწავლო გეგმის მიხედვით, დაწყებით კლასებში აფხაზურ ენას ეთმობოდა კვირაში 4-4 საათი, V-VIII კლასებში კი - 2-2 საათი, რაც არ იქნებოდა საკმარისი დედაენის ღრმა შესწავლისათვის, მაგრამ თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ სსრკ-ს სახალხო კომისართა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომპარტიის (ბოლშევიკებისა) ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის 13 მარტის N 324 დადგენილება „ეროვნული რესპუბლიკებისა და ოლქების სკოლებში რუსული ენის სავალდებულო შესწავლის შესახებ“ ყველა ეროვნულ სკოლაში სტანდარტად ანესებდა რუსული ენის სწავლებას პირველ კლასში 2 საათის დატვირთვით, მეორესა და მესამეში - 4-4 საათის მოცულობით (იხ.: დადგენილება 324, 1938), აფხაზურის სწავლების მოცულობა მაინც მისაღებად შეიძლება ჩაითვალოს. მეტსაც ვიტყოდით, ჩვენი ჩრდილოეთკავკასიელი კოლეგების (პროფ. ს. პაზოვი, ფილოლ. მეცნ. დოქტ. მ. მაჰომედოვი...) ცნობით, XX საუკუნის 70-იან წლებში რუსეთის ფედერაციაში შემავალ ავტონომიებში მოქმედი ეროვნული სკოლების სასწავლო გეგმებში დაწყებით კლასებში ეროვნული ენების სწავლებისათვის გამოყოფილი იყო კვირაში მხოლოდ 5 საათი, ამჟამად კი არარუსული მოსახლეობის დედაენის შესწავლა სავალდებულო

აღარ არის და „რუსეთის ფედერაციაში განათლების შესახებ“ 2012 წლის 29 დეკემბრის N273-ФЗ კანონის 2018 წლის შესწორების მე-14 მუხლის თანახმად, სკოლას უფლება აქვს, მხოლოდ მშობელთა წერილობითი განცხადების საფუძველზე ასწავლოს ბავშვებს დედაენა (იხ.: ფედერალური კანონი..., 2012).

3. ბაგრატ შინქუბას, გიორგი ძიძარიასა და კონსტანტინ შაყრილის საჩივრის მიხედვით, 1946-1947 სასწავლო წელს აფხაზეთში აფხაზური ენის გაკვეთილებზე უფრო ნაკლები ყოფილა დატვირთვა აფხაზურ ლიტერატურაში, რომელიც საერთოდ არ ისწავლებოდა I-VIII კლასებში, ხოლო IX-XI კლასებში მისი სწავლებისათვის გამოყოფილი იყო კვირაში 2-2 საათი (დოკუმენტები..., 1992, გვ. 532-533). სავარაუდოა, ლიტერატურის საათების სიმცირე იმით იყო მოტივირებული, რომ აფხაზურ ლიტერატურას 1946 წელს მხოლოდ 34 წლის არსებობის ისტორია ჰქონდა და მაღალმხატვრული თხზულებების დიდი რაოდენობით არ გამოირჩეოდა (უმრავლესობას საბჭოური იდეოლოგიით გაჟღენთილი კონიუნქტურული პოეტური და პროზაული ტექსტები შეადგენდა), რის გამოც თვით აფხაზური ლიტერატურა არ იძლეოდა საშუალებას, მეტი დრო დათმობოდა მის სწავლებას.

4. სინამდვილეს არ შეეფერება აფხაზ ავტორთა ბრალდება, რომ სკოლაში სწავლების ენის შეცვლას მიზნად აფხაზთა გაქართველება ჰქონდა. ამას გამორიცხავს შემდეგი ფაქტები:

   ა) ეროვნული სკოლების ჩვეულებრივ სკოლებად გარდაქმნის იდეა, როგორც ითქვა, მოსკოვიდან მოდიოდა და ტოტალური მასშტაბის ღონისძიებათა ნაწილი იყო. იგი შეეხო საბჭოთა კავშირში არსებულ ავტონომიებსა და იმ ტერიტორიებს, სადაც ეთნიკური უმცირესობები ცხოვრობდნენ.

   ბ) აფხაზეთის მსგავსი პროცესები იმავე პერიოდში, სტალინ-ბერიას სიცოცხლეში ხდებოდა სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიებზეც. მაგალითად, აზერბაიჯანში არსებულ თალიშურ სკოლებში სწავლების ენა აზერბაიჯანული გახდა (იხ.: ვიკიპედია, თალიშური ენა) და მნიშვნელოვნად შეიკვეცა ქართული ენის სწავლება აზერბაიჯანის კახის, ზაქათალისა და ბელაქანის რაიონების ქართულ სკოლებში (ჟირნოვი, 2021). ამ მომენტის გაუთვალისწინებლად, სტალინისა და ბერიას სიკვდილის შემდგომ როგორც აფხაზი, ისე ქართველი ფუნქციონერები სწავლების ენის ცვლას მხოლოდ ბერიასა და მგელაძეს აბრალებდნენ.

გ) ეროვნული სკოლების მასობრივი რეორგანიზაცია, გარდა რუსული ენისათვის ფუნქციონირების სფეროს გაფართოებისა, მიზნად ისახავდა თერთმეტივე მოკავშირე რესპუბლიკაში შუღლის გაღვივებას ამ რესპუბლიკათა სატიტულო ეთნოსებსა და ეთნიკურ უმცირესობებს შორის, რასაც ხელს უწყობდა ზოგი ფუნქციონერის მოუზომავი და პროვოკაციული ქმედებები. ასე მოხდა აფხაზეთშიც, სადაც ქართველ მაღალჩინოსანთა ერთი ნაწილი მოსკოვისათვის თავის მოსანონებლად უხეშად მოქმედებდა, მეორე ნაწილი კი დროს აჭიანურებდა და თავს იკავებდა 1937-1938 წლების ორივე დადგენილების განხორციელებისაგან.

4. საბოლოოდ 1946-1953 წლებში ე.წ. აფხაზურ სკოლებში სწავლების ენად ქართულის გადაქცევას აფხაზმოსწავლეთა გაქართველება არ მოჰყოლია (ეს არ ჩანს 1959 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მასალებში, ეს აღწერა კი სტალინ-ბერიას გარეშე ჩატარდა), არც აფხაზური ენის ეკოლოგიურ მდგომარეობას შეჰქმნია რაიმე სერიოზული საფრთხე, მაგრამ ყველაზე მძიმე შედეგი ის იყო, რომ გამოუსწორებელი ზიანი მიადგა აფხაზურ-ქართულ ურთიერთობებს: აფხაზთა უმრავლესობამ სრულებით არაფერი იცოდა და არც ამჟამად იცის იმის შესახებ, რომ სკოლებში სწავლების ენად ქართული ენის შემოღება თბილისის იდეა კი არ იყო, არამედ კრემლიდან მოდიოდა. მათ იდეის ავტორებადაც და განმახორციელებლებადაც ქართველები მიაჩნდათ და მიაჩნიათ. ამ შეხედულების მასობრივად გავრცელებას ხელი შეუწყო სტალინისა და ბერიას საბჭოთა ხელისუფლების მწვერვალზე ყოფნის ფაქტმაც და მათი სიკვდილის შემდეგ მთელ იმპერიაში ყველა უბედურების სათავედ ამ ორი „ქართველის" წარმოჩენამ.

* * *

სტალინ-ბერიას სიკვდილის შემდგომ ე.წ. აფხაზურ სკოლებში IV კლასის ზემოთ სწავლების ენა კვლავ რუსული გახდა, I-IV კლასებში კი აფხაზური დარჩა, მაგრამ ამას სულაც არ გაუუმჯობესებია აფხაზური ენის სწავლების მდგომარეობა. უკლებლივ ყველა დისციპლინის რუსულ ენაზე შესწავლა აფხაზ მოსწავლეებს აჩვევდა მხოლოდ რუსულად აზროვნებას და ამ ენის პრიორიტეტის ზრდას. ამგვარმა ვითარებამ ის შედეგი გამოიღო, რომ ქალაქებში მცხოვრებ აფხაზებს შვილები უპირატესად ე.წ. აფხაზური სკოლების ნაცვლად წმინდა რუსულ საბავშვო ბაღებსა და სკოლებში შეჰყავდათ, რათა რუსულის ნაკლებად

ცოდნას ხელი არ შეეშალა ახალგაზრდებისათვის უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვისა და მომავალი კარიერის აწყობის დროს. ამის გამო XX საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან ქალაქებში მცხოვრები მონოეთნიკური (აფხაზური) ოჯახების დიდი ნაწილი პრაქტიკულად ბილინგვური გახდა, ხოლო ბიეთნიკურ (შერეულ) ოჯახებში ერთადერთი ენა რუსული იყო.

რაც შეეხება სოფლებს, რაკი იქ ოჯახების უდიდესი ნაწილი მონოეთნიკური იყო და სხვა ეროვნების რძლებს ტრადიციულად ევალებოდათ ქმრის ენაზე კომუნიკაცია, ერთადერთი საკომუნიკაციო ენა კვლავ აფხაზური იყო, მაგრამ აფხაზურ სოფლებში ჩვენი ყოველწლიური ექსპედიციების დროს, 80-იანი წლების დასაწყისიდან უკვე მკაფიოდ ჩანდა, რომ ახალგაზრდობა ერთმანეთთან (უფრო ხშირად) და უფროსებთან (შედარებით ნაკლებად) იყენებდა ნარევ აფხაზურ-რუსულ სამეტყველო კოდებს: საუბარს იწყებდნენ ერთ ენაზე, მაგრამ ხშირ-ხშირად გადადიოდნენ მეორე ენაზე. ეს იმას ნიშნავდა, რომ საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო ოცწლეულში აფხაზური ენა ნელი ტემპით, მაგრამ სტაბილურად თმობდა თავის პოზიციებს ქალაქებშიც და სოფლებშიც რუსული ენის სასარგებლოდ, რაშიც ლომის წილი ე.წ. აფხაზურ სკოლას მიუძღოდა.

აფხაზთა შორის ბილინგვიზმის ზრდამ მძიმე კვალი დაატყო აფხაზური ენის ეკოლოგიურ მდგომარეობასაც, კერძოდ, ახალგაზრდა აფხაზთა ზეპირ მეტყველებას შეერია რუსულენოვანი ჟარგონი და სლენგი, ორივე სქესის ყველა თაობის პირთა მეტყველებაში დაინერგა ასევე რუსული სპეციალური ტერმინოლოგია.

საბჭოთა პერიოდის საშუალო სპეციალურ სასწავლებლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების ენა რუსული და ქართული იყო. აფხაზურ ენაზე სწავლება ვერ აეწყო უმთავრესად იმის გამო, რომ არ არსებობდა სპეციალური აფხაზური ტერმინოლოგია და საკმარისად არ იყვნენ აფხაზური ენის მცოდნე კომპეტენტური სპეციალისტები. გამონაკლისი იყო პედაგოგიური ტექნიკუმი და სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (1979 წლიდან - აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის) ფილოლოგიისა და ისტორიის სპეციალობები, სადაც ლექციები აფხაზურ ენაზე მიმდინარეობდა, თუმცა ზოგადი დისციპლინები ამ სპეციალობებზეც რუსულად იკითხებოდა.

1989 წლის 20 ოქტომბერს აფხაზეთის სამივე საოლქო გაზეთში („აფსნი ყაფშ", „საბჭოთა აფხაზეთი", „სოვეტსკაია აბხაზია") გამოქვეყნდა „აფხაზური ენის განვითარების სახელმწიფო პროგრამა", რომელიც იმავე წლის 10 ოქტომბერს დაამტკიცა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა, აფხაზეთის ასსრ-ს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და აფხაზეთის ასსრ-ს მინისტრთა საბჭომ. სათანადო დადგენილებაში ცხადდებოდა, რომ

ყველა დაწესებულებას, ვისაც ევალებოდა პროგრამის შესრულება, იმავე წლის ბოლომდე აფხაზეთის ასსრ-ს მინისტრთა საბჭოში უნდა წარედგინა ღონისძიებათა კონკრეტული გეგმა მათი შესრულების ვადის მითითებით (რეგიონული..., 2002, გვ. 10-11, 222-223). ეს პროგრამა შემოკლებული და მცირედ შეცვლილი ასლი იყო 1989 წლის 25 აგვისტოს ქართულ და რუსულ გაზეთებში გამოქვეყნებული „ქართული ენის განვითარების სახელმწიფო პროგრამისა" (რეგიონული..., 2002, გვ. 7-9, 220-221). „აფხაზური ენის განვითარების სახელმწიფო პროგრამაში" რამდენიმე პუნქტი ეხებოდა ამ ენის გამოყენებას განათლების სისტემაში. ჩვენი კომენტარების თანხლებით წარმოვადგენთ პროგრამის III ნაწილით - „აფხაზური ენისა და ლიტერატურის სწავლება სასწავლო დაწესებულებებში" - ნაგულისხმევ აქტივობებს:

- აფხაზური სკოლამდელი დაწესებულებებისა და სკოლების ქსელის გაფართოება. ეს უდავოდ საჭირო და მნიშვნელოვანი საქმე იყო, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუკი სწავლების ენა აფხაზური იქნებოდა.
- აფხაზური დაწყებითი კლასებისათვის დედაენის პროგრამისა და სახელმძღვანელოების გადამუშავება და გამოცემა. ამ პუნქტის ნაკლი ის იყო, რომ იგეგმებოდა არა სრულიად ახალი პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შექმნა, არამედ უკვე მოქმედი გამარუსებელი პროგრამებისა და სახელმძღვანელოების ზედაპირულ-კოსმეტიკური ცვლა.
- აფხაზური სკოლების V-VI კლასებში სახვითი ხელოვნების, მუსიკისა და სიმღერის, ისტორიის, გეოგრაფიის სწავლებისა და ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების სწავლების გადაყვანა აფხაზურ ენაზე, რაც უდავოდ სასარგებლო და აუცილებელი იყო, თუმცა მხოლოდ ორ კლასში სწავლების ენის შეცვლა სანახევრო ღონისძიება იქნებოდა და ვერ შეცვლიდა საერთო გამარუსებელ პოლიტიკას ე.წ. აფხაზურ სკოლებში.
- აფხაზეთის ისტორიისა და გეოგრაფიის სახელმძღვანელოების შედგენა და გამოცემა აფხაზეთის ასსრ-ს სკოლებში სავალდებულო სწავლების წესით. 1992-1993 წლების ომის შემდეგ შედგენილი და გამოცემული ისტორიისა და გეოგრაფიის სახელმძღვანელოების შინაარსი გვიკარნახებს, რომ იმ ეტაპზე უკვე იგეგმებოდა აფხაზეთის უკლებლივ ყველა სკოლაში სეპარატისტულ იდეოლოგიურ ჭრილში აღწერილი აფხაზეთის ისტორიისა და აფხაზეთის გეოგრაფიის სწავლება.
- აფხაზური ეროვნული სკოლის კონცეფციის შემუშავება. ეს პუნქტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო.

- აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში აფხაზური ენის ორწლიანი კურსების შექმნა. მართალია, პროგრამაში დაზუსტებული არ იყო, თუ ვის უნდა ესწავლა ამ კურსებზე, მაგრამ მისი შექმნა მაინც დადებითი იქნებოდა აფხაზური ენის ფუნქციონირების გაფართოების საქმეში... (რეგიონული..., 2002, გვ. 11, 223).

საბჭოთა კავშირის დაშლამდე დარჩენილ 2 წელიწადში ეს პროგრამა პრაქტიკულად არ ამოქმედებულა.

§4. აფხაზური ენა განათლების ამჟამინდელ სისტემაში

აფხაზური ენის სწავლებას ამჟამინდელ აფხაზეთში ცოტა რამ განასხვავებს საბჭოთა რეჟიმის ბოლო ოცწლეულის მდგომარეობისაგან. მიუხედავად 1993 წელს დასრულებული რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ „სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის“ დეკლარირებისა, კიდევ უფრო გაღრმავდა რუსული ენის ზეგავლენა. სასკოლო სისტემაც დიდად არ შეცვლილა.

როგორც ცნობილია, თანამედროვე მსოფლიოს მოსახლეობაში დედაენის ცოდნის მდგომარეობა დიდად არის დამოკიდებული სწავლების ენის საკითხზე. ამიტომ საყურადღებოა ე.წ. დამოუკიდებელ აფხაზეთში დამტკიცებული „სახელმწიფო ენის კანონის“ მე-7 მუხლი „აღზრდისა და სწავლების ენა“, სადაც წერია:

„აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ენასა და რუსულ ენაზე აღზრდა და სწავლება...

სახელმწიფო ენა შეისწავლება აფხაზეთის რესპუბლიკის ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებაში, მიუხედავად მათი საკუთრების ფორმისა და საგანმანათლებლო დაწესებულების უწყებრივი დაქვემდებარებისა...“ (იხ.: ენის კანონი, 2007. ხაზგასმა და თარგმანი ჩვენია - თ.გ.).

როგორც ვხედავთ, „ენის კანონის“ ამ მუხლში თანაბარ დონეზეა დაყენებული აფხაზური და რუსული ენები და სრულებით არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ კონკრეტულად როგორ უნდა დაიძლიოს აფხაზთა შორის დედაენის ცოდნის უდაბლესი დონის განმაპირობებელი ძირითადი მიზეზები. ციტირებული ტექსტი მხოლოდ სიტყვებით ჟონგლირებაა და მეტი არაფერი. გამოდის, რომ ამჟამინდელი ენობრივი კანონმდებლობა კვლავ დარჩა საბჭოური სისტემის ტყვეობაში და სრულებითაც ვერ უზრუნველყოფს აფხაზთა აღზრდასა და სწავლას საკუთარ დედაენაზე.

აქ ვრცლად დავიმოწმებთ გ. გვანცელაძისა და ჩვენი ერთობლივი ნაშრომის ტექსტს (სრულად იხ.: გვანცელაძეები, 2017ა). გავიხსენოთ, რომ არა მარტო აფხაზეთში, არამედ რუსეთის მიერ ოკუპირებულ შიდა ქართლშიც (ცხინვალის მხარეში) და რუსეთის ფედერაციაში შემავალ უკლებლივ ყველა რესპუბლიკაშიც (ყოფილ ავტონომიებში) მოქმედებს ე.წ. ეროვნული სკოლები, რომლებიც გადმონაშთია XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიაში მოქმედი სამრევლო სკოლებისა (გეიმან-აგაფოდორის სისტემა). საბჭოთა პერიოდში ამ ტიპის სკოლები არ შეცვლილა და ისინი მოქმედებდა საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკებსა და ავტონომიებში.

დაისმის კითხვა: რატომ არ დაისახეს მიზნად „დამოუკიდებელ" აფხაზეთში მცხოვრებმა აფხაზმა „კანონმდებლებმა" ე.წ. აფხაზური, რეალურად კი რუსული სკოლის ჭეშმარიტად ეროვნულ სკოლად გარდაქმნის ამოცანა, მაშინ, როცა ჯერ კიდევ 1989 წელს შედგენილი „აფხაზური ენის განვითარების სახელმწიფო პროგრამა" გულისხმობდა აფხაზურ ენაზე განათლების ახალი კონცეფციის შექმნას?

პასუხი მარტივია: აფხაზ „კანონმდებლებს" ამის ნებას მოსკოვი არასოდეს მისცემს, ვინაიდან ე.წ. აფხაზური სკოლის ნამდვილად ეროვნულ სკოლად გარდაქმნის პრეცედენტი ეპიდემიასავით სწრაფად გამოიწვევს ანალოგიური რეფორმის მოთხოვნებს რუსეთის ფედერაციის სუბიექტებში, განსაკუთრებით კი ისედაც ამღერეულ ჩრდილოეთ კავკასიასა და ვოლგისპირეთში, რაც დაანგრევს ჯერ კიდევ ცარიზმის მიერ XIX საუკუნეში შემუშავებულ რუსიფიკატორულ საგანმანათლებლო სისტემას, რომელსაც ფიქტიურად „ეროვნული სკოლა" ენოდება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „დამოუკიდებელი" აფხაზეთის ბიუჯეტს მოსკოვი აყალიბებს და ეს მძლავრი ბერკეტია ამ მხარეში ვითარების სამართავად!

2013 წლის 3 სექტემბრის ინფორმაციით, აფხაზეთში სულ მოქმედებდა 165 საშუალო სკოლა, რომელთაგან 60 „აფხაზური" იყო, 16 - შერეული „აფხაზურ"-რუსული, 47 - რუსული, 31 - სომხური და 11 - ქართული (http://abkhazeti.info/abkhazia/2013/ 1378241687.php). დღეს უკვე ქართული სკოლებიც რუსულენოვანია.

რაკი რეალურად „აფხაზურ" სკოლებში მეხუთე კლასიდან ყველა დისციპლინის სწავლების ენა რუსულია (გამონაკლისია მხოლოდ დისციპლინები: „აფხაზური ენა" და „აფხაზური ლიტერატურა"), მოყვანილი სტატისტიკა არ ასახავს სინამდვილეს და მხარის საოკუპაციო რეჟიმს შეცდომაში შეჰყავს მთელი მსოფლიო:

რეალურად „აფხაზური", „აფხაზურ"-რუსული და რუსული სკოლები, ასევე ყოფილი ქართული სკოლებიც, რუსულენოვანი სასწავლებლებია და მათი ჯამური წილი მხარის სკოლათა საერთო რიცხოვნობაში შეადგენს 134 ერთეულს,

ანუ არსებული სკოლების 81,2%-ს, დედაენაზე სწავლების უფლება ჯერჯერობით მხოლოდ სომეხ მოსწავლეებს აქვთ (სომხური სკოლების წილი 19,8%-ია). ეს იმას ნიშნავს, რომ მხარის მოსწავლეთა 4/5-ზე მეტი, მათ შორის უკლებლივ ყველა აფხაზი და ქართველი ბავშვი, ყოველდღე განიცდის რუსული ენის წამლეკავ ზეგავლენას:

- ფიქრობს, წერს და მეტყველებს თითქმის მხოლოდ რუსულ ენაზე;
- ზუსტ, საბუნებისმეტყველო და სოციალურ მეცნიერებებში სწავლობს მხოლოდ რუსულ ტერმინოლოგიას;
- აღიქვამს სამყაროს რუსული ენისა და რუსული ეთნოფსიქოლოგიის პრიზმიდან;
- აფხაზურენოვანი სახელმძღვანელოების დაბალი დონე უჩენს აგდებულ-ნიჰილისტურ დამოკიდებულებას აფხაზური ენის, მხატვრული ლიტერატურისა და კულტურის დაბალი დონის შესახებ;
- ეჩვევა იმ აზრს, რომ მისი ეროვნების ენა და კულტურა უუფლებო და უპერსპექტივოა, ხოლო რუსული ენა და კულტურა უმაღლესი კატეგორიის, სრულყოფილი, პრესტიჟული და პირადი კარიერის ასაწყობად ყველაზე გამოსადეგი ენაა.

ყოველივე ეს კარგად ჩანს ინტერნეტით გავრცელებულ იმ მასალებში, რომლებშიც საუბარია აფხაზური ენის შესწავლისა და სწავლების პრობლემებზე. მაგალითად, აფსნიპრესის მიერ 2012 წლის 5 აპრილს გავრცელებულ მრავალისმეტყველი სათაურის მქონე მასალაში „აფხაზი ბავშვები აფხაზურ სკოლებში" (Абхазские дети - в абхазские школы) მოთხრობილია იმ დღეს გაგრის რაიონის სოფელ ბზიფის ადმინისტრაციაში გამართული შეხვედრის შესახებ, რომელშიც მონაწილეობა მიუღიათ დე ფაქტო მაღალი თანამდებობის პირებს, პედაგოგებსა და მოსახლეობას. განუხილავთ სკოლებსა და საბავშვო ბაღებში აფხაზური ენის გამოყენებისა და სწავლების საკითხი. არსებული პრობლემებიდან დასახელებულა შემდეგი:

- ✓ უარესდება აფხაზური ენის სწავლების მდგომარეობა სკოლებსა და საბავშვო ბაღებში;
- ✓ რუსულ სკოლებში უფრო მეტი აფხაზი ბავშვი სწავლობს, ვიდრე „აფხაზურ" სკოლებში;
- ✓ აფხაზებს ერცხვინებათ აფხაზურ ენაზე ლაპარაკი;
- ✓ მართალია, აფხაზეთის სახელმწიფო ტელევიზიის გადაცემათა უმრავლესობა აფხაზურ ენაზეა, მაგრამ ტექნიკური პრობლემების გამო ამ ტელევიზიის სიგნალს ყველგან ვერ იღებენ;

- ✓ რუსული სკოლების მოსწავლეთა უმრავლესობა ეროვნებით აფხაზია. მაგალითად, გაგრის N 2 რუსულ სკოლაში აფხაზია მოსწაელეთა 38%, რუსი - 23%, ხოლო სხვები - 39%;
- ✓ უინტერესოა აფხაზურენოვანი სასწავლო ლიტერატურა და თვალსაჩინოების მასალები და დაბალია დედაენის სწავლების დონე;
- ✓ საკმარისი არ არის აფხაზური ენის პედაგოგთა კადრები;
- ✓ საბავშვო ბაღებში შეყვანილი პატარების უმრავლესობამ არ იცის აფხაზური ენა, რის გამოც მათთან თანატოლები რუსულ ენაზე ურთიერთობენ;
- ✓ შეკრების მონაწილეთა უმრავლესობამ არც კი იცოდა აფხაზური ენის განვითარების ფონდის მიერ გამოცემული და დამზადებული სასწავლო მასალების არსებობა;
- ✓ „ხელისუფლება" ნაკლებ ყურადღებას უთმობს აფხაზური ენის სწავლების გაუმჯობესებას;
- ✓ უნდა შემუშავდეს აფხაზური ენის გადარჩენის ახალი სტრატეგია (http://apsnypress.info/news/5927.html).

ამ ინფორმაციიდან სრულიად უეჭველად ჩანს, რომ არც თანამდებობის პირებს, არც პედაგოგებსა და არც მშობლებს არ შეუძლიათ დაინახონ, ანდა, რაც უარესია, ვერ ამხელენ, რომ მთავარია აფხაზი ბავშვების გამარუსებელი საგანმანათლებლო სისტემისაგან მოწყვეტა, ე.წ. აფხაზურ საბავშვო ბაღებში, სკოლებსა და უნივერსიტეტის „აფხაზურ" სექტორებზე დედაენაზე სწავლების უზრუნველყოფა პრინციპით „აფხაზური ენა ბაღიდან დიპლომის მიღებამდე".

აფხაზური ენის სწავლების უკიდურესად დაბალი დონისა და უაღრესად დიდი პრობლემურობის ფონზე უბრალოდ გაუგებარი და პროვოკაციული იყო საოკუპაციო რეჟიმის 2011 წლის განცხადებები გალის რაიონში ჯერ კიდევ მოქმედი 11-ოდე ქართულ სკოლაში სწავლების ე.წ. აფხაზურ მოდელზე, ან პირდაპირ რუსულ სისტემაზე გადაყვანის აუცილებლობის შესახებ (http://scara.gov.ge/ka/2011-09-08-07-44-18/685–20-.html), რაკი აფხაზური სასწავლო სისტემა დღემდე არასოდეს არსებულა - იყო და არის მხოლოდ რუსული საგანმანათლებლო სისტემა აფხაზური ენის სწავლების ელემენტებითურთ. გალის რაიონის ქართველ მოსწავლეებს დიდი არჩევანი არ რჩებოდათ: მათ ან თვით აფხაზურ თემში არაპოპულარული და უპრესტიჟო ფსევდოაფხაზური სკოლა უნდა აერჩიათ (თუკი ვინმე მათი აზრით დაინტერესდებოდა!), ანდა პირდაპირ აფხაზეთში ყველაზე პრესტიჟულ რუსულ სკოლებში უნდა გაეგრძელებინათ სწავლა. იოლი მისახვედრია, რომ ასეთ პირობებში მოსახლეობას არც არაფერი ჰკითხეს და ყველა ქართული სკოლა რუსულ სკოლებად გადააკეთეს. ამაში

მოსკოველ დამგეგმავ-დამკვეთთან ერთად დამნაშავეა აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმიც და ის აფხაზური ინტელიგენციაც, რომელიც ვერ/არ ხედავს საკუთარი იდენტობისათვის არსებულ რეალურ საფრთხეს და ქართველებსაც უბიძგებს იმავე უფსკრულისაკენ, რომლისკენაც უკვე დიდი ხანია მიექანებიან.

შედარებისათვის: 1992-1993 წლების ომამდე გალის რაიონში 58 ქართული სკოლა მოქმედებდა. მათგან 19 სკოლა დაწვეს აფხაზებმა, რუსებმა და ჩრდილოეთკავკასიელმა მარბიელებმა ომის დასრულებისთანავე. მოგვიანებით რაიონის 10 სოფელი მიუერთდა ახლადშექმნილ ტყვარჩელის რაიონს, სადაც ყველა ქართული სკოლა მაშინვე გადაიყვანეს რუსულ ენაზე. გალის რაიონში ამჟამად მოქმედებს 31 სკოლა, მათ შორის მხოლოდ 11 სკოლაში მილევად რეჟიმში მეტად შეკვეცილად მიმდინარეობდა სწავლება ქართულ ენაზე. ამ კონტექსტში ყოვლად გაუგებარია, რომ ამ აქციიდან გასულ წლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრაქტიკულად ხმა თითქმის არ ამოუღია ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემის შესახებ!

ყოველივე ეს იმ პირობებში ხდება, როცა თვით აფხაზ ხალხს უკიდურესად უჭირს რეალურად დაიცვას საკუთარი ენა რუსული ენის მძლავრი ზეგავლენისაგან, რაც ზემოთ დასახელებული ფაქტების გარდა თვალსაჩინოდ ჩანს კიდევ ერთი ფაქტიდანაც:

ყოფილი „საგარეო საქმეთა მინისტრისრ არ, ენათმეცნიერ ვიაჩესლავ ჩირიკბას მიერ მკვდრადშობილად მონათლული „ენის კანონისა" (ჩირიკბა, 2019, გვ. 14) და გეიმან-აგაფოდორისეული ფსევდოაფხაზური საგანმანათლებლო სისტემის მანკიერება არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ 2014-2015 სასწავლო წლის მინურულს აფხაზეთის ყველაზე პრესტიჟულ სასკოლო დაწესებულებად მიჩნეული სოხუმის N 10 „აფხაზური" სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეთა 2/3 ჩაიჭრა აფხაზური ენის სახელმწიფო გამოცდაზე, რომელსაც პირადად „განათლების მინისტრი" ესწრებოდა. ამ ამბავს დიდი გამოხმაურება მოჰყვა აფხაზეთის მედიაში, დასახელდა მოსწავლეთა მხრიდან დედაენის ცოდნის კატასტროფულად დაბალი დონის სხვადასხვა მიზეზი, მაგრამ უთქმელი დარჩა უმთავრესი:

აფხაზური ენის შემდგომი ბედი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწრაფად გაუქმდება მოქმედი ფსევდოაფხაზური საგანმანათლებლო სისტემა და შეიქმნება დედაენაზე სრული განათლების მიღების შესაძლებლობა.

აფხაზური ენის ამჟამინდელ უმძიმეს მდგომარეობას გულისტკივილით აღნიშნავს აფხაზ ავტორთა ნაწილიც. მაგალითად, საკითხის ღრმა ანალიზი წარმოადგინა ახალგაზრდა აფხაზმა მეცნიერმა, იურისტმა მიხაილ ჯერგენიამ თავის სტატიებში. ნაშრომში „აფხაზური ენა და საზოგადოება: ანმყო, წარსული

და მომავალი" იგი მიმოიხილავს ენობრივ სიტუაციას ცარიზმისა და საბჭოთა პერიოდებში და დაასკვნის, რომ ცარიზმის დროსაც და საბჭოთა პერიოდშიც აფხაზთა უმრავლესობამ შეინარჩუნა დედაენა, ხოლო ეროვნული იდენტობა დაკარგა ძალზე ცოტა ადამიანმა. აქ მოვიხმობთ სტატიის საყურადღებო ნაწილების თარგმანს, სადაც მ. ჯერგენია საკმაოდ დამაჯერებლად აღწერს იმ კატასტროფულ მდგომარეობას, რომელშიც იმყოფება აფხაზური ენა ოკუპირებულ აფხაზეთში:

„...არც საბჭოთა სახელმწიფოს დაშლამდე, არც შემდგომ საზოგადოება არ განიხილავდა აფხაზურ ენას განათლების, მეცნიერებისა და განათლებულობის ენად, ეს კი, თუ გავითვალისწინებთ მსოფლიოს განვითარების თანამედროვე ტენდენციებს, ნებისმიერი ენისათვის გამოტანილი სასიკვდილო განაჩენია.

ცალკე უნდა განვიხილოთ თანამედროვე აფხაზური ოჯახი და აფხაზური ენის მდგომარეობა მასში. [...] უპირველეს ყოვლისა, ცხადია, რომ ამჟამინდელმა ახალგაზრდა თაობამ უფრო ნაკლები ხარისხით შეითვისა დედაენა, ვიდრე მისმა წინა თაობამ. ქალაქებში მცხოვრებ აფხაზებს შორის მხოლოდ ერთეულები ზრდიან მიზანმიმართულად საკუთარ შვილებს აფხაზურ ენაზე. ეს იმიტომ ხდება, რომ მშობლები ნაწილობრივ ვერ გრძნობენ, რომ სრულყოფილად შეუძლიათ ბავშვის აღზრდა დედაენის გამოყენებით, მეორე მხრივ, აქვთ იმისი შიში, რომ ბავშვი ვერ შეძლებს რაიმეს მიაღწიოს და განათლება მიიღოს, თუკი არ ეცოდინება რუსული ენა. მსგავსი ვითარება იქმნება სოფელშიც, თუმცა იქ ენა უკეთაა დაცული მისი შედარებით მეტი გავრცელების გამო. უმნიშვნელო ფაქტორი არ არის ის, რომ სოფლის მოსახლეობა ილტვის ქალაქისკენ, სადაც გაბატონებულია რუსული ენა.

ამრიგად, იქმნება სიტუაცია, როცა ენის უცოდინარებს არ სურთ, ან არ შეუძლიათ შეისწავლონ დედაენა, ხოლო მცოდნეები არ ცდილობენ, გაილრმაონ ცოდნა. ასეთ მდგომარეობაშია აფხაზთა უმრავლესობა. ხოლო ისინი, ვისაც სურს, რომ მათმა შვილებმა იცოდნენ აფხაზური ენა, იკითხონ და წერონ აფხაზურად, აწყდებიან ინდივიდისათვის გადაულახავ დაბრკოლებებს. უპირველეს ყოვლისა, ვგულისხმობთ ენობრივ გარემოს აფხაზეთში, რომელიც [აფხაზეთის] ცალკეულ მხარეთა გამოკლებით ხელს არ უწყობს აფხაზური ენის ცოდნას. ცხადია, რომ თვით სიტუაცია ვერ შეიცვლება ზემოდან ფართო მხარდაჭერის გარეშე, რომელიც, თავის მხრივ, გააძლიერებდა მხარდაჭერას ქვემოდან.

უნდა ითქვას, რომ საზოგადოებაში აგდებულ დამოკიდებულებას აფხაზური ენისადმი არამცირედ ხელს უწყობს აფხაზეთის სასკოლო სისტემა... არცთუ იშვიათად ხდება, რომ აფხაზური სკოლიდან გამოდიან ადამიანები, რომლებსაც არა აქვთ ელემენტარული წარმოდგენა დედაენის შესახებ. უფრო მძიმე მდგომარეობაა არააფხაზურ სკოლებში აფხაზური ენის სწავლებაში.

მთლიანობაში დღეისათვის აფხაზური ენის მდგომარეობა აფხაზეთში ასეთია: აფხაზთა შორის საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული სასაუბრო ენა, რომელიც სულ უფრო მეტად შორდება სამწიგნობრო სტანდარტებს და რუსული ენისაგან ითვისებს ნასესხობათა დაუშვებელ რაოდენობას. აფხაზთა ძირითადი მასის ნაცნობობა მშობლიურ წერა-კითხვასთან და ლიტერატურასთან ზედაპირულია. იშვიათი არაა აფხაზურ ენაზე სრული უწიგნურობაც. რაც შეეხება არააფხაზებს, შეიძლება ითქვას, რომ მათ შორის აფხაზური ენა არანაირად არ გავრცელებულა.

... აფხაზეთში აფხაზური ენის დაბალი პოპულარულობის მთავარი მიზეზი არის თვით საგანმანათლებლო სისტემის არსი. გარდა ამისა, ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო აფხაზური ენა ვერ გახდა რესპუბლიკაში საქმისწარმოების ენა და პრაქტიკულად არ გამოიყენება ბიუროკრატიულ ორგანოებში" (ხაზგასმა და თარგმანი ჩვენია - გ.გ., თ.გ.).

სტატიის დასკვნით ნაწილში მ. ჯერგენია წერს:

„ჩვენი აზრით, აუცილებელია, რომ აფხაზურ სკოლაში ყველა კლასი თანდათან იქნეს გადაყვანილი აფხაზურ ენაზე და, გასაგები [? - თ.გ.] მიზეზების გამო, უნდა შენარჩუნდეს რუსული ენის გაძლიერებული სწავლება...

სკოლაში სწავლების სისტემის ცვლასთან ერთად აუცილებელია მთელი სისტემის გადაყვანა აფხაზურ ენაზე საბავშვო ბაღებიდან დაწყებული უმაღლესი სასწავლებლების ჩათვლით. გვერდი ვერ აექცევა ვერც მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებსაც. ასევე აუცილებელია სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოთა მუშაკებისათვის, ანუ ბიუროკრატიული აპარატის წარმომადგენლებისათვის აფხაზურის სწავლებაც" (http://www.apsny-teka.org/d/abhazskli_yazik_i_obschestvo_nastoyaschee_proshloe_i_buduschee/index.html. ხაზგასმა ჩვენია - გ.გ., თ.გ.).

ვფიქრობთ, აქ კომენტარი ზედმეტია!

ახლა ვნახოთ, როგორია ვიაჩესლავ ჩირიკბას პოზიცია აფხაზური ენის სწავლების შესახებ. მისი ხელმძღვანელობით და ლ. ცვეიბასა და ა. აჰვბას მონაწილეობით აფხაზეთში ჩატარებულა ფართომასშტაბიანი სოციო-ლინგვისტური კვლევა, რომლის შედეგად გარკვეულა, რომ ე.წ. აფხაზურ სა-ბავშვო ბაღებსა და დაწყებით კლასებში ბავშვების მხოლოდ 30-40%-ს სცოდნია საკუთარი ეროვნების ენა. *„თუ ასეთი მდგომარეობა შენარჩუნდა, ყველაფერი კი სწორედ ამას ადასტურებს, ვითარება მივა იმ წერტილამდე, საიდანაც უკან დაბრუნება და ენის აღორძინება შეუძლებელი გახდება"* - წერს ვ. ჩირიკბა (ჩირიკბა, 2019, გვ. 12-13).

ჩვენი ყურადღება მიიპყრო იმ ფაქტმა, რომ იმ ერცელ სტატიაში, რომლის ნაწყვეტიც აქ მოვიხმეთ, თითქოს ერთიმეორეს უპირისპირდება ორი ვიაჩესლავ ჩირიკბა: პროფესიონალი აფხაზი ენათმეცნიერი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, რომელიც გულწრფელად წუხს თავისი დედაენის უმძიმესი მდგომარეობის გამო და რუსეთუმე პოლიტიკოსი, რომელსაც არ სურს აფხაზური ენის იმ მდგომარეობამდე მიყვანაში რუსული პოლიტიკის დანაშაულის დანახვა, როცა სასნორზეა შეგდებული მისი დედაენის სიკვდილ-სიცოცხლე. საბოლოოდ მაინც პოლიტიკოსი იმარჯვებს მეცნიერზე და ფაქტების მცდარი ანალიზის გზით კეთდება პარადოქსული დასკვნა:

თურმე ყველაფერი ქართველების ბრალი ყოფილა!

მივყვეთ თანმიმდევრულად:

ავტორი ჯერ იმოწმებს ციტატებს „ენის კანონიდან" და შემდეგ წერს, რომ ამ კანონის მე-6 მუხლის მიხედვით, აფხაზური ენა კი არის აფხაზეთის ერთადერთი სახელმწიფო ენა, მაგრამ იქვე ისიც წერია, რომ სახელმწიფო დანესებულებების ოფიციალური ენა რუსულიც არის. გამოდის, რომ რუსულის სტატუსი აქარწყლებს აფხაზურის სტატუსს და ამ უკანასკნელს რჩება მხოლოდ რიტუალური ფუნქციები, რუსული კი რეალურად ასრულებს სახელმწიფო ენის როლს ხელისუფლების ყველა რგოლში. ავტორი პირდაპირ ამხელს აფხაზურ ინტელიგენციას, კერძოდ, მწერლებს, პედაგოგებსა და მეცნიერებს იმაში, რომ ისინი პასიურობენ (ჩირიკბა, 2019, გვ. 14).

აფხაზური ენის თანამედროვე კატასტროფულ მდგომარეობას ვ. ჩირიკბა მითური „გაქართველების პოლიტიკის" შედეგად მიიჩნევს, რაც თურმე ჯერ მენშევიკებს დაუწყიათ, მათ შემდეგ კი ქართველ ბოლშევიკებს გაუგრძელებიათ. მაგალითად დასახელებულია 1925 წლის კონსტიტუცია, რომელშიც სწორედ აფხაზმა ბოლშევიკებმა (ნ. ლაკობამ, ე. ეშბამ...) ჩანერეს, აფხაზეთის სსრ-ს სახელმწიფო ენა არის რუსულიო. ამ აქციის მოტივაცია ასეთი ყოფილა: აფხაზურის სახელმწიფო ენად გამოცხადება არ იქნება გამართლებული, ვინაიდან რუსული არ იცის მოსახლეობის უმრავლესობამო (ჩირიკბა, 2019, გვ. 23). ვ. ჩირიკბა ეთანხმება ამგვარ მოტივირებას და ღიმილისმომგვრელად „უმტკიცებს" მკითხველს, ქართველები აფხაზების გაქართველებას აპირებდნენ და ამიტომ მოითხოვდნენ აფხაზეთის სახელმწიფო ენებად აფხაზურისა და ქართულის გამოცხადებას, აფხაზები ამას მიუხვდნენ და რუსული ენა ამიტომ ამჯობინეს, ეს ენა კი თავდაცვის იარაღი იყოო (ჩირიკბა, 2019, გვ. 24). საოცარი ლოგიკაა! ეს

მაშინ, როცა აფხაზეთში იმ დროს ხელისუფლება თითქმის მთლიანად იყო აფხაზ ბოლშევიკთა ხელში (ვრცლად იხ.: პაპასქირი, 2010, გვ. 252-264).

ვ. ჩირიკბა 32-ე გვერდზე განაგრძობს, რომ თურმე ნ. ლაკობას სიკვდილის მერე აფხაზური ენა მეორეხარისხოვანი გახდა და 30-50-იანი წლების მძიმე პოლიტიკურმა ვითარებამ განაპირობა ამ ენის პრობლემები, არადა მანამდე თვითონვე ჩამოთვლის დედაენისადმი თვით აფხაზთა აგდებული და ნიჰილისტური დამოკიდებულების ფაქტებს:

1. 1932 წელს აფხაზეთში გამოჩნდა საგანგებოდ დამზადებული საბეჭდი მანქანები აფხაზური და ქართული შრიფტებით, მაგრამ აფხაზები საქმისწარმოებას მაინც რუსულად განაგრძობდნენ;

2. შეიქმნა აფხაზური ენის კურსები მდივნებისა და მემანქანეებისათვის, მაგრამ აფხაზები არ დადიოდნენ და საქმე ჩაიშალა;

3. აფხაზები საქმიან მიმოწერას კვლავ რუსულად აწარმოებდნენ 1935 წელსაც, განათლების სახალხო კომისარიატშიც კი ასე ხდებოდა და ა.შ. (ჩირიკბა, 2019, გვ. 28-30).

ძნელია, დავუჯეროთ ვ. ჩირიკბას, რომ აფხაზთა მიერ დედაენის ასეთი უგულებელყოფაც ქართველების ბრალი იყო და აფხაზები ასე *„იცავდნენ თავს გაქართველებისაგან“*. იქნებ პირიქითაა და სწორედ იმ აფხაზების ბრალიცაა აფხაზური ენის დღევანდელი მდგომარეობა, ვინც არ სწავლობდა დედაენაზე საქმისწარმოებას და რუსულად წერას ამჯობინებდა? პასუხი იოლი მისახვედრია.

ვ. ჩირიკბას მოჰყავს ერთი ნიშანდობლივი ფაქტიც, რაც პირადად ჩვენთვისაც ცნობილი იყო: აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს ოლეგ დამენიას ვ. ჩირიკბასთვის უამბია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლამდე ცოტა ხნით ადრე, 80-იან წლებში თბილისიდან აფხაზეთში მივიდა წინადადება, რაც ითვალისწინებდა სასკოლო განათლების მთლიანად გადაყვანას აფხაზურ ენაზე, მაგრამ აფხაზებმა ამაში ქართველების ფარული მიზნები „ამოიცნეს“ და უარი თქვეს აფხაზური ენის გადარჩენის ყველაზე რეალურ გზაზე (ჩირიკბა, 2019, გვ. 33).

პირადად ჩვენ ვიცით მეორე ასეთივე ფაქტიც, როცა 1991 წელს, როცა საქართველოს ჰყავდა ეროვნული ხელისუფლება, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდიამ აფხაზურ მხარესთან მოსალაპარაკებლად გაგზავნა იმავე უზენაესი საბჭოს წევრი ნუგზარ მგალობლიშვილი, რომელმაც აფხაზებს აცნობა, რომ საქართველოს ხელისუფლება მზად იყო, დაუყოვნებლივ გაეწია იურიდიული, ფინანსური და

მორალური მხარდაჭერა ე.წ. აფხაზური სკოლების ყველა კლასში სწავლების ენად აფხაზურის შემოსაღებად. აფხაზებმა ამჯერადაც „ამოიცნეს ქართველთა ბოროტი ზრახვები" და უარი განაცხადეს.

მაშინ რომ აფხაზებს უარი არ ეთქვათ ქართული მხარის წინადადებებზე, დღეს, 30 წლის მერე აფხაზი ბავშვების უმრავლესობას უკვე ეცოდინებოდა თავისი ეროვნების ენა, ახლა კი აფხაზური ენის კვდომის პროცესი შეუქცევადი გახდება, თუ სწორედ საბავშვო ბაღებში, სკოლებსა და უნივერსიტეტში აფხაზთა თაობები არ გაიზრდებიან დედაენაზე.

ვერ დავეთანხმებით ვ. ჩირიკბას ვერც იმაში, რომ აფხაზური ენა ვერ იქცა აფხაზური იდენტობის მთავარ ელემენტად (ჩირიკბა, 2019, გვ. 33). უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით, რომ აფხაზურ ენას ამჟამად დაკარგული აქვს აფხაზური იდენტობის, ანუ აფსუარას მთავარი ელემენტის ფუნქცია და მისი დაბრუნება მხოლოდ აფხაზურ საზოგადოებას შეუძლია.

ამრიგად, ამჟამად აფხაზური განათლების სისტემა რეალურ კრიზისშია და ეს კრიზისი დაუყოვნებლივ უნდა დაიძლიოს. სამწუხაროდ, ორიენტირები აქვს არეული აფხაზური საზოგადოების სახიფათოდ დიდ ნაწილს, რასაც უახლესი სიმპტომური ფაქტიც ადასტურებს. კერძოდ, 2020 წლის 19 აგვისტოს, ახალი სასწავლო წლის დაწყების წინ აფხაზეთის განათლებისა და ენობრივი პოლიტიკის „მინისტრმა" ი. გაბლიამ გამოსცა N 157 ბრძანება, რომელშიც ჩაინერა შემდეგი:

„ვბრძანებ:

2020 წლის 20 აგვისტოდან შეჩერებულ იქნეს ეროვნებით აფხაზ ბავშვთა მიღება არააფხაზურ სკოლებში„

მინისტრი ი.ს. გაბლია".

АҦСНЫ АХӘЫҤТКАРРА
АТЛАРЕИ АБЫЗШӘАТӘ
ПОЛИТИКЕИ РМИНИСТРРА

РЕСПУБЛИКА АБХАЗИЯ
МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ
И ЯЗЫКОВОЙ ПОЛИТИКИ

Адца № 157

ақ. Акәа **19.08.2020ш.**

Адца қасцоит:

Милатла иаԥсуаау ахаыҷқәа иаԥсуам ашколқәа рахь адкылара аанкылазаанит 2020 шықәса маҳәамза 20 инаркны.

t.me/
DNAbkhazia

Аминистр **И.С. Габлиа**

ამ ბრძანებას სოციალურ ქსელში დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა: აფხაზთა ნაწილი სიხარულით უჭერდა მხარს ამ აკრძალვას, ხოლო უმრავლესობა განრისხებული გაიძახოდა, ეს ბავშვთა უფლებების დარღვევააო. ყველაფერი იმით დასრულდა, რომ ბრძანება მაშინვე გააუქმეს და „მინისტრიც“ შინ გაუშვეს. კომენტარი აქ ზედმეტი გგონია!

• • •

დედაენის ცოდნის მხრივ აფხაზთა შორის გამოიყოფა შემდეგი სტრატები (ფენები):

1. ვინც კარგად იცის ლაპარაკიც, წერა-კითხვაც და შეუძლია სპეციალური ტექსტის გაგება;
2. ვინც არ იცის წერა-კითხვა, მაგრამ კარგად ლაპარაკობს ყოველდღიურ თემებზე;
3. ვისაც არ შეუძლია ლაპარაკი, მაგრამ იცის წერა-კითხვა;
4. ვინც არც წერა-კითხვა იცის და არც ლაპარაკი შეუძლია.

სერიოზული პრობლემაა ის, რომ აფხაზურ საზოგადოებაში დედაენის უცოდინრობა სირცხვილად აღარ ითვლება. ყველა შეეჩვია ამ ტიპის ადამიანთა მომრავლებას და ისინიც სრულუფლებიან აფხაზებად განიხილებიან.

სტერეოტიპად იქცა ქალაქელობის პრესტიჟულობა, რის გამოც სოფლელები მიილტვიან ქალაქებისაკენ. ქალაქში კი აფხაზური ენის ცოდნას მხარს არ უჭერს ოჯახების უმრავლესობის საკომუნიკაციო გარემო, ამიტომ მოსწავლეებს არა აქვთ მოტივაცია დედაენის სასწავლად, რასაც ემატება აფხაზური ენის სტრუქტურული სირთულეც.

აფხაზური ენის რევიტალიზაცია, ანუ გაცოცხლება ურთულესი პროცესია და ბევრი პრობლემა ახლავს, მათგან ყველაზე მთავარია სწავლების ენად აფხაზურის არა მხოლოდ სიტყვიერად გამოცხადება, არამედ აქეთკენ კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა:

1. სხვადასხვა სამეცნიერო დარგის ტერმინოლოგიის შემუშავება და დამტკიცება;
2. ცალ-ცალკე სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შედგენა, ერთი მხრივ, მათთვის, ვინც არ იცის ენა და, მეორე მხრივ, მათთვის, ვინც იცის დედაენა;
3. სწავლების ენად აფხაზურის დანერგვა უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად: პროცესი უნდა დაიწყოს საბავშვო ბაღებიდან, შემდეგ

გაგრძელდეს სკოლის დაწყებით კლასებში, მომდევნო ეტაპზე - სკოლის მაღალ კლასებში, ბოლოს კი უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტზე.

4. ყველა ადმინისტრაციულ დაწესებულებაში ოფიციალური საქმისწარმოება პირველ, გარდამავალ ეტაპზე უნდა ხდებოდეს აფხაზურ და რუსულ ენებზე, გარკვეული დროის შემდეგ კი ამ ფუნქციით აფხაზური და ქართული ენები უნდა დაინერგოს.
5. ხელი უნდა შეეწყოს აფხაზურენოვანი ტერმინოლოგიის შევსებას, მისი ნაწილის სასკოლო სწავლებაში დანერგვისა და ფართო გამოყენებისათვის პირობების შექმნას...

თავი V

აფხაზთა რაოდენობა, ეთნიკური იდენტობა და დედაენა XX საუკუნეში

XX საუკუნის 20-იან წლებში ჩატარებულ მოსახლეობის საყოველთაო აღწერებში მოცემულია სტატისტიკური ცნობები აფხაზეთში აფხაზთა რაოდენობის, მათი დედაენის, მეორე ენისა და განათლების ცენზის შესახებ.

აფხაზი მოსახლეობის სამგზისმა იძულებითმა ემიგრაციამ (მუჰაჯირობამ) თურქეთში, რომელიც 1864-1880 წლებში განხორციელდა, გამოიწვია აფხაზების რაოდენობის კატასტროფული შემცირება. შემდგომშიც აფხაზეთის გაძლიერებულმა კოლონიზაციამ დიდად განაპირობა აფხაზების ხვედრითი წილის კლება და კოლონისტების (სომხების, რუსების, ბერძნების და ა.შ.) წილის სწრაფი ზრდა. ეს პროცესები გეგმაზომიერად ხორციელდებოდა, რის შედეგადაც აფხაზეთის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოსთვის აჭრელდა.

1897 წელს საქართველოში სულ ცხოვრობდა 59 481 აფხაზი, რაც მოსახლეობის საერთო რაოდენობის 3%-ს შეადგენდა. ამ პერიოდში აფხაზეთში აღირიცხებოდა 106 179 ადამიანი და, ერთ-ერთი ვარაუდის მიხედვით, მათ შორის აფხაზი იყო 58 697 კაცი, მთელი მოსახლეობის 55% (სოხუმში - 144 აფხაზი), ხოლო 784 აფხაზი დანარჩენ საქართველოში ბინადრობდა, კერძოდ: აჭარაში აღწერილია 753 აფხაზი, ბათუმში - 58, თბილისში - 12 და ფოთში - 19.

1917 წელს საქართველოში სულ 40 856 (1,7%), აფხაზი აღირიცხა, მათგან აფხაზეთში - 40 393 (27,7%), ხოლო ბათუმში - 463 (საბჭოთა საქართველოს..., 1931, გვ. 23).

1923 წელს საქართველოს სსრ-ს სტატისტიკის ცენტრალურმა სამმართველომ ქართულად გამოსცა კრებული: „სრულიად საქართველოს 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის ჯამები, ნაწილი II. დემოგრაფია. ნაკვეთი I. სოფლობრივი ჯამები. თფილისი, 1926). აღწერის ჯამებს სქოლიოს სახით დართული აქვს ასევე ინფორმაცია არანაციონალურ (ანუ სხვის) ენებზე მოლაპარაკე სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა რაოდენობის შესახებ. იქვე მითითებულია იმ სოფლების დასახელებებიც (ხშირად დამახინჯებულად), სადაც ეს ადამიანები ბინადრობდნენ. ყურადღებას იპყრობს ერთმანეთის ენაზე მოლაპარაკე აფხაზთა და ქართველთა რაოდენობა, რომელიც აშკარად უზუსტოა, რადგან აღწერის

დროს აღინუსხებოდა ოჯახის უფროსისგან მიღებული მონაცემები, მაგრამ ეს სტატისტიკა ზოგად ტენდენციას მაინც ასახავს, კერძოდ, არანაციონალურ, ანუ სხვა ეროვნების ენაზე მოლაპარაკეთა რაოდენობა იყო:

აფხაზურად ლაპარაკობდა 187 ქართველი;

ქართულად საუბარი შეეძლო 67 აფხაზს;

რუსულად ლაპარაკობდა 4 აფხაზი;

მხოლოდ აფხაზურად ლაპარაკობდა 18 018 აფხაზი.

ამ ნაკლოვანი ცნობებიდანაც კი ჩანს, რომ 1923 წლისთვის აფხაზებმა აფხაზურის გარდა, ნაკლებად იცოდნენ სხვა ენები.

თვით აფხაზების გარდა, აფხაზური იცოდნენ მხოლოდ ქართველებმა, მაგალითად, აფხაზურად მოლაპარაკედ დასახელებულია 187 ქართველი და 1 სომეხი. ამავდროულად ისიც ჩანს, რომ თურქეთიდან დაბრუნებული მუჰაჯირთა შთამომავლები, რომლებიც ოსმალოებად იხსენიებიან, ფლობდნენ აფხაზურ და თურქულ ენებს, მათი მცირე ნაწილი მხოლოდ აფხაზურად ლაპარაკობდა, უფრო მეტი კი - მხოლოდ თურქულად (სრულიად საქართველოს..., 1926, გვ. 193-194).

1926 წლის აღწერის მონაცემებით, მთელ საქართველოში აფხაზურს დედაენად მიიჩნევდა 48 057 აფხაზი, მათი უმრავლესობა - 47 307 კაცი ცხოვრობდა აფხაზეთში, კერძოდ, აფხაზეთის სოფლებში - 45 361, დაბა-ქალაქებში - 2 228, აჭარაში - 642 და ტფილისში - 59 (მოსახლეობის..., 1929, გვ. 193-194).

ამ აღწერის შედეგებში ყველაზე განსხვავებული ენობრივი ვითარება წარმოჩნდა გალის მაზრაში, სადაც აფხაზად დასახელებულია 6 580 მამაკაცი და 6 282 ქალი, მთლიანად 12 862 კაცი. ამათგან დასახელებულ სტატისტიკურ კრებულში 5 295 აფხაზს, ანუ ნახევარზე ნაკლებს მშობლიურ ენად მიწერილი აქვს აფხაზური, ხოლო უფრო მეტს, 7 668 კაცს - სხვა ენა (მოსახლეობის..., 1929, გვ. 193-194), სხვა წყაროს მონაცემებით კი 1926 წელს მთლიანად აფხაზეთში მეგრული იყო 8 736 კაცის დედაენა (ლეჟავა, 1989, გვ. 21).

განმარტებას მოითხოვს ის ფაქტი, რომ 1926 წლის აღწერის მონაცემებით, გალის მაზრაში საკმაოდ ბევრი, თითქმის 13 000 კაცია აფხაზად დასახელებული და მათი დიდი ნაწილის ეროვნება და დედაენა ერთმანეთს არ ემთხვევა. ამ მონაცემებს აფხაზი ავტორები იმის უტყუარ საბუთად აცხადებენ, რომ 20-იან წლებში თურმე ქართველები აფხაზებს აქართველებდნენ, არადა რეალურად პირიქით იყო - იმ დროს აფხაზეთში ქართველები იჩაგრებოდნენ (ვრცლად იხ.: პაპასქირი, 2010, გვ. 252-264).

ჩვენი აზრით, ეს მეგრულად მოლაპარაკე „აფხაზები„ სინამდვილეში სამურზაყანოში მცხოვრები ქართველები იყვნენ, რომლებიც აღნუსხეს როგორც აფხაზები, თუმცა სალაპარაკო ენად აფხაზურის მიწერა დაავიწყდათ. ამ მასობრივი შეუსაბამობის გასაღებს გვანვდის ნიკოლაი ვორობიოვის 1926 წლის აღწერის ორგანიზების მიმოხილვა, რომელიც ბროშურის სახით 1938 წელს გამოქვეყნდა. ბროშურაში მითითებულია, რომ 1926 წლის 17 დეკემბრის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის დროს თუ რესპონდენტს უჭირდა საკუთარი ეროვნების, ან დედაენის დასახელება, აღმწერს უფლება ჰქონდა, ანკეტაში თვითონ ჩაეწერა რესპონდენტის დედის ეროვნება, ან დედაენა (ვორობიოვი, 1938, გვ. 31-33). აქ არაფერი წერია ისეთ შემთხვევებზე, როცა დედასაც უჭირდა დედაენისა და ეროვნების განსაზღვრა. აღწერის ორგანიზების ეს ნაკლოვანებანი ხელ-ფეხს უხსნიდა კომუნისტურ რეჟიმს, დავალება მიეცათ ადგილებზე მომუშავე აღმწერთათვის და მიეღოთ აფხაზთა რაოდენობის უზომოდ გაზრდილი მონაცემები (სხვათა შორის ასევე არასანდოა 1923 წლის საოჯახო აღწერის მონაცემებიც, რადგან აღმწერები, როგორც ითქვა, ინფორმაციას იღებდნენ მხოლოდ ოჯახის უფროსებისაგან და არაფერს ეკითხებოდნენ ოჯახის სხვა წევრებს. ასეთი წესი კი გაყალბების დიდ შესაძლებლობას იძლეოდა).

სამურზაყანოს ჩრდილო-დასავლეთის ნაწილი, ანუ ტერიტორია მდინარეებს ოხურსა და ღალიძგას შორის ის მხარე იყო და არის, სადაც ოჯახების არცთუ მცირე ნაწილი ეთნიკურად შერეულია. სავარაუდოა, რომ პირადად აღმწერთა ზემდგომების გადაწყვეტილება იყო მეგრულად მოსაუბრე ქართველთა მასობრივად დაფიქსირება აფხაზებად და ეს, ჩვენი აზრით, მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ აფხაზეთის ხელშეკრულებითი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის (აფხაზეთის სსრ-ს) არსებობას გამართლება სჭირდებოდა მხარის მოსახლეობაში აფხაზთა ხვედრითი წილის ხელოვნურად გაზრდით, სამურზაყანოს ეთნიკური ნარევობა და აღწერის ინსტრუქცია კი აღმწერთა თვითნებობას ხელს უწყობდა.

გარდა ამისა, იმ სოფლებში, სადაც მითითებულია ასე მასობრივად „დაბნეულ" რესპონდენტთა ძალიან დიდი რაოდენობა, დღეს არანაირი კვალი არ ჩანს იქაურ მოსახლეობაში აფხაზთა მასობრივი ცხოვრებისა ზეპირი ისტორიების, დოკუმენტებისა, თუ მოსახლეობის გვარების სახით. აღწერის მასალების მიხედვით, ამ სოფლებში, სადაც 1992-1993 წლების ომამდე აფხაზები ან საერთოდ არ ცხოვრობდნენ, ანდა თითო-ოროლა აფხაზი რძალი იყო ქართული ოჯახების წევრი, 1926 წელს აფხაზთა შემდეგი კომპაქტური ჯგუფებია დასახელებული:

ღუმურიში - 296 მამაკაცი და 267 ქალი, სულ 563 „აფხაზი";

ოქუმი - 323 მამაკაცი და 308 ქალი, სულ 631 „აფხაზი";

ჭუბურხინჯი - 245 მამაკაცი და 186 ქალი, სულ 431 „აფხაზი";

პირველი გალი - 458 მამაკაცი და 489 ქალი, სულ 947 „აფხაზი";

მეორე გალი - 106 მამაკაცი და 93 ქალი, სულ 199 „აფხაზი";

რეფი-შეშელეთი - 66 მამაკაცი და 59 ქალი, სულ 125 „აფხაზი"... (ლეჟავა, 1989, გვ. 16-18).

იმავე სოფლების მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობა 1989 წლის აღწერის მიხედვით ერთგვაროვანი იყო - მცხოვრებთა აბსოლუტური უმრავლესობა ქართველი გახლდათ და ეს მონაცემები ზუსტად ასახავს სინამდვილეს:

ღუმურიშში ცხოვრობდა 1 031 კაცი, ოქუმში - 3 514, ჭუბურხინჯში - 5 952, პირველ გალში - 6 028, რეფი-შეშელეთში - 2 545 კაცი, *მეორე გალის* მონაცემებს ვერ მივაკვლიეთ,. ყველა ამ სოფლის მცხოვრებლებად დასახელებულნი არიან ქართველები. იმ კრებულის ანოტაციაში, საიდანაც ეს ცნობები მოვიპოვეთ, განმარტებულია, რომ თუ სოფლის მოსახლეობაში რომელიმე ეთნოსის წარმომადგენლები 80%-ს აღემატებოდნენ, მათი წილი (პროცენტი) არ აღინუსხებოდა, ანუ დასახელებულ სოფლებში ქართველთა წილი 80%-ზე მეტი იყო (დასახლებული პუნქტები..., 1990, გვ. 18-22).

1926 წელს ყველაზე მეტი აფხაზი, რომლებმაც აფხაზური დედაენად დაასახელეს, ცხოვრობდა კოდორისა (20 805) და გუდაუთის მაზრებში (17 926), მათზე ბევრად ნაკლებნი ბინადრობდნენ სოხუმისა (2 115) და გაგრის (1 166) მაზრებში.

1926 წელს წერა-კითხვა იცოდა აფხაზეთში მცხოვრებმა 6 110-მა აფხაზმა. წერა-კითხვის მცოდნე აფხაზთა რაოდენობა ენების მიხედვით ასე ნაწილდებოდა:

1. წერა-კითხვა იცოდა მხოლოდ აფხაზურად 485-მა კაცმა;
2. მხოლოდ რუსულად - 1 894;
3. მხოლოდ ქართულად - 756;
4. აფხაზურ-ქართულად - 26;
5. ქართულ-რუსულად - 713;
6. აფხაზურ-ქართულ-რუსულად - 166;
7. აფხაზურ-რუსულად - 2 017;
8. დანარჩენ ენებზე - 57.

თუ შევკრებთ მე-3-6 პუნქტების მონაცემებს, გავარკვევთ ქართულ ენაზე წერა-კითხვის მცოდნეთა საერთო რაოდენობას, რაც შეადგენდა 1 661 კაცს, რაც იმ დროისათვის საკმაოდ მაღალ მაჩვენებლად უნდა მივიჩნიოთ. სავარაუდოა, რომ სასაუბრო ქართული ენა ამ ენაზე წერა-კითხვის უცოდნელად ბევრად მეტს ეცოდინებოდა.

საყურადღებოა საქართველოს ეროვნული არქივის საქართველოს სსრ ცაკის ფონდში დაცული 1930 წლის იანვრის დოკუმენტი „აფხაზეთის სსრ-ში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა შორის გაწეული მუშაობის შესახებ", რომლის ავტორად დასახელებულია აფხაზი მწერალი და ფუნქციონერი, იმ დროს აფხაზეთის სსრ ცაკის თავმჯდომარე სამსონ ჭანბა. მასში წარმოდგენილია ცხრილი აფხაზეთის სსრ-ს ეროვნული შემადგენლობის შესახებ, რომელშიც დასახელებულნი არიან შემდეგი ეთნოსები: აფხაზები, ქართველები, სომხები, ბერძნები, თურქები, რუსები და სხვანი. ირკვევა, რომ 1929 წელს აფხაზების უმრავლესობა ცხოვრობდა ქართველებთან ერთად დაბა ოჩამჩირესა და კოდორის მაზრაში, ხოლო ქართველებთან და სომხებთან ერთად გაგრისა და გუდაუთის მაზრებში. სოფლებში დაახლოებით თანაბრად ნაწილდებოდნენ ქართველები (34,1%) და აფხაზები (32,2%) (იხ.: სეა, ფ. 284, ან. 1, 1929, N640, გვ. 25 ob).

* * *

როგორც უკვე ითქვა, რუსიფიკაციის პროცესმა მასშტაბური ხასიათი მიიღო XX საუკუნის მეორე ნახევარში არა მარტო აფხაზეთში, არამედ მთელ იმპერიაში, როცა საშუალო განათლება საყოველთაოდ სავალდებულო გახდა ყველა მოქალაქისთვის. თუკი ცარიზმი გარუსების იარაღად სკოლასა და ეკლესიას მიიჩნევდა, კომუნისტებმა აქცენტი სკოლაზე გადაიტანეს, ეკლესია კი თითქმის მოსპეს (20-30-იან წლებში დაანგრიეს ათასობით ეკლესია, მონასტერი, მეჩეთი, სინაგოგა, დააპატიმრეს, შუა აზიასა და ციმბირში გადაასახლეს და დახვრიტეს სამღვდელო პირები, რელიგიურ გაერთიანებათა ხელმძღვანელობაში ჩასვეს აგენტურა, გაანადგურეს რელიგიური სიწმინდეები და სხვ.).

50-იანი წლებიდან ეროვნულ სკოლებში გაიზარდა რუსული ენის, რუსული ლიტერატურისა და რუსეთის ისტორიის შესასწავლად გამოყოფილი საათების რაოდენობა, დიდი ყურადღება დაეთმო ორენოვნების დამკვიდრებას და ეროვნულ ენათა პრაქტიკული ფუნქციონირების სფეროთა შემცირებას.

80-იან წლებში ამ ანტიეროვნულმა პოლიტიკამ კატასტროფული შედეგები გამოიღო ავტონომიურ ოლქებში, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ზოგ მოკავშირე რესპუბლიკაშიც კი. მაგალითად, ბელარუსულ ენას მეორეხარისხოვანი ენის მდგომარეობა შეექმნა ბელარუსში, სადაც მ. გორბაჩოვის მიერ წამოწყებული ყალბი გარდაქმნის დასაწყისში (1987 წ.) პრაქტიკულად თითქმის აღარ დარჩა ბელარუსული სკოლები, ჟურნალ-გაზეთების უმრავლესობა იბეჭდებოდა მხოლოდ რუსულ ენაზე, ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებში სწავლება გადაყვანილი იყო რუსულ ენაზე, არ მზადდებოდნენ ბელარუსული ენის მასწავლებლები, 15 თეატრიდან რუსულად მუშაობდა 12, კინოფილმებს მხოლოდ რუსულად იღებდნენ, ძალზე შემცირდა ბელარუსულ ენაზე დაბეჭდილი ლიტერატურის დასახელებაც და ტირაჟიც... (ავტორხანოვი, 1990, გვ. 163).

რეალური საფრთხე შეექმნა მშობლიურ, სომხურ ენას ისეთ თითქმის მონოეთნიკურ რესპუბლიკაში, როგორიც სომხეთი იყო (აქ 1989 წლისათვის სომხების წილი მთელი მოსახლეობის 93% იყო). სომეხი მწერლის სილვა კაპუტიკიანის ცნობით, სომხეთის სომხურ სკოლებში უფრო მეტი ყურადღება ეთმობოდა და საათების მეტი რაოდენობა იყო გამოყოფილი რუსული ენის სწავლებისათვის სომხური ენის სწავლების ხარჯზე, ხოლო რესპუბლიკის რუსული სკოლების მოსწავლეთა 90% სომეხი იყო... (ავტორხანოვი, 1990, გვ. 161-162).

რუსიფიკაციის ასეთი ინტენსივობის პირობებში კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობა ექმნებოდათ მცირერიცხოვან ხალხთა ენებს (როგორც კომპაქტურად მცხოვრებთა, ისე მთელ იმპერიაში გაფანტულებისა), რაც ასახულია 1979 და 1989 წლების მოსახლეობის აღწერათა აშკარად ფალსიფიცირებულ ოფიციალურ მონაცემებშიც კი (იხ. აქვე ცხრილი).

ცხრილი N 1. თავისი ეროვნების ენის მცოდნეთა წილი ავტონომიებში მცხოვრებ ხალხთა შორის[24]

ეროვნება	მოსახლეობის რაოდენობა მთელ სსრკ-ში (ათასობით)		მათგან დედაენად მიაჩნდა თავისი ეროვნების ენა (პროცენტობით)	
	1979 წ.	1989 წ.	1979 წ.	1989 წ.
აბაზები	29	34	95,3	93,4
ხუნძები	483	601	97,7	97,2
ადიღელები	109	125	95,7	97,2
ალთაელები	60	71	86,4	84,3
ბალყარელები	66	85	96,9	93,6
ბაშკირები	1.371	1.449	67,0	72,3
ბურიატები	353	421	90,2	86,3
დარგუელები	287	365	98,3	97,5
ინგუშები	186	237	97,4	96,9
ყაბარდოელები	322	391	97,9	97,2
ყალმუხები	147	174	91,3	90,0
ყარაყალპაკები	303	424	95,9	94,1
ყარაჩაელები	131	156	97,7	96,8
კარელები	138	131	55,6	47,8
კომელები	478	497	76,0	70,1
ყუმიკები	228	282	98,2	97,4
ლაკები	100	118	95,0	93,6
ლეზგიელები	383	466	90,9	91,6
მარიელები	622	671	86,7	80,8
მორდველები	1.192	1.154	72,6	76,1
ოსები	542	598	88,2	87,0
თაბასარანელები	75	98	97,4	95,9

24. ამ თაში ჩართულ ცხრილებში მოყვანილი საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ვითარების ამსახველი სტატისტიკური მონაცემები მოპოვებულია ინტერნეტიდან, ხოლო საქართველოს მონაცემები ამოკრებილია ორი კრებულიდან: საქართველოს დასახლებული პუნქტები და მოსახლეობა (სტატისტიკური ცნობარი). თბილისი, 1990; საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა. სტატისტიკური კრებული. თბილისი, 1991.

თათრები	6.185	6.648	86,1	83,2
ტუველები	166	207	98,8	98,5
უდმურტები	714	747	76,5	69,6
ჩერქეზები	46	52	91,4	90,4
ჩეჩნები	756	957	98,6	98,1
ჩუვაშები	1.751	1.842	81,7	76,4
იაკუტები	328	382	95,3	?

როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, უკლებლივ ყველა დასახელებულ ხალხში 10 წლის განმავლობაში შეინიშნებოდა ერთი საერთო ტენდენცია - სტაბილურად იკლებდა იმათი რაოდენობა, ვინც მშობლიურ ენად თავისიევე ეროვნების ენას აღიარებდა და ეს საერთო ტენდენცია იყო, ე.ი. მიმდინარეობდა მასობრივი დენაციონალიზაცია და გარუსება, რასაც ხელს უწყობდა იმპერიის მიერ განხორციელებული პოლიტიკა, ასევე მოსახლეობის მიგრაცია იმპერიის ფარგლებში, ინტერეთიკური ქორწინებები, განათლების სისტემა და ა.შ., მაგრამ, მიუხედავად ამისა, დასახელებულ ხალხთა უმრავლესობაში ეროვნულ ენათა მცოდნეების წილი მაინც მეტ-ნაკლებად მაღალი იყო.

დედაენის პოზიციათა შენარჩუნება ძირითადად მაინც განპირობებული იყო იმით, ცხოვრობდა თუ არა მოცემული ხალხი კომპაქტურად ერთ კონკრეტულ რეგიონში: რაც უფრო ნაკლები იყო ხალხის კომპაქტური დასახლების რეგიონიდან მიგრირებულთა წილი, მით უფრო მყარი პოზიცია ჰქონდა მშობლიურ ენას და პირიქით. ხალხის საერთო რაოდენობა ამ შემთხვევაში გადამწყვეტ როლს ნაკლებად ასრულებდა. მაგალითად, ცხრილში დასახელებულ ხალხთაგან რიცხობრივად ყველაზე მეტნი თათრები იყვნენ, მაგრამ 6 მილიონზე მეტი თათრიდან უმრავლესობა მიგრირებული იყო იმპერიის თითქმის მთელ ტერიტორიაზე, რის გამოც თათრებს სამშობლოშიც უჭირდათ მშობლიური ენის პოზიციების შენარჩუნება. დენაციონალიზაციის მასშტაბი ასევე დიდი იყო ბაშკირებს, მორდველებსა და ჩუვაშებს შორისაც, რომელთაგან თითოეულის საერთო რაოდენობა მილიონ კაცს აჭარბებდა, მაგრამ მშობლიური ენის ცოდნის დონე მაინც კატასტროფული ტემპით ეცემოდა, ვინაიდან ბაშკირთა, მორდველთა და ჩუვაშთა დიდი ნაწილი ცხოვრობდა ბაშკირეთის, მორდვისა და ჩუვაშეთის ავტონომიურ რესპუბლიკათა გარეთ. ამ ზოგად ტენდენციას უკრაინელთა მაგალითიც ადასტურებს. 1989 წელს მთელ იმპერიაში 44 183 000 უკრაინელი ცხოვრობდა, რომელთაგან უკრაინაში წარმოდგენილი იყო 37 419 000 კაცი, ხოლო 6 764 000 უკრაინელი დაქსაქსული იყო სხვა რესპუბლიკებში, მათ შორის

საქართველოშიც. იმპერიაში მცხოვრებ უკრაინელთა უმრავლესობა მშობლიურ ენად ძირითადად რუსულს ასახელებდა. არარუსულ მოკავშირე რესპუბლიკებში მიგრირებულ უკრაინელთა ინტეგრაცია ხდებოდა არა ამ რესპუბლიკათა ძირითად ერებთან, არამედ რუსებთან. მაგალითად, იმავე 1989 წელს საქართველოში 52 443 უკრაინელი (100%) ცხოვრობდა, მათგან მშობლიურ ენად უკრაინულს მიიჩნევდა 28 018 კაცი (53,4%), რუსულს - 23 069 კაცი (44,0%), ქართულს კი - მხოლოდ 1 259 (2,4%) (საქართველოს მოსახლეობის..., 1991, გვ. 62-63).

ყველაზე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ის მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფები, რომლებიც გაფანტული იყვნენ მთელი იმპერიის ტერიტორიაზე და არ სახლობდნენ დიდ კომპაქტურ ჯგუფებად, ანდა ის ხალხები, რომლებიც ძალზე მცირერიცხოვანნი იყვნენ და რუსული ენის ძლიერი ზეწოლისგან ვერ იცავდა თითო-ოროლა სოფელში მათი ცხოვრება.

ცხრილი N 2. არაკომპაქტურად მცხოვრებ და ძალზე მცირერიცხოვან ხალხთა განაწილება დედაენის მიხედვით

ეროვნება	მოსახლეობის რაოდენობა მთელ სსრკ-ში (ათასობით)		მათგან დედაენად მიაჩნდა თავისი ეროვნების ენა (პროცენტობით)	
	1979 წ.	1989 წ.	1979 წ.	1989 წ.
ალბანელები	4,3	4,0	54,5	52,1
ინგლისელები	0,2	0,3	49,8	57,8
არაბები	6,8	7,7	66,3	61,5
ასირიელები	25	26	54,9	59,6
ბულგარელები	361	373	68,0	67,6
ჰოლანდიელები	0,7	0,8	36,5	31,5
ბერძნები	344	358	38,0	44,5
ესპანელები	3,0	3,2	49,7	46,1
იტალიელები	1,0	1,3	22,8	39,7
ქარაიმები	3,3	2,6	16,0	19,3
ჩინელები	12	11	37,8	32,9
კორეელები	389	439	55,4	49,4
გერმანელები	1.936	2.038	57,0	48,8

სპარსელები	31	40	30,7	33,2
პოლონელები	1.151	1.126	29,1	30,5
ჩრდილოეთის ხა-ლხები	158	184	61,7	52,2
სერბები	1,7	2,7	44,2	40,8
სლოვაკები	9,4	9,1	41,7	37,9
ფინელები	77	67	40,9	34,6
ფრანგები	0,8	0,7	49,1	46,6
მონღოლები	3,2	2,9	91,3	87,8
ხორვატები	0,2	0,8	41,8	49,7
ბოშები	209	262	74,1	77,4
ჩეხები	18	16	32,7	35,3
შორები	16	17	32,7	35,3
იაპონელები	0,8	0,7	49,2	46,0

ცხრილში დასახელებულ ხალხთაგან ყველაზე მრავალრიცხოვანი გერმანელები, პოლონელები, კორეელები, ბულგარელები, ბერძნები და ბოშები არიან. მათგან დენაციონალიზაცია ყველაზე ნაკლებად ბოშებმა განიცადეს, თუმცა მათი ერთი მეოთხედი თავისი ეროვნების ენას მაინც აღარ ასახელებდა დედაენად. ბოშათა შორის მშობლიური ენის პოზიციის შედარებით სიმყარეს, უპირველეს ყოვლისა, ამ ხალხის ეთნოლოგიური ყოფის კარჩაკეტილობა განსაზღვრავს. რაც შეეხება გერმანელთა და ბერძენთა შორის მშობლიური ენის პოზიციის თითქმის კატასტროფულ სისუსტეს, ამისი უმთავრესი მიზეზი მეორე მსოფლიო ომის წინ და ომის დროს ორივე ხალხის მასობრივი რეპრესირება-დეპორტაცია იყო, ამ ხალხთა რეაბილიტაციის შემდეგ კი გერმანელებისა და ბერძნების მნიშვნელოვანი ნაწილი დაიფანტა მთელი იმპერიის ტერიტორიაზე, რამაც დამატებით შეუწყო ხელი მათ დენაციონალიზაციას.

იმპერიაში მიმდინარე პროცესები სარკესავით აისახა აფხაზეთის მოსახლეობაზეც. აქ მცხოვრები, საქართველოს სხვა მხარეებიდან, თუ სხვა რესპუბლიკებიდან მოსული და ძირითადად ქალაქებში დასახლებული ოსების, უკრაინელების, ბელარუსების, აზერბაიჯანელების (აზერების), თათრებისა და ასირიელების დიდმა ნაწილმა 1970-1989 წლებს შორის, ე.ი. სულ რაღაც 19 წელიწადში დაივიწყა თავისივე ეროვნების ენა, თუმცა ეროვნული იდენტურობა, ანუ თვითშეგნება არ შესცვლიათ.

ცხრილი N 3. დედაენის მცოდნეთა წილი აფხაზეთში არაკომპაქტურად მცხოვრებ ეროვნებებში

ეროვნება	მოსახლეობის რაოდენობა			დედაენის მცოდნეთა წილი		
	1970 წ.	1979 წ.	1989 წ.	1970 წ.	1079 წ.	1989 წ.
ოსები	1 214	952	1 165	76,3	70,0	65,6
უკრაინელები	11 955	10 257	11 655	61,6	57,5	57,6
ბელარუსები	1 901	1 311	2 084	53,8	48,4	56,8
აზერები	707	500	517	76,4	66,4	60,9
თათრები	1 454	1 485	1 099	77,8	77,5	68,1

თავისი ეროვნების ენის მცოდნეთა წილი გაცილებით მაღალი იყო აფხაზეთში მცხოვრებ იმ ეროვნებებში, რომლებიც აქ კომპაქტურ ჯგუფებად სოფლებში იყო წარმოდგენილი. ესენი იყვნენ:

აფხაზები - აფხაზეთის 482 სოფლიდან 140 სოფელში აფხაზები ქმნიდნენ მოსახლეობის უმრავლესობას;

ქართველები - 171 სოფლის მოსახლეობის უმრავლესობა;

სომხები - 71 სოფლის უმრავლესობა.

ბერძნები - 70-80-იან წლებში 4 სოფელში ქმნიდნენ უმრავლესობას.

ყველასგან გამორჩეული მდგომარეობა ჰქონდათ რუსებს, რომლებიც, მართალია, მხოლოდ 6 სოფელში ქმნიდნენ უმრავლესობას, მაგრამ მათ არავინ აძალებდა, უფრო სწორად, ვერავინ გაუბედავდა სხვა ენის შესწავლის დაძალებას, რაკი რუსული ენა იმპერიის ნომერ პირველი ენა იყო. დასახელებული ხუთი ეროვნების წარმომადგენელთაგან თავისი ეროვნების ენის მცოდნეთა წილი ყველაზე ნაკლები იყო ბერძენთა შორის, რასაც, ჩვენი აზრით, ორი მთავარი მიზეზი განაპირობებდა: ა) საბჭოთა კავშირში ბერძნულ ენაზე განათლების არარსებობა და ბ) ბერძენთა მასობრივი დეპორტაცია მეორე მსოფლიო ომის წინ, რის შემდეგაც ბერძნები აფხაზეთში, როგორც აღვნიშნეთ, სულ რაღაც 4 სოფელში ქმნიდნენ უმრავლესობას.

ცხრილი N 4. თავისი ეროვნების ენის მცოდნეთა წილი აფხაზეთში კომპაქტურად მცხოვრებ ეროვნებებში

ეროვნება	მოსახლეობის რაოდენობა			თავისი ეროვნების ენის მცოდნეთა პროცენტი		
	1970 წ.	1979 წ.	1989 წ.	1970 წ.	1079 წ.	1989 წ.
აფხაზები	77 276	83 097	93 267	97,8	97,0	97,3
ქართველები	199 590	213 322	239 870	98,3	97,6	98,5
რუსები	92 889	79 730	74 914	99,8	99,7	99,7
სომხები	74 850	73 350	76 541	96,4	95,3	95,4
ბერძნები	13 114	13 642	14 664	84,2	83,2	86,8

აფხაზეთში რუსული ენის რეალური პრიორიტეტი, მისი, როგორც ერთადერთი რეალური სახელმწიფო ენის ფუნქციები ცხადად ჩანს იქიდანაც, რომ აქ მცხოვრები რუსების ერთ პროცენტზე ნაკლებმა იცოდა სხვა ენა, ხოლო აფხაზური და ქართული ენები, რომლებიც კონსტიტუციის მიერ სახელმწიფო ენებად იყო გამოცხადებული, აფხაზთა და ქართველთა გარდა იშიათად იცოდნენ სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებმა. სამაგიეროდ, აფხაზეთში მცხოვრებ არარუს ეროვნებათა შორის მეორე ენის სახით რუსული ენის ცოდნის წილი ძალზე მაღალი იყო და დღითიდღე იმატებდა.

ცხრილი N 5. მეორე ენის თავისუფლად მცოდნეთა წილი აფხაზეთის მოსახლეობაში (1989 წ., პროცენტობით)

ეროვნება	მეორე ენის სახით თავისუფლად იცის				არ იცის არცერთი სხვა ენა
	აფხაზური	ქართული	რუსული	სხვა ენა	
აფხაზები	0,3	1,6	81,5	0,1	16,5
ქართველები	0,3	0,4	63,3	0,1	35,9
რუსები	0,6	3,2	0,2	2,8	93,8
სომხები	0,0	0,9	79,0	1,5	18,6
ბერძნები	0,2	1,8	76,1	0,7	21,2
უკრაინელები	0,3	2,0	51,0	9,5	37,2
ბელარუსები	0,4	2,7	46,9	7,8	42,2
ოსები	0,9	11,9	61,1	3,3	22,8
აზერები	-	4,4	53,6	5,0	37,0
თათრები	0,2	2,2	63,1	6,1	28,4
ასირიელები	-	4,8	52,4	11,1	31,7

ამ მონაცემებიდან რამდენიმე საინტერესო ტენდენცია იკვეთება:

1. მეორე ენად რუსულის მცოდნეთა წილი ყველაზე მაღალი აფხაზთა შორის იყო, რაც აფხაზური ენის პოზიციების დასუსტებაზე მიანიშნებს.
2. სომეხთა შორის მეორე ენად რუსულის უპირატესად გამოყენების მიზეზი, ერთი მხრივ, ის იყო, რომ სომეხთა დიდი ნაწილი აფხაზეთში ახალი მოსული იყო არა სომხეთიდან, არამედ ძირითადად რუსეთიდან და, მეორე მხრივ, იმიტომ, რომ სომხები საბჭოთა კავშირის არარუს მოსახლეობაში გამოირჩეოდნენ მიგრაციის მეტი ხარისხითა და ახალ პირობებთან სხვებთან შედარებით მეტი ადაპტაციის უნარით.
3. მეორე ენის სახით აფხაზეთში აფხაზურთან შედარებით ქართულ ენას უფრო მეტი ადამიანი იმიტომ ფლობდა, რომ აფხაზეთში მიგრირებულთა ნაწილი დაბადებული და გაზრდილი იყო საქართველოს სხვა მხარეებში.
4. ქართული ენის მცოდნეთა შორის ოსები ყველაზე მეტნი იყვნენ, რასაც ის ფაქტი განაპირობებდა, რომ მათი უმრავლესობა აფხაზეთში მოსული იყო საქართველოს იმ მხარეებიდან, სადაც ოსები დიდ კომპაქტურ ჯგუფებად არ სახლობდნენ.

საყურადღებოა მონაცემები, რომლებიც გვიჩვენებენ 1970-1989 წლებში რუსული ენის, როგორც მეორე ენის, თავისუფლად მცოდნეთა წილის დიდ მატებას აფხაზეთის ყველა ეროვნების მცხოვრებლებში და იმათი წილის კლებას, ვინც არ იცოდა მეორე ენა.

ცხრილი N 6. მეორე ენის მცოდნეთა წილი აფხაზეთის მოსახლეობაში (პროცენტობით)

ეროვნება	თავისუფლად იცის რუსული ენა, როგორც მეორე ენა			არ იცის არცერთი მეორე ენა		
	1970 წ.	1979 წ.	1989 წ.	1970 წ.	1079 წ.	1989 წ.
აფხაზები	59,8	74,7	81,5	38,4	23,6	16,5
ქართველები	45,2	55,8	63,3	54,1	43,3	35,9
რუსები	0,2	0,2	0,2	95,3	94,4	93,2
სომხები	61,0	73,3	79,0	37,3	24,9	18,6
ბერძნები	66,1	71,7	76,1	31,3	26,5	21,2
უკრაინელები	52,9	51,8	51,0	31,2	39,2	37,2
ბელარუსები	43,8	44,4	46,9	45,9	46,0	42,2
ოსები	62,2	61,6	61,1	23,8	25,9	22,8
აზერები	59,3	57,6	53,6	33,1	37,4	37,0
თათრები	67,4	68,7	63,1	26,5	27,9	28,4
ასირიელები	59,2	54,1	52,4	24,5	42,6	31,7

1989 წლისათვის აფხაზეთის მთელი მოსახლეობა შეადგენდა 525 061 კაცს. მათგან თავისივე ეროვნების ენას მიიჩნევდა დედაენად 502 595, ანუ მთელი მოსახლეობის 95,7%, ხოლო სხვა ენას მიიჩნევდა მშობლიურ ენად 22 466 კაცი, ანუ მთელი მოსახლეობის 4,3%. იმ პირთა შორის, ვინც დედაენად არ მიიჩნევდა თავისი ეროვნების ენას, უმრავლესობა, ანუ 16 969 კაცი (75,5%) დედაენად ასახელებდა რუსულს; 1 139 კაცი, ანუ დენაციონალიზებულთა 5,0% მშობლიურ ენად მიიჩევდა ქართულს; 220 კაცი, ანუ დენაციონალიზებულთა 0,9% - აფხაზურს, ხოლო სხვა ენებს მიიჩნევდა დედაენად 303 კაცი, ანუ დენაციონალიზებულთა 1,3% (საქართველოს მოსახლეობის..., 1991, გვ. 92-93). ეს ციფრები სხვა მონაცემებთან ერთად კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ აფხაზეთში გაბატონებული მდგომარეობა რუსულ ენას ეჭირა, აფხაზური და ქართული ენები კი თვითონ იყვნენ დაჩაგრულნი.

ყურადღებას იპყრობს ის ფაქტიც, რომ აფხაზთაგან მშობლიურ ენად ქართულს მიიჩნევდა 0,6 % (601 კაცი), ხოლო რუსულს - 2,0% (1 920 კაცი); ქართველთაგან აფხაზურ ენას მიიჩნევდა თავის დედაენად 0,05% (128 კაცი), რუსულს - 1,4% (3 399 კაცი) მაშინ, როდესაც რუსთაგან ქართულს მიიჩნევდა მშობლიურ ენად 0,1% (83 კაცი), ხოლო აფხაზურს - 0,03% (27 კაცი).

მეტი იყო გარუსებულთა რაოდენობა დანარჩენ ეროვნებათა შორის. მაგალითად, თავის მშობლიურ ენად რუსულს მიიჩნევდა აფხაზეთში მცხოვრებ სომეხთა 4,3% (3 356 კაცი), ბერძენთა 12% (1 774 კაცი), უკრაინელთა 41,6% (4 855 კაცი), ბელარუსთა 42,2% (879 კაცი), ოსების 22,3% (260 კაცი), აზერბაიჯანელთა 32,9% (170 კაცი), თათრების 30,1% (331 კაცი) და ასირიელთა 39,7% (25 კაცი) (საქართველოს მოსახლეობის..., 1991, გვ. 92-93).

ცხრილი N 7. აფხაზეთის მოსახლეობის განაწილება ეროვნებისა და დედაენის მიხედვით

ეროვნება	საერთო რაოდენობა	დედაენად მიიჩნევს				
		თავისივე ეროვნების ენას	ქართულს	აფხაზურს	რუსულს	სხვა ენას
აფხაზები	93 267	90 714	601	-	1 920	32
ქართველები	239 872	236 307	-	128	3 399	38
რუსები	74 914	74 307	83	27	-	100
სომხები	76 541	72 955	151	21	3 356	18
ბერძნები	14 664	12 730	84	13	1 774	63
უკრაინელები	11 665	6 717	52	13	4 855	18
ბელარუსები	2 084	1 183	8	2	879	12
ოსები	1 165	764	126	13	260	2
აზერები	517	315	18	2	170	12
თათრები	1 099	748	11	1	331	8
ასირიელები	63	33	5	-	25	-

ამრიგად, ირკვევა, რომ საბჭოთა კავშირის არსებობის დასასრულისათვის რუსულმა ენამ ძალზე გაიფართოვა არეალი აფხაზეთში. აქ მცხოვრები უკლებლივ ყველა ეროვნების წარმომადგენელთა შორის გაბატონდა შეხედულება რუსული ენის ცოდნის პრესტიჟულობის შესახებ, რასაც ემატებოდა პრაგმატული მოსაზრება, რომ რუსულ ენაზე განათლების მიღება ხელს უწყობდა სსრკ-ს ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის უფრო იოლად გაგრძელებას და კარიერის შექმნას იმპერიის ნებისმიერ რეგიონში. ამიტომ აფხაზეთში არსებული რუსული სკოლების, ტექნიკუმებისა და უმაღლესი სასწავლებლების რუსული სექტორების მოსწავლეთა და სტუდენტთა უმრავლესობა ეროვნებით არარუსები იყვნენ (მათ შორის აფხაზებიცა და ქართველებიც). ახალგაზრდათა დიდი ნაწილი სწავლის განგრძობისა და მაღალანაზღაურებადი სამსახურის შოვნის მიზეზით მასობრივად მიდიოდა სხვა რესპუბლიკებში (ძირითადად რუსეთში), სადაც ბევრი მუდმივად სახლდებოდა, ქმნიდა შერეულ ოჯახს სხვა ეროვნების წარმომადგენელთან და აღარ ბრუნდებოდა აფხაზეთში.

შესაბამისად, სისტემატურად იკლებდა არარუსულ ენათა ცოდნის დონე და ფუნქციონირების არეალი. ერთგვარ მოდად გადაიქცა რუსული ენის გამოყენება კომუნიკაციისათვის მაშინაც კი, როცა კონტაქტში შემავალი პირები ერთი და იმავე ეროვნებისანი იყვნენ და თავისუფლად ფლობდნენ თავისივე ეროვნების ენას. ასეთი მოდა ძირითადად მოქმედებდა აფხაზეთის ქალაქებში როგორც ქალთა, ისე მამაკაცთა შორის, მაგრამ ამ მხრივ მაინც გამოირჩეოდნენ 20-40 წლის ორივე სქესის ქალაქის მცხოვრებნი (ისინი ამჟამად 70-50 წლისანი არიან). ხშირი იყო შემთხვევები, როცა ერთი და იმავე ეროვნების პირები ერთმანეთთან საუბარს მშობლიურ ენაზე იწყებდნენ და შემდეგ შეუმჩნეველად გადადიოდნენ რუსულზე, ანდა მხოლოდ რუსულად ესაუბრებოდნენ ერთმანეთს. ეროვნებისა და მშობლიური ენის მიმართება განსხვავებული იყო ქალაქისა და სოფლის მცხოვრებთა, აგრეთვე ქალთა და მამაკაცთა შორის.

ცხრილი N 8. მამაკაცთა ეროვნება და დედაენა აფხაზეთში (1989 წ., პროცენტობით)

ეროვნება	საერთო რაოდენობა	დედაენად მიიჩნევს				
		თავისი ეროვნების ენას	ქართულს	აფხაზურს	რუსულს	სხვა ენას
აფხაზები	45 296	97,3	0,6	-	1,9	0,02
ქართველები	117 058	98,6	-	0,05	1,3	0,01
რუსები	30 282	99,7	0,08	0,03	-	0,1
სომხები	37 416	95,6	0,1	0,02	4,1	0,01
ბერძნები	6 972	86,8	0,6	0,08	12,1	0,3
უკრაინელები	4 865	54,9	0,3	0,1	44,5	0,1
ბელარუსები	921	53,0	0,5	0,2	45,7	0,5
ოსები	632	67,0	11,5	1,2	19,9	0,1
აზერები	335	69,5	3,5	-	24,5	2,4
თათრები	505	69,7	0,6	-	29,3	0,4
ასირიელები	34	58,8	8,8	-	32,4	-

ცხრილი N 9. ძალთა ეროვნება და დედაენა აფხაზეთში (1989 წ., პროცენტობით)

ეროვნება	საერთო რაოდენობა	მშობლიურ ენად მიიჩნევს				
		თავისი ეროვნების ენას	ქართულს	აფხაზურს	რუსულს	სხვა ენას
აფხაზები	47.971	97,2	0,6	-	2,1	0,04
ქართველები	122.814	98,4	-	0,06	1,5	0,0
რუსები	44.632	99,7	0,1	0,03	-	0,1
სომხები	39,125	95,1	0,2	0,02	4,7	0,03
ბერძნები	7.692	86,8	0,5	0,09	12,1	0,5
უკრაინელები	6.790	59,6	0,5	0,1	39,6	0,1
ბელარუსები	1.163	59,8	0,2	-	39,7	0,2
ოსები	533	63,8	9,9	0,9	25,1	0,1
აზერები	182	45,0	3,3	1,0	49,6	2,1
თათრები	594	66,7	1,3	0,2	30,8	1,0
ასირიელები	29	44,8	6,9	-	48,2	-

ცხრილი N 10. ძალაქის მცხოვრებთა ეროვნება და დედაენა აფხაზეთში (1989 წ., პროცენტობით)

ეროვნება	საერთო რაოდენობა	მშობლიურ ენად მიიჩნევს				
		თავისივე ეროვნების ენას	ქართულს	აფხაზურს	რუსულს	სხვა ენას
აფხაზები	40 946	95,1	0,9	-	3,9	0,04
ქართველები	97 941	96,5	-	0,1	3,4	0,02
რუსები	56 492	99,8	0,08	0,02	-	0,1
სომხები	24 510	89,7	0,4	0,05	9,7	0,04
ბერძნები	9 103	83,0	0,7	0,06	16,0	0,2
უკრაინელები	8 940	54,1	0,2	0,07	45,4	0,07
ბელარუსები	1 356	48,7	0,3	0,1	50,7	0,5
ოსები	839	62,9	11,3	0,7	24,8	0,2
აზერები	345	61,1	4,6	0,6	32,8	0,9
თათრები	787	67,7	2,0	0,2	30,5	0,9
ასირიელები	41	51,2	14,6	-	46,3	-

ცხრილი N 11. სოფლის მცხოვრებთა ეროვნება და დედაენა აფხაზეთში (1989 წ., პროცენტობით)

ეროვნება	საერთო რაოდენობა	მშობლიურ ენად მიიჩნევს				
		თავისი ეროვნების ენას	ქართულს	აფხაზურს	რუსულს	სხვა ენას
აფხაზები	52 321	98,9	0,4	-	0,6	0,02
ქართველები	141 931	99,9	-	0,008	0,06	0,008
რუსები	18 422	99,5	0,2	0,06	-	0,2
სომხები	52 031	98,0	0,08	0,01	1,9	0,01
ბერძნები	5 561	93,1	0,3	0,1	5,6	0,8
უკრაინელები	2 931	63,9	1,0	0,2	34,4	0,4
ბელარუსები	728	71,8	0,5	-	26,8	0,8
ოსები	326	72,4	9,5	2,1	15,9	-
აზერები	172	60,5	1,2	-	33,1	5,2
თათრები	312	68,9	1,6	-	29,2	0,3
ასირიელები	22	54,5	18,1	-	27,2	-

ამ მონაცემებიდან ნათლად ჩანს რამდენიმე საყურადღებო ტენდენცია, რაც, ერთი მხრივ, ემთხვევა ზოგად სოციალურ კანონზომიერებას, მეორე მხრივ კი ასახავს იმ სპეციფიკას, რაც აფხაზეთში შეინიშნებოდა საბჭოური იმპერიის არსებობის წლებში. მაგალითად, საკუთარი ეროვნების ენის პოზიციები ყველაზე ძლიერი იყო რუსებს შორის, რომლებიც იმპერიისათვის დასაყრდენ ძალას წარმოადგენდნენ. აღმოჩნდა, რომ რუსი მამაკაცები და ქალები ზუსტად ერთნაირად ფლობდნენ თავიანთი ეროვნების ენას. ერთი შეხედვით, უცნაურად ჩანს ის ფაქტი, რომ აფხაზეთის ქალაქებში მცხოვრებ რუსთა შორის თავისი ეროვნების ენის პოზიცია ოდნავ უფრო ძლიერი აღმოჩნდა (99,8%), ვიდრე სოფლებში მცხოვრებ რუსთა შორის (99,5%), მაგრამ ამას თავისი მიზეზი აქვს. კერძოდ, 1989 წლისათვის რუსი მოსახლეობა აფხაზეთის 482 სოფლიდან მცხოვრებთა ნახევარზე მეტს შეადგენდა მხოლოდ 6 პატარა სოფელში, დანარჩენ სოფლებში რუსები ცხოვრობდნენ სხვა ეროვნებებთან შერევით და შეადგენდნენ ამ სოფელთა მოსახლეობის ნახევარზე ნაკლებს, მონოეთნიკურ

სოფლებში კი რუსების ორიოდე ოჯახი ცხოვრობდა. პოლიეთნიკურ სოფლებში მოსახლეობა ერთმანეთთან ურთიერთობისათვის იყენებდა რუსულ ენას, რის გამოც ამ ტიპის სოფლებში რუსთა შორის რუსული ენის ცოდნის დონე მაღალი იყო, სხვა ეროვნებათა ენები კი თმობდნენ პოზიციას და საოჯახო პირობებში, ან მონოეთნიკურ გარემოში იხმარებოდნენ, სამაგიეროდ მონოეთნიკურ სოფლებში გაბატონებული იყო უმრავლესობის ენა და იქვე მცხოვრები რუსები იძულებული იყვნენ, მინიმალურ დონეზე მაინც ესწავლათ უმრავლესობის ენა, თუმცა ხშირად უმრავლესობის წარმომადგენლები მათთან ურთიერთობისათვის მაინც რუსულ ენას იყენებდნენ ხოლმე. აი, ამგვარ მონოეთნიკურ სოფლებში შედარებით მეტი იყო იმისი პირობები, რომ დანყებულიყო რუსთა დენაციონალიზაციის პროცესი, მაგრამ ეს პროცესი ინტენსიური არ ყოფილა და შეეხო აფხაზეთის სოფლებში მცხოვრებ რუსთა 0,5%-ს.

რაც შეეხება აფხაზეთში მდებარე ქალაქებს, თითქმის ყველა მათგანის მოსახლეობა (ქალაქ გალის გარდა) ეთნიკურად ჭრელი იყო:

სოხუმში 1989 წელს ცხოვრობდა 21,6% რუსი, 12,5% აფხაზი, 41,5% ქართველი, 10,3% სომეხი, 6,2% ბერძენი, 3,4% უკრაინელი...

გაგრაში - 11,2% აფხაზი, 28,1% ქართველი, 30,5% რუსი, 4,6% უკრაინელი, 19,4% სომეხი, 1,7% ბერძენი...

ტყვარჩელში - 42,3% აფხაზი, 23,4 ქართველი, 24,5% რუსი, 3,6% უკრაინელი, 0,6% ბერძენი...

გუდაუთაში - 48,0% აფხაზი, 13,1% ქართველი, 21,2% რუსი...

ოჩამჩირეში - 18,2% აფხაზი, 58,2% ქართველი, 14,7% რუსი, 3,3% სომეხი...

გალში - 93,3% ქართველი, 0,6% აფხაზი, 3,2% რუსი...

პოლიეთნიკურობა საბჭოთა კავშირში რუსიფიკაციის ერთ-ერთი მთავარი ხელისშემწყობი ფაქტორი იყო, რის გამოც აფხაზეთის ქალაქებში რუსული ენის პოზიციები ყველაზე მტკიცე იყო არა მარტო რუსებს, არამედ სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებს შორისაც. გარდა აღნიშნული ფაქტორებისა, აფხაზეთში მცხოვრებ რუსთა შორის რუსული ენის პოზიციების სიმყარეს განაპირობებდა ისიც, რომ მათი უმრავლესობა აქ ახალი მიგრირებული იყო რუსეთიდან, ან რომელიმე სხვა მოკავშირე რესპუბლიკიდან და ნაკლებად განიცდიდა სხვა ენათა ზეგავლენას.

პოზიციების სიმყარის მხრივ მეორე ადგილზე იყო ქართული ენა, რომელიც რუსული ენისაგან განსხვავებით, არ იყო უზრუნველყოფილი სახელმწიფოს მხრიდან შექმნილი რაიმე განსაკუთრებული პრიორიტეტით (აფხაზეთის ასსრ-ს კონსტიტუციაში ქართული ენის გამოცხადება სახელმწიფო ენად კომუნისტური ფიქცია იყო და რეალურად თითქმის არ ხორციელდებოდა). მას პოზიციების

შენარჩუნებისათვის ბრძოლა დამოუკიდებლად უხდებოდა. სოფლების ქართულ მოსახლეობაში ქართული ენის ცოდნის თითქმის 100%-იანი დონე და ქალაქების ქართულ მოსახლეობაში ამავე ენის შედარებით სუსტი პოზიცია ზოგადი სოციალური კანონზომიერების ამსახველია, თუმცა ზოგი განმარტება ამ შემთხვევაშიც აუცილებელია. კერძოდ, ქართველები მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ აფხაზეთის 482 სოფლიდან 171 სოფელში, ე.ი. სოფელთა 35,4%-ში, აფხაზეთის სოფლების მცხოვრები 277 500 ადამიანიდან (100%) კი ქართველი იყო 141 931 კაცი, ე.ი. 51,1%, ქალაქებში მცხოვრები 247 500 კაციდან (100%) ქართველი იყო ბევრად ნაკლები - 97 941 კაცი, ე.ი. 39,6%. აფხაზეთში ქართული მოსახლეობა ძირითადად მაინც დიდ კომპაქტურ ჯგუფებად ცხოვრობდა, რაც ხელს უწყობდა დედაენის პოზიციის შენარჩუნებას. ამ მხრივ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქართულ ენაზე განათლების სრული ციკლის მიღების შესაძლებლობაც, სოფლად მცხოვრებ ქართველთა შორის ინტერეთნიკური ქორწინების ნაკლები სიხშირეც და ისიც, რომ სხვა ეროვნების (ძირითადად აფხაზ, რუს, უკრაინელ, ბერძენ...) ქალთა ქორწინება ქართველებით დასახლებულ სოფლებში ბუნებრივ პირობებს უქმნიდა ამ ჯგუფის ქალებს, სწრაფად შეესწავლათ ქართული ენა და სწორედ ამ ენაზე აღეზარდათ შერეული ქორწინების შედეგად დაბადებული ბავშვები.

ქალაქებში მცხოვრებ ქართველთა 96,5%-ში ქართული ენის პოზიციის დიდი სიმტკიცე, ჩვენი აზრით, იმითაც იყო განპირობებული, რომ ურბანიზაციის ხარისხი არა მარტო აფხაზეთის, არამედ მთელი საქართველოს ქართულ მოსახლეობაში ზოგადად დაბალი იყო XX საუკუნის 50-იან წლებამდე. ამ ზოგადეროვნული ტენდენციის გამო აღწერის დროისათვის, 1989 წელს აფხაზეთის ქალაქის მცხოვრებთა უმრავლესობა ახალი მიგრირებული იყო ქალაქებში სოფლებიდან, სადაც ქართველები კომპაქტურად ცხოვრობდნენ და მტკიცე იყო ქართული ენის პოზიციები. ქალაქელ ქართველებს გაწყვეტილი არ ჰქონდათ მჭიდრო კავშირი მშობლიურ სოფლებთან, იქ მცხოვრებ ნათესავებთან. მეტიც, ქალაქელ ქართველთა უმრავლესობა სოფლად ფლობდა გარკვეულ უძრავ ქონებას (მიწას, მამაპაპისეულ სახლ-კარს...) და კვირაში ერთხელ მაინც მიემგზავრებოდა სოფელში. ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო აფხაზეთში მცხოვრებ ქართველთა მჭიდრო და უწყვეტი კავშირი საქართველოს სხვა რეგიონებთანაც, ქართული ჟურნალ-გაზეთების, საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის ქართულ გადაცემათა გავრცელება აფხაზეთის ტერიტორიაზე, თუმცა ხშირად პროვოკაციული მიზნით ფერხდებოდა ქართული მასმედიის ფუნქციონირება რეგიონში. მაგალითად, როცა 1978 წლის აფხაზთა მორიგი ანტიქართული გამოხდომის შემდეგ სოხუმში შეიქმნა აფხაზეთის ტელევიზია, ამ ტელევიზიაში აფხაზური და რუსული რედაქციების პარალელურად არ

შექმნილა ქართული რედაქციაც. აფხაზეთის ახალი ტელევიზია მუშაობდა და ამჟამადაც მუშაობს მხოლოდ აფხაზურ (ნაკლებად) და რუსულ ენებზე (უპირატესად), თანაც ტელეგადაცემები გადიოდა იმ სიხშირეზე, რომლითაც გადაიცემოდა საქართველოს ტელევიზიის გადაცემები, რის გამოც აფხაზეთის ქართულ მოსახლეობას არ ჰქონდა საშუალება, დედაენაზე მიეღო ინფორმაცია დედაქალაქიდან.

აფხაზეთში მცხოვრებ ეროვნებათაგან თავისი ეროვნების ენის პოზიცია საკმაოდ მყარი ჩანდა ყველა კატეგორიის აფხაზებს შორის: მამაკაცთა 97,3%, ქალთა 97,2% სოფლის მცხოვრებთა 98,9%, ქალაქის მცხოვრებთა 95,1%, ანუ მთლიანობაში აფხაზი მოსახლეობის 97,3% დედაენად მიიჩნევდა აფხაზურ ენას. ამ მონაცემებით აფხაზებს დაახლოებით ისეთივე მდგომარეობა ჰქონდათ, როგორც საბჭოთა კავშირში მცხოვრებ გაცილებით უფრო მრავალრიცხოვან ხალხებს: ყაზახებს (97,0%), აზერბაიჯანელებს (97,7%), ლიტველებს (97,7%), ყირგიზებს (97,8%) ტაჯიკებს (97,7%), ხუნძებს (97,2%), ყაბარდოელებს (97,2%), ყუმიკებს (97,4%). ამ მონაცემების მიხედვით, საკუთარი ეროვნების ენის პოზიციით აფხაზებს უფრო უკეთესი მდგომარეობა ჰქონდათ, ვიდრე მათზე მრავალრიცხოვან ისეთ ხალხებს, როგორებიც იყვნენ: მოლდოველები (91,6%), ლატვიელები (94,8%), ესტონელები (95,5%), ადიღელები (94,7%), ბაშკირები (72,3%), ბოშები (77,4%), ბულგარელები (67,6%), ბურიატები (86,3%), გაგაუზები (87,5%), გერმანელები (48,8%), იაკუტები (93,8%), კარელები (47,8%), კომელები (70,4%), კორეელები (49,4%), ლაკები (93,6%), ლეზგიელები (91,6%), მარიელები (80,8%), მორდველები (67,1%), პოლონელები (30,5%), რუმინელები (60,9%), უდმურტები (69,6%), უიღურები (86,6%), უნგრელები (93,9%), ქურთები (80,5%), ყალმუხები (90,0%), ყარაყალპაკები (94,1%), ჩუვაშები (76,4%). აქ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ დედაენის უცოდინარ აფხაზებს ჯერ კიდევ ერცხვინებოდათ ამ ნაკლის ოფიციალურად აღიარება და მათთვის დედაენად აფხაზურის მითითებას ეთნიკური იდენტობის გამოხატვის ფუნქცია უფრო ეკისრებოდა. ამიტომ მიგვაჩნია, რომ იმ დროს აფხაზთა შორის აფხაზური ენის პოზიცია რეალურად ბევრად უფრო სუსტი იყო და დაახლოებით 70-80-%-ს არ აჭარბებდა.

სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ აფხაზური ენის პოზიცია თითქმის ერთნაირი იყო აფხაზ ქალთა და მამაკაცთა შორის, სამაგიეროდ სოფლის მცხოვრებ აფხაზებთან შედარებით ქალაქელ აფხაზებს შორის 3,8%-ით ნაკლები აფხაზი, ანუ 2 005 კაცი მშობლიურ ენად აფხაზურს უკვე აღარ მიიჩნევდა, რაც საკმაოდ მაღალი მონაცემია და ადასტურებს იმ ფაქტს, რომ პოლიეთნიკურ დასახლებულ პუნქტში წარმოდგენილი მცირერიცხოვანი და გაფანტულად მცხოვრები ეთნიკური ჯგუფი უფრო იოლად კარგავს ეროვნულ ნიშნებს.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, 1880-1907 წლებს შორის აფხაზებს აკრძალული ჰქონდათ ქალაქ სოხუმში ცხოვრება (მრავლად არც მანამდე ცხოვრობდნენ ამ ქალაქში, სხვა ქალაქი კი არ არსებობდა). ამ მიზეზის გამო ქალაქელ აფხაზთა დენაციონალიზაციის პროცესი მიმდინარეობდა 1907 წლის შემდგომ, როცა ნელი ტემპით დაიწყო სოფლებიდან ქალაქებში აფხაზთა მიგრაცია, რამაც ინტენსიური ხასიათი მიიღო 50-იანი წლებიდან. შესაბამისად აფხაზური ენის პოზიციების დათმობა ქალაქებში უკანასკნელი 50-60 წლის მანძილზე მიმდინარეობდა და 2 005 აფხაზიდან 930 მამაკაცმა და 1 075 ქალმა სწორედ ამ პერიოდში დაკარგა დედაენა. დასახელებულ ჯგუფში ქალთა სიჭარბე გამოწვეული ჩანს ინტერეთნიკური ქორწინებებით.

სეპარატისტულ ლიტერატურაში ძალზე პოპულარულია ქართველებისათვის იმისი დაბრალება, თითქოს ეს უკანასკნელნი ახდენდნენ აფხაზთა ასიმილაციას, რასაც სრულებით არ ადასტურებს მოყვანილი ფაქტობრივი მასალა. ზემოთ წარმოდგენილ ცხრილებზე დაკვირვება ნათელს ხდის, რომ აფხაზეთში რეალურად ინტენსიურად მიმდინარეობდა მოსახლეობის გარუსება და არა გაქართველება, ქართული ენის მეორე ენის სახით ცოდნის დონეც გაცილებით უფრო დაბალი იყო, ვიდრე რუსული ენისა, რომლის ცოდნა სწრაფად იზრდებოდა.

აქვე არ შეიძლება გვერდი ავუაროთ საკითხს იმის შესახებ, თუ რა მიზეზმა განაპირობა აფხაზთა შორის თავისივე ეროვნების ენის პოზიციის სტატისტიკურად მაღალი დონე მაშინ, როდესაც მთელ საბჭოთა კავშირში ამ ენაზე უკეთეს მდგომარეობაში სულ რაღაც რამდენიმე ენა თუ იმყოფებოდა, უმრავლესობა კი უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი. მაგალითად, რუსული ენის გარდა, რომელსაც დედაენად მთელ იმპერიაში მცხოვრები რუსების 99,8% აღიარებდა, თავიანთი ეროვნების ენას მშობლიურ ენად მიიჩნევდა უზბეკთა 98,3%, ქართველთა 98,2%, თურქმენთა 98,5%, ტუველთა 98,5% და ჩეჩენთა 98,1%, ე.ი. ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, არარუს ეროვნებათაგან აფხაზებზე ოდნავ უკეთ ჰქონდა მშობლიური ენა შენარჩუნებული მხოლოდ ხუთ ხალხს, რაც კიდევ ერთხელ გვიჩვენებს იმას, ჩაგრავდნენ თუ არა აფხაზებს ქართველები.

მაინც რამ გადაარჩინა აფხაზური ენა საყოველთაო რუსიფიკატორული პოლიტიკის პირობებში?

ჩვენი აზრით, ამისი უპირველესი და მთავარი მიზეზი აფხაზთა შორის ურბანიზაციის პროცესის სხვებთან შედარებით გვიან დაწყება უნდა ყოფილიყო.

მეორე მიზეზი სოფლად მცხოვრებ აფხაზთა ორ დიდ კომპაქტურ ჯგუფად დასახლება უნდა იყოს - აფხაზური სოფლები ძირითადად თავმოყრილია ოჩამჩირისა და გუდაუთის რაონების ტერიტორიაზე ერთმანეთთან მიჯრილად.

იმ 140 სოფლიდან, რომლებშიც აფხაზები უმრავლესობას ქმნიდნენ, 70 სოფელი წარმოდგენილია გუდაუთის რაიონში, 69 სოფელი - ოჩამჩირის რაიონში, ხოლო 1 სოფელი (ეშერა) - სოხუმის რაიონში.

აფხაზური მოსახლეობის კომპაქტურობა, თავის მხრივ, ხელს უწყობდა მესამე სერიოზული ფაქტორის ამოქმედებას. კერძოდ, სოფლებში მცხოვრები აფხაზი მამაკაცები ქორწინების დროს უპირატესობას ანიჭებდნენ იმავე, ან მეზობელ სოფლებში მცხოვრებ აფხაზ ქალებს, რის შედეგადაც იქმნებოდა მონოეთნიკური ოჯახები, ხოლო თუ სოფელში მცხოვრები აფხაზი მამაკაცი დაქორწინდებოდა ქართველ, ან სხვა ეროვნების ქალზე, მაშინ აფხაზურ გარემოში მოხვედრილი ქალები სწრაფად ადაპტირდებოდნენ, სწავლობდნენ აფხაზურ ენას და ამის გამო არ ირღვეოდა სოფლის ენობრივი ვითარება. ეთნოგრაფიული სიახლოვის გამო აფხაზთა შორის სხვა ეროვნების ქალთაგან უპირატესობა ქართველებს ეძლეოდათ, ვინაიდან ისინი უფრო იოლად ეგუებოდნენ აფხაზურ ეთნოლოგიურ რეალიებს და აფხაზურ ენასაც უკეთ ითვისებდნენ.

მეოთხე მნიშვნელოვან გადამრჩენ ფაქტორად მიგვაჩნია, არც მეტი, არც ნაკლები, 1938-1953 წლებში აფხაზური სალიტერატურო ენის ფუნქციონირება ქართულ გრაფიკაზე დაყრდნობით და ე.წ. აფხაზურ სკოლებში სწავლების პროცესის ქართულ ენაზე გადაყვანა 1945-1953 წლებში. აქ მსჯელობას განვაგრძობთ თ. გვანცელაძის ერთი ნაშრომიდან მოყვანილი ფაქტებით (ვრცლად იხ.: გვანცელაძე, 2011, გვ. 404-454). ორივე ამ აქტმა პრაქტიკულად მთელი 16 წლით შეაყოვნა აფხაზი ხალხის მასობრივი დენაციონალიზაცია და გარუსება, მაგრამ არ გამოუწვევია აფხაზთა გაქართველება. აფხაზური ენის ბუნებრივი იერსახის შენარჩუნებისათვის ამ მოვლენებს რომ მართლაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, კარგად ჩანს იქიდანაც, რომ იმ სალიტერატურო ენებში, რომლებიც 1936-1941 წლებში გადაიყვანეს რუსულ გრაფიკაზე, მასობრივად და ძალდატანებით დაინერგა რუსიზმები, სოვეტიზმები და ინტერნაციონალიზმები არა ამ ენათა ფონოლოგიური სისტემისათვის დამახასიათებელ სესხების კანონზომიერებათა დაცვით, არამედ იმ ორთოგრაფიული ნორმების მიხედვით, რაც რუსულ ენას ახასიათებს. ამან კი ენათა უმრავლესობას შეურყია საარტიკულაციო და პერცეფციული (ანუ სამეტყველო და სმენითი) ბაზისი, ბუნებრივი სიტყვათმახვილი და ა.შ. საკითხში უკეთ გასარკვევად აუცილებელია, მოკლედ გავიხსენოთ ზოგიერთი ფაქტი:

საბჭოთა კავშირში გავრცელებულ ენათა ანბანების მასობრივი რუსიფიცირებისათვის იმპერიამ ნიადაგი შეამზადა ჯერ კიდევ ანბანთა ლათინიზაციის მიმდინარეობის დროს, როცა 1927 წლის 1 ივნისს ახალი ანბანის ცენტრალურმა კომიტეტმა დაამტკიცა უნიფიცირებული ლათინიზებული ანბანი, რასაც

მოჰყვა საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს (მთავრობის) 1929 წლის 7 აგვისტოს დადგენილება უნიფიცირებული ლათინიზებული ანბანის მთელ სახელმწიფოში დანერგვის აუცილებლობის შესახებ. ხელისუფლება ელოდებოდა ხელსაყრელ მომენტს, რათა უნიფიცირებული ლათინიზებული ანბანი მასობრივად, ხელის ერთი დაკვრით შეეცვალა ასევე უნიფიცირებული რუსული გრაფიკით. უნიფიცირების პრეცედენტის წინასწარ არსებობის გამო საჭირო აღარ გახდებოდა რომელიმე ენის სპეციფიკური, რუსული ენის ფონემებისაგან განსხვავებული ბგერებისათვის განსხვავებული ასოების შემოღება. ეს კი აუცილებლად გამოიწვევდა ჯერ სპეციფიკურ ფონემათა სისტემის შესუსტებას, შემდგომში კი ამ ფონემათა აღრევას მსგავს ფონემებთან, ხოლო საბოლოოდ სრულებით გააქრობდა სპეციფიკურ ფონემებს ენათა ბგერითი სტრუქტურიდან.

1935 წელს სსრკ ხელისუფლებამ ორჯერ განიხილა ახალი ანბანის საკავშირო ცენტრალური კომიტეტის მუშაობა და უარყოფითად შეაფასა იგი, ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ ლათინიზაცია ჯერ კიდევ არ იყო გასრულებული, კომიტეტს შეუცვალეს ფუნქცია და დაავალეს საბჭოთა კავშირში გავრცელებულ ენებში რუსიზმების, სოვეტიზმებისა და ინტერნაციონალიზმების მართლწერისა (ორთოგრაფიისა) და ტერმინოლოგიის უნიფიცირება, რაც იმას ნიშნავდა, რომ კომიტეტს უნდა გაეტარებინა ერთიანი პოლიტიკა არარუსული ენების რუსიფიკაციის დასაჩქარებლად. პარალელურად გაძლიერდა რუსული ენის სწავლება და იგი სავალდებულო გახდა ყველასთვის.

ანბანთა რუსიფიკაციის პერიოდში შემუშავდა წესები ეროვნულ ენებში რუსული ენიდან, ან ამ ენის შუამავლობით ნასესხები სიტყვების გადმოცემის შესახებ. ამ წესების მთავარი მოთხოვნა იყო, რომ რუსიზმები, სოვეტიზმები და ინტერნაციონალიზმები უნდა დაწერილიყო ზუსტად ისე, როგორც იწერებოდა რუსულში, რაც ეროვნულ ენათა ფონოლოგიური სისტემის სრული იგნორირებით ხდებოდა.

სერიოზულად დაიწყეს მტკიცება იმისა, თითქოს ანბანთა რუსიფიკაციამდე უკვე წარმოიქმნა სსრკ-ის ყველა ენისათვის საერთო ლექსიკურ-ტერმინოლოგიური ფონდი და მოხდა ენათა დაახლოება. ნასესხები ლექსიკის ფონეტიკური პრინციპით გადმოცემა, ანუ რუსული სიტყვების ადაპტირება დედაენაზე ამ ფონდის დამახინჯებად და ანტიკომუნისტურ აქტად ცხადდებოდა. მეტიც, ფონეტიკურ პრინციპს ზოგი რუსიფიკატორი ავტორი სრულიად მიუღებელ, მავნე პრაქტიკას უწოდებდა (იხ., მაგალითად, სერდიუჩენკო, 1955, გვ. 92). 1938 წელს გ. სერდიუჩენკომ, ნ. იაკოველევმა და ა. გენკომ ოთხ აბაზა ავტორთან ერთად აფხაზური ენის უახლოესი მონათესავე ენისათვის - აბაზურისათვის ამ ენის ლათინური ანბანიდან რუსულ გრაფიკაზე გადასაყვანად შეიმუშავეს შემდეგი წესები:

ა) აბაზურში აუცილებლად უნდა გამოყენებულიყო რუსული ანბანის უკლებლივ ყველა ასო (გრაფემა), მიუხედავად იმისა, იყო, თუ არა შესაბამისი ბგერები აბაზურში;

ბ) აბაზურისათვის დამახასიათებელ მკვეთრ თანხმოვანთა სიმკვეთრის აღსანიშნავად უნდა გამოეყენებინათ მხოლოდ ერთი დამატებითი ნიშანი, კერძოდ, რომაული ციფრი ერთი (I);

გ) რუსიზმები, სოვეტიზმები და ინტერნაციონალიზმები აბაზურ ენაზე უნდა დანერილიყო ზუსტად ისე, როგორც იწერება რუსულ ენაზე... (სერდიუჩენკო, 1955, გვ. 92-93).

ზემოთ მოყვანილ გარემოებათა გათვალისწინებით, დავასკვნით:

ამ წესების დანერგვამ აბაზურ ენას ბევრი უარყოფითი შედეგი მოუტანა. კერძოდ, განვლილი დროის მანძილზე სერიოზულად შეირყა აბაზური ენის საარტიკულაციო და პერცეფციული (სმენითი) ბაზისი, ენაში დამკვიდრდა მისთვის არაბუნებრივი აურაცხელი ენობრივი ფორმა, გაჩნდა სრულიად უცხო ბგერათა კომპლექსები და მხოლოდ ნასესხები სიტყვებისათვის დამახასიათებელ ფონემათა მთელი ჯგუფები. არა მარტო ნასესხები, არამედ აბაზური სიტყვებიც გამოითქმის არაბუნებრივი, რუსული ენისათვის დამახასიათებელი პრონონსით და ა.შ. (გვანცელაძე, 2011, გვ. 450-454).

იგივე პროცესები მიმდინარეობდა უკლებლივ ყველა იმ ენაში, რომლებიც 1936-1941 წლებში გადაიყვანეს რუსულ გრაფიკაზე (მათ შორის ისეთ ენებში, როგორიც არის აზერბაიჯანული, უზბეკური, ყაზახური, ყირგიზული, თურქმენული, ტაჯიკური და სხვები). მაგალითად, 1939 წელს აზერბაიჯანული ენისათვის შემოღებულ რუსულ გრაფიკაზე დაფუძნებულ დამწერლობაში უცვლელად დარჩა რუსული ასოები: **ц, э, ю, я**, რომელთაგან პირველი ასოს შესატყვისი ბგერა ც სრულებით არ არსებობს ამ ენაში, ხოლო დანარჩენი სამი ასო დიფთონგებს გადმოსცემს და მათი საჭიროება საერთოდ არ იყო.

თ. გვანცელაძე იმასაც უსვამს ხაზს, რომ ამ თვალსაზრისით საბჭოთა კავშირში გავრცელებულ მცირერიცხოვან ხალხთა ენებიდან სწორედ აფხაზურია ის ენა, რომელსაც 1938-1953 წლებში სხვებთან შედარებით უკეთესი (თუმცა არაიდეალური) მდგომარეობა შეექმნა: ეს ენა გადაურჩა რუსული გრაფიკის უცვლელი სახით თავსმოხვევას, მისი საარტიკულაციო და პერცეფციული ბაზისი თვით 16-მილიონიანი უზბეკი ხალხის მშობლიურ ენაზე ნაკლებად დაზიანდა მას შემდეგაც კი, რაც 1954 წელს მას აღუდგინეს გასულ საუკუნეში გენერალ პ. უსლარის მიერ შედგენილი, რუსულ გრაფიკაზე დამყარებული ანბანის ერთ-ერთი ვარიანტი. საქმე ის არის, რომ პ. უსლარს 1862 წელს არ მოაფიქრდა ის, რაც 1938 წელს მოიფიქრეს ბოლშევიკებმა, როცა აკრძალეს სპეციფიკურ ფონემათა

გადმოცემა საგანგებო გრაფემებით. პ. უსლარმა გამოიყენა წერის ფონეტიკური პრინციპი და მის აფხაზურ ანბანში, რომელიც დღემდე მოქმედებს, სპეციფიკურ ფონემათა გადმოსაცემად გამოიყენება კონფიგურაციაშეცვლილი რუსული გრაფემებიც. რაც მთავარია, არც 1938-1953 წლებში, როცა მოქმედებდა ქართული გრაფიკა, და არც 1954 წლიდან დღემდე, როცა აღდგა რუსული გრაფიკა, აფხაზური ენისათვის თავს არავის მოუხვევია როგორც ქართულიდან, ისე რუსულიდან ნასესხები ლექსიკის გადმოცემის ზემოთ ნახსენები დრაკონული წესები: აფხაზურ ენაში ნასესხები ქართველიზმებიც, რუსიზმებიც, სოვეტიზმებიცა და ინტერნაციონალიზმებიც იწერება ფონეტიკური პრინციპის დაცვით, ე.ი. ისე, როგორც აფხაზურად გამოითქმის. ამიტომ არ დამკვიდრებულა ამ ენაში არცერთი უცხო ფონემა არც ქართული და არც რუსული ენებიდან, რაც ხელს უწყობს ნასესხები ლექსიკის უფრო ბუნებრივ ფონეტიკურ ადაპტირებას, ვიდრე მის მონათესავე აბაზურ ენაში, ანდა, ვთქვათ, უზბეკურში (გვანცელაძე, 2011, გვ. 454).

მეტიც შეიძლება ითქვას, საბჭოთა კავშირში გავრცელებულ ენათაგან ქართული ენის შემდეგ აფხაზური იყო ის ერთადერთი ენა, რომლის ორთოგრაფიულ ნორმათა დასადგენად 60-იანი წლებიდან აფხაზეთის ასსრ-ს მინისტრთა საბჭოსთან ფუნქციონირებდა აფხაზური სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი კომისია მაშინ, როდესაც ამ ტიპის კომისია საქართველოს გარდა არ არსებობდა არცერთ სხვა მოკავშირე რესპუბლიკაში, არამცთუ ავტონომიებში.

* * *

1992-1993 წლების ომს აფხაზეთში მძიმე შედეგები მოჰყვა: დაიღუპა დაახლოებით 30 ათას კაცზე მეტი, რომელთაგან აფხაზი იყო 8 ათასი, ქართველი - 22 ათასი, სხვა ეროვნებისა - 2 ათასი კაცი. ომის მიმდინარეობის დროს დაიწყო მოსახლეობის მასობრივი განდევნა აფხაზეთიდან. კერძოდ, დევნილებად იქცნენ იქაური ქართული მოსახლეობის უმრავლესობა (მათ შორის ამ წიგნის ერთ-ერთი ავტორიც) და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლების დიდი ნაწილი, ემიგრაციაში წავიდა აფხაზთა მნიშვნელოვანი ნაწილიც. ეთნიკური წმენდის შედეგად აფხაზეთის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა რადიკალურად შეიცვალა.

ეთნიკური ვითარების ცვლას სრულებითაც არ მოჰყოლია აფხაზური ენის უფლებების სერიოზული ზრდა, ან ფუნქციონირების სფეროთა გაფართოება, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, სეპარატისტული რეჟიმის მიერ დამტკიცებული კონსტიტუციის მე-6 მუხლში ცხადდება, რომ აფხაზეთის ოფიციალური ენა არის

აფხაზური. იმავე მუხლში არის პირდაპირი მინიშნება იმაზე, რომ რეალურად აფხაზეთში მოქმედ სახელმწიფო და სხვა ტიპის დანესებულებებში ოფიციალური ენის ფუნქციებს ასრულებს რუსული ენა.

რაც შეეხება ქართულ ენას, რომელიც წინა კონსტიტუციით აფხაზეთის სამი სახელმწიფო ენიდან ერთ-ერთი იყო, ახალ კონსტიტუციაში მას საერთოდ არც კი ახსენებენ.

ომის შემდგომ მთელ აფხაზეთში არ დარჩენილა არცერთი ქართულენოვანი დანესებულება, ქართულ ენაზე არ იბეჭდება გაზეთები, ჟურნალები, წიგნები, არ მუშაობს ქართული თეატრი, რადიოსა და ტელევიზიის ქართული რედაქციები. გალის რაიონის რამდენიმე სოფელში, სადაც ჯერ კიდევ შემორჩა ქართული მოსახლეობა, უკვე 1993 წელს სცადეს ქართული სკოლების დახურვა და სწავლების გადაყვანა რუსულ ენაზე, მაგრამ მოსახლეობის პროტესტმა სეპარატისტულ რეჟიმს დროებით უარი ათქმევინა ამ გეგმის განხორციელებაზე. ამჟამად საოკუპაციო რეჟიმმა გალის რაიონის ქართულ სკოლებში სწავლება თითქმის მთლიანად გადაიყვანა რუსულ ენაზე.

აფხაზი მოსახლეობის დიდი ნანილიცა და სეპარატისტული რეჟიმიც იმდენად არის გაჟღენთილი ანტიქართული განწყობით, რომ აფხაზეთის ტერიტორიის იმ ნანილებში, სადაც ცოტა ქართველიღაა დარჩენილი, ლამის ბოლო დრომდე ქართულად დალაპარაკებაც კი სახიფათო იყო სიცოცხლისათვის.

აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის მიერ განხორციელებულ ანტიქართულ პოლიტიკას შედეგად არ მოჰყოლია აფხაზური ენის ფუნქციონირების გაფართოება, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ გალის რაიონის ქართულ სკოლებში ერთ-ერთი სავალდებულო დისციპლინის სახით დაიწყო აფხაზური ენის სწავლება, მაგრამ სკოლათა უმრავლესობაში მას ასწავლიან არაპროფესიონალები.

რაც შეეხება საქართველოს ტერიტორიას მდინარე ენგურის გამოღმა, აქ აფხაზური ენის სწავლების საკითხი 1918 წლის მკათათვეში (ივლისში) პირველად წამოჭრა სოხუმის ყოფილმა ქალაქისთავმა ლევან ჯანდიერმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების მინისტრისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამფუძნებელ ივანე ჯავახიშვილის წინაშე, თუმცა ივ. ჯავახიშვილს თვითონაც ჰქონდა განზრახული ამ ენის სწავლება. სამწუხაროდ, ეს გეგმა ჩაიშალა აფხაზური ენის მცოდნე ორი მოღვაწის - ნიკო ჯანაშიასა (1872-1918 წწ.) და პეტრე ჭარაიას (1861-1919 წწ.) ავადმყოფობისა და გარდაცვალების გამო. ამიტომ ჯერ კიდევ სტუდენტ (მომავალ აკადემიკოს) სიმონ ჯანაშიას (1900-1947 წწ.), რომელმაც ბავშვობიდანვე იცოდა აფხაზური ენა, დაევალა ამ ენის სახელმძღვანელოზე მუშაობა. მან ეს დავალება შეასრულა, სამწუხაროდ, ეს ნაშრომი არ გამოქვეყნებულა და არც მისი შემდგომი ბედია ჩვენთვის ცნობილი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აფხაზური ენის სწავლება დაიწყო 1924 წელს, როცა ლექტორად მოწვეულ იქნა აფხაზური მხატვრული ლიტერატურის ფუძემდებელი დიმიტრი გულია (1874-1960 წწ.), რომელიც 1926 წლის ჩათვლით უძღვებოდა ამ საქმეს. 1927-1937 წლებში სალექციო კურსს უძღვებოდა სიმონ ჯანაშია.

1937 წლიდან მთელი 60 წლის განმავლობაში აფხაზურ ენას ასწავლიდა ამ ენის უდიდესი მკვლევარი, აკად. ქეთევან ლომთათიძე (1911-2007 წწ.), რომელმაც ეპოქა შექმნა აფხაზური ენის კვლევის საქმეში, ხოლო თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა განყოფილებაზე და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში აღზარდა 80-მდე აფხაზი სტუდენტი და ასპირანტი, რომლებიც შემდგომში ცნობილი ენათმეცნიერები, ლიტერატორები, მწერლები, ფოლკლორისტები, ეთნოლოგები, ჟურნალისტები, მასწავლებლები დადგნენ. მის შემდგომ აფხაზურ ენას ასწავლიდნენ დოცენტი ეკატერინე ოსიძე და ს. ჯანაშიას ასული, დოცენტი რუსუდან ჯანაშია, პროფ. თეიმურაზ გვანცელაძე, ამჟამად კი კურსს კითხულობს პროფ. ნანა მაჭავარიანი.

უკვე 80 წელია, რაც აფხაზური ენის კვლევა ნარმატებით მიმდინარეობს ენათმეცნიერების ინსტიტუტში, რომელიც ერთ-ერთი მემკვიდრეა ყოფილი ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტისა (ენიმკი). ინსტიტუტი ჯერ შედიოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში, ამჟამად კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ექვემდებარება.

აფხაზური ენის სწავლების მეორე ცენტრია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ყოფილი თსუ-ს სოხუმის ფილიალი), რომლის ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის სტუდენტებს 2000-2010 წლებში ფაკულტატურ საგნად აფხაზურ ენას ასწავლიდა პროფ. თ. გვანცელაძე, 2010 წლიდან დღემდე იგივე ლექტორი სხვა აფხაზოლოგიური დისციპლინების პარალელურად ამ ენის კურსს სავალდებულო საგნად უკითხავს იმავე უნივერსიტეტის აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს, ხოლო 2019 წლიდან ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე დაინერგა ახალი დისციპლინა ქართულ და აფხაზურ ენათა სტრუქტურული პარალელები (ლექტორი - თ. გვანცელაძე).

იმავე უნივერსიტეტში 2008-2017 წლებში მოქმედებდა თ. გვანცელაძის ინიციატივით დაარსებული აფხაზური ენისა და კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელმაც აფხაზურ, ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოსცა მრავალი ათეული სამეცნიერო სტატია და 25-ზე მეტი აფხაზოლოგიური ნაშრომი წიგნების სახით, მათ შორის დ. გულიას ლექსების პირველი კრებულის რეპრინტული გამოცემა, ვლადიმირ რომანოვის მიერ

1827 წელს შედგენილი რუსულ-აფხაზური ლექსიკონი, აკაკი წერეთლის პოემა „გამზრდელისა„ და ლეო ქიაჩელის მცირე რომანის „ჰაკი აძბას“ აფხაზური თარგმანები, აფხაზური ენის ელექტრონული სასწავლო პროგრამა და სხვანი. 2018 წლიდან ინსტიტუტი შეერწყა უნივერსიტეტში ახლად დაარსებული სამშვიდობო განათლების ცენტრის აფხაზეთის კვლევის მიმართულებას, სადაც ნაყოფიერად გრძელდება ინსტიტუტში დაწყებული სამეცნიერო მუშაობა აფხაზოლოგიაში.

აფხაზური ენას უკვე ასწავლიან დევნილობაში მოქმედ აფხაზეთის ა.რ. განათლებისა და კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ 5 საჯარო სკოლაში (მათგან 2 სკოლა თბილისში მოქმედებს, 2 - ზუგდიდში, 1 - სენაკში) და აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ 2 საჯარო სკოლაში (ბათუმის მე-14 და ფერიის საჯარო სკოლები).

თავი VI

იკრძალებოდა თუ არა აფხაზურ ენაზე ლიტერატურის გამოცემა 1938-1954 წლებში?

აფხაზ ავტორთა სამეცნიერო, საგანმანათლებლო და პუბლიცისტურ ნაშრომებში, აგრეთვე სოციალურ ქსელებში ხშირად გამოითქმის ბრალდებანი, რომელთა მიხედვითაც, აფხაზეთში 1938-1954 წლებში, როცა აფხაზური ენა ეფუძნებოდა ქართულ გრაფიკას, მიმდინარეობდა აფხაზთა გაქართველება და ამის გამო იზღუდებოდა აფხაზური ენისა და ლიტერატურის უფლებები. მაგალითად, ცნობილი აფხაზი ლიტერატურათმცოდნე და ქართული ენიდან მრავალი წიგნის აფხაზურ ენაზე შესანიშნავად მთარგმნელი ვლადიმირ წვინარია 1986 წელს გამოცემულ «აფხაზური ლიტერატურის ისტორიის» ერთ-ერთ თავში XX საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისის შესახებ წერდა: *„იმ დროს ხალხის მტრებმა გამოიყენეს საბჭოთა ხალხის დროებითი გაჭირვება (ტანჯვა) და აფხაზეთში არღვევდნენ ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას: მაშინ სათითაოდ და საგულდაგულოდ დაკეტეს აფხაზური სკოლების კარები, აფხაზურ ენას კერიის ნაცარში ახვევდნენ, გზას უხშობდნენ აფხაზურ ლიტერატურას, რომელიც სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე იდგა; მაშინ გვაიწყებდნენ სიტყვებს: „აფხაზეთი“, „აფხაზური ენა“, „აფხაზური ლიტერატურა“, რომლებიც სხვა სიტყვებით უნდა შეცვლილიყო“* (იხ.: აფხაზური ლიტერატურის..., 1986, გვ. 268-269).

აფხაზ ავტორთა ამ ტიპის განცხადებები იშვიათი არ არის. სამწუხაროდ, ზოგი ქართველი მკვლევარიც უყოყმანოდ ენდობა ასეთ ბრალდებებს და იმეორებს მათ. მაგალითად, ცნობილი ქართველი ლიტერატურათმცოდნე, პროფ. ტ. მოსია სტუდენტთათვის დამხმარე სახელმძღვანელოდ განკუთვნილი, 2013 წელს დაბეჭდილი თავისი წიგნის შესავალში წარმოდგენილ მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის აფხაზური ლიტერატურის მოკლე მიმოხილვაში აფხაზური სეპარატიზმის ერთ–ერთი მთავარი იდეოლოგის, პროფ. შალვა ინალ–იფას ერთ ნაშრომზე დამყარებით აცხადებს:

«ომის შემდგომ წლებში 1953 წლამდე, მართალია, აფხაზური მწერლობა განაგრძობდა არსებობას, მაგრამ იგი, სამწუხაროდ, დიდ წინააღმდეგობას წააწყდა უსამართლოდ, რაც, შალვა ინალ–იფას ენით რომ ვთქვათ, დაკავშირებული იყო აფხაზეთის ხელოვნური ასიმილაციისაკენ მიმართული ცნობილი ღონისძიებების გატარებასთან... შემცირდა აფხაზეთის შემოქმედებითი

ორგანიზაციების მუშაობა. მწერალთა კაეშირს წლების მანძილზე არ ჰქონდა თავისი ბეჭდური ორგანო. მშობლიურ ენაზე სულ უფრო იშვიათად იბეჭდებოდა აფხაზური ლიტერატურის ნაწარმოებები. არ იხმარებოდა თვით ტერმინი «აფხაზური ლიტერატურა», «აფხაზი მწერლები». სანაცვლოდ ინერგებოდა ხელოვნური გამოთქმები: «ქართველ მწერალთა აფხაზური ჯგუფი», «დასავლეთ საქართველოს ლიტერატურა», «ქართული ლიტერატურის ავტონომიური ნაწილი» და ა. შ.

ანინდელი გადასახედიდან ეს ნამდვილი ბარბაროსობა იყო, მცირერიცხოვანი აფხაზი ხალხის უფლებების შელახვა და დამცირება, აფხაზი და ქართველი ხალხების მრავალსაუკუნოვანი ძმური და მეგობრული ურთიერთობისათვის ხაზის გადასმა გახლდათ. ჩვენი ურთიერთობის ეს შავი ლაქა დღემდე არ გადაფხეკილა ჩვენიეე ისტორიის ფურცლებიდან» (მოსია, 2013, გვ. 12).


რაკიღა ამგვარ ბრალდებებში სკოლის საკითხი უმთავრესია, შესაბამისი ლიტერატურული მასალის ანალიზის დაწყებამდე ხაზგასმით გვსურს გავიმეოროთ, რომ რეალურად აფხაზური სკოლა საერთოდ არ არსებობდა არც 1938 წლამდე და არ არსებობს არც 1954 წლიდან დღემდე. აფხაზი ავტორები აღშფოთებას გამოხატავენ იმის გამო, რომ თურმე XX საუკუნის 40-იანი წლების მეორე ნახევრიდან არ იბეჭდებოდა აფხაზურენოვანი სახელმძღვანელოები და მხატვრული ლიტერატურა და ა.შ. ამგვარი ბრალდება სამართლიანად ეჩვენება პროფ. ტ. მოსიასაც და უარყოფით ეპითეტებს არ იშურებს «ასეთი ბარბაროსობის» დასაგმობად.

რაკი ე.წ. აფხაზურ სკოლებში აფხაზური ენის სწავლების პრობლემები წინამდებარე ნაშრომში ზემოთ დეტალურად განიხილება, აქ მიმოვიხილავთ საკითხს იმის შესახებ, თუ რა იბეჭდებოდა აფხაზურ ენაზე 1938-1954 წლებში. ამ მხრივ მდიდარი მასალაა დაცული საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდებში (ჩვენთვის ცნობილია ისიც, რომ იგივე მასალა 1992-1993 წლების ომამდე ინახებოდა ქ. სოხუმში, აფხაზეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაშიც და ალბათ ახლაც იქ არის): 1938-1954 წლებში ქართულ გრაფიკაზე დაყრდნობით გამოცემული აფხაზურენოვანი სხვადასხვა შინაარსის წიგნები, ბროშურები, ჟურნალ-გაზეთები, რომლებიც შუქს ჰფენენ საკითხს (მასალები მოიძია ფილოლოგიის დოქტორმა ს. ჭაავამ). ამ მასალების მიხედვით გაირკვა, რომ 1938-1954 წლებში, 16 წლის განმავლობაში აფხაზურ ენაზე სულ გამოცემულა 300-ზე მეტი დასახელების აფხაზურენოვანი წიგნი და ბროშურა.


ამ ლიტერატურიდან აღსანიშნავია 10-ჯერ დაბეჭდილი აფხაზური ენისა და ლიტერატურის ს ა ს კ ო ლ ო პ რ ო გ რ ა მ ე ბ ი. ესენია:

1. პროგრამები დაწყებითი სკოლებისათვის. აფხაზური ენა, სუფთა წერა, ანგარიში, ისტორია, გეოგრაფია, ბუნებისმცოდნეობა. სოხუმი, 1938;
2. აფხაზური ენისა და ლიტერატურის პროგრამა. სრული საშუალო სკოლების V-VII კლასებისათვის. სოხუმი, 1939;
3. პროგრამები დაწყებითი სკოლებისათვის. აფხაზური ენა, სუფთა წერა, ანგარიში, გეოგრაფია, ბუნებისმცოდნეობა, ხატვა. რსფსრ პროგრამებიდან აფხაზური ენის პროგრამის დართვით თარგმნეს არ. არძინბამ და ვლად. მაანმა. სოხუმი, 1940;
4. აფხაზური ენისა და ლიტერატურის პროგრამა. არასრული და სრული საშუალო სკოლებისათვის. სოხუმი, 1945[25];
5. აფხაზური ენის პროგრამა დაწყებითი სკოლებისათვის. სოხუმი, 1946;
6. აფხაზური ენისა და ლიტერატურის პროგრამა. არასრული საშუალო სკოლებისათვის. სოხუმი, 1946;
7. აფხაზური ენის პროგრამა დაწყებითი სკოლებისათვის. სოხუმი, 1947;
8. აფხაზური ენისა და ლიტერატურის პროგრამა. არასრული და სრული საშუალო სკოლებისათვის. სოხუმი, 1947;
9. აფხაზური ენისა და ლიტერატურის პროგრამა (V-XI კლასები). სოხუმი, 1948;
10. აფხაზური ენის პროგრამა (გრამატიკა მართლწერითურთ). V, VI, VII, VIII კლასებისათვის. სოხუმი, 1953.

25. აქ და ქვემოთ მუქი ფერით აღნიშნულია იმ გამოცემათა დასახელებანი, რომლებიც დაიბეჭდა 1944 წლის შემდგომ, ანუ ე.წ. აფხაზური სკოლების „გაუქმების“ მერე.



აფხაზური ენისა და ლიტერატურის პროგრამა არასრული საშუალო სკოლებისათვის. სოხუმი, 1946 წ.



აფხაზური ენის პროგრამა

(გრამატიკა მართლწერითურთ)

V, VI, VII, VIII კლასებისათვის

სოხუმი
1953

აფხაზური ენისა და ლიტერატურის პროგრამათა ეს გამოცემები, განსაკუთრებით კი 1944 წლის შემდგომ დაბეჭდილნი (10-დან 6 ერთეული), დოკუმენტურად ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ აფხაზური ენისა და ლიტერატურის სწავლება აფხაზურ სკოლებში არამცთუ აკრძალული, ან შეზღუდული არ ყოფილა, არამედ სრულად შეესაბამებოდა საბჭოთა სკოლის იმ ტიპის სპეციფიკას, რომელსაც განეკუთვნებოდა ეს სკოლა.

მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ 1938-1954 წლებში სისტემატურად გამოიცემოდა ე.წ. აფხაზური სკოლის დაწყებითი კლასებისთვის განკუთვნილი აფხაზურენოვანი სახელმძღვანელოები ისეთ საგნებშიც, როგორიცაა: ბუნება // ბუნებისმცოდნეობა, გეოგრაფია, ანგარიში, ისტორია და სხვ., რაც იმას ნიშნავს, რომ ეს დისციპლინები აფხაზურ ენაზე ისწავლებოდა. წარმოვადგენთ არასრულ სიას დაწყებითი კლასების შესაბამისი სახელმძღვანელოებისა:

1. ნ. პოპოვა. ამოცანებისა და სავარჯიშოების კრებული. I კლასი. სოხუმი, 1938;
2. ნ. პოპოვა. ამოცანებისა და სავარჯიშოების კრებული. I კლასი. სოხუმი, 1939;
3. ნ. პოპოვა. ამოცანებისა და სავარჯიშოების კრებული. II კლასი. სოხუმი, 1938;
4. ნ. პოპოვა. ამოცანებისა და სავარჯიშოების კრებული. II კლასი. სოხუმი, 1940;

5. ნ. პოპოვა. ამოცანებისა და სავარჯიშოების კრებული. III კლასი. სოხუმი, 1940;
6. ნ. პოპოვა. ანგარიშის სახელმძღვანელო. I კლასი. სოხუმი, 1938;
7. ნ. პოპოვა. ანგარიშის სახელმძღვანელო. II კლასი. სოხუმი, 1938;
8. ნ. პოპოვა. ანგარიშის სახელმძღვანელო. III-IV კლასები. სოხუმი, 1938;
9. ნ. პოპოვა. ანგარიშის სახელმძღვანელო. III-IV კლასები. სოხუმი, 1939;
10. ნ. პოპოვა, ა. პჩელკო. ამოცანებისა და სავარჯიშოების კრებული. IV კლასი. სოხუმი, 1938;
11. ნ. პოპოვა, ა. პჩელკო. ამოცანებისა და სავარჯიშოების კრებული. IV კლასი,სოხუმი, 1940;
12. ნ. პოპოვა, ა. პჩელკო. ამოცანებისა და სავარჯიშოების კრებული. IV კლასი. სოხუმი, 1941;
13. ნ. პოპოვა, ა. პჩელკო. ამოცანებისა და სავარჯიშოების კრებული. IV კლასი. სოხუმი, 1947;
14. გ. პოლიაკი, ნ. ნიკიტინი, ლ. ვოლოდინა. ამოცანებისა და სავარჯიშოების კრებული. I კლასი. სოხუმი, 1953;
15. გ. პოლიაკი, ნ. ნიკიტინი, ლ. ვოლოდინა. ამოცანებისა და სავარჯიშოების კრებული. II კლასი. სოხუმი, 1953;
16. გ. პოლიაკი, ნ. ნიკიტინი, ლ. ვოლოდინა. ამოცანებისა და სავარჯიშოების კრებული. III კლასი. სოხუმი, 1953;
17. ვ. ტეტიურევი. ბუნებისმცოდნეობა. III კლასი. სოხუმი, 1953;
18. ვ. ტეტიურევი. ბუნებისმცოდნეობა. IV კლასი. სოხუმი, 1939;
19. ვ. ტეტიურევი. ბუნებისმცოდნეობა. IV კლასი. სოხუმი, 1940;
20. ლ. ტერეხოვა, ვ. ერდელი. გეოგრაფია. III კლასი. სოხუმი, 1938;
21. ლ. ტერეხოვა, ვ. ერდელი. გეოგრაფია. IV კლასი. სოხუმი, 1938;
22. დ. დონდუა. გეოგრაფია. III კლასი. სოხუმი, 1939;
23. დ. დონდუა. გეოგრაფია. III კლასი. სოხუმი, 1940;
24. დ. დონდუა. გეოგრაფია. III კლასი. სოხუმი, 1942;
25. დ. დონდუა. გეოგრაფია. IV კლასი. სოხუმი, 1939;
26. სსრკ ისტორიის მოკლე კურსი. III-IV კლასები. სოხუმი, 1939;
27. სსრკ ისტორიის მოკლე კურსი. III-IV კლასები. სოხუმი, 1940...

ამ სახელმძღვანელოთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია 1944 წლის შემდგომ გამოშვებული წიგნები. მათი აფხაზურ ენაზე არსებობის ფაქტი კიდევ ერთი უტყუარი დასტურია იმისა, რომ ე.წ. აფხაზურ სკოლებში, კერძოდ, დაწყებით კლასებში მიზანმიმართული გაქართველება არ ხდებოდა, ხოლო სწავლების ენა აფხაზური იყო.

საკვლევი საკითხისათვის მნიშვნელოვანია 1938-1954 წლებში გამოცემული საკმაოდ მრავალრიცხოვანი ორიგინალური აფხაზური მხატვრული ლიტერატურაც, ქართული, რუსული და სხვა ენებიდან აფხაზურად თარგმნილი მხატვრული ლიტერატურაც, იურიდიული, პარტიულ-იდეოლოგიური და სამეურნეო ლიტერატურაც, რომელთა დასახელებების საერთო რაოდენობა 250 ერთეულს აღემატება.

ირკვევა, რომ ამ პერიოდში, 1941-1945 წლების ომის მიუხედავად, გამოცემულა მრავალი აფხაზი მწერლის ინდივიდუალური თხზულებები, თუ კრებულები (იბეჭდებოდა ზოგი მწერლის ერთზე მეტი წიგნიც). 1938 წლამდე სალიტერატურო ასპარეზზე გამოსულ აფხაზ მწერალთა, ანუ პირველი თაობის შემოქმედთა თხზულებებიდან და ფოლკლორიდან დაბეჭდილა:

1. ძაძ დარსალიას პიესების კრებული (1938 წ.);
2. დიმიტრი გულიას მიერ შეკრებილი ანდაზების, გამოცანებისა და სხვა ფოლკლორული მასალების კრებული (1939 წ.);
3. დიმიტრი გულიას „მოკლე მოთხრობები“ (1942 წ.);
4. დიმიტრი გულიას „თხზულებანი“ სამ ტომად (ტ. I - 1947 წ.; ტ. II - 1952 წ.; ტ. III - 1953 წ.);
5. ლევარსა კვინინიას პოემა „დაური“ (1938 წ.);
6. ლევარსა კვინინიას პოემა „შარიზანი“ (1939 წ.);
7. კონსტანტინ შაყრილისა და ხუხუტ ბღაჟბას მიერ შეკრებილი აფხაზური ზღაპრების კრებულის I ტომი (1940 წ.);
8. ივანე პაპასქირის მოთხრობა „თემური“ (1939 წ.) და სხვ.;

საკვლევ პერიოდში გამოსულა აგრეთვე დამწყებ აფხაზ მწერალთა პირველი წიგნები, კერძოდ:

1. ბაგრატ შინქუბას წიგნი „პირველი სიმღერები“ (1938 წ.);
2. ბაგრატ შინქუბას პოემა (1943 წ.);
3. ბაგრატ შინქუბას ლექსების მეორე კრებული (1948 წ.);
4. ალექსეი ლასურიას ლექსების პირველი კრებული (1944 წ.);
5. ალექსეი ლასურიას ლექსების მეორე კრებული (1954 წ.);
6. ალექსეი ჯონუას ლექსების პირველი კრებული „დილის სხივები“ (1949 წ.);

7. ალექსეი ჯონუას ლექსების მეორე კრებული „სამშობლოს სახელით“ (1953 წ.);
8. გიორგი გულიას მოთხრობის „საკენის გაზაფხულის“ აფხაზური თარგმანი (1949 წ.). ამ წიგნისათვის ავტორს სტალინის სახელმწიფო პრემია მიენიჭა;
9. ჭიჭიკო ჯონუას ლექსების პირველი კრებული „ყვავილების მხარე“ (1950 წ.);
10. ივანე თარბას ლექსების პირველი კრებული „მთის წყარო“ (1949 წ.);
11. ივანე თარბას ლექსების მეორე კრებული „ლაპარაკობს გული“ (1954 წ.);
12. კირშალ ჩაჩხალიას ლექსების პირველი კრებული „მიწიერი ვარსკვლავები“ (1954 წ.).

1938-1954 წლებში აფხაზურ ენაზე გამოიცა აგრეთვე რამდენიმე აფხაზურენოვანი ლიტერატურული კრებული, რომლებშიც დაიბეჭდა აფხაზ მწერალთა თხზულებები:

1. „ლიტერატურული კრებული“ (1941 წ.);
2. პოეტური კრებული „სამშობლოსათვის!“ (1941 წ.);
3. „მცირე პიესების კრებული“ (1941 წ.);
4. პოეტური კრებული „წინ, დასავლეთისაკენ!“ (1942 წ.);
5. პოეტური კრებული „სიმღერები ჩვენს სამშობლოზე“ (1943 წ.);
6. „აფხაზეთის პოეტთა ლექსები“ (1947 წ.);
7. ახალგაზრდა აფხაზ პოეტთა კრებული (1948 წ.).

1932-1941 წლებში გამოდიოდა სალიტერატურო-მხატვრული ჟურნალი, რომელსაც ჯერ „აფსნი ყაფშ“ („წითელი აფხაზეთი“) ერქვა, ხოლო 1939 წელს ეწოდა „ალიტერატურატვ ჟურნალ“ („სალიტერატურო ჟურნალი“). მისი გამოცემა ომის გამო შეწყდა.

40-50-იანი წლების მიჯნაზე გამოვიდა აგრეთვე „ალიტერატურატვ ალმანახ“-ის („სალიტერატურო ალმანახის“) 3 ნომერიც.

1939 წლიდან განახლდა გამოცემა გაზეთ „აფსნი ყაფშ“-ისა.

აქ დასახელებული ფაქტებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის, რომ სწორედ 1938–1953 წლებში გამოქვეყნდა დამწყებ აფხაზ მწერალთა მთელი ჯგუფის ნაწარმოებების პირველი კრებულებიც და თუ ვინმეს სურდა აფხაზური ლიტერატურის საფუძველშივე ჩაკვლა, „ლოგიკური“ იქნებოდა, თუ სწორედ ახალბედა მწერლებს აუკრძალავდნენ პირველი თხზულებების გამოცემას, რაც, საბედნიეროდ, არ მომხდარა. ეს ფაქტიც მხარს უჭერს იმ მოსაზრებას, რომ საკვლევ პერიოდში აფხაზური ენისა და ლიტერატურის უფლებები არ ირღვეოდა.

ამავე დასკვნისკენ მივყავართ აფხაზურ ენაზე თარგმნილი მხატვრული ლიტერატურის მონაცემებსაც. კერძოდ:

საკვლევ პერიოდში ცალკე წიგნებად დაბეჭდილა ქართული ენიდან აფხაზურად თარგმნილი 5-ოდე ავტორის ქმნილებანი: შოთა რუსთაველისა, ნიკოლოზ ბარათაშვილისა, ალექსანდრე ყაზბეგისა, ეგნატე ნინოშვილისა, შალვა დადიანისა;

რუსული ენიდან აფხაზურ ენაზე თარგმნილა და გამოცემულა 6 წიგნი: „ამბავი იგორის ლაშქრობისა“, ნიკოლოზ გოგოლის, ალექსანდრ პუშკინის, მაქსიმ გორკის, ალექსანდრ სერაფიმოვიჩის, დმიტრი ფურმანოვის თხზულებები;

რუსულის შუამავლობით ნათარგმნი და გამოცემული ყოფილა 5 სხვა ეროვნების ავტორის: ჟან-ბატისტ მოლიერის, დანიელ დეფოს, ლოპე დე ვეგას, ტარას შევჩენკოს, ოვანეს თუმანიანის თხზულებანი.

ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ აფხაზურ ენაზე დაახლოებით თანაბარი პროპორციით გამოცემულა ქართული, რუსული და სხვაენოვანი მხატვრული ლიტერატურა და მიკერძოება არ ყოფილა ქართველ ავტორთა სასარგებლოდ, რაც კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რომ ქართველები ძალდატანებით არ ახვევდნენ აფხაზ ხალხს საკუთარ ლიტერატურას.

საყურადღებოა ისიც, რომ ამავე წლებში აფხაზურ ენაზე რეგულარულად გამოიცემოდა იურიდიულ-ნორმატიული და პარტიულ-იდეოლოგიური ლიტერატურაც, გაცილებით ნაკლებად, მაგრამ მაინც იბეჭდებოდა სამეურნეო ხასიათის ლიტერატურა. მაგალითად, პარტიულ-იდეოლოგიური შინაარსისა იყო კომპარტიის ისტორია, საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციები, ლენინის, სტალინის, ბერიას, მიქოიანის, ვოროშილოვის, ხრუშჩოვისა და სხვათა ოპუსები, პარტიულ და საკანონმდებლო თავყრილობათა სტენოგრამები, დებულებები არჩევნების შესახებ და უამრავი სხვა. თვით ამგვარი ლიტერატურის სიუხვე ასევე ცხადი მაჩვენებელია აფხაზური ენის უფლებების შეულახველობისა.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ 1954 წელს გამოიცა სოხუმში მოღვაწე ქართველი აფხაზოლოგის, აფხაზური ენის საუკეთესოდ მცოდნე მეცნიერის ბაგრატ (შოთა) ჯანაშიას მიერ შედგენილი „აფხაზურ-ქართული ლექსიკონი“. აქვე დავაზუსტებთ, რომ, იგივე მეცნიერი ავტორია პირველი მოკლე ქართულ-აფხაზური ლექსიკონისა, რომელიც ერთვის 1938 წელს გამოცემულ, აფხაზ მოსწავლეთათვის განკუთვნილ თ. გონიაშვილისა და კლ. თევზაძის ქართული ენის სასკოლო სახელმძღვანელოს. აფხაზურ-ქართული და ქართულ-აფხაზური ლექსიკონები განკუთვნილი იყო, უპირველეს ყოვლისა, აფხაზი მოზარდებისა და ახალგაზრდებისათვის (მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის), ვისაც აფხაზური ენაც აუცილებლად უნდა სცოდნოდა. თუ ვინმე მართლა ებრძოდა

აფხაზურ ენას 1938-1954 წლებში, ყველა ხერხს იხმარდა საიმისოდ, რომ დღის სინათლე არ ეხილა ამ ორ ლექსიკონს.

აქ მოყვანილი მასალა სრულიად გამორიცხავს შ. ინალ–იფას, ვ. წვინარიას, ტ. მოსიასა და სხვათა იმ ბრალდების საფუძვლიანობას, თითქოს საკვლევ პერიოდში აფხაზთა „მშობლიურ ენაზე სულ უფრო იშვიათად იბეჭდებოდა აფხაზური ლიტერატურის ნაწარმოებები»: 16 წელიწადში გამოცემული 300–ზე მეტი წიგნი და ბროშურა (ანუ წელიწადში საშუალოდ 18,7 გამოცემა) არც ისე ცოტაა, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ 1938 წელს აფხაზური სალიტერატურო ენის შექმნის დღიდან (1862 წ.) გასული იყო 76 წელიწადი, ხოლო აფხაზური მხატვრული ლიტერატურის დაფუძნებიდან (1912 წ.) – 26 წელი; გარდა ამისა, იმავე 1938–1954 წლებში სამწერლო ასპარეზზე აფხაზ მწერალთა მცირე ჯგუფი მოღვაწეობდა და ყველა მათგანი ვერ ქმნიდა მაღალხარისხოვან მხატვრულ ნაწარმოებებს.

რაც შეეხება საქართველოს მწერალთა კავშირის აფხაზეთის განყოფილების მუდმივი ბეჭდური ორგანოს უქონლობას ამავე პერიოდში, გასათვალისწინებელია მიმდინარე მსოფლიო ომის ფაქტორი და ამით გამოწვეული უსახსრობა, რაც ქართველთა ბრალი სულაც არ ყოფილა – თვით აფხაზეთში მოღვაწე ქართველ მწერლებსაც არ ჰქონდათ ასეთი ორგანო არა მარტო იმ პერიოდში, არამედ საბჭოთა კავშირის დაშლამდე გასული 50 წლის განმავლობაშიც. გარდა ამისა, ზემოთაც აღინიშნა, რომ საკვლევ პერიოდში აფხაზურ ენაზე გამოიცა 7 ერთდროული ლიტერატურული კრებული, რომელთა გამოცემის შესახებ აფხაზ ლიტერატორებს კარგად მოეხსენებათ, ხოლო პროფ. ტ. მოსიას სათანადო ინფორმაცია არა აქვს.

ამრიგად, რეალობასთან ახლოსაც კი არ არის სეპარატისტთა ბრალდებანი, თითქოს 1938-1954 წლებში აფხაზეთში უხეშად ირღვეოდა აფხაზური ენისა და აფხაზური ლიტერატურის უფლებები და მიმდინარეობდა აფხაზთა გაქართველების ინტენსიური პროცესი.

რაც შეეხება აფხაზეთში აფხაზურ ენაზე როგორც მხატვრული, ისე სამეცნიერო ლიტერატურის გამოცემას ამჟამად (როცა ქართველები არც ხელს უშლიან და ვერც ეხმარებიან აფხაზებს), ამ მხრივ 1993 წლის შემდგომ ასეთი ვითარებაა: იშვიათად იბეჭდება მხატვრული ლიტერატურა, რის გამოც მწერალთა ნაწილმა რუსულად დაიწყო წერა იმ იმედით, რომ რუსეთის გამომცემლობებს დააინტერესებენ და გამოაცემინებენ წიგნებს; გამოიცა აფხაზური ფოლკლორის სხვადასხვა ჟანრის ამსახველი რამდენიმე წიგნი; ერთადერთი სალიტერატურო ყოველთვიური ჟურნალი „ალაშარა" ფინანსური პრობლემების გამო ორ თვეში ერთხელ გამოდის; გამოიცა რამდენიმე ორენოვანი (აფხაზურ-რუსული და რუსულ-აფხაზური) ლექსიკონი...

თავი VII
ტოპონიმიკური ომები აფხაზეთში

ნებისმიერი ხალხისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს დამოკიდებულებას იმ ტერიტორიისადმი, მიწისადმი, რომელზე ბინადრობა და საქმიანობაც უხდება მას. საცხოვრისის ათვისებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ გეოგრაფიულ ობიექტთა და საცხოვრებელ პუნქტთა დასახელებებს, რომელთა ერთობლიობასაც ტოპონიმიას უწოდებენ. ტოპონიმები თავის მხრივ იძლევიან იმის გასაღებს, თუ რომელ კონკრეტულ ენაზე მოლაპარაკე მოსახლეობა გახდა მოცემული ტერიტორიის პირველი და მომდევნო ბინადარი.

ახალ საცხოვრისში მისული ხალხი ტერიტორიის ათვისებას იწყებს, უპირველეს ყოვლისა, გეოგრაფიული ობიექტებისა და მათი სახელების გაცნობით და თავის ენაზე ადაპტირებით. ამ გზით ჩნდება გეოგრაფიული სახელების ორენოვანი ვარიანტები. პარალელურად მოსულმა ხალხმა შეიძლება თავის ენაზეც თარგმნოს დამხვდური მოსახლეობის ენაზე შექმნილი ტოპონიმები, ანდა შექმნას სრულიად ახალი გეოგრაფიული სახელები.

დროთა განმავლობაში მოსულნი იმდენად ითვისებენ ახალ საცხოვრისს, რომ უჩნდებათ პრეტენზია იმ მიწის ერთადერთ პატრონობაზე, რომელიც წარსულში მათ არ ეკუთვნოდა და იქმნება ტოპონიმიკური მითები და ლეგენდები ამა თუ იმ სახელის მოსულთა ენაზე შექმნილობის შესახებ. შემდეგ საქმეში მეცნიერები, მწერლები და პოლიტიკოსებიც ერევიან და იწყება ნამდვილი ტოპონიმიკური ომები, რაც შეიძლება საბოლოოდ სისხლისღვრაშიც გადაიზარდოს. სამწუხაროდ, სწორედ ამ სცენარით განვითარდა მოვლენები აფხაზეთში.

აფხაზეთში მომხდარი და დღესაც მიმდინარე ტოპონიმიკური ომის საკითხის განხილვა, ჩვენი აზრით, უმჯობესია დავიწყოთ საბჭოთა კავშირსა და მთლიანად საქართველოში საბჭოთა პერიოდში მიმდინარე ტოპონიმიკური პროცესების კონტექსტის გათვალისწინებით.

საკმარისია დავხედოთ 1917-1991 წლებში შედგენილ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების რუკებს, რომ თვალში გვეცემა ხელოვნური ტოპონიმების უზარმაზარი რაოდენობა, რაც ადასტურებს ტოპონიმთა ცვლის პროცესის ტოტალურ ხასიათს. მაგალითად, რუსეთში გაჩნდა ისეთი იდეოლოგიზებული სახელ-სიმბოლოები, როგორიც იყო და ხშირ შემთხვევებში, დღესაც არის: *ლენინგრად, სტალინგრად, კალინინგრად, სვერდლოვსკ, კრასნოიარსკ, ულიანოვსკ, კრასნოდარ, ტოლიატტი (იტალიელი კომუნისტის გვარი), მაგნიტოგორსკ, კომსომოლსკ-ნა-ამურე, შახტი (ქვანახშირის მოპოვების*

ცენტრი), ძერჟინსკ, ენგელს, კოროლიოვ (კოსმონავტიკის ლიდერის გვარი), ელექტროსტალ („ელექტრო-ფოლადი"), ოქტიაბრსკი, არტიომ (ცნობილი რევოლუციონერის ფსევდონიმი), ნოიაბრსკ...

უკრაინის ქალაქთაგან ასეთი სახელებით იხსენიებოდა: სტახანოვ, კრასნი-ლუჩ „ნითელი სხივი", *კომმუნარ, ვოროშილოვსკ, ვოროშილოვგრად, ანტრაციტ* „ქვანახშირის სახეობა", *ულიანოვკა, იუნოკომუნაროვსკ...*;

სომხეთში ამავე ტიპის სახელები იყო: *აბოვიან* - მწერლის გვარი, მარტუნი (რევოლუციონერ ალექსანდრ მიასნიკიანის, ანუ მიასნიკოვის ფსევდონიმი), *ნოემბერიან, ოქტომბერიან, თუმანიან* (მწერლის გვარი), *ჩარენცავან* (მწერლის გვარის მიხედვით), *ბაპრამიან [ბაგრამიან]* (საბჭოთა გენერლის გვარი), *დიმიტროვ* (ბულგარელი კომუნისტის გვარი), *ნიზამი* (სპარსულენოვანი პოეტის სახელი), *პარუირ-სევაკ* (სომეხი მწერლის სახელი და გვარი), *საიათ-ნოვა* (პოეტ არუთინ საიათიანის ფსევდონიმი), შაუმიან (რევოლუციონერის გვარი)...;

აზერბაიჯანში გაჩნდა სახელები: *კიროვაბად, სტეპანაკერტ* (ბოლშევიკ სტეფან შაუმიანის სახელის მიხედვით), *მარტუნი, იმენი-სტეპანა-რაზინა* (შემდგომში დაერქვა აზერბაიჯანელი მეცნიერის გვარი ბაქიხანოვ), *ჟილოი* (რუს.), *ინსტიტუტსკი, მამედ-ემინ-რასულზადე, ნარიმანაბად* (ბოლშევიკ ნარიმან ნარიმანოვის პატივსაცემად), *ნეფტიანიე-კამნი* და მრავალი სხვა.

1921 წლიდან საქართველოშიც აქტიურად მიმდინარეობდა ტოპონიმიკური ომი, რომლის უმთავრესი მიზანი რელიგიური რწმენის, ასევე არაკომუნისტური სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული სისტემის ამსახველი გეოგრაფიული სახელების მასობრივი შეცვლა იყო. უპირველეს ყოვლისა, გაუქმდა ქართულ და სხვა ენებზე არსებული რელიგიური სემანტიკის მქონე კომონიმები. მაგალითად, ამჟამინდელი ბოლნისის მუნიციპალიტეტში ქართული სახელი ხატისსოფელი, რომელიც XIII საუკუნიდან იხსენიება, შეიცვალა წითელსოფელი სახელით, ასევე აიკრძალა რელიგიური შინაარსის სხვა კომონიმები: ქართ. სამება, საბერეთი, ხარება, მარტვილი, სენაკი, მონასტერი, მიქელგაბრიელი...; რუს. ტროიცკოე, სპასსკოე...; აზერბ. ყარაქილისა, გიაურარხი...

შეცვლილ ტოპონიმთა აბსოლუტური უმრავლესობა ქართული იყო, თუმცა მასობრივი ცვლილებები შეეხო XIX საუკუნეში გაჩენილ რუსეთის საიმპერატორო დინასტიის წევრთა პირსახელების, რუსი მოხელეებისა და გენერლების გვარებისაგან მომდინარე ტოპონიმებსაც: გაუქმდა იმპერატორ ეკატერინეს სახელისაგან წარმოქმნილი გერმანული სახელი კატარინენფელდი, რუს უფლისწულთა სახელებისაგან ნაწარმოები ალექსეევკა, მიხაილოო და ოლგინსკოე, კავკასიის დაპყრობაში აქტიური წვლილის შემტანი გენერლების გვარებზე დაფუძნებული ერმოლოვსკი და ევდოკიმოვკა...

მთიანი მხარეების გარდა, ქვეყნის ყველა კუთხეში დაკანონდა კომუნისტური იდეოლოგიით დატვირთული ხელოვნური ტოპონიმები. კერძოდ, გაჩნდა 8 ოქტომბერი, 6-6 განახლება და განთიადი, 5-5 წითელსოფელი და შრომა, 3 პირველი მაისი // პირველმაისი, 2-2 გამარჯვება, წითელუბანი, წითელწყარო, შრომისუბანი, ცოდნისკარი, თითო წითელვარსკვლავი, თავისუფლება, წინსვლა, შრომა, შრომისკარი, განთიადი, განათლება, განათლებისკარი, ცოდნა, ოქტომბერი...

პარალელურად იქმნებოდა კომუნისტური რეჟიმის დამყარების საქმეში წვლილის მქონე პირების გვარებისაგან, სახელებისა და ფსევდონიმებისაგან ქართულ, რუსულ, სომხურ ენებზე ნაწარმოები მემორიალური კომონიმები: კარლ მარქსი, ლუქსემბურგი, ულიანოვკა (ლენინის გვარისაგან მომდინარე ეს სახელი საქართველოს 4 სოფელს ეწოდა), ლენინისი, ლენინო, ლენინოვკა, ლენინგორი, სტალინისი (ასე დაერქვა ხაშურს, რომელსაც მანამდე მიხაილოვოს უწოდებდნენ), სტალინისუბანი, ორჯონიკიძე, ცხაკაია, გეგეჭკორი, წულუკიძე, ჯუღელი (ეს იყო ზესტაფონის სახელი 1939 წლამდე), ჟდანოვი, ჟდანოვკა, კალინინო...; სომხური შაუმიანი, ჟდანოვაკანი (კომუნისტი იდეოლოგისა და მსხვილი ფუნქციონერის ანდრეი ჟდანოვის გვარის მიხედვით. სოფელს 1939 წლამდე ერქვა 1937 წლის რეპრესიების ორგანიზატორის გვარისაგან მომდინარე სახელი ეჟოვაკანი, 1939 წლიდან ცოტახანს ეწოდებოდა ჟდანოვი), ელიავაკანი, მარტუნი (მარტუნი პირსისხლიანი ჯალათის ალექსანდრ მიასნიკიან-მიასნიკოვის ფსევდონიმი იყო. იგივე ტოპონიმი არსებობდა სომხეთსა და აზერბაიჯანშიც), აფხაზური ლაკობა, ოსური სტალინირი „სტალინ-ოსეთი", ზნაური (ბოლშევიკ ზნაურ აიდაროვის სახელისაგან), აზერბაიჯანული ბირლიქი „ერთიანობა, ერთობა"...

ამ ხელოვნური სახელებით გამოიდევნა ეთნიკური იდენტობის ამსახველი, ტრადიციული ორიგინალური ტოპონიმები, რომლებიც ეროვნული კულტურის განუყოფელი ნაწილი იყო, ანუ პოლიტიკის გამოდაირღვა ქართული ტოპონიმიკური სივრცის ბუნებრივი იერსახე, რაც ეთნოფსიქოლოგიაზე ძალდატანებაც იყო. ტოპონიმიკური ომის უმთავრეს, სტრატეგიულ მიმართულებას წარმოადგენდა ტოპონიმიკური სურათის რადიკალური ცვლილება და კოლექტიური მეხსიერებიდან ტრადიციული გეოგრაფიული სახელების ამოგდება. ეს პრაქტიკულად ენის ეკოლოგიური წონასწორობის რღვევას ნიშნავდა.

რაკი მთელ იმპერიაში მიზანმიმართულად და მასობრივად ხდებოდა ტოპონიმიის ძალდატანებითი ცვლილებები, ცხადია, ეს პროცესი იმართებოდა ზემოდან, კრემლიდან და მას ვერანაირად ვერ ასცდებოდა ვერც აფხაზეთი, სადაც აფხაზურ და ქართულ მოსახლეობასთან ერთად სხვა ეთნიკური ჯგუფებიც იყო წარმოდგენილი. აქ სხვადასხვა დროს პროეკაციულად უქმდებოდა, ან

იგეგმებოდა ერთ-ერთი ეთნოსის ენაზე არსებული ტოპონიმები და მათ ნაცვლად აკანონებდნენ სხვა ენაზე შექმნილ ახალ გეოგრაფიულ სახელებს.

1864 წელს აფხაზეთის ოკუპირების შემდეგ ტოპონიმთა პირველი მასობრივი ცვლა[26] აფხაზეთში დაიწყო 1867 წლის აფხაზთა მეორე მუჰაჯირობის შემდეგ, ხოლო 1880 წლიდან ეს პროცესი გაცილებით ინტენსიური გახდა. პრორუსულად განწყობილი აფხაზი ავტორები ერიდებიან ამ საკითხის გაშუქებას - მათ არ სურთ რუსეთის მხილება და ნყენინება. წერილობითი წყაროები კი ცხადად გვიჩვენებენ ამ პროცესის მასშტაბურობას 1867 წლიდან 1917 წლამდე, რაც დაკავშირებული იყო მუჰაჯირობის შედეგად მოსახლეობისაგან დაცლილ მიწებზე უცხოელი კოლონისტების ჩამოყვანასა და დასახლებასთან.

მაგალითად, სხვადასხვა წყაროს მიხედვით, 1867 წლიდან 1917 წლამდე გასულ 50 წელიწადში აფხაზეთში გაჩნდა ახალი ტოპონიმების დიდი ჯგუფი, რომელიც ჩაენაცვლა ადრე არსებულ აფხაზურ, ან ქართულ გეოგრაფიულ სახელებს. მათ უმრავლესობას ქმნიდნენ რუსული ტოპონიმიკური მოდელების მიხედვით, რუსული ტოპოფორმანტებით გაფორმებული სახელები, რომელთა ნაწილს ძირი ზოგჯერ სხვა ენისა აქვთ. იმავე პერიოდში გაჩნდა აგრეთვე თურქული, სომხური, ბერძნული, გერმანული და ესტონური ტოპონიმებიც. დავასახელებთ მათ ნაწილს:

რუსული, ან რუსულად გაფორმებული ტოპონიმები: *ანასტასიევკა, ანდრეევკა, ბაკლანკა // ბაკლანოვკა, ბარანოვო, ბებუტოვკა, ბოგოიავლენსკოე, ბოლშოი-კრაევიჩ, გეორგიევსკი, გრებეშოკ, კონსტანტინოვკა, ევდოკიმოვკა, ეკატერინინსკოე, ერმოლოვკა // ერმოლოვსკი, ესტონკა, ვერხნე-კოვალევსკოე, ეესიოლოვკა, ელადიმიროვკა, ეოსემსოტსკოე, ზახაროვკა, იურიევკა, კაზარმა, კავაკლუკ-არმიანსკოე (სომეხთა სოფელი), კავაკლუკ-გრეჩესკოე (ბერძენთა სოფელი), კესიანოვკა (სომეხთა სოფელი), მალი-კრაევიჩ, მარიინსკოე, მეგრელოვკა, მენდელეევო, მეტელევკა // მიტელევკა, მიხაილოვსკოე, ნიკოლაევსკოე, ნოვი-აფონ, ნოვოჩერნიგოვკა, ოლგინსკოე, ორეხოვო, ოსეჩკო, ოტრადნოე, პავლოვსკოე, პეტროვსკოე, პეტროპავლოვსკოე, პილენკო // პილენკოვო, პოლტავო-ალექსანდროვსკოე, პოლტავსკოე, პრიმორსკოე, როგოჟინო, სერებრიანოე, სპასოვკა, სტარუშკინო, სულევო (ესტონური სოფელი), ტროიცკოე, შაფრანოვო, შურინოვკა, ჩერნიგოვკა // სტაროჩერნიგოვკა, ცუგუროვკა (სომეხთა სოფელი)...*

თურქული: *ბეშკარდაშ, დერექოი // დერეკეი, კესტანელუკ, მანაკლუკ,*

26. აფხაზეთის მიწაზე ადგილობრივი ტოპონიმები პირველად შეიცვალა ანტიკურ პერიოდში ბერძენთა კოლონიზაციის დროს ბერძნული სახელებით, მერე XIV-XV საუკუნეებში გენუელთა სავაჭრო ფაქტორიების ნარმოქმნის დროს გაჩნდა იტალიური ტოპონიმებიც.

სემენლი, ჯევიზლუკ // ჩევიზლუკ. ამ სოფლებიდან ზოგი სომეხი კოლონისტებისა იყო, ზოგი - ბერძნებისა. ჩვენი ვარაუდით, თურქული ტოპონიმები კოლონისტებმა ანატოლიიდან მოიყოლეს.

სომხური: *დემერჩენც, ხაჩატურ.*

გერმანული: *გნადენბერგ, ნაიდორფ.*

ბერძნული: *მანიია // მანეია და შესაძლოა რეპერ.*

ესტონური: ლინდაუ, სალმე.

ამ ახალი სახელების დაკანონებით დაირღვა აფხაზეთში მანამდე არსებული ტოპონიმიკური ვითარება და დაზარალდა აფხაზურ-ქართული ონომასტიკონი.

საბჭოთა რეჟიმის არსებობის 70-წლიან პერიოდშიც მნიშვნელოვნად შეიცვალა აფხაზეთის ტოპონიმიკური ვითარება. ამ მხრივ „ტონი მისცეს" აფხაზმა სეპარატისტებმა 1921-1935 წლებში, შემდგომ კი „ესტაფეტა მიიღეს" ქართველმა ბოლშევიკებმა, ერთ მომენტში საქმეში მოსკოვიც პირდაპირ ჩაერია. ჩვენი აზრით, ყველა ტოპონიმიკური აქცია უეჭველად კონტროლდებოდა მოსკოვიდან, ვინაიდან მთელ იმპერიაში განუწყვეტლივ ებრძოდნენ ეროვნულ გეოგრაფიულ სახელებს, რაც ეროვნებათა შორის ურთიერთობის გამწვავების ერთ-ერთი პროდუქტიული ხერხი იყო. ამგვარი სიმწვავის შენარჩუნების მიზნით ორი მეზობელი ეთნოსის წარმომადგენელთაგან ხან ერთ ეთნოსს ეძლეოდა მოჩვენებითი უპირატესობა, ხან - მეორეს. მოვიყვანთ რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტს:

აფხაზეთში ოთხჯერ, კერძოდ, 1925, 1935, 1978 და 1988 წლებში შეიქმნა საგანგებო კომისიები ტოპონიმთა დაზუსტების მოტივით (კვარჭია, 1985, გვ. 8; კვარჭია, 2002, გვ. 13-18). ყველა კომისიას ჰქონდა ერთი და იგივე მიზანი: ავტონომიაში საუკუნეთა განმავლობაში არსებული ქართული ტოპონიმების უმრავლესობის წაშლა გეოგრაფიული რუკიდან, ან მათი იერსახის რადიკალურად ცვლა აფხაზური ენის ფონეტიკურ-მორფოლოგიური მოდელების შესაბამისად. ამ კომისიების საერთო ნაკლად უნდა ჩაითვალოს შემდეგი:

1. კომისიები მონოეთნიკური იყო. არ იყო დაცული პარიტეტი და ყველა კომისია მხოლოდ აფხაზებისაგან შედგებოდა;
2. მუშაობის დროს უპირატესობას ანიჭებდნენ აფხაზი ინფორმატორებისაგან მიღებულ ფოლკლორულ მასალასა და XIX საუკუნის რუსულენოვან წერილობით და კარტოგრაფიულ წყაროებს.
3. ყურადღება სრულებით არ ექცეოდა ანტიკურ ავტორთა ცნობებს, შუა საუკუნეების ქართულ, აღმოსაელურ და დასავლეთევროპულ წერილობით თუ კარტოგრაფიულ მონაცემებს.

ბუნებრივია, მუშაობის ამგვარი სტილი განსაზღვრავდა მიღებულ შედეგებს.

აფხაზი ტოპონიმისტი, ამჟამად აფხაზეთის ე.წ. პარლამენტის სპიკერი ვალერი კვარჭია წერს, რომ აფხაზეთის საბჭოთა რეჟიმმა პირველსავე წლებში ნამოინყო მუშაობა ძველი ადგილობრივი ტოპონიმების შესაკრებად, მაგრამ ეს საქმე ძნელი გამოდგა, ვინაიდან მუპაჯირობის შემდეგ აფხაზეთის ცალკეულ რაიონებში შეუძლებელი იყო აფხაზი ინფორმატორის პოვნა და არ არსებობდნენ პროფესიონალი სპეციალისტები. ამ მიზეზთა გამო სამუშაო ბოლომდე არ იქნა მიყვანილი, მაგრამ იმ დროს შეკრებილი მასალების საფუძველზე 1925 წელს მაინც განიხილეს აფხაზეთის ადმინისტრაციული დაყოფის საკითხი. 1935 წელს შეიქმნა ახალი კომისია, მაგრამ ვერც მან შეძლო კვალიფიციურად შეესრულებინა მის ნინაშე არსებული ამოცანა (კვარჭია, 1985, გვ. 14). ჩვენ მიერ მოპოვებული მასალის მიხედვით, 1925-1935 წლებში აფხაზი წევრებისაგან შემდგარმა კომისიებმა სულ გააუქმეს 4 აფხაზური, 1 ქართული, 1 პიბრიდული ქართულ-რუსული, ერთი უცნობი ეტიმოლოგიის მქონე ტოპონიმი და დააკანონეს 10 ახალი კომონიმი, რომელთაგან ერთი აფხაზური იყო - ლაკობა და მოდიოდა ნესტორ ლაკობას გვარისაგან, ერთი სოფლის ახალი სახელნოდება აფხაზურ-რუსული იყო - ფსირძხა-არხირეისკოე, 2 რუსულად გაფორმებული სომეხი კომუნისტების გვარებისაგან ნაწარმოები: შაუმიანოვსკოე // შაუმიანოვკა და მიასნიკოვო // მიასნიკოვკა, 1 გერმანული - კარლ მარქს და 5 რუსული ტოპონიმი: ლენინო, კულტუჩასტოკ, კონსოვხოზ, სვობოდა, ტრეტი-ინტერნაციონალ. როგორც ვხედავთ, ახალ ტოპონიმთაგან არცერთი არ ყოფილა ქართული წარმომავლობისა.

ვ. კვარჭია 2002 წელს წერდა, რომ 1921-1925 წლებში ჩატარებული მუშაობის დადებითი შედეგი იყო აღდგენა აფხაზეთის სამეფოს ძველი დედაქალაქის ფსირძხა სახელისა, რომლის ნაცვლად რუსებმა XIX საუკუნეში Новый Афон დააკანონესო (კვარჭია, 2002, გვ. 13-14 და 215), მაგრამ ეს მაგალითი არ გამოდგება სამართლიანობის აღდგენის ნიმუშად, ვინაიდან აფხაზური სახელი ფსირძხა არ იხსენიება XIX საუკუნემდე შედგენილ არცერთ ისტორიულ დოკუმენტში და ამ დასახლებულ პუნქტს შუა საუკუნეების ქართულ და უცხოურ წყაროებში ანაკოფია ეწოდებოდა და არა ფსირძხა.. ეს მაგალითი აჩვენებს 1921-1925 წლების კომისიის არაპროფესიონალიზმსა და ტენდენციურობას. თუკი სამართლიანობის აღდგენა სურდათ, მაშინ უნდა აღედგინათ სახელი ანაკოფია, რომელსაც აფხაზურ და ქართულ ენებთან არაფერი აკავშირებს (ალბათ ამიტომაც არ აღადგინეს!).

1936 წელს საბჭოთა კავშირში დიდი ცვლილებები მოხდა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მართვის სფეროშიც:

- დაშალეს ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა და საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი უშუალოდ გახდნენ სსრკ-ს წევრები, ანუ მოკავშირე რესპუბლიკები;
- აუმაღლეს სტატუსი შუა აზიაში არსებულ ავტონომიურ რესპუბლიკებს: ყაზახეთს, უზბეკეთს, თურქმენეთს, ყირგიზეთსა და ტაჯიკეთს;
- დაიწერა სსრკ-ის, მოკავშირე რესპუბლიკებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ახალი კონსტიტუციები (ავტონომიურ ოლქებს კონსტიტუციები არც მანამდე და არც შემდეგ არ ჰქონიათ);
- კონსტიტუციებში უნდა დასახელებულიყო სსრკ-ის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების დედაქალაქებიც, რომელთა რუსულ ენაზე დაკანონებული დასახელებებიც არ შეესაბამებოდა ამ ქალაქთა ორიგინალურ სახელწოდებებს: მაგალითად, სომხეთის დედაქალაქს ამ დრომდე რუსულად ერივან (Эриван) ეწოდებოდა, რაც განსხვავდებოდა სომხური ერევან ფორმისაგან. მოსკოვმა, როგორც ჩანს, გაითვალისწინა ამგვარი შემთხვევები და მიიღო საგანგებო გადაწყვეტილება მსხვილი დასახლებული პუნქტების სახელდების საკითხებზე, რითაც რუსულ ორთოგრაფიულ ნორმას საფუძვლად დაედო არა სპარსულ-რუსული წარმოთქმა, როგორც ეს იმ დრომდე იყო, არამედ მოკავშირე რესპუბლიკის ენის, სომხურის მონაცემები. მსგავსი რამ განხორციელდა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ზოგი ქალაქის სახელთა რუსულ მართლწერასთან დაკავშირებითაც.

ბოლო პუნქტთან დაკავშირებით საყურადღებოა მოხსენებითი ბარათი, რომელიც სოხუმიდან მოსკოვში გაუგზავნია აფხაზეთის ასსრ-ს ცაკის თავმჯდომარე ნესტორ ლაკობას. მისი მოკლე შინაარსი ასეთია:

ნ. ლაკობა მიმართავდა სსრკ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის (შინსახკომის) სახელმწიფო გადაღებისა (съемка) და კარტოგრაფირების მთავარ სამმართველოს და აფხაზეთის ასსრ-ს ცაკის სახელით არ ეთანხმებოდა ამ სამმართველოს ტრანსკრიფციის ბიუროს მიერ აფხაზეთის ასსრ-ს ზოგი დასახლებულიპუნქტის დასახელებათა ადრინდელი Сухум, Ткварчелы, Очамчиры ვარიანტების ნაცვლად Сухуми, Ткварчели, Очемчири ფორმების დანერგებას. მისი აზრით, დასახელება Сухум მომდინარეობს 1578 წელს დაარსებული ციხე-სიმაგრე სუჰუმ-ქალე-ს თურქული სახელისაგან, რომელიც შეინარჩუნეს რუსებმაც. ნ. ლაკობა დასძენდა, ახალი Сухуми ვარიანტი არ შეესაბამება არც აფხაზურ ეთნოგრაფიულ დასახელება აყვა-ს და არც ქართულ სოხუმი დასახელებას, ეს არის თურქული სუჰუმ დასახელების სახეცვლილება ქართული „ი“ დაბოლოების დამატებითო. ბარათის ავტორს არ მოსწონდა არც ახალი

Очемчири და Ткварчели ფორმები, ისინი არ შეესატყვისება აფხაზურ Очамчиры (?) და Ткуарчал დასახელებებსო. იქვე ავტორი წამოჭრის საკითხს აფხაზეთის შემდეგ ტოპონიმთა დაწერილობის დაზუსტების შესახებ: Гагры, Гудауты და Ахали Афони (Новый Афон). თურმე Гагры წარმოადგენს აფხაზური Гагра სახელწოდების მეფის ადმინისტრაციის მიერ დამახინჯებულ რუსიფიცირებულ [სახეობას] და უკავშირდება სატომო სახელ გაგრაა-ს „გაგრელებს" და ქედის Гагра-Аху-ს „გაგრის ბორცვი" გეოგრაფიულ სახელწოდებას. ნ. ლაკობას მართებული თვალსაზრისით, სახელი Гудауты დამახინჯებაა აფხაზური Гудоута სახელისა და უნდა დაზუსტებულიყო. რაც შეეხება Ахали Афони სახელს, ისიც შესაცვლელიაო და მის მაგიერ ამ დაბის სახელად ავტორი აფხაზურ Псырдзха-ს სთავაზობდა, რაც ნ. ლაკობას თვითნებურად აქვს „ეტიმოლოგიზებული", როგორც „აფსარის წყარო" (დოკუმენტები..., 1992, გვ. 487-488).

მიგვაჩნია, რომ ამ მიმართვის ტექსტი დაწერილია არა პირადად ნ. ლაკობას მიერ, არამედ შეადგინეს 1935 წლის კომისიის წევრებმა და იგი უტყუარი საბუთია იმის დასანახად, თუ რა დაბალ „სამეცნიერო დონეს" ემყარებოდა 1935 წლის კომისია:

1. რეალურად ქართული ფორმა სოხუმი მართლაც არ არის პირველადი ვარიანტი. ამ ქალაქის სახელს ასეთი გზა აქვს გაევლილი: „ქართლის ცხოვრებაში" ამ ობიექტის სახელად VIII საუკუნის აღწერისას სვანური ცხუმი „რცხილა" გვხვდება. არაბულ წყაროებში მურვან-ყრუს ლაშქრობის შემდეგ ქალაქს არაბიზებული სუხუმუ ჰქვია, გვიან შუა საუკუნეებში კი ოსმალები მას თურქიზებული სუჰუმ და სუჰუმ-ქალე „ცხუმის ციხე" სახელებით იხსენიებდნენ. როგორც არაბულს, ისე თურქულს არ მოეპოვებათ ც ბგერა და მას ს ბგერით ცვლიან, ხოლო სიტყვის დასანყისში ორივე ენაში არაბუნებრივია ერთზე მეტი თანხმოვნის თავმოყრა, რის გამოც თანხმოვნებს შორის წარმოთქმის გაადვილების მიზნით ჩნდება ფუძის ხმოვნის იდენტური ჩანართი, ანუ ეპენთეზური ხმოვანი. ასე წარმოქმნილი გათურქებული სუჰუმ-ქალე რუსულ ენაშიც დამკვიდრდა Сухум-Кале ვარიანტის სახით, შემდგომ კი წარმოიქმნა გამარტივებული Сухум ფორმა. ქართული სოხუმი სწორედ ამ რუსული ვარიანტისგან გაჩნდა XIX-XX საუკუნეებში (გვანცელაძე, 2011, გვ. 204-205).
2. სახელი გაგრა არ მომდინარეობს არც არარსებული *გაგრაა სატომო სახელისაგან (ასეთი ტომი არცერთ წყაროში არ იხსენიება) და არც გაგრა-ახუ „გაგრის ბორცვი" სახელისაგან, არამედ ბორცვის (და არა ქედის!) სახელწოდება თვითონ ემყარება სიტყვა გაგრა-ს, რომელიც

ასევე სვანური გაკრა // კაკრა „კაკლისხე" სახელისაგან მოდის, რაზეც ძველ ევროპულ რუკებზე უამრავჯერ დადასტურებული Gagari // Cacari // Chocarl ვარიანტები და მათი -ი ხმოვანზე დაბოლოების ფაქტები მიგვითითებენ (გვანცელაძე, 1996, გვ. 44-49).

3. როგორც ითქვა, არც Псырдзха სახელია ძველთაძველი, იგი XIX საუკუნემდე არ ჩანს წყაროებში და მას წინ უსწრებს, როგორც უკვე ითქვა, ბევრად უფრო ადრინდელი ანაკოფია.
4. ქართული წარმომავლობისაა ტოპონიმები ტყვარჩელი (შდრ. მეგრ. ტყვარჩელია „ყოჩივარდა") და ოჩემჩირე (შდრ. მეგრ. ოჩე + მჩირე „ერცელი სახნავი მიწა"), ხოლო აფხაზური ტყჲარჩალ (დაახლოებით გამოითქმის ტყვარჩალ) და ოჩამჩგრა ქართული პირველწყაროსგან მომდინარე ფონეტიკური ვარიანტებია (როგავა, 1960, გვ. 179-185; გვანცელაძე, 2011, გვ. 200-210, 247, 252).

ამრიგად, ნ. ლაკობასაც და მის კონსულტანტებსაც არ ჰქონდათ არანაირი მორალური, ისტორიული და ლინგვისტური საფუძველი მოხსენებით ბარათში გამოთქმული პრეტენზიების ნაყენებისა. ამ დოკუმენტს მხოლოდ ის ღირებულება აქვს, რომ ცხადად გვიჩვენებს 1935 წელს შექმნილი კომისიის არაკომპეტენტურობასა და ტენდენციურობას, აგრეთვე იმას, რომ სეპარატისტები ებრძოდნენ ქართულ ენას და ცდილობდნენ, წაეშალათ აფხაზეთის ახლანდელ ტერიტორიაზე ქართველთა ისტორიული ბინადრობის კვალი.

ჩვენთვის ცნობილი არ არის, კონკრეტულად რა უპასუხეს ნ. ლაკობას ადრესატებმა, მაგრამ ის კი ვიცით, რომ საქმეში მალე სსრკ-ს ცაკი ჩაერია და 1936 წლის 16 აგვისტოს მიიღო დადგენილება „დასახლებულ პუნქტთა დასახელებების სწორი დაწერილობის შესახებ", რომელიც გამოქვეყნდა აფხაზეთის გაზეთებშიც (დოკუმენტები..., 1992, გვ. 488). დადგენილება ოფიციალურად აკანონებდა საქართველოში არსებული 18 დასახლებული პუნქტის, სომხეთის დედაქალაქისა და თურქმენეთის 2 დასახლებული პუნქტის ახალ, გასწორებულ რუსულენოვან დასახელებებს. დადგენილების პროექტი შეუდგენია უკვე ნახსენებ ტრანსკრიფციის ბიუროს, რომელსაც ადრე ნ. ლაკობა მიმართავდა პრეტენზიით. ეს დოკუმენტი ყველა შემთხვევაში მიზნად ისახავდა ცარიზმის დროს დამახინჯებული გეოგრაფიული სახელების რუსული დაწერილობის დაახლოებას ადგილობრივ ენათა ორთოეპიასთან. მაშინ დამკვიდრდა ტოპონიმთა რუსულ ტრანსლიტერაციაში ქართული ბოლოთანხმოვნიანი ტოპონიმების სახელობითი ბრუნვის -ი სუფიქსის შენარჩუნების წესი, რომელსაც აფხაზი და ოსი სეპარატისტები დღემდე დაუნდობლად ებრძვიან: სოხუმი > Сухуми, ტყვარჩელი > Ткварчели, ოჩემჩირე „ერცელი სახნავი" > Очемчири (დოკუმენტები..., 1992,

გვ. 488-489), რაც ყოველნაირად სამართლიანი იყო, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ უფრო მართებული იქნებოდა, ქართული სოხუმი, რუსული Сухуми, Очемчири ფორმების ნაცვლად ნორმად დადგენილიყო ქართ. ცხუმი, ოჩემჩირე (ამ ორი ტოპონიმის ქართული მართლწერის პრობლემა დღესაც მოსაგვარებელი გვაქვს!) და რუს. Цхуми, Очемчире ფორმები.

ამრიგად, აბსოლუტურად უსაფუძვლოა მაშინდელ და ამჟამინდელ სეპარატისტთა პრეტენზიები ამ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით. თვით სეპარატისტთა მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური დოკუმენტებიდან ისიც ირკვევა, რომ ამგვარი პრობლემების გადასაწყვეტად მრისხანე შინსახკომს ჰქონდა სპეციალური ინსტიტუცია, რომელიც საბოლოო გადაწყვეტილების პროექტებს ადგენდა და არა გვგონია, მასში ქართველებს ემუშავათ და იმაზე ეფიქრათ, როგორ „დაემახინჯებინათ აფხაზური ტოპონიმიკური გარემო„.

ანალოგიისათვის დავასახელებთ ერთ-ერთ ტიპურ მაგალითს, იმის საჩვენებლად, რომ ამგვარ საკითხებს ცენტრალიზებულად წყვეტდა სსრკ-ს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და იგი მოურიდებლად ერეოდა მოკავშირე რესპუბლიკების ქალაქების, რაიონების, დაბების, სოფლებისა და თვით დაწესებულებათა დასახელებების ნორმირების საკითხებში. მაგალითად, გაზეთ „იზვესტიაში" 1935 წლის 6 მაისს (N 106) გამოქვეყნებულია სსრკ-ს ცაკის იმავე წლის 4 მაისის დადგენილება „უკრაინის სსრ-ში რაიონების, სოფლების, საწარმოებისა და დაწესებულებების სახელის გადარქმევის შესახებ", რომელიც გულისხმობდა უკრაინაში არსებულ შესაბამის ობიექტებს დარქმეოდა კომუნისტების ს. კიროვის, ვ. კუიბიშევის, მ. ხატაევიჩის, მ. კალინინის, გ. დიმიტროვის სახელი. ამგვარი ჩარევა იშვიათი სულაც არ ყოფილა.

1938-1953 წლებში აფხაზეთში მიმდინარეობდა სოფლებისათვის სახელის მასობრივად გადარქმევის ახალი ეტაპი, რომელსაც აფხაზი ავტორები „ქართველიზაციის ეტაპად" მოიხსენიებენ. ამ პერიოდში უმთავრესად ქართული სახელებით შეიცვალა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში აფხაზეთის კოლონიზაციის დროს წარმოქმნილი რუსული, თურქული და გერმანული ტოპონიმები. აფხაზი ავტორების სიტყვით, 40-იან წლებში გაუმართლებლად იქნა შეცვლილი ტოპონიმების მთელი ჯგუფი, რის გამოც 1955 და 1967 წლებში აფხაზეთის ასსრ-სა და საქართველოს სსრ-ს მთავრობების გადაწყვეტილებით აღდგენილ იქნა მრავალი ეს დასახელება (ზ. ანჩაბაძე, გ. ძიძარია, შ. ინალ-იფა, ვ. კვარჭია... ამავე ბრალდებას იმეორებს საქმეში ჩაუხედავი ზოგი ქართველი ავტორიც). 1938-1953 წლებში აფხაზეთში ცარიზმის დროს შექმნილ რუსულ, გერმანულ და თურქულ ტოპონიმთა ჯგუფს მართლაც ჩაენაცვლა იდეოლოგიზებული ქართული ტოპონიმები: *შრომა, თავისუფლება, ლესელიძე, სალხინო, განთიადი...*

ამ ფონზე სეპარატისტებს არ სურთ იმის დანახვაც, რომ ამავე 1938-1953 წლებში გაუქმებული რუსული გეოგრაფიული სახელების ადგილი აფხაზურმა ტოპონიმებმაც დაიჭირეს, ხოლო აფხაზური ეტიმოლოგიის მქონე კომონიმები თითქმის არ შეცვლილა ქართული ტოპონიმებით. მიუხედავად ასეთი ფაქტების არსებობისა, აფხაზთა ნაწილს დღემდე მაინც მიაჩნია, რომ ქართველებმა ამ გზით აფხაზთა ეთნიკური უფლებები შელახეს. საილუსტრაციოდ დავასახელებთ 1940-1954 წლებში აფხაზეთში აფხაზური სახელებით შეცვლილ რუსულ, გერმანულ და თურქულ ტოპონიმებს:

1. ასტეროვკა (რუს.) გახდა ამზარა (აფხაზ.);
2. ბაკლანოვკა (რუს.) > ააცი (აფხაზ.);
3. შეერთდა სოფლები ცენტრალნოე კომსომოლსკოე და კრასნოე (რუს.), ეწოდა ფსირძხა (აფხაზ.);
4. გნადენბერგი (გერმან.) > ძიგუთა // ძიგვთა (აფხაზ.);
5. კავაქლუკი (თურქ.) > აჭანდარა (ნაქართველარი აფხაზური სახელი)... (ვრცლად იხ: გვანცელაძე, 2000).

მიგვაჩნია, რომ ქართველი ფუნქციონერები სისხლიანი რეპრესიებისა და მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობის დროს ვერ გაბედავდნენ აფხაზეთში რუსულენოვანი ტოპონიმების მასობრივ ცვლას მოსკოვის თანხმობის გარეშე. სავარაუდოა, რომ მოსკოვიდან ნამოსული პროვოკაციული ინიციატივები იყო აფხაზეთში ჯერ 1925, მერე კი 1935 წლებში არაპროფესიონალებით დაკომპლექტებული კომისიების შექმნა, 1938-1953 წლებს შორის კი რუსულენოვანი ტოპონიმების დიდი ჯგუფის ქართული სახელებით შეცვლა. ცხადია, ამ შემთხვევაში მოსკოვს სწორედ აფხაზურ-ქართულ ურთიერთობებში დაძაბულობის პერმანენტულობის შენარჩუნება სურდა.

ობიექტურობა მოითხოვდა, რომ 1921-1953 წლებში შექმნილიყო აფხაზ და ქართველ პროფესიონალ მეცნიერთა ერთობლივი კომისიები, რომლებიც ზუსტად დაადგენდა ისტორიულ ტოპონიმიას და მიიღებდა მიუკერძოებელ გადაწყვეტილებებს განსახილველ საკითხთა შესახებ, მაგრამ მოსკოვს სამართლიანობა ხელს სულაც არ აძლევდა.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ მომდევნო ეტაპებზე, როცა, აფხაზ ავტორთა სიტყვით, მიმდინარეობდა „სამართლიანობის აღდგენა“, სახელდობრ, 1955-1991 წლებში გაუქმდა წინა ეტაპზე მართლაც უსამართლოდ დაკანონებული ახალი ქართული ტოპონიმების ნაწილი, მაგრამ ისტორიული სახელების ნაცვლად აღდგა ცარიზმის დროს შექმნილი რუსული კოლონიალისტური ტოპონიმები, რასაც აფხაზი ავტორები რატომღაც სულაც არ აპროტესტებენ (sic!). წარმოვადგენთ ამგვარი მაგალითების მცირედ ნაწილს:

1. ყაზბეგი კვლავ გახდა ჩერნიგოვკა;
2. ბაგრატისციხე > ალექსეევკა;
3. ალპური > ალპიისკოე;
4. სომხური ხეობა > არმიანსკოე უშჩელიე;
5. ვერცხლიანი > სერებრიანოე;
6. კორიანტელი > მეტელევკა;
7. კოდორი > ელადიმიროვკა;
8. ურავი > პაველოვსკოე;
9. საგორგიო > გეორგიევსკოე;
10. ქვემო ახუთი > პოლტავო-ალექსანდროვსკოე... (ვრცლად იხ.: გვანცელაძე, 2000, გვ. 44-51).

სხვა მაგალითი: ვ. კვარჭიას ცნობით (კვარჭია, 1985, გვ. 43-44), ამჟამინდელი გაგრის რაიონის ტერიტორიაზე 1935 წლის კომისია ასახელებდა ასაბულეი კომონიმს, როგორც სოფელ კულტუჩასტოკ-ის ადრინდელ სახელწოდებას (< რუს. культурный участок „კულტურული უბანი"). ეს რუსული სახელი 1948 წელს შეიცვალა მისი ქართულად კალკირებული კულტუბანი ვარიანტით. რუსული და ქართული ტოპონიმები კომუნისტური მიზნებისათვის შექმნილი სახელები იყო. პოსტსაბჭოთა პერიოდში აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმმა ქართული ვარიანტი გააუქმა და სოფელს ასაბულეი უწოდა. ამით თ ი თ ქ ო ს აღდგა სამართლიანობა, მაგრამ ასაბულეი ვარიანტის ლინგვისტური ანალიზი გვიჩვენებს, რომ იგი არის ქართული საბულიო „ბულიას გვარის საცხოვრებელი" სახელის აფხაზურად ა დ ა პ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ვარიანტი (გვანცელაძე, 2011, გვ. 186-192) და სამართლიანი იქნებოდა, სოფელს საბულიო დარქმეოდა.

ანალოგიისათვის მოვიხმობთ ვრცელ პასაჟს გვანცა გვანცელაძისა და ჩვენი ერთ-ერთი გამოკვლევიდან: აფხაზეთის მსგავსი პროვოკაციები ხდებოდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქშიც. ოსი ენათმეცნიერის ზამირა ცხოვრებოვას ცნობით, 1934 წელს ცხინვალში ოსურად გამოიცა ბროშურა „სამხრეთ ოსეთის დასახლებული პუნქტების, მდინარეებისა და მთების ახალი სახელები", რომელშიც წამოჭრილი იყო საკითხი ოლქის ტოპონიმთა დიდი ჯგუფის მთლიანად, ან ნანილობრივ შეცვლის შესახებ. ზ. ცხოვრებოვას მიერ პროექტის ტექსტიდან დამონმებული მაგალითები გვიჩვენებენ, რომ პროექტის რეალური მიზანი ოლქის ტერიტორიაზე ისტორიულ წყაროებში დამოწმებული ქართული ეტიმოლოგიის მქონე გეოგრაფიულ სახელთა ამოშლა, ან მათი ოსური ენის ფონეტიკურ-მორფოლოგიური მოდელების მიხედვით გადაკეთება იყო.

ზ. ცხოვრებოვას ცნობით, ოს ავტორებს სამხრეთ ოსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დავალებით დაუწყიათ მუშაობა ოლქის ტოპონიმთა გადასინჯვის საკითხზე. მრავლისმეტყველია ბროშურის წინასიტყვაობაში წარმოდგენილი შემდეგი განმარტება:

„ეს ნაშრომი საჭიროა იმიტომ, რომ ზოგ შემთხვევაში ჩვენი სოფლების სახელები იმდენად შეიცვალა, გეოგრაფიულ რუკაზე რომ იხილო, ვერ იცნობ.

მაგალითად, სიღდთა - რუკაზე აღინიშნებოდა როგორც დამწუარა [დამწვარა - თ.გ.], კუსჯით - კოშკა და სხვ. გარდა ამისა, ჩვენს გეოგრაფიულ სახელებში ბევრი იყო ისეთი, რომლებიც ერქმეოდა ალდარებისა და ფეოდალების, ანდა რელიგიური ჩვეულებების პატივსაცემად... ყველა ეს დასახელება უნდა შეცვლილიყო, ან გასწორებულიყო“ (ცხოვრებოვა, 1979, გვ. 148).

სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია, რა კონკრეტული ისტორიული და ლინგვისტური არგუმენტების საფუძველზე დაასკვნეს ოსმა ავტორებმა, რომ ქართული ტოპონიმები დამწვარა და კოშკა უნდა შეცვლილიყო ოსური სახელებით, სამაგიეროდ, იმ პერიოდის დოკუმენტური მასალიდან აშკარად იგრძნობა, რომ ამ მხარეში მიზანი, ერთი მხრივ, ქართული ტოპონიმებისა და, მეორე მხრივ, სოციალურ-რელიგიურად მარკირებული ოსური სახელების რუკიდან წაშლა იყო. ამ საკითხთან დაკავშირებით, საყურადღებოა, რომ ზ. ცხოვრებოვას სამართლიანი შენიშვნით, ვახუშტი ბატონიშვილი ქვეყნის აღწერაში, მართალია, არ ასახელებს ტოპონიმ კოშკას, მაგრამ იხსენიებს ლიახვის შენაკად კოშკისხევს, რომელსაც მისსავე რუკაზე კოშკისწყალი ეწოდება. ამ ცნობების საფუძველზე ზ. ცხოვრებოვა აღადგენს კომონიმ კოშკას (ცხოვრებოვა, 1979, გვ. 82).

ოს ავტორთა მიერ შედგენილ ხსენებულ სიაში ოლქის ოთხივე რაიონსა და ერთ საქალაქო საბჭოში ცვლილებები ეხებოდა პრაქტიკულად ყველა ტიპის გეოგრაფიულ ობიექტებს: ქალაქ ცხინვალს ერქმეოდა და დაერქვა კიდეც სტალინირ < სტალინ + ირ „სტალინ-ოსეთი“, ოთხიდან ორ რაიონულ ცენტრს შეეცვალა დასახელება: ოქონა გახდა ზნაურ, ახალგორი კი - ლენინგურ და ა.შ. პრინციპულად მნიშვნელოვანი იყო ის, რომ პროექტი აკანონებდა გეოგრაფიულ სახელთა ოფიციალურ ფორმებს ოსურ, ქართულ და რუსულ ენებზე, რომელთაგან წამყვანი როლი ეკისრებოდა რუსულ ფორმებს. ცვლილებები სხვადასხვა სახისა იყო:

1. ქართული ეტიმოლოგიის მქონე გეოგრაფიულ დასახელებას რუსულად და ოსურად წერისას სცილდებოდა სახელობითი ბრუნვის ნიშანი -ი: ცხინვალი > Цхинвал, ახალგორი > ლენინგორი > ოს. ლენინგურ > Ленингор, (ი)სხლები > Схлеб, ძარი > Зар... (ცხოვრებოვა, 1979, გვ. 151).

2. ძველი სახელების ნაცვლად კანონდებოდა სრულიად ახალი დასახელებანი: არახვეთი > თოხუათი (ოსური თოხუათ „ომის ადგილი"), გიორგიწმინდა > ისაჩჩიყაუ (ოს. „ისაკის სოფელი"), მარალეთი > მასიგი (ოს. масиг „კოშკი"), კორინთა > შრომა... (ცხოვრებოვა, 1979, გვ. 151-152).
3. ოსური წარმოშობის ტოპონიმთა ოფიციალური რუსული დაწერილობა უახლოვდებოდა ორიგინალის ენის წარმოთქმას: ახსარგინა > Ахсарджин, ჯიქიყაუ > Дзикикау, კისტა > Чисте... (ცხოვრებოვა, 1979, გვ. 152-153).
4. სოფლების ტრადიციული სახელები ითარგმნებოდა ამ სოფელთა მოსახლეობის უმრავლესობის ენაზე: ვაშლოვანი ხდებოდა ფათქუჯინ, დიდმუხა > სთირთულდა, ქვათეთრი > ურსდურ... (ცხოვრებოვა, 1979, გვ. 153).
5. მორფოლოგიურად მარტივდებოდა რთულფუძიანი ქართული და ოსური ტოპონიმების ნანილი: ქართ. დვალიანთკარი > რუს. Двалиант, ქართ. პავლიანთკარი > რუს. Павлиант..., ოს. ბუძითი-ყაუ > რუს. Будзите, ოს. მულდართი-ყაუ > რუს. Мулдарте... (ცხოვრებოვა, 1979, გვ. 154). მომდევნო ეტაპზე ამ ტიპის გაოსურებულ სახელებს ალბათ ისტორიულ ოსურ სახელებადაც გამოაცხადებდნენ და აცხადებენ კიდეც.
6. ზუსტდებოდა ზოგი ოსური ტოპონიმის ბგერითი სტრუქტურა (ცხოვრებოვა, 1979, გვ. 155).

მთლიანობაში პროექტი მოიცავდა 686 გეოგრაფიულ სახელს (100%), რომელთაგან სხვადასხვა სახის ცვლილებები უნდა შეხებოდა 411 ტოპონიმს, რაც 59,9%-ს შეადგენდა. ეს ოლქის გეოგრაფიული ნომენკლატურის კატასტროფული ცვლა იყო, რამაც, ეტყობა, განსაზღვრა ის, რომ პროექტის უდიდესი ნაწილი არ განხორციელებულა. როგორც ჩანს, კომუნისტებიც კი შეაშფოთა შესაცვლელ ტოპონიმთა უზარმაზარმა რაოდენობამ და პროექტის სრულად განხორციელების ნება აღარ დართეს, თუმცა დაკვეთა მათგან მოდიოდა.

ხსენებული კომისია ცხინვალში მუშაობდა 30-იანი წლების დასაწყისში. მის მიერ შედგენილი ტოპონიმების სია მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტს გადაუცია სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცაკისათვის. ცაკს 1933 წლის 5-6 მარტის სხდომებზე დაუმტკიცებია იგი ორი პირობით:

1. პროექტი საჯარო განხილვისათვის უნდა გამოქვეყნებულიყო რუსულენოვან საოლქო გაზეთ „კომუნისტში";

2. პროექტის გამოქვეყნებიდან ერთ თვეში სოფლებს, რაიონებსა და სასოფლო საბჭოებს უნდა მიეწერათ რედაქციისათვის, ან ინსტიტუტისათვის თავიანთი შენიშვნები.

პირველი პირობა შესრულებულა – პროექტი გაზეთში დაბეჭდილა, გამოხმაურებები კი არც რედაქციას და არც ინსტიტუტს არ მისვლიათ ერთი წლის განმავლობაში, რის გამოც დუმილი თანხმობად ჩაითვალა და პროექტი 1934 წელს ოსურ ენაზე გამოუციათ ბროშურის სახით (ცხოვრებოვა, 1979, გვ. 148-149). ამრიგად, კომისიას მუშაობა 1934 წელს უნდა დაესრულებინა.

ხსენებული კომისიის ნაკლოვანებები გაჭრილი ვაშლივით ჰგავს აფხაზური კომისიების ნაკლოვანებებს, რაც შემთხვევითი სულაც არ ჩანს:

1. კომისია შედგებოდა მხოლოდ ოსებისაგან.
2. კომისიის წევრთაგან არცერთი არ ყოფილა პროფესიონალი ენათმეცნიერი და წყაროთმცოდნე - ამგვარი პროფესიონალები 30-იანი წლების დასაწყისში მთელ ცხინვალის მხარეში სრულებით არ მოიპოვებოდა.
3. თუკი კომისიის მუშაობის დროისათვის არსებულ არცერთ რუკაზე არ იყო ასახული ტოპონიმთა ოსური ვარიანტები, გაუგებარია, საიდან იცოდნენ კომისიის წევრებმა, რომ XVII-XVIII საუკუნეებში ოსების ჩამოსახლების დრომდეც და მის მერეც არსებობდა ოსური ვარიანტებიც, თანაც ქართულზე უფრო ძველი (გვანცელაძეები, 2017, გვ. 51-61).

საბჭოთა პერიოდის აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში ტოპონიმთა მასობრივი ცვლის საკითხთან დაკავშირებით მოკლედ უნდა აღვნიშნავთ ერთი გარემოების შესახებაც:

30-40-იან წლებში საქართველოს შემადგენელი მხარეებიდან წილობრივად ყველაზე მეტი სხვაენოვანი ტოპონიმი ქართული სახელებით აფხაზეთში შეიცვალა, მაგრამ შეცვლილ ტოპონიმთაგან აბსოლუტური უმრავლესობა იყო მეფის რუსეთის დროს შექმნილი რუსული, გერმანული და თურქული კომონიმები. აფხაზი პოლიტიკოსები, ჟურნალისტები და ენათმეცნიერები აცხადებენ, რომ 1938-1953 წლებში ამ მხარის ტოპონიმთა გაქართულებას აფხაზთა ძალდატანებითი ასიმილაცია ჰქონდა მიზნად, მაგრამ ისინი არ ითვალისწინებენ იმას, რომ არაქართულენოვანი ტოპონიმების დიდი ჯგუფები არსებობდა საქართველოს სხვა მხარეებშიც, სადაც კომპაქტურად ცხოვრობდნენ სომხები, აზერბაიჯანელები, ბერძნები, რუსები, თუმცა არც მაშინ და არც შემდგომ რატომღაც ამ დიასპორების ენებზე არსებული ტოპონიმების ნაცვლად მასობრივად არ დაუკანონებიათ ქართული გეოგრაფიული სახელები. თუ თბილისის კაბინეტებში ასიმილატორული პოლიტიკის გამტარებლები ისხდნენ,

გაუგებარია, რატომ არ შეცვალეს მასობრივად ტოპონიმები სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლში, ან იმავე სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. ამ უცნაურობის მიზეზები დასადგენია. ერთ-ერთ ფაქტორად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ XIX საუკუნეში აფხაზთა თურქეთში განდევნის მერე სწორედ აფხაზეთში წაიშალა ყველაზე მასობრივად ადგილობრივი ტოპონიმები.

რა ვითარებაა ამჟამად რუსეთის ფედერაციის მიერ 1993 წლიდან ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში?

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დაუნდობელ ომს ქართული ტოპონიმების წინააღმდეგ. მაგალითად, 1993 წლიდან ქუჩებსა და პროსპექტებს დაბა-ქალაქებსა და დიდ სოფლებში აღარ ჰქვიათ ქართველ მოღვაწეთა, მათ შორის აფხაზი და ოსი ხალხების წინაშე დიდი დამსახურების მქონე პირთა გვარებისაგან მომდინარე სახელწოდებები (იხ. დანართი N 6).

უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ კომონიმების წინააღმდეგ ბრძოლას, რაკი იციან, რომ ორივე მხარის ქართული ტოპონიმები ბევრად უფრო ადრინდელია, ვიდრე აფხაზური და ოსური ტოპონიმია - ქართული სახელები უხვად არის წარმოდგენილი ანტიკური პერიოდისა და შუა საუკუნეების ნერილობით და კარტოგრაფიულ წყაროებში, ხოლო პირველი აფხაზური ტოპონიმები XVI საუკუნიდან იხსენიება, უძველესი ოსური ტოპონიმები კი - მხოლოდ XVIII საუკუნიდან ჩანს საქართველოს მიწაზე.

ამჟამად აფხაზი და ოსი ავტორები აქვეყნებენ ფსევდოსამეცნიერო ოპუსებს, რომლებიც ვერ უძლებს ვერავითარ კრიტიკას. მათში მთლიანად არის უგულებელყოფილი ქართულ და სხვა ენებზე უძველესი დროიდან არსებული წყაროების ცნობები, რომლებიც მხარს არ უჭერენ ამ ავტორთა მტკიცებას, თითქოსდა ორივე მხარეში ჯერ აფხაზები და ოსები ცხოვრობდნენ, ხოლო ქართველები მხოლოდ მოგვიანებით დასახლდნენ. ეს ავტორები ძირითადად იყენებენ არც ისე დიდი ხნის წინ შექმნილ ფოლკლორულ ცნობებსა და XIX საუკუნის რუსულ წყაროებს, რომლებშიც სულაც არ არის ასახული ამ მხარეთა ნამდვილი ისტორია.

სუსტ წყაროებსა და ყალბ საფუძვლებზე შედგენილი „ისტორიული თეორიების" პრაქტიკული განხორციელებაა ის, რომ აფხაზეთში 1993 წლიდან აიკრძალა ათეულობით ქართული სახელი (იხ. დანართი N 7), ხოლო შიდა ქართლში მზადდება პროექტი რეგიონში ქართული ტოპონიმების მასობრივად გასაუქმებლად.

ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ აფხაზეთის ტოპონიმთაგან ნამდვილად უნდა გაუქმებულიყო XIX საუკუნის მეორე ნახევარში შექმნილი ყველა რუსული კომონიმი, როგორც ისტორიული საფუძვლის უქონელი და

ძალადობის შედეგი. ასევე გასაუქმებელი იყო კოლონისტების მიერ ადრინდელი საცხოვრებელი გარემოდან მოტანილი სომხური, თურქული, გერმანული გეოგრაფიული სახელები. უეჭველად უნდა შეცვლილიყო საბჭოთა პერიოდში შექმნილი ქართული იდეოლოგიზებული ტოპონიმებიც, მაგრამ ცხინვალის მხარეში არც რუსული ტოპონიმები არსებობდა არასოდეს და არც ქართული კომონიმებით შეცვლილა ოსური ტოპონიმების თუნდაც მცირე ჯგუფი. ამიტომ ამ მხარეში შესაცვლელი არაფერი იყო.

1993 წლის მერე აფხაზეთში ტოპონიმიკური ომი წარიმართა მხოლოდ ქართული ტოპონიმების წინააღმდეგ, კერძოდ, გაუქმდა კომუნისტური სემანტიკის მქონე ქართული სოფლების ისეთი არაბუნებრივი სახელები, როგორიც იყო: *კონსტიტუცია, თავისუფლება, საბჭოთა ჩაი, შრომა, განახლება, განთიადი*... ეს აქცია სამართლიანად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ამ ფონზე სრულიად ალოგიკურია უცვლელად დატოვება რუსული ტოპონიმებისა და ზოგი კომუნისტის გვარებისაგან მომდინარე ისეთი კომონიმებისა, როგორიცაა: *შაუმიანოვკა, მიასნიკოვკა, კესიანოვკა*.... ჩანს, გადამწყვეტი როლი შეასრულა იმან, რომ საოკუპაციო რეჟიმმა ვერ გაბედა მისი მკვებავი რუსეთის ხელისუფლებისა და მათ მხარეს მდგომი სომეხი სეპარატისტების წყენინება ტოპონიმების გამო.

ტოტალური ტოპონიმიკური ომის ყველაზე მკაფიო გამოვლინებაა ის, რომ იმავე აფხაზეთში გაუქმდა ის მრავალსაუკუნოვანი ქართული კომონიმებიც, რომლებიც ძველ ისტორიულ წყაროებში იხსენიება, მათი ადგილი კი დაიკავეს ხელოვნურად შექმნილმა ფსევდოაფხაზურმა სახელებმა, რომლებიც აქამდე არასოდეს არსებულა. მაგალითად, 2013 წლის 11 დეკემბერს აფხაზეთის „პარლამენტმა“ მიიღო დადგენილება „გალის რაიონის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და მათ დასახელებათა შესახებ“, რომლის მიხედვითაც გალის რაიონის სოფლებს ადრინდელი, ისტორიული სახელწოდებების ნაცვლად ეწოდა აფხაზურად უსაფუძლოდ შეთხზული ხელოვნური სახელები:

აფხაზ. ჰაშთა „ჩვენი მოედანი“ ნაცვლად სახელისა პირველი ოტობაია;

აფხაზ. ბგოურა ნაცვლად სახელისა მეორე ოტობაია;

აფხაზ. ბჩარა ნაცვლად სახელისა ფიჩორა;

აფხაზ. ალაკუმჰარა „ხეჭრელის, ლუკუხოს კორომი“ ნაცვლად სახელისა ლეკუხონა;

აფხაზ. აბააქგთ „ციხის სოფელი“ ნაცვლად სახელისა დიხაზურგა;

აფხაზ. მახვ-იჯრა „მახვის მუხნარი“ ნაცვლად სახელისა მახუნჯია;

აფხაზ. ბათაიგვარა „ბათას შემოლობილი, ბაკი“ ნაცვლად სახელისა ნაბაკია;

აფხაზ. ხდაცჰა „წაბლის ხიდი“ ნაცვლად სახელისა ჭუბურხინჯი;

აფხაზ. რიაფ ნაცვლად სახელისა რეფი;

აფხაზ. ცგღიტვარა „კვერნის/ციყვის საბინადრო ნაცვლად სახელისა ოკვინორე;

აფხაზ. ლადა ბარღიაფ „ქვემო ბარღიაფი" ნაცვლად სახელისა ქვემო ბარღები;

აფხაზ. ვიადა ბარღიაფ „ზემო ბარღები" ნაცვლად სახელისა ზემო ბარღები;

აფხაზ. თაგალან ნაცვლად სახელისა თაგილონი (იხ. დანართი N6).

* * *

ამრიგად, 1864 წლის შემდეგ აფხაზეთის ტოპონიმიკურ სივრცეში პირველი ეკოლოგიური კატასტროფა მოხდა 1867 და 1880 წლების მუჰაჯირობის შედეგად, როცა აფხაზი მოსახლეობისაგან დაცლილ ტერიტორიებზე მასობრივად გაჩნდა მანამდე არარსებული ათეულობით რუსული, სომხური, თურქული და ბერძნული ტოპონიმი.

ტოპონიმთა ეკოლოგიური იერსახის მასობრივად შეცვლის მცდელობები ჰქონდათ აფხაზ კომუნისტებს 1925 და 1935 წლებში, მაგრამ მას სერიოზული შედეგები არ მოჰყოლია ამ მიზნით შექმნილი კომისიების არაკომპეტენტურობისა და, რაც უფრო არსებითია, სსრკ-ს შინსახკომის სპეციალური ინსტიტუციისა და სსრკ-ს ცაკის ჩარევით.

ტოპონიმიკური ომის მესამე ეტაპი იყო 1938-1953 წლები, როცა აფხაზეთში უპირატესად პირველ ეტაპზე წარმოქმნილი რუსული კომონიმები შეიცვალა უმეტესად ქართული კომუნისტური სახელ-სიმბოლოებით და აფხაზური სახელების მცირე ჯგუფით. ამ ეტაპზე იყო თეორიული შანსი, აღდგენილიყო ისტორიულად დადასტურებული ქართული და აფხაზური ტოპონიმები, მაგრამ იდეოლოგიურმა მომენტმა გადასძალა, რამაც გააჩინა ახალი დაპირისპირება აფხაზებსა და ქართველებს შორის.

მომდევნო ეტაპზე, 1954-1991 წლებში აფხაზმა სეპარატისტებმა აფხაზეთის რუკიდან გააქრეს წინა ეტაპზე გაჩენილი ქართული კომონიმების დიდი ნაწილი, აღადგინეს ცარიზმის დროინდელი რუსული ტოპონიმები და დაიწყეს ოჩემჩირე // ოჩამჩრა ტიპის პარალელური ვარიანტებიდან ქართული ფორმების ნაცვლად რუსულ ოფიციალურ სახელებად მეორეული აფხაზური ფორმების დამკვიდრება.

1993 წლიდან დაწყებული ამჟამინდელი ეტაპი გამოირჩევა განსაკუთრებული აგრესიულობით: ამჟამად მთელ აფხაზეთში პრაქტიკულად გაუქმდა, ან აფხაზურ ყაიდაზე დაუსაბუთებლად გადაკეთდა აქამდე ჯერ კიდევ შემორჩენილი ქართული ტოპონიმები. მასობრივად შეიცვალა ქართველური წარმომავლობის გეოგრაფიულ სახელთა ორთოგრაფია აფხაზურ, რუსულ და უცხოურ ენებზე - შესაბამის გეოგრაფიულ პუნქტთა აღსანიშნად კანონდება მეორეული აფხაზური ფონეტიკური ვარიანტები, ან ამჟამად აფხაზ ლინგვისტთა და ისტორიკოსთა მიერ უსაფუძვლოდ გამოგონილი ფორმები. მაგალითად, მეგრული ოიკონიმი ფოქვეში „მღვიმისა, გამოქვაბულისა" განდევნა მისგან ნარმოქმნილმა აფხაზურმა Ԥაკәაшь (ფაქვაშ) ფორმამ, ხოლო ოფიციალურ რუსულ სახელად გამოცხადდა Пакуаш, ინგლისურ ნორმად კი - Pakuash...

სეპარატისტები ებრძვიან სოხუმის, გალის, ტყვარჩელისა და სხვა დასახლებული პუნქტების ბოლოთანხმოვნიან სახელწოდებებში წარმოდგენილ ქართულ სახელობითი ბრუნვის -ი სუფიქსს, რომელიც რუსულ, ინგლისურ და სხვა ენებზე წერისას უტყუარად ახდენს ამ პოლისონიმების ქართველური წარმომავლობის მარკირებას. ამის გამო აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმი უკვე კატეგორიულად მოითხოვს საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მასმედიისაგან რუსულ და სხვა უცხოურ ენებზე წერონ და წარმოთქვან: Сухум // Sukhum, Гал // Gal, Ткуарчал // Tkuarchal...

მასობრივად შეიცვალა ქალაქების ქუჩების ის დასახელებანი, რომლებიც მომდინარეობენ ქართველი მოღვაწეების გვარებისაგან. მაგალითად, ქალაქ სოხუმში აღარ დარჩა რუსთაველის, წერეთლის, ჭავჭავაძის, გოგებაშვილისა და მსგავსი დასახელების ქუჩები, სამაგიეროდ გაჩნდა ე.წ. აფხაზეთის „სამამულო ომის გმირთა" გვარებისაგან მომდინარე, ან ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა პატივსაცემი სახელები: ул. Абазинская, ул. Адыгейская, ул. Кабардинская... (იხ. დანართი N 7).

ორიოდე წლის წინ ტოპონიმებთან ბრძოლაში გართულმა სეპარატისტებმა სცადეს გუდაუთის რაიონში სომხებით დასახლებული ერთ-ერთი სოფლის, პრიმორსკოეს რუსული სახელის აფხაზური ცვლა კომონიმით შეცვლაც, მაგრამ სომხების მტკიცე პროტესტის გამო უკან დაიხიეს (აფხაზეთში, გალის რაიონში არსებობდა დაბა პრიმორსკი, რომელიც დასახლებული იყო რუსულენოვანი მოსახლეობით, მაგრამ დღეს უკვე დაცლილია).

ამრიგად, უნდა დავასკვნათ:

1. რუსეთის იმპერიის ხელისუფლების მიერ აფხაზეთში აფხაზური და ქართული გეოგრაფიული სახელების ნაცვლად რუსული, თურქული, სომხური, გერმანული, ესტონური და ბერძნული კომონიმების დაკანონება იყო მხარის ორივე მთავარი ენის, აფხაზურისა და ქართულის ეკოლოგიური სივრცის ბუნებრიობის უხეში დარღვევა;
2. ამ სივრცის ქართული ნაწილის ხელყოფა სცადეს აფხაზმა კომუნისტებმა 1921-1935 წლებში რუსული ენის წესების მიხედვით გაფორმებული ხელოვნური, იდეოლოგიზებული ტოპონიმების გამოყენებით, მაგრამ ისინი, როგორც ჩანს, მოსკოვმა შეაჩერა;
3. უფრო შორს ნავიდნენ ქართველი კომუნისტები 1938-1953 წლებში: მათ სამართლიანად გააუქმეს რუსული, გერმანული, თურქული, სომხური და ბერძნული ტოპონიმები, მაგრამ აფხაზურ მხარესთან თანამშრომლობის გარეშე დააკანონეს ორი ტიპის ქართულენოვანი გეოგრაფიული სახელები: იდეოლოგიზებული ტოპონიმები და ჩვეულებრივი გეოგრაფიული სახელები (კლდეკარი, მუხნარი, წყურგილი...);
4. აფხაზმა სეპარატისტებმა 1954-1991 წლებში გააუქმეს ქართული ტოპონიმების დიდი ნაწილი და რუსული მართლწერის ნორმებად დააკანონეს სხვა ჯგუფის ქართული ტოპონიმების მცდარი ფორმები, რითაც ქმნიდნენ შთაბეჭდილებას ამ სახელთა არაქართული წარმომავლობის შესახებ. ამ გზით გაფართოვდა აფხაზური და რუსული ენების გავრცელების არეალი და შეიზღუდა ქართული გეოგრაფიული ნომენკლატურის საარსებო ტერიტორია;
5. სეპარატისტებმა 1953-1991 წლებში დაწყებული ნაწილობრივ სამართლიანი, უფრო მეტად კი უსამართლო ბრძოლა ქართულ ტოპონიმთა წინააღმდეგ დაასრულეს 1993 წლიდან დღემდე, რის შედეგადაც აფხაზეთის გეოგრაფიულ რუკაზე სანთლით საძებარია იშვიათად შემორჩენილი ქართული კომონიმები.

თავი VIII

აფხაზთა გვარებისა და პირსახელების ეკოლოგია

აფხაზეთში მცხოვრებ აფხაზთა შორის ამჟამად უპირატესად გავრცელებულია რამდენიმე ტიპის გვარსახელები, რომელთა დიდი ნაწილი არ არის აფხაზური წარმომავლობისა და ეს არაა გასაოცარი, ვინაიდან ეროვნებათშორის ურთიერთობებს თან ახლავს ხოლმე გვარების გადანაცვლება ერთი ხალხიდან მეორეში, რაც უპირატესად კონკრეტულ პირთა მიერ ეროვნების ცვლის პროცესს მოჰყვება.

წინამდებარე წიგნის მოცემულ მონაკვეთს განვიხილავთ ჩვენი ადრე გამოცემული მონოგრაფიის ერთი ნაწილის საფუძველზე (იხ.: გვანცელაძე, 2011, გვ. 136-151).

აფხაზური წარმოშობის გვარსახელების სტრუქტურა და ეტიმოლოგია ჯერჯერობით მონოგრაფიულად არ გამოკვლეულა. ეს საკითხები სხვა ლინგვისტური, თუ ეთნოლოგიური საკითხების კონტექსტში გაკვრით აქვთ მიმოხილული როგორც აფხაზ, ისე ქართველ ლინგვისტებს (ნ. მარს, ს. ჯანაშიას, არნ. ჩიქობავას, ქ. ლომთათიძეს, გ. როგავას, ხ. ბღაჟბას, გ. შაკირბაისა და მრავალ სხვას). ამჯერად ჩვენ გავაანალიზებთ საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ და როდის უნდა ჩამოყალიბებულიყო საკუთრივ აფხაზური გვარსახელების სტრუქტურული მოდელები და რამდენად შეინარჩუნეს მათ თავიანთი თავდაპირველი ეკოლოგიური იერსახე.

აქვე განვმარტავთ, რომ აფხაზურ გვარსახელებად მიგვაჩნია არა მარტო ისინი, რომელთა ძირიცა და აფიქსებიც უეჭველად საკუთრივ აფხაზური წარმოშობისაა (მაგალითად, გვარსახელი ა-ძგნ-ბა „აძინბა“, რომელშიც ა-სახელთა ზოგადი ფორმის მაწარმოებელია, ძგნ „ზამთრის“ აღმნიშვნელი სიტყვის ძირი, ხოლო -ბა არის გვარსახელთა მაწარმოებელი სუფიქსი. მთლიანად გვარი ითარგმნება, როგორც „ზამთარიძე“...), არამედ ის ქართველური თუ ჩერქეზული (უფრო იშვიათად - თურქული) გვარსახელებიც, რომლებიც მორფოლოგიურად არის ადაპტირებული აფხაზურ ნიადაგზე, ე.ი. დართული აქვთ აფხაზური სიტყვათმაწარმოებელი აფიქსები. მაგალითად, ქართველური მარუ-შ-ის-ძე > მარუ-შ-იან-ი > მეგრ. მარშან-ია > აფხაზ. ა-მარშან...; თურქული ომერექეჩ-ოღლუ > აფხაზ. ომერექჲეჩ-იფა...

სხვაგვარად რომ ვთქვათ, აქ არ განვიხილავთ იმ ქართველურ, ჩერქეზულ, თუ თურქულ გვარსახელებს, რომლებიც აფხაზთა შორის გვხვდება, მაგრამ განუცდიათ მხოლოდ ფონეტიკური ცვლილებები სესხების კანონზომიერებათა დაცვით. მაგალითად, გვარი გულია უდავოდ ქართველურია და მისი აფხაზური

ფონეტიკური ვარიანტია გიგლია (გვგლია). ამ უკანასკნელს და მის მსგავს გვარსახელებს ჩვენ აფხაზურ გვარსახელებად არ მივიჩნევთ, რაკი მათ აფხაზური მორფოლოგიური ინვენტარი არ დაერთვის, თუმცა ბოლო წლებში აფხაზ მეცნიერებს გაუჩნდათ დაუსაბუთებელი იდეა, თითქოს -ია დაბოლოების მქონე გვარები აფხაზური წარმომავლობისა იყოს, რაც ვერ უძლებს კრიტიკას, ვინაიდან ასეთი გვარების აბსოლუტურ უმრავლესობას გამჭვირვალე ეტიმოლოგია ეძებნება ქართულ ენობრივ სივრცეში, კონკრეტულად სამეგრელო-სამურზაყანოში და ვერ იხსნება აფხაზური ენის ნიადაგზე.

ამჟამად აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლე აფხაზთა შორის გავრცელებულია აფხაზურ (და გააფხაზურებულ) გვარსახელთა შემდეგი სტრუქტურული მოდელები:

პირველი ჯგუფია უაფიქსო, წმინდა ფუძის სახით წარმოდგენილი გვარები: *აუხათ*[27], *ბაგაფშ (ზედმიწ.: „წითური ტურა“), ბარას, ბარაჩ, ბარჩან, ბარცგც, გუბაზ, გგრვაფშ (ზედმიწ.: „წითური მეგრელი“), დბარ, თარკილ, თრაფშ, ინაფჰა, კიუტ, სმგრ, ფკინ, ყაიტან, შაყრგლ, შარმათ, შუგიან (ჩერქეზულიდან, ნიშნავს მღვდელს), ჩაბალგრხვა, ჩაბლახ, ჩალმაზ, ჩუაზ, ჩუკბარ, ცარგუშ, ჰალბად, ჰაშგგ* და სხვანი.

ამ მოდელის გვარსახელებიდან აუხათ მომდინარეობს მთელ ჩრდილოეთ კავკასიაში გავრცელებული მამაკაცის აუხათ // აუხად // ოვხად სახელისაგან (შდრ., მაგალითად, ჩეჩნური გვარი ოვხად-ოვ); გუბაზ - მამაკაცის ქართული სახელისაგან; ხურხუმალ - ასევე ქართული გვარის ხორხომელიძის ვარიანტია; შაყრგლ ფორმის ამოსავალი შეყრილავა // შეყრილოვ[28] ვარიანტები სოფ. ლიხნში დასტურდება XIX საუკუნის 30-იან წლებში შედგენილ ნათლობის ქართულ ნიგნებში (გასვიანი, 1998, გვ. 156, 157, 159, 174, 176, 178). ცხადი ხდება, რომ აფხაზური შაყრგლ ფორმა ქართული ვარიანტებისაგან მომდინარეობს, შდრ. აგრეთვე ქართ. შეყრილაძე // შეყილაძე.

მეორე ჯგუფს ქმნიან ზოგადობის აფხაზური ა - პრეფიქსის შემცველი „უსუფიქსო“ გვარები. ამ მოდელს ძირითადად განეკუთვნება ქართველური წარმოშობის ის გვარსახელები, რომლებიც თავდაპირველად დაირთავდნენ ქართველურივე წარმოშობის მაგვარსახელებელ -ია სუფიქსს, მაგრამ ამ გვართა მატარებლების ნაწილის გააფხაზების შემდეგ ჩამოსცილდათ ეს სუფიქსი და დაირთეს აფხაზურ არსებით სახელთა ზოგადი ფორმის მაწარმოებელი ა-თავსართი: აფხაზ. ა-ბლგსკგრ < ქართვ. ბულეისკირი // ბულისკირ-ია; აფხაზ. ა-მარშან < ქართვ. მარშანია < მარუშ-იან-ი (შდრ. მარუ-შ-ის-ძე); აფხაზ. ა-მფარ

27. ამ თავში მაგალითები სამეცნიერო ტრანსკრიფციითაა წარმოდგენილი მხოლოდ აუცილებელ შემთხვევებში.

28. აქ ოვ რუსული გვარების დაბოლოება არ არის.

< ქართვ. მეფორ-ია; აფხაზ. ა-ნქვაბ // ა-მქვაბ < ქართვ. მექვაბ-ია // მიქვაბია < მექვაბე-ა, შდრ. მექვაბიშვილი (ხ. ბღაჟბა); აფხაზ. ა-ჯკნჯალ < ქართვ. ჯინჯოლ-ია, ჯინჯოლ-ა-ვა; აფხაზ. ა-ჯარდან < ქართვ. ვარდან-ია...;

მესამე ჯგუფში შედიან -იფა „მისი (იგულისხმება მამაკაცი) ძე" სუფიქსოიდით გაფორმებული გვარსახელები: დადალ-იფა „დადალიძე" XIX საუკუნის საბუთებში იხსენიება ამოსავალი დადალ-ოღლი; დემერჯ-იფა თურქ.-აფხაზ. „მჭედლიძე" (შდრ. დემერჯ-ოღლი), ინალ-იფა „ინალიძე" (შდრ. ინალიშვილი), *ნარ-იფა* „ნარიძე", ომერქეიჩ-იფა // ომერქეიჩ-იფა „ომერქეჩიძე" (შდრ. ომერქეჩ-ოღლუ), პატე-ჲფა „პაატაძე", სამაქვ-იფა „სამაქვიძე" (გასვიანი, 1998, გვ. 157, 159, 174, 176, 178) და მრავალი სხვა. გვარსახელთა ამ მოდელში ყველაზე მეტი ერთეული შედის.

მეოთხე ჯგუფია წინა ჯგუფისაგან მომდინარე -იბა სუფიქსიანი გვარსახელები, რომლებშიც ხმოვნის მომდევნო პოზიციაში -ჲბა ვარიანტიც დასტურდება: აბდ-იბა, ადლე-ჲბა, ალთე-ჲბა, აშვმე-ჲბა, გადლ-იბა (ქართველური გადელია // გადილია გვარსახელისაგან), ლე-ჲბა, ცე-ჲბა, ცვე-ჲბა. ყველა ამ ფორმაში -იბა // -ჲბა სუფიქსი -იფა სუფიქსოიდისგან მომდინარეობს.

მეხუთე ჯგუფში შედის -აა სუფიქსიანი გვარები, რომლებიც ორ ქვეჯგუფად იყოფა:

ა) გვარები, რომლებიც აფხაზური წარმოშობისა ჩანს, ხოლო –აა სუფიქსი კრებითობის გამომხატველია: აბღაჯ-აა „ზურგკუზაანი" (შდრ. ვარიანტი აბღაჯ „ზურგკუზიანი"), ა-ქჟრთ-აა „ქართველაანნი", აშხარ-აა „მთიელნი" (შდრ. გვარი ა-შხა-რ-უა „მთიელი"), აშეხვან-აა, ბარმჟშ-აა „ბარმიშნი" (შდრ. ბარმიში - სოფელი გუდაუთის რ-ნში), შხარმათ-აა (შდრ. აფხაზური და ჩერქეზული გვარსახელი შხარმათ), ჯარდალ-აა;

ბ) –[ვ]ა სუფიქსიანი ქართველური წარმოშობის გვარები, რომლებშიც აფხაზურ გამოთქმაში ამ -[ვ]ა სუფიქსის მაგიერ დასტურდება –აა დაბოლოება. საყურადღებოა, რომ ამ გვართა მეგრულ გამოთქმაში –[ვ]ა სუფიქსი ასევე არ დასტურდება და გვარები უსუფიქსოდ, წმინდა ფუძის სახით გეხვდება. შდრ.: აფხაზ. დუმ-აა - მეგრ. დუმა, აფხაზ. კვარტ-აა - მეგრ. კორტ-ა (შდრ. მეგრ.-იმერ. გვარი კორტ-ი), აფხაზ. კუბრაა - მეგრ. კობრ-ა, აფხაზ. კუპრ-აა - მეგრ. კუპრ-ა (შდრ. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში" დადასტურებული პირსახელი კუპრ-ა, აგრეთვე ქართ. გვარები კუპრ-ა-ძე, კუპრ-ე-ი-შვილი), აფხაზ. ლაგვლ-აა - მეგრ. ლაგვილა-[ვა], აფხაზ. ჭჟთან-აა - მეგრ. ჭითა-ნა და მრ. სხვა. ამ ტიპის ქართულ გვარებში -ვა დაბოლოება დასტურდება მხოლოდ იმერულ, გურულ, აჭარულ, ლეჩხუმურ და რაჭულ დიალექტებში, აგრეთვე ქართულ სამწიგნობრო ენაში: ბიგვა-ვა, სიჭინა-ვა, ჭითანა-ვა... იმის გამო, რომ ვ თანხმოვანი არ ისმის არც

აფხაზურ და არც მეგრულ გამოთქმაში, ჩვენთვის სრულიად მიუღებელია ნ. მარისა და ი. ყიფშიძის ნაჩქარევი ვარაუდი, თითქოს ქართველური გვარების -ვა სუფიქსი მომდინარეობდეს აფხაზური -იფა სუფიქსოიდისაგან (მარი, 1936, გვ. §4; ყიფშიძე, 1994, გვ. 437).

ს. ჯანაშიას აზრითაც, „ამ მოსაზრების გაზიარება შეუძლებელია. ჯერ ერთი, არ არის ნაჩვენები ნაგულისხმევი გადასვლის ფონეტიკური კანონზომიერება. შემდეგ, ანგარიში არ ეწევა მოცემული ფორმანტების ფუნქციონალურ სხვაობას; აფხაზურში იგი აღნიშნავს გვარსახელის მხოლოდ მამრობითი სქესის მატარებელს, მეგრულში კი - ორივე სქესისას. და ბოლოს, არც სესხების ისტორიული პირობებია გარკვეული - როდის უნდა ყოფილიყო ასეთი ნამლექავი გავლენა აფხაზურისა მეგრულზე“ (ჯანაშია, 1959, გვ. 40).

პ. ცხადაია ანგარიშს უწევს იმ ფაქტს, რომ ამ ტიპის გვარებში -ვა დაბოლოებას ნინ უსწრებს ა ხმოვანი. მკვლევარს გათვალისწინებული აქვს ისიც, რომ გვიანი შუა საუკუნეების ქართულ წყაროებში დასტურდება ამ ტიპის გვართა გაფორმების სამი ვარიანტი:

1. -ვა სუფიქსით;

2. ორი ა ხმოვნით (ვ-ს გარეშე);

3. ფუძისეული ა ხმოვნისა და -ვა სუფიქსის გარეშე (ცხადაია, 2000, გვ. 21).

ავტორს რატომღაც მნიშვნელოვნად არ მოსჩვენებია, რომ -ვა დაბოლოება საკუთრივ მეგრულ და აფხაზურ წარმოთქმაში სრულიად არ ისმის.

ჩვენი შეხედულება ასეთია: ქართულში -[ვ]ა სუფიქსი არ მომდინარეობს აფხაზურისაგან, ვინაიდან -ვა ვარიანტი ამ ენაში საერთოდ არ დასტურდება, თანაც ის გვარები, რომლებიც იმერულ, მეგრულ, გურულ, აჭარულ, ლეჩხუმურ, რაჭულ დიალექტებსა და სამწიგნობრო ენაში შეიცავენ ვ თანხმოვანს, ეტიმოლოგიურად არ იხსნება აფხაზურ ნიადაგზე - ისინი ქართველური წარმოშობისანი არიან. ამ გვარებში სუფიქსია ვ თანხმოვნის მომდევნო ა ხმოვანი, რომელსაც წინამავალი ფუძისეული ა ხმოვნისაგან გასამიჯნად მიემატა ბგერათგამყარი ვ ბგერა:

ფუძის ბოლო ა ხმოვანი + სუფიქსი -ა.

ეს წესი, როგორც ჩანს, გავრცელდა უფრო სამეგრელოსგან აღმოსავლეთით და სამხრეთით (იმერეთში, გურიაში, აჭარაში, ლეჩხუმსა და რაჭაში), თვით სამეგრელოში კი უფრო გავრცელებული იყო წმინდა ფუძით, „უსუფიქსოდ“ წარმოდგენილი გვარები: ბიგვა, გერზმა, კორტა, კუპრა, ლაგვილა, ჭითანა...

სამეგრელოში გვიან შუა საუკუნეებში პარალელურად დასტურდება ამ გვართა მაგვარსახელებელი -ან სუფიქსის ა ხმოვნიანი ვარიანტებიც, რომლებშიც ა ხმოვნის დართვა ა ხმოვნითვე დამთავრებულ ფუძეებზე ორ ა ხმოვანს, ან -ვა დაბოლოებას იძლეოდა. ამისი მაჩვენებელია ისეთი პარალელური ფორმები,

როგორებიცაა: გოგ-ილ-ა // გოგ-ილ-ა-ა // გოგ-ილ-ა-ვ-ა, ფათხა // ფათხა-ა // ფათხა-ვ-ა და სხვანი (ცხადაია, 2000, გვ. 21-22).

XVI საუკუნის შემდგომ აფხაზთა ჩამოსახლებისა და დამხვდურ ქართველთა ასიმილაციის პროცესში აფხაზებმა ქართული მაგვარსახელებელი -ა სუფიქსის უქონელ წმინდა ფუძეებსა და ამ სუფიქსის მქონე გვარებს დაურთეს აფხაზური კრებითობის მაწარმოებელი -აა სუფიქსი. მეორე მოდელის გვართა გააფსუებულ ვარიანტებში თეორიულად მოსალოდნელი იყო სამი ა ხმოვნის მიჯრით თავმოყრა, რასაც აფხაზური ენა ვერ ეგუება, ამიტომ დარჩა მხოლოდ ორი ა ხმოვანი.

მაგალითად, ქართ. X საუკუნეში („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში„) დადასტურებული მამაკაცის პირსახელი კუპრ-ა (< კუპრ-ი) > მეგრ.-სვან. გვარი *კუპრ-ა-ან-ი > მეგრ. გვარი კუპრ-ა > აფხაზ. *კუპრ-ა-აა > აფხაზ. კუპრ-აა...

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ შემთხვევებში აფხაზურმა ენამ რადიკალურად შეცვალა ნასესხები ქართული გვარების მორფოლოგიური მოდელი: უცვლელი დარჩა ძირ-ფუძეები, გამოიცვალა სუფიქსები და მოხდა ფონეტიკური ადაპტაცია...

ამ ვარაუდის მხარდამჭერი გვგონია ისეთი შემთხვევებიც, როცა ქართულ გვარებში არ დასტურდება -ვა // -აა სუფიქსი, მაგრამ აფხაზურ გამოთქმაში ანალოგიით მაინც არის -აა სუფიქსი. ასეთებია: ქართ. სოც.-იალური ტერმინი და შემდგომ გვარი ერის-თავ-ი > აფხაზური გვარი არსთ-აა და არაბული წარმომავლობის ქართული სოციალური ტერმინი ამირ-ახორი > ქართული გვარი ამილ-ახვარ-ი > ქართული გვარი ემხვარ-ი > აფხაზური ვარიანტები ემხ-აა > აამხ-აა.

შენიშვნა: რამდენიმე -[ვ]ა დაბოლოებიან ქართველური გვარის სალიტერატურო ვარიანტს აფხაზურში მოჰკვეცია ბოლოკიდური ა ხმოვანი, ხოლო ვ თანხმოვანი კანონზომიერად ქცეულა უ თანხმოვნად:

ქართ. აფხაზ-ა-ვ-ა > აფხაზ. (ა)ფჰაზოუ;

ქართ. ბუინავა > აფხაზ. *აბჟნოუ > ებჟნოუ;

ქართ. ვაჭარ-ია // ვაჭარავა > აფხაზ. ვაჭაროუ (ეს ბოლო ფორმა დასტურდება XIX საუკუნის ქართულ საბუთებში);

ქართ. შეყრილავა > აფხაზ. შეყრილოუ (დასტურდება XIX საუკუნის საბუთებში. იხ. ზემოთ);

ქართ. მამაცავა > აფხაზ. მამაცოუ.

აფხაზურ გვართა მოდელების ჩამოყალიბების დროის დასადგენად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აბაზურის მონაცემებს. რაკიღა სრულიად უეჭველია აფხაზურ-აბაზური ეთნო-ლინგვისტური ერთიანობის არსებობა XVI საუკუნემდე, უნდა ვივარაუდოთ შემდეგიც: თუ აფხაზებს იმ დროს უკვე ჰქონდათ

გვართა ზემოთ განხილული მოდელები, მაშინ აბაზათა შორის დღესაც უნდა დასტურდებოდეს იგივე სტრუქტურული მოდელები (ამ მოდელების გაქრობა მოსალოდნელი არ არის!).

ჩვენ მიერ 70-80-იან წლებში აბაზურ სოფლებში მოპოვებული მასალა გვიჩვენებს, რომ ტაპანთელ აბაზათა შორის ძირითადად გავრცელებულია გვართა ორი სტრუქტურული მოდელი:

უსუფიქსო ფუძეები (ლაუ, შაუ, პაზ, ყლგჩ, ჯანდარ, აჯბაქი, მერემყულ...) და მხოლობითი რიცხვის ფუნქციით გამოყენებული კრებითი მრავლობითის გამომხატველი -რშა // > -რაა სუფიქსიანი გვარსახელები, რომლებიც ბევრად უფრო იშვიათია (ყარდან-რშა, ზაფ-რაა...).

შედარებით უფრო მრავალფეროვანია აშხარელი აბაზების გვართა მოდელები:

1. უსუფიქსო ფუძეები: ლაპუღვ, ბათგრბი, გვაგვა, ბ(ა)რაყვა, მახვა, ჰვატგშ, სმგრ...
2. მხოლობითი რიცხვის ფუნქციით გამოყენებული კრებითობის –აა სუფიქსის შემცველი გვარსახელები: ჯგრ-აა, ლარს-აა, ლი-აა, ახ-აა, ძუუ-აა, ჩგმ-აა, უაზ-აა...
3. -ბა სუფიქსიანი 12 გვარი: ახ-ბა, ას᲻-ბა, კვაძ-ბა, აგრ-ბა, ალი-ბა, ლ'ის-ბა, აძგნ-ბა, ძგ-ბა, მგჭ-ბა, ჟირ-ბა, ლაუარსან-ბა, ქაპ-ბა.
4. -ძა სუფიქსიანი 4 გვარსახელი: კიგჟმ-ძა, ეკ-ძა, კილ-ძა, აკ-ძა.

ქ. ლომთათიძის მიერ 1939, 1940, 1941 და 1947 წლებში აშხარელ აბაზათა შორის ჩაწერილ გვარებში ზოგჯერ სხვაობაა იმ მხრივ, რომ კრებითობის -აა სუფიქსიანი გვარები მხოლობითი რიცხვის ფუნქციით მეტად იშვიათად ყოფილა გამოყენებული, ჩვენი ექსპედიციებისას კი (70-80-იანი წწ.) ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ყურადღებას იპყრობს ისიც, რომ, როგორც ქ. ლომთათიძე წერს, *„მთელი რიგი აშხარელთა გვარების დაბოლოებაში თავს იჩენს ძა ელემენტი. ესენია: ეკძა, კიგჟმძა, აკძა. უდაოა, რომ ეს ელემენტი გვარის მაწარმოებელია. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ აფხაზურს (იმ დროს ქ. ლომთათიძე აბაზურს ცალკე ენად ჯერ კიდევ არ მიიჩნევდა - თ. გ.) ე ფონემა არ გააჩნია და სხვა ენებიდან შესულ სიტყვებში ე გადადის ა-დ, აშკარა იქნება, რომ აღნიშნულ გვარებში შემორჩენილია ქართული გვარის -ძე დაბოლოება. უნდა ყოფილიყო *ეკძე, *კიგჟმ-ძე, *აკძე, *კიგლძე (შდრ. ქართული გვარი კილაძე). ამ მხრივ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ იმავე გვარებს აქვს სხვა, აფხაზური -ბა სუფიქსით გაფორმებული ვარიანტებიც. ეს ვარიანტები მხოლოდ რუსულად გამოთქმისას მოპოვებათ აღნიშნულ გვარებს. შდრ. Екба, Килба, Агба. ხსენებულ გვართა დაბოლოებაში -ძე ელემენტის არსებობა საყურადღებო*

ფაქტია ისტორიული თვალსაზრისით" (ლომთათიძე, 1954, გვ. 224).

რაკი აშხარელ და ტაპანთელ აბაზებს, აგრეთვე აბაზებსა და აფხაზებს შორის საზიარო მხოლოდ უსუფიქსო და კრებითობის -რშა > - რაა // -აა სუფიქსიანი გვარებია, მეორე მხრივ, აშხარელთა შორის -ბა სუფიქსიანი ვარიანტები მხოლოდ რუსულ გამოთქმაშია გავრცელებული -ძა სუფიქსიან ვარიანტთა ნაცვლად, მესამე მხრივ კი -ძა სუფიქსი არ დასტურდება არც ტაპანთელთა, არც აბჟუელთა და არც ბზიფელთა შორის, დავასკვნით: -ბა სუფიქსი აბაზურ უსუფიქსო გვარებს უნდა დართვოდა მხოლოდ XX საუკუნის 20-30-იან წლებში, როცა აშხარელთა 60 ოჯახი ჩამოასახლეს აფხაზეთში აფხაზეთის სსრ-ს არსებობის გასამართლებლად და მხარის მოსახლეობაში აფხაზთა ნილის გასაზრდელად. ჩანს, უკან, ჩრდილოეთ კავკასიაში დაბრუნებისას (40-იანი წლების დასაწყისში) აშხარელებმა „თან გაიყოლეს" აფხაზური სუფიქსი. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ აბაზათა შორის საერთოდ არ დასტურდება -იფა სუფიქსოიდის შემცველი არცერთი გვარი, ეს სახეობა კი ამოსავალია აფხაზ. -იბა და -ბა სუფიქსებისათვის.

საყურადსაღებოა, რომ აბაზათა შორის დასტურდება ისეთი უსუფიქსო და კრებითობის სუფიქსიანი გვარებიც, რომლებსაც აფხაზურში -ბა სუფიქსი დაერთვის, ანუ ეს გვარები ამ ორ ენაში სხვადასხვა სტრუქტურულ მოდელებში ნანილდებიან. მაგალითად: აშხარ. ქაპა - აფხაზ. ქაპ-ბა, აშხარ.-აფხაზ.-აშხარ. სმგრ - აფხაზ. (ბათუმში) სმგრ-ბა, აშხარ. მგსჰაჯ - აფხაზ. (ბათუმში) მუსხაჯ-ბა, აშხარ. ლი-აა - აფხაზ. ლე-იბა, აშხარ. აძგნ-აა - აფხაზ. აძგნ-ბა, აშხარ. ჲაშთ-აა - აფხაზ. ეშთ-ბა...

ვფიქრობთ, ეს ფაქტები საკმარისია საიმისოდ, რათა დავასკვნათ, რომ აფხაზურ-აბაზური ეთნიკური ერთობის არსებობის პერიოდში (XVI საუკუნემდე) არც აფხაზებს (აფსუებს) და არც აბაზებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ -იფა > -იბა > -ბა დაბოლოებიანი გვარები და მათ შორის გავრცელებული იყო მხოლოდ უსუფიქსო და კრებითობის -რშა > -რაა > -აა სუფიქსიანი ფორმები. რაც შეეხება -იფა > -იბა > -ბა სუფიქსიან აფხაზურ გვარებს, ისინი უნდა შექმნილიყო XVI საუკუნის შემდგომ, აფხაზეთში მათი დასახლების მერე, ქართული -ძე და -შვილი დაბოლოებიანი გვარების ანალოგიით.

-იფა // -იბა //-ბა დაბოლოებიან აფხაზურ გვართა ჩამოყალიბების პროცესი, როგორც ჩანს, დიდხანს გაგრძელდა. იგი ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული XIX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს. ამისი მაჩვენებელია 1867 წელს შედგენილი აფხაზ მუჰაჯირთა საკომლო სიები. მათში შეტანილია 60 სოფლის 2 500 კომლის უფროსთა სახელები და გვარები (ხორავა, 2004, გვ. 150). ამ სიების თანახმად, 1867 წელს აფხაზთა შორის ყველაზე გავრცელებული ყოფილა უსუფიქსო, -იფა სუფიქსოიდიანი და -ბა სუფიქსიანი გვარები (ქართველურ გვარებთან ერთად).

სიებში საყურადღებოა აფხაზურ გვართა გამოყენების ერთი წესის დარღვევის დიდი სიხშირე. კერძოდ:

აფხაზურ ენაში მოქმედი წესის მიხედვით, თუ -იბა // -ბა სუფიქსიანი გვარი მოსდევს პირის სახელს, მაშინ გვარი ცვლილებას არ განიცდის და სრული სახით, სუფიქსიანად იქნება წარმოდგენილი, მაგრამ შებრუნებული წყობისას, ე.ი. მაშინ, როცა -იბა // -ბა სუფიქსიანი გვარი წინ უძღვის სახელს, გვარს აუცილებლად ჩამოსცილდება დასახელებული -იბა // -ბა სუფიქსები. შდრ., მაგალითად, ერთი მხრივ: ალხას ამჭ-ბა, სიუ̆არნა წვჷჯ-ბა, ომარ თარ-ბა... და, მეორე მხრივ: ამჭჷ ალხას, წვჷჯ სიუ̆არნა, თარ ომარ...

მუპაჯირთა სიებში 306-ჯერ აღმოჩნდა დარღვეული სუფიქსიანი 40 გვარის გამოყენების წესი და ისინი ჩაწერილია უსუფიქსოდ, არადა სუფიქსის გამოყენება სავალდებულო იყო. მაგალითად, სიებში წერია:

მამუდ აბდი (Мамуд Абды) - უნდა ყოფილიყო მამუდ აბდიბა;

სუსრან აბუხ (Сусранъ Абухъ) - უნდა ყოფილიყო სუსრან აბუხბა;

სმაილ აგოძი (Смаилъ Агодзы) - უნდა ყოფილიყო სმაილ აგვაძბა...

დარღვევათა სიმრავლე ვერ მიიჩნევა ვერც შემთხვევითობად და ვერც არააფხაზ მოხელეთა შეგნებული ქმედების შედეგად. ეს მაგალითები ენაში 1867 წელს არსებული ვითარების ამსახველია და უდავოდ გვიჩვენებს, რომ გვარსახელთა საბოლოო გაფორმება სუფიქსებით აფხაზურში სრულიად ახალი მოვლენაა. სუფიქსაცია დასრულებულა მხოლოდ XX საუკუნის დამდეგს. კიდევ ერთ საამისო საბუთად უნდა ჩავთვალოთ იმავე პერიოდში აფხაზეთიდან ბათუმსა და მიმდებარე სოფლებში ჩასახლებულ აფხაზთა შორის სმგრ-ბა და ყაიტანბა გვარსახელთა არსებობაც: აფხაზეთში ორივე გვარი უსუფიქსოა: სმგრ, ყაიტან, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ -ბა დაბოლოება ბათუმში დაერთო.

საინტერესო სურათია ასახული ისტორიკოს გერონტი გასვიანის მიერ გამოცემულ XIX საუკუნის 30-იან წლებში შედგენილ ნათლობის წიგნებში, რომლებშიც აღნუსხულნი არიან ახლადმონათლულნი აფხაზეთის შემდეგი სოფლებიდან: ლიხინი (ლიხნი), კვიტეული //კვიტაული (კვიტოული), ტამუში (ტამიში), კინდღი, ეშქიდი (ეშქითი), ფოქვეში, ათარა, შქაწყალი (აძვიბჟა), თხინა და მოქვი (გასვიანი, 1998, გვ. 153-184). ამ საბუთებში აფხაზური წარმოშობის გვართა გაფორმების სხვადასხვა მოდელია ასახული, მათ შორის:

1. -იფა, -ბა სუფიქსოიდიანი: ქაშაშიფა, გუნუნბა (< გუნბა), ხუკუბა (< ხჷკვბა), ჭანუმბა (< ჭანბა);
2. -ბა-ია დაბოლოებიანი: ეიბაია (< აჲბა), ჭანბაია // ჭანუნბაია (< ჭანბა), გუნბაია // გუნუმბაი (< გუნბა), თარბაია // თორბაია (< თარბა), აეშიბაია // ელშიბაია // აშიბაია (< ალშიბაია);

3. უსუფიქსო: ჯანაი, არყუჯა, აჟია (შდრ. [ა]ჟიბა), ბარციცი // ფაციცი, ხავშუთა, ავიტი, ჩაბალურხვა... ამ გვართაგან ზოგიერთი დღეს -ბა სუფიქსითაა გაფორმებული: არყუჯა > არყუჯბა, ლაკვა > ლაკვაბა // ლაკვობა, ქავა > აქაგბა.

ეს მონაცემები კიდევ ერთხელ ადასტურებენ, რომ XIX საუკუნეში აფხაზურ გვარსახელთა მოდელები ჯერაც არ იყო საბოლოოდ დაღვინებული.

ენის ეკოლოგიის თვალსაზრისით შემდეგი უნდა აღინიშნოს:

- მართალია, რუსეთის იმპერიის ხელისუფლება გეგმავდა აფხაზთა გარუსებას და გენოციდიც მოუწყო მათ, მაგრამ აფხაზურ გვარებს არ შეხებია და არ გადაუკეთებია ისინი რუსულ ყაიდაზე მაშინ, როდესაც კავკასიის ხალხთა შორის მასობრივად ხდებოდა ადგილობრივი გვარების რუსიფიკაცია. შდრ.: ქართული გვარები და მათი რუსიფიცირებული ვარიანტები: ნერეთელი - ცერეტელოვ, ერისთავი - ერისტოვ, ბარნაველი - ბარნოვ, ბარათაშვილი - ბარატაევ // ბარატოვ, ყორღანაშვილი - კორგანოვ... უფრო მასობრივი იყო ეს პროცესი ჩრდილოეთ კავკასიაში, ვოლგისპირეთსა და სხვა რეგიონებში. იხ. ასევე რუსული დაბოლოებით გაფორმებული აბაზური გვარები: თლის > ტლისოვ, ჩეზკაა > ფიზიკოვ, ჯგრ > ჟიროვ, პაზ > პაზოვ...; ჩერქეზული გვარები: აუთლ > აუტლევ, ჭარაშა > კერაშევ, ტლგშა > ტლიშევ, უნარგყვა > უნაროკოვ...; რაკი აზერბაიჯანელებსა და დაღესტნელებს პრაქტიკულად არ ჰქონდათ გვარსახელები, მამის სახელთა მიხედვით ხელოვნურად შეიქმნა აზერბაიჯანული და დაღესტნური გვარები: გუსეინოვ, მამედოვ, აბასოვ, გაჯიევ, ალიევ, გამზატოვ, ატაევ, ნურმაგომედოვ...;
- XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისის საბუთებში (ნათლობის წიგნები, მოსწავლეთა სიები...) -ბა სუფიქსიან ზოგ აფხაზურ გვარს უმატებდნენ ქართულ -ია დაბოლოებას, ან მხოლოდ -ი ხმოვანს: ჭანბა > ჩანბაია, ქეცბა > კეცბაია, ლაკრბა > ლაკირბაია // ლაკირბაი // ლაკერბაი...

საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამჟამად აფხაზეთში მიმდინარეობს ქართული გვარების აფსუიზაციის მასობრივი კამპანია რამდენიმე ხერხის გამოყენებით.

- 1993 წლის შემდგომ აფხაზებმა ყურადღება მიაპყრეს იმ ფაქტს, რომ აფხაზთა ძალზე დიდ ნაწილს ქართული გვარები აქვს (ჩვენი შეფასებით, აფხაზების არანაკლებ 60% ატარებს ქართულ გვარებს და ისინი დიდი ხნის წინ გააფხაზებულ ქართველთა შთამომავლები არიან). ამ საკითხის პოლიტიკური საფუძველი გახდა იმისი შიში, რომ აფხაზეთის

„დამოუკიდებლობას„ არავინ აღიარებდა, როცა გაიგებდნენ, რომ მოსახლეობის უმრავლესობას გვარებიც კი არ ჰქონია აფხაზური. ამ მხრივ ნიშანდობლივია ფეისბუკში ბლოგერ ბოტა აჟიბას გვერდზე 2020 წლის 6 მარტს ზურაბ სმირისა და თიმურ აგრბას ქვემოთ დამოწმებული წერილობითი დიალოგი (წყარო:http://www.cyxymu.info/2020/06/bjanba.html?fbclid=IwAR1JU3IJV4tkEnMdK_vpmdl4oJY3WfSGHLMwq5c9j3LI-71HVyy3sfU6p9_w):

Zurab Smyr Половина абхазов проживающих в Абхазии носят грузинские фамилии , хотя они абсолютные абхазы при самосознании . Почему бы фамилию Сурманидзе не переделать в Сурманба или Киркинадзе в Киркинба , все Бениа раньше были Кехир- Ипа , Гагулия были Дзух- ипа , Арсалия были Куач-Ипа . Есть Ермоловы, Шапковские , Автандиловы абхазы . Я понимаю , что самосознание важнее , но и звучание фамилии имеет важное значение . В Тбилиси все армяне , русские и остальные сами переделывали свои фамилии на грузинский лад . Ну ка скажите Мишико, Что он армянин ?

Нравится · Ответить · 11 ч. 6

Тимур Агрба А ты перестань брать на работу людей у которых фамилия на грузинский лад звучит , и все побегут менять. И через поколение грузины ничего не смогут сказать про фамилии и будет относительный монолит.
Кто нас признает в таком формате 70-80 процентов фамилия имеет своих братьев однофамильцы в Грузии. Какое признание: вера одна, фамилия дни, общее средневековья. В ООН смеяться будут люди.

მოგვყავს თარგმანი (ხაზგასმა ჩვენია):

ზურაბ სმირი: „აფხაზეთში მცხოვრებ აფხაზთა ნახევარს აქვს ქართული გვარები, თუმცა ისინი თვითშეგნებით აბსოლუტური აფხაზები არიან. რატომაც არ უნდა გადაკეთდეს გვარი სურმანიძე სურმანბად, ან კირკინაძე კირკინბად? ყველა ბენია ადრე კეხირ-იფა იყო, გაგულია იყო ძუხ-იფა, არსალია - კვაჩ-იფა. არიან აფხაზი ერმოლოვები, შაპკოვსკები, ავტანდილოვები. მე მესმის, რომ უფრო მნიშვნელოვანია თვითშეგნება, მაგრამ გვარის ღერადობასაც აქვს დიდი მნიშვნელობა. თბილისში ყველა სომეხი, რუსები და დანარჩენები გვარებს ქართულ ყაიდაზე იცვლიდნენ. აბა უთხარით მიშიკოს, რომ ის სომეხიაl"

თიმურ აგრბა: „შენც ნუ მიიღებ სამსახურში იმ ხალხს, ვისაც გვარები ქართულად უყღერთ და ყველანი გაქუსლავენ [გვარების] გამოსაცვლელად. და ერთი თაობის შემდეგ ქართველები ვერაფრის თქმას ვეღარ შეძლებენ გვარების შესახებ და იქნება შეფარდებითი მონოლითი.

ვინ გვცნობს [იგულისხმება აფხაზეთის იურიდიულად ცნობა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ - თ.გ.] ამ ფორმატში, როცა გვარების 70-80 პროცენტს ჰყავს მოძმე თანამოგვარეები საქართველოში? რისი აღიარება: სარწმუნოება - ერთი, გვარი - ერთი, საზიარო შუა საუკუნეების [ისტორია]. გაეროში სიცილი აუტყდებათ".

ამ დიალოგში ზურაბ სმირი ერთიმეორეში ურევს გვარსახელსა და გვარის შიგნით არსებული შტოს სახელს, ანუ პატრონიმს და ჰგონია, რომ ბენიას, გაგულიას და არსალიას გვარების წარმომადგენლები ადრე გვარად კიახირ-იფა, ძუხ-იფა და კვაჩ-იფა იყვნენ, სინამდვილეში ეს ბოლო სამი ფორმა პატრონიმებია და არა გვარები.

ზემოთ ციტირებული აზრი იმდენად გავრცელებულია, რომ ზოგმა აფხაზმა მეცნიერმაც შეიცვალა გვარები. მაგალითად, ისტორიკოსი იგორ მარხოლია უცებ მარუხვბა გახდა, ეთნოლოგი გალინა კოპეშავიძე უკვე თარჯმან-იფა გახლავთ, ენათმეცნიერი ლეონიდ სამანჯია სამანბა-ს გვარს ატარებს და სხვ. არადა გვარები მარუხვბა, თარჯმან-იფა, სამანბა არცერთ წყაროში არასოდეს დასტურდება.

ფეისბუკის მომხმარებელთა დილეტანტური პოზიცია, სამწუხაროდ, აღმოაჩნდა მეცნიერთა ჯგუფს, როცა მათ დ. გულიას სახელობის აფხაზეთის ჰუმანიტარული კვლევის ინსტიტუტში შეიმუშავეს „აფხაზური გვარებისა და სახელების მართლწერის ცნობარი" (Справочник по правописанию абхазских фамилий и имен). სამწუხაროდ, ამ ცნობარის მოპოვება არ მოგვიხერხდა, თუმცა სანდო წყაროსგან ვიცით, რომ მასში შეტანილია -ია დაბოლოებიანი ქართული წარმომავლობის გვარების მართლწერის ახალი, „მეცნიერული„ ნორმა. ჩანს, ახალი ნორმები ავტორთათვის მთავარი პოლიტიკური მიზანშეწონილობაა და არა მეცნიერება და ჭეშმარიტება!

მოკლედ აღვნიშნავთ იმასაც, რომ გალის რაიონის ტერიტორიაზე აფხაზებმა დააარსეს ორგანიზაცია „მურზაყანელ [? - თ.გ.] აფხაზთა საბჭო" (Совет мурзаканских абхазов), რომელიც მიზნად ისახავს იქ მცხოვრებ იმ ქართველთა რენატურალიზაციას, ანუ აფსუიზაციას, ვისაც ორმაგი -ბა-ია დაბოლოების მქონე გვარები აქვს: *ქეცბაია, ეზუგბაია, თარბაია, ზუბბაია...* ეს ორგანიზაცია შანტაჟით ცდილობს რაიონში აფხაზთა რაოდენობის ხელოვნურად გაზრდას, რაც ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევაა. მაგალითად, დასახელებული ჯგუფის ქართველებისაგან მოითხოვენ გვარის -ია დაბოლოების ჩამოშორებას და ეროვნებად აფხაზის აღიარებას, სამაგიეროდ კი სთავაზობენ აფხაზეთის „მოქალაქეობის" მინიჭებასა და პასპორტის მიღების უფლებას (ცნობისათვის: ქართველებს ოკუპირებულ აფხაზეთში არა აქვთ არც მოქალაქეობა და არც მოქალაქის პასპორტები, შესაბამისად, მათ არც ქონების მემკვიდრეობით ფლობის

უფლება ეძლევათ, რაც აპარტეიდის გამოვლინებაა). 2019 წლის იელისისათვის სამურზაყანოში ამ ორგანიზაციამ მოახერხა 900 კაცის გვარისა და ეროვნების გამოცვლა და მათთვის მოქალაქეობის მინიჭება (ზანთარაია, 2019).

გრძელდება დიდი ხნით ადრე დანყებული ტენდენცია აფხაზი ბავშვებისათვის რუსული, ან რუსიფიცირებული უცხოური სახელების დარქმევისა. ამჟამად ყველა ასაკის აფხაზთა დიდ ნაწილს ჰქვია ისეთი სახელები, როგორიცაა: სვეტლანა (სვეტა), ნადეჟდა (ნადია), ლოლიტა, ჟანა, ინა, ვიაჩესლავ (სლავა), ვლადისლავ (სლავა), იური, ვლადიმირ (ვოვა), სერგეი, არტურ, ანატოლი და სხვ. თუმცა ამ ბოლო ოცნლეულში შედარებით იმატა ისეთი აფხაზური, ან გააფხაზურებული ჩერქეზული და არაბულ-თურქული სახელების შერქმევის შემთხვევებმაც, როგორიცაა: ახრა „კლდე", მაცევს „ელვა", ამრა „მზე", შვარახ „ნადირი", მას, აბზაგვ და ა.შ.


თუკი ადრე ჩვეულებრივი მოვლენა იყო აფხაზი ბავშვებისათვის ქართული, ან ქართველიზებული აღმოსავლური სახელების (მზია, ნათელა, ხათუნა, ოთარ, ნუგზარ, თუნთი [მეგრ. „დათვი"], მუშნი [სვან. „სვანი"], ჯოლორია „ძაღლიკა" და სხვათა) დარქმევა, ამჟამად ეს მხოლოდ მაშინ ხდება, როცა მშობლებს სურთ ამგვარი სახელების მქონე გარდაცვლილი ახლობლების მიმართ პატივისცემის გამოხატვა.

ამრიგად, ამჟამინდელ აფხაზეთში არსებული ონომასტიკური სიტუაციის ანალიზი ცხადად აჩვენებს, რომ ონომასტიკონი (გეოგრაფიული სახელები, გვარები და პირთა სახელები) აქტიურად გამოიყენება იდეოლოგიურ-საინფორმაციო ომის იარაღებად, ხოლო წინასწარ დაგეგმილ ონომასტიკურ ტენდენციებს მკვეთრად გამოხატული ანტიქართული ხასიათი აქვთ.

თავი IX

აფხაზური ენა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ

აფხაზთა ყველაზე მრავალრიცხოვანი დიასპორა ამჟამად წარმოდგენილია თურქეთის რესპუბლიკაში, სადაც აფხაზები სამჯერ მასობრივად გაასახლა რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ 1864, 1867 და 1878-1880 წლებში. ისტორიული დოკუმენტებიდან კარგად ჩანს, რომ აფხაზეთის სამთავროს დაპყრობის დროს რუსეთს აფხაზეთის მოსახლეობაზე მეტად ტერიტორია სჭირდებოდა და აფხაზი ხალხის ბედი წინასწარ ჰქონდა გადაწყვეტილი. გეგმის ასრულებას საბაბი სჭირდებოდა და სამივეჯერ საბაბიც მოიძებნა: რუსეთის ხელისუფლებამ გამოიყენეს ის ფაქტი, რომ აფხაზთა ნაწილი თურქების მსგავსად სუნიტ მაჰმადიანად თვლიდა თავს და მოსთხოვეს აფხაზებს, დაეტოვებინათ სამშობლო და გადასახლებულიყვნენ ოსმალეთში. საქმეში ოსმალეთიდან ჩამოსული აგენტებიც ჩაერიენენ, რომლებიც იმავეს მოუნოდებდნენ აფხაზებს. ოსმალეთი დაინტერესებული იყო იმით, რომ ანტირუსულად განწყობილი კავკასიელების ქომაგად წარმოეჩინა თავი, მოეპოვებინა მათი ნდობა, დაესახლებინა მუჰაჯირები იმ ადგილებში, სადაც ოსმალური იმპერიის ერთიანობას საფრთხე ემუქრებოდა მოჯანყე, ან ნაკლებად სანდო არათურქული მოსახლეობისაგან (იხ. აქვე კავკასიელ მუჰაჯირთა თურქეთში განსახლების რუკა). ოსმალეთს 1859 წლიდან უკვე ჰქონდა შესაბამისი გამოცდილება ჩრდილოეთ კავკასიიდან რუსეთის მიერ გაძევებული დაღესტნელებისა და ჩეჩნების მიღება-დაბინავებისა.



კავკასიელ მუჰაჯირთა განსახლების გეოგრაფია თურქეთი.

მაგალითისათვის შედარებით ვრცლად მიმოვიხილავთ 1867 წლის მუჰაჯირობის ზოგ არსებით დეტალს:

კავკასიის მთიელთა სამმართველოს უფროსი დ. სტაროსელსკი ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს 1866 წლის 27 ოქტომბერს სწერდა: *„არსებობს მხოლოდ ერთადერთი საშუალება სოხუმის სამხედრო ოლქის მხრიდან ჩვენდამი მომართული ყოველგვარი საფრთხის თავიდან ასაცილებლად - ესაა აფხაზეთის მცხოვრებთა თურქეთში გასახლება"*.

იმავე 1866 წლის ნოემბერში იმპერატორმა ალექსანდრ II-მ წერილობით გამოთქვა თანხმობა, რომ პირველი შესაძლებლობისთანავე გაესახლებინათ საქართველოდან თურქეთში აფხაზეთის მაჰმადიანი მოსახლეობა. თურქეთში რუსეთის ელჩის ნ. იგნატიევის მოლაპარაკება თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ალი-ფაშასთან წარმატებით დასრულდა. მხარეებმა შეათანხმეს რამდენიმე მთავარი პირობა, რომელთაგან არსებითი იყო შემდეგი:

1. თურქეთის ხელისუფლებას საქართველოდან გაძევებული აფხაზი მუჰაჯირები არ უნდა დაესახლებინა რუსეთის საზღვრის სიახლოვეს;
2. მუჰაჯირებს ეკრძალებოდათ სამშობლოში დაბრუნება.

მუჰაჯირთა მცირე ნაკადი, 218 კაცისაგან შემდგარი 49 ოჯახი იმ დროს ოსმალეთში შემავალ ბათუმში 1867 წლის 6 აპრილს გაემგზავრა სამი გემით. მასობრივი მუჰაჯირობა კი დაიწყო იმავე თვის მიწურულს (ხორავა, 2013, 66-67). იმავე 1867 წელს აფხაზთა განდევნის პროცესისათვის ორგანიზებული ხასიათის მისაცემად რუსმა მოხელეებმა სოფელ-სოფელ დაიწყეს წამსვლელთა სიების შედგენა. მუჰაჯირთა საერთო რაოდენობამ 3 358 ოჯახი, ანუ 19 342 კაცი შეადგინა (ხორავა, 2004, დანართი). არსებობს პირდაპირი ცნობები იმის შესახებ, რომ აფხაზთა ერთ ნაწილს არ სურდა სამშობლოდან გადახვეწა. მათგან ზოგიერთი ქრისტიანადაც კი ინათლებოდა, რომ თავი დაეცვა ოსმალეთში გადასახლებისაგან. ისიც ხდებოდა, რომ სიებში ოჯახები შეპყავდათ მათ დაუკითხავად და ა.შ.

ქართული გაზეთი „დროება" 1867 წლის ივნისში წერდა, რომ აფხაზები მეტად დამნუხრებულნი არიან, ძალით გამოდევნეს სახლებიდან ჭლოუსა და ჯგერდის მცხოვრებნი, რომელთაც არ სურდათ სხვა ქვეყანაში ნასვლა. აფხაზები ძალიან ემადლიერებოდნენ ბზიფის მაზრის ქართველ უფროსს დიმიტრი ჭავჭავაძეს, რომელიც უხსნიდა მათ, უმჯობესია რუსების მმართველობის ქვეშ დარჩეთ, ვიდრე სხვის ქვეყანაში ნახვიდეთო („დროება", 1867, N23). აფხაზთა ეს რიგით მეორე მასობრივი მუჰაჯირობა დასრულდა 1867 წლის ივნისის დასაწყისში.

მესამე, უფრო მასობრივი მუჰაჯირობა აფხაზურ მოსახლეობას მოუწყვეს 1878-1880 წლებში, რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, რაკი აფხაზური მოსახლეობის

ერთმა ნაწილმა იარაღით დაუჭირა მხარი აფხაზეთში გადმოსხმულ თურქულ სამხედრო დესანტს. პროცესები ამ შემთხვევაშიც ისევე წარიმართა, როგორც 1867 წელს. ამ ომში თურქეთის დამარცხების შემდეგ რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრ III-მ 1880 წელს ოფიციალურად მიანიჭა „დამნაშავე ხალხის" სტატუსი აფხაზებს, რუსეთის ხელისუფლებამ მოსთხოვა მათ, ზღვიდან 25 ვერსის სიღრმემდე არსებული სოფლებიდან აყრა და ოსმალეთში გადასახლება. რუსეთი ამჯერადაც შეუთანხმდა ოსმალეთს იმის შესახებ, რომ არ დაესახლებინა აფხაზები რუსეთის საზღვრის ახლოს, რაც თურქეთმა ნაწილობრივ შეასრულა (ვრცლად იხ.: ძიძარია, 1982). მაგალითად, ქალაქ ბათუმსა და მის მეზობლად მდებარე რამდენიმე სოფელში ამჟამადაც ცხოვრობენ აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავლები, რომელთა წინაპრებიც ძირითადად 1867 წელს დასახლდნენ აქ. მათ ახსოვთ, რომ წინაპრების ერთი ნაწილი ჯერ თურქეთის სიღრმეში ჩაასახლეს, მაგრამ იმ იმედით, რომ ბათუმში მოქმედი რუსეთის საკონსულო მათ სამშობლოში დაბრუნების ნებას მისცემდა, ისინი აჭარაში მოვიდნენ და რუსებისაგან უარის მიღების მერე აქვე დასახლდნენ (ვრცლად იხ.: გვანცელაძე, ტაბიძე, გითოლენდია, ჭაავა, 2011). სამივე მასობრივი მუჰაჯირობის დროს გაცილებით მეტი აფხაზი დაბინავდა ამჟამინდელი თურქეთის რესპუბლიკის ჩრდილო-დასავლეთ და დასავლეთ ნაწილებში მდებარე მხარეებში, აგრეთვე ბალკანეთის ნახევარკუნძულზე (ბულგარეთში, სერბეთში...), სირიაში და ა.შ.

იმ შემთხვევებში, როცა აფხაზები ესახლებოდნენ მანამდე დაუსახლებელ ტერიტორიაზე, ახალ სოფლებს ან აფხაზეთის იმ სოფელთა სახელებს არქმევდნენ, საიდანაც წამოვიდნენ, ანდა სოფლის სახელწოდებაში იყენებდნენ რომელიმე გვარის დასახელებას, მოცემული ჯგუფის წინამძღოლის სახელს და სხვ.

თურქეთში არსებულ მუჰაჯირთა სოფლების სახელთა პირველ ჯგუფს განეკუთვნება: ააცგ, ანხუა, გუფ, ჯგერდა, ჭლოუ, დალ, აჭანდარა, ეარჩა, ეშგრა, აბჟაყვა, გუმა, წაბალ, აკაფა, ფსგრძხა...;

სოფელთა სახელების მეორე ჯგუფში შედის: ბგანაა „ბგანბები", ცგუაა „ცუგბები", გუმაა „გუმელები", ლაკრაა „ლაკრბები", ტვან იქვთა „ტვანბას სოფელი", აშე იქვთა „აშუბას სოფელი", თაფშ იქვთა „თაფშის სოფელი", კადგრ იქვთა „კადირის სოფელი", აჯბა იქვთა „აჯბას სოფელი", ბაღჰაბლე „ბაღბას უბანი", დარგყვაქვთ „დარიყვას სოფელი" და სხვ. (ძიძარია, 1975, 287-289; ხორავა, 2013, 69; http://www.cerkes.net/bilgi-deposu/turkiye-deki-abhaz-koyleri-en-guncel-liste-t13205.html). საინტერესოა, რომ ზოგმა ამ სოფელმა დღემდე შეინარჩუნა ეს სახელები, ოღონდ მხოლოდ აფხაზურ ენაზე მეტყველების დროს.

დღეს თურქეთში მუჰაჯირთა შთამომავლები მოზრდილ ჯგუფებად სახლობენ დიდ ქალაქებში (ანკარაში, სტამბოლში, იზმირში...) და 200-მდე

სოფელში, რომლებიც მდებარეობენ ადანას, ამასიის, ბალიქესირის, ბილეჯიქის, ბურსის, დუზჯეს, ესქიშეჰირის, ზონგულდაქის, თოქათის, იოზგათის, მანისას, მუღლას, ორდუს, საქარიის, სამსუნის, სივაშის, სინოპის, ქაისერის, ქოჯაელის, ქუთაჰიის, ჩორუმის პროვინციებში (ვრცლად იხ.: ჩირიკბა, აფხაზთა განსახლება).

საყურადღებოა, რომ თურქეთში მცხოვრები აფხაზების ნაწილი ბინადრობს იმ სოფლებში, სადაც ცხოვრობენ ქართველებიც. მაგრამ მათ ერთმანეთში ურთიერთობის პრობლემა გაუჩნდათ აფხაზეთში 1992-1993 წლების ომის დროიდან. ეს აფხაზურ-ქართული სოფლებია: ბალაბან, აჯისუ, მაშუქიე (ქოჯაელის პროვინცია), ჲენიქენთ (ორდუს პროვ.), აჯისუ, ქარაფინარი, ქურთქოჲ, ჲანგქქოჲ, სარიერ (საქარია) და სხვანი.

მუჰაჯირთა შთამომავლებს შენარჩუნებული აქვთ ეთნიკური იდენტობა აფსუარა. მოხუცებმა შედარებით კარგად იციან დედაენა და იცავენ აფხაზურ ტრადიციულ კულტურას: ზეპირსიტყვიერ და მუსიკალურ ფოლკლორს, ცეკვებს, სამოსს, დასახლების ფორმებს და ტრადიციულ არქიტექტურას, ეტიკეტს, ადათ-წესებს. უმრავლესობამ კი, განსაკუთრებით ბავშვებმა, საშუალო ასაკის პირებმა, ქალაქელებმა ცუდად, ან სრულებით არ იციან თავიანთი ეროვნების ენა.

XX საუკუნეში მთელ თურქეთში მიმდინარე თურქიზაციის მასობრივი აქციების დროს ყველა არათურქული ეროვნების მცხოვრებს, გარდა ქრისტიანებისა და იუდეველებისა, შეუცვალეს გვარები ხელოვნური თურქული გვარებით. ამის გამო მუჰაჯირთა შთამომავალი აფხაზები ამჟამად თურქულ გვარებს ატარებენ, მაგრამ უმრავლესობამ იცის წინაპართა გვარებიც, რომელთა შორის არცთუ ისე ცოტაა ქართული წარმოშობის გვარები. მუჰაჯირთა წმინდა აფხაზური გვარსახელებია:

ახბა, ქაპბა, (ა)ჟიბა, კვაძბა, წვეჯბა, ამჭბა, ასვბა, კილბა, ამგჲალ-იფა, აბგხვბა, ავიძბა, ძგხვბა, ზგხვბა, ცგგვბა, ათეიბა, ბგუნოვა, ბარცგც, კუპალბა, გუმბა, ფალბა, აცვბა, არძგნბა, ტვანბა, კჲაცვბა, ხიქვბა, შამბა, ცვგშბა, ძგკუტ-იფა, ბაზბა, თრგშვბა, აურ-იფა, თარბა, აყუსბა, აძგნბა, აბაბა, ბაჟვ, ჲაშბა // ეშბა, ხგლფახნვა-იფა, აგუმაა, აიეგბა, მაგბა, ბგანბა, გვასბა, დარგმბა, ყალღგ, ხგშბა, ჰაგბა, ქეცბა, აშხარაა და ა.შ.

ქართული წარმომავლობის გვარსახელებია: ჩქვანია, ხვაჭაა, პაპაა, გაბლია, საღარია, ოსია, ყურუა, ვათარ-იფა > ვათგრბა, კურკუნია, ნახარია, ფასანია, მატუა, ბრგსკილი, ბეიგვა, გამსანია, გულია, ლამია, თანია, ვარდანია, ხურხუმალ, ჭათანაა, კვარცხელია, მშვიდაა, ქარდია, კობახია // კოპახია, გაბნია, გაბრია, იასაა, ლოგუა // ლაგუა, საქანია, ჰარაზია, ნკუა, ჭალაკუა, ბედია, ფუჩქურია, ციცხუა და მრ. სხვ.

თურქეთში მოსახლე აფხაზთა მეტყველება ენათმეცნიერთათვის ძალზე საინტერესოა. იქ გავრცელებულია აფხაზური ენის ყველა ტერიტორიული სამეტყველო მიკროვარიანტი, გარდა სამურზაყანოელ აფხაზთა მეტყველებისა. მაგალითად, აქ მოისმენთ იმ ქვესახეობებზე მეტყველებასაც, რომლებზეც აფხაზეთში მუშაჯირობის შემდეგ აღარავინ ლაპარაკობს. ეს არის ჯიქეთის, აბუაყვის, წებელის, დალის, გუმას, ფსჰუს, აჰჭიფსის სამეტყველო კოდები, რომელთა მეცნიერულ კვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც აფხაზური ენის, ისე მისი მონათესავე ენების, მათ შორის ქართულის კვლევისათვის.

თურქეთის არცერთ სკოლაში ჯერჯერობით არ ასწავლიან აფხაზურ ენას, თუმცა ორიოდე წლის წინ თურქეთის ხელისუფლებამ აფხაზური ენა შეიტანა იმ ენათა ჩამონათვალში, რომელთა სწავლება სკოლებსა და უნივერსიტეტებში დასაშვებია გარკვეული პირობების დაცვის შემთხვევაში, კერძოდ, უნდა მოგროვდეს ამ ენის შესწავლის მსურველთა კონკრეტული რაოდენობა, მასწავლებელს უნდა ჰქონდეს თურქეთის ხელისუფლების მიერ ოფიციალურად ცნობილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, უნდა არსებობდეს სათანადო დონის ოფიციალური სახელმძღვანელოები და სხვ. ეს პირობები კი ჯერ არ დაკმაყოფილებულა აფხაზურ ენასთან დაკავშირებით, თუმცა თურქულ ენაზე უკვე შედგა და გამოიცა აფხაზური ენის რამდენიმე სახელმძღვანელო, ხოლო ბოსფორის უნივერსიტეტში არაძირითად, არჩევით საგნად ასწავლიან ამ ენას როგორც თურქეთის მოქალაქეებს, ისე უცხოელებსაც (ბარგანჯია, 2019), მაგრამ ეს სულაც არ არის საკმარისი აფხაზური ენის გადასარჩენად ამ ქვეყანაში, სადაც აფხაზური ენის სწავლების არარსებობასთან ერთად მისი გაქრობის საფრთხეს ზრდის 83-მილიონიან ქვეყანაში აფხაზთა რაოდენობის სიმცირე, მათი გეოგრაფიული დაფანტულობა, ურბანიზაციის სწრაფად მზარდი პროცესი, შერეული ქორწინებები, აფხაზური ენის დაბალი კონკურენტუნარიანობა, ამ ენის პრესტიჟის დაბალი დონე და თურქიზაციის მაღალი ხარისხი.

იგივე პრობლემებია სირიის არაბთა რესპუბლიკაში, რომელიც მუშაჯირობის დროს დაპყრობილი ჰქონდა ოსმალეთს. ამჟამად სირიაში მიმდინარე 10-წლიანი ომის დაწყებამდე აფხაზები აქ უპირატესად ცხოვრობდნენ ქალაქებში დამასკოსა და ჰომსში, ასევე გოლანის ბორცვებზე მიმოფანტულ სოფლებში. მათი რაოდენობა არ აღემატებოდა 3 000 კაცს. ომის გამო დევნილებად ქცეული აფხაზების ენას გაქრობის რეალური საფრთხე კიდევ უფრო მეტად გაეზარდა.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრები აფხაზების საერთო რაოდენობა 2002 წელს 1 558 კაცს შეადგენდა. მათი წინაპრების პირველი ჯგუფი აქ, როგორც ითქვა, 1867 წელს მოვიდა და ისინი ორმა ფაქტორმა მოიყვანა: აჭარის აფხაზეთთან სიახლოვემ და ქართველებთან ახლო ურთიერთობის

დადებითმა გამოცდილებამ (გვანცელაძე, ტაბიძე, გითოლენდია, ჭაავა, 2011, გვ. 61). მეორე დიდი ჯგუფი აჭარაში დასახლდა 1878-1880 წლებში (აფხაზები აჭარაში, 2018, გვ. 26). ისინი თავს იყრიდნენ ქობულეთიდან სარფამდე, იქიდან ზოგი ახერხებდა აფხაზეთში დაბრუნებას, ზოგი კი ოსმალეთის სიღრმეში მიდიოდა ახლობლებთან შესაერთებლად. საბოლოოდ აფხაზების ჯგუფები გაჩნდა ბათუმის უბნებში: ბარცხანაში, სოუქსუში (ამჟ. ცენტრალურ სასაფლაოსთან), „პიეზაოდში", „გარადოკში", ნურიის ტბასთან, ასევე შემდეგ სოფლებში: ფერია, ანგისა, სალიბაური, ჩელტა, ადლია, გონიო, ურეხი, ქვედა სამება, მინდა, მნათობი, კახაბერი, ჭარნალი... (აფხაზები აჭარაში, 2018, გვ. 26). დღეს მცირე კომპაქტური ჯგუფები ცხოვრობს ფერიაში, ანგისაში და ბათუმის ორიოდე უბანში, სხვაგან აფხაზთა თითო-ოროლა ოჯახია დარჩენილი, დანარჩენი აფხაზები კი გაფანტულად ცხოვრობენ მთელ ბათუმში.

ამჟამად აჭარაში მცხოვრებ აფხაზებს აქვთ შემდეგი გვარები:

აბაბიკო, აბდიბა (// აბიდბა), აგიბა (// აეგბა // ეგბა), აგირბა (// აგრბა), აგუმაა, აგუმბა (// გუმბა), აეეჯბა (// აეეეჯბა), აეხატ (// აუხატ), აიოზბა (// აიუძბა), აიქუცბა (// აიკიცბა // აიკუძბა), აკვაზბა (// აკვაძბა), აკუჯბა (// კუჯბა), ალბორბა, ანანბა (// ნანბა), ანკუბაია (// ანქვაბ), აჟიბა (// ჟიბა), არგუნი, არისთავა (// არსთაა), არსია, არშბა, არძინბა, ასაძბა (// საძბა), ასლან-ზადე (// ხიბა), ატრუშბა (// ატრუჟბა // ათირშბა), აშამბა (// შამბა), აშბა, აშლარბა (// შლარბა), აშმეიბა (// შემეიბა), აჩუგბა, აცამბა (// ცანბა), აციმბა, აცუგბა (// ცუგუბა), აჯიბა (// ჟიბა), ბასნიკიფა, ბედია (// ბადია), ბეზინბა (// ბაღზინფა), გამსანია, გეჩბა (// გეჩბაია), ემინ-ზადე, ზვანბაია (// ზვანბა), ზუბბაია (// ზუხბა), თარბა, თოფჩიფა, იაზიჯბა, კაიტამბა (// კაიტანბა), კარაკეჯბა, კეფალბა, კიშინდბა, კოშლობა, კიტაზბა (// მარშან), კოლბაია (// კოლლბა), კოსტიმბა (კოსტ-იფა), კოძბა (// კვაძბა), კუდბა, ლაზბა, ლეიბა, მაიბა, მილალბა, მიქალბა, მურადბა, მუსხაჯბა (მუშუბა), მოლოღლი, ნაიმბა, ნაკაშია, ნაყოფია, პამბა (// პაპბა), რეიზბა, საათჩიფა, სელიმბა, სმირბა (// სმირ), ტანტიბა, ტატარბა, ფშანავა (// ფშანაა), ქათიბა, ქაფბა, ქორქია, ქუთელია, შარაშიძე, შუშანიძე (// შუშანია), ჩაზმავა (// ჯიზმაა), ჩამბა, ჩაუშბა (არინბა), ჩიმბა, ჩურუგბა (// ჩირგბა), ციცბა (// ციმცბა), წუზბა (// წვიჯბა), ჭათანავა (// ჭათანაა), ჭოლოკავა (// ჭოლოყვა), ხალვაში (// ჰალუაშ), ხალითბა (// ხიშბა), ხაშიმბა, ხაჯიბა, ხიბა (// ხიბაია), ხოხბა, ჯიმჯბა (აფხაზები აჭარაში..., 2018, გვ. 27-28).

ეს გვარები, ფრჩხილებში მითითებულთა გარდა, ფორმის მიხედვით ქართულ ოფიციალურ დაწერილობას წარმოადგენს, ფრჩხილებში კი მათი ზეპირი ვარიანტებია ჩამოთვლილი. საყურადღებოა, რომ ოფიციალურ ქართულ ფორმათა ნაწილს საფუძვლად რუსული დაწერილობა და პრონონსი უდევს და არა აფხაზური. მაგალითად, ისინი აფხაზურისაგან რომ მომდინარეობდნენ,

უნდა ყოფილიყო შემდეგი სახეობები: ავხათ // აუხათ და არა ავხატ, ათრიშვბა და არა ატრუშბა, აეძბა // ავიძბა და არა აიოზბა და აევჯბა, ანქვაბ და არა ანკუბაია, ყაიტანბა და არა კაიტამბა, ყოლბაია და არა კოლბაია, თათარბა და არა ტატარბა, ჭანბა და არა ჩამბა. საყურადღებოა ისიც, რომ ორიოდე გვარს ქართული (მეგრული) -ია დაბოლოებაც აქვს, რაც აჭარაში კი არა, აფხაზეთში უნდა დამატებოდა, ვინაიდან აჭარელ ქართველებს შორის გვარებს უპირატესად -ძე და -შვილი დაბოლოება აქვთ და არა -ია. ეს გვარებია: ანკუბა-ია, გეჩბა-ია // გეჩბა, ზვანბა-ია, ზუხბა-ია, კოლბა-ია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აჭარაში მუჰაჯირებისათვის გვარები ქართულ ყაიდაზე არავის გადაუკეთებია. მათ ეს ვარიანტები აფხაზეთიდან მოჰყვათ (გვანცელაძე, ტაბიძე, გითოლენდია, ჭაავა, 2011, გვ. 22-24).

მოულოდნელია და ახსნას მოითხოვს ის ფაქტი, რომ ორ გვარში სპარსული -ზადე სუფიქსოიდია გამოყენებული, სპარსულ ენასთან კი აფხაზებს უშუალო შეხება არ ჰქონიათ: ასლან-ზადე, ემინ-ზადე.

გვარებში ასახულია ისიც, რომ მუჰაჯირობის დროს აფხაზურ გვართა ნაწილი ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ ჩამოყალიბებული და ხშირად გვარის ნაცვლად პატრონიმები ასრულებდნენ პიროვნებათა მაიდენტიფიცირებელი სიტყვიერი მარკერის როლს. ამაზე მიუთითებს შემდეგი:

კიტაზბა აჭარაში ოფიციალური გვარია, მაგრამ ამ გვარის წარმომადგენლებს კარგად ახსოვთ, რომ მათი ნამდვილი გვარი იყო (ა)მარშან;

სრულიად უეჭველია, რომ ჩაუშბა პატრონიმი იყო არინბა-ს, უფრო ზუსტად, არგდბა-ს გვარის შიგნით, რაკი აფხაზეთში გვარსახელად დასტურდება ეს უკანასკნელი და არა ჩაუშბა;

ასლან-ზადეების ნამდვილი გვარია ხიბა, რომელიც აფხაზეთშიცაა გავრცელებული, ასლან-ზადე კი იქ დამოუკიდებელ გვარად არ არსებობს. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ასლან-ზადე ხიბას გვარის ერთ-ერთი შტო იყო და ეს პატრონიმი აჭარაში იქცა გვარად.

შესაძლოა, ასეთივე პატრონიმები ყოფილიყო ისეთი გვარები, როგორიცაა: ბასნიკ-იფა, თოფჩ-იფა, იაზიჯბა, კარაკეჯბა, საათჩ-იფა. საყურადღებოა, რომ მათი პირველი კომპონენტები ძირითადად თურქულია.

რაც შეეხება აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა დედაენას, აფხაზურს, მას ამჟამად საკმაოდ უჭირს, ვინაიდან აფხაზთა დიდმა ნაწილმა ან სრულებით არ იცის იგი, ანდა ცუდად ფლობს მას. აფხაზური ენა ყველაზე უკეთ იციან ხანდაზმულმა და შუახნის მამაკაცებმა და ქალებმა, აგრეთვე იმ აფხაზეთელმა აფხაზმა ქალებმა, ვინც სხვადასხვა დროს დაქორწინდა აჭარაში მცხოვრებ აფხაზ, ანდა ქართველ მამაკაცებზე.

ხშირია შემთხვევები, როცა ერთსა და იმავე პირებს ორ-ორი სახელი ჰქვიათ. ზუსტად ასეა აფხაზეთშიც. მაგალითად დავასახელებთ რამდენიმე აფხაზ ენათმეცნიერს: ლიდია ჭკადუას არაოფიციალური სახელი იყო ჭგმა (რუს. Чима), ემა კილბას შინაური სახელი მადინა იყო, ლილი პაგბასი კი - ჭგნჭა... ორივე მხარეში შეინიშნება ერთი და იგივე ტენდენცია: ოფიციალური სახელები უპირატესად რუსული და ქართული ენებიდანაა შესული, ხოლო შინაურულ სახელებად ყველაზე მეტად აფხაზური და მაჰმადიანური (არაბულ-თურქული) სახელები გამოიყენება (გვანცელაძე, ტაბიძე, გითოლენდია, ჭაავა, 2011, გვ. 25).

ჩვენი რესპონდენტების ცნობით, მათ მუჰაჯირ წინაპრებს უპირატესად აფხაზური და მაჰმადიანური სახელები რქმევიათ, შემდგომში უკვე აჭარაში დაბადებულებს უმეტესად მაჰმადიანურ სახელებს უწოდებდნენ, XX საუკუნის შუა წლებიდან მოხშირდა ქართული და რუსული ენებიდან შესული სახელების დარქმევის შემთხვევები. ამჟამად აჭარაში მცხოვრებ აფხაზებში ყველაზე გავრცელებულია იგივე სახელები, რაც აქაურ ქართველთა შორისაც გვხვდება. მორწმუნე ოჯახებში უპირატესობა ეძლევა ისლამურ, ან ქრისტიანულ სახელებს (გვანცელაძე, ტაბიძე, გითოლენდია, ჭაავა, 2011, გვ. 26-27).

ზუსტად 10 წლის წინ წინამდებარე ნაშრომის ავტორებს გაეროს განვითარების პროგრამისა და ევროკავშირის ერთობლივი პროგრამის „კობერმის„ დაფინანსებით, მომდევნო წლებში კი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელშეწყობით გვქონდა შესაძლებლობა, გვეკვლია აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა ეთნიკური და ენობრივი იდენტობის საკითხები. სამწუხაროდ, 2020 წელს კოვიდ-19-ის ვირუსის გავრცელების გამო არ მოგვიხერხდა უშუალოდ აჭარაში მოგვეპოვებინა ახალი საველე მასალები, თუმცა შესაძლებელი გახდა ძველი რესპონდენტებისაგან დისტანციურად შეგვევსო ადრინდელი მონაცემები. მოპოვებული ძველი და ახალი მასალის შეჯერება უფლებას გვაძლევს, გავიმეოროთ ის დასკვნები, რაც 2011 წელს გამოცემულ მონოგრაფიებშიც გვქონდა გამოთქმული:

აჭარის აფხაზების ერთი ნაწილი წარმოშობით აფხაზეთის იმ ნაწილებიდანაა, სადაც მეორე მუჰაჯირობის შედეგად საერთოდ არ დარჩენილან აფხაზური ენის ჯიქურ, ანუ საძურ და გუმას დიალექტებზე. ფსჰუს, აიბგასა და აჰჭიფსის სამეტყველო მიკროვარიანტებზე მოლაპარაკე აფხაზები. ამის გამო მათ შთამომავალ აჭარის აფხაზებს 1880 წლის შემდგომ არ ჰქონდათ შესაძლებლობა, უშუალო კონტაქტი ჰქონოდათ ოსმალეთის იმპერიის უზარმაზარ ტერიტორიაზე გაფანტულ ჯიქებთან, გუმელებთან და სხვებთან, რაც აბრკოლებდა შესაბამისი მიკროვარიანტების სპეციფიკის შენარჩუნებას აჭარის მცირერიცხოვან აფხაზებს შორის. აფხაზეთის სხვა მხარეებიდან ნამოსულ მუჰაჯირთა შთამომავლები ამ მხრივ შედარებით უკეთეს პირობებში იყვნენ: მათ მისვლა-მოსვლა ჰქონდათ

და ახლაც აქვთ აბჟუურ და ბზიფურ დიალექტებზე მოლაპარაკე აფხაზეთელ ნათესავებთან, რაც გარკვეულწილად ხელს უწყობს აფხაზური ენის პოზიციების შენარჩუნებას აჭარაშიც.

ორივე ამ ჯგუფს ქართული სალიტერატურო ენისა და აჭარული დიალექტის გარემოცვაში უწევდა და უწევს ცხოვრება, საბჭოთა პერიოდში ძლიერი იყო რუსული ენის ზეგავლენაც და თურქული ენის მილევადი გავლენაც. მნიშვნელოვანი იყო და არის შერეული ქორწინებების სიხშირე და ისედაც მცირერიცხოვან აფხაზთა თითქმის 80%-ის დაფანტულად ბინადრობა ქალაქ ბათუმში, სადაც ურბანიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის მაღალი ხარისხი იყო და არის. ყველა ამ ფაქტორმა თავისი კვალი დაატყო აჭარის აფხაზთა ენობრივ კომპეტენციას. ამ მხრივ გამოიყოფა შემდეგი სოციალურ-ენობრივი სტრატები:

1. საკუთრივ აფხაზური ოჯახები: ამ ჯგუფის წევრები იბადებიან აფხაზი დედ-მამის ოჯახში, სადაც აფხაზური ენა ყველამ იცის, თუმცა ფლობენ ქართულ სალიტერატურო ენასა და მის აჭარულ დიალექტს. ბევრმა იცის რუსულიც და ცოტამ თურქულიც. პრაქტიკულად ესაა აფხაზურ-ქართული ბილინგვური სტრატი.
2. აფხაზურ-ქართული ოჯახები: ყველაზე ხშირად აფხაზურ-ქართულ ოჯახში მამა და ბებია-ბაბუა აფხაზები არიან, ხოლო დედა ქართველია. ამის გამო მამისა და ბებია-ბაბუისაგან შვილმაც იცის აფხაზური ენა და ამას ხელს უწყობს, მამის, ბებიისა და ბაბუის მიერ აფხაზური ენის კარგად ფლობა. აჭარაში იშვიათია შემთხვევები სხვა ეროვნების დედის მიერ აფხაზური ენის ცოდნისა.
3. ქართულ-აფხაზური ოჯახები: ასეთ ოჯახში აფხაზი დედის გარდა ყველა ქართველია და დედა სრულებით არ ასწავლის, ან მცირე დოზით ასწავლის შვილს თავის დედაენას. შედეგად შვილმა არ იცის დედის ენა.
4. მონოეთნიკური (ქართული, ანდა აფხაზური) და ბიეთნიკური ოჯახები: ასეთ ოჯახებში არც მშობლებმა და არც ბებია-ბაბუებმა არ იციან, ან ცუდად იციან აფხაზური ენა და ვერ ეკონტაქტებიან ბავშვს აფხაზურ ენაზე. შესაბამისად, ბავშვი ვერ სწავლობს ამ ენას (გვანცელაძე, ტაბიძე, გითოლენდია, ჭაავა, 2011, გვ. 40-44).

არსებობს სხვაგვარი ვარიაციებიც, მაგრამ მთავარი ისაა, რომ აფხაზური ენა აჭარაში ძალზე ცოტამ, აფხაზთა ნახევარმა თუ იცის, რაც საფრთხეს უქმნის აქ გავრცელებულ სამეტყველო კოდებს. ქალაქთან შედარებით ბევრად უკეთ იციან აფხაზური ენა სოფელ ფერიის მცხოვრებმა აფხაზებმა, სადაც კომპაქტურად ცხოვრობს აფხაზთა 60-მდე ოჯახი.

დამაფიქრებელი იყო ჩვენი ექსპედიციის წევრთა მიერ 2011 წელს ჩატარებული აჭარის აფხაზთა გამოკითხვის ზოგი შედეგი:

- ✓ გამოკითხულთა 45,8%-მა მიღებული განათლების ენად რუსული დაასახელა (მათმა უმრავლესობამ განათლება საბჭოთა პერიოდში მიიღო);
- ✓ გამოკითხულთა 25%-მა, ანუ მეოთხედმა თავის დედაენად რუსული მიიჩნია;
- ✓ რუსულად კარგად ნერს 83,3%, ამავე ენაზე კარგად ლაპარაკობს 79,2% და ეს მაშინ, როცა აფხაზურად მხოლოდ 8,3% წერდა, ხოლო კარგად ლაპარაკობდა 33,3% (გვანცელაძე, ტაბიძე, გითოლენდია, ჭაავა, 2011, გვ. 45). ეს ხდებოდა საქართველოს იმ მხარეში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა ქართველია და მათი დედაენაც უპირატესად ქართულია! კომენტარი აქ ზედმეტია!
- ✓ რესპონდენტთა 75%-მა მიუთითა, რომ მათ ევალება აფხაზური ენის კარგად ცოდნა (გვანცელაძე, ტაბიძე, გითოლენდია, ჭაავა, 2011, გვ. 49). ეს იმას ნიშნავს, რომ აფხაზური ენის ცოდნას აჭარის აფხაზობის უმრავლესობა თავისი ეთნიკური იდენტობის, აფსუარას გადარჩენის მთავარ ფაქტორად მიიჩნევს.

ბუნებრივია, ასეთ პირობებში უდავოდ დიდი საქმე გაკეთდა, როცა ქ. ბათუმში ანზორ და სვეტლანა კუდბების ბინაში 2009 წელს დაარსდა აფხაზური ენის საკვირაო სკოლა, სადაც პედაგოგ ადა ქუთელიას ხელმძღვანელობით აფხაზურ ენას სწავლობდნენ სხვადასხვა ასაკის აფხაზი და ქართველი მსმენელები. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო ბათუმის მე-14 და სოფელ ფერიის საჯარო სკოლებში აფხაზური ენის სწავლების ოფიციალურად დაწესება, რამაც აჭარის აფხაზებს იმედი მისცა, რომ მათი მომავალი თაობა შეინარჩუნებს და განავითარებს აფხაზურ ენას.

თავი X.
აფხაზური ენის ეკოლინგვისტური ანალიზი ენობრივი დონეების მიხედვით

§1. ფონემური შედგენილობა და გრამატიკული სტრუქტურა ეკოლინგვისტური თვალსაზრისით

აფხაზური ენა რუსეთის მიერ აფხაზეთის დაპყრობამდე ვითარდებოდა და ფუნქციონირებდა ისეთ პირობებში, როცა არცერთი სახელმწიფო არ გეგმავდა და არ ახორციელებდა აფხაზთა ეთნიკური და ენობრივი იდენტობისა და კულტურულ-იდეოლოგიური თავისებურებების მოშლას, თუ არ ჩავთვლით ოსმალეთის იმპერიის მიერ ამ მხარეში ისლამის აქტიური გავრცელების მცდელობებს, რაც ავტომატურად გამოიწვევდა „ყურანის“ ენის, არაბულის წმინდა ენად გადაქცევას და მორწმუნე მაჰმადიანთა მასის მიერ ამ ენის უცოდინრობის პირობებში თითქმის გაუაზრებლად გამოყენებას ლოცვების დროს. პრაქტიკულად ოსმალებმა ვერ შეძლეს აფხაზთა დიდი მასების მიქცევა ისლამისაკენ, რასაც ადასტურებს აფხაზეთში მცხოვრებ აფხაზთა შორის მასობრივად დადასტურებული რელიგიური სინკრეტიზმიც, რაც დადასტურებულია ეთნოლოგიურ ლიტერატურაში, ხოლო ამ სტრიქონების ავტორს მრავალჯერ ჰქონდა შესაძლებლობა, საკუთარი თვალით ეხილა მრავალი აფხაზური ოჯახი, რომელთა წევრების ნაწილი მაჰმადიანად მიიჩნევდა თავს, მეორე ნაწილი - ქრისტიანებად და იმავდროულად მთელი ოჯახი ასრულებდა წარმართულ რიტუალებსაც. ამის გამო არაბული ენა ვერ გავრცელდა აფხაზთა შორის.

1864 წლიდან დაპყრობილ აფხაზეთში დაიწყო რუსული ხელისუფლების დაუფარავი, აგრესიული და ცინიკური იერიში აფხაზთა ეთნიკური, ენობრივი, რელიგიური და კულტურული იდენტობის მოსაშლელად, რასაც, როგორც უკვე ითქვა, კატასტროფული შედეგები მოჰყვა. ზემოთ ჩვენ უკვე წარმოვადგინეთ დოკუმენტებზე დამყარებული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა და როგორ შეიცვალა 1864 წლიდან დღემდე რუსეთის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული ენობრივი პოლიტიკის შედეგად სხვადასხვა სფეროში აფხაზური ენის ფუნქციონირების მხრივ.

ფონემური სისტემის ეკოლოგიური მდგომარეობა. სამწუხაროდ, ჩვენ არ მოგვეპოვება წერილობითი ფორმით შემონახული ზუსტი დოკუმენტური მასალა იმის გასარკვევად, თუ კონკრეტულად როდის და რა ცვლილებები ხდებოდა 1864 წლამდე აფხაზურ ენაში სხვადასხვა ლინგვისტურ დონეზე: ფონემურ სისტემაში, ფონეტიკურ პროცესთა ხასიათში, მორფოლოგიურ და სინტაქსურ სისტემებში.

ამის მიზეზი აფხაზურ ენაზე დამწერლობის უქონლობა და უცხოელ ავტორთა (ევლია ჩელების, ნიკოლას ვიტზენის, ვლადიმირ რომანოვის, გეორგ როზენის...) მიერ აფხაზური სიტყვიერი მასალის ჩასაწერად გამოყენებული დამწერლობების, ან პირადად ჩამწერთა მუშაობის ნაკლოვანებანი იყო.

პირველი ნაშრომები, რომლებშიც საკმაოდ სრულად იქნა ასახული აფხაზურის ბგერითი შედგენილობაც, ძირითადი ფონეტიკური პროცესები და მთავარი გრამატიკული კატეგორიები, იყო პ. უსლარის მიერ 1862 წელს გამოქვეყნებული მონოგრაფია „აფხაზური ენა" და 1865 წელს დაბეჭდილი აფხაზური ენის საანბანო წიგნი. ამ წიგნებიდან ირკვევა შემდეგი:

აფხაზური ენის ბზიფურ დიალექტში არსებობდა 73 ფონემა, რომლებიც იყოფა შემდეგ ჯგუფებად:

1. ექვსი ხმოვანი: ა ე ი ო უ ჹ, რომელთაგან საანბანო წიგნის ტექსტებში პრაქტიკულად ყველაა ასახული.
2. ყველა იბერიულ-კავკასიური ენის მსგავსად აფხაზურ ენაშიც თანხმოვნები იყოფა სამეულებად, წყვილეულად და ცალეულებად. ეს ზოგადი და ისტორიულ მემკვიდრეობად ჩამოყალიბებული ნიშანთვისებაა.
3. თანხმოვანთა ყოველი სამეული იქმნება ერთი და იმავე სანარმოთქმო ორგანოთა მოქმედების შედეგად მჟღერი, ყრუ ფშვინვიერი და ყრუ მკვეთრი (აბრუპტიული) ფონემების წარმოქმნით.
4. აფხაზურ ენას აქვს ფონემების ის ამოსავალი ბირთვი, რაც საზიარო უნდა ყოფილიყო ყველა იბერიულ-კავკასიური ენისათვის და წარმოადგენს ისტორიულ მემკვიდრეობას. ჩვენ ამ ბირთვს ვაკუთვნებთ შემდეგ 31 ბგერას: ა ბ გ დ ვ ზ თ ი კ ლ მ ნ რ ს ტ უ ფ ქ ღ ყ შ ჩ ც ძ წ ჭ ხ ჴ ჯ ჰ ჶ. ამ ფონემების კომბინირებისა და ფონეტიკური ცელილებების შედეგად დროთა განმავლობაში იბერიულ-კავკასიურ ენებში წარმოიქმნა ხმოვან და თანხმოვან ფონემათა ახალ-ახალი ჯგუფები, ზოგ ენაში მეტი, ზოგში კი - ნაკლები.
5. აფხაზურ ენას 1862-1865 წლებისათვის უკვე განვითარებული ჰქონდა ზოგადკავკასიურ ფონემურ ბირთვზე დაყრდნობით წარმოქმნილი ფონემათა შემდეგი ახალი კლასები:

5.1. ხუთიევ ახალი ხმოვანი: ე ი ო უ ჹ, რომელთაგან ე ი ო უ ხმოვანთა ჩამოყალიბების პროცესი, ჩვენი ვარაუდით დაიწყო XV-XVI საუკუნეთა განმავლობაში, ხოლო საბოლოოდ დასრულდა XIX- XX საუკუნეთა მიჯნაზე. რაც შეეხება ნეიტრალურ ჹ ხმოვანს, რაკი იგი საზიაროა

აფხაზურ-ჩერქეზულ ჯგუფში შემავალი ყველა ენის ყველა კილოსა და კილოკავისათვის, იგი უნდა წარმოქმნილიყო ა ხმოვნისაგან წინარე აფხაზურ-ჩერქეზულ ენაში და მემკვიდრეობად გადასცემოდა აფხაზურ-აბაზურსაც, უბიხურსაც და ჩერქეზულსაც (ვრცლად იხ.: გვანცელაძე, 2011, გვ. 28-42).

5.2. ლარინგალური მჟღერი ჶ ფონემის შემცველ ჶა მარცვალში თანხმოვნის დაკარგვის გზით წარმოიქმნა აა კომპლექსი. აა წარმოქმნილა ასევე ჰ, ყ, ზ, ღ ბგერათა დაკარგვის გზითაც, ასიმილაციის შედეგადაც და სპონტანურადაც. ეს პროცესები დაწყებული უნდა ყოფილიყო აბაზების გვერდით, ჩრდილოეთ კავკასიაში აფხაზთა წინაპრების ბინადრობის დროს, რაზეც უნდა მიუთითებდეს აშხარულ დიალექტში მსგავსი პროცესის არსებობის ფაქტიც. პროცესი დასრულდა XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე (გვანცელაძე, 2011, გვ. 42-53).

5.3. XIX საუკუნის 60-იანი წლებისათვის აფხაზურს უკვე მოეპოვებოდა ისეთი სპეციფიკური ფონემების კლასები, როგორიცაა ლაბიალიზებული, პალატალიზებული და ინტენსიური ბგერები, რომლებიც საერთო აფხაზურ-ჩერქეზულ ფონემებად უნდა ჩაითვალოს. მათი წარმოქმნა, ჩვენი ვარაუდით, არ უნდა სცდებოდეს ძველ და ახალ წელთაღრიცხვათა მიჯნას. სხვაობები, რაც ამ სამი კლასის ფონემებში შეინიშნება, ცალ-ცალკე უნდა გაჩენილიყო აფხაზურ-აბაზურში, უბიხურსა და ჩერქეზულში.

5.4. ვვარაუდობთ, რომ წინარე იბერიულ-კავკასიური ენის რეალურად ფუნქციონირების დროს ჯერ კიდევ არ უნდა არსებულიყო სისინ-შიშინა თანხმოვანი ფონემები, რომლებიც სხვადასხვაგვარადაა შემორჩენილი, ერთი მხრივ, აფხაზური ენის ბზიფურ დიალექტში და, მეორე მხრივ, ადიღეურ-ყაბარდოულ (ჩერქეზულ) ენაში. როგორც ჩანს, ისინი გაჩნდა სისინა ფონემების არტიკულაციის გადანევის შედეგად წელთაღრიცხვათა მიჯნაზე, მაგრამ შუა საუკუნეებში უნდა გაჩენილიყო მათი მოშლის ტენდენციაც. XIX საუკუნის 60-იან წლებში სისინ-შიშინა თანხმოვნების პოზიცია ჯერ კიდევ მყარი ჩანს, რაც დასტურდება სწორედ პ. უსლარის ნაშრომიდანაც და ი. ბარტოლომეის კომისიის საანბანო წიგნიდანაც.

5.5. ასევე ჯერ კიდევ მყარი ჩანს იმავე პერიოდში სხვა შედარებით ახალი აფხაზურ-აშხარული სპეციფიკური ფონემების, კერძოდ, ჯ, ხ, ხ᷄ ბგერათა პოზიციებიც.

6. თუ ზემოთ აღწერილ ფონოლოგიურ თავისებურებათა ერთობლიობას ჩავთვლით სანყის, ეკოლოგიურად მდგრად მდგომარეობად და შევადარებთ ამჟამად აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში, თურქეთსა და სირიაში არსებულ ვითარებასთან, უნდა დავასკვნათ, რომ ყველგან მეტ-ნაკლებად შეიცვალა აფხაზური ენის ფონემური სისტემის ეკოლოგიური მდგომარეობა:

6.1. აფხაზეთში ცარიზმის, საბჭოურმა და პოსტსაბჭოურმა ენობრივმა პოლიტიკამ, აფხაზთა კომპაქტური განსახლების დარღვევამ, მუშაჯირობამ, რუსული ენის წამლეკავმა ზეგავლენამ, განსაკუთრებით გეიმან-აგაფოდორის სასკოლო განათლების სისტემამ, აფხაზური სალიტერატურო ენის ზეწოლამ აფხაზურ დიალექტებზე მასობრივად მოარყიეს 10 თანხმოვნის, კერძოდ, სისინ-შიშინა ჵ ც ჭ ზ ს ჯ ს, ფარინგალური ხ ჴ და აბჟუური დიალექტის სპეციფიკური კბილბაგისმიერი მკვეთრი ჶ სპირანტის პოზიციები. აფხაზეთში შექმნილი ეს ვითარება ეკოლოგიურ კატასტროფად უნდა შეფასდეს, ვინაიდან ერთბაშად 10 ფონემის არსებობის პრობლემურობა ფონემათა სიმრავლით გამორჩეული ენისთვისაც კი მძიმე დარტყმაა იმ ტერიტორიაზე, სადაც 1867 წლის მუშაჯირობამდე აფხაზური ენის გავრცელების უწყვეტი ზოლი არსებობდა მდინარე ღალიძგიდან უბიხთა საცხოვრისამდე და ენა სრულებით არ განიცდიდა რომელიმე სახელმწიფოს ენობრივი პოლიტიკის ზეგავლენას.

6.2. მსგავსი ბედი ენია აჭარაში გავრცელებულ სამეტყველო მიკროვარიანტსაც, ოღონდ აქ სხვაობას ის ქმნის, რომ ქართულ ეთნიკურ, ენობრივ და კულტურულ გარემოში მოხვედრილი აფხაზი მიგრანტები არ სახლობდნენ ერთიან და უწყვეტ კონტინუუმად, აფხაზთა მცირე-მცირე ჯგუფები აქაც კი რუსული ენის მძლავრი გავლენის ქვეშ იყვნენ (მათი მნიშვნელოვანი ნაწილის განათლებისა და პროფესიული საქმიანობის ენა რუსული გახდა). ფონემური სისტემის მორყევას ასევე დიდად შეუწყო ხელი შერეული ქორწინებების სიხშირემ და ბათუმის „აფხაზური უბნებისა„ და განსაკუთრებით სოფელ ანგისას ურბანიზაციის სწრაფად მზარდმა ხარისხმა.

6.3. აფხაზეთ-აჭარაში არსებული ვითარების ნაზავია თურქეთის რესპუბლიკაში, ოღონდ იქ რუსულ ენას ენაცვლება თურქული ენის მძლავრი ზეწოლა: თურქიზაციის ენობრივი პოლიტიკა, თურქული ენის ოკეანეში აფხაზური ენის კუნძულოვანი გავრცელება, აფხაზურ ენაზე განათლების მიღების შეუძლებლობა, თურქული ენის მაღალი

პრესტიჟი, მხოლოდ თურქულენოვანი ოფიციალური საინფორმაციო სივრცე, შერეული ქორწინებები, ურბანიზაციის მაღალი ხარისხი არის ის უმთავრესი მიზეზები, რამაც საფრთხე შეუქმნა როგორც ზემოთ დასახელებული 10 ფონემის, ისე სხვათა (მკვეთრი თანხმოვნების, ანუ აბრუპტივების) გაქრობის პროცესს როგორც დიდ ქალაქებში, ისე სოფლებშიც, სადაც საკუთარი ეროვნების ენის მცოდნეთა წილი სწრაფად იკლებს (განსაკუთრებით ახალგაზრდებში).

6.4. თურქეთში არსებული ვითარების სრული ანალოგია იყო სირიის არაბთა რესპუბლიკაში ამჟამად მიმდინარე ომის დაწყებამდე იმ სხვაობით, რომ თურქულის ნაცვლად არაბული ენა იყო ზეგავლენის წყარო. ომმა ახალი უარყოფითი ფაქტორი გააჩინა: აფხაზ მუპაჯირთა შთამომავლების დიდი ნაწილი ლტოლვილად გადაიქცა და სხვა სახელმწიფოებში გაიფანტა.

7. აფხაზური ენისათვის 1862 წელს დამწერლობის შექმნა რეალურად მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენა იყო, თუმცა ამ აქციას წმინდა პოლიტიკური მიზნები ჰქონდა. გრაფიკულ საფუძვლად 1862-1925 წლებში კირილიცას, 1926-1937 წლებში ლათინური და 1938-1953 წლებში ქართული ანბანების შერჩევას არ მოუხდენია არავითარი ზეგავლენა აფხაზური ენის ფონემურ სტრუქტურაზე, მაგრამ 1954 წლიდან დღემდე კვლავ კირილიცაზე გადაყვანას თან მოჰყვა რუსული ენიდან შესული ლექსიკის ორთოგრაფიულ ნორმებად რუსული ენის მართლწერის იმ წესების ხელოვნურად გადმოტანა, რომელთა მიხედვითაც აკრძალული იყო და არის ნასესხებ სიტყვათა ფონეტიკური ადაპტაცია აფხაზური ფონოტაქტიკის წესების შესაბამისად: მაგალითად, დღემდე დაუშვებელია უმახვილო ო ხმოვნის ნაცვლად ა ხმოვნის წერა რუსულიდან შემოსულ სიტყვათა ნაწილში (აფხაზურად არ იწერება Масква „მოსკოვი:, актиабр „ოქტომბერი“, Ноиабр „ნოემბერი“, акосмᵊс „კოსმოსი“...), ე.ი. ნორმადაა მიღებული არა რუსული წარმოთქმა, არამედ რუსული დანერილობა; რუსული ენის გზით შესულ სიტყვებში მხოლოდ ამ 20 წლის წინ დამკვიდრდა кс, кт, кц, пс, пт, пц და სხვა ბგერათა კომპლექსებში პირველი ბგერის რეალურ გამოთქმასთან დაახლოება და ნორმად кс, кт, кц, ҧс, ҧт, ҧц ვარიანტების წერა შემდეგ სიტყვებში: Маркс, акт, аредакциа, аҧсихологиа, арецеҧт, акорруҧциа...; დღემდე არ დაძლეულა კულტურის აღმნიშვნელ სიტყვაში რბილი ბგერის აღმნიშვნელი ь ნიშნის გამოყენება: იწერება акуль̲тура; ასევე იწერება სიტყვები: Кремль „კრემლი“, ароль „როლი“,

апа**л**ьма „პალმა"... ეს იმას ნიშნავს, რომ, მართალია, აფხაზურ ენას გამორჩეულად მაგარი ლ ბგერა აქვს, მაგრამ რუსული ენის გავლენით ფეხს იკიდებს მისთვის უცხო ფონემა, რბილი ლ თანხმოვანი...

* * *

გრამატიკური სტრუქტურა ეკოლინგვისტური თვალსაზრით. როგორც ზოგადი ენათმეცნიერებიდანაა ცნობილი, ენობრივი დონეებიდან ყველაზე გამძლე გრამატიკული სტრუქტურაა, მორფოლოგია - მეტად, სინტაქსი - უფრო ნაკლებად. ეს კანონზომიერება დაცულია აფხაზური ენის შემთხვევაშიც.

თუ შედარების ამოსავალ მონაცემებად კვლავ პ. უსლარის ნაშრომსა და ი. ბარტოლომეის კომისიის საანბანო ნიგნს ავიღებთ და თვალს გადავავლებთ ენის ისტორიას მორფოლოგია-სინტაქსის ეკოლოგიის თვალსაზრისით, იოლი შესამჩნევია, რომ აფხაზური ენის ამ უბანზე მდგომარეობა ამ მხრივ პრაქტიკულად არ შეცვლილა.

მაგალითად, არ შერყეულა ფუნდამენტური გრამატიკული და გრამატიკულ-სემასიოლოგიური კატეგორიები, მოცემული ენისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი:

- ✓ სახელთა დაყოფა ვინ და რა ჯგუფებად;
- ✓ სახელებში ორი გრამატიკული კლასის გარჩევა ერთის ნიშნად სუფიქსოიდის გამოყენებით და მეორის გადმოსაცემად ნულოვანი ნიშნით;
- ✓ ორი ბრუნვის, მოქმედებითისა და ვითარებითის ჩანასახები;
- ✓ კუთვნილების გამოხატვა ნაცვალსახელური წარმოშობის პრეფიქსებით, რომლებითაც გაირჩევა სამი გრამატიკული კლასი: მამაკაცთა, ქალთა და უგონო საგანთა;
- ✓ არ გამარტივებულა ზმნის ურთულესი სისტემა: კლასოვან-პიროვანი უღვლილება, დრო-კილოთა წარმოების სპეციფიკა, ფინიტურობისა და ინფინიტურობის კატეგორიები, უამრავი მოდალური ელემენტი, მიმართებით ნაცვალსახელთა და მიმართებით ზმნისართთა უქონლობის ზმნაში კომპენსირების თავისებურება, მორფონოლოგიის აქტიური როლი ზმნის ფორმათცვალებაში, სიტყვათა რიგის (თანმიმდევრობის) გრამატიკალიზაცია, რთული ქვეწყობილი წინადადების უქონლობა და მრავალი სხვანი.

ერთადერთი გრამატიკული ცვლილება უკავშირდება რუსული ენის ზეგავლენით აფხაზურ სალიტერატურო ენაში, რომელსაც ჩანასახის დონეზეც კი არ მოეპოვებოდა ზმნის გვარის გრამატიკული კატეგორია, უკვე XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ვნებითი გვარის ფუნქციის მქონე ფორმების ხელოვნურად გაჩენას. კერძოდ, ქართული ენის დონიანი ვნებითის შინაარსს გადმოსცემდა და პუბლიცისტიკის ენაში ამჟამადაც გადმოსცემს გარდამავალი ზმნისაგან გარდაქცევითობის -ხა სუფიქსის დართვით მიღებული ფორმები: იყაწახოიტ „კეთდება“, იჭახოიტ „ითქმის“, ირგვლახოიტ „შენდება, იგება“ და სხვა მრავალი. ასეთი წარმოების დროს ორპირიანი გარდამავალი ზმნა ერთპირიანი და გარდაუვალი ხდება, ხოლო სამპირიანი გარდამავალი ზმნა ორპირიან გარდაუვალ ზმნად იქცევა ხოლმე.

§2. ლექსიკური ფონდი ეკოლინგვისტური თვალსაზრისით

ენის ყველაზე ადვილად და მუდმივად ცვლადი დონეა ლექსიკა, რომელიც გარეენობრივი (ექსტრალინგვინგვისტური) ფაქტორების კვალდაკვალ განუწყვეტლივ იცვლება, თუმცა ნებისმიერ ენას მოეპოვება სიტყვათა დიდი ჯგუფი - ძირითადი ლექსიკური ფონდი, რომელიც ყველაზე ძველი და მდგრადია. მისი დიდი დოზით ცვლილების დაწყება სხვა ენის ლექსიკით უკვე საგანგაშო ნიშანია და გვიჩვენებს, რომ ენას სერიოზულად უჭირს და შეელა სჭირდება. ეს კანონზომიერება აფხაზურ ენასაც ეხება.

აფხაზური ენის ლექსიკის მდგომარეობის ეკოლინგვისტური კვლევა მოითხოვს, ჯერ გაირკვეს ის ათვლის წერტილი, რომელზეც იმყოფებოდა იგი ახალ ენებთან მჭიდრო კონტაქტების დაწყებამდე, ანუ 1864 წლამდე და შემდეგ შევადაროთ იმდროინდელი ვითარება მომდევნო პერიოდების მდგომარეობასთან. ლექსიკისათვის ამგვარ ათვლის წერტილად ჩვენ მივიჩნევთ 1827 წელს, როცა რუსეთის ფლოტის ოფიცერმა ვლადიმირ რომანოვმა შეადგინა რუსულ-აფხაზური ლექსიკონი, რომელშიც შეტანილია 1952 სიტყვა, უპირატესად ძირითადი ლექსიკური ფონდი. ამ ლექსიკონში ასახულია ის მდგომარეობა, რომელიც ჰქონდა აფხაზურ ლექსიკას რუსულ ენობრივ პოლიტიკასთან შეხებამდე.

ლექსიკონში წარმოდგენილია სოხუმის მეტყველება, რომელიც აშკარად შუალედურია აბჟუურ და ბზიფურ დიალექტებს შორის, რის საბუთიცაა ტექსტში ასახული მნიშვნელოვანი თავისებურებანი (რომანოვი, 2014, გვ. 148). სიტყვათა უმრავლესობა საკუთრივ აფხაზურია, თუმცა არის სხვა ენათა ლექსიკაც, კერძოდ, ქართველური, ჩერქეზული და თურქული.

მაგალითად, ლექსიკონის პირველ 5 ასოზე განლაგებულ სიტყვათაგან ქართველური, ან ქართველურის შუამავლობით ნასესხები სიტყვებია: აბჯარ „იარაღი, აბჯარი" (სპარს.), ადგგლ „მინა", აფარფალგჯ „პეპელა" (მეგრ.), ასახწა „სახე; გამოსახულება", აწას „წესი", აჩქ'გფ „ჩქიფი, ჩანგალი" (მეგრ.), აჯგ „ღვინო", აყვარაან „ყვავი; ყორან", აქალაქ' „ქალაქი", აკგრცხ „სეტყვის მსხვილი მარცვალი" (მეგრ.), აყაუარ „ყავარი", აზარდაგ „ზერდაგი (ცხენი, ძროხა)".

ჩერქეზულიდანაა ნასესხები: აჩგმაზაჯ „სნეული, ავადმყოფი", აჟაკ'ა „ნვერი (სახეზე)", ადაგწა „ყრუ".

თურქულიდან არის შესული: აოლგრ // აუარგლ „კასრი", არშინ „არშინი, ზომის ერთეული", დავულ (წერია: დაჰულ) „დოლი", აქ'აად „ქაღალდი", ალიმან „ზღვის უბე", აჭეიდა „მოგება, სარგებელი", აყგზ „ბატი", აქგთა „სოფელი"... (რომანოვი, 2014, გვ. 10-21).

ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ვ. რომანოვის ლექსიკონში უკვე დასტურდება ერთი ნამდვილად რუსული სიტყვა: აქაშ < რუს. каша „ფაფა" (რომანოვი, 2014, გვ. 26). როგორც ჩანს, ეს სიტყვა ვ. რომანოვის აფხაზ ინფორმატორს რუსი სამხედროებისაგან ჰქონდა გაგონილი.

ვ. რომანოვის ლექსიკონის შედგენიდან გასული 194 წლის განმავლობაში რუსულმა ენამ კატასტროფულად ძლიერი ზეგავლენა მოახდინა აფხაზურ ენაზე, რაც ყველაზე მეტად აისახა ლექსიკაში: *ასეულობით რუსული და საერთაშორისო სიტყვა შევიდა აფხაზურ ენაში. ეს სიტყვები განეკუთვნება თითქმის ყველა დარგს: აღნიშნავენ ნათესაურ ურთიერთობას, სხეულის ნაწილებს, სოციალურ სტრუქტურასა და სოციალურ ურთიერთობებს, ბუნებას, ცხოველებს, მცენარეებს, კულტურას, სამეურნეო საქმიანობას, მეცნიერების დარგებს, ხელოვნებას* და *ა.შ.* დასახელებულ დარგებთან დაკავშირებული ლექსიკიდან ყველაზე ნაკლები ნასესხები სიტყვაა ნათესაობისა და სომატურ ლექსიკაში, ყველაზე მეტი სოციალურ ურთიერთობებს, ეკონომიკას, ტექნიკასა და ტექნოლოგიებს, სამეურნეო საქმიანობას უკავშირდება. ასევე ძალიან ბევრია რუსულიდან კალკირებული ნეოლოგიზმი, რასაც ვერცერთი რუსებზე მცირერიცხოვანი ხალხის ენა ვერ აიცდენდა თავიდან.

1864-1917 წლებში აფხაზეთში მოქმედმა რუსულმა პოლიტიკურმა, ადმინისტრაციულმა, სამართლებრივმა, სოციალურმა, ეკონომიკურმა, სამხედრო სისტემებმა დაუყოვნებლივ შეცვალა ტრადიციული, გვიანფეოდალური ხანისათვის დამახასიათებელი ლექსიკაც და მათი ადგილი დაიკავა რუსულმა ტერმინოლოგიამ: გაჩნდა ისეთი რუსიზმები, როგორიცაა: აიმპერატორ

„იმპერატორი", აუეზდ „მაზრა", აპრისტავ „ბოქაული", აპრიკაზ „ბრძანება", ანაჩალნიკ „უფროსი, მმართველი", ასუდ „სასამართლო", აკატორგა // აკარტოღა „კატორღა", ანადელ „მიზომილი მიწის ნაკვეთი", აპლან „მიწათმომწყობის გეგმაში ჩახაზული მიწის ნაკვეთი", ანჯნგრ „ინჟინერი", აკაპიტან „კაპიტანი", აგენერალ > აინრალ „გენერალი" და მრავალი სხვა.

1921 წლიდან ზემო აბზაცში დასახელებული ჯგუფის ლექსიკის დიდი ნაწილი განდევნა საბჭოურმა (რუსულმა და ინტერნაციონალურმა) იდეოლოგიურად დატვირთულმა ლექსიკამ და ნეოლოგიზმებმა. ასე გაჩნდა ახალი ნასესხობები: არევოლუცია „რევოლუცია", აკომმუნა „კომუნა", აინტერნაციონალ „ინტერნაციონალი", აკომმუნისტ „კომუნისტი", აბოლშევიკ > აბოლშუკ „ბოლშევიკი", ატროცკისტ „ტროცკისტი", ასტახანოვეც „სტახანოველი", აუდარნიკ „დამკვრელი, მონინავე მშრომელი" და სხვანი. კალკირებული ლექსიკის გავრცელებაში ლომის წილი მედიასა და სკოლას აქვს.

საბჭოთა პერიოდიდანვე აბრევიატურათა უმრავლესობა ინერება რუსული ნორმის მიხედვით: ЦК „ცენტრალური კომიტეტი", КП „კომუნისტური პარტია", СССР „სსრკ", США „აშშ", ООН „გაერო", ЮНЕСКО // ИУНЕСКО „იუნესკო"... ჩვენი აფხაზი კოლეგების ნაწილი ამგვარ დაწერილობას იმით ამართლებს, რომ აფხაზურ ენაში არსებითი სახელები იწყება ზოგადი ფორმის მაწარმოებელი ა- პრეფიქსით და ერთზე მეტი სიტყვის შეერთებით მიღებული აბრევიატურის პირველი ბგერა მუდამ ეს ხმოვანი იქნებაო.

რუსული ენის მძლავრი ზეგავლენა ვლინდება აგრეთვე საუბრის დროს სამეტყველო კოდების შერჩევასა და მყისიერ ცვლაში. ხშირია შემთხვევა, როცა დიალოგი იწყება აფხაზური ენის ერთ კონკრეტულ სახეობაზე (აბჟუურ, ან ბზიფურ დიალექტზე, ან სალიტერატურო ენაზე), მაგრამ დიალოგის მონაწილეთაგან ერთ-ერთი უეცრად, თავისდა შეუმჩნეველად გადადის რუსულ ენაზე, რასაც ავტომატურად მოსდევს მეორე მოსაუბრის გადართვაც რუსულ ენაზე და ასე გრძელდება დიალოგის ბოლომდე, თუმცა, მოსაუბრეებმა კიდევაც რომ არ იცოდნენ რუსული, ისინი საუბარში დროდადრო მაინც ურთავენ რუსულ სიტყვებსა და მოკლე ფრაზებსაც.

ჰუმანიტარული სპეციალობების პირთა გარდა, თითქმის არავინ წერს და კითხულობს აფხაზურ ენაზე. წიგნებიდან ამ ენაზე იბეჭდება მხოლოდ მხატვრული ლიტერატურა (უფრო პოეზია, ვიდრე პროზა), ისიც ავტორთა ხარჯით. ჟურნალ-გაზეთები ამ ენაზე უკვე აღარ გამოდის, თუ არ ჩავთვლით სალიტერატურო ჟურნალ „ალაშარას", რომელიც 1992 წლამდე ყოველთვიურად

გამოდიოდა, ახლა კი ფინანსური პრობლემების გამო ორ თვეში ერთხელ იბეჭდება, ხოლო ტელევიზიაში აფხაზურენოვანია მხოლოდ საბავშვო და საინფორმაციო გადაცემები, ასევე მეტად იშვიათად რეალიზებული ეთნოლოგიური პროგრამები.

რუსულიდან ნასესხებ სიტყვათა სიმრავლის დასანახად წარმოვადგენთ რამდენიმე მონაცემს: ვ. კასლანძიას მიერ შედგენილ ორტომიან აფხაზურ-რუსულ ლექსიკონში, რომელიც მოიცავს 30 000-ზე მეტ სალექსიკონო ერთეულს (კასლანძია 1, 2005; კასლანძია 2, 2005), ასო ო-ზე დაწყებული 52 სიტყვიდან 50 რუსულიდანაა ნასესხები და მხოლოდ 2 სიტყვაა აფხაზური შორისდებული, ანუ რუსიზმების წილი 96,2 %-ს შეადგენს (კასლანძია 2, 2005, გვ. 40-42); ასო პ-ზე დაწყებული 221 სიტყვიდან 196 მთლიანად, ან კომპოზიტთა ერთი ნაწილი ნასესხებია რუსულიდან, რაც შეადგენს 88%-ს (კასლანძია 2, 2005, გვ. 42-51); ასო გ-ზე დაწყებული 261 სიტყვიდან 81 ნასესხებია რუსულიდან, ანუ რუსიზმია, რაც შეადგენს 31%-ს (კასლანძია 1, 2005, გვ. 267-279) და ა.შ.

ზემოთ აღნიშნული ფაქტები იმას სულაც არ ნიშნავს, რომ აფხაზურ ენაში ლექსიკური ცვლილებები მხოლოდ რუსული ენის ზეგავლენით ხდებოდა. 1827 წლიდან გასულ ორ საუკუნეში აფხაზური ენის ძველი ლექსიკა გავიდა ხმარებიდან ბუნებრივადაც, კერძოდ: ლექსიკის ნაწილი გაქრა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიზეზით, რაც განსაკუთრებით დააჩქარა მთელ მსოფლიოში მომხდარმა სწრაფმა და მასობრივმა ტექნიკურმა და ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა, როცა გაჩნდა ტექნიკისა და აპარატურის უამრავი სიახლე და ახლებური ტექნოლოგიები, რაც აფხაზი ხალხის ცხოვრებაშიც ინეცვდა ძველი ტექნიკურ-ტექნოლოგიური რეალიებისა და შესაბამისი ლექსიკური ერთეულების დავიწყებას. ამითაა გამოწვეული, რომ აფხაზთა მეტყველებაში უკვე არ გამოიყენება ისეთი საზოგადო სახელები, რომლებიც უკავშირდება, მაგალითად, ცხენის მოშენებას, გახედნას, ცხენით მგზავრობას, საცხენოსნო სპორტს, რის გარეშეც ჯერ კიდევ 80 წლის წინ აფხაზთა ყოფა-ცხოვრება წარმოუდგენელი იყო.

1993 წლიდან აფხაზეთში შეინიშნება პურიზმის ტენდენციაც, როცა რუსიზმებისა და ინტერნაციონალიზმების ნაცვლად ქმნიან აფხაზურ ხელოვნურ შესატყვისებს. ეს უდავოდ მისასალმებელი ტენდენციაა და თუ არ შეფერხდა, აფხაზური ენა მეტ-ნაკლებად გაიწმინდება ძალიან მოძალებული ნასესხობებისაგან. მაგალითად, ვლადიმირ კასლანძიასა და ბორის ჯონუას ვრცელი, სამტომეული რუსულ-აფხაზური ლექსიკონის უკვე გამოცემულ ორ ტომში უამრავი ასეთი პურისტული ინოვაცია დასტურდება. მაგალითად, М ასოზე შეტანილია შემდეგი სიტყვები:

магистраль 1. ацәахәааеизак „მთავარი ხაზი“, ზედმიწევნით: „ხაზის გროვა“; 2. акабельхада „მთავარი კაბელი“, ზედმიწევნით: „მთავარი კაბელი“;

3. **ашәырахада** „მთავარი მილი“ (ზედმინევნით: „მთავარი მილაკი“) (კასლანძია, ჯონუა 1, 2016, გვ. 722);

магнолия ацаба - ჩვენთვის უცნობია ამ აფხაზური სიტყვის თავდაპირველი სემანტიკა (კასლანძია, ჯონუა 1, 2016, გვ. 723);

мартышка аҧышәкьаҽмаамын, ზედმინევნით: „მოკლედრუნჩიანი მაიმუნი“ (კასლანძია, ჯონუა 1, 2016, გვ. 735);

матрикуль азшьашәкәы (კასლანძია, ჯონუა 1, 2016, გვ. 740) და ა.შ.

აფხაზური ენის ლექსიკური ფონდის ცელაზე გავლენა მოახდინა XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე მოქმედი ორი აფხაზური მთარგმნელობითი კომისიის (Абхазская Переводческая Комиссия) მიერ რუსული ენიდან სახარებისა და სხვა სასულიერი ლიტერატურის თარგმნამ. თარგმნის დროს კომისიის წევრებმა გამოიყენეს ხალხში საკმაოდ იშვიათად შემონახული ქრისტიანული ტერმინები, მაგრამ რელიგიურ ცნებათა უმრავლესობის აღსანიშნად ან რუსულიდან უცვლელად გადმოჰქონდათ სიტყვები, ანდა ხდებოდა მათი კალკირება. აქვე, სანამ რუსულის გზით წარმოქმნილ ახალ აფხაზურ რელიგიურ ტერმინოლოგიას შევეხებოდეთ, მოკლედ უნდა აღვნიშნოთ შემდეგი:

აფხაზი ისტორიკოსები ფიქრობენ, რომ მათმა წინაპრებმა ჯერ I საუკუნეში ქრისტეს მოციქულთაგან, შემდეგ კი IV საუკუნეში ბერძნებისაგან მიიღეს ქრისტიანობა, რასაც მხარს არ უჭერს თვით აფხაზური ენის მონაცემები. საქმე ის არის, რომ ნებისმიერი რწმენის აფხაზთა შორის ისეთი უმნიშვნელოვანესი რელიგიური ცნების აღსანიშნად, როგორიცაა „რელიგია, რჯული, რწმენა“ გამოიყენება თურქული ენიდან ნასესხები არაბული ფუძე დინ „რჯული, რწმენა, რელიგია“, რომლის გამოყენებითაც ნაწარმოებია ჰიბრიდული, არაბულ-აფხაზური სიტყვებიც: ადინხაწარა „რწმენა, რჯულის დაჯერება“ და ადინხამწარა „ურწმუნობა, ურჯულობა, ათეიზმი“. ფუძე დინ აფხაზურს უნდა ესესხებინა თურქულისაგან გვიან შუა საუკუნეებში, დაახლოებით XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე, როცა აფხაზურ ენაში უკვე არსებობდა ი ხმოვანი. სიტყვის უფრო ადრე სესხების შემთხვევაში ამ სიტყვაში თანხმოვნებს შორის უნდა ყოფილიყო არა ი ბგერა, არამედ ნეიტრალური ჹ ფონემა (გვანცელაძე, 2011, გვ. 330-334). ასევე თურქულიდანაა იმავე დროს აფხაზურში ნასესხები არაბული სიტყვები: ҷанат „სამოთხე“, ҷаҳанӡм „ჯოჯოხეთი“, амаалӡ „ანგელოზი“, аш,аԥатан // аш,итан // аҕҕзмал „ეშმაკი“ და სხვა (გვანცელაძე, 2009, გვ. 78-81).

გარდა ამისა, ბევრად უფრო მეტი ქრისტიანული ტერმინი აფხაზურში ნასესხებია არა უშუალოდ ბერძნულისაგან, არამედ ქართული სალიტერატურო ენისაგან და მეგრულიდან, რაც არ უნდა მომხდარიყო, აფხაზთა წინაპრებს მართლაც რომ უშუალოდ ბერძნებისაგან მიეღოთ ქრისტიანობა. მაგალითად,

ქართველური წარმოშობის, ან ქართველიზებული ბერძნულ-ებრაული სიტყვებია: ɑასა „იესუ", ქ̇ვრსა „ქრისტე", აქ̇ვრსიანრა „ქრისტიანობა", აუახიამა „ეკლესია", აჯარ „ჯვარი", აჭყ̇ანდარ „ეპისკოპოსი", აპაპ „მღვდელი", აკ̇ალანტარ „კელაპტარი", ათარგ̇ალაზ „მთავარანგელოზი", ანათრა „ნათვლა", ანყარკუთხია „წყალკურთხევა, ნათლისღება", ამქამგარია „მიქელ-გაბრიელი", აკუბა „კუბო" და მრ. სხვა (გვანცელაძე, 2011, გვ. 334-345). შეუძლებელია, შემთხვევითი იყოს ამ უმნიშვნელოვანეს ცნებათა აღმნიშვნელი დიდი ფენის სესხება სწორედ ქართველებისაგან და არა ბერძნებისაგან.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ გვიან შუა საუკუნეებში სწორედ აფხაზები (აფსუები) დევნიდნენ ქართველ ქრისტიანებს აფხაზეთის მიწაზე დასახლების შემდეგ, რის შესახებაც წერილობითი წყაროებიც არსებობს. ჩვენ ვიზიარებთ ჯ. გამახარიას დასაბუთებულ მოსაზრებას: *„აფხაზეთში მთელი XVIII საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა ადგილობრივი აფხაზების (ქართველების) თანდათანობითი გააფსუების პროცესი, უცხო ეთნიკური ჯგუფის მრწამსზე გადასვლა. გაველენა ორმხრივი იყო. აფსუებმაც აფხაზებისაგან ქრისტიანული წეს-ჩვეულებები შეითვისეს (ამ ფაქტის გაუთვალისწინებლობის გამო ცდებოდნენ უცხოელი ავტორები და აფსუებს უძველეს ქრისტიანებად მიიჩნევდნენ, რომლებსაც სხვადასხვა მიზეზების გამო ვითომ „დააენწყდათ" თავიანთი სარწმუნოება და წარმართობას „დაუბრუნდნენ"). გააფსუებული ქართველები მაინც ვერ წყვეტდნენ კავშირს ქრისტიანულ ეკლესიებთან. ბევრ მათგანს საგვარო ძირ-ხატად ილორის წმ. გიორგის ეკლესია მიაჩნდა. ქართველთა გავლენით, აფსუებიც ილორის წმ. გიორგის სალოცავს ძლიერ და სამართლიან ხატად თელიდნენ [...]. ურთიერთგავლენის შედეგია წარმართული სალოცავების ქრისტიანული ტაძრების ნანგრევებზე დაფუძნების ტრადიცია. ამ სალოცავების პატრონები, მომვლელები და „მეხატურები" ქართველები იყვნენ"* (გამახარია, 2005, გვ. 379). ამ დასკვნას სავსებით ადასტურებს დასახელებული და სხვა ენობრივი ფაქტებიც.

ალოგიკურია, აცხადებდე, ჩემი წინაპრები I, ან IV საუკუნეში გახდნენ ქრისტიანები ქრისტეს მოციქულებისა და ბერძნებისაგანო და ამ დროს მხოლოდ ქართველურ ნიადაგზე იხსნებოდეს იესუ ქრისტეს, ჯვრის, ქრისტიანის, მთავარანგელოზების, ეკლესიისა და სხვა ძირითად ქრისტიანულ ცნებათა აღმნიშვნელი სიტყვების ფონეტიკური ჟღერადობაც და სემანტიკური გადაწევაც. ამ გარემოებას პირდაპირი კავშირი აქვს აფხაზური მთარგმნელობითი კომისიების მუშაობის ერთ თავისებურებასთანაც. კომისიის წევრთა შორის იყვნენ იმ დროის აფხაზ მოღვაწეთა ყველაზე განათლებული წარმომადგენლები: მომავალი პირველი აფხაზი მწერალი და მეცნიერი დიმიტრი გულია, ასევე

ცნობილი პედაგოგები და მღვდლები: ნიკოლაი პატეიფა, ანტონ ჩუკბარი, თომა ეშბა, ნიკოლაი ლადარია, დიმიტრი მარღანია, ალექსანდრ აჟიბა, კონსტანტინე მარშანია და სხვანი. მათ მართლაც დიდი შრომა გასწიეს სახარებისა და სხვა რელიგიური ლიტერატურის სათარგმნელად, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ განათლებულმა მოღვაწეებმა არ იცოდნენ თარგმნის დროს აუცილებელი მთავარი ლექსიკური ერთეულების, ანუ ძირითად რელიგიურ ცნებათა აფხაზური შესატყვისები და პოპულარული ბიბლიური ტოპონიმებისა და ანთროპონიმების დიდი ნაწილის აფხაზური ფონეტიკური შესატყვისები. ამის დამადასტურებელ ფაქტებად მოგვყავს მაგალითები იოანეს სახარების აფხაზური თარგმანის ორი ძალიან განსხვავებული რედაქციიდან - პირველი მათგანი გამოიცა 1912 წელს და მის თარგმნაში მონაწილეობდნენ დიმიტრი გულია, დიმიტრი მარღანია, ნიკოლაი პატეიფა და ნიკოლაი ლადარია, მეორე თარგმანი შესრულდა ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტის (შვედეთი) დაკვეთით 1977 წელს და პირველად გამოიცა 1981 წელს, მეორედ - 1990 წელს, მთარგმნელის ვინაობა ჩვენთვის ცნობილი არ არის, მაგრამ ანოტაციაში მითითებულია, რომ თარგმნის დროს გამოყენებული ყოფილა სახარების რუსული თარგმანი. ნარმოვადგენთ ტოპონიმების, ანთროპონიმებისა და სადაურობის სახელების ასახვის ტიპურ მაგალითებს, ჯერ ჩამოწერილია 1912 წლის პირველი თარგმანის მასალა, შემდეგ კი - 1990 წლის მეორე თარგმანისა:

პირთა სახელები და ტოპონიმები

ᲘᲘსუს ხრისტოს (გვ. 274), ᲘᲘსუს ხრისტოს (გვ. 5) - შდრ. ხალხური იასა ქ̇გრსა, ბერძნ.[29] იესუს ქრისტოს, რუს. იисус христос;

Უუდეა (გვ. 274) - იუდეა, შდრ. ბერძნ. იუდეია, რუს. иудея;

იერუსალიმ (გვ. 274), იერუსალიმ (გვ. 5) - იერუსალიმი, შდრ. ბერძნ. იერუსალემ, რუს. иерусалим;

ალევიტ (გვ. 274), ალევიტ (გვ. 5) - ლევიანი, ლევიტელი, ბერძნ. ლეუიტეს, რუს. левит;

ილᲘა (გვ. 274), ილᲘა (გვ. 5) - ელია, შდრ. ბერძნ. ჰელია, რუს. илиа;

ისაᲘ (გვ. 275), ისაᲘ (გვ. 5) - ესაია, შდრ. ბერძნ. ისაიას, რუს. исаи;

29. ბერძნული ფორმები მოგვყავს ბიზანტიურ პერიოდამდე გავრცელებული ნარმოთქმის მიხედვით.

აფარისეი (გვ. 275), აფარისეი (გვ. 5) - ფარისეველი, შდრ. ბერძნ. ფარისეოს, რუს. ფარისеи;

Იორდან (გვ. 275), Იორდან (გვ. 5) - იორდანე (მდ.), შდრ. ბერძნ. პოტამოს იორდანეს, რუს. реки иорданъ;

იზრაᲘლ (გვ. 275), იზრაᲘლ (გვ. 5) - ისრაელი, შდრ. ბერძნ. ისრაელ, რუს. იზრაილ;

გალილეა (გვ. 276), გალილეი (გვ. 6) - გალილეა, შდრ. ბერძნ. გალილეა, რუს. галилеа;

Იუდა ისკარიოტ (გვ. 299), Იუდა ისკარიოტ (გვ. 19) - იუდა ისკარიოტელი, შდრ. ბერძნ. იუდას ისკარიოტეს, რუს. иуда искариотъ;

ვიფლეემ (გვ. 303), ვიფლეემ (გვ. 21) - ბეთლემი, შდრ. ბერძნ. ბეთლეემ, რუს. вифлеемъ;

ავრაამ (გვ. 307), აბრაამ (გვ. 23) - აბრაამი, შდრ. ბერძნ. აბრაამ, რუს. авраамъ;

პილატ (გვ. 345), პილატ (გვ. 45) - პილატე, შდრ. ბერძნ. პილატოს, რუს. пилатъ;

გოლგოფა (გვ. 348), გოლგოფა (გვ. 47) - გოლგოთა, შდრ. ბერძნ. გოლგოთას, რუს. голгофа და ა.შ.

ეს მაგალითები ქრისტიანული ლექსიკის იმ ფენას განეკუთვნება, რომელიც ყველა ქრისტიანმა თუ არა, მათმა უმრავლესობამ მაინც უნდა იცოდეს, თანაც დედაენაზე. აფხაზური თარგმანების ენიდან არ ჩანს, რომ მთარგმნელებმა იცოდნენ აფხაზურ ენაში ამ ონომასტიკურ ერთეულთა უშუალოდ ბერძნულიდან მომდინარე ფონეტიკური ვარიანტები. მთარგმნელები მთლიანად ეყრდნობიან რუსულ ტექსტს, რომელიც IX საუკუნის სლავური თარგმანიდან მომდინარეობს და ონომასტიკის ბგერითი ჟღერადობის მხრივ ასახავს ბიზანტიური პერიოდის ბერძნულის ფონეტიკურ სპეციფიკას მაშინ, როცა I-IV საუკუნეებში ბერძნული ენის ფონოლოგია ძალიან განსხვავდებოდა IX საუკუნის ბერძნულისაგან ზოგი ხმოვნისა და თანხმოვნის წარმოთქმის მხრივ. ამ თვალსაზრისით სახარების უძველესი ქართული თარგმანები პრაქტიკულად ძალზე ახლოს დგანან ბიზანტიურ პერიოდამდე არსებულ ბერძნულ ფონოლოგიასთან. მაგრამ რაკი აფხაზ მთარგმნელებს აშკარად არ სცოდნიათ ბიზანტიურ პერიოდამდე არსებული ფორმები, მათ დაწერეს ბიზანტიური პერიოდის ბერძნულისაგან მომდინარე რუსული иисусъ ხრისტოს და არა უფრო ადრინდელი ძველბერძნული იესუს ქრისტოს. ეს იმას ნიშნავს, რომ მთარგმნელობითი კომისიის არცერთ წევრს აფხაზურ ხალხურ მეტყველებაში არ ჰქონდა გაგონილი თვით იესოს ნამდვილი

სახელის ბერძნულთან ახლომდგომი ეროვნული ვარიანტი ამ უკანასკნელის გამოყენების ეროვნული ტრადიციის არარსებობის გამო. იგივე ითქმის აფხაზურ თარგმანებში წარმოდგენილი სხვა ტოპონიმებისა და ანთროპონიმების შესახებ.

ამრიგად, აფხაზურმა მთარგმნელობითმა კომისიამ აფხაზურ ენაზე შექმნა ქრისტიანული რელიგიური ტერმინოლოგია და ამ გზით გაამდიდრა ამ ენის ლექსიკა, მაგრამ იგი დააფუძნა რუსული ენის ფონეტიკურ ვარიანტებზე, ვინაიდან ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისის ტერმინოლოგია აფხაზურად არ არსებობდა.

§3. ტრავმული ხსოვნის ასახვა აფხაზურ ენაში

არსებობს მეხსიერების 3 დონე: სოციალური, კოლექტიური და ინდივიდუალური. ამათგან სოციალური ხსოვნა გულისხმობს ერთიანი ხსოვნის არსებობას კონკრეტულ ეთნოსთა დონეზე და უკავშირდება, ერთი მხრივ, სახელმწიფოსა და ოფიციალურ ისტორიას ამ ისტორიის წერილობითი წყაროების (მატიანეების, ქრონიკების...) ჩათვლით, მეორე მხრივ, სოციალური ხსოვნა პირდაპირ კავშირშია „ხალხურ ხსოვნასთან", ანუ ეთნოსის საზოგადოებრივ მეხსიერებასთან, რაც კონკრეტული ამბის მონაწილეთა გარკვეულად მოდიფიცირებულ „ცოცხალ ხსოვნასაც" შეიცავს.

სხვაგვარად რომ ითქვას, ხალხური მეხსიერება მუდამ არ იქნება აბსოლუტურად ზუსტი, ვინაიდან იგი მძაფრ განცდებსა და ძლიერ ემოციებსაც უკავშირდება და მათი ზეგავლენით კონკრეტული ფაქტის რომელიმე კომპონენტები „უფრო მნიშვნელოვანი" ხდება, რის გამოც „ნაკლებად მნიშვნელოვანი" კომპონენტები გადადის უკანა პლანზე, ან სრულებით ქრება, ე.ი. ხსოვნა რედაქტირებული და უზუსტო ხდება. არსებითია ის ფაქტორიც, რომ კონკრეტულ პირებსაც და სოციუმებსაც ახასიათებთ როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მომენტების გაზვიადება და/ან გაფეტიშება, რაც დასტურდება ოფიციალურ ისტორიაშიც და ხალხურ ხსოვნაშიც.

მაგალითად, ახლობლის, ან ხალხის ლიდერის ძალდატანებითი სიკვდილი, თუ პირისა და ეთნოსის მიერ განცდილი ძალადობა ერთნაირად ზვიადდება, სიმძაფრეს იძენს, ისევე როგორც მნიშვნელოვანი ფეხბურთის მატჩის მოგება, დაბრკოლების წარმატებით გადალახვა, ანდა მტრის დამარცხება ბრძოლის ველზე. ამგვარ გარდაქმნებს ხსოვნის გადაწერას უწოდებენ. რეალობის ასეთი

გარდაქმნები, ანუ ხსოვნის გადაწერა ეთნოსის დონეზეც ძალზე ხშირია და ხალხის ეთნიკური იდენტობის სავალდებულო კომპონენტადაც კი შეიძლება იქცეს (სემიონოვა, 2012, გვ. 7799-7780). რაც შეეხება ტრავმულ ხსოვნას, იგი მხოლოდ განსაკუთრებულად მძიმე პირადი, სოციალური, თუ კოლექტიური ტრავმის შედეგად ჩნდება.

ამ სავალდებულო განმარტების შემდგომ განვიხილოთ საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ არის ასახული აფხაზი ხალხის სოციალურ ხსოვნაში და აფხაზურ ენაში ამ ხალხის მიერ ბოლო 200 წლის განმავლობაში განცდილი ზოგადეროვნული მასშტაბის ტრაგედიები. დავიწყოთ მუჰაჯირობის, როგორც აფხაზი ხალხის თავს დატეხილი უდიდესი კატასტროფის, და მისი შედეგების მიმართ აფხაზთა შორის არსებული დამოკიდებულებისა და მათი ენობრივად მარკირების ანალიზით.

ოფიციალურ აფხაზურ ისტორიოგრაფიაში ბევრი დაწერილა 1867 და 1878-1880 წლების მუჰაჯირობის შესახებ. ტრავმული ხსოვნის თვალსაზრისით არსებითია იმის ხაზგასმა, რომ ეს ისტორიული ფაქტები ყველაზე აკადემიურად აქვს განხილული გ. ძიძარიას (ძიძარია, 1982), რასაც ვერ ვიტყვით ამჟამინდელ აფხაზ ავტორთა დიდ ნაწილზე, რომლებიც ცდილობენ რეალური ისტორიის გადაწერას: ისინი არბილებენ რუსეთის იმპერიის პოლიტიკის კრიტიკას და ამ იმპერიის სისასტიკეს შელამაზებულად აღწერენ, მაგრამ მათ აფხაზეთის „დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე" არ ავიწყდებოდათ ოსმალეთის იმპერიის პოლიტიკის მკაცრად დაგმობა, ამჟამად კი ხელახლა გადაიწერა ისტორია და ნაკლებად უსვამენ ხაზს ოსმალეთის როლს მუჰაჯირობის აქციაში - მიზეზი თურქეთის რესპუბლიკის მხრიდან აფხაზეთის „დამოუკიდებლობის აღიარების" მოლოდინია. ამ მხრივ ძალზე ნიშანდობლივია აფხაზეთის ისტორიის X-XI კლასების სასკოლო სახელმძღვანელოს ავტორთა, ოლეგ ბღაჟბასა და სტანისლავ ლაკობას ქცევა. ისინი მოკლედ აღწერენ მუჰაჯირობას, რუსეთის პოლიტიკის შესაფასებლად არ იყენებენ მკვეთრ ეპითეტებს, სათანადო პარაგრაფის ბოლოს დართული 8 შეკითხვიდანაც არცერთი არ ეხება მხოლოდ მუჰაჯირობას (ბღაჟბა, ლაკობა, 2006, გვ. 254-260). სამაგიეროდ, მომდევნო პარაგრაფში, რომელსაც „აფხაზეთში სხვა ხალხთა ჩამოსახლება" (Переселение в Абхазию других народов) ჰქვია, ტექსტის უდიდესი ნაწილი განთავსებულია ასეთი ქვესათაურებით გამოყოფილ ნაწილებში:

„იაკობ გოგებაშვილი: შეხედულება აფხაზეთის შესახებ" (Якоб Гогебашвили: взгляд на Абхазию) და „ქართველთა მასობრივი ჩამოსახლება აფხაზეთში" (Массовое переселение грузин в Абхазию).

ეს პარაგრაფი სულ მოიცავს A5 ფორმატის არასრულ 3 გვერდს, 91 სტრიქონს. აქედან ქართველთა უარყოფითად წარმოჩენას ეძღვნება მთელი პარაგრაფი, 7 სტრიქონის გარდა. პარაგრაფში ანტიქართული ვერბალური მანიპულაციებით, ცუდად შეფარული სიძულვილის ენით, ფაქტების გაყალბებით და მიჩქმალვით ავტორებს იერიში მიაქვთ მოსწავლეების ქვეცნობიერებაზე, ქმნიან ქართველების, როგორც აფხაზი ხალხის დაუძინებელი მტრების ხატს, არწმუნებენ მოსწავლეებს, თითქოს:

- 1877 წლამდე აფხაზეთში მხოლოდ აფხაზები ცხოვრობდნენ;
- ქართული პრესა მოუწოდებდა ქართველებს აფხაზთა მიწის მითვისებას;
- ქართველთა შორის ყალიბდებოდა იმპერიული ცნობიერება;
- აფხაზეთის კოლონიზაციის მთავარი დამგეგმავი იყო იაკობ გოგებაშვილი;
- როცა აფხაზები სისხლისგან იცლებოდნენ და მასობრივად ტოვებდნენ სამშობლოს, ი. გოგებაშვილი ამტკიცებდა აფხაზეთში ქართველთა დასახლების სარგებლიანობას;
- აფხაზეთში რუსეთის სამხედრო გამარჯვების ნაყოფით ყველაზე მეტად დაპყრობილმა საქართველომ ისარგებლა;
- ქართველი მღვდლები აფხაზებს თავს ახვევდნენ წირვა-ლოცვას მათთვის გაუგებარ ქართულ ენაზე, ხოლო მრავალი აფხაზური გვარი იწერებოდა ქართულ ყაიდაზე (ბღაჟბა, ლაკობა, 2006, გვ. 260-264).

ავტორებს საქმე ისე გამოჰყავთ, თითქოს 1877 წლამდე აფხაზეთში არასოდეს ეცხოვროთ ეთნიკურად ქართველი კოლხების, სვანო-კოლხების, მისიმიანების (მუშვანების, ანუ სვანების), სანიგების, კოლებისა და სხვა ტომებს; თითქოს პირველი და უძველესი უდავოდ აფხაზური წარმოშობის ტოპონიმები მხოლოდ XVI საუკუნიდან არ დასტურდებოდეს წყაროებში; თითქოს XVIII საუკუნემდე აფხაზეთის ტერიტორიის მინაზე მხოლოდ ქართული გვარები არ იხსენიებოდეს; თითქოს არ არსებობდეს რუსული ისტორიის მამად წოდებული ვასილი ტატიშჩევის (1686-1750 წწ.) პირდაპირი ცნობა, აფხაზეთი იესება ყუბანელებითო, ხოლო XV საუკუნის შემდგომ შედგენილ ევროპულ რუკებზე სოხუმის აფხაზური სახელი აყვა არ ერქვას ჩრდილოეთ კავკასიის ერთ დასახლებულ პუნქტს; თითქოს ზღვისაგან და საკვებად თევზეულის გამოყენებისაგან აფხაზთა წინაპრებს შორს არ ეჭირათ თავი; თითქოს 1864 წელს ქართველებმა დაიპყრეს აფხაზეთი, სამჯერ მოუწყვეს გენოციდი და განდევნეს აფხაზეთიდან ათასობით აფხაზი; თითქოს ქართველებმა გადაანაწილეს აფხაზები ორ რეზერვაციაში,

დატოვეს აფხაზებისათვის აკრძალული ზონა, სადაც ჯიქეთის ტერიტორიასთან ერთად დაასახლეს ათასობით შორიდან მოყვანილი კოლონისტი; თითქოს მათვე მოიფიქრეს გამარუსებელი საგანმანათლებლო სისტემა, რომელსაც რატომღაც დღესაც „აფხაზურ სკოლას" უწოდებენ, რეალურად კი აფხაზ მოსწავლეებს აჩვევს სხვის ენაზე ფიქრს და უნგრევს ეთნიკურ იდენტობას და ა.შ.

ზემოთ დასახელებული ხერხებია გამოყენებული ო. ბღაუბასა და ს. ლაკობას სახელმძღვანელოს ყველა სხვა ნაწილშიც. ამგვარი მრუდე სარკით და სიძულვილის გაღვივებით ყალიბდება ტრავმული ხსოვნის ახალი რედაქცია აფხაზ და სხვა ეროვნების მოსწავლეებს შორის. შეიძლება ითქვას, რომ ანტიქართულობით გაჟღენთილი ტრავმული ხსოვნა აერთიანებს ამჟამად აფხაზეთის აფხაზთა დიდ ნაწილს და მის პოზიტიურად შეცვლას დიდი დრო დასჭირდება.

შევადაროთ ბღაუბა-ლაკობას ამ ქცევას აფხაზურ საგმირო ფოლკლორში ასახული XIX საუკუნის აფხაზთა მიდგომა იმავე მუჰაჯირობისა და რუსი დამპყრობლების წინააღმდეგ მებრძოლ ეროვნულ გმირთა მიმართ. ცნობილ ფოლკლორისტს სერგეი ზუხბას აფხაზური ფოლკლორის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოში დასახელებული ჰყავს ასეთი ეროვნული გმირები, რომლებიც შეუპოვრად იბრძოდნენ რუსეთის იმპერიის პოლიტიკის წინააღმდეგ, მადლიერმა ხალხმა კი მათ ლექსები და სიმღერები უძღვნა. რაც შეეხება მუჰაჯირობას, მას აფხაზურ ფოლკლორში უპირატესად ეძღვნება „ტანჯვის სიმღერები" და ზეპირი გადმოცემები. ს. ზუხბა წერდა:

„ამ ციკლში შემავალი ნაწარმოებები ახლოს დგანან ისტორიულ ჭეშმარიტებასთან, მაგრამ ძალზე საგრძნობია მათში საგმირო ნიშან-თვისებები. აქ წამყვანია მოთქმისა და გლოვის ხასიათის მქონე ლირიკულ-ეპიკური სიმღერები, აგრეთვე ტანჯვა-ვაების გადმომცემი გადმოცემები. აფხაზ მშრომელებს არ სურდათ თავიანთი სამოთხის სადარი სამშობლოს მიტოვება და სადმე წასვლა, მაგრამ ისინი მოალორეს. ისინი გულისტკივილით იგონებენ სამშობლო აფხაზეთს, გმობენ მათი აყრის მოთავეებს (თურქეთის სულთნის პოლიტიკის გამტარებლებს, რუსეთის ცარიზმის ჩინოვნიკებს, ადგილობრივ ფეოდალებს) - აი, ამ ამბების შესახებ თხრობაა ძირითადი შინაარსი მუჰაჯირული ფოლკლორისა. აღნიშნულ ნაწარმოებებში ისტორიული ამბები კონკრეტულადაა მოთხრობილი" (ზუხბა, 1988, გვ. 399-400. ხაზგასმა ჩვენია - თ.გ.).

აქ საყურადღებო ისაა, რომ ხალხმა ამგვარ სიმღერებს „ტანჯვის სიმღერები" დაარქვა და ეს სახელი მხოლოდ მუჰაჯირობას უკავშირდება, ანუ აფხაზთა ტრავმულ ხსოვნაში ტანჯვა-ვაება მხოლოდ დეპორტაციის პროცესის სინონიმად გაიგებოდა. ამ პროცესის ინიციატორებად კი თურქეთისა და რუსეთის ხელისუფლება და ადგილობრივი ფეოდალები იგულისხმებოდნენ. ეს

სიმღერები ეხება კონკრეტულ გმირებს, ვინც იდეალურ აფხაზებად მიაჩნდა ხალხს, მუჰაჯირობას ეწინააღმდეგებოდა და ებრძოდა რუსულ ხელისუფლებას, მაგალითად, კაც ხაბირ-იფას. ანტირუსულ-ანტითურქული განწყობაა გამოხატული სიმღერა „ოზბაქში“:

თურქებისაგან მოსყიდულმა თავადმა ოზბაქმა ჯერ რუსების წინააღმდეგ საომრად აამხედრა ხალხი, რომელმაც რუსი გენერალი მოკლა, მერე კი რაკი სამშობლოში აღარ დაედგომებოდათ რუსებისაგან მოსალოდნელი შურისძიების გამო, იმავე ოზბაქის მოწოდებით თურქეთში გადაიხვენნენ. ამ სიმღერაში მსმენელზე ძლიერ ზემოქმედებას ახდენდა ეს პასაჟი:

„თქვენი ჭირიმე, მისმინეთ, ხალხო,
ამბობენ, რუსი მოვაო ჩქარად,
გსმენიათ მათი სინდის-ნამუსი? –
დას თავისი ძმა უხდება ქმარად!“

(ზუხბა, 1988, გვ. 401)

მუჰაჯირობის თემა აფხაზურ ლიტერატურაშიც მასშტაბურად აისახა. ამ თემაზეა ბ. შინქუბას გახმაურებული რომანი „უკანასკნელი უბიხი“ და მისი ლექსი „მუჰაჯირთა იავნანა (შიშ, ნანი“)“, რომლის საფუძველზეც შთამბეჭდავი სიმღერაც დაიწერა და როცა მღერიან, ცრემლს ვერ იკავებენ მსმენელნი; ამავე თემაზეა დ. გულიას ავტობიოგრაფიული პოემა „ჩემი კერა“, ს. ჭანბას მოთხრობა „ტანჯვის სიმღერა“, მისივე დრამა „მუჰაჯირი“...

პირადად ჩვენ სამუდამოდ ჩაგვრჩა მეხსიერებაში ის გარემოება, რომ 70-80-იან წლებში აფხაზურ სოფლებში ექსპედიციების დროს ხანდაზმულთაგან ფოლკლორული ტექსტების ჩაწერის დროს, როგორც კი ვთხოვდით რომელიმე მოხუცს ამ თემაზე საუბარს, უმრავლესობა (განსაკუთრებით ქალები) კატეგორიულ უარს აცხადებდა, რადგან უმძიმდათ ამ თემაზე საუბარი, იმ ნათესავების გახსენება, ვინც მუჰაჯირობის მთელი სიმწარე გამოსცადა და სხვის ქვეყანაში აღმოჩნდა გადასროლილი, ზოგ ხანდაზმულ მამაკაცს კი, ვინც ბედავდა ამ თემაზე საუბარს, საუბრის დროს ჯერ ხმა აუთრთოლდებოდა, შემდეგ თვალები მოუწყლიანდებოდა და ცრემლებიც წასკდებოდათ ხოლმე. მათი უმეტესობა მუჰაჯირობის მთავარ დამნაშავეებად რუსეთსა და თურქეთს ასახელებდა.

მუჰაჯირობა აჭარაში მცხოვრებ აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავლების ტრავმულ ხსოვნაშიც მარკირებულია როგორც უდიდესი უბედურება, მაგრამ ისინი ამ უბედურებას ქართველ ხალხს სულაც არ მიანერენ და იციან, რომ მათი წინაპრების აფხაზეთიდან განდევნის დამგეგმავი და განმახორციელებელი რუსეთი იყო. აქაურ აფხაზებსაც არ სიამოვნებთ მუჰაჯირობის თემაზე საუბარი.

მათ გარკვეული შიშიც აქვთ ამ თემისა. ერთ-ერთმა ჩვენმა რესპონდენტმა ალექსანდრე აცანბამ გულახდილად განაცხადა 2011 წელს:

„ამაზე ჩვენ არ ვლაპარაკობთ. ჩვენებიც [წინა თაობები - თ.გ.] საერთოდ არ ლაპარაკობდნენ. არც ჩვენ ვეკითხებოდით. ისინი ძალიან დათრგუნული იყვნენ. მე ერთხელ შევეკითხე და მიპასუხეს, რომ ისინიც, უფროსი თაობა, არ კითხულობდნენ, მათთვის ეს ძალიან მტკივნეული თემა იყო“ (გვანცელაძე, ტაბიძე, თოლენდია, ჭაავა, 2011, გვ. 16).

მაშინ პირადად ჩვენც და ჩვენი თანაავტორებიც ვვარაუდობდით, რომ აჭარის აფხაზთა შორის თაობიდან თაობაზე გარდამავალი ტაბუ უარყოფითი ემოციებისაგან საკუთარი თავის, შვილებისა და შვილიშვილების დაცვის ინსტინქტის გამოხატულება იყო (გვანცელაძე, ტაბიძე, თოლენდია, ჭაავა, 2011, გვ. 16). ამ აზრს დღესაც ვიზიარებთ. დამატებით კი იმასაც აღვნიშნავთ, რომ აფხაზეთის აფხაზებმა, განსაკუთრებით ინტელიგენციამ არ დაიცინყა მუპაჯირობის სიმწარე, მაგრამ მათ ტრავმული ხსოვნის საფუძვლად მუპაჯირობის ტრაგედიის ქართველებისათვის გადაბრალება ამჯობინეს.

ტრავმული ხსოვნის ანტიქართული ელემენტი გააღრმავა 1992-1993 წლების ომმა, რომელმაც დიდი მსხვერპლი და ბევრი ტრაგედია მოუტანა აფხაზებსაც და ქართველებსაც, ხოლო აფხაზეთელ ქართველთა უმრავლესობა დევნილებად აქცია. ბუნებრივია, ომის მიმდინარეობის დროს საომარ ტერიტორიაზე მცხოვრებ ნებისმიერ ადამიანს უჭირს ობიექტურობის შენარჩუნება და ყველა თავისიანი მართალი ჰგონია, ხოლო მეორე მხარეს მდგომნი - პირსისხლიანი მტრები. ასე იყო აფხაზეთშიც 1992-1993 წლებში.

ქართველებისადმი ტრადიციული ნორმალური დამოკიდებულება პირველად სერიოზულად შეიცვალა 1905-1907 წლების რევოლუციის დროს, რასაც მრავალი დოკუმენტი ადასტურებს. ჩვენი აზრით, ამ მხრივ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 1907 წლის 27 აპრილს გამოქვეყნებული რუსეთის იმპერატორის განკარგულების საფუძველზე აფხაზი ხალხისათვის „დამნაშავე ხალხის“ სტატუსის ოფიციალურად მოხსნამ და იმპერიის იდეოლოგთა მიერ მათთვის ჩანერგილმა „მტკიცებამ“, თითქოს რევოლუციაში ქართველების აქტიური მონაწილეობა მიზნად ისახავდა არა სოციალური უსამართლობის მოსპობასა და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლებას, არამედ „აფხაზების ამოწყვეტასა და მათი მიწის მისაკუთრებას“ (ვრცლად იხ.: ნარკვევები..., 2007, გვ. 276-278). ჩანს, ამან ხელი შეუწყო აფხაზთა შორის ტრავმული ხსოვნის გადამისამართებას ქართველებისადმი უნდობლობის გაღვივების გამო. ამ მხრივ ასევე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 1921 წლიდან კომუნისტების მიერ გატარებულმა ნამქეზებლურმა პოლიტიკამ და სკოლამ, რომელიც აფხაზთა

თაობებს 70 წლის განმავლობაში უნერგავდა იმ აზრს, რომ აფხაზეთი მუდამ იყო მხოლოდ აფხაზების სამშობლო, ხოლო ქართველები იქ არ ცხოვრობდნენ, რაც რეალობას არ შეეფერება.

1992-1993 წლების ომით მთლიანად ანტიქართულად გარდაქმნილი ტრავმული ხსოვნა რელიეფურად არის ასახული აფხაზთა სამეტყველო პრაქტიკაშიც: მასმედიაში, მხატვრულ და სამეცნიერო ლიტერატურაში, სასკოლო და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებში, სოციალურ ქსელებში და ა.შ.

ქვემოთ წარმოვადგენთ მრავალისმეტყველ ენობრივ ფაქტებს ისეთი ნიგნიდან, რომლის მიზანი აფხაზურ-ქართულ ურთიერთობათა შესახებ რაიმე პოზიციის გამოხატვა საერთოდ არ უნდა ყოფილიყო. საქმე ეხება აფხაზურ-რუსულ ლექსიკონს, რომელიც შეადგინა აფხაზური ენის ბრწყინვალედ მცოდნემ, გამორჩეული დონის ლექსიკოლოგმა, პროფესორმა ვლადიმირ კასლანძიამ (1938-2017 წწ.). ჩვენ მას არა მარტო პირადად ვიცნობდით, არამედ 80-იანი წლების ბოლოს ერთობლივად ვმუშაობდით მისი აფხაზურ-ქართული ლექსიკონის რედაქტირებაზე (მოიცავდა 30 ათასზე მეტ სიტყვას, მას უნდა დართოდა პირადად ჩვენ მიერ ქართულ ენაზე დაწერილი აფხაზური ენის გრამატიკული მიმოხილვა), მაგრამ უკვე გამზადებული ნიგნის დაბეჭდვა ვერ მოესწრო 1989 წელს გამწვაებული პოლიტიკური პრობლემების გამო. ვ. კასლანძიას ჰქონდა კეთილი დამოკიდებულება ქართველი ხალხისა და ქართული კულტურისადმი. მან ნიუანსებში იცოდა ქართული ენაც, მაგრამ 1992-1993 წლების ომმა პოლარულად შეცვალა ამ ადამიანის დამოკიდებულება ქართველი ხალხის მიმართ: ომს შეეწირა მისი ვაჟი ბესლანი (ბესიკი), ვლადიმირიც იარაღით ხელში იდგა იქითა მხარეს. ვაჟის დაღუპვის დარდს გადაჰყვა ვლადიმირის მეუღლე ჯულიეტაც. ამ დიდმა ოჯახურმა ტრაგედიამ რადიკალურად შეცვალა ვ. კასლანძია, რაც მკაფიოდ ჩანს მის ლექსიკონში. კერძოდ, ამ ნაშრომში მკითხველს თვალში ხვდება ომთან და აგრესიასთან დაკავშირებული ილუსტრაციების დიდი სიჭარბე (ამონერილი მაგალითების საერთო მოცულობა A4 ფორმატის 12 გვერდს შეადგენს), ქვეტექსტური მინიშნებები ქართველთა აგრესორობაზე. მასალის სიდიდის გამო წარმოვადგენთ ტიპური მაგალითების მცირედ ნაწილს ლექსიკონის პირველი ტომიდან. მასალა პირობით იყოფა შემდეგ ჯგუფებად:

1. ის სიტყვები, რომელთა სემანტიკა მხოლოდ ომსა და აგრესიას უკავშირდება. ილუსტრაციებიც სწორედ ომისა და აგრესიის კონტექსტს შეიცავს, რაც სრულიად ბუნებრივი და ლოგიკურია (ამგვარი ლექსიკა უკლებლივ ყველა ენას მოეპოვება). ეს ლექსიკა აღნიშნავს ისეთ ცნებებს, როგორიცაა: *ომი, ბრძოლა, სროლა, იერიში, თაედაცვა, დამიზნება, მოკვლა, დაჭრა, აფეთქება, ტყვია, იარაღი,*

თოფი, ტანკი და მრავალი სხვა. შესაბამისად, როცა ასეთ ცნებათა აღმნიშვნელ სიტყვებს ორივე ენაზე, აფხაზურადაც და რუსულადაც ახლავს ტიპური საილუსტრაციო ფრაზები, ეს ავტორის ჩვეულებრივი ლექსიკოგრაფიული ქცევაა და თავსდება აკადემიზმის ფარგლებში. ამ მიზეზის გამო აქ არ დავასახელებთ შესაბამის მაგალითებს.

2. გამოიყოფა ის აფხაზური პოლისემიური სიტყვები, რომელთა ერთზე მეტი მნიშვნელობიდან ერთ-ერთი გულისხმობს ომსა და აგრესიას, მაგრამ ეს უკანასკნელი სემანტიკა არ არის ძირითადი. ლექსიკონში ეს მნიშვნელობა წარმოდგენილია ძირითად მნიშვნელობათა შემდგომ და ილუსტრირებულია ლექსიკოგრაფიული წესების სრული დაცვით, რაც ბუნებრივია. არც ამ ჯგუფის მაგალითებს დავიმოწმებთ.

3. აკადემიზმის ჩარჩოებში ვერ თავსდება ის უამრავი შემთხვევა, როცა: ა. სიტყვა მონოსემანტიკურია და უკავშირდება როგორც მშვიდ რეალიებს, ისე ომსა და აგრესიას, მაგრამ ილუსტრაციებად შერჩეულია მხოლოდ ომის, ან აგრესიის ამსახველი ფრაზები; ბ. სიტყვის ერთზე მეტი მნიშვნელობიდან მხოლოდ ერთი არაძირითადი მნიშვნელობა გულისხმობს ომსა და აგრესიას, მაგრამ ლექსიკონში ეს მნიშვნელობა ძირითადი მნიშვნელობის წინ არის გადატანილი. ეს იმას ნიშნავს, რომ ავტორი უპირატესობას ომისა და აგრესიის სემანტიკას აძლევს. დავასახელებთ ტიპურ მაგალითებს:

სიტყვა **Авиация**-ს ლექსიკონში ახლავს ერთადერთი ილუსტრაცია: **аратә авиациа** „სამხედრო ავიაცია“ (კასლანძია, 1, 2005, გვ. 53), ავიაცია კი შეიძლება იყოს სამგზავრო, სამედიცინო, ხანძარსაწინააღმდეგო და ა.შ.

სიტყვა **Аҕьырак** „ოდნავ მეტი, უმეტესი„ ილუსტრირებულია ერთადერთი ნინადადებით: **аиҽахысраан аҕа ируаа раҕьырак тахеит** „სროლის დროს დაიღუპა მტრის ჯარისკაცთა უმეტესობა“ (კასლანძია, 1, 2005, გვ. 62). ლექსიკოგრაფთა უმეტესობა ალბათ მოიფიქრებდა ნეიტრალური კონოტაციის ილუსტრაციას, ვთქვათ ასეთს: გაკვეთილს ესწრებოდა მოსწავლეების უმეტესობა.

Аилкаанца „ნარკვევი“ სიტყვის გამოყენების ორი ტიპური მაგალითიდან პირველად დასახელებულია **аратә аилкаанца** „სამხედრო ნარკვევი, ნარკვევი სამხედრო თემაზე“ (კასლანძია, 1, 2005, გვ. 83).

Аиҧхара ზმნის სემანტიკაა „ერთ-ერთის სიკვდილი„. ავტორს პირველ მაგალითად მოჰყავს ფრაზა: **ҽыцьа аишьцәа ыҟан, еиҧхеит, аихабы дтахеит** „იყო ორი ძმა, მათგან უფროსი დაიღუპა“ (კასლანძია, 1, 2005, გვ. 122).

Аицацара I-ის ამოსავალი მნიშვნელობაა „დამწნილება", ამჟამად კი იგი მეორეულად გამოიყენება თოფის გატენის, აკუმულატორის, ფოტოაპარატის, მობილური ტელეფონისა და მისთანათა დამუხტვის აღსანიშნადაც. ლექსიკონში ჯერ მეორეული მნიშვნელობები და მათი ილუსტრაციებია მოცემული, მერე კი თავდაპირველი სემანტიკა: 1. **ашәакь аицацара** „თოფის გატენა"; 2. **аккумулиатор аицацара** „აკუმულატორის დამუხტვა". 3. **аныша аицацара** „კიტრის დამწნილება". განმარტება მე-3 მნიშვნელობით უნდა დაწყებულიყო, რადგან სწორედ ისაა ამოსავალი სემანტიკა (კასლანძია, 1, 2005, გვ. 173).

ასევეა **А-бжьыхра** II-ს შემთხვევაშიც. ამ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობაა „გაფუჭება, წახდენა", მომდევნო მნიშვნელობაა „ქალწულობის დაკარგვინება" და ბოლო - „რისამე მოშლა ვინმეს მიერ". ლექსიკონში კი პირველად თოფის მოშლის სემანტიკაა წარმოდგენილი: **ашәакь бжьихит, апатрона ҭалазом** „მან თოფი მოშალა, ვაზნა აღარ შედის" (კასლანძია, 1, 2005, გვ. 240).

სიტყვა **А-кәблаара** „გადაწვა, ფერფლად ქცევა" ასეთი თანმიმდევრობითაა ილუსტრირებული: **аҕа хҟытакәеи, хақалақьқәеи ыкәиблаait** „მტერმა ჩვენი სოფლები და ქალაქები გადაწვა, ფერფლად აქცია". **абна ыкәарыблаait** „ტყე გადაწვეს" (კასლანძია, 1, 2005, გვ. 548).

სიტყვა **Аазара** II-ის მე-2 მნიშვნელობა - „გარკვეულ ადგილამდე მოღწევა" სწორადაა გამოყოფილი, მაგრამ სავალდებულო სრულებით არ იყო ამგვარი წინადადებით მისი ილუსტრირება: **аҕа хақалақь акынзаҕы даазеит** „მტერმა ჩვენს ქალაქამდეც მოაღწია" (კასლანძია, 1, 2005, გვ. 24) და მრავალი სხვა.

4. ამ ჯგუფში შედის ის სიტყვები, რომელთა ტიპურ რეალიზაციათა აბსოლუტურ უმრავლესობას არა აქვს ომისა და აგრესიის სემანტიკა, მაგრამ განსამარტავად დაძებნილია მაინცდამაინც ისეთი კონტექსტი, რომელიც სწორედ ომსა და აგრესიას უკავშირდება, კერძოდ, ფრაზათა სუბიექტები ჯარისკაცები და მტრები არიან, მოქმედების ქრონოტოპი (დრო და ადგილი) ომთანაა კავშირში, მოქმედების ინსტრუმენტები საომარი იარაღი და ტექნიკაა და ა.შ.:

სიტყვა **Аакынҵаара** ნიშნავს „სწრაფად ჩამოხსნას". ლექსიკონში მას ახლავს მაინცდამაინც თოფთან დაკავშირებული ერთადერთი ილუსტრაცია: **ишәакь аакынҵааны, адәахьы дындәылкьеит** „სწრაფად ჩამოხსნა [კედლიდან] თავისი თოფი და გარეთ გავარდა" (კასლანძია, 1, 2005, გვ. 29).

Аафнеибахәара „მრავლის სწრაფად შეცვენა შენობაში" ასევე ერთადერთი სამხედრო თემაზე მიმთითებელი ფრაზითაა ილუსტრირებული: **аруаа иреиуаз**

цьоукы еикәныҳ аҩны иааҩнеибахәеит „ვიღაც შეიარაღებული სამხედროები შემოცვივდნენ სახლში“ (კასლანძია, 1, 2005, გვ. 49-50). საილუსტრაციოდ შეიძლებოდა თუნდაც ბავშვების სახლში შემოცვენა დასახელებულიყო.

ზმნა **Аибаргылара**-ს პირველი მნიშვნელობის საილუსტრაციო ფრაზის სუბიექტები დაჭრილები არიან: **ахәцәа еибаргылеит** „დაჭრილებმა ერთმანეთი ნამოაყენეს“ (კასლანძია, 1, 2005, გვ. 71). აკადემიური იქნებოდა სუბიექტებად ბავშვები, სპორტსმენები, მოხუცები, ან ინვალიდები დასახელებულიყვნენ.

სიტყვა **Ганрацәала** „მრავამხრივად“ სრულებით არ მოითხოვს მის გამოყენებას ომის კონტექსტში, მაგრამ ლექსიკონში წერია: **ашәкәыҩны аибашьра ахтыскәа ганрацәала ихартәааны иааирҧшит** „მწერალმა ომის ამბები მრავალმხრივად და სრულად წარმოაჩინა“ (კასლანძია, 1, 2005, გვ. 71) და მრავალი სხვა.

5. ბევრი სიტყვის ილუსტრაციები რეალურად სამხედრო და პოლიტიკური პროპაგანდისათვის დამახასიათებელი ლოზუნგ-სლოგანებია. მაგალითად:

Аҙәызаҵәык „ერთადერთი“ ასეა ილუსტრირებული: **аҙәызаҵәык дызмазҭы Аҧсадгъыл ахьчара ирышьтит** „იმათაც კი, ვისაც ერთადერთი [ვაჟი] ჰყავდა, ისინი [ვაჟები] სამშობლოს დასაცავად გაგზავნეს“ (კასლანძია, 1, 2005, გვ. 467).

Аидгылара II „ერთობა, ერთიანობა“. **ари ажәлари реидгылара** „ჯარისა და ხალხის ერთიანობა“ (კასლანძია, 1, 2005, გვ. 83).

წყენის გამომხატველი შორისდებული **Анаџьалбеит** ასეა ილუსტრირებული: **анаџьалбеит, иахдәыҙрыма ҳаҧсадгъыл!** „ნუთუ დავკარგავთ ჩვენს სამშობლოს!“ **анаџьалбеит, ара узлатәоузеи, Аҧсадгъыл ашәартара иштагылоу умбазои?** „უჰ, აქ რას უზიხარ, ვერ ხედავ, რომ სამშობლო საფრთხეშია?“ (კასლანძია, 1, 2005, გვ. 192).

[А-зеиҧшзаара] „რისამე საერთოობა“: **ари адгъыл зегьы иахзеиҧшуп, уи ахьчарагьы зегьы иахуалҧьоуп** „ეს მიწა ყველა ჩვენგანისაა, მისი დაცვაც ყველა ჩვენგანის ნმინდა ვალია!“ (კასლანძია, 1, 2005, გვ. 415).

А-зеиқәырхара „ვინმეს მიერ რამის გადარჩენა სხვისთვის“: **ҳара ҳҷар ҳаҧсадгъыл ҳзеиқәдырхеит** „ჩვენმა ახალგაზრდებმა გადაგვირჩინეს სამშობლო“ (კასლანძია, 1, 2005, გვ. 414).

[А-зхиазаара] „მზადყოფნა“: **аибашьра ҳтахым, аха аибашьра ҳазхиоуп!** „ომი არ გვსურს, მაგრამ საომრად მზად ვართ!“ (კასლანძია, 1, 2005, გვ. 424) და სხვა.

6. ლექსიკონში საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როცა ტრაგიზმის ხაზგასასმელად და გასაძლიერებლად ნეიტრალური კონოტაციის

საილუსტრაციო ფრაზაში ჩართულია აგრესიული კონოტაციის მქონე, ან ომთან დაკავშირებული სიტყვები, რომლებიც სავალდებულო სულაც არ იყო. ასეთი ხელოვნური ჰიპერბოლიზაციის მაგალითებში არცთუ იშვიათად უხეში სიტუაციებია წარმოდგენილი:

Аиҧцәара „ორად გაჭრა, შუაზე გაჩეხვა“: **ҟамала деиҧитәеит** „მან (მამაკაცმა) ის (ადამიანი) ხანჯლით ორად გადაჭრა, შუაზე გაჩეხა„ (კასლანძია, 1, 2005, გვ. 182).

А-зынхара „ვინმესთვის რამის შერჩენა“: **ичҟәынцәа азә иоуп изынха, егьырт аибашьраҧы итахеит** „მას ერთადერთი ვაჟი შერჩა, დანარჩენები ომში დაიღუპნენ“ (კასლანძია, 1, 2005, გვ. 433).

-Ҟәыҟәма-шәыкәмаха „მარტოკა და საბრალოდ“: **атакәажә дҟәыҟәма-шәыҟәмаха итахаз лыҷкәын ипатрет кны дтәоуп** „დედაბერი ზის მარტოკა და საბრალოდ, ხელში დაღუპული ვაჟის ფოტოსურათი უჭირავს“ (კასლანძია, 1, 2005, გვ. 577).

А-лажьра „რამეში რისამე ჩაყრა“: **ажәлар абомбақәа рыларыжьит** „ხალხს ბომბები დააყარეს“ (კასლანძია, 1, 2005, გვ. 610). .

А-лаҧжәара I „შიგ აფეთქება“: **ажәлар алаҧәым рылаҧижәеит** „მან (კაცმა) ხალხში ყუმბარა ააფეთქა“ (კასლანძია, 1, 2005, გვ. 618).

А-мпыцаҧсра „სხვის ხელში სიკვდილი, ხელში ჩაკვდომა“: **аруаҩы иҩыза дшикыз димпыцаҧсит** „ჯარისკაცს მეგობარი ხელში ჩააკვდა“ (კასლანძია, 1, 2005, გვ. 687) და სხვა.

7. ლექსიკონის ავტორი ხშირად თავის თავს, ან საკუთარი ოჯახის წევრებს გულისხმობს ომის მსხვერპლად. რეალურად პირადად ვ. კასლანძიას ვაჟიც, მეუღლეც და თვითონ ვ. კასლანძიაც ნამდვილად გახდნენ რუსეთ-საქართველოს ომის აფხაზეთის ეპიზოდის მსხვერპლნი და ამაში დამნაშავენი არიან არა მარტო რუსული იმპერიული ხელისუფლება, არამედ არძინბასა და შევარდნაძის პრორუსულად განწყობილი კლანებიც და ის „მეცნიერებიც“, ვინც დღემდე არ იშლის პროვოკაციულ საქმიანობას:

Аицтахара „ერთად დაღუპვა„: **ҳаҷкәынцәа аибашьраҧы еицтахеит** „ჩვენი ვაჟები ომში ერთად დაიღუპნენ„ (კასლანძია, 1, 2005, გვ. 164).

А-бомба „ბომბი“: **аибашьраан ҳаҩны абомба акәҳаит** „ომის დროს ჩვენს სახლს ბომბი დაეცა“. **ҳакалақь абомбақәа аларыжьит** „ჩვენს ქალაქს ბომბები დაუშინეს“ (კასლანძია, 1, 2005, გვ. 252).

А-зеиқәырхара „სხვისთვის რისამე გადარჩენა“: **аибашьраан сгәыла снапҳыракәа зегьы сзеиқәлырхеит** „ომის დროს მეზობლის ქალმა ჩემი ყველა ხელნაწერი გადამირჩინა“ (კასლანძია, 1, 2005, გვ. 414) და სხვა.

თუ დავაკვირდებით მოყვანილ მაგალითებს, ცხადად დავინახავთ, თუ რა უმძიმესი ტრაგედია დაატრიალა რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის იდეოლოგიურმა აპარატმა აფხაზი ხალხის თავს: „დაყავი და იბატონეს“ პრინციპზე აფხაზი ხალხის კოლექტიურ მეხსიერებაში ჩანერგილმა ისტორიულად დაუსაბუთებელმა რწმენამ აფხაზეთის ტერიტორიაზე მხოლოდ აფხაზთა ავტოქთონობის შესახებ, ყალბმა მითოლოგემებმა ქართველთა მიერ აფხაზთა გაქართველების მცდელობების, აფხაზური ენისა და კულტურის დევნის შესახებ, რეალური მტრის სახის მიჩქმალვამ და ქართველების ერთადერთ მტრად გააზრებამ აფხაზთა შორის კატასტროფული მასშტაბი მიიღო. ელადიმირ კასლანძიას პრეცედენტი სამწუხარო, ფრიად დამაფიქრებელი, მტკივნეული და საგანგაშოა: მეცნიერ და პედაგოგ კაცს, რომელსაც ქართველებთან ნორმალური პირადი და საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა, უყვარდა ქართული ენა, პატივს სცემდა ქართულ კულტურას, ომმა ხელში კალაშნიკოვის ავტომატი ააღებინა, ვაჟის დაღუპვამ კი ტრავმული ხსოვნა გაუღვივა და საკუთარი ტკივილიანი განცდები ლექსიკონში გამოახატვინა.

ერთ საკითხზეც გვსურს მკითხველის ყურადღების მიპყრობა: საზოგადოდ, ორენოვან თარგმნით ლექსიკონს, გარდა წმინდა პრაგმატული ფუნქციისა, სასწავლო ფუნქციაც აქვს: იგი უნდა გამოიყენონ არა მარტო ზრდასრულმა მკითხველებმა, არამედ ორი ენიდან ერთ-ერთის უკეთესად ცოდნის მოსურნე მოსწავლეებმა და სტუდენტებმაც. როცა ახალგაზრდა აფხაზ მკითხველს, რომელიც შეიძლება დაბადებულიც არ იყო 1992-1993 წლების ომის დროს, სკოლაში აფხაზეთის ისტორიას ასწავლიან ო. ბღაჟბასა და ს. ლაკობას სიძულვილის ენით დაწერილი ოფიციალური ანტიქართული და ტენდენციური სახელმძღვანელოთი, ასაკოვანი მშობლები და ნაცნობები უყვებიან ასევე გაზვიადებულ ამბებს „დამპყრობელი ქართველების მოძალადეობის„ შესახებ და რუსული ენის შესწავლის მიზნით წაკითხული ლექსიკონიც ქართველებს ასევე მტრებად წარუდგენს, ახალგაზრდა მკითხველის ლაბილურ და მალემრწმენ გონებაში მტკიცე პოსტულატად ჩაიჭედება, რომ აფხაზეთი მართლაც მხოლოდ აფხაზებისა ყოფილა, ქართველები კი სადისტები, მოძალადეები და სხვისი მიწის მიმთვისებლები. ასე გაზრდილ აფხაზ ახალგაზრდას გაუძნელდება თავის ქართველ თანატოლებთან საერთო ენის გამოძებნა, მტრული განწყობა კი კიდევ უფრო გაღრმავდება.

ნაწილი II
აფხაზური ენის მდგომარეობა აფხაზთა და ქართველთა თვალით
(საველე მასალა და მისი ანალიზი)

§1. თბილისში მცხოვრები აფხაზების ენობრივი ისტორიები

შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ მხარდაჭერილი საგრანტო პროექტის (OTG-I-19-1128) ერთ-ერთი მიზანი იყო ინტერვიუს გზითაც და კითხვარების გამოყენებითაც ჩაგვეწერა საქართველოში მცხოვრებ აფხაზთა და ქართულ-აფხაზური ოჯახების წარმომადგენელთა შეხედულებები აფხაზური ენის ფუნქციონირებისა და ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ. წინამდებარე ნაშრომის ამ ნაწილში გავაანალიზებთ პირდაპირი კითხვებით ჩაწერილ ინტერვიუებს, რომლებშიც ასახულია თბილისში მცხოვრები აფხაზი ქალბატონების ენობრივი ისტორიები. რესპონდენტთა ნაწილი დევნილია, ხოლო - ნაწილს ომამდე დიდი ხნით ადრე შეუქმნია აქ ქართულ-აფხაზური ოჯახი.

ჩვენი რესპონდენტებიდან ი.ო. დედითაც და მამითაც აფხაზია, ინტერვიუს ჩაწერის დროს ლაპარაკობდა ქართულად;

შ.ფ. - დედით ქართველი, გვესაუბრებოდა რუსულად;

ლ.ა. - დედით ქართველი, მეტყველებდა ქართულად;

ი.კ. - დედით ქართველი, საუბრობდა ქართულად და რუსულად.

ი.ო. და შ.ფ. გუდაუთის რაიონის სხვადასხვა სოფლიდან არიან, ლ.ა. - სოხუმის რაიონიდანაა, ი.კ. კი - ოჩამჩირის რაიონიდან. ოთხივენი ქართველების მეუღლეები არიან.

საკვლევი მასალა დაყოფილია შემდეგ საკითხებად.

წინაპრებისა და ოჯახის ენობრივი გარემო:

ი.ო.: „ჩემმა წინაპრებმა მარტო აფხაზური იცოდნენ. რუსულიც იცოდნენ კარგად, მაგრამ ჩვენთან ოჯახში და, საერთოდ, სულ აფხაზურად ვლაპარაკობდით. ბაბუამ რუსული იცოდა, მაგრამ ლათინური - უფრო, სახლში ისწავლა. თურქეთშიც დადიოდა და თურქული იცოდა, წერდა თურქულად

არაჩვეულებრივად. მერე რუსული დასჭირდა. კომუნისტები რომ შემოვიდნენ, კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილე გახდა. ესეც შეგნებულად, სპეციალურად გააკეთა, რომ სხვა გზა არ იყო, თორემ წაართმევდნენ ყველაფერს და მაშინ ისწავლა რუსული".

შ.ფ.: „მამაჩემი 1911 წელს დაიბადა. მისი მამა ძალიან ადრე გარდაიცვალა, 1917 წელს, მამა მაშინ 6 წლის იყო. ბიძამ ის და თავისი შვილი სოხუმში წაიყვანა, მაშინ იყო მთიელთა სკოლა [ამჟამინდელი სოხუმის მე-10 საშუალო, ე.წ. აფხაზური სკოლა - რედ.]. ამ სკოლაში მათ აფხაზური ენის გარდა, სხვა ენა არ იცოდნენ, ეს იყო 20-იანი წლები. მერე, მგონი, პედაგოგიური ტექნიკუმი დაამთავრა. ის პარტიული მუშაკი იყო. მამა სკოლაში რომ წავიდა, მხოლოდ აფხაზური იცოდა, მერე რუსული, ქართული და მეგრულიც ისწავლა. მეუღლეც ქართველი, მეგრელი ჰყავდა. სიდედრიც მეგრელი ჰყავდა. მასთან მეგრულად უწევდა საუბარი. მამა ოჯახში აფხაზურად არ საუბრობდა, დედამ ხომ აფხაზური არ იცოდა და რუსულად საუბრობდნენ ძირითადად.

მთელი არდადეგები სოფელში, ლიხნში ვიყავით. ბებიამ აფხაზურის გარდა სხვა ენა არ იცოდა, ადრე მეგრული იცოდა. ძველი ხალხი, ზოგადად, ასე იყო. უფრო მეგრული და აფხაზური იცოდნენ ოჩამჩირის რაიონისკენ, გუდაუთაში - არა. იქ იყვნენ ბიძები, დეიდები და სხვა ნათესავები, უფროსი თაობა, მეც უკვე უფროსი თაობა ვარ, მაგრამ მაშინ მათ მხოლოდ თავიანთი აფხაზური იცოდნენ. რუსული მამიდამ იცოდა, სხვებმა - არა, ამიტომ მე და ჩემმა და-ძმებმა აფხაზური იქ ვისწავლეთ. ის აფხაზური ვისწავლეთ, რომლებსაც ხალხი ლაპარაკობს და არა ის გრამატიკული, რომელიც ახლა ტელევიზიით ისმის. ზოგჯერ მესმის, მაგრამ როგორც უბრალო ხალხი საუბრობდა, ჩვენც ისე ვსაუბრობდით".

ლ.ა.: „ბაბუაჩემი თვლიდა თავს მაჰმადიანად. ის არ იყო მოლა, მაგრამ მას ჰქონდა ყურანის წაკითხვის უფლება. ბაბუაჩემის გარდაცვალების შემდეგ ბებიაჩემს მონაწილეობის უფლება ჰქონდა უხუცესთა შეკრებაში იმიტომ, რომ ბებიაჩემი ითვლებოდა ძალიან ბრძენ ადამიანად. მას არ ჰქონდა განათლება, მხოლოდ ხელის მოწერა შეეძლო. ნონსენსია, მისი ძმა აზიზ აგრბა იყო დამსახურებული არტისტი საბჭოთა კავშირის, საქართველოს, აფხაზეთის და ბებიამ წერა-კითხვა არ იცოდა. ბაბუაჩემი იყო საკმაოდ განათლებული ადამიანი, მაგრამ რა დონეზე იყო ეს განათლება, ვერ გეტყვით. რუსული იცოდა, ქართული და მეგრული - არა. ესენი მაინც გუდაუთელ აფხაზებად ითვლებოდნენ და არა...

მამის მხრიდან ბაბუაჩემის ოჯახში საუბრობდნენ მხოლოდ აფხაზურად, ბებიაჩემმა რუსული იცოდა საკმაოდ ცუდად. მამაჩემის მამიდამ რუსული

კარგად იცოდა, მაგრამ მაინც იმ ოჯახში საკომუნიკაციო ენა იყო აფხაზური. მამაჩემის და-ძმები (სამი და და სამი ძმა), სულ ექვსნი იყვნენ, ერთმანეთში საუბრობდნენ აფხაზურად, მაგრამ მამაჩემის ძმებს და მამაჩემს, არცერთს არ ჰყავდა აფხაზი ცოლი, ორ ძმას ჰყავდა რუსი მეუღლეები, მამაჩემს ჰყავდა ქართველი მეუღლე, ანუ შესაბამისად, უკვე ჩვენს თაობაში ჩვენ მხოლოდ აფხაზურად კომუნიკაცია არ გვქონდა. დედაჩემთან კომუნიკაცია მქონდა ქართულად, მამაჩემთან - ნაწილობრივ - აფხაზურად, უფრო - რუსულად, ეს იქ ჩვეულებრივი ამბავი იყო. ჩემი ბიძების ოჯახებში მხოლოდ რუსულად საუბრობდნენ იმიტომ, რომ არცერთმა ცოლმა (ერთი იყო რუსეთიდან - რუსი, მეორე - აფხაზეთელი, რუსი) აფხაზური არ იცოდა. დედაჩემს აფხაზური ესმის, მაგრამ ვერ მეტყველებს.

ჩემს ოჯახში არ მახსოვს, მამაჩემს თავის ძმებთან რუსულად ელაპარაკა. თუ უნდოდათ, რაღაცა არ გაგვეგო, იმიტომ, რომ ბავშვებმა, ასე თუ ისე, ყველამ ვიცოდით აფხაზური (ზოგი ვერ ლაპარაკობდა, მაგრამ ესმოდა), გადადიოდნენ ხანდახან თურქულზე. ბიძაჩემმა ძალიან კარგად იცოდა თურქული, იმიტომ რომ ბევრი წელი მოღვაწეობდა თურქეთში, 20 წელი იყო აფხაზეთის წარმომადგენელი თურქეთში, მამაჩემმაც იცოდა რაღაც-რაღაცები. საიდუმლოს ჩუმად ამბობდნენ თურქულად„.

ი.კ.: „ომის მერე ბაბუაჩემი რო დაბრუნდა, მეორე ცოლი მოიყვანა და ის იმ ცოლთან ცხოვრობდა, ამიტომ მოხდა, რომ აფხაზურად რომ ისწავლოს. ისიც კიდო ბავშვობიდან აფხაზებთან იზრდებოდა. ეტა უჟე ნაზივაეტსია ასიმილაცია, პანიმაეშ, სოფო. ზდეს კაგდა მი გავარიმ ა ნაციანალნასტი, ია პროსტა ნე ხაჩუ ზატრაგივატ, პატამუ ჩტო დლია მენია ნეტ ნაციანალნასტი, ნე შუსიტვუეტ. ვსე ლუდი რავნიე. ია ი მოი ატეც ვირასლი სრედი აბხაზცევ, დლია ნას გლავნაე, ეტა ანი. ზდეს ჩტო? ია ზდეს ბეჟენკა, ია ზდეს ჩუჟაია[30].

ბაბუაჩემიც კიდე აფხაზურად ლაპარაკობდა. მამაჩემი, რა თქმა უნდა, აფხაზურად ლაპარაკობდა, იმიტო რო მეგობრები ყავდა აფხაზები, მეზობელები ყავდა აფხაზი... მე სადაც ვცხოვრობდი, ყველანი ის კრუგი [წრე - ს. ჭ.] იყო აფხაზები. მამა გვარით იყო მეგრელი, წარმოშობით მარტვილიდან. ოჯახში მარტო აფხაზურს ვიყენებდით, მეგრულს - არა“.

30. „ამას უკვე ასიმილაცია ეწოდება, გესმის, სოფო? როცა ჩვენ აქ ეროვნებაზე ელაპარაკობთ, მე, უბრალოდ, არ მინდა ამას [ამ თემას] შევეხო. იმიტომ, რომ ჩემთვის ეროვნება არ არის, არ არსებობს. ყველა ადამიანი თანასწორია. როცა მე და მამაჩემი გავიზარდეთ აფხაზთა შორის, ჩვენთვის მთავარნი ისინი არიან. აქ რა? მე აქ ლტოლვილი ვარ. მე აქ უცხო ვარ“.

* * *

კომენტარი: რესპონდენტები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მათი წინაპრები ერთენოვანი აფხაზები იყვნენ, რომლებმაც, მშობლიური აფხაზური ენის გარდა, სხვა ენა არ იცოდნენ. მოგვიანებით სკოლაში, ან სამსახურის საჭიროების გამო ისინი მეორე ენად უმეტესად ეუფლებოდნენ რუსულს, იშვიათად, თურქულსაც. ქართულს და მეგრულსაც სწავლობდნენ სხვადასხვა გარემოში. როგორც ინტერვიუებიდან ჩანს, მე-20 საუკუნის პირველ ათწლეულებში აფხაზური და ქართული ენები აფხაზებისთვის საოჯახო ენების ფუნქციას ასრულებდნენ, მაგრამ განათლების ენად დაწესებული რუსული ენა თანდათან იჭრებოდა ოჯახურ სივრცეში. მაგალითად, ოჯახში მხოლოდ აფხაზურად საუბრობდნენ იმ შემთხვევაში, როცა მეუღლეც (ქალბატონი) აფხაზი იყო. ჩვენი მასალიდან ჩანს, რომ აფხაზი მამაკაცები თავიანთ ქართველ, ან რუს მეუღლეებს ელაპარაკებოდნენ რუსულად. ერთ-ერთი მათგანი ქართველ ცოლს რუსულად ელაპარაკებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მან იცოდა ქართული სამწიგნობრო ენაც და მეგრულიც. მაშასადამე, იმ პერიოდში აფხაზეთში რუსული ენის ფართოდ გამოყენება ოჯახის ენობრივ გარემოზეც აისახებოდა და შვილებთან ურთიერთობის ენაც ნაწილობრივ რუსული ხდებოდა.

საინტერესოა, მესამე რესპონდენტის მიერ აღნიშნული ფაქტი ოჯახის უფროსი წევრების მიერ საიდუმლო ენად თურქულის გამოყენებისა, რათა აფხაზურის მცოდნე პატარებს არ გაეგოთ აფხაზურად ნათქვამი. ამის საპირისპიროდ, ინტერვიუერებს არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ დღეს ოჯახში უფროსი თაობის ადამიანები აფხაზურს იყენებენ საიდუმლო ენად, რომ შვილებმა, ან შვილიშვილებმა ნათქვამი ვერ გაიგონ.

განსხვავებულია მეოთხე რესპონდენტის ისტორია, კერძოდ, მრავალწლიანმა ურთიერთობამ აფხაზებთან, მათი ყოფა-ცხოვრებისთვის დამახასიათებელი ნიშნების სრულად გათავისებამ და აფხაზური ენის მშობლიურ ენად გადაქცევამ ეთნიკური თვითკუთვნილების შეცვლა გამოიწვია - წარმოშობით ქართველმა აფხაზური იდენტობა მიიღო. მას ეთნიკური იდენტობის შეცვლა, როგორც ჩანს, აწუხებს და ცდილობს, თავი აარიდოს ამ საკითხზე ფიქრს. ამის გამო აცხადებს, ეროვნება არაფერს ნიშნავსო.

დედაენა, განათლების ენა და ენობრივი კომპეტენცია:

ი.ო.: „მე აფხაზური ენით დავიბადე, „შიშ ნანისაც"[31] მიმღეროდნენ აფხაზურად. სოფელში ვცხოვრობდი და იქ სუყველა აფხაზურად ლაპარაკობდა მაშინ, ჩვენ დროს, მით უმეტეს.

31. შიშ ნანი - აფხაზური იავნანა.

სკოლაში აფხაზურს მე-4 კლასამდე[32] ვსწავლობდით. დანარჩენი ყველაფერი რუსულად იყო. ეხლაც ესე არის. თარგმნილი არა აქვთ წიგნები: ფიზიკა, მათემატიკა, ხიმია, ისტორია... სუყველაფერი არის რუსულ ენაზე.

მე ძალიან მიყვარს ჩემი ენა. სუყოველთვის ვიძახი, რომ „ღმერთმა მიშველოს მეც და ჩემ ახლობლებს, ჩემ შვილებს" - ამას ვამბობ მე აფხაზურად. ხან რუსულად ვფიქრობ, ხან ქართულად, აფხაზურად ნაკლებად. უფრო კომფორტულად რუსულად ვლაპარაკობ. მე ვცდილობ, რომ ჩემიანებს სულ აფხაზურად ველაპარაკო, ამიტომ სკაიპით, ფეისბუქით, ვაცაფით, ვაიბერით, ყოველთვის ველაპარაკები აფხაზურად.

რუსულს პირველი კლასიდანვე ვსწავლობდით, როგორც ერთ საგანს. ქართულს არ ვსწავლობდით, ასეთი არ არსებობდა. სულ ყოველთვის მაგას ვიძახი, ქართულ სკოლებში ერთი საგანი მაინც აფხაზური და აფხაზურ სკოლებში ქართული ერთი საგანი მაინც რომ ყოფილიყო, თითქოს რეაბილიტაციასავით იქნებოდა, სალაპარაკო დონეზე მაინც... მე მაინც ვფიქრობ, შეიძლება ვცდები, მაგრამ უფრო ახლოს ვიქნებოდით.

სკოლა რომ დავამთავრე, მინდოდა თეატრალური. სოხუმში იყო ჩაბარება თბილისის თეატრალურში[33]. იყვნენ აქედან ჩამოსულები ეთერი გუგუშვილი, დოდო ალექსიძე, ბუბული ნიკოლაიშვილი[34], ნათელა[35]... ძაან ბევრი ისეთი ხალხი. ერთი წელი მთელ ჯგუფს ამზადებდნენ, ვინ უნდა ჩამოსულიყო თეატრში. თორმეტი კაცი უნდა ჩამოსულიყო, მაგრამ მოვენონეთ და წამომიყვანეს მეცამეტედ. ვსწავლობდი აქ თეატრალურში, აფხაზური სექტორი იყო, სწავლება რუსულად მიმდინარეობდა. მეტყველებას გვასწვლიდა ბუბული ნიკოლაიშვილი,

32. უნდა იყოს: მე-5 კლასამდე.

33. საბჭოთა კავშირში სულ რამდენიმე თეატრალური ინსტიტუტი იყო. მათ უმრავლესობაში სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში იყო ქართული და რუსული განყოფილებები. რუსულ განყოფილებაზე გარკვეული პერიოდულობით იქმნებოდა ჯგუფები აფხაზი, ოსი, რუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი, ჩრდილოეთკავკასიელი და შუაზიელი სტუდენტებისათვის. შესაბამის რესპუბლიკებსა და ავტონომიებში. ეროვნულ ჯგუფებს კონკურსის წესით აყალიბებდნენ ადგილობრივი ეროვნული თეატრალები თბილისელ პედაგოგებთან ერთად. ეროვნულ ჯგუფებს სასცენო მეტყველებას ჩვეულებრივ 2 პედაგოგი ასწავლიდა, რომელთაგან ერთი სტუდენტთა დედაენის მცოდნე პირი უნდა ყოფილიყო. მაგალითად, 1986-1990 წლებში ინსტიტუტში არსებობდა აფხაზური, ოსური, რუსული და თურქმენული ჯგუფები. აფხაზ სტუდენტებს სასცენო მეტყველებას ასწავლიდა საქართველოს დამსახურებული არტისტი ელიზბარ კუხალეიშვილი, მასთან ერთად სტუდენტთა აფხაზურ ენაზე მეტყველების დახვენაზე მუშაობდა წინამდებარე გამოკვლევის ერთ-ერთი ავტორი, პროფ. თეიმურაზ გვანცელაძე.

34. უნდა იყოს ბაბულია.

35. იგულისხმება თეატრმცოდნე ნათელა ურუშაძე.

არაჩვეულებრივი ქალი. ასევე აფხაზი კაცი ამიჭბა[36] გვყავდა, რომელიც აქ მღეროდა ოპერაში და მეტყველებას გვასწავლიდა: სწორად ვამბობთ სიტყვას, თუ არა, ხომ არ ვამახინჯებთ. სუნთქვას და სხვას ბუბული გვასწავლიდა. ოთხი წელი ვისწავლე, მეხუთე წელიც დამჭირდა, იმიტომ რომ გავთხოვდი, აქ გავყევი ქართველს.

სოხუმის თეატრის რეჟისორი იყო ნელი ეშბა, არაჩვეულებრივი ქალბატონი. მაგ დროს ზღაპრული თეატრი იყო, ქართველები და აფხაზები ერთ თეატრში იყვნენ. ეთერი გუგუშვილი რექტორი იყო და აქ დარეკილი ჰქონია, დაქალები იყვნენ. უთხრა, უნდა გამოუშვა ეს გოგო და სპექტაკლში მთავარ როლს ვაძლევო. წამიყვანეს მოსკოვში, ვიმუშავე ერთი სეზონი, მეორე წელს კიევში ვიყავი გასტროლებზე. მითხრა ნელიმ, შენ ოფელია და დეზდემონა უნდა ითამაშოო, აფხაზურ სცენაზე უნდა მეთამაშა. მოსკოვშიც აფხაზურად ვთამაშობდით და თარგმნიდნენ. ორი წელი ვიმუშავე სტუდენტობის დროს. რომ გავთხოვდი, იმ წელს ლენინგრადის ფილმში უნდა მეთამაშა“.

შ.ფ.: „რომელია ჩემი დედაენა, ეს რთული კითხვაა. რადგან მე აფხაზი ვარ და ითვლება, რომ მშობლიური ენა აფხაზურია, მაგრამ მე საურთიერთობო ენად აფხაზეთში ვიყენებ რუსულს, აქ ვიყენებ ქართულს, ამიტომ სამივე ენა არის ჩემთვის ახლობელი, მაგრამ მშობლიური ენა აფხაზურია.

ქართული წერა-კითხვა ვიცი. ახლა ინტერვიუს დროს იმიტომ არ ელაპარაკობ ქართულად, რომ მეშინია, რამე არ შემეშალოს. შვილიშვილებთან უფრო ქართულად ვსაუბრობ. მეუღლესთან, მიუხედავად იმისა, რომ სუფთა მეგრელია, ელაპარაკობ რუსულად. შვილებთან უფრო ქართულად ელაპარკობთ, მაგრამ მეუღლე ჩემთან ყოველთვის საუბრობს რუსულად. მეუღლემ სოხუმში დაამთავრა ქართული სკოლა, ასევე თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობდა ქართულად. ბავშვები სოხუმში ქართულ სკოლაში იყვნენ და მერე აქ გააგრძელეს.

მე მავიწყდება უკვე აფხაზური და ბავშვებს - მით უმეტეს. იქ რომ დავრჩენილიყავით, გვეცოდინებოდა უკეთესად. ჩემთვის ძნელია აფხაზურად წინადადების შედგენა, მაგრამ ერთი კვირით რომ ჩავიდე აფხაზეთში, მე ისევ თავისუფლად ვილაპარაკებ აფხაზურად.

ჩემი და-ძმა აფხაზურ სკოლაში სწავლობდნენ. მეც აფხაზურ სკოლაში ვიყავი, მაგრამ თავიდან რუსულ სკოლაში ვსწავლობდი, ამიტომ აფხაზური კარგად ვერ ვისწავლე, ისინი კი სუფთად და თავისუფლად საუბრობდნენ აფხაზურად. მე

36. იგულისხმება ერთ-ერთი პირველი აფხაზი საოპერო მომღერალი (ტენორი) და ინგლისური კლასიკური ლიტერატურის აფხაზურ ენაზე მთარგმნელი, ინგლისურ-აფხაზური და ინგლისურ-აფხაზურ-რუსული სასაუბროების შემდგენელი, აფხაზეთის ასსრ სახალხო არტისტი ბორის ამიჭბა.

მეხუთე კლასის შემდეგ გადავედი აფხაზურ სექტორზე, სადაც მხოლოდ აფხაზურ ანბანს მასწავლიდნენ. ვინც პირველი კლასიდან აფხაზურ სექტორზე იყვნენ, მათ კარგად იცოდნენ აფხაზური.

1965 წელს დავამთავრე მეათე აფხაზური საშუალო სკოლა. ქალაქის სკოლაში არავინ საუბრობდა აფხაზურად. აფხაზეთში, ძირითადად, ყველაფერი რუსულად იყო და საქართველოში არ იყო ყველაფერი რუსულად? მე მახსოვს, სხდომები რუსულად იყო, მჟავანაძე და სხვები ხომ რუსულად მართავდნენ! მაშინ ყველა რუსულად საუბრობდა, სამწუხაროდ.

სოხუმში ერთი აფხაზური სკოლა იყო, ქართული კი შვიდი-რვა. ქართული სკოლები იყო: პირველი, მეხუთე, მეთერთმეტე, მეცამეტე, მეთექვსმეტე. მე-17 შერეული იყო, რუსული - ხუთი, დაახლოებით. ჩვენთან სომხური სკოლა ცალკე იყო (ერთ ეზოში იყო ქართული და სომხური სკოლები). აფხაზურ სკოლებში ქართულს, როგორც ერთ საგანს არ ასწავლიდნენ. სამი-ოთხი რუსული კლასი იყო და იქ სწავლობდნენ ქართულს. ყველა მეგობრობდა და ყველას ერთმანეთი უყვარდა, მე ამას გარწმუნებთ. სოხუმი პატარა ქალაქი იყო, ჩვენ ყველა ვმეგობრობდით, მეხუთე სკოლასთან ვმეგობრობდით, ბავშვები ურთიერთობდნენ, ერთად სეირნობდნენ. ცეკვის ოლიმპიადა გექონდა. გეაინტერესებდა, რომელი სკოლა იქნებოდა უკეთესი. ისეთი აზრები, როგორც ახლაა, იმ დროს, ყოველ შემთხვევაში, ჩემ გარშემო არ იყო. ჩემი უახლოესი მეგობარი გოგონა იყო რუსი. მისი მშობლები ჩვენს სკოლაში მუშაობდნენ. ჩვენს კლასში ერთი რუსი, ერთი ქართველი და დანარჩენი აფხაზები იყვნენ. ჩვენთან იყვნენ სომხები, ბერძნები, ებრაელები... სომხები და ბერძნები იყვნენ ძალიან ბევრი. მათ თავიანთი ენები იცოდნენ. ბერძნები რუსულ სკოლაში სწავლობდნენ. რუსული ყველამ იცოდა, ეს იყო ძირითადი ენა და ახლაც ასეა.

მე ექიმი ვარ, თბილისში ვისწავლე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1971 წელს მე დავიწყე მუშაობა სოხუმში საავადმყოფოში, იქ გავიცანი ჩემი მომავალი მეუღლე - ბავშვთა ექიმი, ის ქართველია, მან აფხაზური არ იცის. 1965-1971 წლებში თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში რუსულ სექტორზე ვსწავლობდი და არც ერთი რუსი არ იყო ჯგუფში. ისინი იყვნენ თბილისელები, ქუთაისელები, ხაშურელები და ა. შ. მაშინ რუსულ სექტორზე სწავლება მოდური იყო.

აფხაზური სოფელში ვისწავლე, წერა-კითხვაც ვიცი, მაგრამ გრამატიკული აფხაზური არ ვიცი, სალაპარაკო ვიცი. ბოლო წლებში ჩემი დაკვირვებით აფხაზური ენა შეიცვალა, დაბოლოებები სხვანაირია. აქ მე ვერავისთან ვლაპარაკობ აფხაზურად, იქ როცა ჩავდივარ, სოფელში იძულებული ვარ ვილაპარაკო. თავიდან ქართულ სიტყვებს ვურევ, მაგრამ ერთი კვირის განმავლობაში ეს ყველაფერი სწორდება“.

ლ.ა.: „მე დავიბადე თბილისში. ბაღში დავდიოდი თბილისში. დევნილობამდე ვცხოვრობდი შუაგულ სოხუმში, შემიყვანეს იქაურ სკოლაში. სხვათა შორის, ჩემთვის ძალიან დიდი სტრესი იყო იმიტომ, რომ კი ვიცოდი აფხაზური, მაგრამ ქართული ვიცოდი ბევრად უკეთესად. მეოთხე კლასამდე ყველა საგანი იყო აფხაზურად, მეოთხე კლასის მერე აფხაზური იყო, როგორც საგანი. ყოველდღე იყო აფხაზური ენა და ლიტერატურა, ანუ ისე არ იყო, კვირაში ორჯერ რომ ყოფილიყო. ქართული, როგორც ერთი საგანი აფხაზურ სკოლაში, ჩვენთან არ ყოფილა. აფხაზურ მე-10 სკოლაში ვსწავლობდი მე-9 კლასამდე, შემდეგ კი წამოვედი ისევ ჩემს ქალაქში, თბილისში. თბილისიც ჩემი ქალაქია და სოხუმიც ჩემი ქალაქია.

მე ვერ გამოვყოფ რომელიმეს, ან აფხაზურს, ან ქართულს, ორივე მშობლიური ენაა. მე ვაზროვნებ ქართულად, მაგრამ არის მომენტები, როცა ვიღვიძებ, აფხაზურად ნანახი სიზმარი მახსენდება, ეს იმდენად ქვეცნობიერშია, ეტყობა. მეგრულად ვლაპარაკობ, გაქცეულს მოვაბრუნებ. რუსული უბრალოდ ენაა, რომელზეც განათლება მიეიღე, თორემ მშობლიურ ენად ვერ აღვიქვამ. უმაღლესი განათლება მე მაქვს ორივე ენაზე მიღებული, იმიტომ რომ უნივერსიტეტში მე ჩავაბარე ფილოლოგიურზე, რუსულ ფილოლოგიურზე კავკასიური განხრით და სამედიცინო განათლება მაქვს მიღებული ქართულად.

ჩემი თაობის ნათესავებს ყველას რუსულად ჰქონდა მიღებული განათლება. აფხაზურად უმაღლეს განათლებას იღებდა მხოლოდ ის ადამიანი, ვინც აბარებდა აფხაზურ ფილოლოგიაზე, ან ისტორიის ფაკულტეტზე, ისიც აფხაზურ სექტორზე. ეს აფხაზური სექტორიც, შეიძლება ვთქვათ, იყო უბრალოდ ფიქტიური და ფაქტობრივად, ისინი სხდებოდნენ რუსულ განყოფილებასთან და ლექციებს ისმენდნენ ერთად.

აფხაზური სკოლა, მე როგორც ვიცი, ანუ სრული უმაღლესი მეათე კლასის ჩათვლით არსად არ ყოფილა არასდროს. იმიტომ, რომ სახელმძღვანელოები არ არის, ფიზიკა, ქიმია, ესეთი რაღაცები ჩვენ არ გვქონია. საჯარო ბიბლიოთეკაში გეოგრაფიის წიგნი აღმოვაჩინე, მაგრამ ეს არ არის მაღალი კლასის სახელმძღვანელო“.

ი.კ.: „ჩემი დედაენა არის აფხაზური. ქართულად ლაპარაკი აქ ვისწავლე. რომ გავთხოვდი, სადაც შევედი, იმ ოჯახში ვისწავლე მეგრული. აფხაზური წერა-კითხვა ვიცი. ბავშობიდან კავშირი მქონდა აფხაზებთან და ვითვლებით ჩვენ, როგორც აფხაზები. მეოთხე კლასის მერე რუსულად ვსწავლობდით. ერთი საგანი იყო აფხაზური, ქართულს არ ვსწავლობდით. სხვათა შორის, საქართველოში, თბილისში კიდე იყო, საბჭოთა კავშირისდროინდელი კანონი იყო, ერთი საგანი

ქართული ენა სწავლობდი, დანარჩენი სწავლობდი რუსულ ენაზე. ბაღიც აფხაზური იყო.

უნივერსიტეტში სოხუმში ვისწავლე, სპეციალობა - ისტორია. აფხაზურ სექტორზე ვიყავი, მაგრამ ყველა ლექციები რუსულ ენაზე ტარდებოდა. აფხაზურს, როგორც ერთ საგანს არ გვასწავლიდნენ, ნე ბილა ტაკოვა[37]. ისტორია სსსრ-ს კითხულობდა რაულ ხონელია. ეტა ბილა იშიო... აი, კაკ ნი მაგუ ვსპომნიტ38... მე მინდა კიდე ის ლექტორი, კიდე რო დაგასახელო... გულია, კითხულობდა იმ დროს. ინა ერქვა ერთს, სხვათა შორის, ბებიაჩემის მოგვარე იყო. ინსტიტუტში ბევრი ვიყავით, სადღაც 30-მდე. იქ უკვე შერეული იყო, იქ სომეხები, ქართველები (მეგრელები) იყვნენ. სადღაც თვრამეტი-ცხრამეტი ვიყავით აფხაზები. ტამ ბილა[39]: ოტგრბა, აძგნბა, ჯენია, ლაკობა, შულუმბა, ვარდანია, გაბნია, თანია, კიშმარია, თანია დაური, აბუხბა ახრა, კიშმარია ალეგი, გივი ვარდანია, დაური ვარდანია (ერთი იყო ოჩამჩირის რაიონიდან, მეორე გუდაუთის რაიონიდან), გაბნია რუსლანი, ბესლან ლაკობა, ოთარ შულუმბა, აიდა არძინბა, ნონა ოთგრბა, ჯენიას რა ქვია, უკვე არ მახსოვს. ჯგუფი რომ გვქონდა, აფხაზურად ვლაპარაკობდით, მაგრამ საერთოდ, რუსულ ენაზე ვსაუბრობდით. რო უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავარდეს. ეზიევართ ჩვენ კუთხეში და ვლაპარაკობთ მე და შენ, სხვას აინტერესებდა. ჩტობ ნე ბილა [ვ] ნეპარიატნომ სიტუაციე, მი გავარილი ნა რუსკომ იაზიკე. ჩტობ ნაში რაზგავორ ეტატ ტოჟე სლიშალ[40]".

* * *

კომენტარი: ოთხივე ქალბატონი აფხაზურ სკოლაში მე-5 კლასამდე სწავლობდა აფხაზურად, ხოლო შემდეგ რუსულად აგრძელებდნენ განათლების მიღებას. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ აფხაზურ სკოლებში მათ ქართულს, როგორც ერთ-ერთ საგანს, სრულებით არ ასწავლიდნენ. თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში, ისევე როგორც სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის აფხაზურ სექტორზე, უკეთ აფხაზურენოვან ჯგუფში, სწავლება რუსულად მიმდინარეობდა, თუმცა სასცენო მეტყველების ლექციებს აფხაზ სტუდენტებს აფხაზი კაცი უკითხავდა. მაშასადამე, აფხაზური სკოლა და უმაღლესი სასწავლებლის აფხაზური სექტორი სინამდვილეში გულისხმობდა სწავლებას რუსულ ენაზე

37. „არ იყო ასეთი რამ".

38. „კიდევ ის იყო... უჰ, როგორ ვერ ვიხსენებ".

39. „იქ იყო".

40. „რომ არ ყოფილიყო უხერხულ მდგომარეობაში, ჩვენ ვლაპარაკობდით რუსულ ენაზე, რათა ჩვენი საუბარი იმასაც გაეგონა".

აფხაზური ელემენტების გამოყენებით. რესპონდენტების მონათხრობით, გარდა იმისა, რომ რუსული მათთვის განათლების ენა იყო, სკოლებსა და ინსტიტუტში აფხაზ მოსწავლეებსა და სტუდენტებს შორის საკომუნიკაციო ენის როლსაც უმეტესად ისევ რუსული ასრულებდა. მაგალითად, აფხაზეთის სოფლებში, ძირითადად, საუბრობდნენ აფხაზურად, მაგრამ ქალაქებში, აფხაზურ სკოლაშიც კი უფრო ხშირად ლაპარაკობდნენ რუსულად.

ამრიგად, აფხაზური ენის საოჯახო ენად და მცირე დოზით სასწავლებლებში განათლების ენად გამოყენება არ იყო საკმარისი ამ ენის საფუძვლიანად შესწავლისათვის, მისი უფრო ფართოდ გავრცელებისთვის, ვინაიდან აფხაზეთში ძირითად საურთიერთობო ენად, ამასთანავე, საგანამანათლებლო, თუ საზოგადოებრივ დანესებულებებში აქტიურად გამოიყენებოდა რუსული ენა.

პირველმა სამმა აფხაზმა ქალბატონმა თბილისში დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი, ხოლო მეოთხემ - სოხუმში. ისწავლეს ქართულ, რუსულ და აფხაზურ სექტორებზე. ოთხივესთვის აფხაზური მშობლიური ენაა. ლ.ა.-სთვის აფხაზურთან ერთად მშობლიურია ქართული ენაც. ყველა გამოკითხული აფხაზურს დედაენად მიიჩნევს იმის გამო, რომ თავიანთი ეროვნების ენაა, მაგრამ ი.ო., შ.ფ. და ი.კ. უფრო კომფორტულად საუბრობენ რუსულად. კომფორტულობის შეგრძნება განპირობებულია იმით, რომ მათ მეტწილად რუსულ ენაზე მიიღეს განათლება. ამას ემატებოდა საბჭოური ენობრივი პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც რუსული იყო პრესტიჟული და სხვადასხვა ეროვნების ხალხთა შორის ურთიერთობის ენა. რესპონდენტების აზრით, ასეთი ენობრივი პოლიტიკა არა მარტო აფხაზეთში, არამედ მთელ საქართველოში იყო. ისინი, განსაკუთრებით კი ი.კ., ცდილობენ მაგალითებით (ზოგჯერ მცდარი მაგალითებითაც) გაამყარონ ეს მოსაზრება და ამით გაამართლონ მათ მიერ რუსული ენის ჭარბად გამოყენება. ეს ერთგვარი თავის მართლებაა იმის გამო, რომ მათ რუსულად მეტყველება უფრო ეადვილებათ.

როგორც ინტერვიუებიდანაც ცხადად ჩანს, აფხაზეთში ძალზე ძლიერი იყო რუსული ენის გავლენა. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ დევნილობის 27 წლის შემდეგაც კი, არცთუ იშვიათ შემთხვევებში, აფხაზეთელი ქართველებიც და აფხაზებიც კვლავ რუსულ ენაზე ესაუბრებიან თავისივე ეროვნების პირებს. ამ ენაზე საუბარი მათთვის ნოსტალგიურიც ჩანს, აფხაზეთში ყოფნის ბედნიერ პერიოდთან, ყმაწვილობასთან ასოცირდება. რუსული ენის ძლიერი გავლენა აისახება მათ ენობრივ ქცევაზეც.

ამრიგად, რესპონდენტთა მონათხრობი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ რუსული ენის განათლების ენად და ლინგვა ფრანკად გამოყენებამ მნიშვნელოვანწილად შეასუსტა აფხაზური ენის ფუნქციონირების სფეროები. უფრო მეტიც, დროთა განმავლობაში რუსულმა ენამ საგარეო სივრციდან საოჯახო სივრცეში გადაინაცვლა და იქაც შეავიწროვა აფხაზური ენა.

1992 წლამდე აფხაზეთში არსებული ენობრივი სიტუაცია:

ი.ო.: „მამაჩემი და დედაჩემი რომ სწავლობდნენ, იყო 30-იანი წლები, როცა ქართული შემოიტანეს[41], რუსული და აფხაზური მოსპეს[42]. დედაჩემი მეშვიდე კლასში იყო, მამაჩემი იყო მეცხრეში. დედაჩემმა და დეიდაჩემმა იცოდნენ ასოები ქართულად და ლაპარაკი რაღაც დონეზე. სიმართლე უნდა ითქვას, მასწავლებლები არ იყვნენ ჩამოყვანილები. ქართული ვინც იცოდა და ვინც იცოდა წერა-კითხვა, ისინი ასწავლიდნენ, თორემ ამდენი მასწავლებლები სად იყვნენ. დედაჩემმა, მეცხრე კლასიდან გამოვედიო, ვერ გავუძელიო[43]. ნერა-კითხვა ისწავლა, რუსულადაც იცოდა და ქართულადაც. დეიდაჩემმა კი დაამთავრა იმიტომ, რომ ის უფრო პატარა იყო. დაამთავრა მეათე კლასი, მერე ჩააბარა, საბუღალტრო დაამთავრა სოხუმში, მგონი რუსულად ისწავლა. იმ დროს რუსულად მიმდინარეობდა ბუგალტერია. ეს იყო დაახლოებით 1948-1949 წლები. მაღალ კლასებში ვინც იყო, იმათ გაუჭირდა ძალიან და იმათმა დაანებეს თავი, მაშინ სკოლაში სექტორები არ იყო.

ჩემ დროს, 60-იან წლებში იყო ქართული, აფხაზური, რუსული და სომხური სკოლა. სომხური სკოლა ცალკე იყო. უმეტესად იყო აფხაზური და რუსული სექტორები. ქართული და სომხური სკოლები ცალ-ცალკე იყო. სოფლებში იყო მარტო აფხაზური სკოლები, აფხაზური ერქვა, მერე რუსულად ასწავლიდნენ.

41. რესპონდენტი გულისხმობს მე-20 საუკუნის 40-იანი წლების მეორე ნახევარს, როცა აფხაზურ სკოლებში მე-4 კლასის ზემოთ სწავლების ენად რუსულს ჩაენაცვლა ქართული ენა.
42. რესპონდენტი ცდება: აფხაზური ენის სწავლება იმ პერიოდში არ შეწყვეტილა, მხოლოდ რუსული ენის ადგილი დაიკავა ქართულმა.
43. როცა მე-4 კლასის ზემოთ რუსულს ქართული ჩაენაცვლა, ამან საქმე გაუძნელა უფროსკლასელებს: მათ უცებ მოუხდათ სწავლა მანამდე მოსწავლეთა უმრავლესობისათვის სრულიად უცნობ, ზოგისთვის კი ნაკლებად ნაცნობ ქართულ ენაზე. ამის გამო ფსიქოლოგიური ბარიერი გაჩნდა. ობიექტურად რომ ვთქვათ, სწავლების ენა არ უნდა შეცვლილიყო მკვეთრად, გარდამავალი პერიოდის გარეშე. უმჯობესი იქნებოდა მოსწავლეებისათვის დედაენაზე სრული განათლების მიცემა, ან, თუ ეს არ ხერხდებოდა (და ეს ასეც იყო!), სწავლების ენად ქართული უნდა შემოღებულიყო ეტაპობრივად, რუსულად სწავლების დაწყებითი კლასებიდან მილეევად რეჟიმში გადაყვანის გზით.

ჩვენ ქალაქში, გუდაუთაში ოთხი სკოლა იყო: პირველი და მეორე სკოლები იყო რუსული და აფხაზური სკოლები. სომხური მერე შემოიტანეს, მესამე სკოლა იყო ქართული.

ჩემი სიძის ბებია-ბაბუა ცხოვრობდნენ სოფელში, აბგარხუქში, სიძე ქალაქში ცხოვრობდა. მისმა ნათესავებმა (აფხაზებმა - ს. ჭ.) იცოდნენ ქართული. ქართველებმა იცოდნენ აფხაზური და აფხაზებმა იცოდნენ ქართული, მეგრულს არ ვგულისხმობ, ქართული იცოდნენ. მეგრული იყო ოჩამჩირის და გალის რაიონში, იქ რუსული იმდენად არ იყო. რაჭველებმა და სვანებმა შემოიტანეს ქართული, მანამდე იყო რუსული და აფხაზური.

მახსოვს, 60-70-იან წლებში რუსულად დავიწყეთ ყველაფერი, უფრო მეტად 70-იან წლებში. ნელ-ნელა სამსახურები რუსული, სწავლა რუსული, წარმოება რუსული, ლაპარაკი რუსული, კრება რუსული, ყველაფერი რუსულად იყო. მე სოფელში გავიზარდე და სულ აფხაზურად ვლაპარკობდი ბიძაშვილებთან. ჩვენ გვქონდა დიდი სტადიონივით ეზო, იქ ბიძა ცხოვრობდა, მეორე ბიძა ცხოვრობდა და მათი შვილები აფხაზურად ვლაპარაკობდით".

შ.ფ.: „ყველაზე მეტად აფხაზური იცოდნენ გუდაუთასა და გაგრაში, ოჩამჩირეშიც იცოდნენ, მაგრამ აფხაზურთან ერთად მეგრულიც იცოდნენ. ოჩამჩირელებს და გუდაუთელებს სხვადასხვანაირი აქცენტი აქვთ, ამას უცებ მიხვდები. ოჩამჩირელები უმატებენ: ქო, დო, შურთ[44]... მეგრული სიტყვები არის აფხაზურში. არის ისეთი სიტყვები, რომლებიც აფხაზურად არ ითარგმნება. ასეთი სიტყვები ქართულშიცაა. ადრე მაგაზინ-ს ვამბობდით და ა-ს ვუმატებდით. ქართული და მეგრული სიტყვები უფრო მეტია აფხაზურში, ვიდრე რუსული. რუსული სიტყვები, რომლებიც აფხაზურად არ ითარგმნება, ასეთები არაა.

აფხაზურის გარდა, აფხაზებმა იცოდნენ რუსული. ქართული საერთოდ არ იცოდნენ. იყო თაობა 1938-1939 წლებში ვინც იყვნენ, რომელიღაც წელს, 1949 თუ 1951 წელს, ზუსტად არ ვიცი, დახურეს[45] ყველა აფხაზური სკოლა და სწავლება დაიწყო მხოლოდ ქართულ ენაზე. მოვიდნენ ახალი მასწავლებლები და ბავშვები, რომლებსაც არაფერი გაეგებოდათ ქართულად, სწავლა დაიწყეს ქართულად. ეს გრძელდებოდა დაახლოებით ორი-სამი წელი და მაშინ ბავშვებმა

44. დასახელებული სიტყვები მეგრულია: ქო „დიახ", დო „და" (კავშირი), შურთ „სრულებით, სრულიად, საერთოდ".

45. სინამდვილეში, როგორც წინა კომენტარებშიც აღვნიშნეთ, აფხაზური სკოლები არ დახურულა, არც აფხაზური ენისა და ლიტერატურის სწავლება გაუქმებულა (იხ. ზემოთ).

ისწავლეს ქართული. ამ თაობიდან იყვნენ ჩემი ბიძაშვილი და მისი მეუღლე, ისინი საუბრობდნენ ქართულად. მერე სტალინის სიკვდილის შემდეგ ეს შეცვალეს და მერე ისევ გაჩნდა აფხაზური და რუსული სკოლები. ქართულ ენაზე აფხაზურ სკოლებში სწავლების გადაყვანა არ ვიცი, ვინ გააკეთა, რა თქმა უნდა, ეს თბილისიდან მოდიოდა[46]. ადგილობრივი ხელისუფლება ამას ვერ გააკეთებდა, მათ გააკეთეს ის, რაც უბრძანეს.

სოხუმში რუსულად ლაპარაკი იყო მიღებული. ჩვენი დიდი ცნობილი მსახიობები: ლეილა აბაშიძე, მედეა ჩახავა... ისინი თუ სადმე შეიკრიბებოდნენ, მხოლოდ რუსულად ლაპარაკობდნენ. რუსული იყო საურთიერთობო ენა. გუდაუთელმა აფხაზებმა არ იცოდნენ ქართული, ოჩამჩირელებმა და გალში მცხოვრებებმა იცოდნენ. მე მეგრული შესანიშნავად მესმის, მაგრამ ლაპარაკი არ შემიძლია. ქართველებმაც არ იცოდნენ აფხაზური.

როცა ერთად ცხოვრობდნენ ქართველები და აფხაზები, ერთმანეთის ენა უნდა სცოდნოდათ. ქართულ ენაზე რომ ყოფილიყო ურთიერთობა, როგორც რუსულ ენაზე იყო, ყველას ეცოდინებოდა ქართული. მე რომ ვსწავლობდი, რუსული იცოდა ყველამ, უფროსებმაც და ბავშვებმაც. დღეს ოცდახუთი-ოცდაათი წლის ადამიანებმა არ იციან რუსული. ეს თქვენთვის რთული გასაგებია. მაშინ ყველამ სრულყოფილად იცოდა რუსული იმიტომ, რომ საურთიერთობო ენა იყო. ქართული რომ ყოფილიყო საურთიერთობო ენა, ქართული ეცოდინებოდათ. აფხაზები, რომლებიც ახლა თბილისში ცხოვრობენ, ისინი ყველა ქართულად საუბრობენ.

მეოთხე კლასის შემდეგ აფხაზურ სკოლებში ქართულ ენაზე რომ გაგრძელებულიყო სწავლება, ეს აფხაზებში პროტესტს გამოინვევდა, რადგან ქართული არ იყო საურთიერთობო ენა. რუსულად იწერებოდა ყველაფერი, დოკუმენტაცია რუსული იყო. შესაძლებელია ეს რუსეთის და საბჭოთა კავშირის გავლენა იყო, მე ამაში გეთანხმებით, მაგრამ მაშინ ასე იყო. რატომ მარტო აფხაზეთში, საქართველოში ჩვენ ქართულად ვწერდით? მჟავანაძე პარტიულ სხდომებს რომ მართავდა, ძველ კადრებს, თუ იპოვით, იქ ყველაფერი რუსულადაა. როცა ყველაფერი ქართულზე გადაიყვანეს, მე გამიკვირდა, მაგრამ დროთა განმავლობაში დალაგდა.

46. რეალურად ეს იყო მთელ საბჭოთა კავშირში მიმდინარე ტოტალური პროცესის ნაწილი: უმცირესობათა კომპაქტური დასახლების ზონებში მოქმედი ე.წ. ეროვნული სკოლების მაღალ კლასებში სწავლება გადაჰყავდათ შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკების (სსრ-ების) ენებზე.

აფხაზური თეატრი იყო ძალიან პოპულარული. მინადორა ზუხბა - ცნობილი მსახიობი, კოღონია[47], შარახ ფაჩალია[48], კასლანძია[49]. ვიოლეტა მარღანია[50] (ახლაც ცოცხალია). ისინი დგამდნენ ისეთ სპექტაკლებს, როგორიცაა „ოტელო", „მედეა"... ჩემი ბავშვობიდან მახსოვს. ახლა არ ვიცი, როგორი თეატრი აქვთ, მაგრამ კომუნისტების დროს აფხაზური თეატრი იყო ერთ-ერთი წამყვანი თეატრი საქართველოში. როცა ჩვენ აქ გვყავდა ხორავა[51], ისინი იყვნენ მეგობრები, მათ აქვთ ბევრი ფოტო.

სიმღერის სახელმწიფო ანსამბლის ხელმძღვანელი იყო ციმაკურიძე[52], ძალიან ცნობილი კაცი. ცეკვის ანსამბლიც იყო შესანიშნავი, იყო ანსამბლი „შარათინი" ედიკ ბებიას ხელმძღვანელობით. მერე მოქმედებდა ანსამბლი „კავკასია". ამ ანსამბლს ხელმძღვანელობდა კანდიდ თარბა, ის ცეკვავდა სუხიშვილებში. ედიკ ბებიამ დაამთავრა საბალეტო სკოლა მოსკოვში, დღემდე მოქმედებს ეს ანსამბლი. „პრერვანნაია სიმღერა"[53] ქართული სურათია, სოხუმში გადაიღეს. ომი დამთავრდა და რომელიღაც სკოლაში, ეს სკოლა საავადმყოფოსთან იყო და იქ ცეკვავდნენ ქართულს ჟორა გუბლია და ვენერა, გვარი არ მახსოვს. მისი მეუღლე იყო გივი ჩახავა, ცნობილი ბალეტმეისტერი ჩვენთან. მაშინ რაც იყო, ყველაფერი იყო შესანიშნავი.

ჟურნალი არ ვიცი, მაგრამ იყო [გაზეთი] „აფსნი ყაფში" („წითელი აფხაზეთი") ახლში აფხაზური წიგნები მქონდა. ისკანდერ[54], ის მთლად აფხაზი არაა, მაგრამ აფხაზად თელიან. „გაზაფხული საკენში"[55], დიმიტრი გულია, ბაგრატ შინკუბა,

47. იგულისხმება ცნობილი აფხაზი მსახიობი, აფხაზეთის ასსრ და საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ეთერ კოღონია.

48. ცნობილი მსახიობი, სსრკ სახალხო არტისტი შვარახ ფაჩალია.

49. ცნობილი აფხაზი მსახიობი, აფხაზეთის ასსრ და საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ლევარსა კასლანძია.

50. აფხაზეთის სახალხო არტისტი, საქართველოს დამსახურებული არტისტი ვიოლეტა მარღანია (მაანი).

51. ქართველი მსახიობი, სსრკ სახალხო არტისტი აკაკი ხორავა.

52. იოსებ ციმაკურიძე - 1950-1961 ნლებში იყო აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის მთავარი ქორეოგრაფი.

53. იგულისხმება 1960 წელს გამოსული ქართულ-სლოვაკური ერთობლივი ფილმი „შენყვეტილი სიმღერა" (რეჟისორი - ნიკოლოზ სანიშვილი). რესპონდენტი მის სახელს რუსულ-ქართულად ამბობს.

54. ფაზილ ისკანდერი - მამით სპარსელი და დედით აფხაზი რუსულენოვანი საბჭოთა მწერალი.

55. გიორგი გულიას მოთხრობა, რომლის მიხედვითაც რეჟისორმა ნ. სანიშვილმა 1950 წელს გადაიღო ამავე სახელწოდების მხატვრული ფილმი.

ივან პაპასკირი, ლაკერბაია, ლასურია[56], კოლონია ივა. ახლა ბევრად მეტნი არიან".

ლ.ა.: „ჩემს ოჯახში ქართული ესმოდა ბიძაჩემს. იმიტომ, რომ მას რაღაც განათლება ჰქონდა თბილისში მიღებული. მამაჩემს შეეძლო წაკითხვა და ერთი-ორი სიტყვის თქმა, თუ ნაცნობი შეხვდებოდა. შეეძლო, წინადადების შინაარსი გაეგო. ეს რატომ? იმიტომ, რომ მაშინ, როცა დაიხურა აფხაზური სკოლები, მამაჩემი სკოლის მოსწავლე იყო. მამაჩემი იყო 1935 წელს დაბადებული. აფხაზურ სკოლაში სწავლობდა და ყვებოდა, რომ სექტემბერში რომ მოვედითო, სხვა პედაგოგები დაგეხვდნენო და აბსოლუტურად უცხო ენაზე (იგულისხმება ქართული ენა - ს. ჭ.) მოგვინია სწავლის გაგრძელებაო. წერა-კითხვა იცოდა, ასოებს ცნობდა ქართულს, მაგრამ რას კითხულობდა, ვერ ხვდებოდა. მერე, მე მგონი, აკრძალული იყო მათი რუსულ სკოლაში გადასვლა და მოუნია რაიონში ნასელა და სკოლის იქ გაგრძელება. ბებიაჩემის შვილებს, ექვსივეს უმაღლესი განათლება ჰქონდათ მიღებული.

სოხუმში ჩვენი სახლი ითვლებოდა ხელოვანთა სახლად. ჩვენ გვყავდა მოქანდაკე და ქორეოგრაფი მეზობლები, მსახიობი ფლორა შედანია... კომპოზიტორი მამია ბერიკაშვილი ჩვენი კარის მეზობელი იყო. არაჩვეულებრივი სამეზობლო გვყავდა. ორი აფხაზური ოჯახი ვიყავით მაგ სახლში, ერთი რუსების და ერთი სომხების ოჯახებიც, დანარჩენი ქართველები იყვნენ. ინტერნაციონალური ეზო გვქონდა და მინდა გითხრათ, რომ ძალიან მეგობრული სამეზობლო გვყავდა. საურთიერთობო ენა იყო რუსული. თუ ვიცოდი, რომ ადამიანი ქართველია, მე ვსაუბრობდი ქართულად, მაგრამ სოხუმელები ქართულად იწყებდნენ ლაპარაკს და მერე გადადიოდნენ ან მეგრულზე, ან რუსულზე. აფხაზებთან, რა თქმა უნდა, რუსული იყო საურთიერთობო ენა.

თუ აფხაზი იყო ოჩამჩირელი, შეიძლება ცოდნოდა მეგრული იმიტომ, რომ... ბებიაჩემს ჰყავდა მდგმური გოგო, რომელიც სწავლობდა ქორეოგრაფიულ ტექნიკუმში, მან იცოდა აფხაზური და წყალივით იცოდა მეგრული, მე ესეთი მეგრული არ ვიცი. ჩემი დაკვირვებით, რაც მე მახსენდება, ძირითადად, სოხუმში მაინც რუსული იყო საკომუნიკაციო ენა და აფხაზებიც რუსულად უფრო საუბრობდნენ.

ეშერაში მხოლოდ აფხაზები ცხოვრობდნენ, ერთი ოჯახი იყო შერეული, ანუ ცოლი ქართველი და ქმარი - აფხაზი. იმ ქართველმა ცოლმა ისე კარგად იცოდა

56. იგულისხმებიან აფხაზი მწერლები მიხა ლაკრბა (ლაკირბაი) და „ვეფხისტყაოსნის" აფხაზურად მთარგმნელი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მუშნი ლასურია.

აფხაზური, რომ კომუნიკაცია აფხაზურად იყო, შვილებმაც იცოდნენ. ერთი იყო ლაზების ოჯახი, მაგრამ ისინი თავის თავს ეძახდნენ თურქებს, მაგრამ მე ვიცი, რომ ლაზები არიან, მაგრამ სოფელში მათ ეძახდნენ თურქებს„.

ი.კ.: „სოფელში მხოლოდ აფხაზურად ელაპარაკობდით. სოფელში (ღვადაში - ს. ჭ.) ცხოვრობდნენ მალაზონია, გერხელია, კუტკაია[57], მატუა, კვაშილავა, ქუჩბერია, ჟიბა, ფსარდია და ერთი ოჯახი იყო ხაჩიანი - აფხაზი ოჯახი. ქართველები არ იყვენენ სოფელში. ეს იყო სუფთა აფხაზური სოფელი, იქ არ იყო შერეული სხვა ნაციები.

კოჩარაში, ჩემს წინ სოფელი იყო, მე სადაც გავთხოვდი, იქ ცხოვრობდნენ ქართველები, აფხაზები, მაგრამ ცოტა ნაკლებად აფხაზები იყვნენ და ისინები უკვე ლაპარაკობდი ქართული ენაზე, მეგრული-ქართულ ენაზე. ნუ შტო პალუჩაეტსია: მენშესტვო პაჩენაეტსია ბოლშესტვო. ტო ბოლე ბილა იაზიკოვ, ანი გავარილი ნა ტომ იაზიკე[58].

აი, ბავშვობაში მამაჩემი შკოლაში რო წავიდა, სწავლობდა ქართულ ენას და ლიტერატურას. მამაჩემის ტოლები ვინც არიან, ისინები დღემდე იციან ქართული ლაპარაკი, მერე 1958 ნლის ეს ქართული ენა გააუქმეს და დატოვეს მარტო აფხაზური ენა და რუსული ენა.

ოჩამჩირეს რაიონში სოფელის მაცხოვრებელი ისინი უფრო მეტი აფხაზურად იცოდნენ. ე გორადე პატამუ ჩტო პალუჩალას... ნა ეტოი ულიცე ტი ტოლკა ადნა ნე ჟივიოშ. პრავილა ტამ დრუგიე ტოჟე. ტი უჟე ზნაკომიშსა სვაიმი დრუზიამი, პადრუგამი, პადრუჟკამი. ქტო-ტა რუსკაია, ქტო-ტა არმიანკა, ქტო-ტა გრიჩანკა, ქტო-ტა აფხაზკა ი პრიხადილას ნა რუსკამ იაზიკე...[59] სახლში ისინები აფხაზურად ლაპარაკობენ, მაგრამ რო გამოდიან უკვე გარეთ, უკვე ირევა იქ ეს. იმიტომ, რო მე გამოვედი, შენ გამოვედი, ამას გამოვიდა, ის სომეხია, შენ რუსია, მე აფხაზია, ის მეგრელია და პრიხოდიცა ნა ადნომ იაზიკე გავარიტ"[60].

„ჩემი დროინდელი იყო უკვე ტელევიდენია[61]. პირველი წამყვანი იყო, ის რო დაიწყო, ემა ადლებია - დიქტორ, ანა ოჩენ დოლგო ვრემია რაბოტალა ნა კანალი

57. აქ რაღაც შეცდომაა.

58. „მაშ, რა გამოდის: უმცირესობა ემორჩილება უმრავლესობას. რომელი ენაც იყო მეტი, ისინი იმ ენაზე ლაპარაკობდნენ".

59. „ქალაქში იმიტომ გამოდიოდა [ასე]... ამ ქუჩაზე შენ მარტო არ ცხოვრობ. აქ სხვა წესებია ასევე. შენ უკვე ეცნობი საკუთარ მეგობრებს, დაქალებს. ვიღაც რუსია, ვიღაც - სომეხი, ვიღაც - ბერძენი, ვიღაც - აფხაზი და გინევდა რუსულად [ლაპარაკი]„.

60. „გინევს რუსულ ენაზე ლაპარაკი„.

61. ტელევიზია.

რადიო, ტელევიდენია[62], ყველაფერი იყო. იმ დროს „ტელევიდენია" იყო კვირაში სამჯერ, მგონი, ოთხჯერ, გამოდიოდა ორი საათი. ხო, ოთხჯერ იყო: პონედელნიკ, ეტორნიკ, სრედა, ჩეტვერგ[63]. მარა ორი-ორი საათის მეტის უფლებას არ აძლევდა თბილისი[64], ატსუდა უე ბილო ვოტ ეტო, ბაშნია, ჩტო ანძა, ანტენა ჩტო ბილო, ტო დავალ ტო ეტი დვა ჩასა. თბილისი რაზრეშალა აბხაზცამ კაუდი ვეჩერ დვა ჩასა ნა აბხაზსკომ იაზიკე ჩტო-ტა ანი პრავადილი. რადიოზე ქართულად, აფხაზურად, რუსულად. რადიოვეშანიე ნა ვსეხ იაზიკახ".[65]

იყო აბხაზსკი გასუდარსტვენი დრამატიჩესკი ტეატრ იმენი ჭანბა. ი ბილ იშო გრუზინსკი ტეატრ შოტა რუსტაველი. ოჩენ ინტერესნი ტეატრ ბილ. ტუდა პასიშალას ია სა სვაეი დვაიუროდნოი სესტროი[66], დეიდაშვილი მყავდა ერთი ქართველი, გურული, მათითაშვილი გვარი. მი ს ნეი ეტატ, ვ ტეატრ ჩასტა ხადილი. ია ისტეტსვენა ნა გრუზინსკი იაზიკ ნე სლიშალა, ტამ ბილა ნაუშნიკი, პერეოდილი, სინხრონ ბილ. იშიო,[67] დედიდაშვილები კიდო აფხაზები იყვნენ

62. „ის ძალიან დიდხანს მუშაობდა რადიოს, ტელევიზიის არხებზე".

63. „ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი".

64. ცხადია, რესპონდენტისათვისათვის უცნობია, რომ საქართველოში მაშინ არსებულ სარეტრანსლაციო ანძებს არ ჰქონდათ უფლება, ერთდროულად გადაეცათ ორზე მეტი ტელევიზიის სიგნალები. ამიტომ მოსკოვის ტელეგადაცემები მიდიოდა შეუფერხებლად, ხოლო თბილისისა და სოხუმის ტელევიზიების სიგნალები მორიგეობით ერცელდებოდა აფხაზეთში, მოსახლეობას კი ექმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს თბილისი უშლიდა ხელს აფხაზეთის ტელევიზიის საქმიანობას. ასე ყალიბდებოდა ქართველის, როგორც მტრის ხატი. იხ. აგრეთვე მომდევნო შენიშვნა.

65. „აქედან ხომ იყო ის, ანძა, რომ ანძა, ანტენა [ამ 2 სიტყვას ქართულად ამბობს], რომ იყო. ის აძლევდა იმ ორ საათს. თბილისი ნებას აძლევდა აფხაზებს, რომ ყოველ საღამოს აფხაზურ ენაზე ორ საათს გადაეცათ რამე რადიოზე ქართულად, აფხაზურად, რუსულად [ამ 3 სიტყვას ქართულად ამბობს], რადიომაუწყებლობა ყველა ენაზე„. აქ რესპონდენტს ზუსტად არ მოჰყავს ფაქტები: სინამდვილეში 1978 წლიდან, როცა შეიქმნა აფხაზეთის ტელევიზია, გადაცემები მუდამ გადიოდა მხოლოდ ორ ენაზე: აფხაზურად და რუსულად, იქაურ ტელევიზიაში ქართული სატელევიზიო გადაცემები არასოდეს არსებულა. ასეა ამჟამადაც. გარდა ამისა, აფხაზეთის ტელევიზიის გადაცემები გადიოდა იმ სიხშირეზე, რომელზეც თბილისიდან გადაიცემოდა ტელეგადაცემები, რაც იმას იწვევდა, რომ აფხაზეთში მოსახლე ქართველებს აფხაზეთის ტელევიზიის გადაცემის ეთერში გაშვების დროს არ ჰქონდათ შესაძლებლობა, ენახათ ტელეგადაცემები დედაენაზე.

66. „იყო ჭანბას სახელობის აფხაზური სახელმწიფო დრამატული თეატრი. იყო ასევე შოთა რუსთაველის ქართული თეატრი. ძალიან საინტერესო თეატრი იყო. იქ დავდიოდი მე ჩემს დეიდაშვილთან ერთად". სოხუმში მოქმედი ქართული თეატრი იყო კონსტანტინე გამსახურდიას სახელობისა და არა შოთა რუსთაველისა.

67. „ჩვენ ის... მასთან ერთად თეატრში ხშირად დავდიოდი. მე, ბუნებრივია, ქართული არ მესმოდა. იქ ყურსაცავამები იყო, თარგმნიდნენ, სინქრონი იყო. კიდევ..."

გუდაუთიდან არგუნ, ბილ იზ კვიტოული[68]. სოხუმში ცხოვრობდნენ კასლანძიები... სნიმი ია აბხაზსკომ ტეატრ ხადილა[69]. ვის უნდა, იმასთვის იტარგმნებოდა. მესამე ქართველი დეიდაშვილიც რო დადიოდა, იეი ჟე ნადა[70]...“

ჩვენ პერიოდის, მე როცა გაიზრდებიან პერიოდში, აკრძალული იყო ეკლესიაში შესვლა, მარა ჩემი დეიდაშვილის ბებია ძაან მორწმუნე ქალი იყო. ანა ვსეგდა სტარალა, ჩტო ნას ეკლესიუ ზავისტი[71] ამ დეიდაშვილთან მეც მონათლული არ ვიყავი, მარა შევიდოდი. მე ცოტა მოგვიანებით, მერე მომნათლეს და მახსოვს რო, ამ სოხუმის ეკლესიაში რო შევიდოდი და ლოცვა იმ დროს მესმოდა ქართულად და რუსულად. მერე, აი, ომის დაწყებამდე, დაიწყეს აფხაზურად ლოცვების კითხვა. ნუ ტოლკა სფორმირავალას ვოტ ეტა, ცირკოვნაე აბსლუჟივანიე ნა აბხაზსკამ იაზიკე, ჩტო ბილო გდეტა ტამ ვ კანცე ვასემდესიატიხ გადუ, ვ ნაჩალე დევიანოსტიხ გოდოვ. ა შას უჟე ტამ, ვ კომანსკომ მონასტირე, ვ ცერკვე ტამ მოი ბლიზკი, ოჩენ ბლიზკი ჩელავეკ რაბოტაეტ. ვსიო ეტო აბსლუჟივაეტ ეტატ ცერკოვ. კიუტი იო ფამილია, ეგნატი ი ონ „ლოცვა“ ჩიტაეტ ნა აბხაზსკომ იაზიკე[72].

ჩვენ ბავშვობაში სკოლაში ვსწავლობდით „აბაძძეი“ ნაზივალას[73], „გამზრდელი“ [იგულისხმება აკაკი წერეთლის პოემა „გამზრდელის“ დიმიტრი გულიასეული აფხაზური თარგმანი - ს. ჭ.]. ეტა ვ პროგრამმუ ვხადილა, ვ უჩებნიკი[74]. მოიცა მე უნდა გავახსენო... როგორ ყველაფერი დამავიწყდა... „სურამსკაია კრეპოსტ“ - „სურამის ციხე“. ეტო უჩილი მი[75], შოთა რუსთაველის წიგნი „ვეფხისტყაოსანის“ აფხაზურ ენაში ვსწავლობდით ჩვენ მთლიანად.

ძველი მწერალები დიმიტრი გულია, ალექსი გოგუა, შალოდია ადჟინდჟალ, შოთა ჩკადუა, ჯენია, მუშნი პაპასკირი, ივანე პაპასკირი, პლატონ ბებია, ვინ დაგისახელო, ისინების, კავო ია ტიბე პერესჩიტალა, ია ი უჟე ნაჩიტანა, იმეიუ

68. „კვიტოულიდან იყო“.
69. „მასთან ერთად აფხაზურ თეატრში დავდიოდი“.
70. „მასაც უნდოდა“.
71. „ის მუდამ ცდილობდა, რომ ჩვენ ეკლესიაში შევეყვანეთ“.
72. „ახლახან ჩამოყალიბდა აი ეს, საეკლესიო მსახურება აფხაზურ ენაზე, რაც მოხდა სადღაც ოთხმოციანების ბოლოს, ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში. ახლა კი იქ, კამანის მონასტერში, ეკლესიაში ჩემი ახლობელი, ძალიან ახლობელი ადამიანი მუშაობს. ყველაფერს ემსახურება ეს მონასტერი. კიუტი არის გვარი, იგნატი და ის ლოცვას [ლოცვა სიტყვას ქართულად ამბობს] კითხულობს აფხაზურ ენაზე.
73. ერქვა.
74. ეს პროგრამაში შედიოდა, სახელმძღვანელოებში.
75. ამას ვსწავლობდით ჩვენ.

იხნი პრაიზვედენია[76]. ხო, წაკითხულები მაქვს თითო-თითო რომანი მაინც, თითო-თითო პოვესტი მაინც, იმიტომ ვიცნობ, თორე ახლანდელი რა, 30 ნლის განმავლობაში ვინმე თუ გამოვიდა პოეტი ან პისატელი, არცერთი არ ვიცი. აფხაზური წიგნები მაქვს სახლში. ბავშვობაში გამოდიოდა „ამცაბზი" მახსოვს, ეტა ბილ დეტსკი ჟურნალ[77]. „ალაშარა", „აფსნი ყაფშ", „კამუნიზმ [ახ]" ნა აბხაზსკომ იაზიკე - კატორიე ვიხადილი[78]. მე მქონდა აქ მოტანილი, ჩემი ბავშვების პატარები იყვნენ და მინდოდა, რო ვასწავლო და ამას რო ნაუკითხო ჩემს ბავშვებს, დიდი წიგნი იყო „ვეფხისტყაოსანის" აფხაზური, თავისი ილუსტრირებით, ისეთი კაი წიგნი იყო და მომიპარა [მომპარეს] კორპუსში".

* * *

კომენტარი: ოთხივე რესპონდენტი იხსენებს 40-50-იან წლებში ე.წ. აფხაზური სკოლების მაღალ კლასებში სწავლების ენად ქართულის შემოღების ამბავს. ისინი ამ ფაქტთან დაკავშირებულ რამდენიმე საკითხზე საუბრობენ:

1. მაღალი კლასის მოსწავლეებს გაუჭირდათ მათთვის უცნობი ქართული ენის დაუფლება და ზოგნი იძულებულნი გახდნენ, სწავლა მიეტოვებინათ;
2. აფხაზ მოსწავლეებს გაუძნელდათ რუსულ ენაზე სწავლის შელევა, რადგან ეს ენა მათთვის უკვე მთავარ, პრესტიჟულ და ინტერეთნიკური ურთიერთობის ენად იყო გადაქცეული;
3. აფხაზ ბავშვებს ქართულს არაკვალიფიციური მასწავლებლები ასწავლიდნენ.

აშკარაა, რომ სკოლებში სწავლების ენის ერთბაშად გამოცვლას აფხაზებში დიდი უკმაყოფილება გამოუწვევია და, როგორც ვხედავთ, ეს დამოკიდებულება გრძელდება დღემდე, ვინაიდან სხვადასხვა თაობის ადამიანები საუბრისას საყვედურნარევი ინტონაციით, აუცილებლად აღნიშნავენ ამ ამბავს და ამას აფხაზთა ეთნიკური და ენობრივი უფლებების შეზღუდვად მიიჩნევენ. რა თქმა უნდა, მათთვის სრულიად უცნობია, რომ ეს აქცია არც თბილისში დაგეგმილა და არც სოხუმში და იყო საერთო საბჭოური პოლიტიკის პროვოკაციული ნაწილი.

76. „ვინც მე ჩამოვთვალე, მე წაკითხული მაქვს, მომეპოვება მათი ნანარმოებები".
77. „ეს საბავშვო ჟურნალი იყო".
78. „რაც აფხაზურ ენაზე გამოდიოდა".

ეს აქცია საბჭოური იდეოლოგიური მანიპულაციების გამო გადაიქცა აფხაზთათვის ყველაზე მტკივნეულ ფაქტად და გადაფარა 1926, 1928 და 1954 წლებში მომხდარი დამწერლობათა ლათინიზაციისა და რუსიფიკაციის ასევე ძალზე მტკივნეული აქციები, აფხაზთა თაობებს დაავიწყა კიდევ უფრო სიღრმისეული და უარესი ფაქტი:

მათი დედაენა შეზღუდულად ისწავლებოდა V კლასიდან სწავლების ენად ქართულის შემოღებამდეც და ამ ენის ადგილას კვლავ რუსულის დაწესების შემდგომაც და ასე გრძელდება დღემდე, როცა ვითომდა დამოუკიდებელ აფხაზეთში აფხაზურ ენაზე სკოლებში კვლავაც მხოლოდ აფხაზური ენა და აფხაზური ლიტერატურა ისწავლება, ხოლო ყველა სხვა დისციპლინას ისევ და ისევ რუსულად ასწავლიან, რაც ანგრევს აფხაზთა ენობრივ თვითშეგნებას და აქედან გამომდინარე ეთნიკურ იდენტობასაც სერიოზულად უთხრის ძირს.

ზემოთ თქმული იმას ნიშნავს, რომ აფხაზურ საზოგადოებაში ტრაფარეტულად იქცა რეალობისადმი მცდარი დამოკიდებულება და აირია ორიენტირები. როგორც იტყვიან, „საწუხ არს ესე!"

ინტერვიუს დროს აფხაზი ქალბატონები დევნილობამდე აფხაზეთში აფხაზური ენის მდგომარეობის შესახებ მსჯელობისას გამოყოფენ სამ თავისებურებას. კერძოდ, მათი აზრით:

1. გუდაუთელი აფხაზები უმეტესად მხოლოდ აფხაზურად საუბრობდნენ, რუსულ ენას ისინი სწავლობდნენ სკოლაში, ხოლო იშვიათად იცოდნენ ქართული, ან მეგრული.
2. ოჩამჩირელმა აფხაზებმა, ძირითადად, აფხაზურთან ერთად თითქმის თანაბარ დონეზე იცოდნენ რუსული და მეგრული, ზოგიერთ შემთხვევაში ქართულიც (ქართული აფხაზეთში დასახლებული რაჭველებისა და სვანებისგან ისწავლესო).
3. სოხუმში მცხოვრებმა აფხაზებმა ყველაზე ნაკლებად იცოდნენ აფხაზური და ასევე ნაკლებად საუბრობდნენ მშობლიურ ენაზე, მათი მთავარი ენა იყო რუსული.

ინტერვიუების დროს არც ერთ აფხაზ ქალბატონს არ აღუნიშნავს, რომ ქართველებსა და აფხაზებს ენობრივი ბარიერის გამო ურთიერთობებში ჰქონდათ პრობლემები. ცალკეულ შემთხვევებში, შერეული ოჯახის ქართველმა წევრებმაც იცოდნენ აფხაზური ენა. რესპონდენტების აზრით, სასურველი იყო აფხაზურ სკოლებში აფხაზ მოსწავლეებს ესწავლათ ქართული ენა, როგორც ერთ-ერთი საგანი და პირიქითაც, ქართველ მოსწავლეებს ესწავლათ აფხაზური ენა. ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ იმ პერიოდში ქართველებსა და აფხაზებს შორის, ასევე აფხაზეთში მცხოვრებ სხვა ეთნოსების წარმომადგენლებს შორის

მეგობრული, ნათესაური და კეთილმეზობლური ურთიერთობები არსებობდა. აქ აშკარაა იდეალიზების ტენდენციები, ვინაიდან წარსულიდან ჩვენი რესპონდენტები მაინც კარგ მომენტებს ანიჭებენ უპირატესობას: ბავშვობისა და ახალგაზრდობის წარსული ბუნებრივად ასოცირდება მხოლოდ კარგთან.

რესპონდენტების ინფორმაციით, რუსული ენის ფართოდ გამოყენება 60-70-იანი წლებიდან დაიწყო, რაც სინამდვილეს ნაწილობრივ შეეფერება. რეალურად რუსული ენის პოზიციები აფხაზთა შორის კვლავ გამყარდა 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ხოლო 60-80-იან წლებში ამ პროცესმა უკვე მწვერვალს მიაღწია. 60-იანი წლებიდან საქმისწარმოების, ოფიციალური შეხვედრებისა და პოლიტიკოსთა გამოსვლების ენად რუსულის გამოყენებამ კიდევ უფრო გააძლიერა რუსული ენის პოზიციები და მისი უფართოესად გამოყენების შესაძლებლობები.

თანამედროვე აფხაზური ენის შესახებ:

ი.ო.: „ახლა იქ ჩვენ თაობას შერჩა აფხაზური უფრო მეტად. ეხლა თვითონაც დაინახეს, რომ ენას კარგავენ. მე ახლახან ვკითხე, განათლების მინისტრმა გადმოსცა ეგეთი ბრძანება, აფხაზებს არააფხაზურ სკოლებში მისვლა აუკრძალა. მერე თქვეს, რომ ეს ადამიანების უფლებების დარღვევა იყო. მერე ანქვაბიმ ეს ბრძანება გააბათილა, არ არის სწორიო. ძაან ბევრი ხედავს, რომ ენას კარგავენ. ყველაფერს წერენ რუსულად. მე ვწერ სუყოველთვის აფხაზურად. ერთხელ დავწერე, დაინყეთ თქვენ, რატომ წერთ რუსულად, დაწერეთ აფხაზურად ეს ყველაფერი. რატომ უნდა დაინახოს სხვამ, რომ შენ ენას კარგავ. ერთმა დაწერა, მე გავიგეო, რომ საქართველოში აფხაზურ წიგნებს უშვებენო. ჩვენ გამოვუშვით დისკი ერთი, მეორე ანიმაციური დისკი აფხაზური ენის სწავლების, მერე წიგნიც გამოვუშვით, სხვათა შორის მაგ წიგნში გვანცელაძეც არის, ერთად შევადგინეთ[79]. ამ წიგნებს და დისკებს ბაღში ხმარობენ. ერთს დაუწერია, ჩვენო თარგმანი არა გვაქვსო, მეხუთეს [მეხუთე კლასის - ს. ჭ.] იქით არაფერი თარგმნილი არ არის. მოდითო, ქართველებს გავუგზავნოთო და გადაგვითარგმნიანო, ფულიც აქვთო და მერე იქნება სკოლებიც გავხსნათო აფხაზურადო. ეს ვითომდა ხუმრობით იყო და ხუმრობა არ არის, იმიტო რომ ამას დიდი ფული უნდა.

აფხაზური ენა რუსულმა შეასუსტა. როცა ერთად ვიყავით, კომუნისტების დრო რომ ვთქვათ, ხალხი მიდიოდა საქართველოში სასწავლებლად, თბილისში ძაან

79. რესპონდენტი ასახელებს აფხაზეთის ა.რ. განათლებისა და კულტურის სამინისტროს „აფხაზური ენის ხელშეწყობის პროგრამის" ფარგლებში თბილისში გამოცემულ აფხაზური ენის სასწავლო რესურსების ნაწილს.

ბევრი სწავლობდა, უნივერსიტეტი იყო, პუშკინის ინსტიტუტი იყო, თეატრალური იყო. რუსეთში მიდიოდნენ ხალხი, სადაც უნდა, იქ მიდიოდნენ და სწავლობდნენ. არ იყო სავალდებულო, რომ რუსული გცოდნოდა, ეხლა სავალდებულოა.

ახლანდელ აფხაზურში ინტონაცია და ბგერები არ შეცვლილა, ამას ვერ შეცვლი, არ არსებობს ვარიანტი. ფეისბუქზე ვუსმენ, აფხაზური ენას ასწავლის და ვხედავ, რომ ის არ არის ძველი. ხოს და ყოს ცოტას არბილებს, ეგეთი მომენტები დავიჭირე. მე აფხაზური ძაან კარგად ვიცი, სალაპარაკო მით უმეტეს, მაგრამ ჩვენ რომ ვსწავლობდით, აფხაზურში იყო ძაან ბევრი რუსული სიტყვა. ჩვენ არ ვხმარობდით [სიტყვა] მასწავლებელს, [ვამბობდით] უჩიტელ... საერთაშორისო სიტყვები გახდა ბევრი, რომელიც ახლა შემოვიტანეთ. ეხლა მე რომ დავიწყე თარგმნაზე მუშაობა და წიგნებს ვუშვებ, მინდა რომ იყოს სუფთა ასნოვა[80], ახლა ისიც არ ჰქონდათ. წიგნი, ჩემოდანი, სინათლე, ყოველდღიური სახმარი, სტულ, სტოლ, აი ეგეთი რაღაცეები რუსული იყო. ბარბარიზმებში იყო გადასული აფხაზური ენა. სოხუმის იქით არ იყო მეგრული სიტყვები შესული აფხაზურში. აქეთ იქნება [იგულისხმება ოჩამჩირის რაიონი - ს. ჭ.]. ახლა რომ ვნახე თარგმანები, იმ წუთას ვგრძნობ, ვის აქვს თარგმნილი. ხაბურზაკ-ს [აპაბგრზაკჲ - ს.ჭ.] წერენ საზამთროზე, ჩვენ აკგრაგუვ-ს ვეძახით[81]. ანაშა [ითქმის გუდაუთის რაიონში კიტრის სახელად - ს.ჭ.], [ა]კინტირ-ს ეძახიან ოჩამჩირელები. მე რომ წიგნი გადავთარგმნე, მანანა ანუას „ტყვეობაში 52 დღე", სამ კვირაში გადავთარგმნე, სასწრაფოდ, წელი მთავრდებოდა. მე ბოდიშები ვიხადე, რომ იქ ბევრი შეცდომა იქნება. არც რედაქტირება გავუკეთე, ვერ მოვასწარი. როცა ეს წიგნი დავდეთ ფეისბუქზე და წაიკითხეს სოხუმელებმა, იმ წუთას თქვეს, ეს გუდაუთელის გადათარგმნილია. მადლობა დიდი-მეთქი. არაო, ჩვენ შეცდომებს არ ვუყურებდითო. იმდენად არის ემოციები გადმოცემული, გრამატიკულ შეცდომებს არ ვუყურებდითო. ეს იყო ჩემთვის ძაან დიდი სიხარული. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ აქეთა მხარეს ბევრი, ბევრი უნდა გაკეთდეს, წიგნებიც უნდა შევიტანოთ, დავიწყოთ გალიდან. გალში რომ დაინახავენ, იღებენ ისინი იქიდან. სასწავლო რესურსი ბევრი უნდა გამოვუშვათ, მოსასმენები... სწორი გამოთქმა, იმიტო, რო ძაან რთულია. საბავშვო ბაღებიდან და სახლიდან უნდა დაიწყოს ყველაფერი. მე დავწერე, რომ ეს უნდა დაიწყონ სახლში, მშობლებმა უნდა დაიწყონ. ბავშვი თუ დაიბადა, „შიშ ნანი" უნდა უმღეროს, გენაცვალე უნდა უთხრა აფხაზურად.

80. „საფუძველი"..

81. სინამდვილეში საზამთროს ორივე სახელწოდება აფხაზურში ნასესხებია თურქული ენიდან.

ინგლისურს ადვილად ისწავლი, აფხაზურს ასე ადვილად ვერ. აფხაზური ენა თუ იცი, არ არსებობს რომ სხვა ენა ვერ ისწავლო, ადვილად ისწავლი ყველა ენას. ბევრი ფიქრობს, რაში გვჭირდებაო. მე ვგიჟდები, ზოგს ვეჩხუბები და ვწერ, ხალხის პირველი ნიშანი არის ენა. ენა თუ არა გაქვს, ეტნოსიც და საერთოდ აღარ იქნები. ტრადიციები ასე თუ ისე შენარჩუნებული მთლად ისე არ არის, როგორც იყო. მეშინია, რომ საერთოდ არ დაიკარგოს აფხაზობა. მე მგონი, დაინახეს. თუ ეშველათ, აუცილებლად უნდა დაიწყონ სწავლა დაბადებიდან, არ არსებობს სხვა ვარიანტი, ძალიან რთულია აფხაზური. სოფელში რომ ჩავედი და ჩემი ძმისშვილები რუსულად ლაპარაკობდნენ, კინაღამ გავგიჟდი. ვუთხარი, რატომ არ ელაპარაკებით აფხაზურად. მითხრეს, შენ რა პატრიოტი ხარო. შენ შენი ენა იცოდე და მერე სხვებსაც ისწავლი. თუ ენას დავკარგავთ, დავკარგავთ ჩვენ აფხაზობას, რაც ბაბუებმა გადმოგვცეს და რომ ტრადიციები შევინარჩუნოთ, აუცილებლად უნდა ვიცოდეთ აფხაზური ენა. აუცილებლად უნდა ვისწავლოთ აფხაზური ენა. აფხაზური ენის გარეშე აფხაზეთი არ არსებობს. ვინც აფხაზეთში ცხოვრობს, თუ აფხაზებს პატივს სცემს, ყველამ უნდა იცოდეს აფხაზური სალაპარაკო ენა. ღმერთმა დალოცოს აფხაზეთი და აფხაზები! იქ რომ ვარ, აფხაზებს ვეჩხუბები, აქ რომ ვარ, ქართველებს ვეჩხუბები„.

შ.ფ.: „აფხაზები ძალიან ცდილობენ, რომ აფხაზური ენა არ დაიკარგოს. ბათუმში მცხოვრები აფხაზებიდან ბევრი მეგობარი მყავს. მათ ენა არ იციან, მაგრამ ამაყობენ, რომ აფხაზები არიან. ჩემი გვარის ადამიანები ოჩამჩირეშიც ცხოვრობენ. თურქეთში ნათესავები და მეგობრები მყავს და იქაურ ჩემი გვარის ადამიანებს გვარი არ შეუცვლიათ. თურქეთში აფხაზებმა იციან აფხაზური, რაღაც აქცენტით საუბრობენ, მაგრამ ტრადიციები უფრო შეინარჩუნეს. ჩვენ ბევრი შერეული ოჯახი გვყავდა, იქ არასდროს არ იყო პრობლემები ქართველზე დაქორწინება, პირიქით, პატივისცემას გამოხატავდნენ. სოფლებში ისევ ისეთი აფხაზურია. აფხაზეთის ქალაქებში ახლა უფრო მეტად ლაპარაკობენ აფხაზურად, ვიდრე მე რომ ახალგაზრდა ან მოსწავლე რომ ვიყავი. იმიტომ, რომ იქ ახლა სხვა კონტიგენტია. რაიონებიდან ქალაქში გადასახლდნენ. ბევრ ოჯახში, სადაც მშობლები აფხაზები არიან, ბავშვები საუბრობენ აფხაზურად. ისეთებიც არიან, რომ დედ-მამა აფხაზები ჰყავთ, მაგრამ ბავშვები არ ლაპარაკობენ აფხაზურად. სოხუმში ახლა უფრო მეტი ლაპარაკობს აფხაზურად, გუდაუთაში ისედაც აფხაზურად საუბრობდნენ. გუდაუთელები ნაკლებად გადავიდნენ სოხუმში, ისინი ძირითადად თავიანთ სახლებში ცხოვრობენ. ოჩამჩირის მთიანი სოფლებიდან გადავიდნენ სოხუმში საცხოვრებლად და რადგან მათ იცოდნენ

აფხაზური, ეს აფხაზური დარჩა და ისინი და მათი შვილები ლაპარაკობენ აფხაზურად. აფხაზური ენა ახლა უფრო ისმის. გაჩნდნენ ახალგაზრდა მწერლები, ტელევიზია, განათლებული ხალხი, ამიტომ ენა კი არ იკარგება, პირიქით, პროგრესირდება. ახალგაზრდები გრამატიკულ აფხაზურს ლაპარაკობენ, ჩემსავით კი არ ლაპარაკობენ სოფლურად, ლიტერატურული ენით საუბრობენ. ახლა უფრო მეტი აფხაზური სკოლა გაჩნდა, სუფთა აფხაზური სკოლებია მეათე და პირველი სკოლები, მეათე სკოლაში ერთი აფხაზური და სამი რუსული კლასი იყო. ახლა რუსული სექტორი არაა, მხოლოდ აფხაზური სკოლაა, მაგრამ მეხუთე კლასიდან სწავლა რუსულად მიმდინარეობს, მაგრამ აფხაზურს გაძლიერებულად სწავლობენ. ჩვენს დროსაც იყო ბაღები, მაგრამ ახლა ბევრია. მშობლებს აფხაზურ ბაღებში მიჰყავთ და ბავშვობიდან ინყებენ აფხაზურის სწავლას. წინათ ყველაფერი რუსულად იყო და ხელს უშლიდა აფხაზურის განვითარებას. აფხაზურ ანბანს არ ვიყენებ არავისთან. ზოგჯერ მეგობარი მწერს აფხაზური ასოებით. აფხაზეთში აფხაზები რუსულად წერენ. როცა ჩავდივარ, აფხაზურად მელაპარაკებიან, მაგრამ წერით რუსულად წერენ„.

ლ.ა.: „ჩემმა მამიდაშვილებმა, რამდენიმემ ძალიან კარგად იცის აფხაზური. ჩვენმა თაობამ ნაკლებად იცის აფხაზური და პატარებმა, ჩვენმა შვილებმა უფრო კარგად იციან ახლა. ეს იმის დამსახურებაა, რომ ომის მერე ძალიან ბევრი აფხაზი რაიონიდან ნამოვიდა სოხუმში და მაგის გავლენა იქნება. სკოლაშიც ცდილობენ, კი, რა თქმა უნდა, იმას ვერ ვიტყვი, რომ აფხაზებს ხელი ჩაქნეული აქვთ და არაფერს აკეთებენ ენის კუთხით, მაგას დიდი რესურსი სჭირდება და არამარტო ადამიანური. სახელმძღვანელოები ნორმალურად შედგენილი უნდა იყოს, პედაგოგები უნდა არსებობდნენ და მეთოდოლოგია არის შესამუშავებელი. ჩირიკბას[82] აქვს, არ მახსოვს, რა ჰქვია ენჯეოს[83], მაგათ გაიარეს საჯარო ტრენინგები საზღვარგარეთ ენის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით და ზუსტად რამდენიმე კვირის წინ აღმოვაჩინე, რომ გაუკეთებიათ სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის და, იმედია, იმუშავებს, იმიტო, რომ ვიცი მართლა ძალიან დაინტერესებულები იყვნენ".

ი.კ.: „ჩემი აზრით, მგონი, აფხაზურში უფრო მეტი სიტყვა რუსული ენიდანაა შესული. მეტიც, კაკ ვამ სკაზატ, სავრემენნიი, ვოტ ეტა, პაიავლენიე ნოვოი ტეხნიკი, ეტო, ნაზვანიი ოჩენ ტრუდნო სტანოვიცა ი მი გავარიმ ნა იხნემ იაზიკე.

82. ვიაჩესლავ ჩირიკბა - ენათმეცნიერი, აფხაზეთის ყოფილი დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრი.

83. არასამთავრობო ორგანიზაცია.

მაცივარი რომ ვთქვათ აფხაზურად ახშვაშვართა[84]. ნო ეტო ნი ტაკ ზვუჩიტ, მი უუე გავარიმ ახალადელნიკ. ნუ დაპუსტიმ, სტირალნუიუ მაშინკუ აძვძვაგა მაშინა - ეტო მი ნე გავარიმ, ნო მი აძვძვაგა სტარაემსა ნი გავარიტ ი გავარიმ პასტირალნაია მაშინა. ეს ყოველი... ეტო ვსეგდა ტაკ ბილო ი ნავერნა, ტაკ ი ასტანეცა დაუე. შას პოდაიუტ ინტერნეტ. სმატრიუ, კაგდა ანი რაზგავარივაიუტ, სტარაიუტსა, ვსიო ეტო ნა აბხაზსკომ იაზიკე გავარიტ., ნო სასტაიანიე, ია ვიუუ, უ ნიხ ეტო პალუჩაეტსია, ნევინუუდენნო ვიგავარივატ"[85].

* * *

კომენტარი: რესპონდენტები განსხვავებულად აფასებენ აფხაზეთში აფხაზური ენის მდგომარეობას. პირველი რესპონდენტი მიიჩნევს, რომ აფხაზური ენა სავალალო მდგომარეობაშია და მასზე ზრუნვა თვით აფხაზებმა უნდა დაიწყონ ოჯახებიდან, მცირე ასაკიდან უნდა ასნავლონ მშობლებმა შვილებს აფხაზური. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს რესპონდენტი ხშირად ჩადის აფხაზეთში და უკეთაც იცის იქაური მდგომარეობა. გარდა ამისა, ი.ო. აფხაზური ენის გადარჩენის პროცესში ქართული სახელმწიფოს ჩართულობის აუცილებლობაზეც ამახვილებს ყურადღებას. მისი თქმით, აფხაზეთში სკოლებსა და ბაღებში იყენებენ ენგურს გამოღმა ქართველი და აფხაზი პედაგოგებისა და მეცნიერების მიერ შექმნილ სასწავლო რესურსებს და ამ მიმართულებით მეტ დახმარებასაც ითხოვენ. რესპონდენტი ვერ ასახელებს, სხვა რა მეთოდით უნდა ჩაერთოს ქართული სახელმწიფო ოკუპირებულ აფხაზეთში მიმდინარე პროცესებში. ი.ო.-ს აზრით, ეთნიკური იდენტობის უპირველესი ნიშანი ენაა, ამიტომ ის მოუწოდებს თავისი ეროვნების ადამიანებს, არ დაივიწყონ მშობლიური აფხაზური ენა.

ამის საპირისპიროდ, სხვა რესპონდენტების აზრით, ახლა უფრო ისმის აფხაზური ენა აფხაზეთის ქალაქებში, ვინაიდან აფხაზეთის ომის მერე სოფლებიდან ქალაქებში გადასახლებული აფხაზები თავიანთ მშობლიურ ენაზე

84. უნდა ეთქვა არხიშვაშვაგა.

85. „როგორ გითხრათ, თანამედროვე ის, ახალი ტექნიკის გამოჩენა, ეს, სახელები ძალიან ძნელი ხდება და ჩვენ ვამბობთ იმათ [რუსების - ს.ჭ.] ენაზე. მაცივარი რომ ვთქვათ აფხაზურად [ეს 4 სიტყვა ქართულად თქვა - ს.ჭ.], ახშვაშვართა, მაგრამ ეს ისე არ ჟღერს, ჩვენ უკვე ვამბობთ ახალადელნიკ-ს. ვთქვათ, სარეცხი მანქანა, აძვძვაგა მაშინა-ს ჩვენ არ ვამბობთ და ვამბობთ ასტირალნაია მაშინა-ს. ეს ყოველი [ეს 2 სიტყვაც ქართულად თქვა - ს.ჭ.], ეს მუდამ ასე იყო და, ალბათ, ასეც დარჩება. ახლა გვანვდიან ინტერნეტს. ვუყურებ. როცა ისინი ლაპარაკობენ, ცდილობენ, ყველაფერი ეს აფხაზურ ენაზე თქვან, მაგრამ მდგომარეობა... ეხედავ, მათ ეს გამოსდით. ძალდატანებლად წარმოთქმა„.

საუბრობენ. მშობლებიც ცდილობენ, შვილებს აფხაზური ასწავლონ, სკოლებსა და ბაღებშიც უფრო მონდომებულნი არიან, რომ უკეთესად მიმდინარეობდეს აფხაზურის სწავლება. აქ ჩვენი მხრივ ისიც უნდა დავძინოთ, რომ, მართალია, ომის შემდგომ ქალაქისაკენ მასობრივად დაძრული აფხაზები დღეს უპირატესად აფხაზურად ლაპარაკობენ მხოლოდ ოჯახში, მაგრამ რაკი ქალაქების მოსახლეობის უმრავლესობა ოჯახის გარეთ რუსულს იყენებს და სკოლაც გარუსების იარაღია, მოსალოდნელია, რომ ყოფილ სოფლელთა შვილებიც მალე მთლიანად გადავლენ რუსულ ენაზე.

რესპონდენტებმა არაერთხელ აღნიშნეს, რომ ადრე აფხაზური ენის განვითარებას რუსული ენა აფერხებდა. ახლა, მართალია, აფხაზებს უფრო მეტად სურთ ისწავლონ აფხაზური ენა, მაგრამ მეტწილად მაინც რუსულ ენას იყენებენ. მათი სიტყვით, აფხაზურს გაძლიერებულად ასწავლიან სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, მაგრამ სწავლას მაინც, უმეტესად, რუსულად აგრძელებენ, აფხაზურადაც საუბრობენ, მაგრამ მაინც რუსულად წერენ.

ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში ოთხიდან სამი რესპონდენტი, შორიდან რეალურად ვერ აფასებს იმ მძიმე ვითარებას, რის შესახებაც აფხაზეთში მცხოვრები აფხაზი მეცნიერები (თუნდაც იგივე ვ. ჩირიკბა) და სხვა დარგების წარმომადგენლები ხშირად წერენ და საუბრობენ.

როგორც ვხედავთ, აფხაზურ ენას ყველგან კონკურენციას უწევს და ჯაბნის რუსული ენა, რომელსაც აფხაზურთან ერთად ოფიციალური ენის სტატუსი აქვს მინიჭებული აფხაზეთის ტერიტორიაზე. გარდა ამისა, დიდ სურვილთან და შემართებასთან ერთად, აფხაზებს დიდი ფინანსური და ადამიანური რესურსი სჭირდებათ აფხაზური ენის შენარჩუნებისათვის, განვითარებისა და უფრო ფართოდ ფუნქციონირებისათვის, რაც დღევანდელ პირობებში ძნელად მისაღწევი ჩანს. ამასთანავე, ეს ყველაფერი დამოკიდებულია არა მხოლოდ აფხაზთა მონდომებასა და სურვილზე, არამედ იმ მეზობელი სახელმწიფოს ნებასა და მის მიერ გამოყოფილ ბიუჯეტზეც, რომელიც, სინამდვილეში, წარმართავს აფხაზეთში ეთნიკურ, ენობრივ და პოლიტიკურ პროცესებს.

სამწუხაროდ, ჩვენი რესპონდენტები ასევე ვერ ხედავენ იმასაც, რომ, როგორც პროფ. თ. გვანცელაძე იმეორებს ხშირად, ვერცერთი სახელმძღვანელო და სასწავლო რესურსი ვერ გადაარჩენს აფხაზურ ენას, თუ ამ ენის გაძლიერებული სწავლება არ გახდება საყოველთაო და სავალდებულო აფხაზურ საბავშვო ბაღებში, სკოლების ყველა კლასსა და უნივერსიტეტის ყველა სპეციალობაზე.

შვილების ენა:

ი.ო.: „ჩემს ქალიშვილს ესმის აფხაზური, დედაჩემი და მამიდა სულ აფხაზურად ელაპარაკებოდნენ და ესმით. ბიჭმა კითხვა და უფრო სალაპარაკო ენა იცის. შვილიშვილებმა არ იციან და ახლა ვცდილობ, რომ რაღაცები მაინც ვასწავლო. ჩემი შვილი რუსულად და ინგლისურად კარგად ლაპარაკობს. მერე დაგვჭირდა აფხაზური ენა. სალაპარაკო ენა კი იცოდა, მიდი, მოდი, ჭამე, ადექი და რაღაცა. მერე დაგვჭირდა და ვუთხარი, უნდა ვისწავლოთ. ბგერებს ამბობს არაჩვეულებრივად, მაგრამ ენა არ იცის. წაიკითხავს, მაგრამ რას ნიშნავს და რა არის, არ იცის. ძლივს მივაღწიეთ, რომ ბგერები სწორად რომ თქვას“.

შ.ფ.: „ლიხნში მამიდა, ბებია, მამა გარდაიცვალნენ, მაგრამ სოფელში მაინც დავდიოდით. ჩემი დისშვილები და ჩემი შვილები არ ლაპარკობდნენ აფხაზურად, მაგრამ ყველაფერი მშვენივრად ესმოდათ. ხუმრობა-ხუმრობით ინყებდნენ საუბარს. ჩემს ვაჟიშვილს უყვარს ზოგჯერ აფხაზური სიტყვების გამოყენება. ომის შემდეგ წამოვედით და ნელ-ნელა ყველაფერი გვავინყდება. მეგობარმა მაჩუქა აფხაზური სახელმძღვანელო და ჩემი შვილიშვილი ცდილობს ისწავლოს, აფხაზური სიმღერები უყვარს, ის 15 წლისაა. წინააღმდეგი არაა, მას ძალიან უყვარს ენების სწავლა. ის კი მითხრა, რომ რთულიაო ძალიან, მართლა რთულია“.

ლ.ა.: „ჩემმა შვილებმა იციან ქართული, რუსული, ორივე ძალიან კარგად. შემიძლია ვთქვა, თანაბრად. სწავლობენ ფრანგულსა და ინგლისურს, აფხაზურს - არა. ვეცადე, მაგრამ მაინც და მაინც დიდი ინტერესი არ გამოუხატავთ. მე ჩემს შვილებს აფხაზურად არ ვესაუბრები, ვესაუბრები ქართულად, არ გამომდის. ვეცადე რამდენჯერმე, მაგრამ აი, ხო არის რაღაცა ფსიქოლოგიური ბარიერი, რომ ვერ ველაპარაკები და ამიტომ ჩავიქნიე ხელი ჯერჯერობით. აფხაზეთში წასვლის სურვილი აქვთ, ხშირად ეკითხებიან ბებიას, ხომ შეიძლება ჩამოვიდეთო, მაგრამ ჯერჯერობით ამის საშუალება არ არის„.

ი.კ.: „შვილებმა არ იციან აფხაზური, ეს ცუდი ვითარება მოხდა. ომი რომ დაინყო, ესენი ძაან პატარები იყვნენ. ჩემი მადონა იცოდა. 3 წლის იყო, რომ სრულად ლაპარაკობდა აფხაზურად, დედაჩემმა ასწავლა. ჩვენ რომ გადავედით, მედეა იყო 2 წლის, მართა იყო ნლინახევარის. მე მახსოვს, ომის დროს ისე იყო საშიში, რო სადღაც დაილაპარაკებდი, გაიგებდი ხმები, დაიჭერდნენ, მიყავდი შტაბში, დაკითხვებს აკეთებდი, წერდი. ჩტობ ია ატ ეტუ სრედუ ნე პაპალა, ია მალჩალა, ნე რაზგავარივალა ს დეტმი. გავარილა ნა იხ მენგრელსკომ იაზიკე, რაზგავარივალა. ა პატომ პოსლე ვაინი, დევიანოსტო ტრეტომ გადუ, ზა ინგირი აკაზალის. ეტა ვაბშემ ისკლიუჩილას ეტატ რაზგავორ, შტობ სლიშნა ბილა. ია

ესლი ნე სკაუუ, ვი სამი მოუეტე დაგადატსია, ეტა აპასნო ბილა ვ ტო ვრემია[86]. ახლა უკვე მივაჩვიეთ და ის დრო გავიდა, რომ არ შემიძლიოდა ლაპარაკი. არ გამოვიდოდა. აი მე რომ კორპუსში ლაპარაკი რომ დაინყებდი, არ მოეწონებოდათ მეზობელებს, ამიტომ პატივს ვცემდი მე ჩემ მეზობელებს, რო გული არ ატკინოს, რო არ გახსენდოს წარსული და ვცდილობდი, რომ ვილაპარაკო ქართულად. მე ახლაც კიდე მიჭირს ლაპარაკი და ეს ჩანაწერი მერე გაასწორე ჩემი სიტყვები. ს ეტოი სიტუაციი ტაკ პალუჩილას, ჩტო ანი ნე მაგლი ნაუჩიტსია აბხაზსკომუ იაზიკუ"[87].

* * *

კომენტარი: სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური მიზეზებისა და გარემოებების გამო აფხაზი ქალბატონების შვილებმა არ იციან აფხაზური ენა. მათი შვილები, ან შვილიშვილები ქართველები არიან, რომლებიც ქართულენოვან გარემოში იზრდებიან, ამიტომ დედებმა ვერ შეძლეს უკეთ ესწავლებინათ მათთვის დედის ენა, თუმცა შვილებთან ძალიან ადრეული ასაკიდან მუშაობისა და მეტი მონდომების შემთხვევაში უკეთესი შედეგის მიღწევა შეუძლებელი არ იქნებოდა.

ამრიგად, ჩვენ მიერ პროექტის ფარგლებში თბილისში მცხოვრები აფხაზი ქალბატონებისაგან ჩაწერილი ინტერვიუებით ირკვევა, რომ მათი ენობრივი ისტორიები მეტ-ნაკლებად ერთმანეთს ჰგავს. მათ სხვადასხვა დონეზე იციან თავიანთი დედაენა, მაგრამ ოთხივე მშობლიურ ენად მაინც მიიჩნევს აფხაზურ ენას. სამწუხაროა, რომ აფხაზური ენის ის ცოდნა, რაც აქვთ ჩვენს რესპონდენტებს, ვერ გადაეცა შვილებს და შვილიშვილებს.

აფხაზი ქალბატონები მაქსიმალურად ცდილობენ, დადებითი მუხტი შეიტანონ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში, აქტიურად გულშემატკივრობენ აფხაზებისა და ქართველების ცხოვრებისთვის მნიშვნელოვან საკითხებს.

ი.ო. და ლ.ა. თავიანთ აფხაზ და ქართველ კოლეგებთან ერთად ზრუნავენ აფხაზური ენისა და კულტურის განვითარებაზე: თარგმნიან წიგნებს აფხაზურიდან ქართულად და პირიქითაც, დაინტერესებულ ადამიანებს ასწავლიან აფხაზურ ენას, აცნობენ აფხაზეთისა და აფხაზების ენობრივ, ეთნოგრაფიულ

86. „იმ გარემოში რომ არ მოვხვედრილიყავი, მე ედუმდი, არ ველაპარაკებოდი ბავშვებს. ველაპარაკებოდი მათ მშობლიურ მეგრულ ენაზე, ვესაუბრებოდი. მერე კი, ომის შემდგომ, ოთხმოცდაცამეტ წელს, ენგურის გამოღმა აღმოვჩნდით. ეს, ეს საუბარი სრულებით გამოირიცხა, რომ გასაგონი ყოფილიყო. მე რომ არ ვთქვა, თქვენ თვითონ მიხვდებით, [რომ] ეს სახიფათო იყო იმ დროს".

87. „ამ სიტუაციიდან ასე გამოვიდა, რომ მათ [ე.ი. რესპონდენტის შვილებს] არ შეეძლოთ ესნავლათ აფხაზური ენა".

და კულტურულ მახასიათებლებს, აფხაზურ ენაზე უძღვებიან სატელევიზიო და რადიოგადაცემებს, ქმნიან აფხაზური ენის სწავლებისთვის საჭირო რესურსების ბეჭდურ და ელექტრონულ ვერსიებს. ჩამოთვლილი ღონისძიებები თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ როგორ ზრუნავენ თბილისში მცხოვრები აფხაზები თავიანთი მშობლიური ენის შესანარჩუნებლად და განსავითარებლად.

დასკვნა

ჩვენ მიერ ჩანერილი მასალების ანალიზით ირკვევა, რომ:

1. მე-20 საუკუნის 20-30-იან წლებში აფხაზურ ოჯახებში უმეტესად მხოლოდ აფხაზურ ენაზე საუბრობდნენ, სანამ საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში რუსული ენა უფრო აქტიურად შემოვიდოდა მათ ცხოვრებაში.
2. დევნილობამდე აფხაზური ენის გამოყენების გეოგრაფია ასე ნაწილდებოდა: აფხაზური ენა ძირითადად კარგად იცოდნენ გუდაუთისა და ოჩამჩირის რაიონების სოფლებში, ხოლო ნაკლებად იცოდნენ სოხუმში მცხოვრებმა აფხაზებმა;
3. აფხაზების უმეტესობა მშობლიურ ენად აღიარებს აფხაზურს, ამასთანავე უმეტეს შემთხვევაში ისინი ამის ხაზგასმით თავიანთი ეთნიკური თვითკუთვნილების მარკირებასაც ახდენენ;
4. აფხაზური ენის გარდა, აფხაზებმა იცოდნენ შემდეგი ენები: რუსული, თურქული, ქართული (უმეტესად მეგრული). რუსულს და თურქულს სწავლობდნენ განათლებისა და სამსახურებრივი საჭიროების გამო. გუდაუთელებმა აფხაზურის გარდა უფრო ხშირად უკეთ იცოდნენ რუსული, ოჩამჩირეში მცხოვრებმა აფხაზებმა აფხაზურის გარდა კარგად იცოდნენ მეგრული (ზოგიერთ შემთხვევაში სამნიგნობრო ქართული, ან იშვიათად სვანური). შეიძლება ითქვას, რომ აფხაზების დიდი ნაწილი იყო ორენოვანი, სამენოვანი და ნაკლებად ოთხენოვანი.
5. ზოგჯერ აფხაზი საუბარს იწყებდა აფხაზურად, მაგრამ აგრძელებდა რუსულად, ან მეგრულად. ენობრივი კოდების გადართვა იმაზე იყო დამოკიდებული, თუ სად, ვის და რაზე ესაუბრებოდა. რესპონდენტებს ხშირად აღუნიშნავთ, რომ საოჯახო და საყოფაცხოვრებო საკითხებზე საუბრისას ისინი აფხაზურად ლაპარაკობდნენ, ხოლო გლობალურ, პოლიტიკურ, ან სამსახურებრივ თემებზე - რუსულად ერჩივნათ საუბარი;

6. რესპონდენტებს შესწევთ უნარი, ინტონაციით, ცალკეული ბგერებისა და ლექსიკური ერთეულების განსხვავებულად გამოყენების მიხედვით განასხვაონ ბზიფურ და აბჟუურ დიალექტებზე მოლაპარაკეები;
7. მე-20 საუკუნის 20-30-იანი წლებიდან აფხაზეთში ფუნქციონირებდა ე.წ. აფხაზური სკოლა, რაც გულისხმობდა აფხაზურ ენაზე სწავლებას მეოთხე კლასის ჩათვლით, ხოლო მომდევნო საფეხურზე მოსწავლეები სწავლებას რუსულ ენაზე აგრძელებდნენ. აფხაზურ სკოლებში უმეტესწილად არ ისწავლებოდა ქართული, როგორც სახელმწიფო ენა და პირიქითაც, არც ქართულ სკოლებში ასწავლიდნენ აფხაზურს, როგორც ერთ საგანს. რესპონდენტებიც აღნიშნავენ და ჩვენც ვეთანხმებით, რომ ერთმანეთის ენების თუნდაც ელემენტარულ დონეზე ცოდნა დადებით მუხტს შეიტანდა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში;
8. აფხაზეთის უმაღლესი სასწავლებლების აფხაზურ სექტორზე დისციპლინათა უმრავლესობის სწავლება მხოლოდ რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. ამის მიზეზებად სახელდება აფხაზურენოვანი სახელმძღვანელოების არარსებობა და შესაბამისი კვალიფიციური კადრების ნაკლებობა, თუმცა ეს საბჭოთა კავშირის ყველა ავტონომიაში ზუსტად ასე იყო და კომუნისტური ენობრივი პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა;
9. სასკოლო და უმაღლესი განათლების სფეროში რუსული ენის გადაჭარბებულადი გამოყენებამ საგრძნობლად შეასუსტა აფხაზური ენის ფუნქციონირება, ვინაიდან ნელ-ნელა რუსული ენა საგარეო სივრციდან საოჯახო გარემოშიც შეიჭრა და აფხაზურთან ერთად საოჯახო ენის სტატუსიც მოიპოვა, დღეს კი ოჯახშიც დომინანტობას ცდილობს;
10. ე.წ. აფხაზური სკოლების მაღალ კლასებში 1945 წლიდან სწავლების რუსულიდან ქართულ ენაზე მოულოდნელი გადაყვანა ფსიქოლოგიური სტრესი გამოდგა მოსწავლეებისა და მათი ოჯახებისათვის და დიდი უკმაყოფილება გამოიწვია აფხაზებში. ამ აქტის რეალური ინიციატორისა და საბჭოთა კავშირში შესაბამის პერიოდში არსებული ზოგადი ტენდენციების უცოდინრობამ აფხაზთა შორის ტრავმული ხსოვნის ადრესატად ქართველები გადააქცია და გავრცელდა მცდარი სტერეოტიპული მითი, რომ ეს აქტი თბილისში დაიგეგმა. აღმოჩნდა, რომ 1945-1953 წლების მოკლე პერიოდშიც კი აფხაზებმა გარკვეულ დონეზე მაინც ისწავლეს ქართული, რაც აადვილებდა ქართველებთან მათ ურთიერთობას;

11. საბჭოთა პერიოდში აფხაზეთში ისევე, როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა შორის მთავარი საკომუნიკაციო ენა იყო რუსული. საგანმანათლებლო სივრცის გარდა, აფხაზეთში რუსული ენა გახდა საქმისწარმოების, კულტურისა და სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელთა შორის ურთიერთობისათვის გამოსაყენებელი უნივერსალური ენა;

12. რუსული ენის პრესტიჟულობამ და აფხაზებისთვის განათლების ძირითად ენად რუსულის გადაქცევამ გაელენა იქონია აფხაზების ენობრივ კომპეტენციაზე. კერძოდ, დროთა განმავლობაში განუხრელად იკლო აფხაზურის მცოდნე აფხაზთა რიცხვმა, თუმცა ოფიციალურ სტატისტიკაში მიეთითებოდა დედაენის თითქმის ასპროცენტიანი ცოდნა. აფხაზები პრაგმატულ არჩევანს აკეთებდნენ რუსული ენის სასარგებლოდ, ამიტომ მცირდებოდა აფხაზური ენის ცოდნის ხარისხიც და მცოდნეთა ნილიც. აფხაზურ სკოლებში შვილების მიყვანაც არ იყო საკმარისი, ვინაიდან სკოლის უპირატესად რუსულენოვანი გარემო აფერხებდა აფხაზური ენის სრულფასოვნად ფუნქციონირებას;

13. რუსულის მომეტებულად გამოყენება გავლენას ახდენდა აფხაზური ენის ეკოლოგიაზეც, ვინაიდან რუსულიდან მასობრივად იჭრებოდა და მკვიდრდებოდა ის ლექსიკური ერთეულები, რომელთა ნაწილსაც აფხაზურ ენაში შესატყვისი ეძებნებოდა;

14. დღეს აფხაზური ენის გამოყენების არეალი ოდნავ შეიცვალა და სოფლებიდან სოხუმში ბოლო 30 წელინადში გადასახალებული აფხაზების თაობა უფრო მეტად ლაპარაკობს აფხაზურად, მაგრამ ურბანული და ინტერნაციონალური გარემო, სადაც რუსულია ოჯახის გარეთ ურთიერთობის ერთადერთი ენა, ასევე რუსულენოვანი სკოლა ქალაქში დაბადებულ ახალ თაობებს იოლად და სწრაფად დაავიწყებს დედაენას;

15. აფხაზთა მიგრაცია სოფლიდან ქალაქში სრულიადაც არ არის საკმარისი იმისთვის, რომ აფხაზური ენის ფუნქციონირების სფეროები გაიზარდოს და ენა განვითარდეს, ვინაიდან აფხაზეთში აფხაზურთან ერთად რუსული ენის ოფიციალურ ენად აღიარება და რუსეთის მიერ დაგეგმილი ენობრივი პოლიტიკა მნიშვნელოვნად აზარალებს და აფერხებს აფხაზურის გამოყენებას. საბჭოთა პერიოდიდან დაწყებული აფხაზეთში აფხაზური ენის პოზიციების შესუსტების პროცესი ამჟამადაც ინტენსიურად გრძელდება უფრო არადემოკრატიული ფორმებითა და მეთოდებით;

16. აფხაზები აქტიურად იყენებენ რუსულ ენას ერთმანეთთან საუბრისას, განათლების სისტემაში, კულტურაში, ხელოვნებაში, მეცნიერებაში, ციფრულ სამყაროში... სოციალურ ქსელებში კომუნიკაციისას ისინი, ძირითადად, წერენ რუსულ ენაზე და არა აფხაზურად. აფხაზებისთვის ყველაზე „კომფორტულ„ ენად მაინც რუსული რჩება;

17. რადიკალურად შეიცვალა აფხაზური ენის გამოყენების გეოგრაფია, ვინაიდან სოფლის მოსახლეობა, განსაკუთრებით, მთიანი სოფლების მცხოვრებლები ქალაქებში გადასახლდნენ, სადაც იძულებული არიან თავიანთ მშობლიურ ენაზე მეტად მაინც რუსულ ენაზე ისაუბრონ. სოფელში ენის მტარებელთა რიცხობრივი შემცირება სერიოზულ ეკოლოგიურ საფრთხეს უქმნის აფხაზურ ენას;

18. ათწლეულობით მიმდინარე რუსული ენის უმძლავრესი და დამთრგუნავი ზეგავლენა თავისთავად აისახება თანამედროვე აფხაზური ენის ლექსიკურ მარაგზეც და ქაოსურად შეჭრილი თანამედროვე ტექნიკური სიახლეების აღმნიშვნელი ტერმინებიც უკონტროლოდ და უსისტემოდ მკვიდრდება, რაც ენის ეკოლოგიურ მდგრადობას უქმნის საფრთხეს;

19. თანამედროვე აფხაზური ენის განაწილება სხვადასხვა თაობის ადამიანებს შორის ასეთია: აფხაზურს ძირითადად კარგად, ან საშუალოდ ფლობენ 50 წელს გადაცილებული ადამიანები, 30-40 წლის აფხაზებმა საშუალო დონეზე იციან, ხშირ შემთხვევაში ესმით და ვერ ლაპარაკობენ, ხოლო უმცროსი თაობის ადამიანებმა ნაკლებად, ან საერთოდ არ იციან;

20. საბჭოთა პერიოდსა და ამჟამად შექმნილი ენობრივი სიტუაციის გამო, უფროსი თაობის ადამიანები შვილებს და შვილიშვილებს არ და ვერ გადასცემენ დედაენის ცოდნას. ამის და სხვა მრავალი მიზეზის გამო იხშობა, იზღუდება და ნელ-ნელა სუსტდება აფხაზური ენა.

21. ჩვენ მიერ გაანალიზებული მასალაც ადასტურებს, რომ აფხაზური ენა ნამდვილად არის გაქრობის რეალური საფრთხის წინაშე მდგომი ენა, რომელსაც ხელშეწყობა, ზრუნვა და გადარჩენა სჭირდება. როგორც თბილისელი აფხაზები აღნიშნავენ, საამისოდ აფხაზებს სჭირდებათ დახმარება ქართული სახელმწიფოს მხრიდანაც, რომლის კონსტიტუციური მოვალეობაა ქართულ ენასთან ერთად იზრუნოს აფხაზურ ენაზე, როგორც ერთ-ერთ სახელმწიფო ენაზე.

§2. აფხაზეთის ა.რ. საჯარო სკოლების აფხაზური ენის მასწავლებელთა ენობრივი ბიოგრაფიები

წინამდებარე პარაგრაფში წარმოვადგენთ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი დეენილი საჯარო სკოლების აფხაზური ენის აფხაზი და ქართველი მასწავლებლების ინტერვიუებს, რომლებშიც ასახულია მათი ენობრივი ბიოგრაფიები და აფხაზური ენის სწავლებასთან დაკავშირებული საკითხები.

2015-2016 წლებიდან აფხაზური ენა ისწავლება აფხაზეთის ა.რ. განათლებისა და კულტურის სამინისტროს 5 საჯარო სკოლაში - თბილისში (2 სკოლა), ზუგდიდსა (2 სკოლა) და სენაკში (1 სკოლა), ასევე აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2 საჯარო სკოლაში (1 ბათუმში, 1 სოფელ ფერიაში).

ჩვენი რესპონდენტები იყვნენ:

ა. კ. - თბილისში მოქმედი აფხაზეთის N 2 საჯარო სკოლის მასწავლებელი, აფხაზი, ოჩამჩირის რაიონიდან;

ა. გ. - სენაკში მოქმედი აფხაზეთის N 7 საჯაროს სკოლის მასწავლებელი, აფხაზი, ოჩამჩირის რაიონიდან;

დ.თ. - თბილისში მოქმედი აფხაზეთის N 3 საჯარო სკოლის მასწავლებელი, ქართველი, სოხუმიდან;

ხ.ზ. - სენაკში მოქმედი აფხაზეთის N 11 საჯარო სკოლის მასწავლებელი, ქართველი, 30 წლის, გალის რაიონიდან.

პირველი აფხაზი რესპონდენტი ა.კ. 1964 წელს დაიბადა ოჩამჩირის რაიონში. როგორც ის აღნიშნავს, მისმა აფხაზმა ბაბუამ ქართული ენა არ იცოდა, მაგრამ ჰყავდა მეგრელი (სენაკელი) მეუღლე, რომელთანაც, ლაპარაკობდა მეგრულად. ასეთივე ვითარება იყო ა.კ.-ს მშობლების შემთხვევაშიც: მამამ კარგად იცოდა აფხაზური, მაგრამ ქართველი მეუღლის გამო ოჯახში აფხაზურად არ საუბრობდნენ. ა.კ.-მ აფხაზური ენის შესწავლა აფხაზურ სკოლაში პირველი კლასიდან დაიწყო. ისიც ქართველს გაჰყვა ცოლად და მეუღლესაც ასწავლა აფხაზური ენა. მაშასადამე, სამი თაობის ქართულ-აფხაზური ოჯახის ნევრები საუბრობდნენ ქართულად, მეგრულად, ან აფხაზურად. მართალია, ქართველი მეუღლეების გამო შვილებმა ოჯახში ვერ ისწავლეს აფხაზური ენა, მაგრამ დედაენის დაუფლება აფხაზურ სკოლაში შეძლეს. რუსული მათი განათლების ენა ხდებოდა მეოთხე კლასის შემდეგ. რესპონდენტმა სოხუმის პედაგოგიურ

ინსტიტუტში დაამთავრა ფილოლოგიის ფაკულტეტი აფხაზური ენისა და ლიტერატურის სპეციალობით და ამ არჩევანით ერთგვარად გამოხატა თავისი დამოკიდებულება მშობლიური ენის მიმართ. ა.კ. აფხაზურს დედაენად მიიჩნევს, თითქმის თანაბრად იცის აფხაზური და რუსული ენები, რომლებზეც თავისუფლად საუბრობს, ხოლო ქართულად ლაპარაკობს, წერს და კითხულობს საშუალო დონეზე. ჩანს, რომ რესპონდენტს ქართული სახელმწიფო ენა განათლების არცერთ საფეხურზე არ გამოუყენებია, სწორედ ამიტომ ეს ენა უფრო ნაკლებად იცის, ვიდრე რუსული და აფხაზური.

ა.კ.: „აჭარაში მცხოვრები აფხაზები განსხვავებული აფხაზურით საუბრობენ, მათი ლაპარაკი გუდაუთის აფხაზურს ჰგავს. ერთმანეთისგან განსხვავდება გუდაუთისა და ოჩამჩირის აფხაზური, ისინი ორ სხვადასხვა დიალექტზე საუბრობენ. მაგალითად, ოჩამჩირეში აფხაზები ამბობენ აკვაკუშ „ინდაური“, გუდაუთაში იძახიან აშვიშვი, ასევე დხალეიტ „აღმართზე ავიდა“ არის ჩვენებურად, გუდაუთაში იძახიან დჳხვნეიტ“.

თბილისში მცხოვრები აფხაზი მასწავლებელი აფხაზურ ენას იყენებს ოჯახში, ნათესავებთან, გაკვეთილის ჩატარების დროს და სოციალურ ქსელებში ურთიერთობისას. აქტიურად სარგებლობს ტელეფონში ჩაწერილი აფხაზური ანბანით, ასევე უსმენს აფხაზურენოვან საინფორმაციო არხებს და აფხაზურ სიმღერებს. აფხაზურის გარდა, ის საკომუნიკაციოდ და სხვადასხვა ინტერესების დასაკმაყოფილებლად იყენებს ქართულს, მეგრულს და რუსულს. სამწუხაროა, რომ მის მიერ აფხაზური ენის ცოდნის გადაცემა შემდეგი თაობისათვის უფრო სრულყოფილად ვერ მოხერხდა, ვინაიდან მის შვილებს აფხაზური მხოლოდ ესმით და ვერ ლაპარაკობენ.

მეორე აფხაზი რესპონდენტი ა.გ. 1966 წელსაა დაბადებული ოჩამჩირის რაიონში. როგორც თვითონ აღნიშნავს, მისი გვარი წარმოშობით სენაკის რაიონიდან, სოფელ ლეგოგიედანაა, მაგრამ, როგორც ჩანს, მისი წინაპრები აფხაზეთში საცხოვრებლად გადასვლის შემდეგ გააფხაზდნენ. მშობლიურ ენად აფხაზურს მიიჩნევს, იცის რუსული და ქართული ენებიც. სწავლობდა ე.წ. აფხაზურ სკოლაში, უმაღლესი განათლება მიიღო სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში რუსულ ენაზე. აფხაზური ენა მშობლებისგან და სკოლაში სწავლის დროს ისწავლა. ამჟამად სენაკის რაიონში ცხოვრობენ და ოჯახში უმეტესად ქართულად და რუსულად საუბრობენ, ზოგჯერ - აფხაზურადაც. აფხაზური იციან მისმა შვილებმაც. ფიქრობს რუსულად, აფხაზურად და ქართულად. სიზმრებს რუსულად და აფხაზურად ნახულობს. მეზობლებს, თანამშრომლებს და

ნათესავებს ქართულად და რუსულად ელაპარაკება. უყურებს ქართულენოვან და რუსულენოვან ტელეარხებს, ასევე ამავე ენებზე უსმენს რადიოარხებს. წიგნებს კითხულობს რუსულად, ქართულად და აფხაზურად. აქვს აფხაზური წიგნები და ბოლოს წაიკითხა გუნდა საქანიას ლექსები. სოციალურ ქსელში არ იყენებს აფხაზურ ენას. ქართულსა და აფხაზურს მონათესავე ენებად მიიჩნევს და ამბობს, რომ აფხაზური ენა ვითარდება ნელი ტემპით. რესპონდენტი აღნიშნავს, რომ აფხაზეთში რუსული ენაა გაბატონებული და აფხაზებისთვის ეს ენა არის პრიორიტეტული.

ა.გ.: „პირველ რიგში აფხაზებმა უნდა იზრუნონ თავიანთ ენაზე, საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზეთში აფხაზურ ენას ქართულთან ერთად სახელმწიფო სტატუსი აქვს მინიჭებული, ამიტომ აფხაზური ენის შენარჩუნება და განვითარება ჩვენი სახელმწიფოს ვალდებულებაა“.

ა.გ.-ს ბათუმის მე-14 საჯარო სკოლაში აფხაზური ენის მასწავლებლებისათვის ჩაუტარებია ტრენინგები. ასევე მონაწილეობა მიუღია თურქეთის რესპუბლიკაში ჩატარებულ კონფერენციაში, სადაც აფხაზეთელი აფხაზებიც პყავდათ მიწვეული. სურს, რომ უფრო მაღალ დონეზე ისწავლოს აფხაზური ენა და ასევე უნდა, რომ თავისი ოჯახის წევრებმაც უფრო მეტად იცოდნენ აფხაზური. ა.გ.-ს ინფორმაციით, აფხაზეთში ოჯახის უფროსი წევრები პატარებს აფხაზურად და რუსულად ესაუბრებოდნენ, ხოლო აფხაზების ტრადიციული რიტუალები სრულდებოდა აფხაზურ ენაზე.

ამრიგად, აფხაზური ენის აფხაზი მასწავლებლები ა.კ. და ა.გ. ძირითადად იყენებენ რუსულ და ქართულ ენებს, იშვიათად, მაგრამ მაინც, აფხაზურად საუბრობენ ოჯახში, ნათესავებთან და სკოლაში გაკვეთილის ჩატარების დროს. ისინი თბილისსა და სენაკში ქართულენოვან გარემოში ცხოვრობენ და მაინც რუსულად ურთიერთობენ ოჯახის წევრებთან. შეიძლება ითქვას, რომ განათლების დიდი ნაწილის რუსულ ენაზე მიღებამ უდიდესი კვალი დატოვა რესპონდენტების ენობრივ პრიორიტეტებზე. თითქმის სამი ათეული წლის შემდეგაც, მიუხედავად იმისა, რომ ენგურს გამოღმა რუსული ენა აღარ არის პრესტიჟული ენა და არც მისი გამოყენების საჭიროება თუ გარემო არსებობს, აფხაზი რესპონდენტებისთვის რუსული რჩება ნომერ პირველ და ყველაზე „კომფორტულ ენად“ ოჯახში და ახლობლებთან საურთიერთოდ.

აფხაზური ენის მესამე მასწავლებელი დ.თ. ქართველია. ინტერვიუს ჩაწერის დროს ის ლაპარაკობდა ქართულად რუსული აქცენტით, პერიოდულად იყენებდა რუსულ სიტყვებს, იშვიათად მეგრულს.

დ.თ.-ს წინაპრების ოჯახური ისტორია ასეთია: დიდი ხნის წინ დ.თ.-ს ბაბუის ბაბუა ყარამანი ლიხაურიდან (ოზურგეთის რაიონი - ს. ჭ.) გადავიდა აფხაზეთში საცხოვრებლად. ყარამანს სახლი არ ჰქონდა, ამიტომ ერთ-ერთი შეძლებული აფხაზი კაცის ყაიმათხან აძინებას ქალიშვილი შეირთო ცოლად. ყარამანის მშობლებს სარძლო დიდად არ მოსწონდათ და უარზე იყვნენ, მაგრამ ყაიმათხანს სასიძო მოეწონა და თავისი კარ-მიდამოს გვერდით დაასახლა (ყარამანს არაფერს აკეთებინებდნენ ოჯახში, ვინაიდან აძინებებს მოსამსახურები ჰყავდათ). ყაიმათხანთან ახლოს ცხოვრების დროს ყარამანმა აფხაზური ენაც ისწავლა. მართალია, მას და მის შთამომავლებს ეთნიკური კუთვნილება არ შეუცვლიათ, მაგრამ გარკვეული წლების შემდეგ მათ შეისისხლხორცეს აფხაზური ყოფა-ცხოვრების მახასიათებლები, მათი ტრადიციები და ენა.

დ.თ. 1954 წელს დაიბადა ოჩამჩირის რაიონის სოფელ ბესლახუბაში. მამამ - ალექსანდრემ ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრა და რუსულის მასწავლებლად მუშაობდა, ხოლო დედამ თბილისში მიიღო უმაღლესი განათლება და დაწყებითი კლასების მასწავლებელი გახდა. მშობლებმა ბესლახუბის სკოლაში გაიცნეს ერთმანეთი და დაქორწინდნენ. დ.თ.-ს დედის მშობლები აბაშის რაიონიდან იყვნენ გადასახლებული ბესლახუბაში.

დ.თ.: „იმ პერიოდისთვის ბესლახუბაში ქართველები ნაკლებად ცხოვრობდნენ, მაგრამ მოგვიანებით ჩაასახლეს აბაშელი მეგრელები. სოფლის ერთ მხარეს, ტყვარჩელისკენ აბაშელი მეგრელები ცხოვრობდნენ, ხოლო მეორე მხარეს, აკვასკისკენ - აფხაზები. აფხაზებს უფრო მეტად მეგრელი ქალები მოჰყავდათ ცოლად, ამიტომ, ძირითადად, ქართულ-აფხაზური ოჯახები იქმნებოდა. ბესლახუბაში ჩვენი მეზობელი აფხაზები იყვნენ: კვეკვესკირები, აგრბები, ზუხბები, თარბები, აძგნბები. უფრო მეტად მეგრული გვარის ადამიანები ცხოვრობდნენ ბესლახუბაში: რურუები, ჭკადუები, ზაქარაიები, მინჯიები, კენჯიები, ფაღავები, თაყაიშვილები, ჭითანავები... სოფლის შესასვლელში პირველ სახლში რუსები ცხოვრობდნენ - სემიონოვები, ძალიან კარგები იყვნენ. მათი შვილი ჩემი თანაკლასელი იყო, რუსეთში გათხოვდა. ქართველებს და აფხაზებს ბრწყინვალე ურთიერთობა გვქონდა. აფხაზს ქართველი მოჰყავდა და ქართველს აფხაზი. ქორწილში ქართულად, აფხაზურად, რუსულად და მეგრულად ლაპარაკობდნენ, ვისაც როგორ მოუნდებოდა. ქალაქებში ცოტათი უფრო მეტად რუსულად ლაპარაკობდნენ, სოფლებშიც იყენებდნენ რუსულს, მაგრამ ქართულ ოჯახში ქართულად იყო ყველაფერი. იყვნენ ისეთი ოჯახები, რომლებიც დაინტერესებულები იყვნენ ქართული ენის სწავლით, ასეთებს დედა

ქართველი ჰყავდათ.

მამამ კარგად იცოდა აფხაზური, მეგრული, ქართული და რუსული. ქართველები, რომლებმაც აფხაზური კარგად იცოდნენ, თაყვაიშვილები იყვნენ. სხვა ქართველებმა ნაკლებად იცოდნენ აფხაზური. ბავშვობაში მარტო მეგრულად ვლაპარაკობდით. სამეზობლოში, ირგვლივ აფხაზები ცხოვრობდნენ და მათგან ვისწავლეთ აფხაზური, ამიტომ სკოლაში შესვლამდე აფხაზური ვიცოდით, მაგრამ სახლში მარტო მეგრულად ვლაპარაკობდით. მეზობელმა აფხაზმა ბავშვებმა მეგრული ბრწყინვალედ იცოდნენ, ასევე იცოდნენ რუსული და აფხაზური. ჩვენსავით, იმათაც მეზობლებისგან ისწავლეს მეგრული. თითქმის ყველა აფხაზმა მეგრული იცოდა, ქართული ნაკლებად, რადგან იმ დროს არ იყო საჭირო ქართული. არ ვიცი, როგორ ვთქვა, არ ფლობდნენ, იმდენად არ აინტერესებდათ.

რუსულად ხანდახან ვლაპარაკობდით, მაგრამ იმდენად - არა, მერე დავიწყეთ რუსულად ლაპარაკი. სახლში სულ ვჩხუბობდით, რატომ არ ვიცოდით ჩვენი ქართული ენა უფრო კარგად. ვიცოდით, მაგრამ გამართულად ვერ ვლაპარაკობდით. რადგან ქართული კარგად არ ვიცოდით, ქართველ მეზობელთან საუბრისას რუსულზე გადავდიოდით. დევნილობის მერე უკეთესად ვისწავლეთ ქართული„.

ამრიგად, როგორც რესპონდენტი აღნიშნავს, ბესლახუბაში თითქმის თანაბარი რაოდენობის ქართველები და აფხაზები ცხოვრობდნენ, რამაც ბუნებრივად შექმნა ქართულ-აფხაზური ენობრივი გარემო. კერძოდ, ქართველი ბავშვები აფხაზი მეზობლებისგან სწავლობდნენ აფხაზურს და პირიქით, აფხაზები თავიანთი ქართველი მეგობრებისაგან ითვისებდნენ მეგრულს და/ან ქართულს. ქართულს და რუსულს ისინი ძირითადად სკოლაში სწავლობდნენ. საბოლოოდ, ბესლახუბაში მცხოვრები ქართველები და აფხაზები მეტ-ნაკლებად ფლობდნენ: ქართულს, მეგრულს, აფხაზურს და რუსულს. ამ კონკრეტული მაგალითიდანაც ჩანს და ჩვენ მიერ ჩაწერილ სხვა ინტერვიუებშიც აღინიშნება, რომ ამა თუ იმ სოფლის ენობრივი ვითარება იმაზე იყო დამოკიდებული, თუ რომელი ეროვნების წარმომადგენელები იყვნენ უმრავლესობაში. მაგალითად, თუ სოფელში მეგრელები ცხოვრობდნენ უმეტესად, მეგრული ხდებოდა დომინანტი საკომუნიკაციო საშუალება და პირიქით, თუ აფხაზები იყვნენ უფრო მეტნი, უფრო ხშირად აფხაზურად ლაპარაკობდნენ. პარალელურად ყოფილა შემთხვევები, როცა „ქართულ ოჯახებში ქართულად იყო ყველაფერი„. ამგვარი რამ არაერთხელ მოგვისმენია სხვა აფხაზეთელებისგანაც.

დ.თ.: „ბესლახუბაში ქართულ-აფხაზური სკოლა იყო. მე აფხაზურ სექტორზე ვისწავლე, რადგან მამას უნდოდა, რომ ჩვენ რუსული კარგად გვესწავლა იმიტომ, რომ იმ პერიოდში რუსული საჭირო იყო ყველგან. ჩემი დაწყებითების მასწავლებელი იყო ნელი ზაქარაია, აფხაზი. დღესაც ცოცხალია და აფხაზეთში ცხოვრობს, კარგი შვილები ჰყავს. აფხაზურის მასწაელებლები მხოლოდ აფხაზები იყვნენ.

მეოთხე კლასის მერე სწავლა გავაგრძელე რუსულად, მაგრამ აფხაზურ ენას ყველა კლასში მასწავლიდნენ, როგორც ერთ საგანს, ქართულს არ გვასწავლიდნენ. ქართულ სექტორზეც აფხაზურს არ ასწავლიდნენ. ეს მთავრობას ჰქონდა გადაწყვეტილი აქედან. ჩვენ ხუთი და-ძმა ვიყავით და ხუთივე აფხაზურ სექტორზე ვსწავლობდით. სკოლა 8-კლასიანი იყო იმ პერიოდში და მერე ოჩამჩირეში გავაგრძელეთ სწავლა, მესამე საშუალო სკოლაში. იქაც აფხაზური სკოლა იყო მეოთხემდე, მერე - რუსულად. აფხაზური სკოლა ერქვა, მაგრამ რუსული იყო“.

როგორც ვხედავთ, ქართველმა მშობლებმა თავიანთი 5 შვილი აფხაზურ სკოლაში შეიყვანეს არა აფხაზური ენის შესასწავლად, არამედ იმ მიზნით, რომ მეოთხე კლასის შემდეგ ბავშვებს კარგად ესწავლათ რუსული ენა. რესპონდენტის თქმით, აფხაზურ სკოლაში არ ასწავლიდნენ ქართულ ენას და არც ქართულ სექტორზე ისწავლებოდა აფხაზური. დ.თ.-ს აზრით, ეს ქართული მხარის გადაწყვეტილებით ხდებოდა, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება, ვინაიდან საბჭოთა საქართველოში განათლების სამინისტრო არ იყო დამოუკიდებელი უწყება, ის საბჭოთა კავშირის განათლების სისტემას ექვემდებარებოდა. ამიტომ იმ დროის ქართველ ფუნქციონერებს არ შეეძლოთ გადაეწყვიტათ ქვეყნისთვის ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხები, როგორიცაა განათლების ენა, ან ენათა სწავლება სხვადასხვა ტიპის სასწავლებლებში. მაშასადამე, ე. წ. აფხაზურ სკოლებში ქართველ და აფხაზ მშობლებს თავიანთი შვილები „ყველგან საჭირო„, მაღალპრესტიჟული რუსული ენის შესასწავლად შეჰყავდათ, სინამდვილეში.

ასეთივე პრაგმატულობის პრინციპით დაიგეგმა რესპონდენტის უმაღლესი განათლებაც, კერძოდ:

„სოხუმში დავამთავრე პედაგოგიური ინსტიტუტი, რუსული და აფხაზური ენების სპეციალობით. ორივე ენაზე ვსწავლობდით, მაგრამ ქართულს არ გვასწავლიდნენ. მანამდე სამედიცინო ტექნიკუმი დავამთავრე, საფერშლოზე ვისწავლე რუსულ სექტორზე. ჩვენს მშობლებს უნდოდათ სამედიცინოზე გვესწავლა. მამამ მითხრა, რომ საშუალო განათლება საკმარისი არ იყო და

სწავლა პედაგოგიურ ინსტიტუტში უნდა გამეგრძელებინა. თან ისწავლი და თან იმუშაებო. მხოლოდ რუსულის მასწავლებელი უნდა გამოხვიდეო. თვითონ ფილოლოგი იყო და უნდოდა შვილებიც ფილოლოგები ყოფილიყვნენ, ნასლედსტვენო [მემკვიდრეობით - ს.ჭ.] ასე. კურსელები მყავდა ქართველები, აფხაზები, რუსები და იქიდან ჩამოსული ოსები. კარგი მეგობრობა გვქონდა. ინსტიტუტის რექტორი იყო ანჩაბაძე. ქართული, აფხაზური და რუსული სექტორი იყო ინსტიტუტში. აფხაზურ სექტორზე მხოლოდ პედაგოგიურ სპეციალობას ასწავლიდნენ. მგონი მათემატიკასაც სწავლობდნენ აფხაზურად, რადგან დაწყებითების მასწავლებელს მათემატიკაც აფხაზურად უნდა ესწავლებინა".

როგორც ვხედავთ, დ.თ.- ს საშუალო და უმაღლესი საფეხურების გავლისას რომელიმე სასწავლებელში არ უსწავლია მშობლიური ქართული ენა, სწორედ ამიტომ არ იცოდნენ მან და მისმა და-ძმებმა ქართული კარგად. ხელოვნურად შექმნილ რუსულენოვან გარემოში ადამიანებს ექმნებოდათ შთაბეჭდილება, რომ ამ ენის ცოდნაზე იყო დამოკიდებული მათი ცხოვრების კეთილდღეობა, ამიტომ მთელი მონდომებით ეწაფებოდნენ, დაუფლობოდნენ მას. მათი აზრით, რუსული ენა იყო ბედნიერი და უზრუნველი მომავლის გარანტი.

დ.თ.: „სამსახურში ურთიერთობის ენა იყო რუსული. ბრძანებებს და სხვა ყველაფერს რუსულად ვწერდით. ქართველი ან აფხაზი რომ შემოდიოდა სამსახურში, საქმეზე რუსულად ლაპარაკობდა უმეტესად, რადგან ეს საქმეს ეხებოდა, მაგრამ ერთამანეთში, ცალკე ქართულად, ან აფხაზურად ვლაპარაკობდით. ასე იყო დადგენილი. ეს იყო საბჭოთა კავშირის დროს დადგენილი წესი. გუდაუთაში უფრო აფხაზურად ლაპარაკობდნენ. გალში უფრო მეგრულად ლაპარაკობდნენ, ოჩამჩირეშიც ასე, აქით უფრო მეგრული, ქართული და აფხაზური".

აშკარაა, რომ საბჭოთა პერიოდში პრაგმატულად მოფიქრალ ქართველებსა და აფხაზებს ერთნაირი ენობრივი არჩევანი ჰქონდათ რუსული ენის სასარგებლოდ და ქართულ-აფხაზური ენების საზიანოდ. დ.თ.-ს მაგალითი არ იყო ცალკეული შემთხვევა, ეს იმ დროის საბჭოური ზოგადი ენობრივი ტენდენცია იყო, რომელმაც საბოლოოდ, რუსულენოვან ადამიანებად ჩამოაყალიბა პოლიეთნიკურ მხარეში მცხოვრები ქართველებიც და აფხაზებიც.

საყურადღებო ფაქტია, რომ რესპონდენტი რუსულ ენას იმ დროისთვის „საჭირო ენას" უწოდებს, ხოლო ამის საპირისპიროდ ამბობს, რომ „ქართული არ იყო საჭირო ენა", აფხაზებს არ აინტერესებდათო. ამასთანავე, დ.თ.-მ საჯარო სივრცეში რუსული ენის გამოყენებას საბჭოთა კავშირის მიერ „დადგენილი წესი"

უწოდა. ზუსტად ასე „გაამართლეს" თბილისში მცხოვრებმა აფხაზებმაც ჩვენთან ინტერვიუს დროს თავიანთი ენობრივი არჩევანი. მათი განმარტებითაც, რუსული იყო ყველასთან საკომუნიკაციო საშუალება და სწორედ, ამიტომ იცოდნენ აფხაზებმა რუსული და არა ქართული ენა, საქართველოს სხვა მხარეებშიც ასეთი ვითარება იყოო. ის, რომ რუსული იყო აფხაზეთში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს შორის ძირითადი საურთიერთობო ენა, უდავო ფაქტია, მაგრამ რამდენიმე ათეული წლის შემდეგაც ამ ფაქტის დადებითად შეფასება აჩვენებს, თუ რამდენად მყარად უჯდებოდათ ადამიანებს ცნობიერებაში ენობრივი პოლიტიკის მიერ თავსმოხვეული სტერეოტიპები.

დ.თ.: „90-იან წლებში ტელევიზია აფხაზურადაც იყო. ჭანბას სახელობის თეატრი იყო ბრწყინვალე. ქართული თეატრიც იყო, დიმა ჯაიანი და ჩვენი ქართველი მსახიობები იყვნენ, რუსული თეატრიც იყო. ჟურნალ-გაზეთებიც რუსულად, ქართულად და აფხაზურად... იყო „აფსნი ყაფშ„ [გაზეთი - ს.ჭ.], მაგრამ თეატრი უფრო ქართული იყო კარგი, კარგი მსახიობები ჰყავდათ.

ბერძენი თანამშრომელი მყავდა პისტოპულო, უჭკვიანესი ქალი, სამედიცინო ექსპერტი, ახლა საბერძნეთშია. ბუნიანი - სომეხი, ჩემი დაქალი იყო, ჩვენი მდივანი. ბერძნული და სომხური ენები კარგად იცოდნენ, თავიანთ ენას ინარჩუნებდნენ.

აფხაზურში მხოლოდ აფხაზური სიტყვებია, სხვა ენებიდან სიტყვები ნაკლებადაა შესული, ერთი-ორი სიტყვაა შესული მხოლოდ. აფხაზეთში დარჩენილები უმეტესად აფხაზურად ლაპარაკობენ, მაგრამ რუსებთან - რუსულად„.

დ. თ.-ს მონათხრობის მიხედვით, კულტურის სხვადასხვა სფეროში აფხაზეთში გამოიყენებოდა: ქართული, აფხაზური და რუსული ენები. რესპონდენტი ცდილობს, აჩვენოს, რომ აფხაზურ ენას არა აქვს ნასესხობები, რომ აფხაზები ძირითადად აფხაზურად საუბრობენ აფხაზეთში. ცხადია, ეს მისი სუბიექტური, შელამაზებული მოსაზრებაა და სინამდვილეს არ შეესაბამება.

დ.თ.: „აქ აფხაზური ენის სპეციალისტები დასჭირდათ და მოგვძებნეს. მანამდე პედაგოგად არ მიმუშავია. მთხოვეს აფხაზეთის მე-2 და მე-3 საჯარო სკოლაში მემუშავა. სკოლებში ჩვენი კანდიდატურა მგონი ი.ო.-მ წარადგინა. მე-10, მე-11 და მე-12 კლასელებს ვასწავლი. კვირაში 2 საათია, მაგრამ კვირაში 3-ჯერ მივდივარ, რადგან პატარებს, პირველიდან მეოთხე კლასამდე, უნდათ აფხაზურის სწავლა. ამას ჩემი სურვილით ვაკეთებ. მაღალ კლასებში არასწორია აფხაზური ენის

სწავლება. მათ ამ ასაკში არ უნდათ ამ ენის სწავლა. მათ არც ქართული და არც რუსული უნდათ. პატარები სიამოვნებით სწავლობენ აფხაზურს. აფხაზეთიდან ჩამოტანილი წიგნებით ვასწავლი, ასევე ვიყენებ აქ შედგენილ სახელმძღვანელოს. პატარებს ლექსებს ვასწავლი, პატარა საინტერესო ამბებს ვუყვები. იციან, ვინ არის დიმიტრი გულია, ასევე სხვა განთქმული აფხაზი მწერლები. სჯობია, პატარებს პირველი კლასიდან ვასწავლოთ აფხაზური ენა. მაღალკლასელები, ვინც კარგად სწავლობენ, აფხაზურსაც კარგად სწავლობენ. ბავშვები თითქმის ყველა აფხაზეთიდან დევნილები არიან. ელექტრონულ პროგრამას არ ვიყენებ. მე თვითონ ვაკეთებ თვალსაჩინოებებს. ბავშვები ღონისძიებებზე აფხაზურად გამოდიან".

სხვა აფხაზური ენის მასწავლებლების მსგავსად, დ.თ.-ც მიიჩნევს, რომ ქართულ სკოლებში აფხაზური ენის სწავლება დაწყებითი კლასებიდან უნდა დაიწყოს, ვინაიდან პატარებს უფრო უადვილდებათ ძალზე რთული აფხაზური ენის შესწავლა, ვიდრე უფროსკლასელებს, თუმცა აქ გასათვალისწინებელია, რომ დაწყებითი კლასის მოსწავლემ ჯერ დედაენა უნდა შეითვისოს მაღალ დონეზე და მე ისწავლოს ნებისმიერი სხვა ენა.

მეოთხე რესპონდენტი ხ.ზ. საუბრობდა რუსულად, ქართულად და მეგრულად.

1992-1993 წლების ომის შემდეგ ხ.ზ.-ს ოჯახი რამდენიმე წლით საცხოვრებლად რუსეთში გადავიდა და იქაურ სკოლაში სწავლობდა, ხოლო მე-5 კლასიდან გალის რუსულენოვან სკოლაში გააგრძელა სწავლა. რესპონდენტს ბავშვობა და ყმაწვილობა ომისშემდგომ აფხაზეთში აქვს გატარებული:

ხ.ზ.: „გალში კვირაში 2-3-ჯერ მქონდა აფხაზურის გაკვეთილები, მასწავლებელიაფხაზიიყო.ისინიგამოსცემენაფხაზურიენისსახელმძღვანელოებს და იმით ვსწავლობდით. აფხაზურ სიტყვებს ვიმახსოვრებდით, ტექსტებს ვკითხულობდით, ვთარგმნიდით, გრამატიკას ვსწავლობდით და ყოველ წელს გამოცდას ვაბარებდით აფხაზურ ენაში. ბილეთში 4 საკითხი იყო: 2 ტექსტი, იყო აფხაზური ანბანი და თავისუფალი თემა. მე-11 კლასამდე ყოველ წელს ასე იყო. გალში ბავშვები ძალიან ცდილობენ აფხაზურის შესწავლას, მათ აქვთ ბევრი წიგნი. ღონისძიებებს, საღამოებს, ღია გაკვეთილებს და ოლიმპიადებს ატარებენ აფხაზურ ენაზე. 28 ოქტომბერი აფხაზური ენის დღეა[88] და აფხაზური ენის კვირეულს ატარებენ".

88. აფხაზური ენის დღე სინამდვილეში 27 ოქტომბერია.

როგორც ხ.ზ.-მ აღნიშნა, სკოლაში მას ქართულს არ ასწავლიდნენ. მან ქართული მეზობლის ბავშვებისგან ისწავლა, რომლებიც ენგურს გამოღმა სწავლობდნენ. ხ.ზ.-ს დედა სთხოვდა, ქართული ესწავლა, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ შეძლო კერძო მასწავლებელთან სიარული და მხოლოდ ქართული ასოების სწავლა მოახერხა:

„ეს მარტო ჩემი პრობლემა არ არის, იქ ბავშვებს სკოლის დამთავრების შემდეგ აქეთ უნდათ სწავლის გაგრძელება და ეს ძალიან რთულია. შესაძლებლობა რომ მქონოდა, რომ იქ ქართული მესწავლა დამატებით, კარგი იქნებოდა, მაგრამ ყველას არა აქვს ამის საშუალება, ფული გადაიხადოს რეპეტიტორთან. გაეროს არასამთავრობო ორგანიზაცია იყო და უფასოდ გვასწავლიდნენ ქართულს, ინგლისურს და აფხაზურს. მათ დიდი წვლილი მიუძღვით ამ საქმეში. გალში ბავშვები დიდი სიყვარულით სწავლობდნენ აგრეთვე ინგლისურ ენას. ძალიან ვწუხვარ, რომ ქართული ენა არ ვიცი, ცოტა სალაპარაკო ვიცი, გაკვეთილის გეგმებსაც ქართულად ვწერ, მაგრამ მიჭირს ქართულად კითხვა, დამახსოვრება, იმიტომ რომ ქართულად არ მისწავლია„.

როგორც რესპონდენტის მონაყოლიდან ირკვევა, გალში მცხოვრები ქართველი მოსწავლეები იძულებული არიან რუსულ სკოლაში იარონ, სადაც არ ასწავლიან მშობლიურ ენას, თუნდაც როგორც ერთ საგანს. როგორც ჩანს, საერთაშორისო ორგანიზაციის ხელშეწყობით შექმნილი ენების შესასწავლი დამატებითი კურსები საკმარისი არ იყო იმისთვის, რომ ქართველი ბავშვები უფრო სიღრმისეულად დაუფლებოდნენ დედაენას. ხ.ზ. ამ ფაქტს „ყველას პრობლემას" უწოდებს, რადგან გალში მცხოვრები მოსწავლეების უმრავლესობას ენგურს გამოღმა სურს სწავლის გაგრძელება, მაგრამ მათი ნაწილი ქართულის არცოდნის გამო ფერხდება. ხ.ზ. წუხს, რომ სათანადოდ არ იცის ქართული ენა, რაც მას ხელს უშლის, სრულყოფილად განახორციელოს თავისი სამსახურებრივი მოვალეობა. ამის საპირისპიროდ, რესპონდენტის რომანტიზებული განცხადებით, რუსულ სკოლაში ქართველ მოსწავლეებს გაძლიერებულად ასწავლიდნენ აფხაზურ ენას, რაც მას დადებითად მიაჩნია, რეალურად კი მხოლოდ ფორმალობად ჩანს იმ პირობებში, როცა ამ ენის სწავლება თვით ე.წ. აფხაზურ სკოლებშიც კი პრაქტიკულად გარუსებას უწყობს ხელს. არსებითია ისიც, რომ საოკუპაციო რეჟიმი გალელ ქართველებს აქეზებს აფხაზური ენის სასწავლად, მაგრამ უკრძალავს დედაენის - ქართულის სწავლას. ეს ნამდვილი აპარტეიდია და რეალურად მიმართულია გალელთა დენაციონალიზებისა და გარუსების დაჩქარებისკენ.

2007 წელს ხ.ზ. სოხუმში აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაირიცხა პედაგოგიკის ფაკულტეტის რუსული სექტორის დაუსნრებელ განყოფილებაზე:

„ჩემს მიმართ აფხაზ ილექტორებიდა კურსელებიდადებით დამოკიდებულებას გამოხატავდნენ. აფხაზ კურსელებთან დღემდე ვმეგობრობ და ერთმანეთს პატივისცემით ვეპყრობით. მე მყავდა კარგი კურსელები, გოგოები, რომლებმაც იცოდნენ აფხაზური, მაგრამ უფრო რუსულად ლაპარაკობდნენ, აფხაზურად - იშვიათად. მე მეგრულად ლაპარაკს არავინ მიშლიდა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ კიდევ ორი წელი უნდა მემუშავა იქ, რადგან სკოლის მუშაობის გამოცდილება არ მქონდა. ეს ორი წელი უფასოდ გასწავლიდნენ, მაგრამ გზის და არსებობის ფული იყო საჭირო“.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ხ.ზ.-მ გალში საბავშვო ბაღ „აჭარპინში“ დაიწყო მუშაობა აღმზრდელად. ბაღის დირექტორმა აფხაზმა ქალბატონმა მას შესთავაზა, ესწავლებინა ბავშვებისათვის აფხაზური ენა:

„ბაღში 3 წლის ბავშვებს ჯერ ქართულად ველაპარაკებოდით, მერე მეგრულად, მერე რუსულად და მერე აფხაზურად. ორი თვის ადაპტაციის შემდეგ 15 წუთი რუსულად ველაპარაკებოდით და ელემენტარულ სიტყვებს ვასწავლიდით, რუსულ სიმღერებს, რუსულ მულტფილმებს ვასმენინებდით და ითვისებდნენ. აფხაზურსაც ამ მეთოდით ვასწავლიდით. ღონისძიებებზე ბავშვები ყოველთვის კითხულობდნენ ლექსებს აფხაზურად.

გალში ბავშვებს ოჯახებში ქართულადაც ელაპარაკებიან და მეგრულადაც. ზოგიერთ ოჯახში, ძირითადად, ქართულად საუბრობენ. მეგრული კარგად ვიცი, რადგან ჩვენი ენაა. მე სახლში მეგრულად ვლაპარაკობ, როცა სადმე ვარ, მაშინ რუსულად. როცა მინდა, აზრები გრამატიკულად სწორად ნარმოვთქვა, მაშინ რუსულად. ქართულად არ ვიცი კარგად, მაგრამ ახლა არ მაქვს იმის კომპლექსი, რომ არ ვილაპარაკო. თუ არ ვილაპარაკე, ვერასდროს ვერ შევისწავლი ამ ენას, ამიტომ ვცდილობ. ჩემი ყველა ფიქრი, რა თქმა უნდა, რუსულ ენაზეა. ჩვენი ნაწარმოები „მთვარის მოტაცება“ და ივანე პაპასქირის „ქალის ხვედრი“ ნავიკითხე რუსულად.

გალში მეგრული დომინანტობს, მაგრამ არანაკლებად დომინანტობს რუსული ენა. ჩხორთოლში აფხაზები არიან და იქ უფრო ისმის აფხაზური. გალში ოჯახებში არავინ არ ლაპარაკობს აფხაზურად. „გალ-TV-ც“ გვაქვს რუსულად, აფხაზურად და მეგრულად. გალში აფხაზებმა ლაპარაკის დროს შეიძლება ერთი სიტყვა თქვან აფხაზურად, ერთი მეგრულად და ერთი რუსულად. აფხაზებმა იმაზე მეტად იციან ქართული და მეგრული, ვიდრე ჩვენ - აფხაზური, მეგრული კარგად

ესმით. სოხუმში უფრო რუსულად ლაპარაკობენ, ახალ, თანამედროვე სიტყვებს რუსულად ამბობენ. აფხაზურ ენაში არის რუსული, მეგრული და თურქული სიტყვები. ახლა უფრო მეტი სიტყვა რუსული ენიდანაა. დოკუმენტებს რუსულად წერენ, შეიძლება აფხაზურადაც. ჟურნალ-გაზეთები რუსულად, აფხაზურად და მეგრულადაც არის, აფხაზური ტელევიზიაცაა".

2016 წელს ხ.ზ. ზუგდიდში გათხოვდა და იქ მოქმედ აფხაზეთის მე-11 საჯარო სკოლაში დაიწყო მუშაობა აფხაზური და რუსული ენების მასწავლებლად. კოლეგები და სკოლის დირექტორი მზევინარ გელანტია მაქსიმალურად უწყობენ ხელს ხ.ზ.-ს, რომ ახალ გარემოს მოერგოს, რომ უკეთესად ისწავლოს ქართული ენა:

„სამსახურის შოვნის იმედი არ მქონდა, რადგან აქაური დიპლომი არ მქონდა, შეჩვეული არ ვიყავი ამ გარემოს. ახლა აფხაზურს და რუსულს ვასწავლი სკოლაში. აფხაზური ენა იყო, როგორც არჩევითი საგანი. აფხაზური ენის წრე ჩამოვაყალიბეთ პროექტის ფარგლებში და ამას აფხაზეთის განათლების სამინისტრო აფინანსებს. პატარებს ძალიან მოსწონთ აფხაზური ენა, ძალიან დიდი სურვილი აქვთ შეისწავლონ და გაიგონ. მათთვის ძალიან ახალი, უცხო და ჟღერადი ენაა. კმაყოფილი ვარ ბუქებში ჩაწერილი აფხაზური ენის სასწავლო პროგრამით, ბავშვები იქიდანაც სწავლობენ. ჩვენს სკოლაში ძალიან კარგად აღზრდილი და კულტურული ბავშვები არიან. მათ შეიძლება აფხაზური ენა ისწავლონ ჩემი პატივისცემის გამო, მაგრამ ძალიან უჭირთ აფხაზურის სწავლა. დიდ ასაკში უფრო რთულია და, ჩემი აზრით, უკეთესი იქნება, უფრო პატარა ასაკიდან ისწავლონ. შესაფერისი თემის შერჩევაც არის საჭირო. ერთ-ერთ ღონისძიებაზე ბავშვებმა აფხაზურად წაიკითხეს „ვეფხისტყაოსანი", მაგრამ ამათ ალბათ იმ ასაკის მასწავლებელი ჰყავდათ, რომ ეს იცოდა. მე ეს არ ვიცი. ენის შესწავლა რომ „ვეფხისტყაოსნით" დავიწყოთ, რთულია. აფხაზური ენის მასწავლებლებიც ნაკლებად ვეკონტაქტებით ერთმანეთს და არ ვიცი, სხვას რა გამოცდილება აქვს.

ბავშვებს ხშირად ვუყვები აფხაზურ ტრადიციებზე, ქორწილის ტრადიციაზე, სტუმართმოყვარეობაზე... აფხაზებს ასეთი ტრადიცია აქვთ, ღმერთს მადლობას უხდიან და ოჯახში რამდენი მამაკაციცაა, იმდენ მამალს კლავენ. ზოგიერთი ტრადიცია უკვირთ ბავშვებს, მაგალითად, რძალი არ ელაპარაკებოდა მამამთილს, იყო ასეც, პატარძალი ცალკე იყო, სიძე ცალკე, მაგრამ ასეთი ტრადიციები უკვე აღარაა".

ხ.ზ. პერიოდულად გადადის გალში, სადაც ბაღის დირექტორს, აფხაზ ქალბატონს მისთვის აფხაზური ენის წიგნებიც მიუცია. ხ.ზ.-ს აფხაზურის შესწავლა უკეთ გაცნობის, მეგობრობისა და დაახლოების საშუალებად მიაჩნია.

ჩვენ მიერ ჩაწერილი მასალიდან ჩანს, რომ აფხაზური ენის ოთხივე მასწავლებელმა საშუალო და უმაღლესი განათლება მიიღო აფხაზეთში, კერძოდ, პირველმა სამმა დევნილობამდე, ხოლო ერთმა -ომის შემდეგ გალის რაიონში. მათ შორის საყურადღებოა და განსაკუთრებულია ქართველი რესპონდენტი დ.თ., რომელიც სწავლობდა აფხაზურ სკოლაში და უმაღლეს სასწავლებელშიც აფხაზური ენისა და ლიტერატურის სპეციალობა აირჩია. ორი აფხაზი მასწავლებლის სპეციალობაც აფხაზური ფილოლოგია იყო.

ამრიგად, ქართველი და აფხაზი მასწავლებლების ენობრივი კომპეტენცია და ენობრივი ბიოგრაფია ასეთია:

- ოთხივე მშობლიურ ენად ასახელებს თავისი ეროვნების ენას;
- მათი საშუალო და უმაღლესი განათლების ენა რუსული იყო;
- სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელში სწავლობდნენ აფხაზურ ენას;
- ოთხივემ რუსული ენა უფრო კარგად იცის, ვიდრე დედაენა;
- არცერთს არ უსწავლია ქართული ენა სწავლების არცერთ საფეხურზე.
- ქართულ ენაში თვითნასწავლობა, რა თქმა უნდა, დააბრკოლებს მასწავლებლებს, ორი ენის შედარების ხერხიც გამოიყენონ აფხაზური ენის სწავლების პროცესში.

* * *

ამრიგად, საბჭოთა პერიოდში აფხაზეთში მცხოვრებ ქართველებსა და აფხაზებს ერთნაირი გამარუსებელი ენობრივი გარემო ჰქონდათ, სკოლებში მშობლიური ენების მცირე დოზით სწავლებისა და რუსული ენის უპირატესობის გამო ისინი საბოლოოდ რუსულენოვან მოქალაქეებად ფორმირდებოდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზე ყოფილ ქართულ სკოლებში ქართველ მოსწავლეებს ასწავლიან აფხაზურ ენას, ეს მაინც წმინდა იდეოლოგიურ-პოლიტიკური აქციაა და დადებით შედეგს არ მოიტანს შემდეგი მიზეზების გამო:

1. აფხაზური ენის სწავლება თვით ე.წ. აფხაზურ სკოლებშიც კი ნაკლოვანია და აფხაზ მოსწავლეებს აჩვევს არა დედაენაზე, არამედ რუსულად აზროვნებას, რუსული ენის პრიზმიდან სამყაროს აღქმას.
2. ქართველი ბავშვებისათვის დედაენის შესწავლის უფლების ნართმევის ფონზე მესამე, რუსული ენის შესწავლაზე აქცენტის გადატანა აფხაზური ენის შესწავლას არანაირად არ წაადგება, პირიქით.
3. სხვა ენის კარგად სწავლა ყველაზე ნაყოფიერია, როცა სასწავლო პროცესის საყრდენი დედაენაა, გალის რაიონში კი ქართული ენა სასწავლო პროცესში აკრძალულია.

დასახელებული გარემოებები იმას ნიშნავს, რომ გალში აფხაზური ენის სწავლება ფორმალობაა და უშედეგო იქნება.

ენგურს გამოღმა მცხოვრები ქართველი და აფხაზი მასწავლებლები ცდილობენ, ქართველ სკოლის მოსწავლეებს შეაყვარონ და ასწავლონ აფხაზური ენა. სასწავლო პროცესში ისინი აქტიურად იყენებენ აფხაზეთის ა.რ. განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ შექმნილ ელექტრონულ სასწავლო პროგრამებს, ქართველი და აფხაზი ავტორების მიერ ერთობლივად შედგენილ აფხაზური ენის სახელმძღვანელოებს, ლექსიკონებს და სხვა აუდიო, თუ ვიდეომასალებს, თავადაც ქმნიან მრავალფეროვან თვალსაჩინოებებს აფხაზური ენის უფრო ეფექტურად სწავლებისათვის, თუმცა პრობლემაც ბევრია და მათგან ყველაზე მთავარია ორი რამ: ორივე ენის მცოდნე პროფესიონალ მასწავლებელთა სიმცირე და ქართულად შედგენილი სასკოლო სახელმძღვანელოების უქონლობა.

§3. აჭარაში მცხოვრები აფხაზების ეთნიკური და ენობრივი იდენტობა

ამ პარაგრაფში განვიხილავთ აჭარაში მცხოვრებ აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავლებისაგან ჩანერილი ინტერვიუების ნაწილს, რომლებშიც ორი საკითხი გამოვყავით, კერძოდ:

1. აფხაზური გვარსახელები და ეთნიკური იდენტობა;
2. თანამედროვე აფხაზური ენის მდგომარეობა.

ჩვენ მიერ შეკრებილი მასალიდან საანალიზოდ გამოვიყენეთ სამი ტიპური ქართულ-აფხაზური ოჯახის წევრთა პასუხები. ესენი არიან:

ი.ა. - მამით აფხაზი, დედით - ქართველი;

გ.ჭ. - მამით აფხაზი, დედით - ქართველი;

თ.გ. - მამით ქართველი, დედით - აფხაზი;

აფხაზური გვარსახელები და ეთნიკური იდენტობა:

ი.ა.: „მე ვარ საქართველოს მოქალაქე, მცხოვრები აჭარაში, მამით აფხაზი, დედით ქართველი, აჭარელი. გავიზარდე აფხაზურ-ქართულ ოჯახში. ნათესავები გვყავს ალხორბები, ჩაზმავები, რეიზბები. აქ ცხოვრობენ ჩაზმავები, აგრბები, კაიტამბები, ქუთელიები, აშლამბები, არსიები (არსია ეტა ჩისტი აფხაზსკი[89]), ამბობენ, ეს გვარი მეგრულ-აფხაზურიაო, მაგრამ აქ აფხაზურად თელიან თავს. აფხაზური სახელები: მალხაზ, ალხაზ, ასიდა... რამიდას ბებია ჰყავდა აფხაზი, ბაბუა - აჭარელი. ჩემს ბაბუას ნაზიმი ერქვა. ბაბუას ძმა იყო კადერ აგირბა და არიფ აგირბა. აჟიბებში, აგერ ჩემი მეზობლები არიან, 12 თუ 13 იყვნენ დაძმა. აფხაზური სახელები ჰქონდათ: შერიფ, რაუფ, არიცა, ალმასხან... უფრო მამაკაცებს ჰქონდათ აფხაზური სახელები. ნაიმე, ქალის სახელია. ზურაბია ჩემი ძმის სახელი, მე ინგა მქვია, მამიდაშვილი მყავს მალხაზი და მამიდაშვილის შვილი ასიდა და რამიდა[90].

ახლა ამბობენ, ჩვენ დემოკრატიულ ქვეყანაში ვცხოვრობთ, დემოკრატიას ვაშენებთ და, უბრალოდ, სირცხვილია ქვეყანაში, რომელსაც აქვს დიდი ამბიციები და თავს დებს დემოკრატიაზე, საუბარი ეთნიკაზე არც უნდა ნარმოიშვას. ყველა ერთნი ვართ. ვცეთ ერთმანეთს პატივი. კი მე აფხაზი ვარ, ძალიან კარგი, შენ ქართველი ხარ, იმერელი, გურული - არა აქვს მნიშვნელობა, ყველამ ვცეთ ერთმანეთს პატივი. მე ასე მჯერა“.

გ.ჭ.: „ფერიაში ცხოვრობენ აფხაზები, ჭო: აგირბა, ჭათანავა, არსია, აცანბა, ქუთელია... მე ვარ ჭათანავა. ჭათანავები არიან აფხაზები და არიან მეგრელები. მიცემ-მოცემა არის. ზოგმა შეიძლება დედის გვარი აიღო. ასეა თუ ისეა, კაი-გლახა, მე ვიცი, ყველგანაა.

შევარდნაძეს რომ ეთქვა, მეგრელები, აფხაზები, სვანები, აჭარელი, ყველა ერთი ვართ... პროპაგანდა არ მიდიოდა. რამ გაარჩია გურული, სვანი თუ მეგრელი... ყველა ქართველები ვართ, ხო?!

ერთი რამე უნდა გითხრათ: ვარ სევასტოპოლში ჯარში. 10 კაცი ვართ. ყველა

89. „[გვარი] არსია - ეს ნმინდა აფხაზურია“. სინამდვილეში გვარი არსია ნარმოშობით ქართულია.

90. ჩამოთვლილ სახელთა უმრავლესობა არ არის აფხაზური ნარმომავლობისა.

ქართველები. უნდა გადაგვიყვანონ სხვა ნანილში. ქართული გვარი გვინერია და ყველა ქართველები ვართ. მსახურობდა ერთი შურღაია. სტარშინა[91] იყო. ყველას ქართული გვარი ჰქონდა. ჩემთან მოვიდა, ჭათანავა, შენ მეგრელი ხარო? მეგრელებმა იციან ასე ახლოს მეგობრობა. სხვებმა ასე არ იციან".

თ.გ.: „ბებია - ადილე ქათიბა, დედა - ნაზი აჟიბა. ქუთელია, ნაყოფია, აგირბები, ჭათანავა... უფრო მუსულმანური სახელები გვაქვს: იბრაგიმი, ჰასანი. ნუ, ასეთი სახელები გვაქვს. აი, მაგალითად, აფხაზური სახელი ქვია - ბესლანი.

ახლა აქ არის ქართული ოჯახები და აფხაზური ოჯახები, მაგრამ არასდროს არ არის, აი, შენ აფხაზი ხარ. ძველ პასპორტებში აფხაზი ეწერათ. არიან აქ ოჯახები, მაგრამ უკვე გაქართველებულები არიან. აქ სელიმბები არიან, მაგრამ ძირითადად, გაქართველებულები არიან.

თურქეთის აფხაზებთან მე არ მაქვს კავშირი. ერთი ნათესავი მყავს და იმას აქვს, ასე ინტერნეტით... ის მაგარი აფხაზია, ყველა აფხაზის გაცნობა უნდა. სოხუმში ცხოვრობს. ჩვენთან არაა ასეთი ახლა, ისეთი აფხაზები, რომ აი, მაგალითად, თურქეთის აფხაზებთან კონტაქტი ქონდეს, არ მეგულება ასეთი. შეიძლება არის, მაგრამ მე არ ვიცი.

ასლან აბაშიძის დროს რთული დრო იყო და თუ რამე წინ წაწევა გინდოდა, ერთი ნაბიჯის წინ გადადგმა... ჩემმა ბიძაშვილმა გადაიკეთა, აჟიბა იყო და დედის გვარზე კაკაბაძეზე გადავიდა. ახლა იწერება კაკაბაძე-აჟიბა. ეს ერთეული შემთხვევა იყო. აფხაზებში განსაკუთრებულადაა გვარის პატივისცემა. ეს დღესაც შემორჩენილია და არასდროს არ გადავა სხვა გვარზე. აფხაზური ოჯახია მხოლოდ გვარად.

ამ ბავშვს აფხაზის არაფერი არა აქვს, მხოლოდ გვარადაა აფხაზი, ნაყოფიაა. აფხაზ მალხაზ ნაყოფიას შვილებს ჰქვიათ ლიზი და ლიაკო. მეუღლე ჰყავს კახელი - ცისკარიშვილი ნატო. ადა ქუთელია ჩვენი უბნელია, აქ ცხოვრობდა ადრე და მერე ქალაქში გედევიდა.

გუდაუთაში ძაან ისეთი აფხაზები ცხოვრობენ, ნაციონალისტები. აქეთ ოჩამჩირეში უფრო რბილი აფხაზები ცხოვრობენ იმიტომ, რომ ოჩამჩირის ხალხს უფრო გალის რაიონთან ქონდა კავშირი, ოჯახებიც მეგრულ-აფხაზური იყო.

ბოლოს 5-6 წლის წინ ვიყავი აფხაზეთში. ჩემთვის შესანიშნავი სიტუაციაა. დღესაც მპატიჟებენ. ნუ, ახლა რო ნახვიდე, რა უნდა გააკეთო? მე იქ არ ვმალავ, რომ ქართველი ვარ და ბათუმელი ვარ და არანაირი პრობლემა არ გვაქვს„.

91. ზემდეგი - დაბალი რანგის სამხედრო მოსამსახურე.

* * *

როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, მიუხედავად იმისა, რომ ქართველებთან ერთად სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა გარემოში ცხოვრობდნენ, აფხაზ მუჰაჯირთა მემკვიდრეებმა (უმრავლესობამ) საქორწინო პარტნიორებად ქართველები აირჩიეს და შექმნეს ქართულ-აფხაზური ოჯახები.

ჩვენი დაკვირვებით, აჭარაში, თბილისში, ფოთში, ზუგდიდში, წყალტუბოში და სხვა ქალაქებში მცხოვრებ ქართულ-აფხაზური ოჯახების წევრებსაც და წმინდა აფხაზური ოჯახების წარმომადგენლებსაც არ მოსწონთ ეთნიკურობაზე ყურადღების გამახვილება და ხშირად აღნიშნავენ, რომ ეროვნებას მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენი აზრით, ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება და იმის მტკიცება, თითქოს ადრე არ არსებობდა სხვაობა და დაპირისპირება სხვადასხვა ეროვნების პირთა შორის, სიმართლე არ არის. ეს მოსაზრება გამონეული უნდა იყოს იმის ლოგიკური შიშით, რომ, თუ ამ საკითხს წინ წამოსნევენ, შეიძლება, აფხაზურ-ქართულ ურთიერთობებში ისევ ჩაერიოს მესამე ძალა და გამძაფრდეს ურთიერთობა ქართველებსა და აფხაზებს შორის. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ შერეული, ქართულ-აფხაზური და ენგურსგამოღმა მობინადრე წმინდა აფხაზური ოჯახების წევრები ყველაზე მტკივნეულად და მძაფრად განიცდიან იმ დიდ უბედურებას, რაც აფხაზეთში მოხდა და ეს გასაკვირი სულაც არ არის - ეს ადამიანები ორივე ხალხის განუყოფელ ნაწილად განიხილავენ თავს და მათთვის სულერთი არ არის ეს საკითხი.

შერეული ოჯახების წევრები, როგორც ზემოთ ვნახეთ, იმასაც ამბობენ, როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხეების წარმომადგენლები, კერძოდ, იმერლები, გურულები, კახელები არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან, ისევე არ უნდა განსხვავდებოდნენ აფხაზები სხვა ქართველებისგანო. მაგალითად, გ.ჭ.-ს თქმით: „მეგრელები, აფხაზები, სვანები, აჭარელი - ყველა ერთი ვართ... რამ გაარჩია, გურული, სვანი თუ მეგრელი... ყველა ქართველები ვართ, ხო?!" რა თქმა უნდა, საკითხის ასე დასმა იმავე მიზეზითაა განპირობებული, რაზეც წინა აბზაცში ვიმსჯელეთ, მაგრამ იმის შიშით, მესამე ძალამ ერთიმეორეს კვლავ არ დაგვაპირისპიროსო, გამართლებული არ არის იმის „მტკიცება", აფხაზიც (ანუ აფსუაც) ისეთივე ქართველია, როგორც მეგრელი, აჭარელი და გურულიო...

ერთმა რესპონდენტმა თავისი მეგრული წარმოშობის გვარის შესახებ ასეთი განმარტება გააკეთა: „ჩემი გვარის ადამიანები არიან აფხაზები და არიან მეგრელები. მიცემ-მოცემა არის (იგულისხმა, შვილების გაძიძავება, ანუ მორდუობა იყოო - ს.ჭ.), ზოგმა შეიძლება დედის გვარი აიღო"-ო. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი აფხაზობს, მაგრამ თან ქართველობს, ისევე როგორც სხვა

გაქართველებული აფხაზების დიდი ნაწილი. მეორე რესპონდენტის აზრით, აჭარაში მცხოვრები აფხაზების უმრავლესობა მხოლოდ აფხაზური გვარით აფხაზობენ, თორემ სხვა მხრივ გაქართველებულნი არიან.

გამოკითხულთა თქმით, აჭარაში მცხოვრებ აფხაზებს შემდეგი გვარები აქვთ: აცამბა, ალხორბა, მუსხაჯბა, რეიზბა, აგრბა, კაიტამბა, ქათიბა, აგუმბა, სელიმბა, აუიბა, აშლამბა, არსია, ქუთელია, ჭათანავა, ნაყოფია, ჩაზმავა... ამათგან ბოლო 5 გვარი წარმომავლობით ქართულია, მაგრამ მათი მატარებელი აფხაზების ნინაპრები სხვადასხვა დროს უნდა იყვნენ გააფხაზებული სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური მიზეზების გამო.

ასევე ცდებიან რესპონდენტები, როცა ჰგონიათ, თითქოს ძველი თაობის აფხაზებს უფრო მეტად აფხაზური, ქართული, ან თურქული სახელები ერქვათ: ადილე, ნაზი იბრაგიმი, ჰასანი, ბესლანი, მალხაზ, ალხაზ, ასიდა, რამიდა, ნაზიმი, კადგრ, არიფ, შერიფ, რაუფ, არიცა, ალმასხან, ნაიმე... ვფიქრობთ, ამ პირსახელთა აფხაზურ სახელებად გამოცხადება იმ ფაქტს ემყარება, რომ რესპონდენტებს ჰგონიათ, რაკი ეს სახელები მათ აჭარაში მოსულ წინაპრებს მოჰყვა აფხაზეთიდან, ეს იმას ნიშნავდეს, თითქოს ეს აღმოსავლური სახელები მართლა აფხაზური იყოს.

აჭარაში აფხაზები გასული საუკუნის 60-70-იანი წლებიდან შვილებს იმ სახელებს არქმევდნენ, რაც იმ პერიოდის მაპმადიან ქართველთა შორის იყო გავრცელებული, თუმცა იმ დროს პოპულარული სახელებიდან სინამდვილეში დიდი ნაწილი სულაც არ არის ქართული, ისინი ან თურქულია, ან თურქიზებული არაბული სახელები, ანდა ევროპულია.

აფხაზური ენის მდგომარეობა:

ი.ა.: „აქ უკვე აფხაზური ცოტამ იცის. მე გეუბნებით, 30 წლის წინ და უფრო შორს აქ აჭარლებიც ლაპარაკობდნენ აფხაზურად, ქართველები, შერეულ ოჯახებში. ვისაც ბებია, ან ბაბუა ჰყავდა. ენა უკვე მიდის. ადრე ამ უბანში, ჩემს ბავშვობაში, როცა პატარა ვიყავი, ისმოდა სამი ენა: ქართული, რუსული, აფხაზური. როცა დედა ჰყავთ აფხაზი, აფხაზური იციან შვილებმა, ბებია განსაკუთრებით.

მამამ იცოდა აფხაზური, სუფთად, წმინდად - აფხაზური, ქართული, რუსული. მამიდაჩემმაც: აფხაზური, ქართული, რუსული. ჩემმა მამიდაშვილებმაც: აფხაზური, ქართული, რუსული. როცა რაიმე „სეკრეტი" ჰქონდათ, ლაპარაკობდნენ აფხაზურად. თუ რაიმე ჰქონდათ სალაპარაკო და ჩვენ რომ არ გაგვეგო, მაშინ

ლაპარაკობდნენ, ხანდახან იყო ასეთი.

აფხაზეთში აფხაზებმა მეგრული და რუსული იცოდნენ, ქართული არ ვიცი, შვილო, ვერ გეტყვით, მეგრული - კი. არ ასხვავებდენ მეგრულ და აფხაზურ ნესებს. იქაურ აფხაზებთან ვლაპარაკობთ ნა რუსკამ[92], თუ აფხაზური იცი, აფხაზურად. სარა ბარა ბზია ზბოიტ[93] ვიცი, „მე შენ მიყვარხარ" და ალმასაკუდ[94] „მშია", აძგ[95], აჩა[96] და ასეთი რაღაცა, ელემენტარული რაღაცა. მეტი არ ვიცი.

აფხაზურს ასწავლიან ფერიის სკოლაში. აფხაზურს ასწავლის აფხაზი ქალბატონი, გაკვეთილები მიმდინარეობს, მე მგონი, კვირაში სამჯერ, თუ ოთხჯერ.

ბათუმის უნივერსიტეტში დოცენტია, მე მგონი პროფესორობაზეა ნარდგენილი, დიასამიძე, სახელი რა ქვია... ბებია და დედა აფხაზი ყავდა, მამა დიასამიძე, ქართველი და ნმინდად ლაპარაკობს აფხაზურად. ბათუმის უნივერსიტეტში ისტორიის კათედრაზეა, დიასამიძე რამაზი თუ რევაზი, რეზო დიასამიძე.

პატარა ბაუშვი რომ შემოდიოდა აფხაზურ ოჯახებში, იმ პატარა ბაუშვისთვისაც ფეხზე უნდა წამომდგარიყავით. მობრძანდით, პირველი სიტყვა, „ბუირუმს", ცოტა თურქულიც იყო გარეული, იმიტომ, რომ თურქეთი ახლოს იყო და თურქული, სპარსული ენებიც იყო აქ შემოსული".

გ.ჭ.: „მამამ იცოდა აფხაზური. ჭო, აფხაზეთელმა აფხაზებმა - უფრო რუსული და აფხაზური იციან, მაგალითად, ავიღოთ, სომხები და აზერბაიჯანელები, რუსული მაგრადაა შემოსული, იქ მით უმეტეს.

და მაგალითად, შვილი რო დეიბადება ოჯახში, დედა უნდა ყავდეს, რომ ისნავლოს. ჩემი ძმა დამეღუპა 9 წლის, მე ვიყავი 7 წლის. მარტო დავრჩი და გევიზარდე. თამაშის დროს ქართულად ვლაპარაკობდით, მაგრამ აფხაზურიც ვიცოდით. შვილებმა არ იციან.

ბევრმა არ იცის აფხაზური, ქართული ყველამ ვიცით. აქ დევიბადეთ, აქ გევიზარდეთ, 100 %-ში შეგვიძლია დალაპარაკება. ახალგაზრდებმა არც ერთმა არ იციან [აფხაზური - ს.ჭ.].

მე ცოლი მევიყვანე ქართველი, აჭარელი. ჰოდა, მე დილით ნეედი სამსახურში და საღამოს მოვედი, შვილმა ვერ ისწავლა აფხაზური.

92. რუსულად.
93. უნდა ეთქვა ბგზბოიტ.
94. უნდა ეთქვა ამლა საკიტ.
95. ნყალი.
96. პური.

ჩემი მამიდაშვილი არის იქ გათხოვილი. ამ სახლში ცხოვრობდა აგუმბა ნაზიკო. ახლა გუდაუთაში ცხოვრობს. ქმარი ახლა მოუკვდა. თვითონაც კი იქნება 80-ს გადაცილებული, იცის აფხაზური. აფხაზები ყველაზე მეტი გუდაუთაში არიან. სოხუმში იგიცაა და იგიც.

მამიდაჩემი - ქართული არ იცოდა. ესმა ხომ გახსოვს?[97] ნე პომნიშ? [რესპონდენტმა მიმართა გვერდით მდგომ აფხაზ აცამბას - ს.ჭ.] ქართული ვაბშე[98] არ იცოდა. ბაღნებმა იცოდნენ აფხაზური და ქართული. ყველას არა აქვს იმის ნიჭი, რომ სხვა ენა ისწავლოს. [ესმა] მარტო აფხაზურად ლაპარაკობდა. 60-იან წლებში მოკვდა. ზოგს ნიჭი აქვს, უცფათ შეისწავლის უცხო ენას. მე რომ მოვიყვანო 20 ბავშვი და ინგლისური, ან გერმანული ვასწავლო. ზოგმა შეიძლება სულ ვერ ისწავლოს, ოცივე ხუთიანზე ვერ ისწავლის".

მ.ა: „მე ვიცი აფხაზური, ჩემმა შვილებმა - არა".

თ.გ.: „დედამ შესანიშნავად იცოდა აფხაზური და მასწავლა, ბებიამაც. აქ არის უბანი, აჟიბები ცხოვრობენ, მაგრამ იქაც ფაქტიურად თითო-ოროლამ იცის აფხაზური. ოჯახში ქართულად ვსაუბრობთ, მაგრამ თუ არ მინდა, იმან გეიგოს, აფხაზურად ვეტყვი, ისე ქართულად ვსაუბრობთ. აფხაზური წერა-კითხვა არ ვიცი.

აფხაზური ენა იკარგება ისეთი სისწრაფით, მეტი რომ არ შეიძლება, ბათუმში იკარგება... აი, მ.ნ.-ს მეუღლე ქართველია, ბავშვებმა თითო-ოროლა სიტყვა იციან აფხაზურად. მოდი აქ, წადი და რაღაც ასეთები, იმიტომ რომ ოჯახში საუბრობენ ქართულად.

ჩემმა თაობამ უფრო იცის. მე მესმის აფხაზური ყველაფერი, მაგრამ გადმოცემა მიჭირს, ურთიერთობა რომ არ მაქვს აფხაზებთან, ამიტომ ენა იკარგება, კატასტროფულად იკარგება. ახლა აფხაზი რომ მოვიდეს, ყველას გავცემ პასუხს. ამ დონეზე ვართ ახლა ბათუმში.

ჩვენ, ბათუმელი აფხაზები ძირითადად აფხაზურად საუბრისას ცოტას ვურევთ თურქულ სიტყვებს. აი, ოჩამჩირის რაიონში როა აფხაზური, ისინი მეგრულ სიტყვებს ურევენ. გუდაუთელები უფრო წმინდად საუბრობენ და უფრო ძნელია. მე ახლა სოხუმში რო დავდიოდი და გუდაუთელ აფხაზურს ვუსმენდი, ძაან ყურადღებით ვუსმენდი, რო გამეგო რამე. ოჩამჩირელი აფხაზი, სოხუმელი აფხაზი... პრობლემა არ მქონდა საუბარში.

აი, მაგალითად, აფხაზური სახელი ქვია, ბ.ქ.-მ. აფხაზური იცის, მაგრამ მორიდებულია. მისმა შვილებმა არ იციან. მოსკოვში ცხოვრობს. დედა მუსხაჯბა ჰყავდა და მისმა მშობლებმა იცოდნენ აფხაზური. უფრო ჩერქეზია ამისი დედა,

97. არ გახსოვს?

98. სრულებით, საერთოდ.

ვიდრე აფხაზი. თურქეთიდან რომ დაბრუნდა, მივიდა იქ აფხაზეთში, ბოლომდე.

თითქმის ყველაფერი ქართულია და ქართულად საუბრობენ. ოჩამჩირეში ბევრს შევხვდი, რომლებმაც იციან მეგრული, ქართული, აფხაზური, რუსული... ყველა ენაზე დაგელაპარაკებიან. მე დაჟე გაოცებული ვიყავი. უფრო უფროსმა თაობამ, ქართველებს ვიცნობდით, რუსებსო და იძულებული ვიყავით, ყველა ეს ენები გვცოდნოდაო. ძაან ნაკლებად იყო, კაცს არ სცოდნოდა ან მეგრული, ან აფხაზური, ან რუსული, ან კიდე ქართული.

ძირითადად, რუსულ-ქართულის სკოლები იყო. მე ქართული სკოლა დავამთავრე. ჩემი სკოლა იყო, მაგალითად, დილის ცვლა იყო ქართული, ორის მერე იყო რუსული სკოლა. აფხაზურს ადრე არ ასწავლიდნენ სკოლაში (ბათუმში). ახლა დეიწყეს აფხაზური ენის კურსები. ჩემს დროს და ჩემს მერე აფხაზურს არ ასწავლიდნენ, ახლა დეიწყენ".

* * *

რესპონდენტების შეფასებით, აჭარაში მცხოვრებ აფხაზურ და შერეულ ოჯახებში შემდეგი სახის ენობრივი ვითარება იკვეთება:

1. მუჰაჯირთა შთამომავლებმა (ბებიებისა და ბაბუების თაობამ) 30 წლის წინ უნაკლოდ იცოდნენ აფხაზური ენა, მაგრამ ეს ცოდნა დროთა განმავლობაში ნელ-ნელა შესუსტდა. განსაკუთრებით სწრაფად ქრებოდა აფხაზური ენა შერეულ, ინტერეთნიკურ ოჯახებში, ამგვარი ოჯახების რაოდენობა კი თანდათან იზრდებოდა, რაც ბუნებრივი იყო იმ პირობებში, როცა აჭარისა და ქალაქ ბათუმის მთელ მოსახლეობაში აფხაზთა წილი ძალიან მცირე იყო და მცირეა ამჟამადაც. ქართველთაგან აფხაზურს უმეტესწილად სწავლობდნენ დედით აფხაზი ბავშვები, მაგრამ დედით ქართველი აფხაზი ბავშვები ვერ ახერხებდნენ მშობლიური ენის დაუფლებას. მაშასადამე, აფხაზური ენის შენარჩუნება აფხაზ ქალბატონებზე - დედებსა და ბებიებზე უფრო იყო დამოკიდებული;
2. უფროსი თაობის წარმომადგენლებს შორის ძალზე მცირე რაოდენობით იყვნენ ისეთი აფხაზები, რომლებმაც მხოლოდ აფხაზური იცოდნენ და არ ფლობდნენ არცერთ სხვა ენას;
3. საბჭოთა პერიოდში აჭარაში მცხოვრებმა აფხაზებმა იცოდნენ აფხაზური, ქართული და რუსული ენები;
4. აფხაზურ ოჯახებში უმეტესად ქართულად, აჭარულ დიალექტზე

ლაპარაკობენ („ქართული ყველამ ვიცით, აქ დევიბადეთ, აქ გევიზარდეთ, 100 %-ში შეგვიძლია დალაპარაკება“);

5. საშუალო თაობის ნაწილს ესმის აფხაზური, მაგრამ ვეღარ ლაპარაკობს;
6. ახალი თაობის უდიდესმა ნაწილმა არ იცის აფხაზური, მათ მხოლოდ რამდენიმე სიტყვის თქმა შეუძლიათ;
7. აფხაზები ერთხმად აღნიშნავენ, რომ აჭარაში აფხაზური ენა იკარგება;
8. აფხაზური „საიდუმლო ენის“ ფუნქციას ასრულებს მხოლოდ უფროსი და საშუალო ასაკის აფხაზებს შორის;
9. რესპონდენტების აზრით, აჭარაში მცხოვრები აფხაზები აფხაზურ ენაზე საუბრისას თურქულ სიტყვებს ურევენ, ოჩამჩირელი აფხაზები - მეგრულს, ხოლო „გუდაუთელები უფრო წმინდად საუბრობენ და [მათი მეტყველება] უფრო ძნელია“.
10. აჭარაში ადრე სკოლებში არ ასწავლიდნენ აფხაზურ ენას, ახლა სოფელ ფერიისა და ბათუმის N 14 სკოლებში ასწავლიან, როგორც არჩევით საგანს.
11. აჭარაში მცხოვრები აფხაზები „აფხაზობის ხარისხისა„ და აფხაზური ენის ცოდნის აღსანიშნავად იყენებენ შემდეგ ენობრივ მარკერებს: ძირძველი აფხაზი, წმინდა აფხაზური ოჯახი, მაგარი აფხაზები, რბილი აფხაზები, ნაციონალისტი აფხაზები, წმინდა აფხაზურად ლაპარაკობს, სუფთა აფხაზური იცის.
12. აჭარაში მცხოვრები აფხაზი მუჰაჯირების შთამომავლები თავიანთ ეთნიკურ იდენტობას უმეტესად მხოლოდ აფხაზური, ან აფხაზეთიდან თანმოყოლილი მეგრული წარმოშობის გვარებით ადასტურებენ;
13. მათი ნაწილი მიიჩნევს, რომ ერთდროულად აფხაზებიც არიან და ქართველებიც;
14. აჭარაში აფხაზთა შორის ძალზე იშვიათია აფხაზურად წერა-კითხვის ცოდნა, თუმცა ორ საჯარო სკოლაში აფხაზური ენის სწავლების შემოღებამ ყინული ერთგვარად დაძრა;
15. რესპონდენტები აღნიშნავენ, „აფხაზური ენა იკარგება კატასტროფულად“-ო;
16. აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა უმრავლესობას აქვს ქართულ-აფხაზური ოჯახები და ურთიერთობისთვის, ძირითადად, იყენებენ ქართულ ენას: სამწიგნობრო ენას ბევრად იშვიათად, აჭარულ დიალექტს კი ყოველდღიურად.

აჭარაში მცხოვრები აფხაზების მაგალითიდან მკაფიოდ ჩანს, რომ აქ აფხაზური ენა გაქრობის პირას მყოფი ენაა და ამას სხვადასხვა ფაქტორები განაპირობებენ, კერძოდ:

- ქართულ-აფხაზურ ოჯახებში ვერ ხერხდება აფხაზური ენის გადაცემა უფროსი თაობიდან უმცროსი თაობისთვის;
- მხოლოდ ვინრო სოციუმში - ოჯახში და მხოლოდ აფხაზებთან გამოსაყენებელი აფხაზური ენა თანდათან კარგავს ადრინდელ პოზიციებს ოჯახებში.
- წინათ აფხაზთა უფროსი და საშუალო თაობები აფხაზურსაც კარგად ფლობდნენ, მაგრამ ეს ენა უფრო საოჯახო და ვინრო ნათესაურ წრეში გამოიყენებოდა. მათ სამსახურში, ოჯახის გარეთ, ოფიციალურ გარემოში გამოსაყენებლად ქართული და რუსული ენები უფრო სჭირდებოდათ, ვინაიდან ქართულენოვანი იყო გარემო (მეზობლები, ახლობლები, სამსახური, სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები), რომლებთანაც ისინი ურთიერთობდნენ, ქართული და რუსული იყო მათი განათლების ენა. ამ მიზეზებმა განაპირობეს ის, რომ მათი დიდი ნაწილი სამენოვანი გახდა.
- ამჟამად ახალგაზრდა აფხაზთა შორის რუსული ენის გამოყენების ობიექტური გარემოებები არ არსებობს, მკვეთრად დაეცა რუსული ენის პრესტიჟი, მაგრამ მათმა უმრავლესობამ თითქმის არ იცის აფხაზური ენა. ისინი ლაპარაკობენ ქართულად, ამასთანავე, თავიანთი სურვილის მიხედვით ირჩევენ და სწავლობენ ინგლისურ, ან თურქულ ენებს, რომლებიც მათ თავიანთი მომავალი კარიერისთვის სჭირდებათ.
- მნიშვნელოვანი და საყურადღებოა ბოლო პერიოდში აფხაზური ენის სწავლების შემოღება ორ საჯარო სკოლაში, სადაც აფხაზურ ენას აფხაზი ბავშვები ეუფლებიან საკუთარი ეროვნების ენას. ვფიქრობთ, სასურველი და აუცილებელია სახელმწიფო, კერძო თუ არასამთავრობო სტრუქტურების ხელშეწყობა, რათა უფრო მეტ აფხაზ ახალგაზრდას გაუჩნდეს სურვილი, ისწავლონ თავიანთი ეროვნების ენა, იმისთვის, რომ გადარჩეს უნიკალური აფხაზური ენა და გაგრძელდეს მისი უწყვეტი გადაცემა თაობიდან თაობაზე.

§4. ქართულ-აფხაზური ოჯახების ახალგაზრდა წევრთა ენობრივი და ეთნიკური ბიოგრაფიები

ზუმის პლატფორმისა და პირდაპირი კითხვების გამოყენებით ჩავიწერეთ ინტერვიუები, რომლებშიც აღწერილია ორი ახალგაზრდა რესპონდენტის ენობრივი და ეთნიკური ბიოგრაფიები. პირველი მათგანი თ.ხ. თბილისში მცხოვრები აფხაზეთელი აფხაზია (დედით - ქართველი), ხოლო მეორე ა.ჯ. - ბათუმში მცხოვრებ აფხაზ მუპაჯირთა შთამომავალი (დედით - აფხაზი, მამით - ქართველი).

თ.ხ. 1991 წელსაა დაბადებული. მისი მონათხრობის მიხედვით, მისი დიდი წინაპრები მუპაჯირობის დროს თურქეთში გადაასახლეს, მაგრამ ისინი ისევ აფხაზეთში დაბრუნებულან. თ.ხ.-ს დიდ ბაბუას ნარიქი ერქვა. ნარიქის შვილს უმარს ეძახდნენ, ხოლო მის შვილს - ივანეს. ახალგაზრდობაში ივანეს საბუთებში გვარად ჰაჯიოღლი (გვარის თურქული ვარიანტი - ს.ჭ.) ეწერა. საბჭოთა პერიოდში ივანემ ისევ თავისი აფხაზური გვარი დაიბრუნა. რესპონდენტის ზემოთ ჩამოთვლილ აფხაზ წინაპრებს მეუღლეებად ჰყავდათ აფხაზეთელი ქართველები (მეგრელები). მაგალითად, მისი ბაბუის დედა იყო ხინა ლოგუა, ხოლო თ.ხ.-ს ბებია გვარად მგალობლიშვილი გახლდათ (პირველი რძალი არამეგრული გვარით).

თ.ხ.-ს ოჯახი ქალაქ ოჩამჩირიდანაა. დედის წინაპრები ლეჩხუმიდან აფხაზეთში, სოფელ ცაგერაში[99] დასახლებული ხურცილავები იყვნენ. დევნილობის შემდეგ თ.ხ.-ს ოჯახი საცხოვრებლად რუსეთში წავიდა, მაგრამ ბებიამ ისინი რამდენიმე წლის მერე საქართველოში დააბრუნა იმის შიშით, რომ შეიძლებოდა ბავშვები გარუსებულიყვნენ. ამგვარად 1996 წლიდან თ.ხ.-ს ოჯახმა თბილისში გააგრძელა ცხოვრება. რესპონდენტმა ქართულ ენაზე მიიღო საშუალო და უმაღლესი განათლება. იგი აკ. წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობდა ისტორიისა და არქეოლოგიის სპეციალობაზე (იგივე სასწავლებელი დაუმთავრებია დედამისსაც - ს.ჭ.).

თ.ხ.: „ბაბუა და მამა ოჩამჩირის აფხაზურ სკოლაში სწავლობდნენ. ორივემ კარგად იცოდა აფხაზური ენა, ასევე მეგრული და რუსული. ბაბუაჩემმა და მისმა ძმებმა, უფროსმა თაობამ კარგად იცოდა და იცის ახლაც აფხაზური. ბაბუა და მამა ერთმანეთს რუსულად და აფხაზურად ელაპარაკებოდნენ. მამაჩემის ოჯახში ძირითადი სასაუბრო ენა იყო რუსული. ბებიაჩემმა რახან რუსული იცოდა,

99. სტალინის დროს ოჩამჩირის რაიონის სოფელ არადუს ტერიტორიაზე გაჩნდა დასახლება ცაგერა, სადაც ლეჩხუმის ცაგერის მუნიციპალიტეტიდან გადმოსახლებული გლეხები დასახლდნენ. მეგრელები ამ არემარეში უფრო ადრეც სახლობდნენ. 1992-1993 ნლების ომის შემდეგ სოფელი ქართულმა მოსახლეობამ დატოვა. დასახლება ცაგერა მთლიანად დაინგრა (განადგურებულია 820 საცხოვრებელი სახლი), ამჟამად სოფელი უკაცრიელია.

ძირითადად, საუბრობდნენ რუსულად. ბებიაჩემი და დედა ასევე ფლობდნენ მეგრულ ენასაც, ამიტომ სასაუბრო ენა ჩვენს ოჯახში, ძირითადად, იყო მეგრული და რუსული. ბებიამ და დედამ ვერ ისწავლეს აფხაზური. ბაბუამ ქართული არ იცოდა. ბაბუამ და მამამ თავიანთ შვილებს უკეთესად იმიტომ ვერ ასწავლეს აფხაზური, რომ დღის განმავლობაში ისინი უმეტესად სამსახურებში იყვნენ და ვერ მოხერხდა ენის უკეთესად შესწავლა. მამამ აფხაზური ბგერების სპეციფიკა იცოდა, ძალიან კარგად საუბრობდა, კითხულობდა, თუმცა ისე ჩქარად ვერ ლაპარაკობდა, როგორც მე ვსაუბრობ ახლა ქართულად, მაგრამ ჩვეულებრივად კონტაქტი შეეძლო, ამის მომსწრე ვარ. უფრო რუსული და მეგრული იცოდა. რაღაც ელემენტარული აფხაზური ვიცი, ბუნებრივია, მაგრამ ისე არა, როგორც უნდა ვიცოდე, ეს ძალიან ცუდია. საშინელი აქცენტი მაქვს აფხაზურის, ამიტომ ახლა აფხაზურად ვერაფერს გეტყვით, არ გამოვა, ისევე ჩემს თავთან ვმუშაობ ამ მიმართულებით. მოტეხილად, ყურმოტეხილად გავიგებ, რა თემაზე საუბრობენ, განსაკუთრებით არსებითი სახელები კარგი დასაჭერია და მივხვდები. ჩემთვის ყველაზე მტკივნეულია, რომ აფხაზური არ ვიცი, რომ არ მქონდა დრო, უკეთესად მესწავლა. აი, აფხაზურ ასოებზე ენა მაქვს გატეხილი იმიტომ, რო მამაჩემი გვიკითხავდა აფხაზურ ანბანს, ბგერების გამოთქმას გვასწავლიდა მე და ჩემს ძმას. ეს, აი, ძალიან ღრმა ბავშვობიდან მახსოვს. ბუნებრივია, აქეთ ეხა თანამედროვე დრო არის, ათასი რაღაცის ნახვა შეიძლება, ეს უკვე ჩემი პირადი ინტერესია. მე და ჩემი ძმა გავიზარდეთ ქართულ ენაზე, სულ ვსაუბრობდით ქართულად, ორივემ ქართული სკოლა დავამთავრეთ. ჩემი მეუღლე ქართველია. მყავს ერთი შვილი, სამი წლისაა ჯერ. ვფიქრობ, რომ ჯერ ვერ მოეკიდება აფხაზურის სწავლას, მაგრამ აუცილებლად მაქვს მხედველობაში. ის რაც დამაკლდა მე და რის საშუალებაც არ მქონდა, ავანაზღაურებ აუცილებლად. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ჩემმა შვილმა თუნდაც ელემენტარულ დონეზე იცოდეს აფხაზური ენა. ჩემ დროს არ იყო ამდენი ნიგნები, ინტერნეტი მით უმეტეს. ჩემს შვილს მაქსიმალურად შევუწყობ ხელს მაგაში.

ჩვენმა აფხაზეთელმა ნათესავებმა აფხაზური იციან ჩვეულებრივად, მაგრამ ძირითადად, რუსულ-აფხაზურად საუბრობენ. მეგრულიც იციან, მაგრამ ნაკლებად ლაპარაკობენ. ახლა უფრო შემოპარულია რუსული სიტყვები. აფხაზები ძალიან ბევრ სიტყვას იშველიებენ რუსულს, სიტყვები რაც უჭირთ, ან არ იციან, რუსულ სიტყვებს ა-ს უმატებენ წინ და მარტივია. აფხაზეთში უკვე აფხაზური ენა სკოლებში სავალდებულოა“.

* * *

როგორც ვხედავთ, ჩვენი რესპონდენტის წინაპრებმა, ბაბუამ და მამამ კარგად იცოდნენ აფხაზური ენა, მაგრამ აფხაზეთში დაბადებული ქართველი (მეგრელი) ბებიის გამო ოჯახში უმეტესად საუბრობდნენ რუსულად და მეგრულად. საშოვარზე გასული მამების სახლში არყოფნის გამო საოჯახო ენად ამა თუ ენის არჩევა ქალის ენობრივ კომპეტენციასა და მის არჩევანზე იყო დამოკიდებული. ამ კონკრეტულ შემთხვევაში აფხაზეთელი ბებიის და დედის ენობრივი მონაცემების მიხედვით ოჯახში უფრო ხშირად საუბრობდნენ რუსულად და მეგრულად, ამიტომ მამაკაცების მიერ თავიანთი მშობლიური ენის ცოდნის შვილებისთვის უფრო სრულყოფილად გადაცემა ვერ მოხერხდა, მიუხედავად იმისა, რომ ბაბუაც და მამაც თავიანთ შვილებს აფხაზურადაც ელაპარაკებოდნენ და ასწავლიდნენ კიდეც.

რუსული ენის საოჯახო ენად გადაქცევა განპირობებული იყო იმით, რომ ის იყო ოჯახის წევრების განათლებისა და აფხაზეთში იმ პერიოდისთვის ყველაზე მეტად გავრცელებული ენა. შესაბამისად, „ყველგან და ყველასთან საჭირო„ რუსულმა ადვილად დაიმკვიდრა ადგილი საოჯახო სივრცეშიც და თანდათან განდევნა მშობლიური აფხაზური ენა.

თ.ხ.-ს ოჯახის ენობრივი ვითარება რადიკალურად შეიცვალა თბილისში დამკვიდრების შემდეგ - ოჯახი მთლიანად ქართულენოვან გარემოში მოხვდა. ამის გამო მთავარი სასაუბრო ენა გახდა ქართული. თ.ხ.-მ ქართულ ენაზე მიიღო საშუალო და უმაღლესი განათლება. მართალია, მამა შვილებს აფხაზურ ასოებს და მათ სწორად წარმოთქმას ასწავლიდა, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა აფხაზური ენის შესასწავლად. რესპონდენტს აქვს სწორი დამოკიდებულება თავისი ეროვნების ენისადმი, სურს თავადაც ისწავლოს და ასევე ასწავლოს თავის შვილსაც. საყურადღებოა, თ.ხ.-ს მიერ მოწოდებული ინფორმაცია აფხაზეთელი აფხაზი ნათესავების შესახებ, რომელთა ძირითადი საკომუნიკაციო ენები აფხაზური და რუსულია კვლავაც. ჩანს, რომ იმ პირებს ასაკი და ფსიქოლოგიური კომპლექსი („რთული ენაა აფხაზური და ვეღარ ვისწავლი“) ხელს უშლის უკვე დიდი ხნის წინ თავს მოხვეული რუსული ენიდან დედაენაზე გადართვაში.

რესპონდენტი მართებულად ფიქრობს, რომ აფხაზურ ენაში უკონტროლოდ შემოჭრილი რუსული სიტყვები და რუსული ენის ჭარბად გამოყენება საფრთხეს უქმნის აფხაზური ენის შენარჩუნებასა და გავრცელებას.

თ.ხ.: „აი, თქვენ რაც თქვით წეღან, სკოლებში, ხუთ სკოლაში ისწავლება ენგურს გამოღმაო, ეს ძალიან მომეწონა და მესიამოვნა იმიტომ, რომ მეგონა, რომ ერთ, ან ორ სკოლაში იყო, ან საერთოდ არ იყო. ძალიან კარგია უნივერსიტეტის დონეზეც, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ელემენტარულ დონეზე შეიძლება ასწავლო

ბავშებს სკოლიდან, პირველ, მეორე, მესამე კლასში, სკოლის დონეზე ასწავლონ ბავშვებს ელემენტარული. ბათუმში ვნახე, ერთი ქალი ასწავლის საკუთარი ინიციატივით და ისე მესიამოვნა, ისე ჰქონდათ ბავშებს ენა გატეხილი, ისე კითხულობდნენ აფხაზურ ლექსებს. აფხაზურ ენაში თორმეტი, თუ ცამეტი ასოა მხოლოდ ძნელად გამოსათქმელი. ჯერ მარტო რა ხალისია, როცა მის გამოთქმას სწავლობ! ბავშვობის ასაკიდან უფრო მარტივი სასწავლია, ახლა უფროს ადამიანს რომ სთხოვო, ფხვ სამი ასო ერთად თქვი, ვერ გეტყვის, პატარას კი ეხალისება. მეტი მინდა რომ გაკეთდეს პატარებისათვის და მომავალი თაობისათვის აფხაზურ ენაზე. ეს რუსული მაინც ჩვენი მოუშორებელი ჭირია, საბჭოური პერიოდის მიერ ჩადებული ნაღმია! ხომ ხედავთ, კავკასიაში რა ხდება! ზუსტად მაშინდელი ჩადებული ნაღმია, რომ კავკასიაში არ უნდა იყოს სიმშვიდე. როგორც კავკასიაში არ არის სიმშვიდე, ისე საქართველოშიც არ უნდა იყოს. როგორც ჩანს, საქართველო მაინც გამავალი ხაზია. მე ქართველი აფხაზი ვარ, აი, როგორც ქართველი მეგრელი, ქართველი სვანი, აი ეს გაგება მაქვს. ჩემი აზრით, იმაზე ცოტა ვართ დარჩენილი, ვიდრე საჭიროა, აქეთ მით უმეტეს. სპეციალისტები ცოტანი, მაგრამ კარგები არიან, თემურ გვანცელაძე არის საუკეთესო, ძალიან დიდ პატივს ვცემ ამ ადამიანს, რაც ამ კაცს აქვს გაკეთებული აფხაზური ენისთვის, ეს ფასდაუდებელია".

ჩვენი აფხაზი რესპონდენტი ერთ-ერთი გამონაკლისია სხვა რამდენიმე აფხაზთან ერთად, ვისთვისაც რუსული ენა არ არის მთავარი საკომუნიკაციო საშუალება. იშვიათია ასევე მის მიერ გაცხადებული ქართულ-აფხაზური იდენტობა. ის საქართველოს სრულფასოვან მოქალაქედ გრძნობს თავს და მისთვის ერთნაირად მშობლიურია აფხაზური და ქართული ენები.

თ.ხ.: „გვაქვს ძველი აფხაზური წიგნები, ჩემი საყვარელი ძველი აფხაზური ზღაპრები. აფხაზური ანბანი მაქვს. საოჯახო ალბომი გვაქვს შემორჩენილი. სურათებიც ბებოს ჩამოტანილია, მათ შორისაა ჩვენი სახლის ფოტო. ისე ზუსტად დაგისახელებთ ჩემი სახლის მისამართს და ისე ზუსტად აღგინერთ ჩემს ქუჩას, მეზობლებს, რომ გეგონებათ, ახლა ჩამოვედი იქიდან. ეს ყველაფერი მშობლებისგან, ბებიებისგან და ბაბუებისგან ვიცით. მათ კალთაში, მოგონებებზე და იქაურ ტკივილზე გაზრდილი ვართ მე და ჩემი ძმა. ძალიან ვიფერებდი ჩემს აფხაზობას საქართველოში. სკოლაში და უნივერსიტეტში მეტყოდნენ, ორი სიტყვა გვითხარი აფხაზურადო და ჩემგან ორი სიტყვაც საკმარისი იყო... მასწავლებლებიც, ლექტორებიც ხშირად აღნიშნავდნენ - ეს ჩვენი აფხაზი მოსწავლეა, ეს ჩვენი აფხაზი სტუდენტია და ა.შ. საზოგადოებაში და სხვადასხვა ინსტიტუტებში ყოველთვის ძალიან დიდი პატივისცემით მხვდებოდნენ. ყველას ჰქონდა განსაკუთრებული და მოწინებითი დამოკიდებულება ჩემ მიმართ და ძალიან მსიამოვნებდა".

რესპონდენტის მიერ ზემოთ დასახელებული მაგალითები ქართველებსა და აფხაზებს შორის ისტორიულად არსებული ურთიერთპატივისცემისა და სიყვარულის გაგრძელებაა. ქართველების მხრიდან გამოხატული სითბო და ყურადღება არ არის ცალმხრივი და მას ასეთივე გულისხმიერებით პასუხობს ახალგაზრდა აფხაზიც.

მნიშვნელოვანი და მტკივნეულია თ.ხ.-ს გულისტკივილით ნათქვამი ფრაზა: „იმაზე ცოტა ვართ დარჩენილი, ვიდრე საჭიროა", ვინაიდან, საზოგადოდ, ამა თუ იმ ენის შენარჩუნება და განვითარება სწორედ ამ ენაზე მოლაპარაკე ადამიანთა რაოდენობასა და მათ დიდ მონდომებაზეა დამოკიდებული. ამ კონკრეტულ შემთხვევაში რესპონდენტის მართებული დამოკიდებულება, შესაძლოა, გახდეს მშობლიური ენის თაობიდან თაობაზე გადაცემის ბუნებრივი ჯაჭვის აღდგენისა და გამთელების საწინდარი.

* * *

მეორე რესპონდენტი ა.ჯ. ბათუმში მცხოვრებ აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავალია. იგი გვესაუბრებოდა ქართულ ენაზე.

უფროსი თაობის ენობრივი კომპეტენცია:

„დედაჩემის ოჯახში საკომუნიკაციო ენა იყო რუსული. იმიტომ, რომ ბებია რუსია. ბაბუაჩემს განათლება რუსეთში აქვს მიღებული. ბაბუაჩემისათვის რუსული არ იყო მშობლიური ენა, ქართულად ლაპარაკობდა და აფხაზურად. აფხაზური კარგად იცოდა, ამბობდა, აფხაზური ჩემი მშობლიური ენააო. თურქულიც იცოდა, აფხაზურად ელაპარაკებოდა დას, ძმებს, მე როგორც მახსოვს, ქართულადაც ელაპარაკებოდა. რუსულს და-ძმებთან არ იყენებდა, ძალიან იშვიათად. მეუღლესთან საუბრობდა რუსულად. შვილიშვილებთან აფხაზურად და უმეტესწილად - ქართულად. ბებიაჩემსაც ესმის აფხაზური, მაგრამ ვერ ლაპარაკობს,

ბაბუა გეჩბებთან (გეჩბები რესპონდენტის ბაბუის ნათესავები და მეზობლები არიან - ს.ჭ.) საუბრობდა ქართულად იმიტომ, რომ გეჩბებმა აფხაზური არ იციან. ოთარ გეჩბა ჩვენი ნათესავი იყო, 10 წელია გარდაიცვალა. იცოდა აფხაზური, ოღონდ ნაკლებად ლაპარაკობდა. მის ძმას ესმის, მაგრამ არ ლაპარაკობს. შეიძლება ითქვას, ესმით და არ ლაპარაკობენ. აი, ამ ორი ადამიანის მამამ, რომელიც 20 წელია გარდაიცვალა, კარგად იცოდა აფხაზური".

ციტირებული მასალის მთავარი გმირია რესპონდენტის ბაბუა, ბათუმში პატივცემული აკაკი ციცბა. მას, მრავალი სხვა აფხაზის მსგავსად, განათლება რუსულ ენაზე მიუღია, მაგრამ განსხვავებული და მოსაწონი იყო მისი მტკიცე ენობრივი არჩევანი. კერძოდ, მისთვის რუსული ენა არ ყოფილა უპირველესი ენა და ამ ენას იყენებდა მხოლოდ თავის რუსი ეროვნების მეუღლესთან საუბრისათვის, თუმცა მისთვისაც უსწავლებია აფხაზური ენა. დანარჩენ შემთხვევებში - და-ძმებთან, შვილიშვილებთან და ნათესავებთან საუბრობდა ქართულად და აფხაზურად.

ა.ჯ.-ს მონაყოლიდან ჩანს, რომ ა. ციცბა თითქმის თანაბარ დონეზე ფლობდა ოთხ ენას: აფხაზურს, რუსულს, ქართულსა და თურქულს. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ა. ციცბას თანატოლ აფხაზ ახლობლებსაც ესმოდათ აფხაზური, მაგრამ ვერ, ან არ ლაპარაკობდნენ თავიანთ დედაენაზე. შესაძლოა, ეს მათი მიზანმიმართული ქცევა იყო, რათა უკეთ ინტეგრირებულიყვნენ ქართულენოვან გარემოში და ამ გარემოსთვის შეემზადებინათ თავიანთი შთამომავლებიც. რესპონდენტის დაკვირვებით, აფხაზური ენა კარგად იცოდა ბაბუაზე უფროსმა ნათესავმა, გეჩბების მამამ. ამ კონკრეტული მაგალითის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ 20 წლის წინ ბათუმში მცხოვრებმა უფროსი თაობის აფხაზებმა უკეთესად იცოდნენ აფხაზური ენა და სავარაუდოდ, უფრო კარგადაც ლაპარაკობდნენ. ახლა კი ა.ჯ.-ს ბაბუის თაობაში ენის ცოდნა უფრო იშვიათია, მათ ესმით მშობლიური ენა და ვერ ლაპარაკობენ.

საშუალო თაობის ენობრივი კომპეტენცია:

ა.ჯ.: „დედაჩემმა უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა რუსეთში, ბიძაჩემმა - უკრაინაში. დედაჩემი 90-იან წლებში ცხოვრობდა აფხაზეთში, აფხაზური ესმის, მაგრამ ვერ ლაპარაკობს. დეიდაჩემი ლაპარაკობს აფხაზურად. მაგალითად, დედაჩემი, დეიდაჩემი და ბიძაჩემი შეიძლება ითქვას, დაახლოებით, 45-55 წლის ადამიანების თაობაში გადიან, მაგრამ მათთვის უფრო კომფორტული ენა არის რუსული, ვიდრე ქართული. იმავე ასაკობრივ კატეგორიაში მყოფი, ან ოდნავ უმცროსი მათი დეიდაშვილებისთვის კომფორტული ენაა ქართული. გარდა ამისა, გეჩბები ვახსენეთ, მათთვის კომფორტული ენაა ქართული. ოდნავ უფროსები არიან დედაჩემზე, მაგრამ მაინც. გეჩბების შვილებისთვის, ისინი ჩემზე ოდნავ უფრო უფროსები არიან, მაგრამ მათთვის აბსოლუტურად კომფორტული ენაა ქართული. რუსული იციან, მაგრამ ქართულად საუბრობენ".

როგორც ვხედავთ, ბათუმში მცხოვრები ა.ჯ.-ს მშობლების თაობა უკვე გარდამავალ სურათს გვიჩვენებს: მათი იმ ნაწილისათვის, ვინც რუსეთში მიიღო განათლება, კომფორტულ ენად რუსული გვევლინება, მეორე ნაწილი კი ქართულს ამჯობინებს. აფხაზური ენის პოზიციები კი შესუსტებულია: ორივე ჯგუფს ესმის აფხაზური, მაგრამ ვერ ლაპარაკობენ. საშუალო თაობის ადამიანებიც რამდენიმე ენას ფლობენ, იციან: რუსული, ქართული და აფხაზური, შესაძლოა, თურქულიც და რომელიმე ევროპული ენაც. შეიძლება ითქვას, რომ ბაბუა-ბებიებმა მეტ-ნაკლებად გადასცეს შვილებსა და შვილიშვილებს დედაენის ცოდნა, მაგრამ მშობლების მიერ მცირე დოზით აფხაზური ენის ცოდნა კიდევ უფრო ნაკლები ხარისხით ერგოთ მათ მომავალ თაობებს.

ახალგაზრდა თაობის ენობრივი კომპეტენცია:

ა.ჯ.: „სოფელში ჩემი ტოლი რამდენიმე ადამიანი მახსენდება, შერეული ოჯახებიდან არიან და დარწმუნებული ვარ, რომ არ იციან აფხაზური, უფრო პატარებიც არ ლაპარაკობენ. ჩემი დეიდაშვილები ჩემზე პატარები არიან, ჩემზე კარგად ესმით, მაგრამ ისინი აფხაზურს არ იყენებენ. აფხაზურად ვლაპარაკობ, მაგრამ ძალიან ცოტას. რაღაცები მესმის. აფხაზურ გადაცემებს რომ ვუყურებ, მოკლე დასკვნის გაკეთება შემიძლია. წერა-კითხვა არც მიცდია. თსუ-ში ლეიკო ავიძბასთან რომ დავდიოდი, ვსწავლობდი კითხვას, ალბათ, 6-7 გაკვეთილი, ასე თვე-ნახევარი. ამ ჯგუფში, ვინც აფხაზურს სწავლობდნენ იმათგან, ერთი ქართველი იყო, როგორც მახსოვს, დედა ჰყავდა აფხაზი. მეორე იყო ახალგაზრდა კაცი, რომელსაც აფხაზებთან არანაირი ნათესაური კავშირი არ ჰქონდა, უბრალოდ აინტერესებდა აფხაზური ენა და სწავლობდა.

მე მყავს ერთი მეგობარი, რომელიც აფხაზეთში არის დაბადებული და გაზრდილი, ჩემზე სამი წლით უფროსია, 26 წლისაა. მისთვის მშობლიური ენა აფხაზურია, მაგრამ რუსული იცის ბევრად უფრო უკეთესად, რადგან ძირითადად ლაპარაკობს რუსულად. ამით იმის თქმა მინდა, რომ გააჩნია, რა კონოტაციას ვდებთ მშობლიური ენის განსაზღვრებაში, რა მნიშვნელობას ვანიჭებთ. შეიძლება ადამიანისთვის მშობლიური ენა გაცხადებულად იყოს ერთი ენა, რომელიც ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის ეროვნული ენაა, მაგრამ შეიძლება არ იცოდეს ეს ენა და პირიქითაც, შეიძლება თავისი ეროვნების ენა არ იცოდეს, მაგრამ იცოდეს რუსული და მას უწოდებდეს მშობლიურს.

აჭარაში მცხოვრები აფხაზებისათვის, მე მგონი, ქართულია ძირითადი სასაუბრო ენა და რუსულიც, ნაწილობრივ. რაღაც ნაწილი ალბათ აფხაზურს თვლის მშობლიურად, მიუხედავად იმისა, რომ არ იციან ეს ენა და არც

ლაპარაკობენ. ეს არის ეთნიკურ ჯგუფთან მიკუთვნებულობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი".

ბათუმში მცხოვრებმა ახალგაზრდა, ან უფრო უმცროსი ასაკის აფხაზებმა ან საერთოდ არ იციან აფხაზური ენა, ან მცირედ იციან და ვერ, ან არ ლაპარაკობენ. აშკარაა, რომ უფროს და საშუალო თაობებთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა აფხაზური ენის ცოდნა შვილების თაობაში. ა.ჯ.-ს მიერ დასახელებული კონკრეტული მაგალითებიდან ჩანს, რომ მუპაჯირთა შთამომავლებმა უკეთესად იციან ქართული ენა, ხოლო აფხაზეთში მცხოვრებმა აფხაზებმა - რუსული. აფხაზეთში ენის პრიორიტეტს ენობრივი პოლიტიკის შედეგები განსაზღვრავს, ხოლო აჭარაში - ენობრივი გარემოცვა და ყოველდღიური კონტაქტები. მიუხედავად ამ სხვაობისა, ორივე ჯგუფის უმრავლესობა მშობლიურ ენად აფხაზურს მიიჩნევს და ამით თავიანთი ეთნიკური იდენტობის მარკირებას ახდენს. ორივეგან აფხაზების მიერ აფხაზური ენის ნაკლებად გამოყენება აფერხებს აფხაზური ენის შენარჩუნებასა და გამოყენებას.

ა.ჯ.: „თურქეთში ასობით ათასი აფხაზი ცხოვრობს. იქ არის აფხაზური სოფლები, რომლებიც არ არის ურბანიზებული. ვფიქრობ, ბევრად მარტივად ხდება თემების შენარჩუნება. შეიძლება იცით, დავით დარსანიამ (აფხაზეთში მცხოვრები აფხაზია), რომელიც ხან იორდანიაში, ხან სირიაში, ხან თურქეთში, ხან ეგვიპტეში, წინა ზაფხულს ბათუმშიც იყო ჩამოსული, ხვდება აფხაზებს და აფხაზური დიასპორის წარმომადგენლებს. აინტერესებს, ენას რამდენად ინარჩუნებენ. მე როგორც გავიგე, არც იქაა კარგი მდგომარეობა.

აჭარაში სანამ პატარ-პატარა თემები არსებობდა, მაგალითად, ანგისის თემში, შენარჩუნებული იყო ენა და გადაეცემოდა თაობიდან თაობას, მაგრამ როდესაც პატარა ეზოებში კორპუსები ჩააშენეს, თემი დაიშალა ურბანულადაც. ზოგი აფხაზეთშიც ნავიდა საცხოვრებლად და მათ შორის, ჩემი ნათესავებიც. თემი მოირღვა და ენაც ვერ შენარჩუნდა. აი, ბათუმში ხარ ეთნიკურად აფხაზი, გაქვს აფხაზური გვარი, მაგრამ ვინმე თუ არ ჩაგეკითხა, შენს იდენტობას არ გამიჯნავ.

მე მგონი, აჭარაში, ცალსახად დომინანტია ქართული ენა, დაახლოებით, 70/30%-ზე. არა მგონია, ანგისაში აფხაზურის რეანიმაცია შესაძლებელი იყოს. თითზეა ჩამოსათვლელი აჭარაში ხალხი, რომელიც აფხაზურად ლაპარაკობს და ყოველდღიური კომუნიკაციისთვის იყენებს. იქ არც ისეთი სახარბიელო ვითარებაა".

ამრიგად, საკვლევი ნარატივის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ:

1. ახალგაზრდა რესპონდენტმა აბსოლუტურად ზუსტად აღწერა თავისი ოჯახის, სანათესაოს, ბათუმისა და სოფელ ანგისის ვითარება;

2. აჭარაში მცხოვრებ აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავლების უფროსი და საშუალო თაობის უმრავლესობა მეტ-ნაკლებად ფლობს აფხაზურ ენას, მაგრამ არ, ან ვერ ლაპარაკობს;
3. მუჰაჯირთა ახალგაზრდა და უმცროსი შთამომავლების მცირე ნაწილმა იცის მშობლიური ენა, მაგრამ ასევე ვერ იყენებს მას;
4. შესაბამისად, სხვადასხვა ასაკის ადამიანებში მშობლიური ენის ცოდნა აკუმილირებულია უკიდურესად ვიწრო წრეში და მისი თუნდაც საოჯახო სივრცეში გამოყენება იშვიათად ხდება;
5. სამწუხაროდ, ბათუმსა და მის მიმდებარე სოფლებში აფხაზური ენა გაქრობის პირასაა. სხვადასხვა ფაქტორებთან ერთად, ამ რეალობის განმაპირობებელ მთავარ მიზეზებად შეიძლება დავასახელოთ: მასობრივად ქართულენოვანი გარემო, ხშირი ქართულ-აფხაზური ქორწინებები, აფხაზთა ისედაც მცირე კომპაქტური დასახლებების მოშლა ინტენსიური ურბანიზაციის შედეგად, აფხაზთა ძალზე მცირე რაოდენობა, აფხაზური ენის სირთულე, აფხაზთა დამოკიდებულება თავიანთი მშობლიური ენისადმი და ამ ენის დაბალი პრესტიჟი ქართულ და რუსულ ენებთან შედარებით;
6. აჭარაში მცხოვრები აფხაზების უმრავლესობისთვის პირველი ენა ქართული ენაა, კერძოდ, ქართული ენის აჭარული დიალექტი (მათი ნაწილი ქართულს მშობლიურ ენად აღიარებს, აფხაზურთან ერთად). აფხაზთა უფროსი და საშუალო ასაკის გარკვეული ნაწილისთვის პირველი, ან მეორე ენის ფუნქციას ასრულებს რუსული ენა, რასაც ვერ ვიტყვით უმცროს თაობაზე; სამივე თაობის წარმომადგენლებს შორის არიან თურქული და რომელიმე ევროპული ენის მცოდნეებიც;
7. ამ ეტაპისთვის ბათუმში მცხოვრები აფხაზები თავიანთი ეთნიკური იდენტობის მარკირებას მხოლოდ აფხაზური ენის მშობლიურ ენად აღიარებით, ან აფხაზური გვარის ტარებით გამოხატავენ.

ბათუმის მე-14 საჯარო სკოლასა და ფერიის საჯარო სკოლაში აფხაზური ენის სწავლება მნიშვნელოვანი მოვლენაა იმისთვის, რომ აფხაზებმა და ქართულ-აფხაზური ოჯახების წევრებმა შეძლონ აფხაზური ენის ელემენტარულ დონეზე შესწავლა. ამ გზით იქნებ მცირედით მაინც შენარჩუნდეს აფხაზური ენა, როგორც მოზაიკური ეკოლოგიური მრავალფეროვნების ნაწილი.

ჩვენი მეორე რესპონდენტის მიერ აღწერილი ფაქტების გარდა, მოვიძიეთ აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები, კერძოდ: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2002 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მიხედვით, ენგურს გამოღმა

საქართველოში სულ აღრიცხული იყო 3 241 აფხაზი, ხოლო აჭარაში - 1 442 აფხაზი. აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავლები, ძირითადად, ცხოვრობდნენ ბათუმსა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, დანარჩენ მუნიციპალიტეტებში მათი ჯამური რაოდენობა 50-ს არ აღემატებოდა. 2002 წელს მთლიანად საქართველოში და მათ შორის, აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა 99% მშობლიურ ენად აფხაზურს აღიარებდა, თუმცა რეალურად მათმა უმრავლესობამ არ იცის ეს ენა.

ამრიგად, ჩვენ მიერ წარმოდგენილი თბილისსა და ბათუმში მცხოვრები ქართულ-აფხაზური ოჯახების ახალგაზრდა წევრთა ნაამბობი ასეთ სურათს ქმნის:

1. ახალგაზრდები აღნიშნავენ, რომ მათი ბაბუების თაობამ იცოდა აფხაზური ენა;
2. მათი ბებია-ბაბუების მიერ ოჯახებში საოჯახო ენის გამოყენებას განსაზღვრავდა ბებიების ენობრივი კომპეტენცია: ორივე შემთხვევაში ეს იყო რუსული ენა, ან რუსული და მეგრული;
3. ბაბუები შვილებს ელაპარაკებოდნენ რუსულად და აფხაზურად;
4. ბაბუებისა და მშობლებისთვის რუსული იყო საშუალო, ან უმაღლესი განათლების ენა;
5. ორივე რესპონდენტის მშობლებს აფხაზური ესმით, მაგრამ ვერ ლაპარაკობენ;
6. აფხაზეთში ამჟამად მცხოვრებმა მათმა აფხაზმა ნათესავებმა იციან აფხაზური, მაგრამ ისინი უმეტესად მაინც რუსულად ლაპარაკობენ;
7. ორივე რესპონდენტს აფხაზური ესმის მეტ-ნაკლებად, მაგრამ გამართულად ვერ საუბრობენ;
8. ამ ახალგაზრდებს განათლება მიუღიათ ქართულ ენაზე (ა.ჯ. ამჟამად სწავლას აგრძელებს გერმანიაში - ს.ჭ.)
9. ორივესთვის ძირითადი ენის ფუნქციას ასრულებს ქართული ენა (თ.ხ.-სთვის ქართული და აფხაზური მშობლიური ენებია);
10. სამწუხაროდ, მუჰაჯირობისა და დევნილობის სახელწოდებით ცნობილმა უმძიმესმა ისტორიულმა მოვლენებმა აფხაზთა ეთნიკური, ენობრივი და კულტურული მახასიათებლების მნიშვნელოვანი ნაწილი მოშალა;
11. ორივე ახალგაზრდამ იცის აფხაზ ნინაპრებთან დაკავშირებული ამბები და ერთნაირად გულშემატკივრობენ ქართველი და აფხაზი ხალხების საჭირბოროტო საკითხებს. ქართულ-აფხაზური გენებით, ქართულ-

აფხაზური ბედნიერი ოჯახური ურთიერთობების გამოცდილებით, თავიანთი დამოკიდებულებებითა და საქმეებით ისინი საქართველოს ღირსეული მოქალაქეები არიან;

12. ჩვენი მასალებით დასტურდება, რომ თანამედროვე აფხაზური ენა აჭარაში მცხოვრებ აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავლებსა და ასევე თბილისში მცხოვრებ აფხაზთა შორის გაქრობის პირას მყოფი ენაა.

ა.ჯ.-ს სურვილი, რომ უკეთესად ისწავლოს მშობლიური აფხაზური ენა და ასწავლოს თავის შვილსაც, აჩენს აფხაზური ენის გადარჩენის პერსპექტივას, თუ ეს მაგალითი იქნება განზოგადებული. ამასთანავე, აფხაზების სწორი დამოკიდებულება თავიანთი დედაენისადმი, მათი მონდომება და ასევე ქართული სახელმწიფოს ძალისხმევა, რომ შეინარჩუნოს კონსტიტუციით გარანტირებული ერთ-ერთი სახელმწიფო ენა, იქნება საფუძველი აფხაზური ენის გადარჩენისა და განვითარებისა.

§5. თურქეთში მცხოვრებ აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავლების ეთნიკური და ენობრივი მახასიათებლები

კოვიდ-19-ის პანდემიის გამო ვერ შევძელით თურქეთის რესპუბლიკაში პროექტით გათვალისწინებული სამეცნიერო ექსპედიციის მოწყობა. ამიტომ თბილისში გავესაუბრეთ რონდელის ფონდის მკვლევარს, ფილოლოგიის დოქტორ ალეკო კვახაძეს, რომელიც პანდემიამდე იმყოფებოდა თურქეთის იმ ვილაიეთებში, სადაც ცხოვრობენ აფხაზი მუჰაჯირების შთამომავლები. რესპონდენტმა მოგვაწოდა ცნობები თურქეთელ აფხაზთა იდენტობის მახასიათებლების შესახებ. ეს ინფორმაცია 2 თემას ეხებოდა, კერძოდ:

1. აფხაზთა დასახლებები თურქეთის ტერიტორიაზე;
2. აფხაზთა ენობრივი და ეთნიკური თავისებურებები.

რესპონდენტის გადმოცემით, აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავლების ყველაზე დიდი კომპაქტური დასახლება ჰენდეკის პროვინციაშია, სადაც არსებობს 20-ზე მეტი აფხაზური სოფელი. აფხაზების დიდი რაოდენობა ცხოვრობს აგრეთვე საქარიისა და დუზჯეს პროვინციებში, ასევე შავიზღვისპირა რეგიონებში - სამსუნსა და სინოპში. დუზჯეს პროვინციაში არის ყველაზე დიდი აფხაზური სოფელი - გიუვენი, სადაც გავლენიანი აფხაზებიც ცხოვრობენ. საქარიის პროვინციაშიც არის დიდი აფხაზური

სოფელი ბალბალი. დალისა და წებელის ხეობებიდან გადასახლებული აფხაზები ბინადრობენ ბურსის პროვინციაში და ა. შ.

ა. კვახაძე: „აფხაზური სოფლები დაფუძნდა იმ აფხაზეთის სოფლების მიხედვით, საიდანაც ისინი გაასახლეს, მაგალითად, არის სოფელი მწარა (გუდაუთის რაიონშია, დღეს იქ სომხები ცხოვრობენ). დიუზჯეში არსებულ სოფელ მწარას გიუვენი ჰქვია, მაგრამ ყველამ იცის თავისი სოფლის ძველი დასახელება. გიუვენი იყო აფხაზური სოფელი, მაგრამ დღეს უკვე თურქული სოფელია თავიდან ბოლომდე. სამსუნში, რიზეში და სინოფში არის მძიმე სამუშაო, ჩაიზე და ა.შ. იმ რეგიონებში კი არის ინდუსტრია. შავიზღვისპირეთში ნოტიო კლიმატია და ამიტომ ბევრს აქვს ასთმა. ეს მიგრაცია 60-იანი წლებიდან, ჯერ კიდევ მალარიის პრობლემა რომ იყო, იქიდან მოყოლებული არის დანყებული.

ათათურქის მერე ყველა სოფელს სახელი გადაარქვეს, ამიტომ ოფიციალურად სოფლებს თურქული სახელები ჰქვია. მაგალითად, კალდახვარა იყო და გახდა ბალბალი, გაგრა იყო და გახდა დეირმენდერე, იყო ფსხუ და გახდა ჩაქალიქი და ა.შ. კალდახვარაში მცხოვრები აფხაზები გადმოსახლებული არიან გუდაუთიდან. მათ [აფხაზებს - ს.ჭ.] აქვთ არაფორმალური წესი, აკრძალულია ამ სოფლებში არააფხაზზე სახლის მიყიდვა. ერთადერთი გამონაკლისი იყო ქურთი, რომელმაც სახლი იყიდა, აფხაზური ისწავლა და მოიყვანა აფხაზი ცოლი, მისი შვილები აფხაზობენ. სხვა სოფლებში ეს წესი არ მოქმედებს.

საქარიის, დუზჯესა და ქოჯაელის პროვინციები მდებარეობს სტამბოლისა და ანკარას შორის დამაკავშირებელ ავტობანზე. ეს არის ინდუსტრიულად მზარდი და ეკონომიკურად განვითარებული რეგიონები. ამ რეგიონებში ხდება შავიზღვისპირეთიდან ეთნიკურად თურქი მოსახლეობის ეკონომიკური მიგრაცია. ხშირია შემთხვევა, როცა სოფელი იყო აფხაზური, მაგრამ სოფლის მოსახლეობის ნახევარი ახლა შავიზღვისპირელი თურქია. ისინი ყიდულობენ სახლებს, მიწებს და მუშაობენ ფაბრიკა-ქარხნებში.

აფხაზები ბევრნი არიან გასული სტამბოლსა და ანკარაში და მათ ადგილს იკავებენ თურქები. აფხაზები და ჩერქეზები ხასიათდებიან დაბალი შობადობით. ანეგდოტებიც არის ამაზე... ცოლები მოჰყავთ 35 წლის ზევით [საცოლო მამაკაცების ასაკზეა საუბარი - ს.ჭ.], ერთი ან მაქსიმუმ 2 შვილი ჰყავთ. ქაიარალ-რეშეთბეიშიც ვიყავი, ესეც არის საქარიის პროვინციაში, ოღონდ ცენტრთან ახლოს მიბმული. მინდოდა დეირმენდერეს ნახვა, რომელსაც მეორენაირად გაგრა ჰქვია, თუმცა რომ ჩავედი, არ დამხვდნენ, მითხრეს, რომ ჩამოსახლდნენ ქვედა სოფელში. ასევე არის შერეული ქართულ-აფხაზურ-უბიხური სოფელი ბუღაზქოიუ. თურქეთში არ განირჩევა აფხაზი და აბაზი [აბაზა – ს.ჭ.]. მუპაჯირები პირდაპირ ამბობენ, რომ რუსებმა გამოგვყარეს ჩვენი ქვეყნიდანო“.

ა. კვახაძის ცნობით, აფხაზებთან ახლოს ცხოვრობენ ასევე აბაზა, უბიხ და ჩერქეზ მუპაჯირთა შთამომავლები, ასევე ქართველები (გურჯები). მაგალითად, საფანჯას პროვინციის, საფანჯას ტბის მახლობლად არის რამდენიმე უბიხური სოფელი, მაგრამ იქურ უბიხებს უბიხური ენა დავიწყებული აქვთ და აფხაზურ ენაზე საუბრობენ. ამ სოფელში აფხაზური სოფლიდან - ბიუიუკ-დერბენთიდან გამოთხოვილი ქალბატონები არიან. ლაკ არის უბიხური საგვარეულო, თუმცა ზოგიერთები ლაკერბად ენერებიან. ქაისერის პროვინციაში აბაზების სოფლებია. ფინარბაშის პროვინციის ერთ ილჩეში არსებობს დასახლება, რომელსაც უზუნია ჰქვია, სადაც 60-ზე მეტი ჩერქეზული და აბაზური კომლია. აბაზები ბინადრობენ ასევე ცენტრალურ პროვინციებში: ქაისერი, იოზგათი და ა.შ. რამდენიმე სოფელი არის ბალიქესირშიც„.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ აფხაზებსა და აბაზებს ერთ ხალხად მიიჩნევენ ადგილობრივები, რაც განპირობებულია იმით, რომ თურქულ ენაზე მე-16 საუკუნიდან არსებობს ტერმინი აბაზა (მრ.რ. აბაზალარ „აბაზები“), რომლითაც აღინიშნებიან აბაზებიც და აფხაზებიც.

აფხაზეთში არსებული ოიკონიმების დარქმევა იმ სოფლებისთვის, რომლებიც აფხაზ მუპაჯირებს დაუარსებიათ, აშკარად მიანიშნებს, რომ მუპაჯირებს არ სურდათ სამშობლოს დავიწყება. დღემდე ამ სახელების ზეპირი გამოყენება კი კიდევ ერთხელ ადასტურებს მათ დამოკიდებულებას ისტორიული წარსულისადმი. თურქეთის სახელმწიფოს მხრიდან სოფლის სახელწოდებების თურქული ვარიანტებით ჩანაცვლება სწორედ ამ წარსულის ნაშლისა და არათურქული მოსახლეობის გათურქების მცდელობად შეიძლება შეფასდეს.

ჩვენი რესპონდენტის ცნობით, შავიზღვისპირეთის რეგიონში, სამსუნსა და სინოპში თითქმის აღარ საუბრობენ აფხაზურ ენაზე, რადგან იქ უფრო ადვილად მოხდა ჩერქეზული და აფხაზური მოსახლეობის ასიმილაცია. მათ ახსოვთ თავიანთი ეთნიკური კუთვნილება, მაგრამ ენა აღარ იციან. ა. კვახაძე მიიჩნევს, რომ თურქეთში 60-იან წლებში ჩატარებული აღწერები არ ასახავდა სინამდვილეს, ვინაიდან ამ აღწერის მიხედვით, თურქეთში სულ 5000 აბაზალარ, ანუ აფხაზი და აბაზა დაფიქსირდა. იმ დროს თურქეთის ხელისუფლება ცდილობდა, შეემცირებინა არა მარტო აფხაზთა, არამედ სხვა ეთნიკურ-ენობრივი უმცირესობების წილი სახელმწიფოში.

მკვლევრის აზრით, თურქეთში დაახლოებით, 200-ზე მეტი აფხაზური და აბაზური სოფელია, თუმცა ბოლო პერიოდში იქ მოსახლეობის რაოდენობა

მკვეთრად შემცირებულია სოციალურ-ეკონომიკური მიზეზებისა და ურბანიზაციით გამონვეული მიგრაციების გამო.

ა. კვახაძემ გვიამბო შემდეგიც: „აფხაზური ენის ცოდნა იმაზეც არის დამოკიდებული, თუ სად ცხოვრობდნენ. თუ გზისპირას ცხოვრობდნენ, იქ უფრო ადვილად მოხდა მათი ასიმილირება და ენის დაკარგვა, მაგრამ ცენტრალური ადგილებიდან შორს მცხოვრებებმა უფრო შეინარჩუნეს თავიანთი ენა, მაგრამ აქაც იგივე პროცესებია, რაც სხვა ეთნიკურ უმცირესობებში თურქეთში.

აფხაზური არის მათთვის ნინაპრების ენა, იდენტობის ენა. ნუხდებიან იმაზე, რომ ახალმა თაობამ აღარ იცის. როგორც გარდაუვალ მოვლენას, ისე უყურებენ ამ ენის დაკარგვას. ცალკეული ენთუზიასტები არიან, მაგრამ უმრავლესობამ არ იცის [ენა - ს.ჭ.]. თუ აფხაზეთიდან ჩამოყვანილი რძალი ჰყავთ, ბავშვებმა იციან აფხაზური. ახალგაზრდები ერთმანეთში თურქულად საუბრობენ. ზოგი ცდილობს სწავლას.

მოხუცებმა მითხრეს, ჩვეულებრივ საკითხებზე როცა ვსაუბრობთ, აფხაზურად ველაპარაკობთო, როცა სერიოზულ თემებზე ვსაუბრობთ, თურქულზე გადავდივართო. უფროსმა თაობამ, ძირითადად, ისწავლა სკოლაში, მერე წავიდა ჯარში, მერე დარჩა სოფელში და ან ტრაქტორისტად, ან ფაბრიკაში, ან ყანაში მუშაობდა. ბევრი მიყვებოდა, რომ 5 წლამდე თურქული არ ვიცოდითო. ახლა ზოგი სიტყვების [აფხაზური სიტყვები იგულისხმება - ს.ჭ.] გახსენება გვიჭირსო. 50 წელს გადაცილებულები ამბობდნენ, რომ სკოლაში მისვლის მერე სწავლობდნენ თურქულს. ერთ-ერთმა მითხრა, აფხაზური ჩემთვის არის საიდუმლო ენა, როცა გვინდა შვილებმა რამე არ გაიგონ, მაშინ ერთმანეთს აფხაზურად ვესაუბრებითო. არიან ენთუზიასტები, ვინც შვილებს ასწავლიან აფხაზურს.

შემდეგი თაობა წავიდა დიდ ქალაქებში, სამშენებლო ბიზნესში, ამიტომ 40 წელს ზევით კარგად იციან ენა. 20-დან 40-წლამდე ესმით, მაგრამ ვერ საუბრობენ და 20 წელს ქვემოთ საერთოდ არ იციან. განათლებას და შვილების აღზრდას აქცევენ დიდ ყურადღებას, ამიტომ ბევრი მათგანი მიდის დიდ ქალაქებში.

ზოგი აფხაზი წუხილს გამოხატავდა, რომ თურქული ენის ზეგავლენით ყ, ჭ და ასეთ ბგერებს ახალი თაობა ვერ წარმოთქვამს. ისინი, ვინც ნულიდან სწავლობენ აფხაზურს, უჭირთ ამ ბგერათა დაუფლება. ძველმა თაობამ ძველი სიტყვები უფრო იციან. საშუალო თაობის აფხაზთა მეტყველებაში თურქული სიტყვები უფრო მეტად შემოდის, რადგან აფხაზური ტერმინოლოგია არ იციან.

აფხაზურ წიგნებს გამოსცემენ. აფხაზფედი ჰქვია, აფხაზურ ორგანიზაციათა

ფედერაცია, მათ 12 რეგიონში ჰყავთ წარმომადგენლობა, მათ შორის, სტამბოლსა და აჭარაში. მათ აფხაზეთიდან ჩამოაქვთ სასწავლო ლიტერატურა, მჭიდრო კონტაქტი აქვთ იქაურ ხელისუფლებასთან. თვითონაც ჰქმნიან შემსწავლელ კურსებს, თურქულ-აფხაზურ სასაუბროებს, ატარებენ კურსებს და ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი დააინტერესონ.

მაგალითად, ბოღაზითის უნივერსიტეტში ასწავლიან აფხაზურს, გაიხსნა აფხაზური კათედრა, აფხაზურის კურსები, აფხაზეთიდან ჩამოსული გუნდა ანქვაბი ასწავლის აფხაზურს. არიან ისეთებიც, ვინც აფხაზეთში ჩავიდა და იქ ისწავლა აფხაზური ენა. სტამბულისა და ადგილობრივი აფხაზური ორგანიზაციების ბაზაზე შეიქმნა შემსწავლელი კურსები.

ერდოღანის საკანონმდებლო ცვლილების მიხედვით, სკოლებში ნებადართულია აფხაზური ენის სწავლება, თუ შესაბამისი რაოდენობა არის მსურველების, მაგრამ მასწავლებლების პრობლემაა. ბევრმა არ იცის, სერთიფიკატი არა აქვს, თურქეთის მოქალაქე უნდა იყოს და ა.შ. ერთობლიობაში ამ ყველაფერმა განაპირობა ის, რომ აფხაზური ენა ნელ-ნელა იკარგება, ასეთი ტენდენციაა.

აფხაზეთში უფრო შეინარჩუნეს ენა, ოჩამჩირის სოფლებში, გუდაუთაში მაინც ყოველდღიური სასაუბრო ენა არის აფხაზური. აჭარაში ძველმა თაობამ იცის ეს ენა. თურქეთშიც 50 წელიწადში აფხაზური ენა არ დარჩება, ენის დაკარგვა გარდაუვალი მოვლენაა, ვერაფერს ვიზამთ. კავკასიის ფარგლებს გარეთ ამ ენას პერსპექტივა არა აქვს. გადარჩენის ერთადერთი გზაა, მოხდეს მათი დაბრუნება მათ ენობრივ გარემოში. იგივე ეხება თურქეთელ ქართველებს, ჩერქეზებს და სხვებსაც. იქ ენის შენარჩუნებას პერსპექტივა არა აქვს, თუმცა ყოველთვის იქნებიან ერთეულები, ვინც ისწავლიან.

ბევრი ვინც მიდის აფხაზეთში სასწავლებლად, მიდის არა აფხაზურის, არამედ რუსული ენის სასწავლად. მაგალითად, სიმ-ბარათების გამყიდველი ბიჭი, ჩემზე ცოტა უმცროსი იყო, მან რამდენიმე ელემენტარული აფხაზური ფრაზის გარდა არ იცოდა, მაგრამ იცოდა რუსული. რუსულს რამეში მაინც გამოვიყენებებო. წავალ ანტალიაში, თარჯიმნად, ან სასტუმროში ვიმუშავებო, აფხაზური სად უნდა გამოიყენოო. ამიტომ თურქეთში მცხოვრები ბევრი აფხაზი ცდილობს ისარგებლოს თურქეთში არსებული გაცვლითი პროგრამებით, ისწავლოს რუსული და გამოიყენოს სხვადასხვა საქმიანობაში.

ბექირ ჰაფათი აქტიური ადამიანია, აბაზაა. იცის აფხაზური და იცის აბაზური ანბანიც, მაგრამ ასეთები ერთეულები არიან. უმრავლესობამ არ იცის აფხაზური

დამწერლობა. ჟურნალები და სხვა გამოცემებიც აქვთ, მაგრამ ძირითადად თურქულად კითხულობენ თავიანთი კულტურის შესახებ.

სოფლებში წარწერები თურქულადაა. ქალაქ ადაფაზარში არის კაფე „გაგრა". შეიძლება ნახოთ რესტორანი, მაღაზია „აფსნი", „ამრა", „ამზა"...

აბსოლუტურად ყველამ იცის თავიანთი გვარი. მათში მაღალია ისტორიული მეხსიერება. გვარები მიიმსგავსეს, მაგალითად, ცნობილი ფეხბურთელი იყო ცვეიბა და თურქულად ენერა სბა. უმრავლესობას აქვს შეცვლილი თურქული გვარები. ზოგიერთმა სასამართლოს გზით მიაღწია იმას, რომ ჩაინერა ავიძბად და ა.შ. მაგრამ ეს ძალიან რთული და ძვირადღირებული პროცედურაა და ყველას არა აქვს შესაძლებლობა, ეს გააკეთოს. 90-იანი წლების შემდეგ გარდაცვლილთა სასაფლაოს ქვებზე წერია თურქული და ფრჩხილებში აფხაზური გვარები, მაგალითად, აგუჩბა, ადლეიბა, ავიძბა... ეს უკავშირდება 90-იან წლებს და ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას. უფრო ადრინდელზე ასეთი რამ ნაკლებადაა, ადრე მხოლოდ თურქულ გვარებს წერდნენ. იქაური კანონით ყველას ერთნაირი საფლავის ქვა უნდა ჰქონდეს, მაგრამ წარწერები არ კონტროლდება".

* * *

კომენტარი: თურქეთში აფხაზური ენის მდგომარეობის შესახებ მონოდებული ზეპირი ინფორმაციის საფუძველზე შემდეგ სურათს ვიღებთ:

1. აფხაზური ენის შენარჩუნება თურქეთელ აფხაზთა შორის დამოკიდებულია მათი საცხოვრებლების კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალზე. კერძოდ, ენას უფრო მეტად ინარჩუნებენ ცენტრალური და ურბანიზებული ადგილებიდან მოშორებით, ან კომპაქტურ დასახლებებში მცხოვრები აფხაზები;
2. აფხაზური ენა მათთვის შემდეგი სტატუსით შეიძლება არსებობდეს: მამების ენა, წინაპრების ენა, იდენტობის ენა, საიდუმლო ენა, საოჯახო ენა... მაგრამ აფხაზური ენა არ მარკირდება განათლებისა და საქმის ენად;
3. დედაენა ჯერ კიდევ იცის უფროსმა თაობამ, საშუალო თაობას ესმის და ვერ ლაპარაკობს, ხოლო უმცროსი თაობის უმრავლესობამ საერთოდ არ იცის. თურქულენოვანი გარემო, შერეული ქორწინებები,

აფხაზთა უმცირესი წილი მოსახლეობაში, სახელმწიფოს მიერ ადრე განხორციელებული ანტიმინორიტარული ენობრივი პოლიტიკა, მხოლოდ თურქულენოვანი საგანმანათლებლო სისტემა, მოსახლეობის თურქულენოვანი „ოკეანე" აფხაზთა შორის აფხაზური ენის ფართოდ გამოყენების შესაძლებლობებს ვერ ქმნის. ამ მიზეზთა გამო ინტენსიურად იკლებს აფხაზური ენის ფუნქციონირების ისედაც მცირე ტერიტორია და სოციალურ-ასაკობრივი სტრატები.

4. ცოტანი არიან ცალკეული პირები, ან ჯგუფები, რომლებიც გულანთებული იღვწიან მშობლიური ენის შენარჩუნებისათვის. თავადაც სწავლობენ და სხვა აფხაზებისთვისაც ქმნიან სპეციალურ სასწავლო პირობებს, რომ ელემენტარულ დონეზე მაინც მოხერხდეს აფხაზური ენის შესწავლა;

5. უფროსი თაობის აფხაზები ადრე თურქულ ენას სკოლაში შესვლის მერე სწავლობდნენ. ასეთივე ვითარება იყო მე-20 საუკუნის შუა წლებამდე. მცირენლოვანმა ბავშვებმაც მხოლოდ თავიანთი მშობლიური აფხაზური იცოდნენ, ამჟამად კი სკოლამდელმა ბავშვებმაც არ იციან აფხაზური, რაც, სამწუხაროდ, აფხაზური ენის სწრაფი კვდომის უდავო სიმპტომია. იგივე მოხდება აფხაზეთშიც;

6. საშუალო თაობის ადამიანებმა, რომლებმაც დიდ ქალაქებს მიაშურეს, ვერ შეძლეს მშობლიური ენის შენარჩუნება. მათთვის პრიორიტეტული გახდა თურქული ენა. მსგავსი ვითარება იყო აფხაზეთში, სადაც რუსულმა ენამ ჩაანაცვლა აფხაზური ენა;

7. თურქეთსა და აფხაზეთში ოჯახსგარეთა სივრციდან ოჯახში შეჭრილი სხვა ენები საბოლოოდ აფხაზური ენის გაქრობის მთავარი საფრთხე გახდა;

8. აფხაზური ენის მძიმე მდგობარეობაზე მიუთითებს შემდეგიც:

ა) ახალგაზრდები ვერ წარმოთქვამენ სპეციფიკურ აფხაზურ ბგერებს;

ბ) ისინი მხოლოდ ყოფით საკითხებზე ახერხებენ აფხაზურად საუბარს და სერიოზულ თემებზე ლაპარაკისას თურქულზე გადადიან;

გ) ენის მცოდნე აფხაზთა ნაწილისთვის აფხაზური ენა არის „საიდუმლო ენა", რათა ოჯახის უმცროს წევრებს არ გააგებინონ საუბრის შინაარსი;

დ) აფხაზური ენა აფხაზთა უმრავლესობისთვის ეთნიკური იდენტობის

მარკერია, ფიქტიური მშობლიური ენაა, რომელზეც გამართულად ვეღარ ლაპარაკობენ;

9. თურქეთში მცხოვრებ აფხაზებს უკვე უფლება აქვთ, სკოლებსა და უნივერსიტეტში ისწავლონ აფხაზური ენა, მაგრამ ამ წამოწყების განხორციელებას გადაულახავი ბარიერები უშლის ხელს, სახელმწიფო კი ამ ბარიერებს არ ხსნის;

10. თურქეთელ მუჰაჯირთა კაფეებსა და სხვადასხვა დაწესებულებების აბრებზე წარწერილი აფხაზური სახელწოდებები, საფლავის ქვებზე აფხაზური გვარების დაწერა, აფხაზური გვარების აღდგენის მცდელობები, დღემდე შემორჩენილი სოფლის სახელწოდებები, აფხაზთა კომპაქტური დასახლებების შენარჩუნება და აფხაზ, ან სხვა კავკასიელებზე დაქორწინების სურვილი ცხადად მიუთითებს, თუ რამდენად ძლიერია მათში ისტორიული მეხსიერების შენარჩუნების სურვილი და ეთნიკური იდენტობის დაკარგვის შიში. ჩამოთვლილი მაგალითებით დასტურდება, რომ თურქეთში მცხოვრები აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავლები ჯერ კიდევ აქტიურად ცდილობენ აფხაზური ეთნიკური და ენობრივი იდენტობის როგორმე შენარჩუნებას.

დანართები

დანართი N1. სტატია სასკოლო განათლების შესახებ გაზეთ „ცნობის ფურცელში"

1864 წლიდან სოხუმში არსებობს ორკლასიანი სასწავლებელი, მთიულთა (აფხაზთა) ბავშვებისათვის გახსნილი[100]. ამ სკოლას, როგორც ყველა სკოლებს სოხუმის ოლქში, აზრადა აქვს გარუსება მონაფეებისა. ათასში ერთხელ გიმნაზიაშიც გაგზავნის ხოლმე მთავრობა სახელმწიფო ხარჯით აქ კურსდამთავრებულს. მაგრამ არ გეგონოთ, სადმე მახლობელ ქალაქის გიმნაზიაში გზავნიდეს, აი, თუნდ ქუთაისისაში, სადაც მშობელს გაჭირვების დროს უფრო ადვილად და უფრო იაფად შეუძლია ჩასვლა შვილის სანახავად. თქვენგან არ მიკვირს?! ბიუროკრატია რაღა ბიუროკრატია იქნება? თუ ჩვენებურ მშობელთა და მოსწავლეთა ინტერესს პატივი სცა და ისე იმოქმედა!... ბიუროკრატიამ იცის, რომ ქუთაისი ქართველთა ქალაქია; იცის, რომ სოხუმიდან გამოგზავნილი ბავშვი ქართველ საზოგადოებაში დატრიალდება, ქართულს ადვილად ისწავლის და ქართული ტენდენციებიც განუვითარდებაო. ასეთის „უხერხულობის„ ასაცილებლად მთავრობამ რამდენიმე სტიპენდია დააარსა სოხუმის ოლქის ბავშვთათვის სტავროპოლის გიმნაზიაში. გზავნიან ბავშვს სამშობლოდან შორს, უცხო მხარეში, უცხო ხალხში, რომ ყოველი მშობლიური გრძნობა გულიდან ამოჰგლიჯონ, ნაცნობ სამშობლოს სურათებს მოაშორონ, დედა ენა დაავიწყონ და მხოლოდ რუსული ენა ასწავლონ, ყოველივე ამისათვის ანაცვალებინონ. ბავშვი ფიზიკურად და გონებრივად განვითარების მაგიერ ხორციელად იჩაგრება, ნაღვლიანდება, ბოროტდება, გონებრივად ჩლუნგდება, სძულდება სასწავლებლის საგნები, გაუგებარ და უცხო ენაზე რომ უნდა ასწავლონ; სძულდება მასწავლებელნი, რომელნიც არა ცდილობენ, მის დაჩაგრულ გულში ჩაიხედონ; სძულდება თვით სასწავლებელი და ცდილობს, ყოველივე ამას თავი მალე, სწავლის დამთავრებამდე დაანებოს, თუ არ ამ გონებრივ და ხორციელ დამახინჯების სისტემით, სხვა ვერაფრით აიხსნება ის სამწუხარო ფაქტი, რომ დღემდე ამ ნიჭიერ ხალხის, როგორიც აფხაზები არიან, შვილთაგან უმაღლესი სასწავლებელი არავის გაუთავებია.

სამწუხაროა, რომ აფხაზები, რუსის ბიუროკრატიის სატრფიალო სისტემის წყალობით, გონებრივად გადაშენების გზას ადგანან და ჯერჯერობით სრულს

100. იგულისხმება სოხუმის მთიელთა სკოლა, ამჟამინდელი ქ. სოხუმის მე-10 საშუალო სკოლა.

ინდიფერენტიზმს იჩენენ ეროვნული დამოუკიდებლობის საქმეში. გარუსების პოლიტიკამ იმდენი მოასწრო, რომ ეს ხალხი სრულიად ჩამოაშორა თავისს მეზობლებს - ქართველებს; ამ პოლიტიკამ უკუღმართის აღზრდის წყალობით იმდენად დაამახინჯა ეს ხალხი გონებრივად, რომ დაავიწყდა, რომ თუკი საერთო ვისთანმე უნდა ჰქონდეს აფხაზის ხალხსა, ისევ მეზობლებთან, ისევ ქართველებთან, რომელთანაც ისტორიულად დაკავშირებულნი არიან და მათის სამშობლოს გეოგრაფიული მდებარეობა ისეთია, რომ ქართველებს იქით ამ ხალხს ხსნა არა აქვს.

დღეს კი აფხაზეთის ხალხს ქართველებთან ერთობა არავითარი არა აქვს. ამ შემთხვევაში მწერლობა უნდა გაედოს შემაერთებელ გზად და ხიდად მეზობლებს. სავალალოდ, ეს შემაერთებელი გზა და ხიდი ჩვენსა და აფხაზებს შორის არ არსებობს. არ არსებობს იმიტომ, რომ ქართული ენა აქაურ სკოლებიდან განდევნილია. ქართული გაზეთის ნაცვლად სხვადასხვა ოინებით და ხრიკებით ავრცელებენ ბათუმელ ჯამბაზის გაზეთს[101], რომელიც ქართველობას და მის კულტურას ამცირებდა თავის მკითხველთა თვალში და, გარდა ამისა, აფხაზებს აგონებდა, ქართველები (მეგრელები) თქვენი მტრები არიან, აქ მოდიან, თქვენს მიწებს იჩემებენო და სხვა და სხვა. შეგნებული მკითხველი უნდოდა, რომ ამ გაზეთის გამოგონილ ჭორებისათვის ყურადღება არ მიექცია.

უფრო სამწუხაროა, რომ სასწავლებელში [სოხუმის მთიელთა სკოლაში - თ.გ.] აფხაზთა გარდა სამურზაყანოელნიცა სწავლობენ. თუ აფხაზთა ნათესაობა ქართველებთან საეჭვოა, იგივე არ ითქმის სამურზაყანოელთა შესახებ. მათი ნათესაობა ქართველებთან (მეგრელებთან) ყოველის ეჭვის გარეშეა. სასაცილოც იქმნებოდა ამისი მტკიცება. ეს იმას ემგვანებოდა, ვისმე რომ დაეწყო მტკიცება - ორი და ორი ოთხიაო!... ეს ჭეშმარიტება არ სწამთ მხოლოდ იმათ, ვინც მიმდევარია სიტყვების... [ჩანს აქ ცენზურამ ამოიღო ტექსტის ნაწილი - თ.გ.] არა სწამთ მხოლოდ ბიუროკრატიას და მის ღირსეულ აგენტებს, რომელნიც იმასაც სცდილობენ, ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა პროვინციების მცხოვრებნი ერთი მეორეს ჩამოაშორონ, ერთი მეორეს გადაჰკიდონ, გულში ერთიმეორის მტრობა ჩაუნერგონ, რომ ასეთის განცალკევების შემდეგ უფრო ადვილად გაბატონდნენ მათზე. იგი [ბიუროკრატია - თ.გ.] უარჰყოფს ყოველს ისტორიულს, ეთნოგრაფიულ და ლინგვისტურ საბუთებს, რომელნიც აშკარად ამტკიცებენ სამურზაყანოელთა მეგრულ ჩამომავლობას და, მაშასადამე, მათს ნათესაობას ქართველებთან. ერთის

101. იგულისხმება ბათუმში გამომავალი გაზეთი „ჩერნომორსკი ვესტნიკი", რომელშიც ხშირად იბეჭდებოდა ქართველთა და აფხაზთა ერთიმეორეზე წამქეზებელი მასალები.

მხრივ, ამ ნათესაობას უარჰყოფს და, მეორეს მხრივ, სამურზაყანოელთ აფხაზებს უნათესავებს და თანაც გაიძახის, რაკი სამურზაყანოელნი მეგრელები კი არა, აფხაზები არიან (აფხაზები არიანო, იმ სამურზაყანოელთა შესახებ ამბობენ, რომელნიც შინაობაში მხოლოდ მეგრულს ლაპარაკობენ და აფხაზურისა არაფერი ესმისთ), მათთვის ქართული ენაც საჭირო არ არისო; რაკი სამურზაყანოელნი აფხაზები არიან და აფხაზებს კი საკუთარი მწერლობა [ე.ი. ლიტერატურა - თ.გ.] არა აქვთ, სამურზაყანოელებმა ისევ რუსული უნდა ისწავლონო. „ასწავლიან„ კიდეც რუსულს ენას.

ოღონდაც სავალალოა, რომ ჩვენის მწერლობით ვეღარ სარგებლობენ ჩვენის ქვეყნის მივარდნილ კუთხის მცხოვრებნი [იგულისხმებიან სამურზაყანოელები - თ.გ.]. ადგილობრივი მთავრობა რომ არ აბრკოლებდეს ქართულ წერა-კითხვის გავრცელებას, საქართველოს ამ პროვინციაში, სადაც ქართული ლაპარაკი, როგორც ქართველთა მონათესავეთ, თითქმის ყველას ემარჯვება, ქართული წერა-კითხვა ადვილად გავრცელდებოდა და ქართული მწერლობა შეძლებისდაგვარად საგრძნობელ სამსახურს გაგვიწევდა ამ მხარის გონებრივად ამაღლების საქმეში. თორემ ახლა სამურზაყანოელთ სამშობლო (ქართულ) ენაზედაც უშლიან გონების განვითარებას და ვეღარც რუსულ ენაზე ანათლებენ და არამცთუ ვერ ანათლებენ, არსებულ მახინჯ - მუნჯურის სისტემის წყალობით სოფლელთ აძულებენ სკოლას და მწიგნობრობას, გონებრივად ამახინჯებენ, ზნეობრივად აქვეითებენ, ქართველობას აშორებენ, გადაშენების გზაზე აყენებენ...

სოხუმელი

გაზეთი „ცნობის ფურცელი", 1905 წლის 1 აპრილი, N 2786.

დანართი N2. სოხუმში გიმნაზიის გახსნისა და თბილისის უნივერსიტეტში აფხაზური ენის სწავლების შემოღების შესახებ

სახალხო განათლების მინისტრს თავდგირიძე[102] სთხოვს სოხუმელი ქართველების სახელით, დაუყოვნებლივ ქართული საშუალო სასწავლებლის დაარსებას სოხუმში; ამ გიმნაზიაში აფხაზურ ენასაც ჯეროვანი ყურადღება უნდა ჰქონდეს მიქცეული, რომ იქ აფხაზთა შვილებმაც ისწავლონ. დღემდის აფხაზეთში ძველი წყობილების განსაკუთრებული გამარუსებელი პოლიტიკის წარმოების გამო არაფერი გაკეთებულა დედაენის სწავლების სასურველ ნიადაგზედ დაყენების შესახებ; საქართველოს რესპუბლიკამ კი ყველაზედ მეტი ყურადღება ამ მხრივ სოხუმის ოლქს უნდა მიაქციოს.

მთელი უთანხმოება აფხაზთა და ქართველთა შორის იმისგან გამომდინარეობს, რომ აფხაზებს ჩვენმა მტრებმა ჩააგონეს, თითქოს ჩვენ მათი გადაგვარება გვინდოდეს, მათი ენის მოსპობა. ჩვენ უნდა დავუმტკიცოთ მათ, რომ ჩვენ დიდის პატივისცემით ვეპყრობით ყოველიეე ერის დედაენას. ამ მოსაზრებით სასურველია, აფხაზური ენის შესასწავლი კათედრა დაარსდეს ქართულ უნივერსიტეტში. ამ საქმეზედ მოლაპარაკება ჰქონდა თავდგირიძეს სახალხო განათლების მინისტრთან და პროფ. ჯავახიშვილთან[103]. ეს საქმე უკვე გადაწყვეტილად ითვლება. მოწვეულია აფხაზეთის ენის ლექტორად ცნობილი ლინგვისტი, აფხაზური ენის კარგად მცოდნე პეტრე ჭარაია[104].

სტატია „თუთუნთან დაკავშირებული პრობლემები", გაზეთი „საქართველო", N130, 1918 წლის მკათათვის 5

---

102. იგულისხმება ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ნიკო ყარამანის ძე თავდგირიძე.

103. იგულისხმება თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებელი ივანე ჯავახიშვილი.

104. სამწუხაროდ, იმ წელს აფხაზური ენის სალექციო კურსის შემოღება არ მოხერხდა, ვინაიდან ამ ენის მკვლევართაგან ჯერ პ. ჭარაია გარდაიცვალა, შემდეგ კი ნიკო ჯანაშიაც, სხვა სპეციალისტი კი არ არსებობდა. აფხაზური ენის სწავლება უნივერსიტეტში დაიწყო მხოლოდ 1924 წელს, როცა ლექტორად მონვეულ იქნა დიმიტრი გულია. აქედან მოყოლებული ამ ენის სწავლება თბილისის უნივერსიტეტში დღემდე არასოდეს შეწყვეტილა.

დანართი N3. აფხაზური ენისათვის ქართული გრაფიკის შერჩევის საკითხისადმი მიძღვნილი 1937 წლის 4-5 დეკემბრის თათბირის ოქმები

დოკუმენტი #1

Копия

ПРОТОКОЛ

специального совещания по вопросу принятия нового алфавита при Институте Абхазской Культуры им. Н.Я. Марра Грузинского филиала Академии Наук СССР с участием представителей научных, общественных организаций, а также педагогов-практиков

4 и 5 декабря 1937 г. в г. Сухуми.

ДНЕВНОЕ ЗАСЕДАНИЕ 4-го декабря.

ПРИСУТСТВУЮТ: проф. Шария П.А., проф. Шанидзе А.К., проф. Топурия В., проф. Чикобава А.С., Гулия Д.И., Делба М.К., Хашба М.Л., Басария С.П., Пате-Ипа Н.С., Шакрыл П.С., Шакрыл К.С., Герия Н.Э., Маан В.Н., Гулия Г.Д., Дзидзария К.Ф., Шакирбая Г.З., Бгажба Х.С., Кокоскерия Н., Тищенко И.П., педаг. Харазия В.Н., педаг. Симония С.Б., педаг. Кация Б.А., Басилая Н., Морина З.М., проф. Грен А.Н., Акиртава С.В., Гочуа М.Д., проф. Джанашия С.Н., Фадеев А.В., Джанашия Б.П.

Председатель - Г.Ф. Дзидзария

Секретарь - Б.П. Джанашия, А.В. Фадеев.

Председательствующий, открывая совещание предлагает перейти к обсуждению имеющихся проектов: 1) проф. Шанидзе, 2) проф. Джанашия, 3) Д. Гулия, которые исходят из принципа изображения дополнительных абхазских звуков с помощью служебных знаков, и 4) сводный проект М. Хашба, Д. Гулия, А. Чочуа, основанный на приближении к принципу создания особых начертаний для каждого звука.

ХАШБА М.Л. Имевшиеся раньше абхазские алфавиты не удовлетворяли нас. 15-я Абхазская областная партконференция в текущем году приняла решение о переходе на грузинский алфавит. Сейчас у нас имеются проекты проф. Шанидзе, проф. Джанашия, Гулия Д. и сводный проект Д. Гулия, Чочуа и Хашба М.

ГУЛИЯ Д.И. У меня имеется ряд проектов.

Проф. ШАРИЯ П.А. Мы хотим знать к какому проекту склоняются местные товарищи.

ХАШБА М.Л. Мы были склонны к тому, чтобы избежать двойных знаков.

